



1(7)  
2014

# საგურამო

---

ლიტერატურული ჟურნალი



1(7)

იანვარი-თებერვალი

---

2014

# შინაარსი

## თანამდები სულები

3. ილია ჭავჭავაძე შინაური მიმოხილვა

## კრიტიკა

10. ამირან გომართელი ილია და აკაკი — ერთსულოვნება და მეტოქეობა

## ესეისტკა

30. ეზარ კვიციანიშვილი გადამფრენი ფრინველები

## დოკუმენტური პროზა

38. როსტომ ჩხეიძე ლეგენდა ერეკლე ტატიშვილისა

## თვალსაზრისი

54. არქიმანდრიტი ილარიონი ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ

## კუბლიკაცია

71. ლევან ბრეგაძე გერმანელი მწერალი ძველ ქართველ კალიგრაფთა შესახებ

## რეცენზია

74. ივანე ამირხანაშვილი წიგნი დაბადებისა და სიცოცხლისა

## ახალი თარგმანები

76. ეჟენ იონესკო. განდევნილი (თარგმნა დავით კახაბერმა)

151. ნაჯიბ მაჰფუზი. ზაბალავი (თარგმნა დარეჯან გარდავაძემ)

159. საუბარი მარტინ ჰაიდეგერთან (თარგმნა ზურაბ ხასიაიმ)

175. დიმიტრი ლიხაჩოვი შენიშვნები რუსულ ხასიათზე (თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ)

მთავარი რედაქტორი  
ანდრო ბაღუშაძე

რედაქტორები  
ივანე ამირხანაშვილი  
ურბ შერაზადიშვილი



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების  
გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმე-  
ბლად დაუშვებელია

ტელ.: 551 18 37 76  
sagur anshag@gmail.com

ილია ჭავჭავაძე

## შინაური მიმოსილვა

ნეტარსხენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითიმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რალა თქმა უნდა, ჯერ თავის თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა, რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე – თვითონ ცხოვრების წყობა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაცკი ამ წყობას შეჰსწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელს საქმეს უარყოფისას და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დროგადასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი

იყვნენ დაულალავად. მათის მართლა-და დაუფინყარის ღვანლით მაგ თამამმა უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელგოვანი „Современник“-ი.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად, აქაც ასე მოხდა, ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვმაგარი კიდეც ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისგან აღიარებულია, ნებით, თუ უნებლიეთ გულშეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს მომხრე არ დაეღევა, თვითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ასე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს რა. როგორც ძველის ობი, ისე ახლოს კვირტი ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად სალი, გამჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარყოფელნი და ახლის მესვეურნი, პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს - „შვილებისა“. ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით

არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა, ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალწყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმანვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე-მეორეში, იმისდა მიუხედავად, თურა აზრების მალიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი.

პირველს შეხედვაში, კაცს ეგონება - რუსეთის „მამების“ ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა“ მერეს მხრით ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღეს აქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსიერი თავისითა ჰსცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის - რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და ჰსაჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა, ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესემნილი და გაგებული ექნება, - მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე, ესლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მანამ ეს არ მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირსვლას დასასრული არ აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლები-სა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან მეორისას - ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი - ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი,

მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველაფერი ახალი არ ენატრებათ.

ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი, სიცოცხლესაც არ დაზოგავს და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეამოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ გათავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დაჰსდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრედნოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც, მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან ჰსცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადაეფარება, რომელიც, თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა - მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარისხად გაჰსდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის.

იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღესაქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად.

ჩვენ ესა ვთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაინვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადაჰსცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ, რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარდამხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაინიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუნყეს ძაგება და დევნა; გაქირი ჰქმნეს ამაზე და წინ ფეხი ველარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Московские Ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ლაღადებდა „Московские Ведомости“, დამნაშავეებს რაღა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოაღჩეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსასამართლების წესს, რომლის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ევროპისა არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დანყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინად იქნებოდა მათის წყალობით?

ეგრეთმა წყალგალმა გაბიჯებამ „მამებისამ“, - ანუ უკეთ ვსთქვათ, გაქირმა, - გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა, გაამწვა და გააკაპასა „მამებსა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანა, რომლის უარყოფისათვის წამონითლდება სირცხვილმორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმანვილი ჩათორია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადაურჩნენ.

ეს ჩათრევა რასაკვირველია, მარტო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმანვილის გონების გასატაცებლად უარყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულებაც იყო. ყმანვილის გონებას ისე არა მიიზიდავს რა, როგორც სითამამე, გა-

ბედულობა. სითამამეს, გაბედულობას ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ყმანვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავშვი მაშინვე ხელს გაუნვდის ხოლმე სანთლის ალსა. ჩვენ ამას ვამბობთ მარტო იმ ყმანვილკაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმის თქმა გინდა, რომ უარყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა ნაართვა, ავტორიტეტებზედ ღრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას.

დიდკაცების ცულლუტობის მაგიერ საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს და ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცატკუცით აპილპილდა და გონებაგაუხსნელი ყმანვილკაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმანვილკაცობისამ კი, უფრო გონებაგახსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცატკუცსა.

ასე თუ ისე პისარევის უარყოფა, დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდ ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი ნალა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე - ავტორიტეტები არა მნამსო; მესამე - ისტორია ზღაპარიო; და მეოთხე - ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები, რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამგვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმანვილკაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინგამომცხვარს ლიბერალებს, თუ მარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ. ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები.

მინამ სახელოვანი „Современник“-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად

გადაიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენევიმა რომ ყოვლის უარყოფელი ბაზაროვი გამოხატა, „Современник“-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა, თუმცა-კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა „Современник“-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა.

პისარევიმა ბაზაროვი კი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ეს? იმიტომ, რომ „Современник“-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა ამას გარდაცილებული და ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი. ამ სახით, პისარევიმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, და ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალისა და ჩვენს ლიბერალებს ეგ ჯერ არ შეუტყვიათ.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოიწია. თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადაქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედაც, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელქვეშ.

ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აპნუსხა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს „ჩოტკში“ ამას ჯერ ჯამი არა აქვს გამოყვანილი, რომ მზამზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინგამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თვითონ აპნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის ნყალი დალიეს. ამ სახით, ჩვენს ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირწინ გაეპარათ, და თუ გოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ, ვაი ეს რა საქმე მოგვსვ-

ლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ რა დღეში არიან ჩაცვივებულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმანვილკაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმანვილკაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ორო-ლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმანვილკაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარყოფელის მიმართულებიდან ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოდ-მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს - აქამომდე აწიონოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტყვილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი ჰსდევს. ჰცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰლაღადებს და, მამასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის - ძალღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულყო. ის „სხვა რამე“ იყო - ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, - ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნალარას სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენის პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ

ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება თუ, ამ გუნდმა ამ ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ლონია, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შეჰსჭიდა. რაღაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოლონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მართო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებსათვის. დე, ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დაუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ რამე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავსწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში, ჩვენებური რეტროგრადი ის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდელის დღის მლაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება. გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოლონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგანირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულებენ და თავყანსა ჰსცემენ. მათი უკეთესი წარმოდგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მართო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ

საქმეს ზედ აკვებებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოჰსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურკაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავინყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გაჰსწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული, ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. მისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისალწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმანვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოიჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზეები და იმითი თავი მოიტანოს. ყმანვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოდ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ ავღნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმანვილკაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეთ“ — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სი-

ტყვეები უნდა დაინეროს გულის ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ ნაიტყუოს ჭკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების სანყაო, საზოგადო საქმეებში თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცხილებელს საგანსა და გზას.

სხვა სანყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

\* \* \*

ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდნენ, გარდა ჩვენის ესრეთნოდებულ „დეპუტატებისაგან“ კონვოლებისათვის ვენზელების თხოვნისა. ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანეთს მწარეს ღიმილით, ან გაჯავრებულნი ჰკითხავდნენ: „გაიგე, როგორ შევურცხვენივართ ჩვენ დეპუტატებსაო? პოლშელებს უთხოვნიათ, ჩვენს ენას სხვადასხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილებანი შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ელირსა განსვენებული იმპერატორის ალექსანდრე მეორის მეფობის დროს, და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არაფერი უთხოვნიათ რაო“.

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედაკაცების“ და „მამაკაცების“ ხმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არ იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია – რა არის „დეპუტატი“, ან არა სცოდნია – როგორ „ვირჩევთ“ ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გამოაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატები?

– არავინ.

ვინ ამოირჩია ტფილისის თავადაზნაურობის დეპუტატები?

– არავინ.

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თავისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრნენ პეტერბურგისაკენ. იქ

ერთს მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა კონვოლებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მიცვალებულ ხელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო; იმანაც იშუამდგომლა და კონვოლებს ვენზელები უწყალობეს.

ეს ან რა ცოდვაა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს! თუკი ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმართველობა და სხვადასხვა უფლებები შემოიღეს, ჩვენ რალა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის დანესებულების შემოღება ვერ შევსძლოთ. შემოვიღეთ თვითამორჩევა, და ჩვენმა თვითამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედა ვჯავრობთ, ვენზელები რათ ითხოვესო, ხან იმაზედ, რატომ იგივე არ ითხოვეს, რაც პოლშელებმა დეპუტატებმაო. ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჯავრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვითამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები – ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავისთავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებს – საზოგადოებაზე; ჩვენებმა თავიანთ ნათესავს, ან მეგობრებს კონვოლებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისათვისთვის სხვადასხვა უფლება, პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა, რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედაენა შემოელოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ“ უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვედნენ თავსა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართულიო, — ოღონდ, ოღონდ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ ეზრუნათ და იზრუნეს კიდევ. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედ, ან თავიანთ მეგობარნათესავებზედ.

კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვით ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ. ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ

ვიცი ვინ ნავიდა, სად ნავიდა, რისთვის ნავიდა და ვიძახით კი რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ველრიჭებით, ვიცინით - დახე-დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის“ გოროდნიჩი გაგვიჩნდეს საიდანმე და გვითხრას, რო-იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასიცინეთო!

\*\*\*

ამისთანა სამწუხარო მოვლენასთან, როგორიც არის თვითამორჩეულ დეპუტატების ნასვლა პეტერბურგში და მათგან ვენზელების თხოვნა, ჩვენს ცხოვრებაში ხანდისხან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხვისავით მოგვეფინება ხოლმე.

აპრილის დასასრულს და მაისის დამდეგს ჩვენს საზოგადოებას ცოტაოდენი სიცოცხლე დაეცემა ხოლმე. ამ დროს მოდის საზოგადო კრება ტფილისის, ქუთაისის ბანკებისა და სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებისა. ჯერ არ ვიცი, როგორ გაივლის წრეულს ეს კრებები ტფილისში ან ქუთაისში, რა სასიკეთო ნიშნებს შევამჩნევთ ჩვენს ცხოვრებას, ან რა გავითარებას დავატყობთ ამ კრებების შემწეობით.

შემდეგს ნომერში იმედი გვაქვს ვრცელს კორესპონდენციას დავბეჭდავთ ქუთაისის ბანკის კრების თაობაზედ ჩვენს ჟურნალში და სხვა საზოგადო კრებებზედაც მოვილაპარაკებთ, დღეს კი ორიოდე სიტყვა გვინდა ვსთქვათ ტფილისის საადგილმამულო ბანკის კრებაზედ, რადგან ზოგიერთი მართლად სასიამოვნო რამ შევნიშნეთ.

ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენის საზოგადოების წევრნი თვალხუჭანას აღარ თამაშობენ, და რასაც რომელიმე გამგეობა ან დაწესებულება წარუდგენს, გაურჩევლად აღარ ამტკიცებენ. ვინც „თეთრში“ ან „შავში“ აგდებს თავის კენჭს, იცის რისთვისაც აგდებს და რაცა სწადიან.

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრაასი თუმანი ჰქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებისათვის. დიდი ლაპარაკი ასტყდა ამის თაობაზედ, რაზედ მოიხმა-

რონ ეს ფული და ხანგრძლივის ბაასის შემდეგ ასე დაარიგეს:

ასი თუმანი შესწირეს ბავშვებისათვის სადგურის გასამართავად მიცვალებულ ხელმწიფის სახელზედ.

ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი — თელავის ქალების სასწავლებელს, და ექვსასი თუმანი - ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლას.

ზოგიერთი მწვერნი ბანკისა მეტად ეწინააღმდეგებოდნენ თეატრისათვის შესწირვას, თუმცა ბევრნი უმტკიცებდნენ, რომ თუ ეს მცირე ფული არ გადასდეთ თეატრისათვის, შეიძლება ქართული თეატრი დაიშალოს და მოგვესპოს ის ერთადერთი დაწესებულება, სადაც ჩვენს ენაზედ ვსიამოვნობთ და ზოგჯერ ჭკუასაც ვსწავლობთ. ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი, აქ ამის გარჩევას არ შევეუდგებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ საგანს ორჯერ უყარეს კენჭი და ორჯერვე თითქმის ერთი და იგივე რიცხვი მოვიდა შავსა და თეთრს ყუთში. მხოლოდ მეორედ ერთის კენჭითა სძლიეს თეატრის მომხრეთ. ეს ცხადად ამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ ეხლა ყოველი მწვერი მნიშვნელობას აძლევს თავის კენჭს და კოჭაობას აღარა თამაშობს. მეორე შესანიშნავი კიდეც ეს იყო, რომ როდესაც საზოგადო კრება გადასწყვიტა შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართულ ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქმნასო.

ეს გარდამწყვეტილება ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა და, ჩვენის აზრით საყურადღებოა თვით სწავლა-განათლების გამგეთათვისაც.

ბოლოს შევნიშნავთ კიდეც, რომ ძვირად გვინახავს ჩვენში ესეთი მიუდგომლობა, მიუფერებლობა და პირში თქმა, როგორც ამ კრებაში შევამჩნიეთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქუთაისის კრებასაც ღირსეულად შეესრულებინოს თავისი საქმე, და ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ კეთილისა და საზოგადო საქმეთვის მოეხმარებინოთ.

[1881წ., 27 აპრილს]



ამირან გომართელი

# ილია და აკაკი — ერთსულოვნება და მეტოქეობა

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერლებს, საქვეყნო საქმეში, გასაოცარი ერთსულოვნება ახასიათებდათ, ილიასა და აკაკის მით უფრო. ვახტანგ კოტეტიშვილი ამბობს მათ შესახებ: ისინი „ერთ ორბიტაში მოექცნენ და თითქმის ერთნაირად მომართეს თავისი გზნება თუ აზროვნება. ისინი ერთ წრეს ეკუთვნოდნენ და ეს წრე იმდენად ამაღლებული იყო, ენთუზიაზმით სავსე და საზოგადო იდეალებით გატაცებული, რომ, შეიძლება ითქვას, ასეთი ერთსულოვნება ჩვენი ლიტერატურის ისტორიას სხვა არ ახსოვს“ (ვ.კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ., 375).

„თერგდალეულთა“ თაობის ერთსულოვნებას აკაკი წერეთელიც საგანგებოდ აღნიშნავს: „ერთმანეთ-შორისი თანხმობა და კავშირი სამაგალითო იყო, კერძოდ: პირადად რომ ერთმანეთის მტრებიც ყოფილიყვნენ, საზოგადო საქმეში მაინც საერთო იყო მათი ჭირიცა და ლხინიცა“ (ანწერეთელი, „აკაკის კრებული“, 1899, 3, გვ. 10).

ამგვარმა სულისკვეთებამ — საზოგადო საქმეში ერთსულოვნებამ — გასაოცარი შედეგი გამოიღო: სახელმწიფოებრიობის არმქონე ერის შვილებმა ეროვნული ინსტიტუტები შექმნეს: ფაქტობრივად ნაციონალური ბანკი დააარსეს; ეროვნული სკოლის აკრძალვის პირობებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩამოაყალიბეს; თეატრზე იზრუნეს; ქართული ენის სახელმძღვანელოები შექმნეს; ხალხური სიტყვიერების ნიმუშები შეკრიბეს; კლასიკური მწერლობის ძეგლები გამოსცეს. ერთიმეორის მიყოლებით ჟურნალ-გაზეთები დააარსეს; მრენველობა-მენარმეობის აღორძინებას ხელი შეუწყვეს; გავრანებულ

და დაცარიელებულ ტერიტორიებზე მთის სოფლებიდან ხალხი ჩამოასახლეს... ყოველივე ამის მოთავენი ქართველი მწერლები იყვნენ.

საზოგადო საქმეში ერთსულოვნების მიუხედავად, ჩვენი კალმოსნები პირად ცხოვრებაში განსაკუთრებული მეგობრობით არ გამოირჩევიან. იგივე ითქმის ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე. ამას მათი განსხვავებული ხასიათი და გრძნობათა ბუნება აპირობებს. თუმც ერის სულიერმა ლიდერებმა ერთმანეთის ფასი კარგად იცოდნენ: „შენ ერთადერთი აკაკი ხარ“, — სწერდა ილია აკაკის იმ პირად წერილში, სადაც მისთვის უჩვეულო, იშვიათი მოკრძალებით სთხოვდა ახლადდაარსებულ ჟურნალ „ივერიაში“ თანამშრომლობას. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რა სიტყვა წარმოთქვა აკაკიმ ილიას გარდაცვალებაზე ან როგორი ლექსით გამოეხმაურა 1907 წლის ტრაგედიას. უფრო უპირანია იმის გახსენება, თუ რა თქვა აკაკიმ ილიას სიცოცხლეში, თელავში, 1897 წელს: „სჩანს, რომე ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად ნამეზული კახეთი, ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგებას“. აკაკის ამგვარი ხმამაღალი განცხადების საფუძველს ილია ჭავჭავაძის კახეთში დაბადება აძლევს. კახეთში ქართველთა მესია იშვაო. მეტი რაღა უნდა ეთქვა აკაკის.

ამგვარი მაქსიმალური აღიარების პარალელურად, აკაკი, როგორც შემოქმედი, ასევე დიდი ინტერესით იყო გამსჭვალული ილიას შემოქმედების მიმართ, თუმც ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს, ჩვეული ენაკვიმატობა ილიას მიმართაც გამოეჩინა. თუ არ ვცდები, გურამ ასათიანმა შენიშნა

პირველმა, რომ აკაკის „პოეტი“ გაპაექრება ილიას „პოეტთან“ (აკაკის ლექსი 1886 წელს დაინერა, ილიასი — გაცილებით ადრე, 1863 წელს გამოქვეყნდა).

ილიას ხმამაღალ განცხადებას: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, / მინიერი ზეციერსა; / ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარუძღვე წინა ერსა“, — აკაკი მახვილგონივრულად პასუხობს: „არც მინისა ვარ, არც ცისა“. მერე, როცა ილიას კვალდაკვალ ვაჟამაც დანერა:

*„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდევ...  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.“*

აკაკის კიდევ უფრო მეტი საბაბი მიეცა ოხუნჯობისათვის: გადამრევს ეს ხალხი, ნახევარი საუკუნეა ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არ გამაჩნია და ერთხელაც არ მახსოვს, ღმერთი დამლაპარაკებოდესო.

მიუხედავად ამგვარი შეხუმრება-შეპაექრებისა, ილიასა და აკაკის ერთსულოვნება, გარდა საზოგადო საქმისა, მათი მხატვრული შემოქმედების თემატიკასა და პრობლემატიკაშიც გამოსჭვივის. გამოკვეთილი პატრიოტიზმი, ისტორიული წარსული და მისი ჰეროიზაცია, თანამედროვეობის მსუსხავი სატირა, სოციალური პრობლემატიკა, სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულება თუ სხვა ნებისმიერი საკითხი, სალექსო საზომების ჩათვლით, მეტად აახლოებს ილიასა და აკაკის. „აკაკი წერეთლის პოეტური მსოფლმხედველობა იმავე საკითხებს დასტრიალებს, რასაც შესწირა თავისი შემოქმედება ილია ჭავჭავაძემ“ (ვ. კოტეტიშვილი, დასახელებული ნიგნი, გვ. 375). ალბათ, ესაა მიზეზი, რომ, ილია და აკაკი, არცთუ იშვიათად, ერთნაირ ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ერთი და იმავე მოვლენის მიმართ. ამის ნიმუშად სამშობლო ქვეყნისადმი ილიასა და აკაკის ემოციური მიმართება გამოდგება. კვლავ ვახტანგ კოტეტიშვილს მოვუსმინოთ. ის აკაკის საყოველთაოდ ცნობილი მეტაფორის — სატრფო-სამშობლოს — შესახებ ამბობს: „აკაკი იმდენად ესხეულა თავის ქვეყანას, რომ მას განიცდის, როგორც ტრფიალის კონკრეტულ საგანს“ (ვ. კოტეტიშვილი, იქვე, გვ. 390). იგივე თამამად ითქმის ილიას შესახებაც. დასტურად ერთ მაგალითს მოვუხმოთ.

როცა ილია ლექსს დაიწყებს ფრაზით: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“, — რომ არა მიმართვა: „ჰოი, მამულო“,

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, ამ სიტყვების ადრესატი საოცნებო ქალია და არა სამშობლო ქვეყანა. ასეთი გზნებითა და გატაცებით სწორედ საოცნებო სატრფოს მიმართავენ პოეტები. ასე რომ, კონკრეტული პოეტური ხატის მიმართაც კი მსგავსი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს პოეტებს, ამ შემთხვევაშიც ერთსულოვანი არიან. ამ ერთსულოვნებას ეპოქის საერთო ტენდენციამ, საერთო სულისკვეთებამ შეუწყო ხელი. ეს სულისკვეთება საერთოა არა მხოლოდ ილიასა და აკაკისათვის, არამედ, საზოგადოდ, ქართველი „სამოციანელები-სათვის“. ამგვარი ერთობა სულისკვეთებისა, მხატვრულ სფეროში, ხიფათის შემცველიც იყო, რადგან ერთფეროვნების საშიშროებას ქმნიდა.

საბედნიეროდ, ერთფეროვნებისაგან არა მარტო მწერალთა განსხვავებულმა ემოციურმა ბუნებამ და ტემპერამენტმა გვიხსნა, არამედ ამგვარი ვითარებისაგან თავის დაღწევას ერთი და იმავე თემისა და პრობლემისადმი განსხვავებულმა მიდგომამ, ზოგჯერ კი აშკარა შემოქმედებითა მეტოქეობამ შეუწყო ხელი, რაც არა მარტო ერთფეროვნების თავიდან აცილების, არამედ ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის მხატვრულ-შინაარსობრივი გამრავალფეროვნების სანინდრად იქცა.

ამ დაპირისპირება-მეტოქეობას, უფრო სწორად, ფარულ მხატვრულ პოლემიკას, ყველაზე ხშირად აკაკი წერეთელი მიმართავს. ის ჩასაფრებულ კაცსა ჰგავს, რომელიც მზადაა, ილიასა თუ ვაჟას მიერ შექმნილ მხატვრულ რეალობას ახალი სული შთაბეროს, სხვა ასპექტით, სხვა კუთხით შეხედოს და მკითხველსაც ასე დაანახოს. ეს მისი შემოქმედების მამოძრავებელ ზამბარადაც იქცა, თუმც ამგვარი ქმედების **ინიციატორი**, როგორც ითქვა, **ილია ჭავჭავაძეა**, თავისი ღრმაზროვანი და ღრმამინაარსიანი „განდევლით“. ამ პოემით იგი აკაკის სიყმანვილისდროინდელ ქმნილებას — „მეუდაბნოეს“ — დაუპირისპირდა, მაგრამ მანამდე აკაკის მხრიდან იყო ერთგვარი ლიტერატურული „გამოხტომა“, რომელსაც ერთობ სამწუხარო გაუგებრობა დაედო საფუძვლად და, რომელიც შემოქმედებით მეტოქეობად ვერ ჩაითვლება. ვგულისხმობ ილიას ლექსს „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ (1860 წელი) და ამ ლექსის აკაკისეულ პაროდის (1861 წლის იანვარი). მართალია, ამ ლექსებში მხატვრული კონცეფციის მხრივ, არაფერია ამოსაკითხი თუ ამოსაცნობი და,

როგორც ითქვა, არც შემოქმედებით მეტოქეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის სრულად წარმოსაჩინად მაინც გავიხსენოთ ეს ლიტერატურული ფაქტი.

ილიას ლექსის აკაკისეულ პაროდიას კონკრეტული მიზეზი ჰქონდა. ქართველმა სტუდენტებმა, იმათ, ვისაც ილია ჭავჭავაძე საკუთარ ლექსში ხოტბას ასხამს და ქვეყნის იმედად და მოჭირნახულედ წარმოგიდგენს, აკაკის ცილი დასწამეს – ჯაშუშიაო. მართალია, ილიას ამ ცილისწამებასთან კავშირი არ ჰქონია, მეტიც, ბოლოს ყველაფერი გაირკვა და აკაკის ბოდიშიც მოუხადეს, მაგრამ შეურაცხყოფილმა ყმანვილმა კაცმა კარგა გვარიანად გამოლანძღა თანამემამულე ახალგაზრდები. ილიას ლექსი სწორედ მათ გასაბითურებლად გამოიყენა აკაკიმ.

„ქართველ სტუდენტების სიმღერა“ არის ლექსი-მოწოდება, რომელსაც ლაშქრულის ინტონაცია აქვს. ილია აქებს ქართველ სტუდენტობას, ცდილობს წახალისოს მათი პატრიოტული სულისკვეთება.

მოვუხმოთ რამდენიმე სტროფს, როგორც ილიას ლექსიდან, ისე აკაკის პაროდიიდან. ჯერ ილიას დავუგდოთ ყური:

*დედამ რომ შვილი გაზარდოს,  
ემაგრე ჩვენისთანაო,  
ძმურად გამოსადეგნი ვართ  
ყველგან და ყველასთვისაო.*

*.....  
მამულის შვილნი ჩვენცა ვართ  
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,  
რომ ოდესმე გამოვადგეთ  
დაობლებულს ჩვენს მამულსა.  
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით,  
სხვას არც ჩვენ დაუფარდებით;  
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს  
ეხლაც კი გამოვადგებით...*

(ილია)

საპირისპირო სურათია წარმოჩენილი აკაკის პაროდიაში, რომელიც სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვება ილიას ლექსს და საპირისპირო აზრის მეშვეობით აქილიკებს ქართველ სტუდენტობას:

*დედამ რომ შვილი გაზარდოს  
და მერე თქვენისთანაო?!  
ნაცარქექია რამე ხართ  
ყველგან და ყველასთანაო!..*

*.....  
თქვენა ხართ მამულიშვილი?  
აბა რა დასაჯერია!..*

*თუ არ თქვენთვისვე, მაგ თქვენს გულს  
ერთხელაც არ უძგერია.*

*საბრალო ჩვენი სამშობლო  
ყურს გიგდებსთ გულის ძგერითა  
და თქვენ-კი იმას ატყუებთ  
მომხიბლავ სიტყვა-წერითა...*

(აკაკი)

მართალია, აკაკი ილიას ლექსს სხვათა გასაკენწლავად მიმართავს, მაგრამ, შეუძლებელია, „ქართველ სტუდენტების სიმღერის“ ავტორი ნასიამოვნები დარჩენილიყო თავისი ლექსის პაროდირებით: აკაკი იმის სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც ილია ამბობს.\* ოღონდ კიდევ ერთხელ მკაფიოდ უნდა ითქვას: ეს არაა შემოქმედებითი შეჯიბრება, ფარული მხატვრული პოლემიკა, იმგვარი დაპირისპირება, როგორც ზედაპირზე არ ჩანს და რასაც ამოკითხვა-ამოცნობა სჭირდება. ილიასა და აკაკის შემოქმედებითი ჭიდილი მერე იწყება, მოგვიანებით, 1883 წელს გამოქვეყნებული ილიას „განდეგილით“. ვინ იცის, ამ დაპირისპირება-შეპაექრებაში გარკვეული როლი ეგებ აკაკი წერეთლის მიერ ყმანვილი ილია ჭავჭავაძის ლექსის გაშარჟება-პაროდირებამაც ითამაშა, თუმც, რა თქმა უნდა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა, აკაკის „მეუდაბნოესა“ და ილიას „განდეგილის“ რადიკალურად განსხვავებულ კონცეპტუალურ გააზრებას ჰქონდა. ამიტომ უმჯობესია ამ ორ პოემას საგანგებო ყურადღება დავუთმოთ.

### „მეუდაბნოე“ და „განდეგილი“

„განდეგილით“ ილია მკვეთრად დაუპირისპირდა აკაკი წერეთელს, როგორც „მეუდაბნოეს“ ავტორს. ეს პოემა აკაკის შემოქმედებით გარიჟრაჟზე, 1859 წელს დაიწერა პეტერბურგში და იმავე წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. „მეუდაბნოე“ ისეთი ნაწარმოებია, რომლის შესახებ, „გამზრდელის“ მსგავსად, ვერ იტყოდა მისი ავტორი, ეს მართლაც კარგად დამინერიაო. „მეუდაბნოე“ ყმანვილი კაცის, დამწყები პოეტის თხზულებაა და შეუძლებელია, მას კლასიკოსის არშინით მივუდგეთ. „განდეგილის“ ავ-

\* გარდა აკაკის პაროდიისა, ილიას „ქართველ სტუდენტების სიმღერამ“ მოგვიანებით ისეთი ლექსის შექმნასაც შეუწყო ხელი, როგორიც ვაჟას „მხედართა ძველი სიმღერა“.

ტორი კი უკვე დაღვინებული მწერალია, ამ დროისათვის, ფაქტობრივად, უკვე ჩვენი ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსია და აშკარა უპირატესობას ფლობს. ისე, აკაკი მერე ილიას ამაშიც „გადაუხდის“ სამაგიეროს. როგორც კი ილიას სიჭაბუკისდროინდელი ლექსები გამოქვეყნდება, მიადგება ერთ-ერთი ლექსის თემას და პოეტის ყმანვილურ ნააზრევს გააცამტვერებს, ილიასეულ თემაზე ღმრაშინაარსიან ლექსსა და სენტენციას შექმნის, მაგრამ ამაზე მოგვიანებით...

„მეუდაბნოესა“ და „განდეგილს“ შორის ფრაზათა თანხვედრა აშკარაა. ერთმანეთის მსგავსია ლექსის მეტრული სქემაც: მარცვალთა რაოდენობა, რიტმი თუ ინტონაცია. ილია არ ერიდება ამგვარ მსგავსებას, შეგნებულად მიმართავს მას, თითქოს გამოწვევას უგზავნის აკაკის. ერთში ღრმად და დრამუნებული „განდეგილის“ ავტორი – მიუხედავად თემატური თუ გარეგნული მსგავსებისა, მისი პოემა სიღრმით, აზრობრივი შინაარსით აუცილებლად იქნება აღმატებული აკაკის სიჭაბუკისდროინდელ ქმნილებაზე.

ილიასა და აკაკის პოემებს შორის მსგავსება ცხადი ხდება პირველივე სტრიქონებიდან. „მეუდაბნოე“ ასე იწყება:

*უდაბნოს, უცხოს, მიყრუებულსა,  
სად სხივი მზისა ვერ მისწვდებოდა,  
ბნელსა მღვიმესა მოხუცებულსა  
ბინა დაედვა, იქ იზრდებოდა.*

შედარებისათვის „განდეგილის“ დასაწყისი გავიხსენოთ:

*სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივნი ვერ შეჭხებიან,  
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
მზისგან აროდეს არა ჰდნებოან.*

ლექსიკაც კი ერთმანეთის მსგავსია ორივე ნაწარმოებში: „სად მზისა სხივი ვერ **მისწვდებოდა**“ (აკაკი — „მეუდაბნოე“). „კაცთ ჟრიაბული ვერ **შესწვდენია**“ (ილია — „განდეგილი“).

აკაკი მეუდაბნოეზე ამბობს:

*დიდი ხანია, რაც ეს სოფელი  
მან დაუტევა თვისის სურვილით  
აღუპყრა ზეცას ვედრების ხელი  
და გარდასახლდა იმ ქვეყნად სულით!*

ილიაც ანალოგიურად გადმოგვცემს განდეგილის ყოფას:

*განშორებია ვით ცოდვის სადგურს,  
ვით სამეუფოს ბოროტისასა,  
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს  
განსაცდელსა მას ეშმაკისასა.*

პარალელების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, თუნდაც ამგვარის: ორივე მართოდმყოფი ბერი მიწიერ ყოფას განშორებია და ღვთაებრივი სამყაროსაკენ მიიღტვის:

*და ზეციერსა ნეტარებასა  
ცხადად უჭვრეტდა წინასწარ მარად.  
(აკაკი — „მეუდაბნოე“)*

*ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი  
სულ სხვა მსოფლიოს შეჭიზნებოდა.  
(ილია — „განდეგილი“).*

„განდეგილის“ თავდაპირველი დასათაურებაც კი ემთხვევა აკაკის პოემის სათაურს. როგორც ავტოგრაფული ხელნაწერიდან ჩანს, **პოემისათვის ილია ჭავჭავაძესაც თავდაპირველად „მეუდაბნოე“ უწოდებია.** „განდეგილი“ მოგვიანო სათაურია.

ფვიქრობ, მსგავსებაზე საუბარი საკმარისია. ახლა ორიოდე სიტყვით აკაკის „მეუდაბნოეს“ შინაარსი გავიხსენოთ:

მეუდაბნოესთან, რომელსაც, გავიმეორებ, ძალიან ჰგავს ილიას „განდეგილის“ ბერი, მიდის ჩონჩხადქცეული, მომაკვდავი არსება და სთხოვს, რომ სიკვდილის წინ აზიაროს. ზიარების მთხოვნელი ახალგაზრდა კაცია. ის ორი წელია, რაც, მეუდაბნოეს მსგავსად, განშორებია სოფელს და ითმენს ტანჯვას (ფრაზათა მსგავსება „მეუდაბნოესა“ და „განდეგილს“ შორის აქაც აშკარაა). მიზეზი მისი განდეგილობისა სიყვარულის უარყოფა, ტრფობაში განცდილი მარცხი ყოფილა. ახალგაზრდა კაცი ობოლი და უთვისტომოა. მამამისი თექვსმეტი წლის წინ განშორებია სოფელს. მას შემდეგ არავინ იცის, სად არის, ცოცხალია თუ — მკვდარი. მამის ჯავრს დედაც გადაჰყოლია, შემდეგ და-ძმაც დაღუპვია და ახლა თავადაც სიკვდილის პირად მყოფი ზიარებას ითხოვს. ესაა და ეს, მაგრამ აქ გარკვეული დრამატიზმი შემოაქვს იმ ამბავს, რომ მეუდაბნოე ეუბნება ახალგაზრდა ბერს, მე ვარო მამაშენი, ის კაცი, რომელიც თექვსმეტი წლის წინ განშორდა სოფელს. მერე შვილმა მამის ხელში დალია სული. მამაც შესთხოვს

ღვთისმშობელს, მასაც მოუვლინოს სიკვდილი და ამ სიტყვებით დააკვდება კიდევ შვილის ცივ სხეულს. შემდეგ კინათქვამია, რომ: „ნათლის სვეტნი ღვთისა განგებით გადმოეფინენ ცით კურთხეულსა“, — ასე მთავრდება „მეუდაბნოე“.

პოემის დედააზრი ნათელია. აკაკი მეუდაბნეობის (განდეგილობის) წინააღმდეგ ილაშქრებს: ამქვეყნიურ ყოფაზე უარის თქმა ტრაგედიის მომტანია. ოჯახის უფროსის განდეგილობამ იმსხვერპლა ცოლიცა და შვილებიც; ბერობა ოჯახის ტრაგედიის მიზეზად იქცა. აკაკის პოემის მიხედვით, გაუგებარია, განდეგილობის უარყოფელ და მონანიე ბერზე რატომ გადმოდის ღვთიური მადლი? „მეუდაბნოე“ ამკარად ალოგიკური დასასრული აქვს. პოემის ტრაგიკული შინაარსი, გამონვეული ოჯახის უფროსის ბერად შედგომით, მკითხველის უარყოფით ემოციურ დამოკიდებულებას იწვევს ბერულ-ასკეტური ყოფის მიმართ, მაგრამ იმის გამო, რომ მეუდაბნოე საბოლოოდ ინანიებს საკუთარ საქციელს (სიკვდილს შესთხოვს ღმერთს), აკაკი მაინც შეუწოდებს მას — ნათლის სვეტი გადმოდის ციდან და გარდაცვლილ ბერს ღვთიური მადლი გადმოეფინება, ის მადლი, რომელიც სწორედ ასკეტიზმის გზაზე შედგომის სინანულისა და ყოყმანის გამო წაერთვა ილიას განდეგილს.

აკაკისაგან განსხვავებით, ილიას პოემას სწორედაც რომ ლოგიკური დასასრული აქვს: ღვთაებრივი მადლი, შეუძლებელია, რწმენაშერყეულ, მეორეოფე ბერზე გადმოვიდეს. ილიას განდეგილი ბერის დაცემის მაუწყებელიც სწორედ ისაა, რომ მას მადლი წაერთვა — მზის სხივმა ლოცვანი ველარ დაიჭირა.

ილიას რთულსა და მრავალპლანოვან პოემას ქვემოთ, საგანგებოდ, კიდევ მივუბრუნდები. რაც შეეხება აკაკის „მეუდაბნოეს“, მიუხედავად მასში დასმული პრობლემის მარტივად გადაწყვეტისა, საკუთრივ მეუდაბნოეს სახე საკმაოდ გვამახსოვრდება. ილიას „განდეგილის“ კითხვის დროსაც ეს სახე გამუდმებით თვალწინ გვიდგას, რადგან განდეგილი, გარეგნული მახასიათებლებით, ძალიან ჰგავს აკაკის მეუდაბნოე ბერს, თუმც, მხატვრული დონით, „განდეგილი“ ამკარად აღემატება „მეუდაბნოეს“. ის, რაც აკაკიმ ვერ შეძლო, ილიამ განახორციელა წარმატებით — „განდეგილს“ ღრმა ფსიქოლოგიური და აზრობრივი დატვირთვა შესძინა. ამ შემთხვევაში აკაკია ბიძგის მიმცემი და ილია უმართავს მას, „განდეგი-

ლის“ მეშვეობით, შემოქმედებით შეჯიბრებას, „მეუდაბნოეს“ გამოქვეყნებიდან ლამის მეოთხედი საუკუნის შემდეგ, მაგრამ აკაკი უმაღვე გამოეპასუხება ილიას, „თორნიკე ერისთავით“ და ასკეტიზმთან დაკავშირებით, კვლავ გაუმართავს პოლემიკას „განდეგილის“ ავტორს — ღრმააზროვანსა და კონცეპტუალურს. ასე რომ, ორივე ვალში ერთმანეთის მიმართ. როგორც ილიასთანაა ამკარა აკაკის მიერ დახატული ბერის სახის მსგავსება „განდეგილთან“, ასევე ამკარაა მწყემსი ქალისა და განდეგილის დიალოგის მსგავსება აკაკის „თორნიკე ერისთავის“ ძალზე მნიშვნელოვან და კონცეპტუალურ პასაჟთან: არსენ კათალიკოსისა და ბერი თორნიკეს საუბართან, მაგრამ მანამდე „განდეგილის“ საყოველთაოდ გავრცელებულ ინტერპრეტაციას მოვუხმობთ, რომელიც კიტა აბაშიძეს ეკუთვნის.

სწორედ კიტა აბაშიძე გადმოგვცემს, რომ „განდეგილის“ გამოქვეყნებას უარყოფითად შეხვდა საზოგადოება. პოემა ილიას მარცხად შეაფასეს. ქუთაისის საზოგადოება პირდაპირ აღაშფოთა „განდეგილმა“. „ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი; აბა რა შვილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს, ბერად შევდგეთ, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო, საშინლადაც სწყინდათ, ავტორმა „კაცია-ადამიანისა“ და „კაკო ყაჩაღისამ“ ასეთი რამ დაგვიწერაო“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, 1970, გვ.233).

კიტა აბაშიძე იმასაც დასძენს, რომ ამგვარი აზრის დაბადება საზოგადოებაში უნდა მიენეროს ნიჭიერ კრიტიკოსს ესტატე ბოსლეველს. ესტატე ბოსლეველი წერდა:

„ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურ ცხოვრებას, როგორც ერთ რასმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდეგილისთანა“ პოემებში“ (კ. აბაშიძე, დასახელებული ნიგნი, გვ. 233).

უარყოფითი რეცენზია გამოაქვეყნა „განდეგილის“ შესახებ დავით კეზელმაც. ასეთ ვითარებაში გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის თვალსაზრისი „განდეგილის“ შესახებ. კრიტიკოსმა არსებითად დაიცვა ილიას პოემა: „ყოველი კაცი, რომელიც ცხოვრებას გაურბის და ზურგს აქცევს მას, განდეგილივით დაისჯება და მის დამსჯელად ამ შემთხვევაში თვით ცხოვრება გამოვა“ (კ. აბაშიძე,

დასახელებული წიგნი, გვ.232).

მიუხედავად ილიას პოემის გულმხურვალე დაცვისა, კიტა აბაშიძის დასკვნა, თავისი ანტიასკეტიური სულისკვეთებით, აშკარად პოემის სიუჟეტური ლოგიკის წინააღმდეგაა მიმართული. XIX საუკუნის ჩვენი მწერლობის პირველი მკვლევარი და ფართო ერუდიციის კრიტიკოსი, სამწუხაროდ, აშკარად არ უღრმავდება განდეგილობის რელიგიურ შინაარსს. ის ვერც ღვთაებრივთან განდეგილობის სიღრმისეულ კავშირს, ვერც ღვთიური მადლის ფენომენს სწვდება და აქედან გამომდინარე, პოემის სიუჟეტური ლოგიკის წინააღმდეგ მიდის. ლოგიკურ კითხვას არ ბადებს მასში ის ფაქტი, თუ რას ნიშნავს განდეგილ ბერზე ღვთიური მადლის გადმოსვლა და სასწაულის უნარი, რომელიც ღმერთს მისთვის მიუნიჭებია — ლოცვანის მზის სხივზე დაყრდნობა. ამდენად, კრიტიკოსს პოემის ტრაგიკული ფინალიც ბევრს არაფერს ეუბნება: განდეგილმა ხომ სული მაშინ განუტევა, როცა ეს მადლი დაკარგა, — ლოცვანი სხივმა ველარ დაიჭირა. სწორედ ეს იყო განდეგილის პიროვნული ტრაგედია. აქ ეგებ გერონტი ქიქოძის გახსენებაც უპრიანია, რომელმაც „განდეგილი“ განიხილა მრავლისმთქმელ კონტექსტში — „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ ლიტერატურაში“, თუმცა საშუალო სკოლისათვის საგანგებოდ დაწერილ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში საკუთარი აზრის გაღრმავება ველარ გაბედა და უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, „განდეგილი“ ანტიასკეტიურ თხზულებად გამოაცხადა, ამასთანავე, ვახტანგ კოტეტიშვილის თვალსაზრისიც გაიზიარა, რომელმაც „განდეგილი“ „მგზავრის წერილებს“ დაუკავშირა, რადგან ორივე თხზულებაში, როგორც პოემაში, ისე პროზაულ ქმნილებაში (მყინვარის კრიტიკის მაგალითზე), ცხოვრებისაგან განდგომის უარყოფა დაინახა.

ასკეტიზმის კრიტიკიდან ერთი ნაბიჯია ათეიზმამდე. ამ თვალსაზრისს ამიტომაც ჩაებლაუჭნენ კომუნისტების ხანაში და ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყველა წიგნსა და სახელმძღვანელოში თავში გვიტყენდნენ: „განდეგილი“ ილიამ მკაცრად დაგმო ასკეტიზმი და ცხოვრებისაგან განდგომაო. ეს მას მერეც გაგრძელდა, როცა აკაკი ბაქრაძემ „განდეგილის“ შესახებ უბრწყინვალესი ესე — „გზა ხსნისა“ გამოაქვეყნა და კიტა აბაშიძის თვალსაზრისისგან რადიკალურად განსხვავებული ნაკითხვა შემოგვთავაზა. ზოგიერთ სახელმძღვანელოსა თუ ლიტერ-

ატორთან დღესაც წაიკითხავთ, „განდეგილი“ ასკეტიზმის კრიტიკას ეძღვნებაო. იმას კი არავინ ფიქრობს, ილია ჭავჭავაძე ის კაცი არ იყო, ღია კარი ემტვრია. რა აზრი ჰქონდა XIX საუკუნის 80-იან წლებში ასკეტიზმის კრიტიკას? ამ დროს საქართველოში რწმენისაგან დაშორებულობის პრობლემა უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე ასკეტიზმისა. დიდად არავინ იტყავებდა ლოცვა-ვედრებაში მიუხელებს. ეგზარქოსობის ინსტიტუტმა, ეკლესიების გადაღებამ და, რაც მთავარია, უცხო ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებამ ქართველობა ისე დააშორა ჭეშმარიტ სარწმუნოებრივ იდეალებს, რომ ჩვენში ჭეშმარიტი რწმენის ადგილს ცრურწმენა იკავებს. ასეთი ვითარება კარგად აქვს გამოხატული ლექსად აკაკი წერეთელს:

*სამღვდელოებას და მის ეგზარქოსს  
აებნათ ქრისტეს ნამოძღვრი ვგალი;  
შეჰქონდათ ხალხში უსჯულოება,  
საქრისტიანო უარყვეს ვალი.*

ეს სიტუაცია კარგად ჩანს, აგრეთვე ჩვენი „ხალხოსნების“ თხზულებებში, განსაკუთრებით კი დავით კლდიაშვილის უბრწყინვალეს ბელეტრისტიკაში: „შერისხვა“, „მსხვერპლი“. კაცი რომ ღმერთს შესთხოვს ჩემი მეზობელი დასაჯეო და მერე ხატს ფეხით შესდგება — ჩემი თხოვნა რატომ არ შეისმინეო, რა ქრისტიანულ მრწამსზეა საუბარი?!.. ჰოდა, განა ეს არ არის აღწერილი დავით კლდიაშვილის „შერისხვაში“?!

ისევ ილიას „განდეგილს“ დავუბრუნდეთ. მისი ავტორი ის კაცია, ვისაც მცირედი პერიფრაზით, სრული უფლება ჰქონდა, გაემეორებინა გერმანელი ფილოსოფოსის სიტყვები: „ჩემი მიზანი იყო შემეზღუდა ცოდნა, რათა ადგილი დამეთმო რწმენისათვის“ (ემანუილ კანტი). „განდეგილი“ რწმენის სიმტკიცის აპოლოგიაა. ილიას პოემა პიროვნების აბსოლუტურ სულიერ თავისუფლებას ეძღვნება. ეს ისეთი თავისუფლებაა, როცა პიროვნება ამაღლებულია ინსტინქტებზე, ვნებებზე, ყოველგვარ ხორციელ ნადილზე, როცა პიროვნებას გადალახული აქვს მდაბალი, ამსოფლიური, მინიერი მიზიდულობის ძალა. ვისაც ეს ხელენიფება, ის უკვე სხვა სიმაღლეზეა ასული, ღვთაებრივი ძალმოსილებითაა აღვსილი.

სწორედ მდაბალი ვნებებისაგან თავისუფალ პიროვნებაზე იტყვის რუსთველი: „რაც არა გნადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა“. ამგვარი თვალსაზრისი სრულ

თანხმობაშია თავისუფლების ქრისტიანულ გაგებასთან და აქედან გამომდინარე, ასკეტიზმის არსთან. ასკეტს საკუთარი ინსტიტუტების მართვა უნდა შეეძლოს, რაც სულის წვრთნით, ვარჯიშით მიიღწევა. ბერძნული „ასკეზა“ ხომ წვრთნას, ვარჯიშს ნიშნავს. სწორედ სულიერი წრთობით აღწევს ასკეტი ღვთაებრივ სრულყოფილებას, ანუ აღსრულებას იმ უზენაესი იდეალისა, რასაც მათეს სახარება გვასწავლის: „იყავით სრულყოფილნი ისევე როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი“ (მათე VI, 48).

სულიერი სიმტკიცის მეშვეობით, პიროვნული თავისუფლება უნდა მოიპოვოს, უფრო სწორად, მოპოვებული აქვს და უნდა შეინარჩუნოს, ილიას განდევილმა ბერმა.

იმგვარი ცნობიერების პიროვნებისა და შემოქმედისაგან, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო, რწმენის სიმტკიცესა და გაუზზარაობაზე ფიქრი არც შემთხვევითია და არც მოულოდნელი. პირიქით, რწმენის ასეთ სიმტკიცეს, წესით და რიგით, მხატვრული უკუფენა უნდა ეპოვა მის შემოქმედებაში და ჰპოვა კიდევ „განდევილის“ სახით. „განდევილის“ თემა თუ იდეა (რაც გინდათ ის დაარქვით), ხომ რწმენის სიმტკიცე და გაუზზარაობაა. ამიტომაც უძღვნის ამ პოემას ილია თავისი ცხოვრების უერთგულეს და უმტკიცეს თანამგზავრს – ოლგა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას. ამით თითქოს უერთგულეს მეუღლესაც, ვგონებ, საკუთარ თავსაც და, რაც მთავარია, მთელ ერს შეახსენებს, რომ გოლგოთის გზასავით მძიმეა და ძნელი, მაგრამ აუცილებელი რწმენის სიმტკიცე და გაუზზარაობა.

კითხვა, თუ რისი მიღწევა შეუძლია ამ გზით პიროვნებას და მასთან ერთად მთელ ერს, როგორც პიროვნებების კრებულს და არა ლიანგს, მასას, იმთავითვე იგულისხმება „განდევილში“. პასუხიც მკაფიოა და ნათელი, როგორც კონკრეტულად „განდევილის“, ისე საზოგადოდ ილიას შემოქმედების მიხედვით: თუ გინდა პიროვნებად იქცე, თუ კაცი ადამიანია, იმ პირველქმნილი ადამის მსგავსი, რომელიც სახედ და ხატად ღვთისა შეიქმნა, მაშინ აუცილებელია რწმენის სიმტკიცე, ქვენა გრძნობებზე გამარჯვება, ღმერთთან სულის ცოცხალი კავშირის დამყარება („რელიგიონ“ ხომ კავშირს ნიშნავს). მეტიც, **ასკეტიზმის, საბოლოო მიზანი ადამიანის ნებისა და სიცოცხლის შერწყმა ღვთაებრივ ნებასა და სიცოცხლესთან.** ეს მიზანი ჰქონდა დასახული ილიას განდევილ ბერსაც. ასე რომ, „ასკეზა“ არ არის ოდენ

გამოქვაბულში ცხოვრება და მარხვა.

გიორგი მერჩულე გვამცნობს: ბერ-მონაზონნი ქრისტიანობისათვის ნაწამებ და სიკვდილით დასჯილ მონამებესაც (მარტივლთაც) კი აღემატებიანო: „რამეთუ მარტივლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა ინამნეს, ხოლო ესე (მონაზონნი – ა.გ.) ყოველსა ჟამსა ინამებოდეს სახელისათვის ქრისტიისისა“. მატერიალურ კეთილდღეობაზე (ქონება-მონაგებზე) უარის თქმაც მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია: „მონაგებთა დატევებაი სისხლითა დათხევასა ემსგავსების“ (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ადამიანი თავისუფალი ნებით იმიტომ ირჩევდა განდევილობას, რათა, როგორც აკაკი ბაქრაძე ამბობს: „ტანჯვის გზის (სიმბოლურად ქრისტეს გზის) გამეორებით დაეგმო ხორცი (=ბოროტება) და სულით (=სიკეთით) ამაღლებული მიმსგავსებოდა უზენაესს“ (ა. ბაქრაძე, თხზულებათა რეატიომეული, თბ., 2004, ტ. I, გვ. 106).

ითქვა, ძნელია გოლგოთაზე სვლა, მაგრამ ამაღლებული და ღვთაებრივია იგი. ეს გზა თითქმის გავლილი ჰქონდა ილიას განდევილ ბერს და დამსახურებული ჰქონდა სამაგიერო ჯილდო – ღვთაებრივი მადლი, რომელიც მზის სხივის სახით ეცხადებოდა, რათა ზედ ლოცვანი დაეყრდნო. ამაზე დიდი სასწაული რაღა უნდა იყოს? ამაზე მეტად პიროვნებაზე ღვთაებრივი მადლის გადმოსვლა როგორ უნდა გამოიხატოს? ესაა ოლონდ, თუ რწმენის სიმტკიცე ღვთაებრივი მადლით ჯილდოვდება, ამ გზაზე ყოყმანი და მერყეობა არა მხოლოდ ღვთაებრივი მადლის დაკარგვით, არამედ პიროვნების (ერის) განადგურებით, ტრაგედიით მთავრდება. ეს მკაფიოდაა ნათქვამი „განდევილის“ ფინალში. ასე რომ, „განდევილი“ მონოდებაა სულიერი თავისუფლებისაკენ, რწმენის სიმტკიცისა და გაუზზარაობისაკენ. ეს არის მონოდება, როგორც პიროვნების ისე, მთელი ერის მიმართ, რადგან ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მიზანი ერის სულიერი გაჯანსაღება და სრულყოფაა. აკი თქვა კიდევაც, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ოცდახუთი წლის ასაკში: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია („საქართველოს მოამბეზედ“).

ილია ჭავჭავაძეს ქრისტიანული ზნეობა პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად მიაჩნდა. ამიტომ მოუწოდებდა ქართველობას:

ილიას მრწამსისა და საკუთრივ „განდეგილის“ შესახებ ზუსტად შენიშნავს აკაკი ბაქრაძე: „ქვეყნის ხსნა ვერ განხორციელდება, თვინიერ პიროვნების ხსნისა... ჯერ პიროვნება, მერე ერი.

როცა პიროვნების სრულყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება ერის ხსნა. ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისათვის, მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება“ (ა. ბაქრაძე, ტ. I, გვ. 120).

ყველა, ვინც ილიას შემოქმედებით მიდგომას იცნობს, დამეთანხმება, მას ყოველთვის ზოგადეროვნული პრობლემა აინტერესებდა. ამას საგანგებოდაც აღნიშნავდა. „კაცია-ადამიანი“ შესავალი გავიხსენოთ: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“. „განდეგილშიც“ პრობლემა პიროვნების მაგალითზე გამოიხატა, მაგრამ მას, როგორც ითქვა, მაინც ზოგადეროვნული შინაარსი აქვს. აქ მარჯორი უორდროპის გახსენებაც უპრიანია. მან ზუსტად ამოიცნო, ილიას პოემის შინაარსი — „განდეგილი“ საქართველოს ცხოვრების სიმბოლური ასახვააო.

ასე რომ, ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართველი ერის სულიერი ლიდერის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მიზანი ერის ნებისა და სიცოცხლის შერწყმაა ღვთაებრივ ნებასა და სიცოცხლესთან. ამას შთაგვაგონებს „განდეგილიც“ და ილიას მთელი შემოქმედებაც. ესაა ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის, მრწამსი, მისი მსოფლხედვა.

როგორც ვნახეთ, „განდეგილში“, აკაკის პოემის საპირისპირო, ღრმად რელიგიური და ღრმად ეროვნული, ამაღლებული შინაარსია დაქარაგმებული. ასეთი იდეალების ერთგულება არ უნდა გაგვიკვირდეს იმ კაცისაგან, რომლის სამოქმედო პრინციპიც იყო მსახურება მამულის, ენისა და სარწმუნოებისა.

„განდეგილით“ ილიამ საჯაროდ გამოიწვია „მეუღაბნოს“ ავტორი, ილიამ საჯაროდ ესროლა ხელთათმანი. აკაკიმაც მიიღო გამოწვევა. იგი მზადაა დუელისათვის. დუელის ასპარეზი, რალა თქმა უნდა, ლიტერატურული თხზულებაა, იარაღი — კალამი. ბრძოლის ველად ისტორიული პოემის „თორნიკე ერისთავის“ ერთ ვრცელ მონაკვეთს შეარჩევს აკაკი წერეთელი.

„თორნიკე ერისთავი“ აკაკიმ 1884 წელს გამოაქვეყნა. ილიას „განდეგილი“ ერთი წლით ადრე დაიბეჭდა.

რა თქმა უნდა, „თორნიკე ერისთავის“ შექმნის მიზანი ილიასთან პოლემიკა არ ყოფილა. ისტორიული პოემის შემქმნელს, პირველ რიგში, ქართველთა ჰეროიკული წარსულის ასახვა აინტერესებდა, ერის მხნეობის გალვივებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ამისა, „თორნიკე ერისთავში“ აშკარაა ილიასთან ფარული პოლემიკის კვალი.

არსენ კათალიკოსისა და ბერი თორნიკეს საუბარში მკაფიოდ გამოსჭვივის განდეგილისა და მწყემსი ქალის დიალოგის მსგავსება, თუმცა სწორედ ამ მონაკვეთშია გამოხატული კონცეპტუალური განსხვავება ილიას პოემასთან. „თორნიკე ერისთავის“ ეს ეპიზოდი აშკარა „ანტიგანდეგილია“.

არსენ კათალიკოსისა და თორნიკე ერისთავის დიალოგი გვარწმუნებს, რომ აკაკიმ სწორად ამოიცნო „განდეგილის“ შინაარსი. მან კარგად იცის, რომ ილიას ღრმავაროვან პოემაში არ არის ასკეტიზმის გამოხატვა და კრიტიკა, თუმცა თვითონ განდეგილობის არსს დიდად არ უღრმავდება. მას სხვა ამოცანა აქვს. მისი მიზანია შექმნას ბერის სახე, რომელშიც შერწყმული იქნება სარწმუნოებრივი სიმტკიცე და აქტიური საერო ქმედება. სწორედ ილიას პერსონაჟმა გაახსენა მას ასეთი პიროვნება. იგი თორნიკე ერისთავია — X საუკუნის გამოჩენილი საერო და სასულიერო მოღვაწე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც ბიზანტიის (ქრისტიანობის ფორპოსტის), ისე საკუთარი სამშობლოს ისტორიაში. თორნიკე ერისთავის, როგორც ბერისა და მოღვაწის წარმოჩენა პოემის ერთი უმთავრესი სათქმელია. ახლა კი ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ ის, რასაც აკაკი წერეთელი გვიყვება:

ათონის მთიდან დაბრუნებული ბერი, თორნიკე, ბიზანტიელებს მოციქულობს მეფესთან, რათა ქართველები ჯარით დაეხმარონ მცირეწლოვან უფლისწულებს.. ბაგრატ კურაპალატიც მზადაა დასახმარებლად. მეფე ჯარის შეგროვების ბრძანებას გასცემს. დგება საკითხი: ვინ უნდა უხელმძღვანელოს ქართველთა ლაშქარს? „თორნიკე თუ არ გვესარდლა, ხმაღს არ მოვკიდებთ ხელსაო“, — აცხადებენ სარ-

დლები. ბერადშემდგარი თორნიკე უარზება:

*ან ველარ გავცვლი ფარ-ხმალზე  
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!  
ალთქმას ნუ გამატეხინებთ,  
ნუ მაქნევენებთ ავსაო!  
ეკლესიისგან შეკრული,  
თვით ვერ ავიხსნი თავსაო;  
და მღვდელმთავარი თუ ამხსნის,  
იქნება მისი ნებაო,  
მაშინ ეგ თქვენი სურვილი,  
ჩემს გულშიც ალიგ ზნებაო!*

ამის შემდეგ მიმართეს არსენ კათალიკოსს, რათა დაითანხმოს თორნიკე, უსარდლოს ჯარს. კათალიკოსის შეკითხვაზე: „ასრულე ბქვეყნის წადილს, თუ არა?“ თორნიკეს პასუხი ასეთია: „რაკი ერთხელვე ესე სოფელი დავივიწყე და უარი ვყავი, ვერ გავტეხ ალთქმას!“

არსენ კათალიკოსი შეახსენებს თორნიკეს, რომ ქრისტე უდაბნოში ორმოცდღიანი სულიერი განწმენდის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა საერო საქმეებს; რომ მაცხოვარს არასოდეს უარუყვია ამქვეყნიური სინამდვილე:

*და როდის დარჩა მეუდაბნოედ?  
განა ამ სოფელს ის უარჰყოფდა?*

კათალიკოსის ეს სიტყვები, ძალიან ჰგავს „განდეგილის“ მწყემსი ქალის თვალსაზრისს:

*განა სწყინს ღმერთს, რომ  
კაცი შეჰხარის,  
ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა.*

ოღონდ თუ ილია იმ პიროვნების ტრაგედიას გადმოგვცემს, რომელმაც სულიერი სიმტკიცე ვერ შეინარჩუნა, „თორნიკე ერისთავის“ ავტორისათვის პიროვნების სულიერი სიმტკიცე მხოლოდ საქვეყნო საქმეში გამოიხატება, ამიტომ ათქმევინა კათალიკოსს:

*საქმეა მხოლოდ საქმე საჭირო...  
და ქვეყნიერის კეთილ ზრახვებით  
სული სინოფელით გაახლებული.*

აქტიური ქმედებისაკენ, როგორც კათალიკოსი ბრძანებს, თვით მაცხოვარმა მოგვიწოდდა. სწორედ მან დაგმო მარტოოდენ ლოცვა-ვედრება, ფარისეველთა ცრუსაქმიანობად მიიჩნია ის (ესეც ირიბად ნასროლი კენ-

ჭია, სინამდვილეში „განდეგილისაკენ“ მიმართული):

*თვითონ არ დაჰგმო ფარისევლების  
გზაჯვარედინზე ლოცვა საქვეყნო...  
ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის,  
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?“*

ეს უკანასკნელი ფრაზა, ახალი ალთქმის ერთ-ერთ ძირითად დებულებას ემყარება: **„სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკუდარ არის“** (იაკობის ეპისტოლე, 2,20).

ასეთი არგუმენტის წინაშე უძლურია ბერი და იძულებულია დაეთანხმოს კათალიკოსს. აკაკიმ ისეთი კარგი არგუმენტი მონახა, რომელიც არ მოფიქრებია ილიას პოემის მწყემს ქალს. „თორნიკე ერისთავის“ ავტორი სწორედ ამ არგუმენტით ეკამათება ილიას პოემის კონცეფციას; ამ არგუმენტით დაუპირისპირა საკუთარი პოემის გმირი ილიას პოემის პერსონაჟს; ამ არგუმენტზე დაყრდნობით შექმნა სახე ბერისა, რომელიც თავისი აქტიური ქმედებით — გამორჩეული სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი ღვაწლით — ილიას განდეგილის სრული ანტიპოდაა. ასე მიაჩნია აკაკი წერეთელს; ასეთია მისი ფარული მხატვრული პოლემიკის არსი; ასე „გადაუხადა სამაგიერო“ „მეუდაბნოს“ გამო „განდეგილის“ ავტორს.

მკვეთრად განსხვავებულია ილიასა და აკაკის პოემათა ემოციური ფონი, განწყობა და ინტონაცია. ერთგან მკვეთრად მინორულია იგი, მეორეგან — აშკარად მაჟორული. ეს განსაკუთრებით დასასრულ სტროფებში იგრძნობა. მხატვრულ-აზრობრივი კონცეფციიდან გამომდინარე „განდეგილს“ სკეფსისით სავსე, ტრაგიკული დასასრული აქვს. რეკვიემივით ჟღერს ბოლო, ფინალური პასაჟი:

*იქ სადაც წმინდანთ უდიდებით  
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,  
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ  
მსხვერპლი ქებისა და ღალადების, —  
ან შორის ნანგრევთ და ნატამალთა  
მარტო ქარილა დაღის და ქშუის,  
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით  
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...*

„განდეგილისაგან“ განსხვავებით, ოპტიმისტურია „თორნიკე ერისთავის“ ფინალი. იგი საქართველოს გადარჩენისა და უკეთესი მომავლის რწმენით ალავსებს მკითხველს. საქართველოსათვის დამაშვრალი სამი მანდილოსანი, სამი ეროვნული წმინდანი:

ნინო, თამარი და ქეთევანი შესთხოვენ ღვთისმშობელს, რომ აღადგინოს ქართველი ერი — „დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი“. პასუხად ცაზე ცისარტყელა გამოისახება, რომელიც ზეციური ნათლის, ღვთაებრივი მადლის მანიშნებელია:

*რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,  
ზეცას შეჰხედეს სამივემ ნელა  
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე  
გამოესახათ მათ ცისარტყელა.*

და საერთოდ, პოემის ბოლო, მეოთხე კარი, მაუწყებელია იმისა, რომ ღვთაებრივი ძალის შენეებით დაფასდა ქართველთა დამსახურება საქრისტიანოს წინაშე. ამაზე მიანიშნებს აკაკის პოემაში აღწერილი რამდენიმე სასწაული (როგორც ნიშანი ღვთაებრივი მადლისა): სასწაულმოქმედი ხატის — „კარის ღვთისმშობლის“ ივირონში დასვენება; ვარსკვლავებით მოჭედილი გვირგვინი ივერიელთა მონასტრის თავზე და საქართველოს ცაზე უკეთესი მომავლის მაუწყებელი ცისარტყელის გამოსახვა.

ეს უკანასკნელი მოვლენა პასუხია არა მარტო წმინდანთა ლოცვა-ვედრებაზე, არამედ საქრისტიანოს წინაშე ქართველთა დამსახურებაზეც, ქართველთა ისტორიულ გამარჯვებაზე თორნიკე ერისთავის სარდლობით. ასე რომ, ეს გამარჯვება მერმისსაც დაედება საფუძვლად. ღვთისმშობელი შემწეობას არ მოაკლებს თავის წილხვდომილ ქვეყანას. ყოველივე ეს, ქართველთა ლაშქართან ერთად, თორნიკე ერისთავის პიროვნული ძალისხმევის შედეგია, რამეთუ მან საქმით დაამტკიცა სარწმუნოებისათვის თავდადება. ამგვარი დასკვნა, რომელიც უდავოდ გამომდინარეობს პოემის შინაარსიდან, აკაკი წერეთელს იმის უფლებას მისცემდა, თავისთვის მაინც ეფიქრა: (აქ მცირე ლირიკულ გადახვევას გავბედავ) „ისტორიის ანალებიდან მე გამოვიხმე და გავაცოცხლე ბერის სახე, რომელიც საკუთარ ქვეყანასაც გამოადგა და სრულიად საქრისტიანოსაც. ილიას განდეგილის მრწამსი კი ეწინააღმდეგება ახალი აღთქმის უზენაეს პრინციპს: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს“.

თვითონ აკაკიც საქმით (ნაწარმოებით, პერსონაჟით), პოზიციით დაუპირისპირდა ილიას პოემასა და ლიტერატურულ გმირს. ესაა შემოქმედებითი ვაჟკაცობა, თორემ სხვა, საშუალო ნიჭის პოეტი, მოჰყვებოდა წუნუნს: ნახეთ, ილიას ბერის სახე როგორა

ჰგავს ჩემს მეუდაბნოე ბერსაო. პრობლემა თუ ისე მაღალმხატვრულად და ღრმაშინაარსიანად ვერ გავაშუქე, რა მოხდა, 18-19 წლის ბიჭი ვიყავი, დამწყებ პოეტს მეჯობრება ეს დროული კაციაო.

ოლონდ, ისიც უნდა ვთქვათ, როგორც „თორნიკე ერისთავის“, ისე „განდეგილის“ ავტორს აქვს თავისი მხატვრული სიმართლე. სხვაგვარად ვერც „განდეგილი“ და ვერც „თორნიკე ერისთავი“ ვერ იქცეოდა ჩვენი ლიტერატურის კლასიკად. ეს, რა თქმა უნდა, აკაკი წერეთელმაც შესანიშნავად იცოდა. ეგებ ამიტომაც ლამის სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა შემოქმედებით მეტოქეობას ილია ჭავჭავაძესთან..

### ილიას „სანთელი“ და აკაკის „რაც არ იწვის, არ ანათებს“ \*

ილია ჭავჭავაძემ 1857 წელს, პეტერბურგში, სტუდენტობისას, დაწერა ლექსი „სანთელი“, რომელიც საკმაოდ მოგვიანებით, 1892 წელს, გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა I ტომში. თუკი რაიმეთია გამორჩეული ეს ლექსი, ალბათ, უპირატესად, სკეპტიციზმით. თუმცა „სანთელი“ გამონაკლისი არაა. თუ აკაკი ბაქრაძეს დავუჯერებთ: ილიას „ჭაბუკობის პერიოდის ლექსები სავსეა უიმედო, სასონარკვეთილი, სევდიანი განწყობილებით. მერე ეს იცვლება სატირული, მამხილებელი, მოურიდელები დამოკიდებულებით და ბოლოს მთავრდება დინჯი, დაჯერებული, მტკიცე რწმენით... ასაკმა და დრომ [ილიას] მხნეობა და იმედი უფრო განუმტკიცა, ვიდრე შიში და უიმედობა“ (ა. ბაქრაძე, ტ. I, გვ. 63).

მრწამსისა და განწყობილების ამგვარი ცვლილება, დამეთანხმებით, ილიას სულიერ სიმტკიცესა და ახოვანებაზე მეტყველებს. რაც შეეხება სიჭაბუკის პერიოდის ლირიკას, აქ ისევ აკაკი ბაქრაძე უნდა დავიმომნო: „ახალგაზრდობის ასაკში შექმნილი ლექსები უფრო საერთო განწყობილების გავლენაკარნახით არის დაწერილი, ვიდრე უშუალო, საკუთარი ანალიზისა და დაკვირვების შედეგად... ადამიანებს, საერთოდ, სჩვევიათ სოფლის სამდურავი... ამ ტრაფარეტულ სულიერ მდგომარეობას ადამიანი ყმა-

\* ილიასა და აკაკის ამ ორი ლექსის შეპირისპირების იდეის მონოდებისათვის მადლობას მოვასხენებ ჩემს დოქტორანტს, ქალბატონ თამარ გელიტაშვილს.

წვილკაცობაში ადვილად ემორჩილება. ბუნებრივია, ეს მორჩილება არც ილიას ასცდენია...“ (ა. ბაქრაძე, ტ.1, გვ. 63).

„სანთელიც“ სწორედ იმ თარგზეა გამოჭრილი, რომელზედაც უამრავი სხვა შემთხვევა, როცა ყმანვილი პოეტი ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი კაცის მანტიას მოისხამს და ამქვეყნიური ყოფის ამაოებაზე იწყებს მოთქმას. ილიას ლექსშიც სწორედ ამაოებაზე ჩივილი ისმის.

„სანთელის“ სრულად გადმოწერისაგან თავს შევიკავებ და რაოდენ მკრეხელობადაც უნდა ჩამეთვალოს ლექსის მხატვრული მთლიანობის დარღვევა, მის შინაარსს კუპირებით გადმოვცემ.

„სანთელი“ იწყება ფრაზით: „ვზივარ და შევჭკრეტ ჩემ წინ სანთელსა, // რომელიც წელან უხვად ნათელსა // ჩემს ოთახს ჰყენდა და აშუქებდა... ან მიწურვილა გასაქრობლადა, შანდლისა თავზედ ძლივ-ძლივლა ბჟუტავს... ებრძვის სიკვდილსა ჩემი სანთელი, მაგრამ მას, წყეულს, რა დაამარცხებს?... აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა... რა დამრჩა მისგან? – მწვარი პატრუქი“. ამ უკანასკნელ ფრაზას კი ის ფინალური სტროფი მოსდევს, რისთვისაც ეს ლექსი დაინერა:

*ეგრედაც კაცი ძლიერი ქრება,  
რა ეწვევა მას სიკვდილი – მტერი;  
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება  
ერთი მუჭალა გამხმარი მტვერი.*

ასე რომ, აშკარაა ჭაბუკი პოეტის ლექსში გამოვლენილი სკეფსისი და მელანქოლია. ამ ლექსის მიხედვით, ჯერ ნაადრევია მსჯელობა ილიას მხატვრულ ოსტატობასა და მსოფლმხედველობაზე.

გაივლის „სანთელის“ შექმნიდან ოთხ ათეულ წელზე მეტი და ლექსის პუბლიკაციიდან ექვსი წლის შემდეგ, 1898 წელს, ილიას სიჭაბუკისდროინდელი ლექსის შინაარსს სრულად სხვა, საპირისპირო აზრს მისცემს დაღვინებული და სახელმოხვეჭილი პოეტი — აკაკი წერეთელი. აკაკის უსათაურო ლექსის პირველივე ფრაზა კონცეპტუალურად უპირისპირდება ილიას ლექსის აზრობრივ შინაარსს. „რაც არ იწვის არ ანათებს, უჩინარად ღვება ნელა“, — აცხადებს აკაკი.

აკაკის ლექსი ღრმა ქვეტექსტის შემცველია. როცა პოეტი იტყვის: „მოდი, დამწვი, სიყვარულო, მიაშუქე, სადაც ბნელა!“, აშკარაა, რომ ის ქრისტიანობის უმთავრეს მცნებას — საღვთო სიყვარულს გულისხმობს. ამიტომაც აცხადებს თამამად:

*მრწამს სინმინდე სიყვარულის  
ისევ ისე, როგორც ძველად,  
და გულს ვუგებ საკურთხევლად,  
ზედ სიცოცხლის დასანველად!  
თუმც ეს მსხვერპლი საიდუმლო  
საიდუმლოდ იწვის, ჰქრება,  
მაგრამ ზოგჯერ ჩუმ ტანჯვაშიც  
არის დიდი ნეტარება...*

აკაკი ამ ლექსშიც განსაკუთრებულ მისიას აკისრებს პოეტს:

*პოეტის გულს, გახურვებულს,  
სადაც ელავს, ღელავს გრძობა,  
რას მოუძლის თმა ჭალარა?  
რას დააკლებს ხნოვანება?*

ადამიანი, საზოგადოების საკეთილდღეოდ, სანთელივით უნდა დაინვას და დაიფერფლოს... ასეთია აკაკის ლექსის დედააზრი. ამ შემთხვევაში შეუძლებელია იმის თქმა, რომ „მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭალა გამხმარი მტვერი“ (ილიას — „სანთელი“).

აშკარაა, რომ ყმანვილი ილიას ლექსი მოკლებულია აკაკისეული ლექსის სიღრმესა და ქვეტექსტს. აკაკი პოეტური პაექრობის მოსურნეა და არც იმას გაუწევს ანგარიშს, რომ „სანთელი“ დამწყები პოეტის ცდაა და არც იმას, რომ სწორედ ამ ლექსთან დაპირისპირების შედეგად შეიქმნა მისი გამორჩეული ლირიკული ქმნილება, რომლის პირველი სტრიქონი აფორიზმადაც კი იქცა: „რაც არ იწვის, არ ანათებს“.

## „გლახის ნაამბობი“ და „გამზრდელი“

ილია ჭავჭავაძისთვის წერა-კითხვა სოფლის მთავარდიაკონს უსწავლებია. მაშინ რვა წლის ყოფილა მომავალი მწერალი. ილიასთან ერთად სოფლის მთავართან გლეხის შვილებიც დადიოდნენ — ხუთნი თუ ექვსნი ყოფილან — დილიდან შუადღემდე მეცადინეობდნენ. მერე, როგორც ილია იხსენებს, თამაში იწყებოდა. თვითონ მთავარდიაკონი ხელმძღვანელობდა ამ თამაშს. მასწავლებელი დიდ დროს თხრობას უთმობდა. ამ საქმის ნამდვილი ოსტატი ყოფილა, დიდებული მთხრობელი. სჯობს, ისევ ილიას დავუგდოთ ყური: „უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით და უფრო საღმრთო

და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაენია. ვის რა ღვანლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცავად.“

უბრალო ყვარლელმა დიაკვანმა, რომლის, სამწუხაროდ, არც სახელი ვიცით და არც გვარი, თავის გენიალურ მოწაფეს ისეთი შთამბეჭდავი მხატვრული სახე შთააგონა, როგორც „გლახის ნაამბობის“ მღვდელია. ღმერთო, „თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ, ის იმაში პირველიაო“, — ამბობს გაბრიელი თავის მოძღვარზე.

გაბრიელის მოძღვარს „გლახის ნაამბობში“ საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. ილია, გაბრიელის პირით, ვრცლად და დანვრილებით გვიამბობს ქრისტიანი მოძღვრის ღვთისმოსაობის ამბავს. ყველაფრის მოხმობა შეუძლებელია, მოთხრობის რამდენიმე კარის გადმოწერა მოგვინევს. „გლახის ნაამბობის“ მღვდელი უზენაესი ქრისტიანული მორალის თანახმად ცხოვრობს, დაუფიქრებლად შეუძლია მოყვასისათვის თავის განირვა. უმაღლეს ზნეობრივ პრინციპებს საქმითაც ამტკიცებს. გავიხსენოთ: საბრალო მუშაკაცი იხრჩობოდა მტკვარში. ვერავინ ბედავდა მისთვის თავის განირვას, გაბროს მოძღვარი კი დაუფიქრებლად გადაეშვა მდინარეში სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. მაშინლა მიჰბაძა მას სეირის მაყურებელმა რამდენიმე კაცმა.

მღვდელმა უცნობი კაცის სიცოცხლე გადაარჩინა, თავად კი მძიმედ გახდა ავად. გაბრიელის შეკითხვაზე: დედისერთა კაცი თავს როგორ წირავდი, რომ დალუპულიყავი, სანყალ დედაშენს რალა ეშველებოდაო? მოძღვარი მიუგებს: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა“.

ასეთი მაღალი ზნეობრივი პრინციპებით წვრთნიდა გაბრიელსა და მასთან ძმასავით თანშეზრდილ, მისი ბატონის ვაჟს, დათიკოს, ქრისტიანი მოძღვარი, ოთხი თუ ხუთი წლის მანძილზე. ბევრს ეცადა მოძღვარი, მამის სიკვდილის მერე დათიკოს სწავლისთვის თავი არ დაენებებინა, მაგრამ მას მაინც სოფლისკენ გაუწია გულმა. მერე კი საშინელი ტრაგედია დატრიალდა: გაბროსა და თამროს სიყვარულს შორის დათიკო ჩადგა. ბატონიშვილმა ავხორც ვნებას ანაცვალა ძმასავით თანშეზრდილი ბიჭი, უტიფრად განუცხადა ძმობილს: ჯერ ჩემი იყოს ქალი, მერე კი შენთვის დამითმიაო. არაფერმა გაჭრა. აისრულა დათიკომ უკუღმართი

ნადილი, დალუპა ქალიცა და თანშეზრდილი ძმობილიც. თამროს მამა პეპია და გაბროც ცრუ ბრალდებით დაიჭირეს, რათა დათიკოს ავხორცი მიზნისთვის ხელი არ შეეშალათ, მაგრამ, როგორც მკითხველს ახსოვს, ამით არ მთავრდება ილიას მოთხრობაში აღწერილი დრამა. ის უსასტიკეს სისხლიან ტრაგედია იქცევა.

...პეპიასა და გაბროს კატორღისკენ მიერეკებიან. დათიკოს სინდისის ქენჯნა შეაწუხებს, უდანაშაულო პეპიასა და გაბროს გაათავისუფლებს. მერე აღმოჩნდება, რომ დათიკომ, საკუთარი ხელით, საკუთარი სიკვდილი გაათავისუფლა. გაბრიელი სასტიკად იძიებს შურს — დათიკოს მოკლავს. ამაო გამოდგა გაბროსა და დათიკოს აღმზრდელის, ქრისტიანი მოძღვრის ქადაგება-შეგონებანი. დათიკოს საქციელს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ ზნეობასთან. ვერც გაბრომ შეძლო ეცხოვრა მორალური პრინციპით: „გიყვარდეს მტერი შენი“. შენდობა-მიტევების ქრისტიანულ პრინციპს შურისძიების ინსტინქტმა სძლია.

ამაოდ დამაშვრალა მოძღვარი. ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპების ქადაგება დათიკოსა და გაბროსწარებისათვის მგლის თავზე სახარების კითხვას ნააგავს. არ ყოფილა საშველი და გამოსავალი ადამიანის გულმხეცობის შესაჩერებლად. რა ქნას, რა იღონოს ზნეკეთილმა, ღვთისმოსავმა მოძღვარმა, როგორია მისი პირადი პასუხისმგებლობა? ამ კითხვაზე ილიას მოთხრობაში პასუხი არ ჩანს და ის არც შეადგენდა „გლახის ნაამბობის“ ძირითად სათქმელს; არც სიუჟეტური პერიპეტით ყოფილა გათვალისწინებული და თუ ვინმე მაინც დასვამს ამ კითხვას, ვინმე დააყენებს „გლახის ნაამბობის“ ქრისტიანი მოძღვრის პასუხისმგებლობის საკითხს — ეს აკაკი წერეთელი იქნება. ეს კითხვა „გამზრდელის“ ავტორის მაძიებელ გონებაში დაიბადება. მან თითქოს ლიტერატურულ დუელში გამოიწვია „გლახის ნაამბობის“ ავტორი. აკაკი საომარ ველზე გასულ უკომპრომისო მეზრძოლსა ჰგავს და სრულიადაც არ აწუხებს მომხდურის კომპლექსი; დიდად არ დაგიდევთ, ბიძგი მის შემოქმედებით ფანტაზიას თანამოკალმის თხზულებამ რომ ნაჰკრა („გლახის ნაამბობი“ სრული სახით 1873 წელს გამოქვეყნდა, „გამზრდელი“ 1898 წელს შეიქმნა)\*.

აკაკიმ უკვე სხვა სიბრტყეში გადაიტანა

\* „გლახის ნაამბობი“ - 1859. 1862-1873; ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863, 1; ყ-ლი „კრებული“ 1873, 1, 2, 3, (მთლიანი ტექსტი).

„გლახის ნაამბობის“ პრობლემა. „გამზრდე-ლის“ ავტორისთვის მთავარი ცოდვის გამო-სყიდვაა. შურისძიებით მხოლოდ ვამრავ-ლებთ ცოდვას. უფრო განვეშორებით უფალს. ამ გზით შეუძლებელია სასუფეველის დამკვიდრება. მეტიც, ილიას გაბრიელმა ზიარებაც ველარ მოასწრო, უზიარებლად კვდება. ეს „გლახის ნაამბობის“ ავტორის მიერ გამოტანილი მსჯავრია, რადგან გაბროს თავად არა აქვს შენდობისა და მიტევების უნარი. არამც თუ მოძალადე და-თიკოს არ შეუდნობს, არამედ მსხვერპლადქ-ცეული თამროს ბედიც არ ინტერესდება, მის მიმართაც კი ბრაზითა და ბოღმით იმ-სჭვალება. შემთხვევითი შეხვედრისას, გაუბედურებულ ქალს, რომელიც თანა-გრძნობასა და სიბრაღულს იმსახურებს, ლანძღვითა და უხეში ხელის კვრით იშორებს, სიტყვითაც კი არ თანაუგრძნობს.

„გამზრდელის“ მკითხველმა კარგად იცის, თუ როგორ სათუთ დამოკიდებულე-ბასა და თანაგრძნობას ამყლავნებს ბათუ შეურაცხყოფილი ნაზიბროლას მიმართ. ბათუ, ზნეობრივი თვალსაზრისით, გაბრი-ელთან შედარებით, გაცილებით მაღლა დედას. ამგვარი შეპირისპირების სათავეც ილიას მოთხრობაშია, ბიძგის მიმცემი აშკარ-ად ილიაა. გაბრიელის ტრაგედია ხომ სწორედ იმაშია, რომ მას შენდობისა და მიტევების უნარი არ გააჩნია. ის, რაც ვერ შეძლო ილიას პერსონაჟმა, აკაკიმ „გამ-ზრდელის“ გმირებს შეაძლებინა. „გამზრდე-ლის“ კონცეპტუალური არსი შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვაა. ეს ვერ შეძლეს „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟებმა, რაც სრულიად აშკარაა.

მით უფრო ცხადია ეს ისეთი „ჩასაფრებუ-ლი“ მკითხველისათვის, როგორც აკაკი წერეთელია, რომელსაც განსხვავებული ში-ნაარსისა და აზრობრივი კონცეფციის ნაწარმოების შესაქმნელად არც შუასაუკუ-ნების იტალიური ნოველები სჭირდება, შე-ქსპირის დარად და არც ევროპულ ლიტერ-ატურაში კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული დოქტორ ფაუსტუსის თავ-გადასავალი, ვაიმარელი ბრძენის მსგავსად. აკაკი იქვე, მის გვერდით მოღვაწე თან-ამოკალმისაგან იღებს შემოქმედებით იმ-პულსს. ახალ, განსხვავებულ პრობლემას პოულობს კოლეგის თხზულებაში, ასევე გან-სხვავებულ აზრობრივ გადანყვეტას უძებ-ნის მას და შედეგად სრულიად ახალ მხ-ატვრულ რეალობას ქმნის. ასე რომ, „გამზრდელიც“ ერთგვარი ფარული მხატ-ვრული პოლემიკაა „გლახის ნაამბობის“ ავ-

ტორთან.

თუ გაბლაღოჩინებულმა მოძღვარმა ოდენ თანაგრძნობითა და სიბრაღულით მო-ისმინა გაუბედურებული სულიერი შვილის, გაბროს, ავკაცობის ამბავი, საფარ-ბეგის აღმზრდელმა — ჰაჯი-უსუბმა საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით გამოისყიდა თავისი აღზრდილის უღირსი ქმედება. აკაკის პოემაში არის დანაშაულის მიტვე-ბაც (ბათუ), მონანიებაც (საფარ-ბეგი) და სხვისი ცოდვის საკუთარი სიცოცხლით გა-მოსყიდვაც (ჰაჯი-უსუბი). ასე რომ, „გლახ-ის ნაამბობსა“ და „გამზრდელში“ ერთდროუ-ლად არიან მსგავსი და დაპირისპირებული წყვილები: დათიკო და საფარ-ბეგი; გაბრიე-ლი და ბათუ; თამრო და ნაზიბროლა; ილიას მოძღვარი და აკაკის ჰაჯი-უსუბი. ეს უკა-ნასკნელი და მისი საქციელი – სხვისი დანა-შაულის საკუთარ თავზე აღება და აქედან გამომდინარე — მსხვერპლშენიერვა, საერ-თოდ გამოაგნებელია, ანალოგი არ ეძებნება მხატვრულ ლიტერატურაში.

„გამზრდელი“ სხვა მხრივაც არის საყურადღებო. გასაოცარი ტოლერანტობა გამოავლინა აკაკიმ, როცა პოემის ზნეობრივ გმირებად მაჰმადიანები გამოიყვანა. მეტიც, მაჰმადის რჯულის სინმინდეს საგანგებოდ აღნიშნავს, როცა ჰაჯი-უსუბზე ამბობს: „ხე-ლის გულზე უწერია თვით მაჰმადის წმინდა მცნება“. ამით მკაფიოდ მიანიშნა, რომ ყოვე-ლი რელიგიის საფანელი ზნეობრიობის ქად-აგება-დამკვიდრებაა. ოღონდ მაჰმადიანი კაცის თავგანწირვა, აკაკის პოემაში, მაინც ქრისტეს ცხოვრების მოდელზეა პროეცირ-ებული. სხვისი ცოდვით დაცემა, სხვისი დან-აშაული რომ გამოისყიდო, მაცხოვარივით საკუთარი თავი უნდა მიიტანო სამსხვერ-პლოზე. ამ მხრივ, მიუხედავად მაჰმადიანო-ბისა, ჰაჯი-უსუბი ქრისტიან მონამეს ემს-გავსება; მონამეს, ვინც თავისი ცხოვრების წესითა და აღსასრულით დაემონმა ქრისტეს. ოღონდ ლიტერატურულ ქმნილებაში მაინცდამაინც იმას ნუ გამოვედევნებთ, თუ რელიგიურად რამდენად მისაღებია სუიცი-დი (თვითმკვლელობა). ჰაჯი-უსუბის საქციელი, მხატვრულ კონტექსტში, მსხვერ-პლშენიერვად უფრო აღიქმება, ვიდრე – თვითმკვლელობად.

არც ისაა შემთხვევითი, აკაკიმ აფხაზი რომ დაგვისახა კეთილშობილებისა და ზნეო-ბრიობის ორიენტირად. „გამზრდელის“ ავ-ტორი, როგორც მოღვაწე და შემოქმედი, ერთიანი საქართველოს მესიტყვეა, მისი მი-ზანია, მთელი საქართველო მოიცვას. აკაკი პირველია ჩვენს მწერლობაში, ვის მხ-

ატვრულ ქმნილებაშიც აფხაზი გამოჩნდა. რაც შეეხება მაჰმადიანი მოძღვრის მონამეობრივ თავგანწირვას, იგი არა მართო „გამზრდელის“ ავტორის რელიგიურ ტოლერანტობაზე მეტყველებს, არამედ ამ ლიტერატურული ჟესტით აკაკი ერთდროულად მაჰმადიანურ ჩრდილო-კავკასიასაც მოეფერა და სამუსლიმანო საქართველოსაც. ამ მხრივაც საოცრად ერთსულოვანი არიან XIX საუკუნის ჩვენი მოღვაწენი. ილიას სტატია „ოსმალის საქართველო“ ან პეტრე უმიკაშვილის ამავე სერიის წერილები გავიხსენოთ. ვაჟას დავინყება ხომ ყოველად შეუძლებელია თავისი „სტუმარ-მასპინძლითა“ და „ალუდა ქეთელაურით“. სწორედ ალუდა ქეთელაურის პირითაა გაცხადებული ვაჟას ღრმად ტოლერანტული მრწამსი, მისი ზღვარდაუდებელი ჰუმანიზმი:

*ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ,  
მართოთ ჩვენ გვზრდიან დედანი,  
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მიელის ქშენანი...  
ამის თქმით ვნარამარაობთ,  
ღვთიშვილთ უკეთეს იციან,  
ყველანი მართალს ამბობენ  
განა, ვინაცა ჰფიცვიან?!*

როცა აკაკი „გამზრდელს“ წერდა, ასე მგონია, ვაჟას პოემების პრობლემეტიკასაც ითვალისწინებდა. „გამზრდელი“, როგორც აღინიშნა, 1898 წელს შეიქმნა, „ალუდა ქეთელაური“ - 1888, ხოლო „სტუმარ-მასპინძელი“ - 1895 წელს. მართალია, ეროვნული თავისთავადობის ფარვატერი, რომელშიაც ვაჟა-ფშაველას უზარმაზარი ფიგურა თავისუფლად თავსდება, აკაკი წერეთელმა გაჭრა (დავით წერეთლის გამოთქმამა), მაგრამ აკაკი ახალგაზრდა თანამოკალმის უკუგავლენასაც განიცდიდა (ამაზე ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი). აკაკიმ დიდხანს შეინარჩუნა შემოქმედებითი გაახალგაზრდავების უნარი. მისი შედეგები ძირითადად XIX ს-ის 90-იან წლებში იქმნება, მას მერე, რაც აკაკი ნახევარ საუკუნეს გადასცდა („განთიადი“ - 1892წ., „სულიკო“ — 1895 წ., „ბაში-აჩუკი“ - 1896წ., „ნათელა“ — 1897წ., — „გამზრდელი“ — 1898 წ.)

ამდენად, ფიქრი იმაზე, რომ „გამზრდელში“ გამოვლენილ რელიგიურ ტოლერანტიზმს ბიძგი ვაჟას პოემებმა მისცა, მთლად საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. რაც შეეხება ილიასთან ფარულ ლიტერატურულ მეტოქეობას, ფაქტია, როცა ილია ქრისტიან მოძღვარს აიდეალებს, აკაკი თითქოსდა მისი

გამოჯიბრებით, მაჰმადიანი მოძღვრის არანაკლებ შთამბეჭდავ, მეტიც, მონამეობრივი შარავანდით შემკულ ხატსა ქმნის. რაც მთავარია, უმნიშვნელოვანეს ზნეობრივ პრობლემას აყენებს: შენდობა-მიტევებისა და ცოდვის გამოსყიდვისა. ეს ისეთი მეტოქეობა-პაექრობაა, რომელმაც საკმაოდ მძლავრი სტიმული მისცა ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებას.

## **„ბედნიერი ერი“ და „ჩუ! ქართველო“ — არქიმდგარი პაქრობა**

ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი ილიას სატირული ლექსი — „ბედნიერი ერი“, რომელიც 1871 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ მეხუთე ნიგნში. ამ პირველ პუბლიკაციას სათაურის ქვეშ მიწერილი ჰქონდა: „იტალიანელი პოეტის ჯუსტის მიბაძვა“. ეს ლექსი ჯუსტის მიბაძვად არის გამოცხადებული ყველა პუბლიკაციაში, რომელიც ილიას სიცოცხლეში გამოქვეყნდა. მართალია, მოგვიანებით გამოცემებმა საკითხი გააბუნდოვანეს, როცა დაწერეს პოეტი ჯუსტი არ არსებობდა, ლიტერატურულ მისტიფიკაციას ილიამ ცენზურის თვალის ასახვევად მიმართაო, მაგრამ ნებისმიერ ლიტერატურულ ცნობარში რომ ჩახედათ, დარწმუნდებოდნენ, თუ როგორი პოპულარული იყო იტალიელი პოეტი XIX საუკუნეში. შემდგომში გაირკვა, რომ გამორიცხული არ არის იტალიელი პოეტის სატირულ ლექსებს, კერძოდ: „ლოკოკინას“, რომელშიც პოეტი მწარედ დასცინოდა საკუთარ ნიჟარაში შეყუჟულ და სავალალო ხვედრით კმაყოფილ თანამემამულეებს, გარკვეული სტიმული მიეცა ილია ჭავჭავაძისათვის, შეექმნა „ბედნიერი ერი“ (ზაირა სტურუა, ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის, გაზ., „ლიტ. საქართველო“, 1987, 24.VII. 39).

ჯუზეპე ჯუსტის პოეზია ქართულად არ ყოფილა ნათარგმნი, მაგრამ ილიას ეპოქის რუსული საზოგადოება კარგად იცნობდა ტოსკანელი სატირიკოსის ლექსებს, ნიკოლოზ კუროჩკინის თარგმანებით. როგორც ჩანს, ილია რუსული თარგმანის მეშვეობით გაეცნო იტალიელი პოეტის ლექსებს, მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი. მართალია, „ბედნიერ ერს“ გარკვევით აქვს მიწერილი ჯუსტის მიბაძვაო, მაგრამ მასთან დაკავშირებით ვერც

აკაკი წერეთლის ლექსს ავუვლით გვერდს. ეს გახლავთ „ჩუ, ქართველო“, რომელიც აკაკის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, პირველად 1941 წელს გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა მეორე ტომში სათაურით „ზოგიერთ ქართველს“. შემდგომ გამოცემებში ეს ლექსი ქვეყნდება სათაურით — „ჩუ ქართველო“, რომელიც ავტოგრაფულ ხელნაწერში ქვესათაურადაა მიწერილი. აკაკის ლექსის დანერის თარიღად გამომცემლებმა 1865 წელი მიიჩნიეს, რადგან დაემყარნენ ხელნაწერს, სადაც ლურჯი ფანქრით, სხვა ხელით, მიწერილია — 1865 (იხ. აკაკის თხზულებათა II ტომი, თბ., 1941, გვ. 556). ეს თარიღი, ისიც სხვისი ხელით მიწერილი, არ არის სანდო, რაზეც ილიასა და აკაკის ამ ორი ლექსის შედარებითი ანალიზი მეტყველებს.

ილიას „ბედნიერ ერსა“ და აკაკის „ჩუ, ქართველოს“ შორის ბევრია საერთო. მათი მეტრულ-რიტმული, ინტონაციური და ლექსიკური თანხვედრა აშკარაა, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთარი ერისადმი სატირულ დამოკიდებულებაზე. ასე რომ, ან „ბედნიერი ერის“ ავტორი იცნობს „ჩუ, ქართველოს“ და მის ვარიაციას აკეთებს, ან პირიქით.

არ არსებობს საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ „ბედნიერი ერის“ ავტორი იცნობდა აკაკის გამოუქვეყნებელ — „ჩუ, ქართველოს“, თანაც, როგორც „განდეგილისადმი“ „თორნიკე ერისთავის“ მიმართებამ ცხადყო, აკაკი წერეთელი ის კაცი არ არის, პოეტური შეპაექრება ვინმეს შეარჩინოს. ის მამის, როსტომ წერეთლის დანატოვარ მამულებს ექცევა გულგრილად, თორემ შემოქმედებითი მეტოქეობისას არავის არაფერს დაუთმობს. „ჩუ, ქართველო“, აშკარად 1871 წლის მერე, ილიას „ბედნიერი ერის“ გამოქვეყნების შემდეგ დაიწერა და ავტოგრაფზე სხვა ხელით მიწერილი თარიღი, როგორც ითქვა, არ არის სანდო. „ჩუ, ქართველო“ ილიას სატირული ლექსის კვალობაზე შექმნილი ვარიაციაა, ოღონდ, არც თუ წარმატებული და ამიტომაც არ მიიჩნია აკაკიმ გამოქვეყნების ღირსად.

ილიას „ბედნიერი ერი“ იმდენად პოპულარულია, რომ მკითხველისათვის მისი შეხსენება არ მიმართავს საჭიროდ. აკაკის ლექსი კი ორიოდ სიტყვით უნდა მიმოვიხილო. ლექსის პირველივე სტრიქონი — „ჩუ, ქართველო, ბედნიერო“ — ნაკითხვისთანავე მოგვაგონებს ილიას მრავლისმთქმელ ირონიულ ფრაზას: „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!“ აკაკისთან ყოველი სტროფის დასაწყისში აქცენტირებულია „გაჩუმ-

დი“ ზმნის შორისდებულად ქცეული ფორმა ჩუ!. „ჩუ! ქართველო ბედნიერო!“; „მეორედ ჩუ! შენ, ძმის მტერო“; „მაშ ისევ, ჩუ, რჯულის მტერო“; „კიდევ გეტყვი: ჩუ, ოხერო“; „ჩუ, ჩუ და ჩუ, მშვენიერო...“ აქ ირონიული ეპითეტებიც მსგავსია: „ბედნიერი“, „მშვენიერი“ და რეფრენიც, მაგრამ მიუხედავად თემის, ინტონაციისა და ლექსიკის მსგავსებისა, ილიასთან მეტია პუბლიცისტური პათოსი, მისი სატირაც და ირონიაც უფრო მძაფრია და მახვილი. რაც მთავარია, ილიას ლექსში უკეთაა წარმოჩენილი ის საზოგადო მანკიერება, რომლის გამოსწორებაც, აგერ მესამე ასწლეული დაიწყო, ვერ შევძელით და რითაც, ჩვენდა სამწუხაროდ, სატირულ ლექსს აქტუალობა გავეუხანგრძლივეთ. ამდენად, ილიას „ბედნიერი ერი“ უფრო წარმატებული პოეტური სატირის ნიმუშია, აკაკის ლექსთან შედარებით. როგორც ჩანს, ეს თვითონვე იგრძნო „განთიადისა“ და „სულიკოს“ ავტორმა და „ჩუ! ქართველო“ აღარ გამოაქვეყნა, მაგრამ უკვდავს ზოგჯერ იმის უფლებას არ ვაძლევთ, რისი უფლებაც ჩვეულებრივ მოკვდავს აქვს. აკაკის მიერ საგულდაგულოდ გადაამალულმა ლექსმა ავტორის გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის მერე მაინც იხილა დღის სინათლე. არავინ იფიქროს, თითქოს გამომცემელთ ვამუნათებ. სრულიადაც არა. სწორედ მათი წყალობით მოგვეცა საშუალება, ჩაგვეხედა მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში და დაგვენახა, თუ როგორ უტრიალებს ჩვენი მწერლობა თემას, რომელიც ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობითა და ერის ზნეობრივი გამოსწორების წადილითაა ნაკარნახევი.

### კვლავ მეტოქეობისა და ერთსულოვნების რკალში („დათუნა გოცირიძე“ — 1902)

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ (57) აკაკი წერეთელმა, ერთდროულად ორი მოთხრობა გამოაქვეყნა — „ოთია მესხი“ და „დათუნა გოცირიძე“. მერე, 1885 წელს, ორივე ნაწარმოები შეიტანა საბავშვო მოთხრობათა კრებულში — „საყმანვილო ამბები“. მოგვიანებით კი, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ამ ორი ნაწარმოებიდან ერთი მოთხრობა შეადგინა და 1902 წელს ისევ „დათუნა გოცირიძის“ სახელწოდებით დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. 1903 წელს „დათუნა გოცირიძის“ ეს უკანასკნელი ვარიანტი ცალკე წიგნადაც გამოსცა სხვა მოთხრობასთან ერთად („დათუნა გოცირიძე და რაჭის

ერისთავი როსტომ“).

აკაკის თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში „დათუნა გოცირიძის“ ეს ბოლო 1902 წლის ვარიანტი იბეჭდება. ტექსტოლოგებს ვერ გაამტყუნებ. ისინი უპირატესობას უკანასკნელ პუბლიკაციას ანიჭებენ. „დათუნა გოცირიძის“ პირველი, 1875 წლის ტექსტი კი მხოლოდ ვარიანტებსა და შენიშვნებში შეაქვთ.

საკმაოდ უცნაურ ფაქტთან გვაქვს საქმე. მწერალმა რატომღაც უარი თქვა ორგზის გამოქვეყნებულ მოთხრობაზე და, კარგა ხნის დაგვიანებით, კონცეფციურად სრულიად განსხვავებული ნაწარმოები შექმნა. რაშია საქმე, რატომ შემოსწერა აკაკი პირველ პუბლიკაციებს? რა ფაქტორმა თუ ფაქტორებმა განაპირობა ასეთი სახეცვლილება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად „ოთია მესხის“ პირველი პუბლიკაციის შინაარსი უნდა გავიხსენოთ. „დათუნა გოცირიძის“ პირველი პუბლიკაციის შინაარსს კი მოგვიანებით შევეხებით.

მაშ, ასე, „ოთია მესხით“ დავიწყოთ:

ოთია მესხს შვილივით ჰყავდა გაზრდილი დისწული — ლეჩხუმელი ასათიანი. როცა დადიანი იმერეთის მეფეს გადაუდგა და ლეჩხუმიც დადიანს მიემხრო, ოთია მესხმა თვითონ დაულოცა გზა დისწულს და უთხრა: ვალდებული ხარ, იმ მხარეს იბრძოლო, სადაც შენი მეზობლები და სახლიკაცები არიანო. თვითონ იმერეთის მეფის მხარეს იბრძოდა. გახურებულ ომში ოთიას დისშვილი, ასათიანი, იმერელ ჭაჭიაშვილს გამოუდგა მოსაკლავად. ჭაჭიაშვილი ოთია მესხის მოსისხლე იყო, მაგრამ მაინც შეეცადა მის დაცვას. შესძახა დისწულს: არ მოკლა გაქცეული მტერი, თორემ ცუდად გადაგიხდით. როცა ასათიანმა გაფრთხილება არ ისმინა და ჭაჭიაშვილს თავი წაჰკვეთა, ოთიამ საკუთარი დისშვილი ხმლით შუაზე გააპო: „აკი გითხარი, ჩემო დისწულო, რომ აქ მხრის მიცემა არის და ამხანაგობა-მეთქი?! — ამგვარად ოთიამ აღასრულა ამხანაგობის ვალი“.

აკაკი წერეთელმა ამ მოთხრობით ქვეყნის დაშლა-დანანევრების შედეგზე, გაუკულმართებულ ეროვნულ ცნობიერებაზე გაამახვილა ყურადღება. ამიტომ აძლევს აკაკი მოთხრობის ფინალში ოთია მესხის საქციელს ასეთ შეფასებას: „ახლანდელი ჩემო მკითხველო, განა ახირებულები არ ყოფილან ჩვენი ძველები?! — ამ ფრაზით მთავრდება მოთხრობა.

შეუძლებელია, მოვალეობის შეგნებით გამართლდეს უაზრო ომში ბიძისაგან დის-

წულის სასიკვდილოდ გამეტება და რაინდულ საქციელად ჩაითვალოს ასეთი, მართლაცდა, „ახირება“. სახელმწიფოებრიობის მოშლის პირობებში ეროვნული ცნობიერებაც კნინდება და ზნეობაც. ამიტომ არის, რომ ბიძა-დისწულს ქვეყნის დამაქცევარ, ძმათამკვლელ ომში, საკუთარი მეზობლებისა და სახლიკაცების გვერდით დგომა ვალდებულების გამოხატულებად მიაჩნიათ და ანგარიშს აღარ უწევენ იმას, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ თავგამეტებით იბრძვიან. ისინი აღარაფრით ჰგვანან იმ ეპოქის ქართველთა სულიერ მემკვიდრეებს, რომელმა ეპოქამაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეები შექმნა. როცა მაღალი საქვეყნო იდეალები აღარ არსებობს, ოთიასა და მის დისწულს ვინრო გვაროვნული ცნობიერებალა ამოძრავებთ მხოლოდ. ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა ვალდებულებად მიაჩნიათ. ამის იქით მათი შეგნება არ მიდის. რაოდენ დამლუპველია კუთხოვრიობა და შინააშლილობა ამის გაგების უნარი ბიძა-დისწულს, რა თქმა უნდა, არა აქვთ. უცნაური დრო დამდგარა: ვილას ახსოვს იოანე მარუშისძის ღრმადეროვნული ისტორიული მაგალითი, რომელმაც მხატვრული გარდასახვა „ვეფხისტყაოსანში“ ჰპოვა, როცა სარიდანი, ინდოეთის ერთიანობისა და ძლიერების ინტერესებიდან გამომდინარე, უარს ამბობს ქვეყნის ერთ მეშვიდეზე და საკუთარ სამეფოს დანარჩენი ინდოეთის მფლობელს — ფარსადანს გადასცემს. ასეთ ფიქრებს აუშლის კაცს აკაკის „ოთია მესხის“ წაკითხვა.

ახალ ქართულ მწერლობაში, ისტორიკოსის თვალთახედვით, აკაკი წერეთელმა პირველმა ასახა გვიანფეოდალური საქართველოს სულიერი კრიზისი და დაძაბუნება, „ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ (სწორედ ასე ჰქვია ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ იმ პარაგრაფს, რომელიც აღნიშნულ ეპოქას ეხება). ამ მოვლენას ეძღვნება აკაკის „ოთია მესხიცა“ და „კიკოლას ნაამბობიც“; სხვებიც: „გრიგოლ წერეთლის ირემი“, „რაჭის ერისთავი როსტომ“, გნებავთ, მხატვრული ისტორიული ნარკვევი „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“... რომელი ერთი დავასახელო.

ამ ტიპის თხზულებებში აკაკი წერეთელს, რეალურ ისტორიულ ფაქტებზე მეტად, გარდასული ეპოქის სულისკვეთება, ფეოდალური შუღლისა და სეპარატიზმის პირობებში აღმოცენებული ეროვნული ბუნება-ხასიათის გამრუდება-გადაგვარება აინტერე-

სებს. მერე ამ თემას ნიკო ლორთქიფანიძე გააგრძელებს: „მრისხანე ბატონით“, „უამთა სიავით“ და რაინდებით“. ამ თზულებებს ავტორმა „არაისტორიული მოთხრობები“ უწოდა, რადგან ნიკო ლორთქიფანიძეც ჩვენი ისტორიული წარსულის ზოგადი სულისა თუ სულისკვეთების ასახვას ისახავს მიზნად. აკაკის ზემონახსენებ თხზულებათა მსგავსად, კონკრეტული ისტორიული ფაქტების სიზუსტით ასახვა არც მას აინტერესებს. ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძე აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეა, ოღონდ ამ თემაზე საუბარს ველარ გაავარძელებ, ისევე აკაკის მოთხრობას უნდა მივუბრუნდე.

„ოთია მესხი“, როგორც ითქვა, აკაკიმ საყმანვილო თხზულებათა კრებულში შეიტანა. ძნელია პირუთენელი შეფასება მიეცეს, რამდენად გამართლებულია ამგვარი რთული კონცეპტუალური შინაარსის ნაწარმოების საყმანვილო თხზულებათა რეკალში მოქცევა. იოლი არ არის მოთხრობის ფაბულის მიღმა მოზარდმა იმ ღრმა ქვეტექსტის ამოკითხვა შეძლოს, რაც მისმა ავტორმა ჩადო მოთხრობაში. არც ის არის გამორიცხული, რომ საპიროსპირო შედეგი მივიღოთ: ოთია მესხის საქციელი მოზარდმა შეიძლება რაინდულ ქმედებადაც კი აღიქვას. არადა, რაინდობა დიდსულოვნებას, მოწინააღმდეგის დაფასებასა და შენდობა-მიტევებას გულისხმობს. ასე ესმოდათ რაინდობა სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში. ამიტომ აცხადებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირი რაინდი: „ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე“-ო.

სწორედ ასეთი დიდსულოვნების მაგალითი უნდა დავეუსახოთ იდეალად მოზარდს. ეს უკვა სხვა მწერლის პოზიციას, იმ მწერლისა, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდად არ მოიწონა „ოთია მესხის“ საყმანვილო კრებულში შეტანა და ამ ფაქტისადმი ნეგატიური დამოკიდებულება საკუთარი მოთხრობით გამოხატა.

ახლა ამ მოთხრობის სიუჟეტური ქარგაც გავიხსენოთ: აქაც გაგანია ომში მოსისხლე მტრებს შორის ბრძოლა აღწერილი, ოღონდ აქ უაზრო კაცისკვლაზე კი არა, დიდსულოვნებასა და მოწინააღმდეგის ღირსების დაფასებაზეა საუბარი.

ქვეყანას ყიზილბაშთა ლაშქარი შემოსევია. მომხდურ მტერში ერთი ვაჟკაცი გამოირჩევა. გაცხარებული ბრძოლის დროს გამოჭენდა ცხენზე ამხედრებული და ისე გაუქროლ-გამოუქროლა ქართველებს, „თითქოს ჯირითშია და არა ომშიო“. მიხვდნენ ქართველები, ორთაბრძოლაში ინვევდა

მომხდური. ხუთი ვაჟკაცი განგმირა ყიზილბაშმა შუბით. ველარავინ ბედავდა გასვლას. სირცხვილნაჭამმა ქართველებმა ბრძოლის ველიდან ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი გამოიხმეს.

ასპარეზზე გასულმა გოსტაშაბიშვილმა მარჯვედ აუკრა ხელი მოღერებულ შუბს და სანამ ყიზილბაში მეორედ შეუტევედა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბერცა და ცხენიდან ძირს დასცა. შემდეგ კი მეტოქე ფეხზე წამოაყენა და უთხრა: „შენი თავი შენივე ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება, ნადი და ღმერთმა მშვიდობა მოგცესო.“

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალაში მისცა და წავიდა.

ამ ამბავს, როგორც ლიტერატურის მოყვარულმა მკითხველმა იცის, ილია ჭავჭავაძე გვიყვება საყმანვილო მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. უფრო სწორად მოთხრობის სიუჟეტის თანახმად, მამა უყვება შვილებს (ფაქტობრივად ილიასა და მის და-ძმებს) ჩვენი წინაპრების, როგორც აკაკი იტყოდა, ჩვენი „ძველების“ გმირობისა და რაინდობის ამბავს.

ახლა ილიას მოთხრობაზე საუბარი დროებით შევწყვიტოთ და „დათუნა გოცირიძის“ პირველი, 1875 წლის ვარიანტი გავიხსენოთ, სადაც აკაკი გვიყვება იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის კარზე მომხდარს.

მეფეს დადიანმა ნებიერი აჩუქა. სასახლის კარზე კამათი გაიმართა, თუ ვინ გააგდებინებდა მოზვერს თავს ხმლის ერთი დაკვრით. ასეთი არავინ ეგულეობდათ რაჭველი აზნაურის დათუნა გოცირიძის გარდა. დათუნამ კისრის ძვლები კი გადაუმტვრია კურატს, მაგრამ თავი ვერ გააგდებინა. მიხვდა, „რაც უხიმანგეს! გასინჯა ხრმალი და გაბრაზებულმა დაიძახა: — „ამ ნებიერის თავ-ფეხი მის ცოლ-დედას, ვინც მე ეს მიხუმრაო! — და შეჰხედა მეფეს.“ არადა, ამ ოხუნჯობის (ხმლის დაბლაგვების) მომწყობი სწორედ მეფე გახლდათ. შეიპყრეს დათუნა და დაუპირეს გასამართლება. ვაზირები მის მკაცრად დასჯას ითხოვდნენ. მეფემ კარგად იცოდა, რომ დათუნა მეომარი კაცი იყო, ხმალი და ბრძოლა მის სისხლბორცეულ საქმიანობას წარმოადგენდა. ამიტომაც თქვა უარი რაჭველი აზნაურის დასჯაზე და ასე განსაჯა: „კაცს ჯერ ღმერთი უნდა უყვარდეს და მერე თავისი საკუთარი ხელობა. ვინც ხელობაზე თავს არ სდებს, ის საქმით ვერც მეფეს ასიამოვნებს და ვერც ქვეყანას

არგებს რასმეს“.

მეფემ გამორჩეულ მეომარსა და მეხმლეს სიცოცხლეს შეუნარჩუნა და ხალათიც კი უბოძა.

მშვენიერ გამართლებას უძებნის ჩემი მეგობარი და კოლეგა ლევან ბრეგაძე „დათუნა გოცირიძის“ პირველ, 1875 წლის ვარიანტს. მისი „ორი „დათუნა გოცირიძე“ ნიმუშია იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტექსტის ინტერპრეტაციას, როგორ შეუძლია ინტერპრეტატორს ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მხატვრულ ნაწარმოებს და საკუთარ წერილსა თუ ესეისტურ ქმნილებასაც დამოუკიდებელი ღირებულება შესძინოს.

ლევან ბრეგაძის ესე, ამავე დროს, ერთგვარი გამოსარჩლება - გამოქომაგებაა „დათუნა გოცირიძის“ მივიწყებული პირველი ვარიანტისა.

ლ. ბრეგაძის თვალსაზრისით, „დათუნა გოცირიძის“ პირველი ვარიანტი საკუთარი ხელობის, პროფესიონალიზმის აპოლოგიაა და, რადგანაც ფრიად „აქტუალურია ეს თემა დღეს — დილექტანტიზმის, არაკომპეტენტურობის... მოძალების ვითარებაში“, სასურველია მოთხრობის ორივე ვარიანტის ძირითადად ტექსტად დაიბჭვდა აკაკი წერეთლის აკადემიური თხზულებების მომავალ გამოცემაში. (ლ. ბრეგაძე, „ორი დათუნა გოცირიძე“, ნიგნში „ლიტერატურული (გამო)ძიებანი, გვ. 132-136, 2011). ასეთ თვალსაზრისთან, ბუნებრივია, არაფერი მაქვს სადავო.

და მაინც, მე სხვა საკითხი მაინტერესებს: რატომ გადაამუშავა აკაკიმ საკუთარი მოთხრობა ძირეულად, კონცეფციურად, რატომ თქვა უარი პირველ ვარიანტზე, რატომ „გადმოიყვანა“ „ოთხი მესხიდან“ ბიძა-დისნული „დათუნა გოცირიძის“ მეორე ვარიანტში და რატომ შეცვალა ბიძა-დისნულის სისხლიანი ამბავი, უაზრო ახირება „დათუნა გოცირიძის“ ახალ ვარიანტში შერიგება-კომპრომისით? ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დავსვათ კითხვა: რამ უბიძგა აკაკის „დათუნა გოცირიძის“ ახალი ვარიანტის შექმნისაკენ? ვფიქრობ, ბიძგის როლი ილიას მხატვრულმა ქმნილებამ შეასრულა, „დამნაშავე“ ჩვენი კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა (თუმც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იყო სხვა მიზეზიც და გარემოებაც). აკაკის მიზანი ამჯერადაც მკაფიოა: მიუხედავად კოლეგის დაფასება-პატივისცემისა, მას საკუთარი ლიტერატურული ამბიციის გააჩნია — მხატვრული ქმნილებით მან ეპოქის მიერ წამოჭრილ პრობლემასაც უნდა უპასუხოს და ილიასთან მხატვრულ პოლემი-

კაშიც არ დამარცხდეს.

„დათუნა გოცირიძის“ პირველი ვარიანტის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება ფასდება თავისი საქმიანობითა და პროფესიონალიზმით. მეორე ვარიანტში კი მწერალმა ფაბულაც შეცვალა და, მოთხრობის დედააზრიც. ამ მოთხრობით აკაკიმ ქართველობას განხეთქილების აღმოფხვრისა და გაერთიანებისაკენ მოუწოდა. ეს მით უფრო საჭირო იყო, როცა დაპყრობილ და დამონებულ ერს, სოციალურ ნიადაგზე, შურმა და მტრობამ დარია ხელი.

„დათუნა გოცირიძის“ მეორე ვარიანტი არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ერთი შეხედვით, აქაც იგივე ამბავია აღწერილი, ოღონდ დათუნას შერცხვენის მომწყობი არა მეფე, არამედ საკუთარი დისნული ივანე კვიციანილია. „ოთხი მესხის“ მსგავსად აქაც ბიძა-დისნულის კონფლიქტია ასახული. ის, რაც კვიციანილია მოიმოქმედა, ოხუნჯობით არ მოსვლია. მიზეზი შური და ქიშპობა იყო. დავაჟკაცებული დისნული ბიძას მეტოქეობდა, თუმც, საბოლოოდ, ისევე დათუნამ გადაარჩინა მძინარე დისნული ლეკის ხელით სიკვდილს და ასე დამოძღვრა: „სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია, მინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვიტოლოს!“-ო.

აკაკიმ ჩათვალა, რომ შერიგება-კომპრომისის პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო იმ დროს, როცა მან „დათუნა გოცირიძის“ მეორე ვარიანტი გამოაქვეყნა. სწორედ ამიტომ ამთავრებს მოთხრობას ეროვნული თანხმობა-შერიგებისაკენ მონოდებით.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოთხრობის ახალი ვარიანტი 1902 წელს დაინერა. გავიხსენოთ, ამ პერიოდში რა შეურიგებელი დაპირისპირებაა სოციალურ ნიადაგზე საქართველოში, რა სისხლიანი წლები ელოდება წინ ქვეყანას, მერე ტვინგაცხელებულმა ბოლშევიკებმა ამ ქაოსსა და სისხლისღვრას 1905 წლის რევოლუციამ რომ უწოდეს.

XIX საუკუნის დასასრულს „მესამე დასის“ გამოჩენამ მთლად არია ქვეყანა. გიორგი წერეთელმა, რომელიც ქართული სოციალიზმის მამად იქცა, „კვალი“, ფაქტობრივად, მათ დაუთმო. თუ გიორგი წერეთლის სიცოცხლეში „დასელები“ მცირეოდენ მაინც იზღუდებოდნენ, მისი გარდაცვალების მერე (1900 წელი), მთლად აიშვეს თავი. მთავარ სამიზნედ ილია ჭავჭავაძე გამოცხადდა. ნოე ჟორდანიას წერილს წერილზე „აცხობს“ ილიას წინააღმდეგ. ილიამ კარგა ხანს უთმინა,

თავი არ გაუყარა, მერე კი, წერილების სერიით, გამანადგურებელი პასუხი გასცა, „რუსული მარქსიზმის შინ გზორდილ თუთიყუშს“ (ილიას გამოთქმა). მერე ჟორდანია საზღვარგარეთ მიდის და ილიას სხვები მიესვენა. სოციალურ საკითხში უთანხმოების გამო „ცნობის ფურცელშიც“ უტევენ ილიას, თვით მისივე მიმდევარნი: არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი, რომლებმაც 1904 წელს სოციალ-ფედერალისტების პარტია დააარსეს. „ცნობის ფურცელი“ აკაკის უფრო მწვავედ ებრძვის, რის გამოც მწერალმა მას „ცოდვის ფურცელი“ უწოდა. ერთი სიტყვით, 1901 წლის ბოლოსათვის საერთო ვითარება ასეთია: „კვალი“ ებრძვის „ივერიას“ და ნაწილობრივ „ცნობის ფურცელს“; „ცნობის ფურცელი ებრძვის ნაწილობრივ „კვალს“ და ნაწილობრივ „ივერიას“ (ნოდარ გრიგალაშვილი, „თანამდევნი სული“, ტ. II, 2011, გვ. 47).

ვერ მოხდა განსხვავებულ სოციალურ ნოდებათა შეთანხმება; ვერ აღდგა და ვერ გამთლიანდა ნოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდი“; ამო გამოდგა ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის მონოდება - ქადაგებანი; ვერ შეძლო ერთ საერთო ნიადაგზე დადგომა. ამ განხეთქილებისა და დაპირისპირების ვითარებაში აკაკი წერეთელი წერს „დათუნა გოცირიძის“ ახალ ვარიანტს, რითაც არსებითად პასუხობს ქართულ საზოგადოებაში არსებულ შუღლსა და დაპირისპირებას. მოთხრობის ეს ახალი ვარიანტი არსებითად მონოდება საერთო ეროვნული თანხმობა-შერიგებისაკენ. ამიტომაც იყო აქტუალური ეს პატარა მოთხრობა მაშინდელ საქართველოში (თუმცა დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა); ამიტომაც ამთავრებს აკაკი წერეთელი თავის ნაწარმოებს შემდეგი სიტყვებით: „ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის?“

ახლა კი, დაპირებისამებრ, ილიას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს“ მივუბრუნდეთ. „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის საახალწლო ნომერში გამოქვეყნდა. ცენზურას დაბეჭდვის ნებართვა 1899 წლის 31 დეკემბერს გაუცია. მიუხედავად ამ ორი უტყუარი და უდავო ფაქტისა, მოთხრობის დაწერის თარიღად, რატომღაც, 1880 წელი გამოცხადდა (იხ. მიხეილ გედევანიშვილის 1914 და პავლე ინგოროყვა - ალექსანდრე აბაშელის 1936, 1937, 1950 წლების გამოცემები).

„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ დათარღებისას შეცდომა მ. გედევანიშვილის 1914

წლის გამოცემიდან უნდა მომდინარეობდეს. მიუხედავად ამისა, ტექსტოლოგები ამ გამოცემას მაინც სიფრთხილით ეკიდებიან და აცხადებენ, რომ მ. გედევანიშვილს ილიას მოთხრობის 1880 წლით დათარიღებისას „შეიძლება რაიმე საბუთი ჰქონდა ხელთ“ (იხ. ე. შარაშენიძე, ლ. სანაძე, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, პარიზის გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1939წ. ტ. II, გვ. 617). ჩვენი ლიტერატურის მკვლევარებიც მ. გედევანიშვილისეულ დათარიღებას, 1880 წელს ენდობიან და ილია ჭავჭავაძის უკანასკნელ პროზაულ ქმნილებად 1886-87 წლებში დაწერილ „ოთარანთ ქვრივს“ მიიჩნევენ.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ 1880 წელს ვერანაირად ვერ დაინერებოდა. ასეთი კატეგორიული განცხადების საფუძველს თვითონ მოთხრობა იძლევა; თარიღის დადგენაში ილიას მხატვრულ ტექსტზე დაკვირვება გვეხმარება.

„ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ შესავალში ილია, ფაქტობრივად, საკუთარ ბავშვობას, ჭავჭავაძიანთ ოჯახის საახალწლო სამზადისს, ბავშვების ყრიაშულსა და საზეიმო განწყობას აღწერს. ყოველივე ამას მოსდევს სევდიანი ფრაზა, ფრიად საყურადღებო მოთხრობის დათარიღებისათვის: „დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა (მესამე ძმას, სიმონს, რომელიც ჩვილი გარდაიცვალა, არ ახსენებს, რადგან, ბუნებრივია, ის ვერ იქნებოდა მონაწილე ყმანვილების საახალწლო მხიარულებისა — ა.გ.), გარდამეცვალა ერთი დაცა. დავრჩით ამ ქვეყნად მარტო ორი და-ძმანი. ეხლა ერთსაც და მეორესაც თმაში ჭალარა გვირევიან.“

1883 წელს გარდაიცვალა ილიას უფროსი და ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისა. გრიგოლ ჭავჭავაძის მრავალრიცხოვანი შვილებიდან 1883 წლის შემდეგ, მართლაც, ორნი დარჩნენ: და-ძმა, ელისაბედ ჭავჭავაძე -საგინაშვილისა და ილია. ეს კი უტყუარი საბუთია იმისა, რომ მოთხრობა 1880 წელს, ილიას დის ნინო ჭავჭავაძის გარდაცვალებამდე — 1883 წლამდე, ვერ დაინერებოდა. ამდენად, სანდოა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ დაწერის თარიღი — 1889 წელი და გამოქვეყნებისა — 1890.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილიას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ აკაკის კრებულის — „საყმანვილო ამბების“ (1885წ.) გამოცემის შემდეგ შეიქმნა. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ ავტორს ჰქონდა საშუალება, კრიტიკულად შეეფასებინა აღნიშნუ-

ლი კრებული და იქ დაბეჭდილი თხზულებანი. არა მგონია, „საყმანვილო მოამბეში“ დაბეჭდილი აკაკი წერეთლის სრულიად სხვა მიზანდასახულობისა და კონცეფციის მოთხრობა „ოთია მესხი“ ილია ჭავჭავაძეს საბავშვო თხზულებად მიეჩნია და საყმანვილო ლიტერატურისადმი აკაკის დამოკიდებულების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არ გასჩენდა. ამიტომ, როცა ილია ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის მაღალზნეობრივ პიროვნებას გვიხატავს, მგონია, ამით საყმანვილო კრებულში შეტანილ აკაკის უმართავს პოლემიკას. ილიას საბავშვო მოთხრობისა და საყმანვილო კრებულში დაბეჭდილი აკაკის მოთხრობის შეპირისპირებითი ანალიზი იძლევა ამგვარი დასკვნის საფუძველს.

ასე მგონია, ილიას ძალზე იშვიათ, ფაქტობრივად, ერთადერთ დაინტერესებას საყმანვილო პროზით, სწორედ აკაკის მიერ „საყმანვილო ამბებში“ ჩართულმა ღრმა ქვეტექსტის შემცველმა, მაგრამ, არც თუ მთლად დიდაქტიკური მოთხრობის დაბეჭდვამ შეუწყო ხელი. უაზრო შინაომსა და სისხლისღვრაზე კი არ უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, ნინაპართა მაღალი ზნეობა და დიდსულოვნება უნდა დაეუსახოთ მაგალითად, — ასე განსჯის „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“ ავტორი, ამაზე მიახიზნებს მისი საყმანვილო მოთხრობა.

ვინ, ვინ და აკაკი ამას აშკარად მიუხვდა თანამებრძოლსა და თანამოკალმეს. ამიტომ გადააკეთა „დათუნა გოცირიძე“. ფაქტობრივად, შეაერთა ორი მოთხრობა და ისე გამოაქვეყნა 1902 წელს.

ილიას მოთხრობის გმირის მაღალზნეობრივმა საქციელმა, შენდობა-მიტევებამ და კომპრომისმა აკაკის ბიძგი მისცა სხვა თვალთ შეეხედა 1875 წელს დაწერილი საკუთარი მოთხრობებისათვის და სრულიად სხვა სათქმელისათვის გამოეყენებინა ისინი. ესაა მიზეზი „დათუნა გოცირიძის“ ახალი ვარიანტის შექმნისა, სადაც აკაკი შენდობა-მიტევებისა და კომპრომისის პრობლემას ზოგადეროვნულ აქტუალურ შინაარსს აძლევს.

თუ ასე შევხედავთ აკაკის ადრეულ მოთხრობასა და ილიას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს“, გამოდის, რომ საყმანვილო მოთხრობით კიდე ერთხელ დაუპირისპირდა ილია აკაკის, ხოლო აკაკი საკუთარ თავსაც დაუპირისპირდა და ილიასაც, როცა შენდობა-მიტევების პრობლემა კერძო შემთხვევის მაგიერ ზოგადეროვნულ ჭრილ-

ში განიხილა. მან „დათუნა გოცირიძის“ ახალ, 1902 წლის ვარიანტში, როგორც ითქვა, ზოგადეროვნული პრობლემა წამოსწია წინ — ეროვნული ერთიანობისა, ეროვნული შეთანხმება-კომპრომისისა. თუმც ეს პრობლემა ილიას პრობლემაა, მის „ოთარანთ ქვრივში“ წამოჭრილი და დასმული. ამ საკითხს ილიას პუბლიცისტურ წერილებში კიდე უფრო მეტი ყურადღება ეთმობა.


ილიას ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მაღალი ზნეობის რაინდული ბუნების კაცია, მაგრამ ეს მაინც კერძო შემთხვევაა. აქ არ ჩანს ზოგადეროვნული პრობლემა — საკითხი, რომელიც იმჟამად ერისა და ქვეყნისათვის აქტუალური იყო, ისეთივე აქტუალური, როგორცაა წოდებათა შორის გაუცხოების დაძლევა და მორიგება, „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანება.

აკაკის „დათუნა გოცირიძის“ პირველი ვარიანტი ვაჟკაცობას, პროფესიონალიზმსა და კეთილგონიერებას განადიდებს, მაგრამ, ეს საკითხი აღარ ესახება აკაკის იმ პერიოდისათვის აქტუალურად. ის ხომ საკუთარი მხატვრული შემოქმედებით გამუდმებით საქვეყნო, საჭირობოროტო პრობლემებს დასტრიალებს. აკაკიმ იგრძნო, რომ ამგვარი შინაარსი აკლია საკუთარ მოთხრობასაც და ილიას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილსაც“. ამიტომ თქვა უარი მოთხრობის პირვანდელ ვარიანტზე, ძირეულად შეეცვალა და გადააკეთა იგი.

უცნაური თვისება აქვს შემოქმედ კაცს: ის მხატვრულ თემასა თუ იდეაზე ჩასაფრებულ მონადირესა ჰგავს, იმ მონადირეს, რომელსაც ბუნების ტრფიალი სრულიადაც არ უშლის ხელს ნადირთა ხოცვაში. ასე მონადირა ილიამ აკაკის მოთხრობაში სათავისო თემა, მაგრამ არც აკაკი დარჩა ვალში: „დათუნა გოცირიძით“ კიდე ერთხელ გაეპაექრა კოლეგას, კიდე ერთხელ „გადაუხადა სამაგიერო“.

თუმც, როცა აკაკი წერეთელმა „დათუნა გოცირიძის“ ახალ პუბლიკაციას აქტუალური შინაარსი შესძინა — ეროვნული პრობლემა და სატკივარი წამოსწია წინ — არსებითად, ერის გამთლიანების ილიასეულ პრობლემას დაუჭირა მხარი. გამოვიდა ისე, რომ „დათუნა გოცირიძის“ 1902 წლის ვარიანტი საქვეყნო, საზოგადო საქმეში ილიასა და აკაკის ერთსულოვნების დადასტურებაცაა და კონკრეტული ნაწარმოების („ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის“) შინაარსის საპირისპირო აზრის, ფარული მხატვრული პოლემიკის გამომხატველიც.





ემზარ კვიციანი

# გადამწერი ფრინველები

ქძვნება თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას

ყოველთვის ვერიდები, არ მიყვარს ჩემი თავის პოეტად მოხსენიება (ამას თვით გენიალური ვაჟა-ფშაველაც ეკრძალოდა), მაგრამ ერთი რამით კი ვგავარ იმათ მარაქას. წამიკითხავს — პოეტს არ უყვარს დიდი მოგონებების წერა, უმეტესად პატარ-პატარა ამბების გახსენებას ჯერდებოა. მეც ხშირად მემართება ასე და მინდა რამდენიმე წლის წინანდელი მწუხარე დღეები შეძლებისდაგვარად გავაცოცხლო, რაც კარგ გუნებაზე ვერასგზით ვერ დამაყენებს.

ჩვენი ცუდად დაიწყო და ცუდადვე გაგრძელდა ავადსახსენებელი ქართველთა დამთრგუნველი 2008 წელი. განსაკუთრებით შემზარავი, მოუნელებელია 8 აგვისტოს გათამაშებული ტრაგედია, ხუთდღიანი სამარცხვინო ომი, როცა მრავალი დანაშაულის ჩამდენი ხელისუფლება წამოეგო შიდა ქართლში მიზნობრივად გამართულ პროვოკაციებს (ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენი მორიგი გაუბედურება წინასწარ მოლაღატურად იყო დაგეგმილი) და ცხინვალს შეუტია, რასაც ყოვლად გაუმართლებელი დიდი მსხვერპლი — ასობით ჩვენი რჩეული ვაჟკაცის ჩახოცვა და უპატრონოდ დაყრა მოჰყვა, ლიახვის ხეობას ქსნისაც მიემატა და კოდორის ხეობაც უბრძოლველად იგდო ხელთ პუტინის რუსეთმა (მაღე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ-ოსეთი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს, დღემდე მათ აღიარებაზე „ზრუნავენ“) ყველაზე შემადრწუნებელი კი ის იყო, რომ ქალაქის მთავარ მოედანზე (იმ დროს იქვე, ქაშვეთის ეკლესიაში, ვახ-

უშტი კოტეტიშვილის ცხედარი ესვენა) ყურთასმენის წამლები კონცერტი გაიმართა.

ალბათ ანი მაინც დაწვრილებით იქნება გამოძიებული ამ ომის გარემოებანი, დადგინდება, ვისი ქმედებითაც ჩავარდა საქართველო ესოდენ სავალალო, აუტანელ მდგომარეობაში, ამდენი ჭირვარამის, უბედურების გადამტანი ქვეყნის მოლაღატენი უნდა გამოვლინდნენ და საკადრისადაც უნდა დაისაჯონ.

ახლა კი იმ უმთავრეს მიზეზს მინდა მივუბრუნდე, რამაც გადამანყვეტინა წინამდებარე დღიურის დაწერა. 2008 წლის პირველ იანვარს, ახალი წლის პირველსავე დღეს, შემატყობინეს, რომ გარდაიცვალა ჩვენი უნიჭიერესი და ყველასათვის საყვარელი მხატვარი (იგი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა) თენგიზ მირზაშვილი. კი ვიცოდი, წლების მანძილზე რომ ტანჯავდა ულმობელი სენი (არ მახსოვს, თუნდ ერთხელ დაეჩივლა), მაგრამ ამ ამბის გაგებამ გუნება მომიშხამა. ასევე შეძრული იყო უსაზღვროდ კეთილი ადამიანი და დიდად პოპულარული მსახიობი გურამ ლორთქიფანიძე, ჩვენი ლორთქია, ვინც საათობით დამუნჯებული იჯდა მეგობრის კუბოსთან.

სუსხიანი ზამთარი იდგა. 5 იანვარს, დასაფლავების დღეს, მე და გურამი გვერდი-გვერდ მივყვებოდით პროცესიას, რატომღაც არ მოვშორებივართ ერთმანეთს. დიდუბის პანთეონის რკინის ჭიშკართან რომ შევჩერდით, უნებურად მალლა ავიხედვე ტყვიისფერ ცის ფონზე სამკუთხად განყო-

საბუღარაშვილი 1(7). 2014წ.

ბილი გარეული ბატების გუნდი გამოჩნდა, აღმოსავლეთისკენ მიიწვედნენ. წინ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მეთაური მიფრინავდა. პირველად ის აპობდა ჰაერის ტალღას. გურამიც ავახედე ცისკენ, დავანახე მათი მწკრივი და ვუთხარი, ვფიქრობ, ფრინველებსაც თავიანთი ენა აქვთ-მეთქი. აბა, რა გგონია, მაგამი ეჭვიც არ შეგეპაროსო, მაშინვე მიპასუხა. ტურების ცმაცუნე იცოდა ლაპარაკისას, რალაც-ნაირი მონყენილი, დაღვრემილი სახე ჰქონდა.

პანთეონში როცა შევედით, თავისი საფიცარი მეგობრის — დოდო აბაშიძის საფლავთან შედგა და კიდები თოვლისაგან განმინდა, გაასუფთავა, თითქოს ცივი ქვის გათბობა უნდოდა, ეფერებოდა.

სასაფლაოდან ჩვენი სიყრმის მეგობარმა, თენგიზ მირზაშვილის მხატვრობის დიდად დამფასებელმა თორნიკე კოპალეიშვილმა მის მიერ აღდგენილ ფორაქიშვილების სახლში აგვიყვანა გარდაცვლილის ოცამდე ახლობელი. იქ მცირე წრისათვის სუფრა იყო განწყობილი. ცეცხლიც დაენთოთ, ქვის კედლებში სითბო რომ დატრიალებულიყო. ღორთქია გვერდით, მარცხნივ მეჯდა და ნვრილ, წელში გამოყვანილ ჭიქაში ვუსხამდი საუცხოო ქარვისფერ წარავს.

ავადმყოფობის მიუხედავად (ღვიძლის უმძიმესი დაავადება), სვამდა და სადღეგრძელოებსა თუ მოსაგონარებს მისებურად სხარტად, სხაპასხუპით წარმოსთქვამდა. მოპირდაპირე მხარეს, წითელკაშნემოხვეულმა ბუბა კიკაბიძემ სინანულით ჩაილაპარაკა — ზედიზედ ვკარგავთ მეგობრებს, ჩვენი რიგები ნამეტანი შეთხელდაო.

მე ისევ ის გარეული ბატები დამიდგა თვალწინ (სელმა ლაგერლიოფის უმშვენიერესი ზღაპრიდან მახსოვდა, რომ შინაურებისგან განსხვავებით, გარეულ ბატებს რუხი, „ლეგა ფერის ბუმბული მოსავთ“). გავიფიქრე, ნეტავი ვის ნაულებენ ამბავს უნატიფესი მხატვრის დაღუპვაზე-მეთქი — თენგიზ მირზაშვილი ხომ გამუდმებით და განუშემორებელი ხელწერით ხატავდა ნაირ-ნაირ ფრინველებს, ნათელმხილველის მზერით ჰქონდა გათავისებული მათი იდუმალი სამყარო. (მისგან ნაჩუქარი, თავალერილი, ბოლოდანყობილი უნატიფესი თოლია, სახეცვლილი, ზომიერად სტილიზებული, კედელზე მიკიდია და ყოველდღე ვავლებ მზერას).

მომავლენა ძველი ბერძნული გადმოცემა ყაჩაღების მიერ ტყეში მოკლულ ლეგენდ-

ად ქცეულ პოეტზე იბიკოსზე (ეს საშინელება ჩვენს ნელთალრიცხვამდე VI საუკუნეში მოხდა.), როცა ბოროტების თვალთ მხილველმა წერობმა ამაზრზენი მკვლელობის ამბავი ქვეყანას მოფინეს, რის შემდეგაც ყაჩაღები შეიპყრეს და სიკვდილითვე დასაჯეს. ამ გადმოცემის საფუძველზე შექმნა შილერმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ბალადა.

მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში მრავლად გვხვდება ადამიანთა ფრინველებად გარდასახვის შემთხვევები. ეს მოვლენა ჩვენმა უმდიდრესმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა. საამისო მასალას ქართულ მწერლობაში უხვად წარმოაჩენს აკაკისა და ვაჟას შემოქმედება.

უალრესად მეტყველ მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ აკაკის მიერ გენიალურად გარდათქმული ლეგენდა „გოგია მეჩონგურე“. ამ ულამაზესი, ტრაგიკული ჟღერადობის ლეგენდიდან ამოიზარდა მისივე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ღრმა, შთამბეჭდავი სიმბოლოებით დაქარაგმებული ლექსი „მოლალურის ბუდე“, რომელსაც საგანგებო ესსე მივუძღვენი და ამჯერად აღარას ვიტყვი.

ამ მხრივ, ურიგო არ იქნება XX-ის ქართველ პოეტთაგან მცირე ხნით შევიხედოთ ანა კალანდაძის უფაქიზეს, მომნიბლავ სამყაროში, სადაც სამოთხისეულ, ნაირფერ ყვავილებთან ერთად, სხვადასხვა ფრთოსნებსაც გამორჩეული ადგილი უკავიათ.

უთუოდ უძველეს ხალხურ რწმენას ემყარება ჩვენში დამკვიდრებული ფრთიანი ღიმილშეპარებული გამოთქმა: „ჩიტმა ამბავი მომიტანა“, რომელსაც, ჩვეულებრივ, მაშინ ამბობენ, როცა ვინმესგან რაიმეს გაგება სწადიათ. ფრინველთა მაგიური უნარის აღმნიშვნელი ეს გამოთქმა ირეკლება ანა კალანდაძის მინიშნებებით გაჯერებულ ნატიფ ლექსში „ოქროს ნისკარტი, სკვინჩავ ბატონო!“, რომელიც გარდაცვლილი მამიდის ხსოვნას ეძღვნება. ეზოში მოფრთხილვე სკვინჩას სახით, ამ ლექსის ავტორს მიღმა სამყაროდან თითქოს ახლობლის სული ეცხადება; ფაქიზად მოხატული ფრინველი „რალაცას ამბობს“ და პოეტსაც მისი ნათქვამის გაგება სურს.

აქვე იკვეთება კონტრასტი — ნახსენებია ოფოფის ფრთის გაშლა, რაც, იმავე ხალხური რწმენით, ავის, უბედურების მომასწავებელია. იმედის სხივად მოჩანს, რომ მოლისფრად მბრწყინავი პანია ჩიტი არ შორდება ნაცნობ კარმიდამოს და სასიამოვნო, გასახარელი ამბის მოლოდინში ყურადღება მის-

კენაა მიპყრობილი — ქართული პოეზიის დედოფალი, თავის წარმოსახვაში უძვირფასეს ადამიანს ეალერსება. ყოველგვარ ახსნას და განმარტებას აჯობებს ერთ რითმაზე განყოფილი, ერთი გამჭოლი განწყობილების გამომხატველი ეს ორსტროფიანი ლექსი აქვე ამოვწერო:

*„გულმა ავი თუ იგრძნო  
და ყურადღებად იქცა:  
სკვინჩა რალაცას ამბობს  
— კაი ამბავი, სკვინჩავ!  
ოფოფი ფრთას თუ გაშლის,  
გულში ჩაგყვება ხინჯად...  
სკვინჩა არ ტოვებს ეზოს,  
ოქროს ნისკარტი სკვინჩავ!“*

ფრინველთა იდუმალი უნარი, როგორც უკვე აღვნიშნე, უხსოვარი დროიდან სწამდით ადამიანებს. ეს მრავალგზისაა ასახული მითოლოგიასა თუ ზეპირსიტყვიერებაში, სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურულ ძეგლებში. აქ შეგვეძლო დაგვესახელებინა ვაჟა-ფშაველას უძლიერესი პოემის „ბახტრიონის“ ერთი ადგილი, როცა თავისი კუთხიდან ოცი წლით გადახვეწილი, ფუძემოშლილი და თუშეთში მწყემსად დამდგარი კვირია მარტოკა მოდის ფშაველების სალოცავში, სადაც კაცის ჭაჭანება არა ჩანს და იქ მასავით გაუბედურებულ, ქმარშვილამწყვეტილ ფშაველ დედაბერს, სანათას ხვდება. იგი წმინდა გიორგის ხსენების დღეს ხატობაზე მოფუსფუსე, ნამტირალევე სანათას მოუთხრობს თავის „ობლობა-ბეჩაობაზე“ ათასგვარ გასაჭირზე, შესჩივის, როგორ ენატრებოდა მტერთაგან გადაბუჯული, გაპარტახებული ფშავი და აქ გაკრთება ორიოდ სტრიქონი, სადაც თვალნათლივ არის ასახული ხალხური რწმენა, რაზედაც ზემოთ მივუთითებდი. „ობოლ კვირიას“ პირით ნათქვამია:

*„საბაროდ გადმამავალთა,  
ამბავს ვკითხავდი წეროთა“*

თუ რისი გაგება ეწადა „ბახტრიონის“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ამის მიხვედრა ძნელი არ არის — მისი სანუკვარი ოცნებაა „ურჯულთათრებისაგან“ გათელილი მამულის დახსნა; მაცნედ არის წამოსული, რომ თუშეთში შეკრებილია ლაშქარი და ჯარს სწორუპოვარი ვაჟკაცი ზეზვა გაფრინდაული მიუძღვის. „ბახტრიონი“ თავიდან ბოლომდე „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა რაინდული სულისკვეთებით არის განმსჭვალული. ასე რომ არ იყოს, სამშობლოსათვის თავშეწირული კვირია ვერ იტყოდა: „სიცოცხლეს აუგიანსა, სიკვდილი მიჯობს

ხმალზედა“. ბარში გამოჩენილი წეროები-სგან მას იმის გაგება ეწადა, მომზადდა თუ არა მთელი საქართველოს სახალხო აჯანყება მტერთაგან იავარქმნილი, „ჩიქილამ-ოხდილ ქალად ქცეული“ კახეთის გადასარჩენად.

ბუნებრივია, ამ სამწუხარო გახსენებებით დამძიმებული დღიურის წამკითხველს შეექმნება შთაბეჭდილება, რომ მე მთავარი სათქმელიდან გადავუხვიე და ეს ასეც არი, მაგრამ მსგავსი რამ სხვებსაც დამართნიათ, რაც დასაძრახი არ უნდა იყოს. ძნელია, ძვირფას, გარდაცვლილ ადამიანებზე ილაპარაკო და ხშირად ირიბულად, მოიარებით გამოხატავ ტკივილს. ამის მაგალითად მინდა დავასახელო ოთარ ჭილაძის ძალზე ღრმად განცდილი, მეტად ნაღვლიანი ლექსი „სარკე გარდაცვლილი მეგობრის ოთახში“ ნაადრევად დაღუპული ნიჭიერი, უაღრესად განათლებული ლიტერატორის გელა გაბუნიას ხსოვნის უკვდავსაყოფად რომ არის დაწერილი.

სამძიმრის სათქმელად მისული პოეტი ერთადერთ საგანს, ყოვლის ამრეკლავ, „გაქვავებულ წყაროსთან“ შედარებულ სარკეს მიაპყრობს ყურადღებას; მოეჩვენა, თითქოს იგი, ჩარჩოში მოქცეული, მის „სიმარტოვეს უთვალთვალებდა“. იგონებს სულისშემძრავ წუთს, როდესაც მიცვალებულის ბინაში შეაბიჯა და კედელზე მიმაგრებულ სარკეს შეეფეთა.

ლექსი იწყება სრულიად უბრალო, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზით „იმ დღესაც“, — მაგრამ შემდეგ ეს პროზაული შესიტყვება მეორდება, ახალ შინაარსს იძენს, სხვა განზომილებაში გადაყავს შინაგანი მონოლოგის მდინარება, პოეტურ ელფერს იძენს. ამჯერად ნათქვამია, რომ სარკე მხოლოდ ყურადღების გადასატანად ახსენა და, უახლოესი მეგობრის დამკარგავს გულში გაუსაძლისი, ასაფეთქებლად გამზადებული ცეცხლი დაგუბებია:

*იმ დღესაც . . . მაგრამ რა დროს სარკეა,  
მე სიტყვა განგებ გადამაქვს მხოლოდ,  
რომ აბრეშუმის ჭიის პარკივით*

*არ გასკდეს გულიც, ბოლოს და ბოლოს*

მეც ამავე, ნაცად გზას უნდა დავადგე და გადავუხვიო, მაგრამ იმედი მაქვს, მთავარი ძაფი არ გამიწყდება. საამისოდ, თენგიზ მირზაშვილისათვის ეგზომ საყვარელ ფრინველთა უცნაურ სამყაროს მივმართავ — ეს ახლობელთა დაკარგვით მიყენებულ ტკივილს შემიმსუბუქებს. მოვიხმოთ ერთ მეტად ძლიერ და გულსაკლავ ხალხურ ლექსს, სადაც

ყაჩაღურად მოტაცებული, თათართა ტყვეობაში მყოფი ქართველი ქალი თვისტომებს უთვლის უშველონ, გამოიხსნან.

ქართული ფოლკლორის ამავადარის, თედო რაზიკაშვილის ჩანერილ ვარიანტში, რომელიც ძირითადადა მიჩნეული, ეს ლექსი ასე იწყება: „ქალი ვარ ბაგრატივნისა, განჯას თათარსა ვყევარო...“ ჩემმა სიყრმის მეგობარმა, ბრწყინვალე პოეტმა და საუკეთესო, ალლოიანმა ფოლკლორისტმა დავით ნერედიანმა გამაცნო მის მიერ 1961 წელს, სამივლინებო ექსპედიციის დროს, სოფელ მარტყოფში ჩანერილი ვარიანტი და იგი ბევრად სანდო ჩანს. ამკარაა - „ბაგრატივნის ქალი“ აქ სრულიად უადგილოდაა ჩასმული. ლექსში თავიდანვეა ნახსენები ერთმანეთზე გადაბმული ორი სოფელი (ალხიხვი და ტევალი), რომელთაგანაც შესდგება მოზრდილი სოფელი მარტყოფი, საიდანაც ქალი გაუტაცნიათ (ეს ალბათ ორი საუკუნის ამბავი მაინც უნდა იყოს) და განჯაში მოხვედრილა. ამ იშვიათი მომხიბლაობისა და სიბრაღის, თანაგრძობის აღმძრავ ლექსს, თავდაპირველად, დაახლოებით, ასეთი სახე უნდა ჰქონოდა:

ალხიხეო და ტევალო,  
შეკრულო ყურძნის მტევანო,  
მანდ რო ქალ დავიკარგევი,  
განჯას თათარსა ვყევარო,  
დღისით მიყრიან ბორკილსა,  
ღამით თათართან ვწევარო,  
ჯერ რჯულ არ გადამიგდია,  
თავის რჯულზედვე ვდგევარო.  
ქალო და რძალო ლამაზო,  
სულ ჩემო მოსადევარო,  
შაკრიფეთ თითო შაური,  
მიხსენით თქვენი ტყვე ვარო,  
სირცხვილი თქვენთვის,  
ვაჟებო, თორო მე კარგად ვყევარო,  
ქიშმიშით გასუქებული,  
გაბადრულ მთვარეს ვგევარო,  
ტანთა მცვავე სიასამური,  
წულან-მესტებზე ვდგევარო...  
ნეტარ ველარა გნახავა,  
შე საქართველოს მძლევარო!

დასაწყისშივე რა ულამაზესი და ბუნებრივი პოეტური სახე იკვეთება, ერთმანეთზე ტყუპებივით გადასკვნილი ორი სოფელი „შეკრულ ყურძნის მტევანს“ რომ არის მიმსგავსებული. ჯერ თავისზე უმცროს („სულ ჩემო მოსადევარო...“) ქალ-რძალს, სანათესაოს ევედრება თათრებისაგან ტყვექმნილი, ფული შეაგროვონ და გამოიხსნან (აქ ალბათ იმაზედაც უნდა იყოს მინიშნება, რომ ისინიც, შეიძლება ჩავარდნენ ასეთივე დღეში), მერე კი თანასოფელელ მამაკაცებს აგდებს

ნამუსზე („სირცხვილი თქვენთვის, ვაჟებო, თორო მე კარგად ვყევარო...“).

განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ლექსის ფინალი იპყრობს — განგებისად უზრუნველი ტონის შემდეგ, რომ მას ტყვეობაში არანაირი სიკეთე და ფუფუნება არ აკლია, ყველაფერს ამთავრებს ვეება სევდის დამტევი ბოლო, ამოოხვრასავით ამოთქმული სტრიქონი („ნეტარ ველარა გნახავა შე საქართველოს მძლევარო!“) — მშობელ კუთხეში დაბრუნების უმძაფრესი სურვილი (როგორ არ გაგვახსენდეს აქ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ადგილი, ბრძენი ქართველი მანდილოსნის, სოფიო ლეონიძის პირით ნათქვამი: „რა ხელს-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული!“). განჯაში მყოფი ტყვე საქართველოდან გამოჩენილ ფრინველს — „მძლევარს“ — ნატრობს, სიხარულის, ტყვეობიდან დახსნის მაცნედ ეგულება იგი. თედო რაზიკაშვილს „მძლევარი“ ასე აქვს განმარტებული: „მერცხალი, გუგული, ოფოფი და სხვა, რაც ზამთრით მიდის და გაზაფხულზე მოდის, ფრინველი უეჭველია, ეს ჩვენს ფოლკლორში კარგად ცნობილი „მშვენიერი მძლევარია“, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, გუგული მოიხარება. მასთან არაერთი საყურადღებო რიტუალი და საქმიანობაა დაკავშირებული (თუნდაც საგაზაფხულო ხვნა თესვა).

ვაჟა-ფშაველას ყველასაგან გამორჩეულ შემოქმედებასა და მის განუმეორებელ მითოსურ სამყაროზე, ფშაურ წარმართულ პანთეონზე დაწერილ თავის უკვდავ ნიგნში — „ტრაგიკული ნიღბები“ — თამაზ ჩხენკელი ორი სამყაროს (სიკვდილი-სიცოცხლე; ზამთარი-გაზაფხული) დამაკავშირებელ ამ საკვირველ ფრინველს საგანგებო თავს უძღვნის („მშვენიერი მძლევარი“) და ფრიად დასანანიად, რომ ზემოთხსენებული ლექსი მისი დაკვირვების მიღმა დარჩა.

ალსანიშნავია, რომ ამ ლექსის ძალზე სახეშეცვლილი ვარიანტი დიდ აკაკი შანიძეს, მთიელ ქართველთა ფოლკლორის ფასდაუდებელ მოამაგეს, 1913 წლის შემოდგომაზე ქვემო ალვანში ჩაუწერია. ტყვე ქალი თავის თავს „მაკრატიონთა“ (ალბათ დამახინჯებული ბაგრატიონი) გვარისად აცხადებს. აქაც ფიგურირებს მისი ტყვეობის ადგილი — განჯის სახანო („განჯას თათარსა ვყევარო...“), ამ შემონათვალშიც თვალნათლივ ჩანს, რომ იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას არ თმობს („სჯული ვერ გამიტეხნია“...); გამტაცებლებს აქაც ფუფუნებაში

ჰყავთ მომხიბლავი გარეგნობის არსება, რასაც მუსულმანთა მდიდარი ყოფის ერთი რეალიაც წარმოაჩენს („წინ მიდგას ოქროს ლამბაქი, ზედ კვიციის ხორცი მიწყვიანა...“), მაგრამ იგი უკიდურესად შეჭირვებულია. მშობელ კუთხეში დაბრუნებაზე ოცნებობს; ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ იტყოდა: „ლოგინი მიდგას სევდისი, ქვედ ნარი-და ეკალ მიგია“. ბორკილგაყრილი, ამ ერთგვარად ეკლექტურ ვარიანტშიც, თვისტომთაგან პატრონობას, ტყვეობიდან გამოსხნას მოითხოვს. ისიც უნდა ითქვას, შანიძისეულ ვარიანტში „მძღვეარი“ არსადაა ნახსენები. ცხადია, ხალხურ ლექსებსა და მათ წარმომავლობაზე ჩემნაირი დილეტანტის მსჯელობა ზედაპირული და ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ პარალელები უფრო იმიტომ მოვიშველიე, რომ თენგიზ მირზაშვილს უსაზღვროდ უყვარდა ჩვენი უბადლო ხალხური პოეზია და ცდუნება გამიჩნდა, თითქოს მისი სული მყავდა გამოხმობილი, მას ვებაასებოდი.

ახლახან ნავიკითხე (ალმანახი „კრიტიკა“ 2012, 7) დიდად ნაყოფიერი ფოლკლორისტიკის, თენგიზის უახლოესი მეგობრის ამირან არაბულის ძალზე საყურადღებო გამოკვლევა — „მძღვეარი“ და „მკვდართა მზე“ — ორი ქვეყნის, ორი სამყაროს მეკავშირენი ხალხურ სიტყვიერებაში. მკვლევარი სავსებით სამართლიანად, დასაბუთებულად აწყვილებს ერთმანეთთან „მშვენიერ მძღვეარსა“ და „მკვდრის მზეს“, ნათელყოფილია მათი „ორმაგობა და ორბუნებოვანება“, როგორც „ორსკნელში მოარულ ღვთაებათა ჰიპოსტაზებისა“.

დიდძალი ფოლკლორული თუ ლიტერატურული მასალის გულმოდგინე შესწავლას ეფუძნება ამირან არაბულის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება: „მკვდართა მზე მხოლოდ ნეტარი, მართალი, ღირსეული სულებისთვის ანათებს შავეთის შუაგულს და, სხვათა შორის, გარდა ქართველი მთიელებისა, ასევე ფიქრობდნენ თრაკიელი გეტები...“

ნაშრომში ცალკეა განხილული „ადამიანის შემწე ფრთოსნების“ განსაკუთრებული, „საკრარული მისია“. საგანგებო ყურადღება ეთმობა გუგულსა და მერცხალს. ამავე რიგს არის მიკუთვნებული, კიდევ ერთი პატარა ფრთოსანი „გუთნის ჩიტა“ ანუ ურნატა, რომელსაც ხევსურეთში დაბადებული და გაზრდილი ამირან არაბული ასე გვიხატავს: „ესაა შავ-თეთრით ჭრელი ჩიტი, რომელიც გაზაფხულობით ნახნავის

კვლებში ჩნდება და საკვებს დაეძებს“.

მკვლევარი თავიდანვე აღნიშნავს, რომ „მშვენიერ მძღვეარად“ სახელდებული ფრინველები „წელიწადის დროთა ციკლურ მონაცვლეობას“ (ზამთარი-გაზაფხული) მისდევენ და განგებისაგან დანესებული მათი გადაადგილება, გამოჩენა „ხალხურ მსოფლხედვაში ფართო მასშტაბის კოსმიურ გააზრებას იძენს...“

\* \* \*

ბედის დაცინვას გავდა, დაუჯერებელი მეჩვენა, როცა თენგიზ მირზაშვილის დასაფლავებიდან ორი დღის მერე ტელევიზორში გამოაცხადეს, გურამ ლორთქიფანიძე გარდაიცვალაო. მთელი თბილისი დაამნუხრა ამ ამბავმა. ლორთქიას სულში იძვრენდნენ, ეთაყვანებოდნენ, მისი იშვიათი ბუნებისა და თბილი გულის გამო (რა უნდა გეთხოვა, რომ მხარში არ ამოგდგომოდა), ქართველობის სიკეთისა და სიყვარულის განსახიერებად თვლიდნენ. უეცრად გამახსენდა, როგორ ჩქარ-ჩქარა წარმოსთქვამდა სიტყვებს და დამნუხრებულმა გავიფიქრე, რომ ველარ გავიგონებდი მის ხმას, მისი თვლების სწრაფ ხამხამსაც ვერასოდეს დავინახავდი. ტელეფონზე როცა დავურეკავდი ან დამირეკავდა, მაშინვე მეტყოდა მთავარ სათქმელს და მალევე შეწყვეტდა ხოლმე ლაპარაკს, დაუმშვიდობებლად კიდებდა ყურმილს. ხასიათი ჰქონდა ასეთი, არაფერი იყო საწყენი.

ვერის ძველ, მყუდრო სასაფლაოზე დაკრძალეს, თავის საყვარელ მშობლებთან. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ იგი გვერდიდან ამაცალეს.

ის დღეც მახსენდებოდა, ერთი კვირის წინანდელი (მკლავში მქონდა ხელი მოკიდებული), მაღლა, რომ ავახედე და კისრებწანვდილი გადამფრენი გარეული ბატების გუნდი დავანახე, ორ მწკრივად განელილი.

ზამთრის ერთ კვირაში ორი ძვირფასი პიროვნება მოშორდა სამზეოს. უკვე შორეული ბნელი ძალებისაგან თავს მოხვეული ძმათა შეტაკებების მომსწრე უსაშინლესი და სამარცხვინო 1991 წლის უხვთოვლიანი ზამთარიც მომაგონდა, დეკემბრის ბოლო დღე. ტყვიების ზუზუნში (პანაშვილის ჩატარებაც ვერ მოხერხდა გაბმულ უშუქობაში) თენგიზ მირზაშვილის, ჩუბჩიკას ყველაზე გულითადი მეგობარი, ქართული პროზის მშვენიერ რეზონანსივლილი მივაბარეთ დიდუბის მიწას.

გარდა სამაგალითოდ სრულყოფილი

მოთხრობებისა, რეზო დოკუმენტური პროზის დიდოსტატიც არის და აქაც მინდა მოვიხმო ჩეხოსლოვაკიაში ტურისტად ყოფნისას დაწერილი მისი ერთი მცირე ჩანახატი „გედები“, ჩემი უშნოდ განელილი, არეულ-დარეული დღიურის განნობილებას, სულისკვეთებას რომ შეფერის და თანაც უცრემლოდ ვერ ჩაიკითხავ. იმდენად ამაფორიაქებელი და შთამბეჭდავია (შეფასებაში თუ რამე მეშლება, თვითონვე ნახავთ და მერე გამამტყუნეთ).

რეზო ინანიშვილს კი არაფერი მოლანდებია; იგი თავისი ყურით მოსმენილს და თვალთ ნანახს გვიყვება — მისებურად, დინჯად და სევდიანად, როგორც ჩვეოდა.

ვიდრე მის ხსენებულ ჩანახატზე ვიტყვოდე რაიმეს, მანამდე შესანიშნავი პოლონელი პოეტისა და ხელოვნებათმცოდნის ზბიგნევი ჰერბერტის (1924-1988) ერთ, ძალზე დრამატული შინაარსი და ესეიში — „სახლი“ — ამოკითხული მინდა გავიხსენო. როგორ შეიძლება არ შეგეშალოს უძილობისგან ქანცგანყვეტილი უმამაცესი ჰოლანდიელი ზღვაოსანი (იგი ლეგენდარულ ვილემ ბარენცს ახლდა), პოლარეთის სულისშემხუთველ ჯოჯოხეთში მყოფი, ვისაც ჰორიზონტზე ამოჩრდილი ყინულის მთები თეთრი გედების გუნდად მოეჩვენა და გახარებულმა, ამხანაგების გასაგონად ველური ყიჟინა დასცა. ეს გამაოგნებელი, ჭკუიდან გადამყვანი მირაჟი ერთ უკვდავ პოემად ღირს, კოლრიჯის შედეგს — „თქმულება ძველ მეზღვაურზე“ — დაამშვენებდა, სადაც ყინულების პირქუშ უდაბნოში ფართოდ ფრთებგამლილი ალბატროსი გამოჩნდება.

რეზოს პრალაში ყოფნისას დაუთვალიერებია ცნობილი ჰრადიცაში აჭრილი სასახლეებისა და ტაძრების გოთიკური ელვარება, „ოქრო ცურვილი შპილები და ჯვრები“. მოღრუბლული დღე ყოფილა, ნვრილად ცრიდა და გასაოცარი სურათის მხილველი გამხდარა.

უბრალო, შეულებავი, მეტრნახევრიანი ცემენტის ობელისკთან, „პატარა, შავი ხეების სკვერში“ დამწუხრებული, ქუდმოხდილი ხნიერი მამაკაცები, პატივისცემის ნიშნად თავებს დაბლა ხრიდნენ, ეს ყოფილა საფლავი პრალის განთავისუფლებისას დაღუპული მეტად მგრძობიერ რომანტიკული ბუნების რუსი ყმანვილის ბელიაკოვისა, ვის ხსოვნასაც პრალელები აქამდე სათუთად ინახავენ. რეზო ინანიშვილს მისეული უზადო სინატიფითა და თავშეკავებული მღელვარებით აქვს მოთხრობილი ეს

გულსაკლავი და თანაც ამაღლებული ამბავი, რომლის გადწერაც ლამის მთლიანად მომიხდა:

„გერმანელები პრალიდან განდევნეს. ურიცხვი იყო დახოცილი, დაჭრილი. აქ, ამ მოედანზე, მონასტრის შენობებში ლაზარეთი იყო გამართული, ლაზარეთში მშვენიერი ჭაბუკი ბელიაკოვი კვდებოდა. ერთადერთი შვება მისთვის მუსიკა იყო. ეს მუსიკა სამრეკლოდან ჩამოესმოდა, როცა იქ საათი დარეკავდა. ბელიაკოვმა სულის ამოსვლისას ითხოვა, აქვე დაემარხათ სადმე, მარად რომ ესმინა სამრეკლოს მშვენიერი ხმები. დამარხეს. მაგრამ მის გვერდით სხვებიც დაიმარხნენ ბევრნი, იქაურობა ნამდვილ სასაფლაოდ იქცა.

როცა დამშვიდდა ყველაფერი და შეიძლეს, სასაფლაო გადაიტანეს. მხოლოდ ბელიაკოვის საფლავს არ ახლეს ხელი. ის ისევ იქა წევს ხეების ქვეშ.

ვიდექი და ვლოცავდი კეთილ ადამიანებს, ვინც ეს გააკეთა.

და საოცრება!

მოფრინავენ გედები, თხუთმეტნი მაინც, ერთად, თეთრები და ფანტასტიურნი რუხ ცაში!

გრძლად ნაწვდილი კისრებით მდუმარედ, მწყობრად, ფრთების ნელი მელოდიური რხევით გადაუარეს სწორედ ვარდისფერი ტაძრის სამრეკლოს, სწორედ მაშინ შესრულდა თორმეტი, დაიწყო მუსიკა, დაირეკა თორმეტჯერ, ისევ გაგრძელდა მუსიკა.

გედები კი მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ.

რაზე რას შეატყობ, მაგრამ გედებმა რალაც მოიტანეს კარგი, რალაც კარგი მიჰქონდათ იქით და იქითაც“.

გუნება მეშხამება — დროის შეუჩერებელ სრბოლასთან, მის უღმობელობასთან რას გახდება ჩვენი შემაშფოთებლად გამეჩხერებული, სავალალოდ დაცოტავებული საძმო. არავინ იცის, ხვალ ვისი ზარი ჩამორეკავს, ვისი ცხოვრების ნიგნი დაიხურება, სულ უფრო ხშირად ჩამესმის ქალაქის თავზე გადამავალი, გულ-მკერდით ჰაერის ცივ ჭავლებს შეხილილი გადამფრენი ფრინველების — გარეული ბატებისა თუ გედების აბრეშუმით რბილი ბუმბულით შემოსილი ფრთების ნაღვლიანი, ქარში გაცრილი შრიალი. ისინი ყველაფერს ხედავენ და მკვდრის მზესთან ერთად უკანასკნელ გზას უნათებენ ამ ქვეყნიდან სულეთში ღირსეულად წასულთ; მიაქვთ და

მოაქვთ ამბები, ორ სამყაროს შორის ღვთისგან დადგენილი იდუმალი კავშირი რომ არ განყდეს.

ვერ ვეხსნები ათასჯერ ნაფიქრს. ვინ იცის, ეღირსა თუ არა ზემოთ მოხმობილი გულდამწველი ლექსის მთქმელ ბანოვანს ტყვეობიდან განთავისუფლება. ვინ აღრიცხავს, რამდენი ასეთი, შესაშური თვალტანადობის ქალი მოხვდა ოსმალთა ჰარამხანებში, რამდენი ბორკილდადებული, საჯიშე ქართველი ყმანვილი გაყიდულა სტამბოლსა თუ ალექსოს ბაზრებზე.

ტყვეობიდან გაქცევა რა აუნერელი ნეტარებაც არის, ეს ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსნის“ დამწერთან მხარშედგმულმა გურამიშვილის გენიამ გვაგრძობინა. ნესტიან, მრუმე ხაროში ნაგდებმა, ლექთა დამამცირებელი ტყვეობიდან თავდახსნილმა, მადლიერების ნიშნად, თავისი დიდი მოსახელის, ბიბლიურ დავითისადმი აღავლინა მსურვალე ლოცვა („დავითის შესხმა პირველი“) და ლაზარეს დარად მკვდრეთით აღდგომა სწორუპოვარი ელვარებით, „ჩახრუხაული ხმითა“ წყვდიადიდან დღის სინათლეზე ამოსვლას შეადარა:

*ბნელში მგდებარე, გამოვედ გარე,  
ვითა დავლამდი, ისევ გავსთენდი!*

თუ რაოდენი შუქი მოგვფინა მისმა თვალისმომჭრელმა გათენებამ, ჯურღმულიდან თავის დაღწევამ, ქრისტეს ხატად ჩათქმული მზის ხილვამ, ეს ისედაც ცხადია.

კვლავ უნდა მოვიბოდიშო — ტყვე ქალის ლექსზე ამდენი იმიტომაც დავყოვნდი, მეგონა თენგიზ მირზაშვილის უჩვეულოდ მგრძობიარე სულს ვეხმინებოდი. თენგიზს, ჩვენს ჩუბჩიკას, თავდავინწყებამდე უყვარდა ქართული ფოლკლორი და ხალხური ლექსის სინატიფზე მასთან საათობით მისაუბრია. ზოგჯერ კიდევაც შევკამათებოვარ, მაგრამ თავის შემუშავებულ თვალსაზრისს არასდროს თმობდა. ერთხელ ასეთი რამე მითხრა — „ვეფხისტა და მოყმის ბალადის“ სიძლიერის ქართველ პოეტებს არაფერი შეუქმნიათო. არ დავეთანხმე, მთლად ასე არ არის-მეთქი, მაგრამ უკან არაფრით არ დაიხია, ვერ დამარწმუნებ, რომ მეშლებათო. რამდენადაც კეთილი და ყველაფრის გამმეტებელი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმდენადვე შეუპოვრობას იჩენდა კამათის დროს, არაფერს დაგიტმობდა.

ასეთივე პოეტური, შეუმღვრეველი სული ჰქონდა გურამ ლორთქიფანიძესაც, თბილისური ხასიათის ყველაზე შნოიანად მატარებელ ლორთქიას. პოეზიის, მწერლობის

დიდი მოყვარული იყო და თუ ვინმესი რამე მოეწონებოდა, უსათუოდ ხმას მიანვდენდა, შეაქებდა. თავად ხელშესაწყობი და დასახმარებელი (უმწვავესმა ჰეპატიტმა გაუნადგურა ჯანმრთელობა, მკურნალობა საკმაოდ ძვირი ჯდება და თორნიკე კოპალეიშვილი მოსკოვიდან უგზავნიდა ძნელად საშოვარ ამპულებს) სხვის დახმარებასა და მეცენატობაზე ოცნებობდა — ხშირად უთქვამს, ნეტა ისე გავმდიდრდებოდე, რომ ბიჭებს, ჩემს ახლობლებს, თვეში ერთხელ ჯიბეში ათას-ათასი დოლარი ჩაფუდოო. ეს ცხადია, განუხორციელებელი უტოპია იყო, მაგრამ ალალი გულით ამბობდა. ყველამ იცოდა — სიცოცხლეში ლორთქიასა და ჩუბჩიკას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ბოლოს თვით სიკვდილმაც იმდენი ქნა, აღარ დააშორა ასე შეთვისებული ძმაკაცები, მათი ბედი სამუდამოდ გადააჯვარედინა.

\* \* \*

მთელი ჩემი ცხოვრება ახლობელი ადამიანების დაკარგვას განვიცდი. ღამე არ გაივილის, იმათზე არ ვფიქრობდე, არ ვიტანჯებოდე; მინდა კვლავ სამზეოს დავუბრუნო ისინი, გავაცოცხლო, ავახმიანო, მაგრამ ჩემს განუწყვეტელ ცდას, ნვალებას არანაირი დამაიმედებელი შედეგი არ მოსდევს და ძველ, გაჩორკნილ სანოლზე ღონემიხდილი, მხრებჩამოყრილი ვგდივარ.

ის კი არადა, ამდენი ხნის ნაგროვები ტკივილის გადმოცემაც არ ძალმიძს სრულად, მთლიანად, იძულებული ვხდები ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩემს ურვას დავჯერდე. ამჟამად რასაც მოფუყარე თავი, წვეთია იმ ზღვისა, ჩემს დახეთქილ კედლებდაბზარულ გულში რომ იძვრის.

არ მინდა აღუნიშნავი დამრჩეს, ზამთრის მიმართ ყოველთვის უცნაური, გაორებული დამოკიდებულება მქონდა და ეს რომ ასეა, ამას ადრინდელი, გასულ საუკუნეში აღძრული ფორიაქიც ცხადყოფს. ჩავიხედე ერთ ძველ, თოთხმეტი წლის წინანდელ რვეულში და ვნახე, იმ დროსაც როგორ განვიცდიდი ბურუსიდან დეკემბრის ანუ ზამთრის გამოჩენას. მაშინ ჩანერილი ერთ-ერთი ლექსი („ზამთარი გამობოხდა“ 26.11 1999) ასე გამოიყურება:

*მეჩვენება (ასეცაა),  
სიცოცხლისგან მთიშავენ  
დეკემბერო, შენ იცი  
ახლოვდება სიშავე.*

*ყრობის დროს რომ დაჰქროდნენ,  
ის ქარები მთოშავენ,  
ყინვა მწინკნის, ყინვისა  
იტკაცუნებს დროშავე.*

*რა გამათბობს, სულ ჩამიდგამს,  
რა ნაბადი, რა შალი...  
ვინ ჩამძახის — ისევ მინა  
გახდებო, ნაშალი.*

იოლი შესამჩნევია, ალაგ-ალაგ საზომი ირღვევა, მაგრამ ეს უყურადღებობით, დაუდევრობით არ მომსვლია — შებორძიკება, ტეხილი რიტმი განწყობილებათა სწრაფმა ცვალებადობამ განსაზღვრა, რაც სტრიქონთა ნაწილს გადაეცა. ამას დისონანსი არ გამოუწვევია.

საგანგებოდ დასამტკიცებელი და ნათელსაყოფი არაა — ჩემში მართლაც სხვანაირ განცდებს ბადებს ზამთარი, განსაკუთრებით წელიწადის ბოლო და ზამთრის პირველი თვე, დეკემბერი, როცა ცა, ღამ-ღამობით, ჩვეულებრივზე ბევრად შავი და შემაშფოთებლად შორია, მაგრამ ჩემი არსების სიღრმეში ვიცი, დედამინა ამ დროს ყინულის ბორკილების დასალენავად ემზადება, ქანს იღებს, რათა სამი თვის მერე შემთბარ მკერდზე გაზაფხული ამოიქარგოს.

მანამდე მეც თითქოს გაყურებული, მიწავლული ვარ, თუმცა შეუცნობელი, ფარული ალტკინება ფუთფუთებს და წრიალებს ჩემს სხეულში, გარეთ გამოჭრასა და იერსახის შექენას, ყალიბში მოქცევას ღამობს.

გასული წლის დეკემბერი დიდად არ განირჩეოდა დანარჩენებისაგან და ზამთრისეული მოწყენილობა ცოტათი მაინც რომ გამეფანტა, რვეულში გადამქონდა უცაბედი, თითოსტროფიანი გაელვებები.

ერთი ასეთი („ბნელ ოთახში შესვლისას“), დასანოლად რომ ვემზადებოდი, სწორედ მაშინ ამიფარფატდა ჩასაქრობი ნათურის ახლოს და იმდამინდელი თარიღიც უზის. იგი როგორღაც ესადაგება ამჟამინდელ სადაგ განწყობილებას და ვიფიქრე, არაფერი დაშავდებოდა თუ აქვე ჩავურთავდი:

*ირეკლავს თვალთა ფერი იმასვე,  
შეეფეთება რაც რო;  
არ მომასვენებს სვე უბედურთა,  
სული რომ ამომადრო.*

თუკი საამისოდ ხარ დაბადებული,

დასანერის მეტი რა არის, მაგრამ ჩემი ბუნების გამო, გარდაცვლილებზე გლოვა, მათი გამოტირება მთავარ თემად მექცა და არა მგონია, ამ გზიდან როდისმე გადავუხვიო.

ახლაც ვეცადე გამომეხატა, როგორ შემძრა, დამანალვლიანა ორი ერთმანეთის მეგობრის, ჩემი ასეთი ახლობლის ერთდროულად წასვლამ ამ ქვეყნიდან და რაცეები მივბლანდ-მოვბლანდე, გლოვის ხმას პირდაპირ ვერ მივეცი სადინარი და უკმარისობის გრძნობა შიგნიდან მხრავს, მთრგუნავს; ამ ორის დალუჰვამდე თითქმის შვიდი თვით ადრე მომძალეობა შაირსიტყვად ამოთქმული უსათაურო (ტყვე ქალის ლექსს კოჭამდეც ვერ მისწვდება), ჩემგან გადატანილ უბედურებებზე ზოგადად რომ მიანიშნებს და ჩემს გულში ვევედრები უფალს (ვერავინ დამიშლის, მის მსახურებაში გავცვითო ჩემი მტკივანი, გადაქლექილი მუხლისთავები), მსგავსი რამ არავინ გამოსცადოს, ნუ იფიქრებენ, ვინმეს რაიმეს ვაყვედრიდე — მიმართვის ფორმაა ცოტათი მედიდური და ესეც უნებლიეთ მომივიდა, ველარ გადავაკეთებ. რაც არი, იმაზე მეტად ვერც ეს უბადრუკი სამი სტროფი დაამძიმებს ზამთრისპირული სევდის ფანტელებს და დასასრულ, ბარემ ამასაც ამოვიწერ:

\* \* \*

*თქვით, გაუძლებდა რომელი —  
იმ მეხთატეხას, იმ ღრიალს?!  
თქვენ არცკი დავგეისზმრებათ,  
მე რო ცრემლები მიღვრია.*

*იმან ხომ იცის, ვისთვისაც  
მახვილზე ნამოვეგები...  
ცრემლი იგივე სისხლია  
თქვენ არ იცოდეთ, ეგების!..*

*გულგვამში ნატრიალები,  
არ მითქვამს არც ნახევარი...  
ათი მთის გადმომსერავი,  
რა ამბავს მეტყვის მძლევაარი?!*

ძნელად ჩამოსათვლელ მიზეზთა გამო, ვერა ვარ მთლად კარგ გუნებაზე. სიბერეზე დაჩვილებამ ვის რა შვება მოგვარა, მე რომ დამედოს მალამოდ. სხვა, საქვეყნო სადარდელი უფრო მანუხებს. ირგვლივ ბევრს ვერაფერს ვიგებ გასახარელსა და სასიამოვნოს, მაგრამ გულზე მაინც ვერ დავიკრეფ ხელებს, არ მინდა, ბოლომდე გადავიწერო ისედაც დამცრობილი იმედი.



# როსტომ ჩხეიძე ლეონდა ერეკლე ტატიშვილისა

ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური“  
(ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)

სსოვნასა და ფიქრშილა თუ იტრიალებდა მამის ლანდიო...

მამაშვილური ურთიერთობა იქ უნდა ეპოვნა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სექციაზე.

მშობლიურ გარემოდ კი ჯერ აუდიტორია უნდა დაეგულეებინა და მერე უკვე ერთი პატარა ოთახი იმ ქუჩაზე, რომლის სახელიც შიშისმომგვრელად გაისმოდა — ძერუინსკისათვის მიეკუთვნებინათ, ასე გადაენათლათ პეტრე დიდის სახელით დამკვიდრებული. და ჩეკას საიდუმლო სარდაფიც იქ რომ მოეთავსებინათ, ეს ხომ ხელშესახებს ხდიდა რკინის ფელიქსის გრგვინვა-ზარით მოგვრილ ძრნოლას.

ეს ინგლისურ განყოფილებაზე მონიდომებდა სწავლას და სხვებთან ერთად გულისფანცქალით დაელოდებოდა იმ კაცის გამოჩენას, ვისთანაც ხუთი წელი უნდა გაეტარებინათ და ვისზეც ლეგენდები ტრიალებდა.

ესაო და — ცხოვრებაზე გულგატეხილია, თავის დროზე ისეთი რამ შემთხვევია, საბოლოოდ გასცრუებია იმედი და ხელი ჩაუქნევია ყველაფერზე, ამქვეყნიური არაფერი სწამს, შეკედლებულა ერთ პანანინა ოთახში, ყველასაგან მონყვეტილი, ახლოს არავის იკარებსო.

ესაო და — ღვთის მორწმუნეა და მალულად დადის ეკლესიაში, საეკლესიო საბჭოს წევრიც კი არისო.

ესაო და — ახალგაზრდობისას ქალი ჰყვარებია და, რაკიდა ეს სიყვარული უიღბლო გამომდგარა, სამუდამოდ შესძულებია ქალის სახსენებელიო.

ესაო და — დაუფლებულია რამდენიმე მეცნიერებას (სტამბოლში ექიმადაც უმუშავია), მაგრამ ნიჰილისტია და თვითონვე არაფერი სწამს ამ მეცნიერებებისაო.

ესაო და — რამდენიმე უცხო ენა იცის, ძალიან კარგი პედაგოგია, მაგრამ გულჩახვეული, პირქუში, ცივი, მიუკარებელი და გაულიმარიო.

უჩვეულოდ გამოიყურებოდა ამ პიროვნული ხასიათისა და ბიოგრაფიის კაცი არამარტო ახალგაზრდებში, არამედ თანატოლთა და უფროსი თაობის თვალშიც, განსაკუთრებით მისი ღვთისმორწმუნეობა და საეკლესიო ცხოვრებასთან ასეთი სიახლოვე აოცებდათ და გმირის შარავანდით მოსილად აღიქვამდნენ და ძველ მარტვილთა თავდადება აგონდებოდათ.

არადა, როგორ გინდოდა ერთი კაცის არსებაში დაგენახა მორწმუნის შემართება და ნიჰილისტის ტრაგიზმი? შეუთავსებლის შეთავსების, წინააღმდეგობრივ თვისებათა მორიგების ასპარეზად წარმოდგებოდა მისი გული და... ყველა, დიდიც და პატარაც, რაღაც განსაკუთრებულის აღსრულებას მოელოდა მისგან, მისიას, რომელიც მას თუ შეიძლება ეტვირთა, თორემ სხვას არავის.

ეს „რაღაც განსაკუთრებული“ ჯერჯერობით არა ჩანდა და არა.

ლეგენდები მაინც არ ქრებოდა.

არც მისი სახე ხუნდებოდა, იმ ერეკლე ტატიშვილის, ვისაც სამართალმცოდნე ცალკე დაიჩემებდნენ თავიანთ აღმზრდელად და სულიერ წინამძღოლად და ფილოლოგები — ცალკე. თუმც ეს ყოველივე შინაგან სიამაყესა და დითირამებს არ სცილდებოდა, რომ ღმერთმა არგუნათ ამ იშვიათი

ღირსებებით დაჯილდოებული კაცის ირგვლივ ტრიალი, ძველთა მოღვაწეთა დასაღმარის. და კარგა ხანს წარმოუჩინელი რჩებოდა, ვიდრე ვახტანგ ჭელიძე არ იდებდა თავს, ზუსტად და ანალიტიკურად განესაჯა და შეეფასებინა მისი მოღვაწეობის მასშტაბი და ასპარეზი, რამდენიმე მხარეს განტოტვილი.

ამ ყოველივეს გვირგვინად მაინც ჩვენს მთარგმნელობითი საქმიანობის გამოცოცხლება-წინსვლაში დადებულ წვლილს წარმოსახავდა, ზოგად ორიენტირებს მონიშნავდა, რათა შემდგომში — მონოგრაფიული შესწავლის წყალობით — ეს ზეგავლენა ხელშესახები და დეტალურად გამორკვეული ყოფილიყო.

მისი სწავლების მეთოდსა და ხერხებზეც ჩამოაგდებდა სიტყვას და აქაც ზოგად ორიენტირს შემოგვთავაზებდა, მოიბოდიშებდა კიდეც, რომ ჯერჯერობით არ უხერხებოდა ამ მეთოდის სათანადო ფორმებში ჩამოყალიბება და მეცნიერული განზოგადება, და ინგლისური ფილოლოგიის კათედრის წევრებს შეაგულიანებდა: თქვენთვისაა სწორედ უპრიანი ამ ღირსეული მასწავლებლის სწავლების მეთოდის გააზრება — რისი თეორიულად ჩამოყალიბებაც მან ვერ მოასწრო თუ არ ინდომა — რათა შთამომავლობას არ დაუკარგონ და პრაქტიკულადაც გამოიყენონ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

თუმც მანამდე საკმაოდ გრძელი გზაა.

ჯერ ის კაცი, ლეგენდების შარავანდით შემოსილი, პირველად უნდა გამოჩნდეს პედაგოგის ამპლუაში — ზარის დარეკვისთანავე შემოვიდეს აუდიტორიაში, ხელით ანიშნოს სტუდენტებს, დასხედითო, რბილი, ყვითელი ტყავის პორთფელი — როგორც უნდა აღმოჩნდეს: განუყრელი — კათედრაზე დადოს, იკითხოს: რვეულები ხომ გაქვთო, — თვითონ დაფასთან მივიდეს, ცარცი აიღოს, წინასწარ გააფრთხილოს: რასაც დაფაზე დაწერ, თქვენ გადაინერეთო, — და კიდეც დააჩნდეს ცარცის კვალი დაფას.

ეჰეეე!..

ყველასათვის მოულოდნელი რაღაც ხდებოდა. იმ გულისფანცქალს ვინ ჩივის, ლამის სასწაულთან შეხვედრის მოლოდინით გამოწვეულს, სულ დაიბნეოდნენ და ველარაფერს გაიგებდნენ, აქ სად ამოეყოთ თავი.

ჯერ ხომ უნდა გაცნობოდათ, ამათვის რაიმე გამოეკითხა, ესაუბრა საერთოდ საუნივერსიტეტო განათლებასა და კერძოდ უცხო ენის მნიშვნელობაზე.

ასე შეეჩვია ახალგაზრდები იმ გარემოსათვის, რომელიც ამათ ისედაც ცივი და პირქუში ეჩვენებოდათ... და ახლა — იდუმალი ძაფების გაბმის ნაცვლად — ლექტორის სიცივე და სიპირქუშეც ემატებოდა.

თანაც... დაფაზე პირდაპირ სიტყვებს რომ უწერდა ლათინური ასოებით, ჯერ... ანბანიც რომ არ ესწავლებინა მათთვის?

აუჰ! აქ ესენი დიდხანს ვერ გაჩერდებოდნენ.

არა, რაღაც კვლავ იზიდავდათ მისკენ. ლეგენდური შარავანდის გარდა მისი ხმა მოეჩვენებოდათ გულშიჩამწვდომად — იშვიათი სილამაზისა და ტემბრის ბარიტონი, რაღაცნაირი თანადგომისა და გულითადობის სირბილე რომ დაჰკრავდა და ერთბაშად გაგრძნობინებდა იმ დიდ სიყვარულსა და სიკეთეს, რითაც ამ ადამიანის სული გამოთბარიყო და რითაც ყველა ახლობლის სულს ათბობდა და აკეთილშობილებდა.

გავიდოდა დრო და ვახტანგ ჭელიძე აღმოაჩინდა, რომ ადამიანთა ნამდვილ ხასიათსა და არსს გარეგნული ნილაბი ფარავს და მეტ-ნაკლებად ძნელდება მათი შინაგანი ბუნების შეცნობა და ამოკითხვა. მაგრამ ბუნება თვითონ იძლევა გასაღებს თვით ყველაზე გულდახურულ ადამიანთა სულის შესაცნობად. ეს გასაღები კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს — ღიმილი, გაცინება, გამოხედვა, მიხრა-მოხრა... და ხმა, რომელსაც ერთგვარ პასპორტადაც კი მოიხსენიებდა, პირველი მოსმენისთანავე თითქმის უტყუარად რომ გადმოგვცემს მის ხასიათსა და ბუნებას...

ყმანვილი ამას, ცხადია, ასე მკაფიოდ და ჩამოყალიბებულად ვერ იგრძნობდა, მაგრამ ალლო კი მიახვედრებდა რაღაცას და... ერეკლე ტატიშვილის ხმა თითქოს რაღაც საიმედოს აღუთქვამდა, მაგრამ შეხვედრის უცნაურობა მთლად თუ ვერ გააქარწყლებდა ხმის გულშიჩამწვდომობას, საგრძნობლად გააფერმკრთალებდა და გუნების წახდენას რას უშველიდა.

ჯერჯერობით რასაც ლექტორი დაავალებდათ, უნდა შეესრულებინათ და გადმოიხატავდნენ იმ ოცდაათამდე სიტყვას, საკმაოდ მარტივთ. გადმოწერას რომ მორჩებოდნენ, ის ცივი, პირქუში კაცი გააფრთხილებდათ: ყურადღებით იყავით, მე წაგიკითხავთ ამ სიტყვებს და თქვენ გამოთქმები უნდა დაიმახსოვროთ, თანაც ეცადოთ როგორმე კარგად დაიმახსოვროთ, რადგან ინგლისური დამწერლობა რთულიაო.

თურმე რასაც წერდი, სულ სხვაგვარად

გამოითქმოდა — მისი ფონეტიკური შესატყვისი ზოგჯერ დიდად განსხვავებულად გახლდათ.

მიუხედავად ამისა, წინასწარ გააფრთხილებდათ და მკაცრადაც გააფრთხილებდათ: არ ჩაინიშნოთ, თუ როგორ გამოითქმის ესა თუ ის სიტყვაო.

და ორჯერ წაიკითხავდა თავიდან ბოლომდე ამ სიტყვებს — ძალიან ნელა, მკაფიოდ, ისე მკაფიოდ, რომ განმეორება არავის გაძნელებია, სათითაოდ რომ წააკითხებდათ.

შემდეგ ქართულად ეტყოდათ რამდენიმე მარტივ წინადადებას, რომლებიც სტუდენტებს ინგლისურად უნდა ეთარგმნათ — იქვე, გაკვეთილზევე.

და ვახტანგს სამუდამოდ ჩაებეჭდებოდა ხსოვნაში ეს წინადადებები:

- ჩემი პატარა ძმა არის დიდ ოთახში.
- მამაჩემი არის ბაღში.
- მე მყავს ოთხი ძმა და ერთი და.
- სად არის დედათქვენი, ისიც ბაღშია?
- არა, ბაღში არ არის, სამზარეულოშია... და დაირეკებოდა კიდეც ზარი.

დავალებით დაავალებდათ, იმ სიტყვებიდან, რაც სტუდენტებს რვეულებში ჩაენერათ, ხვალისათვის შეედგინათ ექვს-ექვსი წინადადება.

მოიცა, ეს რა ხდებოდა — ნუთუ... ნუთუ უკვე აღაპარაკდნენ ინგლისურად, პირველივე გაკვეთილზევე?

თვითონაც უჭირდათ დაჯერება, რომ უკვე ინგლისურად ლაპარაკობდნენ... და ამ გაოცებაში ძალდაუტანებლად შემოიჭრებოდა სიხარულის განცდაც, და სიამაყისაც, თურმე ეს რა შეგვძლებიაო!..

და ახლა შორიდან რომ გახედავდა, მიაკვლევდა, რომ ერეკლე ტატიშვილის სწავლების მეთოდში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფსიქოლოგიურ მომენტს — ხალისით სწავლა, პირველდანყებითი სწავლების გამარტივება, დაჩქარება, და მოსაწყენიდან რაც შეილება სწრაფად გადასვლა უფრო რთულზე, იმაზე, რაც უფრო საინტერესო იქნება ანუ რასაც სწორედ „გემოს გასინჯვას“ თუ „გემოში შესვლას“ ეძახიან.

თვითონვე გახლდათ შემსწრეც და საკუთარ თავზე გადამტანიც, რომ ისეთი ახალგაზრდებიც კი, რომელთაც მანამდე ინგლისურის ერთი სიტყვაც არ გაეგონათ და უცხო ენის შეძლება კი სკოლაშივე მოეხსნოთ, ენას ამოიდგამდნენ ხოლმე და, ხალისით რომ იწყებდნენ მარტივ წინადადებათა შედგენას, მალევე საკმაოდ რთულ იუმორ-

ისტულ ნოველა-ანექდოტებსაც ზეპირად წარმოთქვამდნენ.

მოგვიანებით საკმაოდ რომ მოიკიდებდა ფეხს დასავლეთის ქვეყნებში სწავლების გახალისების, თამაშ-თამაშით შეთვისების მეთოდი და პროცესი და აგერ ჩვენს თვალწინაც მკვიდრდება, როგორც ევროპულ-ამერიკული პედაგოგიური მონაპოვარი, რომლის გაზიარებაც ასერიგად აუცილებელია, თურმე ეს მეთოდი ჯერ კიდევ როდის აღმოჩინა იაკობ გოგებაშვილს და შემოქმედებითაც გადაეღოთ იმ ადამიანებს, საამისოდ რომ მოწოდებულიყვნენ, და მათ შორის ერეკლე ტატიშვილსაც, მოსაწყენ სირთულეს, რაც გარდუვალია ყოველი ენის შესწავლისას, მოხდენილად რომ აწინააღმდეგებდა და ნელ-ნელა, თანდათანობით შეაპარებდა სტუდენტებს.

ვითომ ეს არ არის დაკავშირებული გარკვეულ რისკთან?

აბა, სხვაგვარად როგორ გინდა, რისკიც თუ არ გაითვალისწინე, მაგრამ როდესაც სულიერ ქურაში გამოატარებ ამ მეთოდს და არა ბრმად გადმოიტან, მარჯვედ მოახერხებ, რომ სულ წარმატების გზით იარო.

ვახტანგ ჭელიძე სიამაყით ამიტომაც დასძენდა: ერეკლე ტატიშვილი არასოდეს დამარცხებულაო.

და დაბეჯითებით შეგვაგონებდა, რომ ამ ხერხის ბრმად განმეორება არ იქნებოდა მიზანშეწონილი და სასურველი, მაგრამ ფსიქოლოგიური მომენტის პირველ პლანზე წამოწევა უსათუოდ მნიშვნელოვანი რომ არის, ეს თვალნათლივ დასტურდებოდა.

თამაშ-თამაშით, ხალისით, სიხარულით...

და თუ მაშინდელ რეალობაში ამ მეთოდის დამწუნებელნიც გამოჩნდებოდნენ და „მტკიცე არგუმენტსაც“ მოიმარჯვებდნენ: პედაგოგიკის თეორიაში ასეთი რამ არსად წერილიაო, — თუ ერეკლე ტატიშვილის ყურსაც მიწვდებოდა ეს საყვედური, სიცილით მოიგერიებდა:

— ჩაინერონ და თეორიაც ეგ იქნება!..

ისედაც უყვარდა როსტომ წერეთლის ამ მხიარულ სამოსელში გამოხვეული შეგონების გახსენება და ასეთ დროს ხომ შესაფერისი გახლდათ და შესაფერისი.

ჩაინერონო...

ვახტანგ ჭელიძე ინგლისური ფილოლოგიის კათედრას გადააბარებდა ამ „ჩაინერას“, არა კმაროდა, პრაქტიკული საქმიანობისას რომ იყენებდნენ, ადრე თუ გვიან თეორიული მსჯელობის სახეც უნდა შეეძინა — აგერ, სთავაზობდა ლექტორებს მთავარ ბირთვსაც

და ანალიტიკური განსჯის გეზსაც, ჯერ-ჯერობით ადვილად რომ ვერ აპყვებოდნენ. თუმცა დანერით მაინც დაინერებოდა ამ ყაიდის ნაშრომიც, თეზისური მონახაზი ერეკლე ტატიშვილის პედაგოგიური მოძღვრებისა, და დაინერებოდა თინათინ თუშმალიშვილის ხელით, ინგლისური ენის სახელმძღვანელოს შექმნით საკმაო გამოცდილება რომ მოეპოვებინა. და მასწავლებლის პედაგოგიური მეთოდი და ხერხები ძალიან რომ ნადგომოდა, კიდევ უფრო ღრმად შეეცნო ამ მოძღვრების არსიც და ბევრგვარი ნიუანსიც. და თუმცა ძალზე წყდებოდა გული, ეს მხოლოდ შორეული ანარეკლია მისი პედაგოგიური მეთოდიკისაო, ეს შორეული ანარეკლიც ბევრს ნიშნავდა ჩვენი საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის. თავისთავად ნიშნავდა ბევრს, მისი აღმოჩენისა და შესაფერისად დანერგვის დრო რომ დადგებოდა ადრე თუ გვიან, თორემ ჯეჯერობით მცირერიცხოვან ადამიანთა გულგასახარად რჩებოდა გორის სალიტერატურო ჟურნალის — „კლდეკარი“ — ფურცლებზე.

მის რედაქტორს ოთარ ჩხეიძეს შეეგულიანებინა თინათინ თუშმალიშვილი საამისოდ, ის პასუხად რომ მიუგებდა: მთელი ცხოვრება მანვალეებს ეს სურვილი, მაგრამ ვერ გამიბედავს, როგორ შევკადრო ბატონი ერეკლეს ხსოვნას მისი დიდებული პედაგოგიური ღვაწლის არაფრისმთქმელი ანალიზით?!

იმასაც დასძენდა: ვახტანგმაც არაერთხელ მირჩია ამ თემისათვის ხელის მოკიდება, რამდენჯერმე ნაშრომზე კიდევ, განა არა, მაგრამ მალევე მივატოვეო.

ვახტანგმაც იცის, რომ თუ ვინმეა ამის დამწერი, ერთი უპირველესი შენა ხარ, ზოგადადაც რომ ამბობს, ნეტა ვინმე გამოჩნდეს ერეკლე ტატიშვილის პედაგოგიური მეთოდის მეცნიერულად განმაზოგადებელიო, შენ გგულისხმობს, ჩვენ ყველას შენ გვაგონდები და ნურა შეგაკრთობს რა, თუ ბატონი ერეკლეს სახელის შესაფერისი არ გამოვა, ნულა დავბეჭდავთ და ის იქნება, ახლა კი დაე ჟურნალის დაკვეთად მიიღე და აღარ გადასდოო, — დაბეჯითებით განუცხადებდა ოთარ ჩხეიძე და ერთი-ორჯერ მეც დამაბარებდა მასთან: აბა, რას შვრები, გელოდებითო...

ჩაინერონ და თეორიაც ეგ იქნებაო...

ჩვენ კი ისე დაგვმართნია, როგორც იმ ანდაზის უსახელო პერსონაჟს, თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას რომ დაეძებს.

ხოლო იქ სტუდენტები პირველი დღი-

დანვე ძალზე თბილ და მშობლიურ გარემოდ რომ დაიგულეზდნენ უნივერსიტეტის კედლებს, ეს იმიტომაც, რომ ერეკლე ტატიშვილს ოფიციალურობისა ნასახიც არ ეცხო.

თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ყმანვილები გაუცნობიერებლად უკვე მიხვდებოდნენ მისი იმ საქციელის აზრს, უპირველესად მისი სულიერებით გამოწვეულს, სწავლებისას გარკვეულ დანიშნულებას რომ დააკისრებდა. და ეს იმ ვითარებაში, როდესაც სხვა ლექტორ-მასწავლებლები თითქოს ჯებირით დაშორებოდნენ სტუდენტებს — შევიდოდნენ აუდიტორიაში, ლექციას ნაიკითხავდნენ და გავიდოდნენ. შეიძლება ისე დაემთავრებინათ საგანი, რომ ახალგაზრდების გვარ-სახელიც არა სცოდნოდათ, და მხოლოდ გამოცდაზე მატრიკულიდან გაეგოთ მათი გვარები, იქვე რომ დაავიწყდებოდათ.

ერეკლე ტატიშვილმა კი პირველი დღიდანვე იცოდა სტუდენტების გვარ-სახელე-

ბით. ამათ გასაკვირი ეჩვენებოდათ, რადგანაც საგანგებოდ არც კი ეკითხა... და ყოველთვის სახელით მიმართავდა ყველას, ერთ შემთხვევასაც ვერავინ გაიხსენებდა, რომ ვინმესთვის გვარით მიემართოს. ისიც საგულისხმოა, რომ იცნობდა არამართო უშუალოდ თავის სტუდენტებს, ინგლისურ ჯგუფს, არამედ გერმანული და ფრანგული ჯგუფების სტუდენტებსაც.

— თავისთავად ესეც კი ძალიან თბილ, სასურველ ატმოსფეროს ქმნიდა. და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მძიმე ოცდაათიანი წლები...

ვითომ ისეთიც რა, არა?..

არადა, ამ „წვრილმანს“ რამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდებისათვის და სწავლების მეთოდის სრულყოფილებიანი დეტალიც გახლდათ.

და როდესაც ოთარ ჩხეიძეს ზეპირად ახსოვდა თავის სტუდენტთა გვარ-სახელები, სიის ერთი ჩაკითხვით ამოუშლელად ებეჭდებოდა გონებაში, და ყველას სახელით მიმართავდა ისე, რომ ერთ შემთხვევასაც ვერავინ გაიხსენებდა, რომ ვინმესათვის გვარით მიემართოს, ეს საქციელი მისი სულიერებითაც გახლდათ გამოწვეული და ერეკლე ტატიშვილის პიროვნული ზეგავლენითაც.

ლექციებზე ინგლისელი ქალიც რომ შედიოდა, იგი უმთავრესად ტექსტებს აკითხებდათ და ცოცხალ მეტყველებას აჩვენებდათ. ტექსტები მარტივი იყო, მაგრამ არა უცხოელთათვის საგანგებოდ ადაპტირებული,

არამედ ძირითადად საბავშვო წიგნები, ინგლისური სკოლების დანყებითი კლასების საკითხავი — ისტორიულ პირთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, ძალზე ექსპრესიულად და მიმზიდველად დაწერილი. და ასე გაეცნობოდნენ უოლტერ სკოტის, რობერტ ბერნსის, ჩარლზ დიკენსის, ჯონათან სვიფტის ბიოგრაფიებს, მათი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს, ზოგჯერ კურიოზულსა და სასაცილოსაც.

ეს მიზანიც ჰქონდა მოძღვარს — მისი ლექციები მხოლოდ ენის გაკვეთილები არ უნდა ყოფილიყო, უცხო ენის წყალობით სულ ახალი და ახალი ამბებიც უნდა შეეტყვოთ და შეეთვისებინათ. ის, რაც სკოლას უნდა მიეცა ყმანვილებისათვის, გაუკუღმართებული სწავლების გამო მათთვის მიუწვდომელი რჩებოდა, ბოლოსდაბოლოს რა — ყოველ განათლებულ ადამიანს რაც მოეთხოვება. და, აი, ერეკლე ტატიშვილის ლექციები გადაიქცეოდა გარემოდ, სადაც ბერძნულ მითებსაც შეისწავლიდი, შუა საუკუნეების თქმულებებსაც — ეს ართურისა და გრაალის ციკლიო, ეს ბეოვულფის საგმირო თავგადასავალიო, ინგლისის ისტორიის ნოველებივით დაწერილ სხვადასხვა ეპიზოდებსაც... რასაკვირველია, არც ძველი და ახალი აღთქმის იგავები დარჩებოდა სწავლების მიღმა, მიუხედავად უკიდურესად გამწვავებული ათეისტურ-ღვთისმგმობელური პროპაგანდისა — ეს იოსებისა და მისი ძმების ამბავიო, ეს დავითისა და საულის, სამსონისა და დალილას თავგადასავლებიო, ეს იაკობის სიზმარიო... იმდენი ეპიზოდი ამოიკრიბებოდა ბიბლიიდან, ჩამოთვლაც კი გაძნელებოდა... ათას ერთი ლამის ზღაპრებსაც გააცნობდა სტუდენტებს, ოღონდ შერჩევით, ვასკო და გამას, ქრისტეფორე კოლუმბისა და მარკო პოლოს მოგზაურობებს კი — საკმაოდ დაწვრილებით.

ეყრდნობოდა პალმერისა და უესტის სახელმძღვანელოებს, მემუარისტი „დიდებულის“ ეპითეტიტ რომ შეამკობდა, და მათ კვალბაზე თვითონ მოძღვარიც ადგენდა მოთხრობებს, თანაც ისე გააზრებულად, რომ ახალ-ახალი, ყმანვილებისათვის ჯერ უცნობი სიტყვა თანდათანობით შემოდოდა მათ თვალსაწიერში. წინა მოთხრობებში ანუ წარსულ გაკვეთილებზე შესწავლილი სიტყვები ყველა მომდევნო მოთხრობაში შეგხვდებოდა, ოღონდ სულ სხვა კონტექსტებში და სხვადასხვა სიხშირით.

უკვე მეორე კურსის დასასრულს ზოგად თემებს რომ სთავაზობდა სტუდენტებს,

იქნებოდა ეს „ჩემი გმირი“ ან „ჩემი საყვარელი მწერალი“ ან რომელიმე ლიტერატურული თხზულების გადმოცემა... და მათ ეს ორ საათში უნდა მოემთავრებინათ, ვახტანგ ჭელიძე ამასაც მისი პედაგოგიური მეთოდის აუცილებელ რგოლად მიიჩნევს — ცდილობდა გაეღვივებინა სტუდენტებში დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების უნარი, გამოემჟღავნებინა მათი უნარის მაქსიმუმი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ, შთაეგონებინა და გაეძლიერებინა მათთვის საკუთარი თავის რწმენა.

ესეც კიდევ ერთი, ღრმად გააზრებულ ფსიქოლოგიური მომენტი.

არადა, საამისოდ თვითონ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, ეს ათ-ათფურცლიანი თხზულებანი გულდასმით რომ ესწორებინა სხვა „წვილ-წვილ“ დავალებათა გარდა, და მერე თვითულ სტუდენტთან თავიდან ბოლომდე განეხილა.

სემინარი და ამისთანა!..

რასაკვირველია, ეს ყოველივე უნივერსიტეტის კედლებში ვერ მოესწრებოდა და შინ უნდა წაელო ხოლმე.

და ხშირად ენთო მის ერთიბენო ოთახში სინათლე ლამის ორ-სამ საათამდე.

რა იყო მაინც — მოსაწყენისა თუ მოსაბეზრებელის ნასახიც რომ არსად იგრძნობოდა და უცხო ენის სწავლება ისეთ შემოქმედებით პროცესად გადაქცეულიყო, შთაგონებით აღვსილად, როგორც სხვა ნებისმიერი შემოქმედება, ეგაა, მწერლობას, მხატვრობას, არქიტექტორობას, კომპოზიტორობას, რეჟისორობას, მსახიობობას დარქმეოდა ეს სახელი, მასწავლებლობა კი თითქოს ამ რკალის გარეთ იდგა, როგორც ვითომდა სულ სხვა რიგის მოვლენა. თუმც სულიერებაგამოცლილი მწერლობა ან მხატვრობაც რომელი შემოქმედებაა, და თუ ცოდნის გადაცემის პროცესიც შთაგონებითა და შემოქმედებითი სულით აღივსებოდა, განა იმავე რკალის სრულუფლებიანი წევრი თუ მონაწილე არა ხდებოდა?

თვით ყველაზე მოსაწყენი საქმიანობაც კი შეიძლება შემოქმედებითად გარდაიქმნას, თუ შესაფერისი პიროვნება გამოჩნდება; და მითუმეტეს რა უნდა ითქვას უცხო ენის სწავლების — საერთოდ, სასწავლო — პროცესზე, რომელიც თავისი არსით სრულიად არ არის მოსაბეზრებელი, თუკი ჭეშმარიტი პედაგოგის ხელით წარმართება და დროდადრო თავისებური სპექტაკლებითაც გაბრწყინდება. სიხალისე და მიმზიდველობა ხომ წამითაც არ მოაკლდება.

ჭეშმარიტ პედაგოგს პოეზიის სიმაღლეზე უნდა აეტანა თავისი საქმიანობა.

„პოეზია“ რომანტიკულ, ამაღლებულ სულისკვეთებას გულისხმობდა, ღვთით მომადლებულს, მიზანდასახულებისა და გამოცდილების კვალობაზე სულ უფრო და უფრო რომ უნდა გამახვილებულიყო და აელვარებულიყო.

ერეკლე ტატიშვილი ისედაც ყველგან პოეზიას, პოეტურ სანყისს ეძებდა და თავისი ცხოვრების სტილს მას უსადაგებდა.

მრწამსადაც ჩამოეყალიბებინა და შესაფერის ფორმულაშიც მოექცია:

— დიდი მეცნიერი დიდი პოეტიც უნდა იყოს!..

„მეცნიერს“ პირობითად ამბობდა, როგორც იმ გარემოსათვის შესაფერისს, სადაც სტუდენტებთან ერთად იმყოფებოდა, თორემ ეს ფრაზა ძალდაუტანებლად განზოგადდებოდა და ზოგადადამიანურ მისწრაფებებს მოიცავდა, საერთოდაც, თუ დიდი პიროვნების სახელის მოხვეჭა გენება, მაშინაც დიდი პოეტი უნდა ყოფილიყავი. რიგით ადამიანად ყოფნის დროსაც გვევლებოდა პოეტური სანყისის მოძიება საკუთარ არსებაში, მაგრამ ახალგაზრდები მხოლოდ დიდ საქმეთათვის უნდა შეეგულიანებინა და საამისოდ სწორედ ის ფორმულა სჯობდა, პერსი ბიში შელის ნათქვამად რომ იმონებდა.

ნეტა მართლა შელის ეთქვა თუ მიაწერდა? ამათ ვერსად დაედასტურებინა შელის ნაწერებში ეს ფორმულა ამ სახით. ეგებ გამორჩენოდით? ან ეგებ იმას ასეთ სხარტ ფორმულად ვერც ექცია. ასეა თუ ისე, თუკი ვინმეს მოუხდებოდა ამის თქმა, უთუოდ შელისაც, ყველგან და ყოველთვის პოეტი რომ გახლდათ და პოეზიაში ხომ იყო და იყო გამორჩეული შემოქმედი; და ერეკლე ტატიშვილი დიდ საქმეთათვის რომ აგულიანებდა თავის მონაფეებს, ამ საქმეთაგან ერთ-ერთი სწორედაც შელის მხატვრული მემკვიდრეობის ამეტყველებაც გახლდათ ქართულ ენაზე.

ვახტანგ ჭელიძეს უყვარდა ამ სენტენციის ხშირი განმეორება და ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ ორივე თხზულებაში საგანგებოდ მოიხმობდა, როგორც ერთბაშად დამახასიათებელს მისი პიროვნებისა, ყოველგვარი ფსიქოლოგიური დაკვირვება თუ ანალიტიკური განსჯა ამ ფორმულის ირგვლივ რომ უნდა შენივთებულიყო.

დიდი მეცნიერი დიდი პოეტიც უნდა იყოსო...

რომ დასცლოდა — ანუ საზარელი პოლიტიკური რეჟიმის ხანაში არ მომწყვედიულიყო და პიროვნული სკეპტიციზმი კიდევ უფრო არ გამკვეთებოდა — და შეექმნა ნაოცნებარი „რელიგიათა ისტორია“, სწორედაც იმ სიმაღლეზე აზიდავდა, დიდი პოეზიის შესატყვისად რომ აქცევდა, და ორიოდე ფრაგმენტი იმ დაუნერეელი წიგნიდან, ჩვენთვის რამდენიმე დიდებულ ესეიდ რომ შემორჩენილა, სტილური მანერითაც და შინაგანი მდინარებითაც პოეტური სურნელით გაჟღენთილად წარმოგვიდგება.

და არამარტო „კრიშნა“ და „საკია-მუნი“, არამედ „ფრიდრიხ ნიცშეც“, ტრაგიკული გერმანელი ფილოსოფოსისადმი მიძღვნილი ლიტერატურული პორტრეტი, ვითომ ცალკე მდგარი იმ ციკლისაგან, მაგრამ სინამდვილეში მტკიცე ძაფებით გადაჭდობილი, რადგანაც მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ ახალი რელიგიის წინამორბედად გამოჩნდებოდა, ღმერთდაკარგული სინამდვილის მოძღვრებად, და კიდევ მიიტაცებდნენ მის გარეგნულ მხარეს ნაცისტური იდეოლოგიის საფუძვლად და სიმბოლოდ.

ზარატუსტრას ქადაგებათა მძაფრად ემოციური, პოეტური სტილისტიკა სხვა ენებზე გადატანის დროს, ცხადია, მოითხოვდა ამ მანერის შენარჩუნებას, რაც ძალზე ძნელი გახლდათ, მაგრამ ერეკლე ტატიშვილის სულიერი და შემოქმედებითი ბუნებისათვის ზედგამოჭრილი, და ისე შთამბეჭდავად აამეტყველებდა ახალი ჟამის მქადაგებელს, ველარც გაიგებდი, ნიცშეს ეს ფილოსოფიური ქმნილება გერმანულად დაწერილიყო თუ ქართულად, ის კი არა, ქართულად სულაც თვითონვე რომ არ დაეწერა.

ერეკლე ტატიშვილის ლეგენდურ სახელს ეს სხივიც უნდა შემატებოდა მონაფეთა თვალში, როდესაც მასთან დაახლოების კვალობაზე აღმოაჩენდნენ, რომ საიდუმლო ვითარებაში „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ქართული ვერსია იქმნებოდა, ოდესმე მთარგმნელობით შედეგრთა შორის რომ უნდა ეპოვნა ადგილი, თუმც მოძღვარი ამას არ დაგიდევდა, თუ როგორ შეფასდებოდა მისი მოღვაწეობა საერთოდ და ეს თარგმანი კერძოდ — სულს ითქვამდა გაუსაძლის პირობებში, ეგაა და ეგ.

ისედაც ბევრ რამეზე აელო ხელი და ზარატუსტრას თავბრუდამხვევ მგზნებარებას ველარ შეეღეოდა. სულაც მის არსებაში შეიჭრებოდა, შეენივებოდა ნიცშეს გმირს და უკვე ველარც გაერჩია, გერმანული ქადაგებანი გაეხვია ქართულ სამოსელში თუ... თვი-

თონვე მოვლენოდა სამყაროს მქადაგებლად, ახალი სიტყვის მაუწყებლად.

ხოლო ქართული ენის იშვიათი ცოდნა ოჯახიდან რომ გამოჰყოლოდა და ყელქცეულის მეტყველების მაღლს სრულყოფილებამდე დაეხვეწა ეს ცოდნა, ვახტანგ ჭელიძე ენის ასეთ იშვიათ განცდასა და შეგრძნებას ქართული ზღაპრის წყალობადაც მიიჩნევდა და ამ დაკვირვებას ღრმა დასკვნის ფორმაშიც ჩამოაყალიბებდა: ტრადიციულ ოჯახში მიღებულ განათლებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ჩვენს შესანიშნავ მწერლებსა და ლიტერატორებს სწორედ ოჯახიდან რომ გამოჰყვათ ქართულის ცოდნა, პირველი ხმა აქ ქართულ ზღაპარს ეკუთვნოდაო.

ენის სრულყოფილი შეგრძნება ენის სრულყოფილ შეგრძნებად, და ერეკლე ტატიშვილს ჩვენი ზღაპრული ეპოსის სამყარო რელიგიათა ისტორიის დაუნერელი წიგნის ფორმასაც უკარნახებდა, იმ ორ ესეიდ რომ დაგვრჩებოდა და უღრმეს აზროვნებას ლიტერატურული ზღაპრის სამოსელი მოერგებოდა. და თხრობის ლალი მდინარება ძალდაუტანებლად ჩაგფლავდა დიდი სიბრძნის სამყაროში, ათასგვარ შეხედულებასა და განცდას რომ დაგიღებავდა სულში, და — ერუდიციის გამდიდრებასთან ერთად — ალლოსაც გაგიმახვილებდა და იდუმალად შეგაგრძნობინებდა რელიგიათა წარმოშობის საწყისსაც და მრავალმხრივ განშტოებებსაც.

სტუდენტებისაგან თუ რაიმეს მოითხოვდა, ქართული ენის სინმინდის დაცვას. ინგლისურში თუ მოგივიდოდა შეცდომა, გაგისწორებდა და ეგაა, მაგრამ თუ ქართული წინადადების წარმოთქმისას ან დაწერისას წაიფორხილებდი, არ გაპატიებდა, განგაშს ასტეხდა და შეგარცხვენდა. ამიტომაც კეთილი უნდა გენება და განსაკუთრებით გეფრთხილა ქართულად მეტყველება-წერისას, და რაც მთავარია, გეზრუნა მშობლიური ენის სულ უფრო უკეთ შესასწავლად.

ვახტანგ ჭელიძე გაიხსენებდა, რომ მასაც და სხვებსაც უკვირდათ მოძღვრის ასეთი სიმკაცრე და ბოლომდე ჩაყოლა; იმასაც ამბობდნენ: დროსაც ხომ ართმევსო. არადა, ეს ის კაცი გახლდათ, დროს ტყუილუბრალოდ რომ არ დაკარგავდა ლექციასზე. მერე მის საქციელს ასე ახსნიდნენ: უყვარს ქართული, ენის სინმინდეს იცავსო. მაგრამ მოგვიანებით უნდა მიხვედრილიყო, რომ ეს მარტივი ახსნა იყო — ერთ-ერთი მოტივი ნამდვილად, მაგრამ ერთადერთი — არა!..

მთარგმნელობითი საქმის აღორძინება-გაშლა დაესაბა მიზნად, საამისოდ მთელი სკოლის ჩამოყალიბება, და ქართული ენის სრულყოფილ შესწავლას, ენის მუსიკის შეგრძნებას ამიტომაც მოითხოვდა, ამიტომაც წვრთნიდათ ამ მიმართულებით, ამიტომაც უღვივებდათ მათში ჩაბუდებულ მთვლემარე უნარს.

ვინ იცის, ეგებ სწორედ ამ საქმისათვის იყვნენ მოწოდებულნი.

ეიმედებოდა, თვალსაჩინო სახელებიც რომ უსათუოდ გამოჩნდებოდნენ მის მოწაფეთა შორის, თორემ საერთო ინტერესი რომ გაღვივდებოდა და შესაფერისი ფონიც შეიქმნებოდა დიდ მთარგმნელთა საასპარეზოდ, ეჭვიც არ ეპარებოდა.

ფრანგული ლიტერატურის ყამირი გატეხილიყო და 30-იანი წლების მკითხველს — უპირველესად მაინც ახალგაზრდობას — შეეძლო ქართულად გასცნობოდა ონორე დე ბალზაკის, ვიქტორ ჰიუგოს, სტენდალის, პროსპერ მერიმეს, ალფონს დოდეს, ალექსანდრ დიუმას, გი დე მოპასანისა თუ ემილ ზოლას დიდებულ ქმნილებებს სწორედაც მათი შესაფერისი თარგმანების წყალობით, ივანე მაჭავარიანის, თედო სახოკიასა და განსაკუთრებით გერონტი ქიქოძის სახელებით რომ დამშვენებულიყო, მაგრამ, აი, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ყამირი აულებელი რჩებოდა. და გერმანული მწერლობის თარგმნის საქმეც ვერ გამოიყურებოდა მაინცდამაინც სანუგეშოდ.

არადა, სწორედ ინგლისური ლიტერატურის თარგმნის შესანიშნავი ტრადიცია რომ გადმოეცა მეცხრამეტე საუკუნეს?

ივანე მაჩაბლის სწორუპოვარი თარგმანების წყალობით მარტოდენ ქართულ ბიბლიას კი აღარ ვამბობდით, არამედ — ქართულ შექსპირსაც.

და ვახტანგ ჭელიძე ზოგადად რომ მიმოვლენინებდა თვალს მკითხველს 30-იანი წლების მთარგმნელობით ყოფაზე, საერთო სურათს ასე შეაფასებდა: სავალალოო.

ვიღაცას უნდა ედო თავს დიდი შემოტრიალება მთარგმნელობით ცხოვრებაში, რათა ფრანგული ლიტერატურის გადმოღებაც ღირსეულადვე გაგრძელებულიყო და გერმანული, ინგლისური და ამერიკული მწერლობის ქართული ვერსიებიც გვერდით ამოსდგომოდათ.

ჩანაფიქრი გრანდიოზული გახლდათ.

მოძღვარი — დიდად მოწადინებული.

და თუმცა აღარ იქნებოდა უნივერსიტეტი საამისო პირობები, რომ ხელი შეეწყობა

მისთვის და მთარგმნელობითი ფაკულტეტი ცალკეც ჩამოეყალიბებინა, მაგრამ დაეპრაქტიკულსა და შორსგამიზნულ მუშაობას მოემკო თავისი ნაყოფი.

და თვალნათლივი გამხდარიყო ყველასათვის ის, რასაც ვახტანგ ჭელიძე დროის გადასახედიდან ასე შეაფასებდა: ერეკლე ტატიშვილმა ისეთი მტკიცე საძირკველი ჩაჰყარა, რომ ამ საქმეში ჩვენ ამჟამად — არსებული მდგომარეობითაც და პერსპექტივითაც — არცერთ განათლებულ ერს არ ჩამოვუვარდებით. და მე არ მეუხერხულება ამისი ასე თამამად განცხადება, რადგან ვგულისხმობ არა ერთსა და ორ ლიტერატორს, არამედ მთელ პლეადას მთარგმნელობისას, რომელთაც ნიჭიც შესწევთ და ცოდნა-გამოცდილებაც, კარგად გაართვან საქმეს თავიო.

ამ შეფასებას კი ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა ის დაზუსტება, რაც პირდაპირ უნდა გაცხადებულიყო და თუნდ გამჭვირვალე მინიშნებაში არ მიბინარებულიყო:

— დაკანონებული რომ იყოს ნესი, რომ ნიგნის ავტორის ან მთარგმნელის გვერდით იმ კაცის სახელიც მოიხსენიებოდეს, რომელმაც ამ ნიგნის შექმნა განაპირობა, მაშინ ბევრი თარგმნილი ნიგნის სატიტულო ფურცელზე, მთარგმნელის გვართან ერთად, ჩვენ ერეკლე ტატიშვილის სახელსა და გვარსაც ნავიკითხავდით.

თეორიული ნააზრევი არ დაეტოვებინა არც ამ სფეროში?

ჩაენერათ ის მოსაზრებანი, ზეპირად ასე უხვად, უშურველად რომ არიგებდა, და თეორიაც ის იქნებოდა.

მისი პოეტური სული აქ იღვრებოდა თუ იღვრებოდა, ჯერ იმ შემოქმედებით-ლიტერატურული საღამოების მომზადებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, და მერე მათი გამართვისას, ყოველთვის საზეიმო იერი რომ დაჰკრავდა, სასწავლო წლის მიწურულს კი ყოველივე უნდა შეჯამებულიყო და... კიდევ ემსგავსებოდა ლიტერატურული თავყრილობა თავისებურ სპექტაკლს.

სწორედ ასეთ ლიტერატურულ საღამოზე ნიკითხავდა თავის პირველ და, სამწუხაროდ, უკანასკნელ პოეტურ თარგმანებსაც ალექსანდრე საჯაია. პერსი ბიში შელის „სიყვარულის ფილოსოფიასა“ და „ღრუბელს“, ჰენრი ლონგფელოს „წვიმიანი დღესა“ და ედგარ ალან პოს „ანებელ ლის“ და აღფრთოვანებასაც გამოიწვევდა. შელის ლექსები გამორჩეულად მოეწონებოდათ, რადგანაც

მარჯვედ მიეგნო ქართველ პოეტს თავისი დიდი თანამოკალმის სტილური კამერტონისა და ლირიკული ძარღვისათვის. მაშინ იგი თავმდაბლობის გამო მოერიდებოდა საჯაროდ განეცხადებინა, რომ მის მასწავლებელს ისე მოსწონებოდა ეს საჭაშნიკო ნიმუშები, რომ დაევალებინა შელის პოეტური მემკვიდრეობის სრულად ამეტყველება ქართულად და ისიც უკვე განწყობილიყო საამისოდ.

\*\*\*

რამდენიმე წლის შემდეგ ასე ნაადრევად აღსრულებული პოეტის კრებულში თარგმანები ცალკე რკალად რომ შევიდოდა, ოთარ ჩხეიძე გამოეხმაურებოდა ამ ნიმუშებს („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947, 11 ოქტომბერი) და აღნიშნავდა, რომ გენიალურ შემოქმედთა ქმნილებებში ახალგაზრდა მგოსანს თავისი გულის ალყის ჟღერა, თავისი სულის თრთოლვა ეძებნა და ამიტომაც გამოსულიყო ეს თარგმანები ასე ბრწყინვალე. ყველაზე მკაფიო დასტურად მაინც შელის „სიყვარულის ფილოსოფია“ მიაჩნდა, „მნათობის“ ფურცლებზე გამომხეურებული და კრებულში რატომღაც გამორჩენილი, და დაურთავდა, რომ ინგლისელი რომანტიკოსის ლექსში გამოთქმული მოტივები ალექსანდრე საჯაიას რამდენიმე შესანიშნავ ორიგინალურ ლექსშიც გვხვდებოდა (თუნდ „ცაცხვში“).

ხოლო ამავე პოეტის „ღრუბელი“ — ლამაზი ალიტერაციით დაწერილი — სხვა მხრივაც გახლდათ საგულისხმო: ალიტერაციულობა ინგლისურ პოეზიაში თუ არასოდეს მიმქრალიყო, ქართულ პოეზიაში შუა საუკუნეების შემდეგ ველარ მოედგა ფეხი, და ახლა ახალგაზრდა პოეტს ბრწყინვალედ აღედგინა დიდი ხნის წინათ შემწყდარი ტრადიცია და:

— არ გავაზვიადებთ თუ ვიტყვით, ამ თარგმანით შექმნა თანამედროვე ქართული ალიტერაციული ლექსის ნიმუში.

თარგმანთა საუცხოობას რომ აღნიშნავდა, თვალსაჩინოებისათვის დაიმონებდა ლონგფელოს „წვიმიანი დღის“ ერთ სტროფს ორიგინალის ენაზეც და ქართულ სამოსელშიც („მაგრამ კმარა, გულო, დაგმე მწუხარება შენი, ღრუბელთ უკან ისევ ბრწყინავს მზე, სინათლის მფენი, შენი ბედიც საერთოა და ასეა მუდამ თვითეულის სიცოცხლეში ერთხელ წვიმდეს უნდა და ზოგი დღე იყვეს თუნდა ბნელი, შესაზარი“) და ასე შეაფასებდა: გვაოცებს, როგორ მოახერხა მთარგმნელმა

ზედმინეწვით დაეცვა აზრი, მეტრი, რითმის სისუფთავე, არჩაემატებინა და არც გამოეკლო არცერთი სიტყვა, და იმავე დროს ქართული ორიგინალის ელფერი მიეცა თარგმანისათვისო!..

ხოლო მოგვიანებით ვახტანგ ჭელიძე ინგლისურ („ლორდ რენდალ“) და ქართულ („შირაქში ერთმა მეცხვარემ“) ბალადებს ერთმანეთს რომ შეუდარებდა და ამ მიმართულებით ძიების წამოწყებასაც დააპირებდა, იმიტომაც, ბალადა ალექსანდრე საჯიას რომ ეთარგმნა. სამწუხაროდ, მოკლე ჩანაწერს დაგვიტოვებდა ამ ჩანაფიქრისა, წესით ერთ ჩინებულ ნარკვევად რომ უნდა გარდასახულიყო, მაგრამ თეზისური მონახაზი საუკეთესო გამკვლევით აღმოჩნდება ყველასთვის, ვინც ამ ძიებას გააგრძელებს.

აქ გავლენაზე რაღა თქმა უნდა ლაპარაკიც ზედმეტი, — აღნიშნავდა ჩანაწერის ავტორი, თუმცა დასძინდა, რომ: ბალადა ინგლისური კი არა, იტალიური წარმოშობისა გახლდათ და პირველწყაროს „მონამლული კაცი“ ერქვა. იტალიიდან გავრცელებულიყო ინგლისშიც, შოტლანდიაშიც და ამერიკაშიც კი; და, შესაბამისად, სხვადასხვა ვერსიები მოგვეპოვებოდა. კოკის შოტლანდიური ვერსია უნდა ეთარგმნა, ხოლო მოგვიანებით გიორგი ნიშნიანიძეც რომ გადმოიღებდა ამ ბალადას, ამერიკულ ვერსიაზე უნდა შეეჩერებინა არჩევანი. ხოლო ამერიკული ვერსია უფრო გავრცობილი რომ არის („დას რას უტოვებ?“ „ძმას რას უტოვებ?“ და ამგვარად), ვახტანგ ჭელიძეს ამას ამ მშვენიერი ბალადის ნახდენად მიიჩნევდა და კოკისეულ არჩევანს ამიტომაც ემხრობოდა, თუმცა ამერიკული ვერსიაც რომ შემოსულიყო ჩვენს თვალსაწიერში, თავისთავად საგულისხმო იყო.

\*\*\*

ხოლო იქ, მაშინ:

რა არის ახალი ლიტერატურაში? — ჰკითხავდა კონსტანტინე კაპანელი ვახტანგ ჭელიძეს, და ესეც, თავისი მეგობრის წარმატებით აღტაცებული, ამცნობდა: ალექსანდრე საჯიამშელის „სიყვარულის ფილოსოფია“ თარგმნაო.

— მთლიანად? — ჩაეკითხებოდა ცნობილი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, რადგანაც ამ პოეტური ნიმუშის არსებობა არ იცოდა და „ფილოსოფია“ რომ მოესმოდა, იფიქრებდა, თეორიული ტრაქტატი უნდა იყოს, თუნდ სტენდალის ამ ყაიდის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური

ნაშრომის მსგავსი, და როდესაც გაცემული ახალგაზრდა კაცი კრინტსაც ვერ დაძრავდა, კითხვას მოუნაცვლებდა: თუ ნაწყვეტი?

ეს მიუგებდა: სულ პატარა ლექსიაო, — და სასწრაფოდ გადაიტანდა საუბარს სხვა თემაზე.

შთამბეჭდავი გამოსვლის სათვალსაჩინოდ სხვა შემთხვევაც შეიძლებოდა მოეხმო იმავე ესეში ვახტანგ ჭელიძეს.

სხვაც წაიკითხავდა პირველ და, სამწუხაროდ, უკანასკნელ პოეტურ თარგმანებს.

სხვაც გამოიწვევდა მსმენელთა აღფრთოვანებას სტილური კამერტონისა და მთავარი ლირიკული ძარღვის მიგნების გამო.

სხვასაც მოერიდებოდა თავმდაბლობით საჯაროდ განეცხადებინა: ჩემი მასწავლებლისაგან უკვე დავალებული მაქვს ამ პოეტის მთელი მემკვიდრეობის ამეტყველება ქართულადო.

მაგრამ მისი ის გამოსვლაც და სახელიც სტრიქონებს შორის უნდა ჩაკარგულიყო, რადგანაც აკრძალულიყო მისი ხსენება — გიორგი ძიგვაშვილის, წინააღმდეგობის მოძრაობაში გარევის გამო სიკვდილით რომ დასჯიდნენ.

და დარჩებოდა რობერტ ბერნსის ოთხი ლექსის „მნათობისეული“ პუბლიკაცია მწუხარე ნაშთად იმ დიდი განზრახვისა, რომლის შემძლებელიც ეს ახალგაზრდა კაცი ნამდვილად გახლდათ, და სწორედ ისე, ბერნსს რომ შეჰფეროდა.

თორემ აკერ ამ ერთიერთმანეთზე უკეთეს ნიმუშთაგან იმ ლექსის სტრიქონები, მეგობრობის საგალობლად რომ წარმოგვიდგება:

*ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,  
ჩვენ ერთად დავქროდით მთაში,  
ბევრი ბედნიერი, ნათელი დღე  
ერთად გავატარეთ მაშინ.  
ახლა ჩვენ ძირს მივალთ... და ერთმანეთს  
ხელს რომ ვუჭერთ ღონემიხდის, —  
ჯონ ანდერსონ, ჩემო ჯონ, ჩემო მეგობარო,  
ასე ერთად შევხვდეთ სიკვდილს.*

თურმე რამხელა ბედნიერება ყოფილა, ორ მეგობარს ერთად რომ მოუხდებოდა ცხოვრების გზის გავლა!.. არადა, დაწყველილი თაობის წარმომადგენელნი ამაზე ვერც კი იოცნებებდნენ.

დარჩებოდა მწუხარე ნაშთადო...

ყოველ შემთხვევაში იმ მიგნებას მაინც ტოვებდა სხვათათვის გასაზიარებლად,

კიდეც რომ გამოუჩნდებოდა შესაფერისი გამგრძელებელი ამ წამოწყებას თამარ ერისთავის დიდებული თარგმანების სახით, რობერტ ბერნსის პოეზიას იშვიათი ხელოვნებით რომ ამოუყენებდა გვერდით თავისივე ქართულ ორეულს. მოგვიანებით კი მურმან ლებანიძეც დაესესხებოდა ტრაგიკულად აღსრულებული კაცის მიგნებას და, რასაკვირველია, მასაც გაუმართლებდა.

მთავარია, რომ რობერტ ბერნსს გაუმართლებდა ქართულ სამწერლო სივრცეში ღირსეულ მეგზურთა გამოჩენის წყალობით.

პერსი ბიში შელის ასე მალეც არ გაუმართლებდა და ალექსანდრე საჯაიას მიგნება რჩება აუთვისებელ მონაპოვრად, თუმცა როგორ შეიძლება, რომ ეს პოეტური სამყარო ქართულად შესაფერისი ამეტყველების გარეშე დაგვრჩეს.

ენის სწავლებისას რისკს არ ერიდებოდა ერეკლე ტატიშვილი?

მთარგმნელთა აღზრდისას — მითუმეტეს.

ამისთვის კი აუცილებელი გახლდათ სრულიად გამოუცდელი ყმანვილი დიდი საქმისათვის შეეჭიდებინა — უკეთესი ნახალისება, საკუთარ თავში რწმენის განმტკიცების უკეთესი საშუალება რა უნდა ყოფილიყო?

და, აი, უფროს კურსს ლიტერატურული საღამო აქვს დანიშნული, სამზადისი დიდი ხნის დანებებულია, და თუმცა ჯერ აფიშა არ გამოუკრავთ, სტუდენტების დიდი სიხარულის თრთოლვა ადვილი შესამჩნევია, სულითა და გულით რომ ჩაბმულან სამზადისში, რათა მომავალი სპექტაკლის ყოველი მხარე წინასწარვე იყოს გათვალისწინებული და მისი რანგი და ღირსებაც შენარჩუნებული.

გამოიკვრება აფიშაც.

დაბალი კურსის სტუდენტებიც ცნობისმოყვარედ ათვალისწინებენ მონაწილეთა სიას და... უეცრად ერთ-ერთი მათგანი თვალებს არ უჯერებს.

უფროსკურსელებთან ერთად მისი გვარიცაა გამოცხადებული.

და სწორედ ის თარგმანი, რომელსაც ეს სტუდენტი შორიდან ელოლიავებოდა და სათარგმნელად კალმის ხელში აღება კი ვერ გაებედა, ყოყმანობდა, შიში აფერხებდა.

მაგრამ გულისხმიერი და გამოცდილი პედაგოგისათვის განა შეუმჩნეველი შეიძლება დარჩენილიყო ახალგაზრდა კაცის შინაგანი განცდები? და განა იმ შიშის მიზეზსაც ვერ ჩანვდებოდა?

უპირველესად კი განა თვალდათვალ არ გაეზომა ამ ყმანვილის შემოქმედებითი უნარი?

როგორ ამბობენ ხოლმე ასეთ დროს, კალკირებული, ოლონდ გავრცელებული გამოთქმით? — ფაქტის წინაშე აყენებსო? ქართული იდიომატიკის საღაროდან კი ეს მოგვაგონდება — ნამუსში აგდებსო.

ასეა თუ ისე, სტუდენტი ფაქტის წინაშეც დგას და ნამუსშიცაა ჩაგდებული.

როგორია — იმ რამდენიმე დღეში უნდა მოასწროს თარგმნა, რათა საჯაროდ არ შერცხვეს.

ერეკლე ტატიშვილს ფსიქოლოგიური ალლო კარნახობს, რომ წინასწარ და კარგახნით ადრე მოთათბირება ყმანვილთან და ამ ტექსტის დავალება სათარგმნელად, მხოლოდ დააფრთხობდა და დააშინებდა. გაჭიანურება გაუძლიერებდა შიშს და ხელს ჩააქნევიანებდა განზრახვაზე.

კი მაგრამ, ასე სასწრაფოდ მოხერხდება მეტ-ნაკლებად რიგიანი თარგმანის მომზადება?

რისკი, აბა, რისი რისკია.

როგორც უნდა გულდასმით გქონდეს წინასწარ მოზომილი და აწონილ-დაწონილი, შესაძლოა ჩანაფიქრმა არ გაგიმართლოს და ყმანვილი სამუდამოდ გაერიდოს ამ საქმიანობას, რადგანაც ის ორიოდ დღე მეტად უკმარი აღმოჩნდეს მისი უნარის შესაფერისად გამოსავლენად.

მაგრამ ერეკლე ტატიშვილის ფიქრი მაინც აქეთ გადანონიდა — ეს რამდენიმე დღე სავსებით იკმარებოდა.

ნამბობში განზოგადებულია ეს ეპიზოდი, როგორც ჩვეული საქციელი ამ იშვიათი პედაგოგისა, არ არის გახსნილი სტუდენტის ვინაობა, ვისი მღელვარებაც ასე ხელშესახებადაა გადმოცემული, არადა, ვახტანგ ქელიძისათვის დაუვიწყარი დარჩებოდა ის განცდები, რადგანაც თვითონ გახლდათ ის უმცროსკურსელი, ვისი გვარის გასწვრივაც ეწერა: უილიამ შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“ — აივნის სცენა. სწორედ ის — ერთი საკვანძო და რთული მონაკვეთი ამ ტრაგედიისა.

როგორ, პირდაპირ შექსპირის სამყაროსთან შეაჭიდებდა?

რატომაც არა.

და სრულიად ახალგაზრდა კაცის მხრებს აჰკიდებდა იმ ტვირთს, რისი ამწევიც მარტო იგი გახლდათ, სწორედაც ეს ახალგაზრდა კაციც — ივანე მაჩაბლის წამოწყების შესაფერისი გამგრძელებელი, თითქოსდა მიკარ-

გული, ტრაგიკულად განწყვეტილი ტრადიციის აღმდგენელი და ახალ-ახალი მიგნებებით გამამდიდრებელი, მაჩაბლური აღმოჩენის ძარღვს ხელუხლებლად რომ შეინარჩუნებდა, ოღონდ საკუთარ ქურაშიც გამოატარებდა და მის მოდერნიზაციას მოახდენდა.

თუმც მანამდე ადრეა.

ჯერ ყმანვილი გოცებუღი მისჩერებია სალამოს მონანილეთა შორის თავის გვარსახელსაც და უილიამ შექსპირის თავზარდამცემ ავტორიტეტსაც, და საკუთარ თავს უწყრება გუნებაში: რა მინდოდა, რამ წამომაცდენინა კოკისთან, თითქოს „რომეო და ჯულიეტას“ ამ სცენის თარგმნას ვაპირებდი, ან იმას რამ ათქმევინა ბატონ ერეკლესთან, მე ხომ ისე, ხუმრობით გამოვხატე ეს სურვილი, რომელი მთარგმნელი მე ვარ, მითუმეტეს... მითუმეტეს შექსპირისაო?..

მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩენია.

და იმ რამდენიმე დღეში ისე უნდა გამართოს ამ სცენის ქართული ვერსია, სცენაზე არ შერცხვეს — ასეთი დახვეწილი გემოვნების მსმენელთა წინაშე.

ასე უნდა გახდეს ლიტერატურული საღამოების სრულყოფილებიანი მონანილე და იმთავითვე შეიგრძნოს ამ თავყრილობათა ის სიკეთეც, რომ ამ დროს უფრო კარგად ხდებოდა დაახლოება-დამეგობრება სხვადასხვა კურსელთა შორის. სტუდენტებს თანდათან რომ უმუშავდებოდათ ერთგვარი თანადგომისა თუ სოლიდარობის გრძნობა, ამას მოძღვარი ისე უწყობდა ხელს, საგანგებოდ არაფერს შეაგონებდათ, აგრძნობინებდათ და ეს უფრო მოქმედებდა ახალგაზრდების ფსიქიკაზე და გულთან ამიტომაც მიჰქონდათ არამარტო საკუთარ კურსელთა წარმატება ან მარცხი, არამედ სხვებისაც — წინა თუ მომდევნო კურსელებისაც.

— ეს თითქოს ერთი მტკიცე ოჯახი იყო და ყველა ამ ოჯახის წევრად გრძნობდა თავს.

ერთი მტკიცე ოჯახი... ერეკლე ტატიშვილის ოჯახი...

და ბუნებრივია, რომ ამ ოჯახის წევრთაგან მასთან ყველაზე დაახლოებულნი შინაც სწევოდნენ ხოლმე. მითუმეტეს, რომ დიდხანს სწავდათ ცნობისმოყვარეობა თუ გაუცნობიერებელი პატივმოყვარული ჟინი — სტუმრობოდნენ და ენახათ მისი საცხოვრისი. პატარა ოთახი რომ ებადა, ეს ადრევე სმენოდით, მაგრამ რასაც იხილავდნენ, იმას პატარაც აღარ ეთქმოდა — სიგრძით ხუთიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა და სიგანითაც — სამიოდე თუ სამნახევარი. ბელეტაჟივით

იყო და ერთადერთი ფანჯარა გამოდიოდა ქუჩაზე. ფანჯარასთან მჭიდროდ მიდგმულიყო სანოლი, მის ბოლოში ნავთქურა იდგა და სულ ცოტალა რჩებოდა კარამდე. აქ მხოლოდ კალოშის გახდა თუ შეიძლებოდა და პალტოს დაკიდებდა. თუმც პალტო სულ მოსხმული უნდა ჰქონოდა — ციოდა ოთახში. სანოლის მოპირდაპირე მხარეს სანერი მაგიდისათვის მიეჩინა ადგილი და სანოლსა და მაგიდას შორის სკამილა ჩაიდგმოდა, რომელზეც თვითონვე იჯდა ხოლმე. ოთახში სხვა სკამი არც მოიძვებოდა. მაგიდასთან მიდგმულიყო დიდი, ძველებური ტყავის სავარძელი, საკმაოზე მეტადაც დაძველებული და შეფერთხილი. სავარძელი სტუმრისათვის განკუთვნილიყო — ორი ადამიანიც მოთავსდებოდა და, თუ გაჭირდებოდა, სამიც, მაგრამ სტუმრები მეტიც მისდიოდა, პირდაპირ სანოლზე რომ ჩამოსხდებოდნენ ხოლმე.

ესეც იმ სახელოვანი კაცის უბადრუკი საცხოვრისი და შინაური გარემო, რომელიც რაღაც ჯადოსნური ძალითა და სინათლით აღვსილიყო და წარმოსდგებოდა ერთ ყველაზე მძლავრ კერად სულიერებისა და ქართული თვითმყოფადობის გადასარჩენად, თავისუფლების სულის უწყვეტობის შესანარჩუნებლად და იმ მხნეობისა და რწმენის განსამტკიცებლად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ოცნებას მისი რეალური ხორცშესხმა რომ უნდა მოჰყოლოდა.

ერეკლე ტატიშვილის სკეპტიციზმი ხშირად ნიჰილიზმშიც გადადიოდა, ოღონდ ეს, ეტყობა, თეორიული შეხედულება უფრო იყო, ეკლესიასტეს ამაოების ლალადისის თავისებური ვარიაციები, თორემ ნიჰილისტი პიროვნება ამხელა მიზანს არ დაისახავდა და ვერც ერთგულად მიჰყვებოდა. სკეპტიციზმს კი რას უშველი, როდესაც საზარელი პოლიტიკური რეჟიმის წინაშე დგახარ და გასაქანი ვერ გიპოვნია.

ერეკლე ტატიშვილთან უკვე იკრიბებოდა ის წრე, რომელთაც საშუალო სკოლაში ასწავლიდა და მაშინდელი მონაფეები ახლა მის უმცროს მეგობრებად ქცეულიყვნენ.

ყველას თავთავისი გზა აერჩია, ყველას თავთავის ასპარეზზე მიეღნია წარმატებისათვის, მაგრამ მოძღვარი ყველასთვის ერთი გახლდათ, სულიერად შემკვრელი და გამაერთიანებელი აკაკი ანდრიაშვილისთვისაც, ლადო დონაძისთვისაც, ქუჯიძისთვისაც, ლექსო ივანიშვილისთვისაც, ვანო ტაბიძისთვისაც, ვასო მურვანიძისთვისაც, ლუარსაბ იაშვილისთვისაც

და ნიკო სამადაშვილისთვისაც.

ბასილ მელიქიშვილის აჩრდილი ყოველთვის მათ შორის ტრიალებდა, საფლავსაც რომ ააკითხავდნენ ხოლმე და ეს მონახულება რიტუალად დაედგინათ.

კვირის სხვადასხვა დღეებში მოძღვარს ცალ-ცალკეც სტუმრობდნენ და რამდენიმე ერთადაც, მაგრამ შაბათი საღამო ერთობლივი თავშეყრის დღედ დაედგინათ და კვირაძალის შეხვედრებს რომ უწოდებდნენ, ეს შეხვედრები ნიკო სამადაშვილის ლირიკულ ხილვებში მისტიკური იერითაც შეიბურებოდა და ღრმა სიმბოლურ განზოგადებასაც ძალდაუტანებლად მიაღწევდა.

ბეთანიაში ყოველწლიური სტუმრობა რომ ისედაც მისტიკური სულით განიმსჭვალებოდა, ნიკო სამადაშვილის ლექსებში ხელშესახებად აირეკლებოდა ეს განწყობილება, წარმოსახვით ამ მხრივ არაფრის მიმატება რომ აღარ სჭირდებოდა.

რალაც სხვა სამყაროში გადადიოდა ერეკლე ტატიშვილის გვერდით.

ძველთაძველი ბერძნული ფილოსოფიური გარემო ქართულ სივრცეში ძალდაუტანებლად გადმოსახლებულიყო, ისეთი კაცი უბერავდა სულს ამ ნაღვერდალს და მის სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებდა.

არადა, თითქოს ისეთიც რა — წარსულს იხსენებდნენ, ახალგაზრდობის დღეებს, ცხარე პაექრობანიც სჩვეოდათ საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებზეც და საერთოდ ისტორიაზეც, მუსიკაზეც, ლიტერატურაზეც, ფილოსოფიაზეც.

განსაკუთრებულ ყურადღებას ნიკო სამადაშვილის არაორდინარული პიროვნება იპყრობდა, თუმც მამინაცმამინაც ვერ იჯერებდნენ მის პოეტურ სიმაღლეს და, თუ რაიმეს არ იზიარებდნენ თავიანთი მოძღვრისას, აგერ ამ კაცის ლექსების მისეულ შეფასებას, დიდ პოეტად რომ აღიარებდა. უძნელდებოდათ ამის დაჯერება და ეგონათ, რომ ამ პოეტური ნაღვანის განსჯისას ერეკლე ტატიშვილი გადამეტებულ სუბიექტივიზმს იჩენდა. ასე ფიქრობდნენ ნიკოს ტოლ-ამხანაგებიც და ეს ახალგაზრდებიც, მათ წრეში რომ შემოიჭრებოდნენ და მოძღვრის „დასაკუთრება-დაპატრონებას“ მოინდომებდნენ, ჯერ ერთმანეთთანაც არა სურდათ მისი გაყოფა და წინა თაობას სულ რაღას დაუთმობდნენ. შინაგანი დამოკიდებულება იგულისხმება, თორემ გარეგნულად ზედმეტის უფლებას როგორ მისცემდნენ თავს, ეტიკეტს ოდნავ როგორ დაარღვევდნენ!..

კიდევ ღიზიანდებოდნენ და კიდევ ეხარბებოდათ უნივერსიტეტელებს, რომ ძველი მონაფეები შენობით მიმართავდნენ მოძღვარს, თუმც ეს დამოკიდებულება ფამილარობაში არასოდეს გადაზრდილა. აი, „ბატონოს“ გარეშე კი არასოდეს ახსენებდნენ — არც მაშინ, როდესაც პირადად მიმართავდნენ, და არც მაშინ, როდესაც მისი არყოფნისას ახსენებდნენ.

და როდესაც წუთისოფლის კიდეს გადაცდებოდა, მაშინაც ბატონ ერეკლედ დარჩებოდა.

„ფამილარობაში არასოდეს გადაზრდილა“, დროის გადასახედიდან ითქმოდა, თორემ იმჟამად სულაც არ ეგონათ, რომ ნიკო სამადაშვილი ჯენტლმენურად იცავდა უფროს-უმცროსობის ზღვარს და ერთმანეთში ბუზღუნებდნენ: ზედმეტის უფლებას აძლევს თავსო. ვახტანგ ჭელიძესაც დიდხანს გამოჰყვებოდა ეს ამრეზილი განწყობილება ნიკო სამადაშვილისადმი და ერთიორჯერ მსუბუქი ირონიით გადმომკრავდა: შენ და შენი თამაზ ჩხენკელი.. ნეტა სად ხედავთ მის დიდ პოეტობას... არა, თავისი ადგილი უდავოდ აქვს და ქართული პოეზიის ანთოლოგიებშიც ყოველთვის თავისუფლად მოხვდება მისი ლექსები, მაგრამ ზედმეტად აზვიადებთ მის მნიშვნელობას... ეს ბერიკაც-იც რომ აიყოლიეთ!..

ოთარ ჩხეიძეს გულისხმობდა. თუმც მას რა ჩვენი აყოლიება უნდოდა — ერეკლე ტატიშვილის წრეში იმ გამონაკლისთა შორის იმყოფებოდა, ნიკო სამადაშვილის გარეგნული ქცევა, იქნებ მართლაც გამომწვევი, სრულიად რომ არ აღიზიანებდა და მის ლექსებს მიუკერძოებელი თვალთ რომ უკვირდებოდა, გამორჩეულ მოვლენად აღიარებდა და ძალიან გაიხარებდა, როდესაც ეს სახელი ბოლოსდაბოლოს სამზეოზე ამოვიდოდა და ლიტერატურულ მიმოქცევაშიც დატრიალდებოდა.

ვახტანგ ჭელიძის მემუარულ ჩანაწერებში ნიკო სამადაშვილის რეალისტური პორტრეტი ბელეტრისტული ხელოვნებით ჩაიხატებოდა და ერთგვარი რომანტიკული ელფერიც გადაუვლიდა.

ოდნავ შეზარხომდებოდა თუ არა, მაშინვე ამ პატარა ოთახისათვის უნდა მიეკითხა, მონატრების გრძნობა უკიდურესობამდე რომ უმახვილდებოდა, იქ უნდა ეღელვა და ებობოქრა, ვერ მოესვენა და ყველასათვის საცნაური გამხდარიყო მისი წუხილი. ჯიბეში ახალდაწერილი ლექსი რომ ედო, უსათუოდ უნდა წაეკითხა — წამღერებით,

ძალზე მქუხარედ, მღელვარედ, მაგრამ არა ცრუმგზნებარებით. მარცხენა ხელში რომ ლექსი ეჭრა, მეორეს რიტმს აყოლებდა — ლაღად, საკუთარი ძალის შეგრძნებით, თითქოს ნიშნის მოგებითაც.

ნიშნს ვის უგებდა?

ჩვენ არაო, — გრძობდნენ იქ მსხდომნი, და პოეტის მიმიკა-მოქმედების ფონზე ძალდაუტანებლად ახსენდებოდათ პოლიტიკური რეჟიმის მეხოტბე შემოქმედნი, გაღალტებულნი და აღზევებულნი, ავანსცენაზე გამოჯგომილნი, ამას კი — ტრადიციული წარმოდგენით, პოეტს სულაც რომ არა ჰგავდა გარეგნობით, თავისი ჩაფსკვნილობისა და გაღაჟღაჟებულობის გამოისობით — კულუარებზე უნდა ეტრიალა. კულუარებს ვინ ჩივის, მთლად იატაკქვეშ უნდა მოეკლა პოეტური ჟინი, რადგანაც სტრიქონი რაღაა, სტრიქონის დაბეჭდვასაც ვერ ეღირსებოდა, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყოს და გარშემო ერთ სამწერლო გამოცემასაც არ ეარსებოს. და მაშ რა უნდა ეღონა, გარდა ლიტერატურულ სალონში გამოსვლისა? ასეთ სალონად დაეგულებინა ერეკლე ტატიშვილის ერთიბენო ოთახი, რომელიც თუ რაიმეს არა ჰგავდა, სწორედ სალონურ გარემოს. უფრო სწორად, სალონზე ტრადიციულ შეხედულებას ვერ ერგებოდა. ყველაფერს უცნაური და უჩვეულო ფერი დასდებოდა იმ პოლიტიკურ სინამდვილეში და რაღა სალონი — აკრძალული, როგორც ბურჟუაზიული ყოფის გადმონაშთი, და ამრიგად სრულიად მიუღებელი კომუნიზმის მშენებლობისას — იქნებოდა თუნდ მიახლოებული თავის რეალურ სახეს?!.

მოდვარის ბედისწერასაც რომ გაიმეორებდა!..

ერეკლე ტატიშვილის მონაფეთაგან ამ მხრივ არავის მიუბაძავს მისთვის, თავიანთი ნაწერების დაბეჭდვა-გამოცემაზე რომ არ ეზრუნათ. უძნელდებოდათ ნიჰილიზმის გამოხატვა პუბლიკაციისადმი. ეგებ გულში კიდევ უღვიოდათ სურვილი, მოძვარეობით ირონიულად დაეხედათ ნაბეჭდი ტექსტებისათვის, რაკიღა უმეტესწილად უსახურ, უღიმღამო, კონიუნქტურას დამორჩილებულ პუბლიკაციებს წაელეკა ჟურნალისტურ-საგამომცემლო სივრცე, მაგრამ ვერ უძლებდნენ შინაგან ჭიდილს, ვერ უმკლავდებოდნენ გამომზეურების ცთუნებას და თვითონაც ებმებოდნენ იმ მართონში, სალიტერატურო ასპარეზო რომ ერქვა.

ერეკლე ტატიშვილი თარგმანთა პუბ-

ლიკაციებს იწყნარებდა, მაგრამ ორიგინალურ თხზულებათა გამოქვეყნებაზე ზრუნვა მის თვალში პოლიტიკური რეჟიმის წინაშე მორჩილებას გაიგივებოდა, შენს ნებაზე დაბეჭდვის უფლებას რომ არავინ გაძლევდა და იძულებული უნდა გამხდარიყავი, მორგებოდი და შეგუებოდი ანტი-ლიტერატურულ წეს-კანონებსა და შენი მხატვრული წარმოსახვების გადასხვაფერება-დამახინჯებას, ცალკე ოფიციალური ცენზურა და კრიტიკა რომ არ მოგცემდა გასაქანს და ცალკე კიდევ შინაგანი ცენზორი, ერთობლივ რომ გაგანამებდნენ და გამოგხრავდნენ.

ამიტომაც ან მიხეილ ჯავახიშვილივით უნდა გაგენირა თავი ანდა უჯრაში გამოგეკეტა შენი ნაწერები და ასე გადაგერჩინა შეუბღალავად შენი მხატვრული სამყარო.

სიცოცხლის მიწურულს თვით მიხეილ ჯავახიშვილიც ველარ გაბედავდა ხმაღმემართულ დგომას ახალმონესეთა წინაშე და ისეთი თემების დამუშავებას დაპირდებოდა ხელისუფალთ, ახალ წესრიგს ძალიანაც რომ ეამებოდა, და სწორედ იმ კუთხით, ოფიციალური კრიტიკა რასაც მოითხოვდა. მორჩილების გარეგნული გამოცხადება ვერ უშველიდა, რადგანაც თვით „ქალის ტვირთიც“ ვერ გამოუვიდოდა მთლად მორგებული სახელისუფლებო სქემებს — მისი სატირული ტალანტი აქ სულაც ვერ გაიბრწყინებდა ჩვეული ძალმოსილებით, მაგრამ უსახურ ნაკადსაც არ შეერთვოდა და... განკითხვის დღეც მოუახლოვდებოდა.

ჰოი, რა საზარლად მოჭერილიყო რკინის სალტეები!..

და თავზარდამცემი რეალობა ერეკლე ტატიშვილსაც აღარ დაუტოვებდა უფლებას, თუნდ ეოცნება: ჩემს მონაფეთა შორის როგორ არ გამოერევა ისეთი კაცი, ადრეული მიხეილ ჯავახიშვილის გზის გაგრძელება ითავოსო.

ასეთი თავზეხელაღებულობა?!

და თუ რომელიმე მათგანს სულში უღვიოდა ეს განცდა და სწრაფვა, ენანებოდა გასანირველად. გვაკლდა მსხვერპლი, კიდევ რომ არ მიმატებოდა?!

და როდესაც კოტე ხიმშიაშვილი შესჩივლებდა, სულ დამიმახინჯეს რომანის ფინალი, შეუთანხმებლად ჩაერივნენ და მე თვითონ ველარ მიცვნია „ჯონქა ხორნაულის“ დასასრულიო, — მოძვარი თანაუგრძნობდა ახალგაზრდა კაცის ამ წუხილს, მაგრამ იძულებული გახდებოდა შეესხენებინა: ამათ ხელში უკეთესს რას მოელოდი?..

ვინ იცის, ნიკო სამადაშვილის ლექსებიც რას დამგვანებოდა სამზეოზე ამოსვლისას, რარიგ შეცვლილიყო და დამახინჯებულყო და კვალიც შორეულადლა დარჩენილიყო იმ ტრაგიკული, მისტიკური ელფერით აღბეჭდილი მხატვრული სამყაროსი, უჩვეულო ხილვებით რომ იძერწებოდა და ესქატოლოგიურ მრწამსად ნივთდებოდა.

ემხიანი კითხვა კი სჩვეოდა და სიამოვნებითაც დეკლამატობდა, და დაკეცილ ფურცელს ჯიბეში რომ შეინახავდა, მღელვარებაც თანდათანობით დაუცხრებოდა ხოლმე.

— ამ დროს საჭირო არ იყო, თქვენი აზრი გამოგეთქვათ, და არც გამოთქვამდნენო, — მემუარისტი რომ დასძენს, აღარ შიფრავს მიზეზს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მსმენელებს ლექსების ეფექტი უზიძგებდათ მდუმარებაში ჩაძირვისაკენ. ეს მომენტიც უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია, მაგრამ არც ის მიზეზი უნდა გამოგვრჩეს, ცოტა ათვალწუნებული დამოკიდებულება რომ შობს.

ერთხელ მოგვიანებით ესტუმრებოდნენ ვახტანგ ჭელიძე და ალექსანდრე გამყრელიძე. მასპინძელი მაგიდას მისჯდომოდა და რალაცას წერდა თუ კითხულობდა. ნიკო სამადაშვილი სანოლზე რომ ჩამომჯდარიყო, იქვე ჩასძინებოდა ასევე დამჯდარს.

— ცოტა მეტი მოსვლოდა ღვინოო, — მემუარისტი თავს ვერ იკავებს, ეს დეტალი საგანგებოდ არ აღნიშნოს, ისედაც მისახვედრი, რადგანაც მანამდე უკვე ემცნო მკითხველისათვის ზარხოშისადმი მისი მისწრაფება.

ესენი სავარძელზე ჩამოსხდებოდნენ და საუბარს გაუბამდნენ ბატონ ერეკლეს.

ნიკო მათ მისვლას ვერც გაიგებდა, სიზმრებში შეცურებული მყარად იჯდებოდა და დროდადრო ქშენას გამოსცემდა.

ერეკლე ტატიშვილი მალიმალ გახედავდა მამის მზრუნველი თვალით, რითაც ძალდაუტანებლად გამჟღავნებოდა მისი გამორჩეული სიყვარული ამ უბედო კაცისადმი.

უეცრად ხელი მძინარესაკენ უნდა გაემვირა და სიცილით ეთქვა:

— ხედავთ — ბუდა! ბუდას არა ჰგავს?

და მათ იქ ყოფნაში ერთი-ორჯერაც უნდა გაემეორებინა ეს სიტყვები.

მერე თავისი პლედიც წამოეხურებინა, რადგანაც მხრჩოლავ ნავთქურას ოთახში გამეფებული სიცივე ვერ მოეტეხა, მითუმეტეს, დროდადრო ფანჯარა უნდა გამოღებულიყო კვამლის გასაშვებად და სუსხი ერთ-

ბაშად შემოიჭრებოდა.

ბუდაო, აბა?!

ესენი ძალიან შეცბუნდებოდნენ და ნამოსვლისას ერთიმეორეს ჩურჩულით გაანდობდნენ: ეს რა თქვაო, — და მოგვიანებითაც ვახტანგ ჭელიძე ამ ეპიზოდს რომ გაიხსენებდა, ყოველთვის დაატანდა: ეს მაინც რა იყო!..

ერეკლე ტატიშვილის პორტრეტის წარმოსახვისას ერთხანს იყოყმანებდა, შეეტანა თუ არა ეს სურათიც თხრობაში... ვინ იცის, ვის როგორ გაეგო და რა კუდი გამოება — ეს სადამდე აუშაღლებია თავისი მონაფის სახება, ნუთუ ერეკლე ტატიშვილსაც სჩვეოდა ზომიერების დაკარგვაო?! — მაგრამ ბოლოს მაინც ჩანერას ამჯობინებდა — თუნდ წამიერი განწყობილების გამომხატველიც ყოფილიყო ის აღქმა, ხომ იყო, ხომ შესწრებოდა... და მაშ ნუ დაიკარგებოდა, მითუმეტეს, რომ თუ ვინმე უსმენდა დიდი გატაცებით ერეკლე ტატიშვილის მონათხრობს ბუდასა და ბუდიზმზე, ერთი უპირველესთაგანი სწორედ ნიკო სამადაშვილი, ამ ნაამბობიდან მოგვრილი შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი, პოეტურ სახეებში გამოხვეული, მისი ლირიკის განუყოფელ ნაკადად რომ უნდა ქცეულიყო.

ერეკლე ტატიშვილის მონუმენტური სახება რომ დგას მისი პოეტური სამყაროს შუაგულში, აბა, უამნაკადო?!

საკულტო სახელად რჩებოდა მოძღვარი მონაფეთა წრეში, კვლავაც შემაგულიანებლად, კვლავაც შთამაგონებლად, კვლავაც იმედად და რწმენად, რომ ეროვნული თვითმყოფადობის უწყვეტობას ვერაფერი შეაჩერებდა და მისი მიზინარება სასონარკვეთას სულაც არ ნიშნავდა, და არც მიძინება — სიკვდილს, პირიქით, ძალთა აღსადგენად და სიმხნევის განსამტკიცებლად უკიდურესი ძალმომრეობის ქვეშ ყოფნა რალაცნაირად საჭიროც კი გახლდათ, მთლად აუცილებელსაც თუ არ ვიტყვით... მაგრამ აუცილებელი სხვა რამ იყო — ეს სახელი შორს უნდა გასცდენოდა ვინრო წრეს და საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულიყო ერთ ყველაზე ელვარე და სიმბოლურ ნიშნად და სახეებად, და სულიერი წინამძღოლობაც ეტვირთა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამკვიდრების გზაზე.

საამისოდ მარჯვედ შერჩეული თარიღი იქნებოდა მისი გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღნიშვნა თბილისის უნივერსიტეტში.

შესაძლოა მთლად ისეთი თავყრილობაც

ვერ ყოფილიყო, ერეკლე ტატიშვილის ხსოვნას რომ შეჰფეროდა, მაგრამ უკეთესი და უკეთესი დაე შემდგომ გამართულიყო. ეს შეკრება თავის დანიშნულებას შეასრულებდა და მის მსვლელობას დაამშვენებდა ვახტანგ ჭელიძის გამოსვლა, მის ესეის რომ დაედებოდა საფუძვლად.

შეკრების საერთო განწყობილება ასე გადაინაცვლებდა ოთარ ჩხეიძის დღიურის 1966 წლის 9 მარტის ჩანაწერში: მოგონებაც კარგია, ასეთი სალამოც კარგია, მაგრამ ერთი რამ არ ვარგა: თითქმის ყველა ვილაცას ედავება და გადაჰკრავს ღვარძლიანადაო.

რალაც გამონაკლისი არა ყოფილა, რადგანაც მონაფეებს ოდითგანვე სჩვეოდათ ერთიმეორესთან დავაც და ერთმანეთის მტრობაც, ვითომ მასწავლებლის ხათრით: არა, მე უფრო მიყვარს და არა მე უფროო...

და შეებრალებოდა მოძღვარი, ასეთ განამანიაში რომ მოხვედრილიყო: სანყალი ერეკლეო!..

ქუჯი ძიძიშვილი დაბნეულად ილაპარაკებდა.

ოთარ ჯინორიას წინასწარ დაენერა, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დაენერა და უფრო დაულაგებელი რამ გამოსვლოდა, ვიდრე ქუჯის ზეპირნათქვამი.

ალექსანდრე გამყრელიძეც აბლუყუნდებოდა.

პატივისცემასა და სიყვარულს უფრო სხვანაირი გამოთქმა რომ უნდოდა?

ისევ ვახტანგ ჭელიძე შეეცდებოდა.

და ოთარ ჩხეიძე თავის ფიქრსაც მიაღვენებდა სალამოსაგან მოგვრილ განწყობილებას, რომ ერეკლე ტატიშვილი მართოდენ ენის კარგი პედაგოგი კი არა ყოფილა, ჩინებული მჭევრმეტყველიც გახლდათ, დიდად გათვითცნობიერებული და ნათლად მოაზროვნე.

— და ეს მაშინ, როცა ჩვენი გონება ახლად იღვიძებდა და ათასგვარი ტირანული დოქტრინებით გვილაყებდნენ თავსა, მხოლოდ იმისგან გვესმოდა მართალი და ცოცხალი აზრი, ის მიგვიკვლევდა, ის შთაგვაგონებდა, გვასწავლიდა სიძულვილსაცა და სიყვარულსაცა... სიძულვილი უსაზღვრო იცოდა, უსაზღვროდ სძულდა, რაც საძულველი იყო...

ამ ადამიანის ასე უკვალოდ დაკარგვა რომ არ ივარგებდა, აუცილებლობად ეს რჩებოდა:

— ლეგენდებით უნდა შეიმოსოს იმისი ცხოვრების გზა-კვალი, მონაფეებმა უნდა

ალადგინონ ბევრი რამ ლეგენდარული. ესენი?

მხოლოდ შურს იძიებდნენ.

თვით ვახტანგ ჭელიძის გამოსვლაშიც რომ შეიმჩნეოდა საშურისძიებო გადაკვრანი?

მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო:

— კარგად დაახასიათა ერეკლეს ფსიქოლოგიური შთაგონების უნარი.

და ჩანაწერს კვლავ ის ტკივილი შეჰკრავდა: სანყალი ერეკლეო!..

მოგვიანებით აკი სწორედ ვახტანგ ჭელიძე შემოსავდა მოძღვარის სახებას ლეგენდურობით.

ჯერ კი დაე ეს ყოფილიყო — რელიეფურად გამოკვეთილი ფსიქოლოგიური პორტრეტი.

მოძღვარის ბიოგრაფიულ დეტალებსაც რომ გაიხსენებდა, აღნიშნავდა, რომ ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ პირველად გორში დაინყებდა მუშაობას და 1918-20 წლებში ამ ქალაქის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულსა და გერმანულს.

მანამდე არაფერი მომხდარიყო მის ცხოვრებაში?

მომხდარიყო რომელია, მაგრამ ამ რეალების გამჟღავნება არ ეგებოდა, რადგანაც პოლიტიკური ტაბუთი გასაიდუმლოებულიყო, და არამცთუ 1966 წელს, 1988 წელს შექმნილ ვრცელ მემუარულ ნარკვევშიც ვერ აღინიშნებოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ეფემერულ ხანაში ერეკლე ტატიშვილს საგარეო საქმეთა სამინისტროში განყოფილებაც ებარა. და ჯერჯერობით იმ ნაამბობის გამოქვეყნებასაც უნდა მორიდებოდა, ავტობიოგრაფიულ რომანში მეტად მნიშვნელოვან პასაჟად რომ ჩაერთვოდა და ასეთ სანდო ნყაროზე დაყრდნობით დაადასტურებდა ჩვენი სახელმწიფოს დამბობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

იმ დღეს ერეკლე ტატიშვილი ძველი ამბების გახსენების გუნებაზე დამდგარიყო. და მწარედ ღიმილით ამცნობდა ვახტანგს: ვიდრე საზღვარს არ მოადგნენ, ნოე ჟორდანიას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ესენი რუსები იყვნენო.

აფრთხილებდნენ, უმტკიცებდნენ.

ერეკლეც გააფრთხილებდა მოსალოდნელი საშიშროების თაობაზე.

მთავრობის თავმჯდომარეს პასუხად... გაეცინებოდა, და მონყალედ დაარიგებდა:

— როგორ გეტყობა, ირაკლი, რომ სოციალისტი არა ხარ! ლენინი მაგას იზამს?! როგორ შეიძლება ლენინმა ომი დაგვიწყოს!..

დაშნაკები არიან ეგენი, დაშნაკები გვებრძვიან...

რა არის ეს პარტიული ეგოიზმი, შემბოჭველი და დამორგუნველი, ყოვლად მიამიტადაც რომ შეუძლია აქციოს ათას დარჯაკსა და ხვეულებში წარმატებით გამოვლილი კაცი, არაფერს რომ არ დაგიდევდა ძალაუფლებისაკენ სწრაფვის გზაზე და ჯერ კიდევ როდის ჩამოეცილებინა გზიდან ილია ჭავჭავაძე.

იმას მწერალი და ბანკის დირექტორი ერქვა.

ამას — ჟურნალისტი და „კვალის“ რედაქტორი.

არადა, პრეზიდენტის პოსტზე მოსალოდნელი შემცილვე დროზე უნდა ჩამოეშორებინა, თორემ ვინ იცის, მოვლენები როგორ წარმართულიყო და ილია ჭავჭავაძეს ისევე შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეები, როგორც ამდენხანს ინარჩუნებდა და... უკვე ოფიციალურადაც დადასტურებულიყო მისი პირველკაცობა.

მეთერთმეტე არმია ზედ საზღვართან იდგა და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.

ხელისუფალი კი აინუნშიც არ აგდებდა, ლენინი მაგას როგორ იკადრებს, დაშნაკებს კი ადვილად გავუსწორდებით, დიდი რამ მზადება არა გვჭირდებაო.

ისე კი პატიოსანი კაცი იყო ჟორდანიას, — ერეკლე ტატიშვილი ცდილობდა მიუკერძოებელი მზერით შეეფასებინა იმის პიროვნული ბუნება და ცხოვრების წესი და სტილი, — არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობდა. ისევე გაჭირვებით ცხოვრობდა, როგორც მთელი ქვეყანა. ერთხელ მეუბნება: ირაკლი, დღეს ერთად ვისადილოთ ჩემთან — სოფლიდან ლობიო და ფქვილი ჩამომივიდაო...

ტრაგიკომიკური სურათი იხატება ორი-ოდე დეტალით.

მაგრამ... როგორი დეტალებით?!

პატიოსანი კაცი იყო, — ეს ვახტანგ ბიძიგანაც სმენოდა, თან გაკიცხვასაც რომ არ მოაკლებდა იმ გაუმართლებელი შემწყნარებლობისათვის რუს ბოლშევიკთა ქართველი აგენტების მიმართ რომ იჩენდა, განსხვავებით ნოე რამიშვილისაგან, ვინც იმუქრებოდა: ცხვირიდან ძმარი უნდა ადინო მაგენსო, — მაგრამ შესაფერისად ვერ ემოქმედა, რაკილა უმაღლესი ხელისუფალი

დამთმობლური პოლიტიკის გზას დადგომოდა, და მისგან ისიც აღარავის უკვირდა, თუკი რომელიმე ბოლშევიკს, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის დატუსაღებულს, ციხიდან გამოუშვებდა და თავის ეტლსაც აახლებდა ბოდიშებთან ერთად: ახალა გავიგე, დაპატიმრებული რომ იყავიო...

პარტიული ეგოიზმი რომ დამლუპველია, როდენ თვალსაჩინოდ დასტურდება თუნდ ამ მაგალითების მოშველიებითაც.

ისე კი პატიოსანი კაცი იყო...

მომხვეჭელად რომ არ დარჩენილიყო თანამედროვეთა ხსოვნაში!..

მაგრამ ქონების მოხვეჭაზე უარის თქმა ერთი შტრიხია და არსებითი მაინც სხვა რამ უფროა — სადაური პატიოსნებაა, იქ რომ მიინევე დაუნდობლად და გვამებზე გადავლით, შენი ადგილი სადაც არ არის... მაინც იხვეჭ ამ ძალაუფლებას და... ქარს ატან უმწიფობით შეპყრობილი, ქვეყანას უდრტვინველად რომ აბარებ იდეურ ძმებსა და თანამოაზრეებს, წვრილმან საკითხებში რომ ვერ შეთანხმებულხართ, თორემ ერთნაირი მარქსისტული გული გიცემთ.

ნეტა ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო მკვლევობაც პატიოსნებაში შედის?!

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთბაშად ატყორცნიდა დიდ სიმაღლეზე ნოე ჟორდანიას და ამ სამზეროდან მიიფარებოდა მისი ეს დანაშაული, მაგრამ დღეის დღის გადასახედიდან ისეთი თვალნათლივია მისი როლი წინამურის ტრაგედიის მომზადებაში, თითქოს ბერბიჭაშვილის ბერდენკა უშუალოდ მას დაეტენოს.

ლენინი მაგას იზამსო?!

და შეჰყურებდა იმედის თვალთ სსსრ-ის საქართველო თავის ხელისუფალს.

ეს ხელისუფალი კი ლენინს მისჩერებოდა დაიმედებული — ეგ ნამდვილად არ გაგვიმეტებს, სხვა რეალური საფრთხე კი არაფერი გვემუქრებაო.

...ლეგენდებით უნდა შეიმოსოს ერეკლე ტატიშვილის ცხოვრების გზა-კვალი, — თავისი საფიქრალი გასჩენოდა ოთარ ჩხეიძეს, რადგანაც ხსოვნის საღამო ურიგო არ გახლდათ, მაგრამ ის ელფერი და ძარღვი აკლდა, სიმბოლურ განზოგადება-ამაღლებას რომ ესაჭიროება ხოლმე.

და ისევე ვახტანგ ჭელიძე თუ შეეცდებოდა.



არქიმანდრიტი ილარიონი

## ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ

ექვნი მის უწმიდესობასა და უნეტარესობას  
ილია მეორეს

გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოსპატრიარქ ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით მამინდელმა ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იობმა ზემო აჭარაში, სხალთის მონასტრის წინამძღვრად დამადგინა. 1993 წლის დასაწყისიდან 2000 წლის გაზაფხულამდე, მცირე ინტერვალების გამოკლებით, ამ მონასტერში ვმსახურობდი. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები საეკლესიო მსახურებაში და ყველა სიახლეს, რომელიც ამ მსახურებისას მხვდებოდა, დიდი ინტერესით ვეცნობოდი.

საღმრთო ლიტურგიის დროს, როდესაც მთავრდება კათაკმეველთა კვერქსი და იწყება მართალთა მსახურება, იშლება ოდიკი. ოდიკი მართკუთხა ფორმის თეთრი ტილოა, რომელზეც გამოსახულია მაცხოვრის გარდამოხსნა და შიგ ჩადებულია წმ. მოწამის ნაწილი. ოდიკი იკურთხება პატრიარქის მიერ და ეს კურთხევა დამოწმებულია მისი ხელმოწერით. ყოველი წირვის დროს, როდესაც ოდიკის გაშლას ვიწყებდი, პირველი, რაც ყურადღებას იქცევდა, ეს იყო სწორედ პატრიარქის ხელმოწერა: „ილია 9“, ანუ „ილია მეორე“. თავდაპირველად მხოლოდ იმას ვფიქრობდი: მართლაც როგორ ჰგავს ასომთავრული „ბან“ ციფრ 2-ს. შემდეგ, თანდათან გამიჩნდა აზრი, რომ იქნებ ეს მსგავსება არ არის შემთხვევითი და დავიწყე სხვა ასომთავრული ასოების შედარება მათი შესაბამისი მარტივი რიცხვების ციფრებთან. დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც აღმოვაჩინე, რომ არა მარტო „ბან“, არამედ ქართული ანბანის ყველა პირველი 9 ასო მსგავსია ე.წ. „არაბული ციფრებისა“. მას შემდეგ, სადაც კი მსგავს თემაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ყველას ვუზიარებდი ჩემს შეხედულებას ამ საკითხზე. საუბრისას აშკარად ვხედავდი, რომ ეს მოსაზრება საინტერესოდ მიაჩნდათ, მაგრამ, რატომღაც, შემდეგ ისევ ავიწყდებოდათ. ერთი სიტყვით, ისე მოხდა, რომ ამ საკითხის სერიოზულად შესწავლით არავინ დაინტერესდა. წლების შემდეგ გადავწყვიტე მე თვითონ მეცადა შეძლებისდაგვარად დამემუშავებინა ეს თემა და ახლა თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ჩემი უნდო ნამუშევარი, რომელსაც ვერ გავკადნიერდები „ნაშრომი“ ვუწოდო. წინდაწინ ვითხოვ შენდობას არაპროფესიონალიზმისა და იმ სავარაუდო შეცდომებისათვის, რომლებიც ალბათ თან ახლავს გამოუცდელი ავტორის ამ ნაწარმოებს.

მოკრძალებით ვუძღვნი ჩვენს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს „ილია 9“-ს.  
შემინდეთ და დამლოცეთ თქვენო უწმიდესობავ!

ციფრებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ **1,2,3,4,5,6,7,8,9 და 0** „არაბულ ციფრებს“ ვუწოდებთ, რადგან ისინი ევროპელებმა არაბებისაგან გადმოიღეს. მაგრამ თვითონ არაბები ამ ციფრებს ინდურს უწოდებდნენ, ხოლო ათობით სისტემაზე დაფუძნებულ არითმეტიკას - „ინდურ ანგარიშს“ („ქისაბ ალ-ჰინდი“). ინდური ციფრების წარმოშობას ვარაუდობენ ინდოეთში არა უგვიანეს V საუკუნისა. ამავე დროს ფიქრობენ ცნება „ნულის“ (ინდურად „შუნია“) შემოტანას.

VII საუკუნიდან, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, არაბეთი უძლიერეს ქვეყნად იქცა. არაბებმა დაიპყრეს გარშემო სახელმწიფოები და თანმიმდევრულად დაიწყეს თავიანთი გავლენის სფეროს გაფართოება. 712 წელს ისინი ინდოეთში შეიჭრნენ, სადაც გაეცნენ ანგარიშის განსხვავებულ სისტემას და შეითვისეს იგი. სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა ტერმინი „არაბული ციფრები“.

### ციფრები შედარებისათვის:

თანამედროვე	არაბული	ინდური
0	•	०
1	١	१
2	٢	२
3	٣	३
4	٤	४
5	٥	५
6	٦	६
7	٧	७
8	٨	८
9	٩	९

არაბული ციფრები **4, 5 და 6** მოცემულია ორ ვარიანტად, მარცხნივ არაბული, ხოლო მარჯვნივ - სპარსული.

ინდური ანგარიში პოპულარული გახდა IX საუკუნის დიდი სპარსი სწავლულის **ალხორეზმის (787-დაახლ.850)** მიერ, რომლის ერთ-ერთი ნაშრომია წიგნი „ინდური ანგარიშის შესახებ“ (მასვე უკავშირდება ტერმინები: „ალგორითმი“ და „ალგებრა“). თავის ტრაქტატში „ინდური რიცხვები“ ალ-ხორეზმმა პირველმა აღწერა ეს სისტემა. ამ სიახლემ მასზე იმდენად დიდი გავლენა მოახდინა, რომ მან არაბული დამწერლობის შეცვლაც კი დააპირა. (ე.ი.

შეეცვალათ წერის არაბული წესი და ნაცვლად მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულებისა, ეწერათ მარცხნიდან მარჯვნივ, ინდოელების მსგავსად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითონ ინდოელებმა წერის ასეთი წესი შემოიღეს ჩვ. წ. აღ.მდე III საუკუნიდან). ალ-ხორეზმი თავის ნაშრომში იძლეოდა რჩევას, რომ ანგარიშის დროს ცარიელი წრე დაესვათ იმ ადგილას, სადაც იგულისხმებოდა „არაფერი“. ასე გაჩნდა არაბულ ხელნაწერებში ციფრი **0**, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მისი ლათინური სახელით **ნული** (ლათ. „nullus“-არარა).

ეს ის პერიოდია, როდესაც არაბეთის ხალიფატი ბატონობს მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს ნაწილზე, მათ შორის ევროპის ქვეყნების გარკვეულ ტერიტორიებზე. არაბებმა ერთდროულად დაიპყრეს ევროპა და აზია. ხალიფატის ასეთმა გაფართოებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ესპანეთის ორი ნაწილის: ისლამური **კორდოვის ხალიფატისა** და ქრისტიანული **ზარსელონას საგრაფოს** მჭიდრო ურთიერთობამ აქამდე უცნობი მეცნიერული მეთოდები ევროპელი სწავლულებისათვის ხელმისაწვდომი გახადა. **რომის პაპი სილიბისტრო II** (999-1003წ.წ.) ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც შენიშნა რა „არაბული“ ციფრების უპირატესობა, დაიწყო მათი დანერგვა ევროპულ მეცნიერებაში. პაპ სილიბისტროს შესახებ ცნობილია, რომ იგი ჯერ კიდევ უბრალო ბერობაში, მუსულმანურად გადაცმული დადიოდა კორდოვის ბიბლიოთეკებში (ამ დროს მას იცნობდნენ როგორც **ორილიაკელ ფრანგ ბერ ჰერბერტს**). იგი ფლობდა ბერძნულ, არაბულ და ებრაულ ენებს და ეცნობოდა რა ხელნაწერებს, დაუცხრომლად ეძიებდა ახალ და ახალ ცოდნას. ჰერბერტს განსაკუთრებით დიდი ინტერესი აღუძრა ახალმა ციფრებმა. გაიგო რა შეძლებისდაგვარად ყველაფერი ამ ციფრების შესახებ, იგი დაბრუნდა კორდოვიდან და თან წაიღო ხელნაწერები. მომავალი პაპი ცდილობდა ეს სიახლე გაეზიარებინა ყველასათვის და ამისათვის **რეიმსში** დააარსა **კათოლიკურ ევროპაში პირველი ჰუმანიტარული სასწავლებელი**. ნოვატორი ბერი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა კათოლიკური ეკლესიის მსახურთა მხრიდან, რომლებიც ზიზღით ეპყრობოდნენ „წარმართულ“ ციფრებს და კატეგორიულად არ სურდათ მათი მიღება. თუმცა ამას არ შეუშლია ხელი ჰერბერტისათვის გამხდარიყო რომის პაპი. 999 წელს იგი პაპის კათედრაზე ავიდა სილიბისტრო II სახელით. 4 წელი დაჰყო მან რომის პაპის წოდებით და აღესრულა საეჭვო ვითარებაში. მას ბრალს სდებდნენ ჯადოქრობასა და ბოროტ სულებთან კავშირში. მისადმი უნდობლობა იმდენად დიდი იყო, რომ 600 წლის შემდეგ მისი საფლავის გათხრაც კი გადაწყვიტეს, რათა ენახათ იმალებოდა თუ არა იქ ბოროტი სული. XII საუკუნეში **ხუან სველიელმა** ლათინურად გადათარგმნა ალ-ხორეზმის ტრაქტატი **"De numero indorum"** („ინდური რიცხვების შესახებ“). მომდევნო საუკუნეში კი, როცა ინდური ნიშნები ფართოდ გახდა ცნობილი, ახალ სისტემას უწოდეს **ალგორითმი** (ალ-ხორეზმი). ოდნავ მოგვიანებით შუა საუკუნეების ერთ-ერთმა გამორჩეულმა მათემატიკოსმა **ლეონარდო პიზელმა**, იგივე **ფიბონაჩი** (1180-1240) სცადა პრაქტიკაში დაენერგა ციფრი „0“. ფიბონაჩი ცნობილი გენუელი ვაჭრის შვილი იყო და ახალგაზრდობაში, ალჟირში ყოფნის დროს გაეცნო ინდო-არაბულ ანგარიშს, ვინაიდან ამ ანგარიშის გარეშე სავაჭრო ოპერაციების წარმოება უბრალოდ შეუძლებელი იყო. შემდგომში, თავის ტრაქტატში **"Liber Albaci"** („ალბაკის წიგნი“), რომელიც 1202 წელს გასაჯაროვდა, მან ხატოვნად აღწერა ანგარიშის ამ სისტემის უპირატესობა,

მოჰყავდა რა კონკრეტული მაგალითები ვაჭართა ცხოვრებიდან. ფიბონაჩის შეთავაზებული ანგარიშის მეთოდი იტალიაში სწრაფად დამკვიდრდა. ვისაც სურდა ბანკირი, ვაჭარი, არქიტექტორი ან მეზღვაური გამხდარიყო, ყველა სწავლობდა არაბულ ანგარიშს, რაც თავისთავად ნიშნავდა ციფრის „0“ აღიარებას. 1585 წლიდან ანგარიშის ინდო-არაბულ სისტემაში შემოვიდა წილადის ცნება. ამავე წელს სწავლულმა **სიმონ სტეინმა** გამოაქვეყნა თავისი მცირე ტრაქტატი **"De Thiende"**, სადაც წამოაყენა რიცხვების ჩაწერის სხვადასხვა ვარიანტი. მრავალნიშნა რიცხვების ჩასაწერად მან გამოიყენა ე. წ. ინდექსები, იგივე ციფრები, რომლებიც ერთეულს, ათეულს, ასეულს და ა. შ. ეწერებოდა ზემოდან ან გვერდით, წრეში. XVII საუკუნიდან წილადი რიცხვების ჩასაწერად გამოყენებული იქნა მძიმე (ან წერტილი), რომელიც გამოყოფდა რიცხვის მთელ ნაწილს წილადისაგან, რის შემდეგაც ევროპაში სტეინის ინდექსაცია უარყოფილ იქნა. ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშის თანამედროვე სისტემის განვითარება დასრულდა.

**როგორც ვხედავთ, ევროპელები და დანარჩენი მსოფლიო უკვე რამდენიმე საუკუნეა სარგებლობენ ციფრებით, რომლებიც ყველაზე მეტად პრაქტიკული, მოსახერხებელი, მარტივი და ამასთანავე სრულყოფილია. თავისთავად იზადება კითხვა, როგორ მოახერხეს ინდოელებმა შეექმნათ ეს ნიშნები? ან შექმნილია კი ისინი მათ მიერ თუ მიიღეს ვინმესგან? ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელია. უძველესი დროიდან ბოლო საუკუნეებამდე თითქმის ყველა ერი რიცხვების ჩასაწერად ანბანის ასოებს იყენებდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა ინდო-არაბული ციფრების წინაპირობა (თუნდაც ვთქვათ - „მატრიცა“) რომელიმე ძველ ანბანში მოგვეძებნა.**

მიიჩნევა, რომ პირველი ანბანი დაახლოებით **3500** წლის წინ შეიქმნა იმ ხალხთა მიერ, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სახლობდნენ და ერთ-ერთ სემიტურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ასევე მიჩნეულია, რომ პირველი ჩვენამდე მოღწეული ანბანი (კონსონანტური ანბანი) ფინიკიელებმა შექმნეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე **3000** წლის წინ ფინიკიური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა: აღმოსავლეთით სხვა სემიტური ტომების წარმომადგენელ ხალხებში (არაბული და ებრაული დამწერლობები) და დასავლეთით ძველ საბერძნეთში. ძველი ბერძნული ანბანი საფუძველად დაედო ეტრუსკულ, ლათინურ, გოთურ და სლავურ ანბანებს. მსოფლიოში ანბანური დამწერლობის დაახლოებით 50-მდე სახეა გავრცელებული. ისინი განსხვავდებიან გრაფიკული იერსახით, ისტორიული წარმომავლობით და იდეალური ანბანისაგან დაშორების ხარისხით. **ანბანური დამწერლობა მით უფრო იდეალურად ითვლება, რამდენადაც თითოეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესატყვისება ფონემას.** ასოთა რაოდენობა ანბანებში საშუალოდ 20-დან 30-მდე მერყეობს. ძველ ფინიკიურ კონსონანტურ ანბანში 22 ასო იყო, ძველ ბერძნულში - 24. ჰავაის კუნძულებზე გავრცელებულ დამწერლობაში, რომელიც დღესდღეობით ყველაზე ნაკლებასოიან დამწერლობას წარმოადგენს, 12 ასოა. სინჰალური დამწერლობა კი, რომელიც კუნძულ შრი-ლანკაზე გამოიყენება, 50-ზე მეტ ასოს შეიცავს. ის, რომ ანბანი ენაში არსებულ თითოეულ ბგერით ერთეულს უნდა გამოხატავდეს ერთი შესატყვისი ასოთი, ძველმა რომაელებმა მეტნაკლებად მოახერხეს, შექმნეს რა 21 ასოიანი ანბანი. ძველი რომაელების მიერ შექმნილი ანბანის (ლათინური ანბანი) საფუძველზე შეიქმნა რიგი ევროპული ანბანებისა.

დამწერლობის ზოგიერთი სისტემა წარმოადგენს **სილაბურ სისტემას**. სილაბურ სისტემაში თითოეული ასოითი ნიშანი, როგორც წესი, ერთ მარცვალს გამოხატავს (მაგ. იაპონური ჰირაგანა), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც, სილაბურ სისტემაში ერთი ასო შეიძლება მთელ სიტყვასაც აღნიშნავდეს. სილაბური დამწერლობის შესწავლა ჩვეულებრივ ანბანთან შედარებით რთულია, ვინაიდან მასში ასოითი ნიშნები უფრო დიდი როლდენობითაა წარმოდგენილი. მაგალითად ჩინური დამწერლობა, რომელიც რამდენიმე ათას ასოით ნიშანს და სიმბოლოს ითვლის. იაპონურ სილაბურ დამწერლობაში კი ორი ტიპის ანბანი გვხვდება **ჰირაგანა და კატაკანა**, რომლებიც ჩინური იეროგლიფების გამარტივებულ სიმბოლოებს წარმოადგენენ.

### **პიქტოგრამული და იდეოგრამული დამწერლობები**

დამწერლობის ადრეული ნიმუშები გრაფემის სახით სურათებს იყენებდნენ, რომლის ყველაზე კლასიკური მაგალითი ძველი ეგვიპტური დამწერლობაა.

პიქტოგრამული იყო თავდაპირველად ჩინური დამწერლობაც. ძველად ჩინელები ხელის გამოსახატავად ხატავდნენ ხელის მტევანს, მზის გამოსახატავად ხატავდნენ მზეს და ა.შ., თუმცა როდესაც მათ სურდათ აბსტრაქტული ცნების გამოხატვა, ისინი ამას რამდენიმე პიქტოგრამის გაერთიანებით და პიქტოგრამთა ამ ჯგუფისათვის ახალი აზრის მინიჭებით ახერხებდნენ. მაგალითად: მზის პიქტოგრამაზე დახატული ხის პიქტოგრამა, რაც ხეს მოფარებულ ამომავალ მზეს აღნიშნავდა, აღმოსავლეთს გამოხატავდა, რადგან მზის ამოსვლა აღმოსავლეთს უკავშირდება. შემდგომში, პრაქტიკული მიზნით, მზის და ხის პირდაპირ ხატვას ჩინელებმა მათი აღმნიშვნელი სიმბოლოები, იდეოგრამები არჩიეს და შედეგად ეს იეროგლიფი მიიღეს – 東. ასე იქცა პიქტოგრამული დამწერლობა იდეოგრამულ დამწერლობად. **დღესდღეობით ჩინური და იაპონური დამწერლობები იდეოგრამულ დამწერლობებს წარმოადგენენ.**

**პიქტოგრამული და იდეოგრამული** დამწერლობების განხილვას როგორც ციფრების წინაპირობას ჩვენ არ შევუდგებით. ასევე, ჩვენის აზრით, ამისათვის არც **ლურსმული** დამწერლობა გამოგვადგება. თუმცა ამ საკითხში კატეგორიულები ვერ ვიქნებით და ვისაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია თვითონვე მოახდინოს შედარება.

**ვინაიდან ციფრებს ვუწოდებთ არაბულს და ისინი ინდური წარმოშობისა არიან, შედარება დავიწყოთ სწორედ ამ დამწერლობებით.**

**ბრაჰმი** (სანსკრ. ब्राह्मी, Brāhmi) - ინდური დამწერლობის ერთერთი უძველესი სახეობაა. წერის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ. ბრაჰმი მიიჩნევა თითქმის მთელი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ადგილობრივი დამწერლობების წინაპრად, თუმცა შუა საუკუნეებში თვითონ ეს დამწერლობა დაივიწყეს. XVIII საუკუნეში რამდენიმე ლინგვისტის მცდელობით (რომელთა შორისაც აღსანიშნავია ინდოელი ნუმიზმატი **ჯეიმს პრინსეპი**) იგი ხელახლა გაშიფრულ იქნა.

ბრაჰმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ინდური დამწერლობის სამი განშტოება: ჩრდილოეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის.

ჩრდილოეთის განშტოებას მიეკუთვნებიან: გუპთა, ტიბეტური, ნაგარი (დევანაგარი), შარადა, ნევარი, ბენგალური, ორი, გუჯარათული, გურმუკხი და სხვ.

სამხრეთის განშტოებაა გრანტკა, რომელსაც გააჩნია ოთხი ანბანი: კანნადა, ტელუგუ, მალაიალური და თამილური.

სამხრეთ-აღმოსავლური კი ეს ინდოეთის გარეთ განვითარებული შტოა: სინჰალური, ბირმული, ლაოსური, ... ძველი ინდოჩინური და ინდონეზიური დამწერლობები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია რამდენიმე მათგანი:

Vowels	Hindi	Punjabi	Bengali	Gujarati
A	अ म	ਅ ਮ	অ ম	અ મ
Aa	आ मा	ਆ ਮਾ	আ মা	આ મા
I	इ मि	ਇ ਮਿ	ই মি	ઇ મિ
Ee	ई मी	ਈ ਮੀ	ঐ মী	ઈ મી
U	उ सु	ਉ ਸੁ	উ সু	ઉ મુ
Oo	ऊ सू	ਊ ਸੂ	ঊ সু	ઊ મૂ
E	ए मे	ਏ ਮੇ	এ মে	એ મે
Ey	ऐ मै	ਐ ਮੈ	ঐ মৈ	ઐ મૈ
O	ओ मो	ਓ ਮੋ	ও মো	ઓ મો
Ou	औ मौ	ਔ ਮੌ	ঔ মৌ	ઔ મૌ
Un'	अं मं	ਅੰ ਮੰ	—	અં મં
An'	अँ मँ	ਅੰ ਮੰ	অঁ মঁ	અં મં

და სხვები.

ამ დამწერლობათა გრაფიკაში შეიძლება დავიჭიროთ ციფრებთან მსგავსების რაღაც ელემენტები, მაგრამ რადგანაც ისინი ნაწარმოებია „ბრაჰმიდან“, ამიტომ ჩვენი ინტერესის საგანს, როგორც მათი წინაპირობა, ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

„ბრაჰმის“ წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვერსიები არსებობს. ინდოელ მეცნიერთა ნაწილს სჯერა, რომ იგი ადგილობრივი წარმოშობისაა. ზოგიერთი მათგანი ამის დასტურად მიიჩნევს პროტონინდური დამწერლობის ნიმუშებს (III-II ათასწლ. ჩვ.წაღ.-მდე), რომლებიც აღმოჩენილ იქნა ქალაქების ჰარაპისა და მოხენჯო-დაროს არქეოლოგიური გათხრების დროს. არაინდოელ მეცნიერთა მიერ კი უფრო მეტად აღიარებულია ვარაუდი, რომ „ბრაჰმი“ წარმოშობილია არამეული ანბანიდან, რის დამამტკიცებლადაც ისინი მიიჩნევენ ასოთა დიდი რაოდენობის მსგავსებას. ეს დამწერლობა სავარაუდოდ შეიქმნა ჩვ.წაღ.-მდე VIII ან VII საუკუნეში.

## ბრაჰმი:

𑀀	a	𑀠	jha	𑀡	pa
𑀁	o	𑀢	ṅa	𑀣	pha
𑀄	i	𑀤	ṭa	𑀥	ba
𑀦	u	𑀧	ṭha	𑀨	bha
𑀩	e	𑀪	ḍa	𑀫	ma
𑀬	ka	𑀭	ḍha	𑀮	ya
𑀯	kha	𑀰	ṇa	𑀱	la
𑀲	ga	𑀳	ṭa	𑀴	va
𑀵	gha	𑀶	ṭha	𑀷	śa
𑀸	ḥa	𑀹	ḍa	𑀺	ṣa
𑀻	ḥha	𑀼	dha	𑀽	sa
𑀾	jā	𑀿	na	𑁀	ha

„ბრაჰმის“ გრაფიკათა შედარებისას ინდურ ციფრებთან მართლაც შეინიშნება რამდენიმე მსგავსება. მაგალითად: „𑀫“ „ma“ ბგერის გრაფემის ფორმა თითქმის იდენტურია ინდური ციფრისა 4, ასევე „𑀤“ „t.a“ ბგერისა - 6, „𑀧“-„tha“ - 0. შეიძლება გვეფიქრა, რომ ინდოელებმა ეს გრაფემები შეუსაბამეს ციფრებს, მაგრამ მაშინ დაისმის კითხვა, რატომ არ არის შესაბამისობა ციფრებისა და ასონიშნების განლაგებათა შორის? მათი ურთიერთმიმართება იმდენად არასტრუქტურულია, ხოლო ფონემები იმდენად განსხვავებული (მაგ. „𑀫“ „ma“ ბგერას საერთო არაფერი აქვს ციფრ 4-ის ინდურ სახელთან „ჩატურ“ ან „ჩარჰ“), რომ წარმოუდგენელია ეს ანბანი მივიჩნიოთ ციფრების წინაპირობად. მით უმეტეს, ცნობილია, რომ ინდოეთში ციფრები არსებობდნენ ასონიშნების პარალელურად, მათგან დამოუკიდებლად.

**არაბულ დამწერლობაში** 18 განსხვავებული ასონიშანია, რომლებსაც ოთხი სხვადასხვა სახე აქვს იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს ასოს სიტყვაში. ასოით ნიშნებზე დამატებული ერთი ან რამდენიმე წერტილის საშუალებით არაბულ წერით სისტემაში საბოლოოდ მიიღება 28 ასო, რომელთაგან ყველა თანხმოვანია, ხმოვნების გამოსახატავად კი გამოიყენება დიაკრიტიკული ნიშნები. როგორც აღიარებულია, **არაბული დამწერლობა არამეულიდან** განვითარდა. ხოლო რაც შეეხება არამეულს, იგი **ფინიკიური დამწერლობიდან** მოდის. საკუთრივ არაბული დამწერლობა ჩვენთვის ამ შემთხვევაში შეიძლება ინტერესის საგანს არც წარმოადგენდეს, რადგან არაბებმა ციფრები, როგორც ვიცით, ინდოელებისაგან გადმოიღეს, მაგრამ მაინც მოვახდინოთ შედარება. არაბული სისტემის გრაფემებში არის რამდენიმე ნიშანი, რომლებიც შეიძლება მივამსგავსოთ ციფრებს. ესენია: პირველი ნიშანი „𐌀“ რომელიც ექვივალენტურია ფინიკიური „aleph“-ისა და გრაფიკულად ჰგავს ციფრს 1, მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის კიდევაც 1., „𐌁“, „𐌂“ რომელიც გრაფიკულად ჰგავს თანამედროვე ციფრს 6. ასევე „𐌃“, „𐌄“ რომელიც გრაფიკულად ჰგავს ძველ ინდურ და სპარსულ ციფრს 4 და „𐌅“ „ვაჰ“, რომელიც გრაფიკულად ჰგავს დღევანდელ 9-ს. ხომ არ არის აღნიშნული მსგავსება ძველი სემიტური წერითი სისტემის ციფრებთან კავშირის გამოძახილი? არაბული სისტემა თავისთავად ვერ იქნება ციფრების

მშობელი, იმიტომ რომ მასში გრაფემა-ფონემები და მათი რიცხვითი მნიშვნელობები მოუწესრიგებელი და ქაოტურია.

**ფინიკიურ დამწერლობას** მიაკვლიეს XIX საუკუნეში. მკვლევართათვის უცნობია მისი სათავე. ვარაუდობენ, რომ ის მომდინარეობს ეგვიპტური იეროგლიფებიდან, მაგრამ, ამავე დროს, ვერ პოულობენ მნიშვნელოვან არგუმენტებს ამის დასამტკიცებლად. ფინიკიურ წერით სისტემაში ნამდვილად შეინიშნება ციფრების მსგავსი ასონიშნები. ამ დამწერლობაში 22 ასოა. მათ შორის ყველაზე თვალშისაცემია „ჰეთ“ ფონემის გრაფიკული ნიშნის „𐤀“ მსგავსება ციფრ 8-სთან. მისი რიცხვითი მნიშვნელობაც 8-ის ტოლია. ასევე შეიძლება ითქვას „𐤁“ „ბეთ“ ნიშანზე, რომელიც გრაფიკულად წააგავს და რიცხვითი მნიშვნელობითაც უტოლდება 2-ს, „დალეთ“ ფონემის ნიშანზე „𐤃“, რომელიც წააგავს და უტოლდება 4-ს, „ზაინ“-ის გრაფემაზე „𐤄“, რომლის მსგავსებაც 7-თან უფრო კარგად შემოგვინახა ებრაულმა (არამეულიდან) „ז“, რიცხვითი მნიშვნელობით 7. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსება საკმაოა. ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანს ამ შემთხვევაში მხოლოდ მარტივი რიცხვები წარმოადგენენ, შედარებისათვის ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს მხოლოდ პირველი ცხრა ასონიშნისათვის.

**ფინიკიური ანბანი და მისი დამოკიდებულება სხვა ანბანებთან:**

ფინიკიური ასოები		დასახ.	მნიშვნ.	ქართული	სხვა შესაბამისი ასოები				
					ებრ.	არაბ.	ბერძნ.	ლათინური	კირილ.
		āleph	ხარი	ა	ﺍ	ا	Αα	Aa	Аа
		bēth	სახლი	ბ	ﺏ	ب	Ββ	Bb	Бб, Вв
		gīmel	აქლემი	გ	ﻎ	ج	Γγ	Cc, Gg	Гг
		dāleth	კარი	დ	ﺩ	د	Δδ	Dd	Дд
		hē	ფანჯარა	ე	ﻫ	ه	Εε	Ee	Ее, Ее
		wāw	კავი	ვ	ﻭ	و	(Ff), Yu	Ff, Uu, Vv, Ww, Yy	Уу

		<u>zavin</u>	იარაღი	ზ	რ	კ	Zz	Zz	Зз
		<u>hēth</u>	ლობე	ჰ	ნ	ც	Hh	Hh	Ии
		<u>tēth</u>	ბორბალი	თ	ს	ტ	Θθ		Фф

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული გრაფემების გარდა ძნელია მოიძებნოს სხვა შედარება. თუმცა გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ ათასწლეულების შემდეგ გრაფიკული ნიშნები რაღაც ფორმით დაშორდნენ თავიანთ საწყის მოხაზულობას.

### ძვ. ბერძნული და ლათინური ანბანები

მიიჩნევა, რომ ძველმა ბერძნებმა საკუთარი ანბანი სემიტური დამწერლობის ფინიკიურ ვარიანტზე დაყრდნობით შექმნეს, შეინარჩუნეს რა ასოების თავდაპირველი თანმიმდევრობა. მრავალი მეცნიერის მტკიცებით ეს განხორციელდა ჩვ.წელთაღრიცხვამდე XI საუკუნეში, თუმცა საერთო აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. უძველესი, დღემდე ნაპოვნი ძველი ბერძნული წარწერა ღვინის ხელადაზე სავარაუდოდ შესრულებულია ჩვ.წ.აღ.-მდე VIII საუკუნეში. ასევე მიიჩნევა, რომ ბერძნებმა პირველებმა გამოხატეს ხმოვნები ასოების საშუალებით. (ხმოვნები ძველ ფინიკიურ ანბანში ასოებით არ აღინიშნებოდა).

ძველი ბერძნული ანბანიდან წარმოშობილ ანბანთა შორის გამოსარჩევია ეტრუსკული ანბანი, რომელმაც თავის მხრივ დასაბამი მისცა ლათინურ ანბანს. დღესდღეობით აღმოჩენილ წარწერათა შორის, უძველესი ლათინური წარწერა განეკუთვნება ჩვ. წ.აღ.-მდე VI საუკუნეს. ძველ რომაელთა დაპყრობითმა პოლიტიკამ კი შემდგომში ლათინური ანბანი დასავლეთ ევროპაში აღმოცენებული ყველა ენის საბაზისო ანბანად აქცია.

ძველი ბერძნული ასოები თითქმის არ განსხვავდებიან ფინიკიური ასონიშნებისაგან. ასე რომ, მათი ცალკე განხილვა საჭიროდ არ მივიჩნევთ. რაც შეეხება ახალ ბერძნულ ასოებს, ზემოთმოყვანილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ „Δδ“, „Ζζ“, „Ηη“ და „Θθ“ ასონიშნებმა შეინარჩუნეს მოხაზულობაც და რიცხვითი მნიშვნელობებიც.

ლათინურ ანბანში ასონიშნანთა თანმიმდევრობა აღარ ემთხვევა წინამორბედ ანბანებს. მაგალითად, „Zz“ ნიშანი ამ ანბანში სულ ბოლოშია გადანაცვლებული და რიცხვითი მნიშვნელობაც - 7 აღარ შეესაბამება. ამასთანავე ვიცით, რომ ლათინურ დამწერლობაში სრულიად სხვა სახის ციფრები გამოიყენებოდა.


რაც შეეხება იმ ანბანებს, რომელთა გრაფემები სრულიად განსხვავდებიან ციფრებისაგან და, მით უმეტეს, რომელთა შემქმნელთა ვინაობებიც კი ცნობილია, მათ გვერდს ავუვლით, რადგანაც მიგვაჩნია რომ ისინი ციფრების წინაპირობა ვერანაირად ვერ იქნებიან.

### დამწერლობათა შორის გამოირჩევა ქართული ანბანი.

ქართულ ასომთავრულ, ნუსხა-ხუცურსა და მხედრულ ანბანებში იდეალურად არის განხორციელებული პირობა: ერთ ფონემას - ერთი გრაფემა, ე. ი. თითოეულ ბგერას გააჩნია საკუთარი გრაფიკული ნიშანი. ამასთან ერთად ეს ანბანი ერთადერთია ანბანთა შორის, სადაც ყველა გრაფემას სტრუქტურულად, მოწესრიგებულად შეესაბამება რიცხვითი

მნიშვნელობები ვიდრე 10000-მდე, გამონაკლისი 23-ე ასონიშნის „“ „უნ“-ის გარდა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით.

თუ დავაკვირდებით ქართულ ანბანს, ერთი შეხედვითაც კი შესამჩნევია პირველი ცხრა ასონიშნის გრაფიკული მსგავსება მათ შესაბამის ციფრებთან. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ასომთავრული „“, ნუსხა-ხუცური „“, მხედრული „“- „ან“, პირველი ასო რიცხვითი მნიშვნელობით ერთი. ალბათ ყველა გრაფიკოსი დაგვემოწმება, რომ მხოლოდ ხელის გამარტივებული მოძრაობაა საჭირო, რათა ამ გრაფემიდან მივიღოთ თანამედროვე ციფრ 1-ის სიმბოლო. მაგ:  ... 1.

მეორე ასო „“, „“, „“- „ბან“,  ... 2. რიცხვითი მნიშვნელობით ორი.


მესამე - „“, „“, „“- „გან“, რომლის მსგავსებაც ციფრთან 3 ასევე უდავოა:  ..... 3, რიცხვითი მნიშვნელობით სამი.


აღსანიშნავია, რომ ეს ასონიშანი ფინიკიურ ანბანში აღინიშნება „“ გრაფემით და გამოითქმის ფონემით - „გიმელ“, რაც ნიშნავს „აქლემს“. ძნელია მოიძებნოს მსგავსება აქლემსა და ფინიკიურ გრაფემას შორის (თუმცა აქლემი ერთკუზიანიცაა). ხოლო ასომთავრული „გან“ და მისი შესაბამისი ციფრი 3 მართლაც მოგვაგონებენ აქლემს.

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა რიგით მეოთხე, „დონ“ ბგერის გრაფემა - „“, „“, „“. რომლის თავდაპირველი სახის (ყელის გარეშე) ზუსტი ანალოგია ინდური ციფრი „“ „ჩარჰ“ ანუ „ჩატურ“ 4. მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის კიდევ ოთხი. ამ გრაფემას ძალზე წააგავს (უფრო სწორად მისი პრიმიტიული ფორმა) ფინიკიური და შესაბამისად სხვა დამწერლობებში გადასული „დალეთ“ ანუ „დელტა“ ფონემის გრაფიკული ნიშანი:

 ... 4.


მეხუთე „ენ“ ფონემის გრაფიკული ნიშნის „“, „“, „“ ტრანსფორმაცია ციფრ 5-ის აღმნიშვნელ სიმბოლომდე კარგად ჩანს ინდური ციფრის „“- „პანჩა“ ანუ „პანჯ“ (რიცხვითი მნიშვნელობით ხუთი) ფონზე:

 ... 5.

მექვსე „ვინ“ „“, „“, „“ ასოს მხოლოდ შებრუნებით დაწერა გვაძლევს ინდურ ციფრს „“, „“ ანუ „“ რიცხვითი მნიშვნელობით 6 ექვსი.  ... 6.

სავარაუდოდ, ამ ციფრის შემობრუნება გამოიწვია მისმა მსგავსებამ უკვე არსებულ სიმბოლოსთან - 3 „ტრი“ ანუ „ტრა“ სამი.

მეშვიდე „ზენ“ ფონემის გრაფიკული ნიშანი „“, „“, „“ უფრო მეტად მსგავსია დღევანდელი ციფრ 7-ისა ვიდრე ინდური „სატ“ ანუ „საკატ“ „“ სიმბოლო, რომელიც მოხაზულობით აშკარად ენათესავება ქართულ გრაფემებს.

 ... 7. რიცხვითი მნიშვნელობით შვიდი.

არქიმანდრიტი ილარიონი. ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ

მეოთხე გრაფემაზე არანაკლებ საინტერესოა რიგით მერვე „ჰე“, „F“, „ჩ“, „მ“ ასონიშანი, რომელიც ანალოგია ფინიკიური „მ“ „ჰეთ“ გრაფემისა და რიცხვითი მნიშვნელობითაც მისი ექვივალენტურია - რვა.

აქ შეიძლება დამატებით ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ციფრს 8 მიიჩნევს ნაწარმოებად ლათინური სიტყვიდან „octo“ რაც ნიშნავს რვას (თითქოსდა ამ სიტყვის ორი „O“ გრაფემის შეერთებით მიიღეს ეს სიმბოლო). ამ საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ზემოთმოყვანილი ფინიკიური „ჰეთ“ ფონემის გრაფიკული გამოსახულება „მ“ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ რვიანის აღმნიშვნელ სიმბოლოს ანბანში სხვა ციფრებზე გაცილებით მყარი საფუძველი აქვს. ამასთან ერთად, ეს მსგავსება საკმაო მიზეზს იძლევა ვიფიქროთ, რომ ევროპელებს ინდურ-არაბული ციფრები პირდაპირ, რვეიზიის გარეშე არ მიუღიათ. სავარაუდოდ მათ ეს ციფრები შეაჯერეს რომელიმე ძველ ანბანთან (ან ციფრებთან, რომელთაც მანამდე იყენებდნენ) და დახვეწეს ისინი. ამით შეიძლება აიხსნას თუნდაც დღევანდელი ციფრის 8 უფრო მეტად მსგავსება ფინიკიურ „მ“ „ჰეთ“ გრაფემასთან ვიდრე ინდურში მისსავე ექვივალენტურ „C“ „ამტა“ ანუ „ატჰა“ ნიშანთან. ასევე საფიქრებელია, რომ ევროპელებისათვის (შეიძლება არაბებისთვისაც) ინდურ ციფრებზე უფრო მეტად საინტერესო სიახლე ათობით სისტემაზე დაფუძნებული ანგარიში და არაფრის აღმნიშვნელი „0“ სიმბოლო იქნებოდა, რადგან შეუძლებელია, რომ ახალი სიმბოლოების შემოღებამდე მათ არ ჰქონოდათ სხვა სახის გრაფიკული ნიშნები რიცხვების გამოსახატავად, თუნდაც ჩვენთვის უცნობი ის ციფრები, რომლებითაც ანგარიშობდა პითაგორა.

რა შეიძლება ვთქვათ რიგით მეცხრე, „თან“ „მ“, „მ“, „მ“ გრაფიკულ ნიშანზე? მსოფლიოში ყველა ბავშვი, ვისაც ათამდე თვლა და ციფრების ჩაწერა უსწავლია, კითხვაზე, თუ რომელი ციფრი შეიძლება იყოს ამ ნიშნით გამოსახული? ალბათ უყოყმანოდ უპასუხებს, რომ ეს არის 9, ცხრა.

## ერთ... 9.

ჩვენ დავამთავრეთ ქართული ანბანის პირველი ცხრა ასონიშნის შედარება მათ შესაბამის ციფრებთან და საკმაოდ მკაფიოდ დავინახეთ, რომ დღემდე ჩვენთვის ნაცნობ ანბანთა შორის იგი ყველაზე მეტად ახლოა მათთან. შეიძლება ვთქვათ, ალბათობა იმისა, რომ ქართული ანბანი დღეს არსებული ციფრების წინაპირობაა, სხვა ანბანებთან შედარებით, გაცილებით დიდია.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს არაფრის აღმნიშვნელი სიმბოლოს, ციფრ „0“-ის საკითხი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალ-ხორეზმის რჩევით ინდურ ანგარიშში შემოვიდა ცარიელი წრე ანუ ნული, ინდურად „შუნია“. მაგრამ როგორ გაჩნდა თვითონ იდეა არაფრის ასე გამოსახვისა? თუ განვავრდობთ ამ ციფრის შესაბამისი გრაფემის ძებნას, ვნახავთ, რომ არცერთი ანბანი გარდა ქართულისა, არ იცნობს ასეთი ფორმის ნიშანს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობით (თუ არ ჩავთვლით თითქმის ყველა მათგანში არსებულ „O“ გრაფემას, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 70). ქართულ ასომთავრულ ანბანში კი 23-ე გრაფიკული ნიშანი „მ“, რომელიც 38 ნიშანთაგან ერთადერთი შედგენილი ნიშანია (რაც ხაზს უსვამს მის უალრეს საპირობას), არა მარტო იმეორებს ციფრ ნულის ფორმას, არამედ სიდიდიდაც

უდრის მას - არაფერს, რადგანაც არ გააჩნია რიცხვითი მნიშვნელობა. ამასთანავე, ფონეტიკურად, იგი გამოითქმის ამ ციფრის ინდური სახელის მსგავსად: „მუნია“ ანუ „უნი“.

შეიძლება ვინმეს არასერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ფონემა-გრაფემა, ასობგერა „უნი“ არა მარტო ანგარიშში, გრამატიკულადაც ყველაფერს ანულებს, არაფრად აქცევს. საკმარისია იგი გამოჩნდეს ნებისმიერი ზედსართავი სახელის წინ, რომ არათუ შეცვალოს, არამედ მთლიანად გააქროს მისი მნიშვნელობა (მაგ: მოკვდავი-უკვდავი). ასეთი მაგალითები იმდენად ბევრია ქართულ ენაში, რომ მათი აქ მოყვანა არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს. (იქნებ ის ფაქტიც არ არის შემთხვევითი, რომ ინგლისურ ენაშიც პრეფიქსი „un“ იგივე ფუნქციას ასრულებს რასაც „უნ“-ი ქართულში).

თუ შევადარებთ ქართულ ანბანს სხვა ძველ ანბანებთან, დავინახავთ, რომ „უნ“-ი თითქოს გადაულახავ ბარიერად ქცეულა ძველი სემიტური კონსონანტური ანბანებისათვის. ეს ანბანები სწორედ ამ ასობგერამდე მისდევნენ ქართულს, ხოლო შემდეგ უბრალოდ ქრებიან.

მსჯელობის დროს ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ გავექცეთ ყოველგვარ მისტიკას. არც გაბატონებული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლაა ჩვენი მიზანი. მაგრამ როდესაც ვეხებით ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ანბანი, ციფრები და მათი წარმოშობა, ძნელია თავი აარიდო ერთსაც და მეორესაც.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. (ჩვენ შეგნებულად ავუვლით გვერდს და ზედმეტად არ შევაწუხებთ იმ უცხოტომელის სულს, რომელსაც მკრეხელურად, განზრახ თუ უნებლიედ ქართველოლოგი „მეცნიერები“, ყოვლად უსაფუძვლოდ, მიაწერენ ამ ანბანის შექმნას). XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, ქართული ანბანის შექმნას იბერიის პირველ მეფეს, ფარნავაზს უკავშირებს (IV-III ს.ს.ჩვ.წ.აღმდეგ). თავის ნაწარმოებში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ იგი დაწვრილებით აღწერს თუ როგორ წამოვიდა ქართველთა წინაპარი, ბიბლიური ნოეს შვილთაშვილი თარგამოსი შუამდინარეთიდან: „... იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყვნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა (სავარაუდოდ ეს ხდება ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის დასაწყისში. შენიშვნა ჩემია. არქ. ილარ.). და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორთა მათ მათა შუა კაცშეუვალთა არარატსა და მასისსა. ... ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავალით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.“ („ქართლის ცხოვრება“ სახელგამი. თბილისი. 1955 წ.) ამის შემდეგ მროველი მოგვითხრობს თუ როგორ მოხდა დაპირისპირება თარგამოსის შთამომავალთა შორის, რამაც გამოიწვია ტრადიციების მოშლა და რელიგიურ-კულტურულ ღირებულებათა ცვლილება: „... ხოლო ვითარცა მოკულა მცხეთოს, ძე ქართლოსისი (ქართლოსი იყო ძე თარგამოსისა, თარგამოსი - ძე თარშისა, თარში - ძე იაფეტისა, იაფეტი - ძე ნოესი. შენიშვნა ჩემია. არქ. ილარ.), შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და ჰხდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისა არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისთა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლება ქართლოსიანთა. ... და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამზადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი.“ ე. ი. ქართველებმა დაივიწყეს ძველი, მამაპაპათა ცხოვრების წესი და შესაბამისად დაკარგეს ის ცოდნა, კულტურა რაც მანამდე ტრადიციულად გადმოეცემოდათ. თუ გავაცნობიერებთ, რომ კულტურა არის იმ ღირებულებათა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც ხდება ერის იდენტიფიკაცია (განმარტება ჩემია. არქ. ილარ.), წარმოვიდგენთ რა საშიშროების წინაშე

დადგა იმ დროს ქართველი ერი. უფრო მეტიც, როგორც მროველი გადმოგვცემს, **ქართველებმა თითქმის საკუთარი ენაც კი დაკარგეს**, რადგან: „იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი (მტერთაგან დევნილ-შევიწროებულნი, თავშესაფარად მოსული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები. შენიშვნა ჩემია. არქ. ილარ.), და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა.“ საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია. თავისთავად ცხადია, ერს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უდგას ყოფნა-არყოფნის საკითხი, უმწელებსა შეინარჩუნოს საკუთარი პროგრესული მონაპოვარი, თუნდაც მემკვიდრეობით მიღებული ღირებულებები. ასეთი განსაცდელების ჟამს პრიორიტეტი ენიჭება ბრძოლას გადარჩენისათვის, ხოლო ყველა სხვა პრობლემა მეორეხარისხოვანია. გადაგვარების გზაზე დამდგარ ქართველ ერს მხსნელად **მეფე ფარნავაზი (IV-III ს.ს.ჩვ.წ.აღ.მდე.)** გამოუჩნდა. იმავე წყაროს მიხედვით: „**ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაგრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.**“ მროველი ამბობს, რომ ფარნავაზმა შექმნა „**მწიგნობრობა ქართული**“. ამ სიტყვების გაგება შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაციით, კერძოდ: ა - ფარნავაზმა შექმნა ანბანი, რაც ჩვენის აზრით საკამათო საკითხია, და ბ - ფარნავაზმა შემოიღო ქართული განათლება, **აღადგინა რა და გაასაჯაროვა დავიწყებული ქართული ანბანი.**

საკუთრივ ფარნავაზის შესახებ მითი და სინამდვილე ერთმანეთშია არეული. **არ არის გამორიცხული, რომ იმ „განძში“, რომელიც მან იპოვა და რომელიც ფაქტიურად გახდა მისი გამეფების გარანტი, იგულისხმებოდეს არა მარტო მატერიალური სიმდიდრე, არამედ ის დავიწყებული, გადამალული ცოდნაც, რაზეც ეფუძნებოდა ქართული ცნობიერება და რომელიც წარმოდგენელია დამწერლობის გარეშე.**

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი რატომღაც დარწმუნებულია, რომ ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებშია შექმნილი. კერძოდ, იმ მოსაზრებით, რომ ახალი სარწმუნოების, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად საჭირო გახდა ახალი ანბანის შექმნა. ალბათ ამავე მოსაზრებით მიიჩნევენ, რომ მას საფუძვლად უდევს ბერძნული ანბანი. ჩვენის აზრით ეს შეხედულებები ძალზე უსაფუძვლო და თუ გნებავთ დამამცირებელია ქართული ანბანისათვის, რადგანაც იგი ბერძნულ ანბანზე გაცილებით მოწესრიგებული და სრულყოფილია. შეიძლება ვინმე შეგვედავოს, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ დაიხვეწა და მოწესრიგდა ვიღაც ძალიან ჭკვიანი კაცის (ან კაცების) მიერ, გახდა იგი ასეთი სრულყოფილი. მაშინ ჩვენ ვიკითხავთ: რატომ არ მოხდა ანალოგიურად ძველი ბერძნულიდან ნაწარმოები სხვა ანბანური სისტემების (იტალიკური წერითი სისტემები) შემთხვევებში? ეს წერითი სისტემები (თუმცა კი მათი ენები უფრო მსგავსია ბერძნულისა ვიდრე ქართული), არქაული ლათინურის ჩათვლით, ან პირდაპირ იმეორებენ ძვ. ბერძნულ ასონიშნებს, ან უარეს შემთხვევაში, ნაწილობრივ ნაკლოვანებას ან დეგრადაციას განიცდიან. თავისთავად ისმება კითხვა: რატომ არ წარიმართა ევოლუციის პროცესი ყველა ანბანისათვის თანაბარი კანონზომიერებით?

კაცობრიობის ისტორიაზე წარმოდგენა ძირფესვიანად შეიცვალა XIX საუკუნიდან. ეს განაპირობა ახალი „მოდერნის“, ევოლუციის თეორიის გაბატონებამ. მას შემდეგ აგერ უკვე მეორე საუკუნეა, რაც მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი (საბედნიეროდ არა აბსოლუტური უმრავლესობა) უპირობოდ ღებულობს ამ თეორიას და შესაბამისად, ცდილობს, დაამტკიცოს „**დარვინის ჭეშმარიტება**“ და არა სინამდვილე, როგორც ასეთი.

ჩვენს დროში, განსხვავებული რასის ადამიანთა გენეტიკური კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ მთელი კაცობრიობა წარმოშობილია ერთი პიროვნებისაგან (ამ აღმოჩენას სენსაციურს უწოდებენ, თუმცა ათეული საუკუნეებია წმინდა წერილი ამას გვასწავლის). ანთროპოლოგები ვარაუდობენ, რომ კაცობრიობის საერთო წინაპარი აფრიკიდანაა. საიდანაც არ უნდა იყოს წარმოშობით და თუნდაც მიამიტურად ჩავთვალოთ, რომ ერთ-ერთი ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციური განვითარების შედეგად გაჩნდა ჩვენი პირველი წინაპარი, მაინც ცხადია, რომ კაცობრიობის ისტორიის რაღაც ეტაპზე მისი შთამომავლობა ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ალბათ ერთი იყო მათი, თუნდაც პრიმიტიული, ურთიერთობის საშუალებებიც და მათ შორის **წერითი სისტემაც**.

წერითი სისტემების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და განვითარების შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძეს**. აკაკი შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემულ მის წიგნში „**წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა**“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1989), ყველა ის საკითხი, რაც უკავშირდება ზოგადად დამწერლობას და კერძოდ ანბანურ სისტემას, სრულყოფილად, მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული და გადმოცემული. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ბატონ თამაზს, როდესაც იგი ამბობს: **„ყოველი დამწერლობის სათავეში, .... დგას კონკრეტული პიროვნება ან, შესაძლებელია, პიროვნებათა ჯგუფი, ამ დამწერლობის შემქმნელი, რომელიც ერთიანი გეგმის მიხედვით ადგენს ახალ წერით სისტემას გარკვეული წერილობითი პროტოტიპის საფუძველზე. .... ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება ისე, თითქოს თავდაპირველად იქმნება რამდენიმე ნიშანი, რომლებსაც შემდგომ კიდევ რამდენიმე ემატება; ამას კიდევ რაღაც რაოდენობა ერთვის და ა.შ., სანამ ხანგძლივი ევოლუციის პროცესში არ მიიღება საკმაოდ სრული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხერხდება ამა თუ იმ ენაზე ტექსტის ჩაწერა. წერილობითი სისტემა, რამდენადაც იგი დამწერლობას წარმოადგენს, იმთავითვე სრული სისტემის სახით ყალიბდება .... და ამ აზრით არის სწორედ წერილობითი სიტემის შექმნა „ერთდროული აქტი“, განხორციელებული კონკრეტული პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის ერთიანი შემოქმედების შედეგად.“ (გვ.121).**

მაშ, სად უნდა ვეძებოთ ის „წერილობითი პროტოტიპი“, რომელიც საფუძველად დაედო ქართულ ანბანს?

ყველა ძველი ანბანური დამწერლობის: ფინიკიური, არამეული (თუ სხვა სემიტური), ძვ. ბერძნული, არქ. ლათინური, ქართული, ბრაჰმი და ა. შ., შედარებისას თვალნათელია, რომ მათ გააჩნიათ საერთო საფუძველი. ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით დამწერლობამ ევოლუციური გზა განვლო პიქტოგრამებიდან ანბანამდე. კერძოდ, ძველქანაანური დამწერლობის აღმოჩენილ ფრაგმენტებს მიიჩნევენ ე. წ. „შუალედურ რგოლად“ სინაის დამწერლობასა (რომელიც იეროგლიფებთან ერთად რამდენიმე გრაფემის ჩანასახსაც შეიცავს) და ფინიკიურ ანბანს შორის. თუმცა ეს მოსაზრება, არგუმენტების სიმცირის გამო, თეორიად რჩება და იგივე უხერხულობას უქმნის მის მომხრეებს, რასაც ე. წ. „გარდამავალი სახეობების“ არარსებობის ფაქტი ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციური განვითარების გზით წარმოშობის იდეოლოგებს. ამასთანავე ისევ ჩნდება კითხვა: რატომ არ განიცადეს იგივე გარდაქმნა პიქტოგრამებმა სხვა დამწერლობებშიც? (აქ რა თქმა უნდა ვგულისხმობთ ანბანური დამწერლობის ჩამოყალიბებას და არა პიქტოგრამების იდეოგრამებად ფორმირებას). იქნებ ვინმე შეეცდება დაამტკიცოს, რომ იაპონელები, ჩინელები და ა.შ. სხვა დანარჩენი ერები, რომლებიც დღემდე დამწერლობის ამ სახეს იყენებენ, ვერ განვითარდნენ.

შეიძლება პირიქითაც კი ითქვას, რომ მათ სამყაროს უფრო ფაქიზად აღქმა სწორედ ასეთი დამწერლობის შედეგად ჩამოუყალიბდათ, ვინაიდან პიქტოგრამებისა და იდეოგრამების წაკითხვა გაცილებით მეტ ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოითხოვს, ვიდრე ასონიშნებისა და მათი მეშვეობით გადმოცემული მზა აზრის გაგება. ამასთანავე, გაუგებარია რატომ დარჩა უძველესი ცივილიზაციის აკვანი - ეგვიპტე საკუთარი ანბანის გარეშე? ნუთუ საუკუნეების მანძილზე ვერ მოახერხეს ეგვიპტელებმა იეროგლიფებიდან ასონიშნების შექმნა? უფრო ლოგიკური იქნება ვთქვათ, რომ იმ ერებს, რომელთაც აირჩიეს აღნიშნული წერითი სისტემები, ამით არანაირი უხერხულობა არ შექმნიათ და ალბათ არც კი უცდიათ შეეცვალათ ისინი. უხსოვარი დროიდან დღემდე იეროგლიფები დარჩნენ იეროგლიფებად, პიქტოგრამები მაქსიმუმ ტრანსფორმირდნენ იდეოგრამებად, ანბანები კი, რომელთა გრაფიკებმა და ფონემებმა შეიძლება განიცადეს გარკვეული გრაფიკულ-ფონემატური ცვლილებები, იყვნენ და კვლავაც რჩებიან ანბანებად, სისტემური თვალსაზრისით.

(ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვცდილობთ გავეცეთ ყოველგვარ მისტიკას, თორემ შეიძლება უამრავი მოსაზრება გამოითქვას უძველეს ქართულ ცივილიზაციაზე. იმ სამყაროზე, რომელსაც ძველი ბერძნები მითებში მოიხსენებენ. ამ მითებს რომ სინამდვილესთან კავშირი აქვთ ამას თუნდაც ტერმინი „მედიცინა“ ამტკიცებს, რომელიც უშუალოდ კოლხი მედეას სახელიდან მომდინარეობს. იქნებ მითიური მეფე აიეტიც ბიბლიური იაფეტია (ან „მე იაფეტისა“ ბერძნ.)? ეს ორი სახელი თითქმის იდენტურია, ხოლო ხშირად მითიურ პერსონაჟებს ჰყავთ ისტორიული პროტოტიპები, მაგალითად, ქალაქი ტროა და ჰომეროსის გმირები. ქართულ მითოლოგიაშიც, ამირანის გამზრდელი მონადირის, სულკალმახის სახელი სავარაუდოდ ისტორიულ პიროვნებას, სულა კალმახელს (XI ს.) უკავშირდება. ხოლო რაც შეეხება იმ ზღაპრულ თვისებებს, რომელთაც მათ მიაწერენ, ეს უკვე ზეპირგადმოცემათა ვარიაციებისა და ადამიანის დაუშრეტელი ფანტაზიის შედეგია. და თუ მეცნიერებაში მიღებულია ტერმინი „სემიტური“, რატომ არ შეიძლება ყოფილიყო „იაფეტური ანბანი“? სემი და იაფეტი ხომ ძმები იყვნენ და სავარაუდოდ, თანაბრად მიუწვდებოდათ ხელი მამის, ნოეს სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობაზე).

ფაქტი, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ქართული ანბანით შესრულებული V ს.-ზე უფრო ძველი წერილობითი ნიმუში, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ანბანი არ არსებობდა. ვინ იქნება ისეთი მიაშიტი, იფიქროს, რომ ერმა, რომელმაც დღევანდელ განვითარებულ ქვეყნებზე რამდენიმე საუკუნით ადრე მოჭრა მონეტა („კოლხური თეთრი“ VI-III ს.ს.ჩგ.წ.აღ.მდე), თავისი ფულადი ერთეული, წერა-კითხვა არ იცოდა? თვით ამ მონეტებზეც არ არის წარწერა, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ანბანი, რომელიც არის ხატი სიტყვისა, ითვლებოდა წმინდად, საკრალურად და ყოფით ცხოვრებაში არ გამოიყენებოდა. ისევ დავესესხებით ბატონ თამაზ გამყრელიძეს, ზემოთხსენებულ ნაშრომში იგი ამბობს: „...ასტროლოგიური წარმოდგენები დამწერლობასთან კავშირში თავს იჩენს ზოგ უძველეს ორიგინალურ წერით სისტემაში, რომლებიც ღვთაებრივი ძალის პროდუქტად არის მიჩნეული როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცივილიზაციებში. განსაკუთრებით ძლიერია წერის მისტიკური ძალა იმ საზოგადოებათა წარმოდგენებში, სადაც დამწერლობა ქურუმთა სპეციალური კასტის კუთვნილებას წარმოადგენდა. იმ საზოგადოებებში, სადაც წერა ფართოდ ვრცელდება და საზოგადოებრივ კუთვნილებად იქცევა, დამწერლობას არ უკავშირდება ის მისტიკური წარმოდგენები, რაც მთელი რიგი აღმოსავლური ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, ბერძნული ფილოსოფიისათვის უცხოა წარმოდგენები წერის მისტიკური ძალისა და დამწერლობის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ.“(გვ. 44).

რაც შეეხება ქართულ დამწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზის დროს, ჩვ. წ. აღ.- მდე IV-III საუკუნეებში იქცა „საზოგადოებრივ კუთვნილებად“, დღესაც კი, ჩვენს დროში, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ანბანებით მხოლოდ ქართული ეკლესია სარგებლობს, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის და დანარჩენი მსოფლიოსათვის კი ეს ანბანები სამწუხაროდ უცნობია.

როდესაც ანბანების შესახებ ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ ვახსენოთ **ბაბილონი**, ქალაქი, სადაც წმ.წერილის თანახმად, მოხდა ენათა აღრევა.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ **Βαβυλών, 𒅗𒊩 (Babel)**... დასახელებები მცდელობაა იმ სახელის სხვა ენაზე გადმოცემისა, რომელსაც თვითონ ბაბილონელები უწოდებდნენ ამ ქალაქს - „**Bābili(m)**“. ძველ შუმერულ წყაროებში „ბაბილონი“ არ მოიხსენება. შუმერები მას უწოდებდნენ სახელს, რომელიც გადმოიცემა ლოგოგრამით - „**KÁ.DINGIR.RA<sup>KI</sup>**“, სადაც **KÁ** ნიშნავს კარს, **DINGIR** - ღვთაების სახელია, **RA** - კუთვნილებას აღნიშნავს, ხოლო **KI** - დასახლებულ ადგილს. ე.ი. „ქალაქი, სადაც არის ღმერთთან მისასვლელი კარი“. ეს სახელი, რა თქმა უნდა, ეხმიანება ბიბლიურ ისტორიას, იმ შემთხვევას, როდესაც ერთენოვანი მსოფლიოს მეფემ, ნებროთმა, სწორედ აქ, ამ ქალაქში გადაწყვიტა აეშენებინა გოდოლი (კარი) ღმერთთან მისასვლელად. როგორც ბიბლიიდან ვიცით, ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა, რადგანაც უფლის განგებით მოხდა ენათა აღრევა. მაშ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ეს მოვლენა დაეჩრდილა და ამ ქალაქისათვის სახელი შეეცვალათ?

მიიჩნევა, რომ ტოპონიმი „**babil(a)**“ არასემიტური წარმოშობის, უძველესი (პროტოფერატული, არ გამოირიცხება შუმერული) ენის სიტყვაა, რომლის მნიშვნელობაც მეცნიერთათვის უცნობია. სხვა ენებში, ბიბლიური ისტორიის გავლენით, ამ სახელმა „აღრევის“ მნიშვნელობა შეიძინა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულ ენაში სიტყვა „ბაბილო“ ნიშნავს „მაღალ ვენახს“ (საბა), ხოლო „ბაბილონი“ ამ სიტყვის მრავლობითი ფორმაა. ე.ი. დასახელება „ბაბილონი“ (ქალაქის შემთხვევაში) აუცილებლად ნიშნავს „მაღალი ვენახების (ბაღების) ქალაქს“, რაც, სავარაუდოდ, პირდაპირ კავშირშია მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებასთან, ბაბილონის დედოფალ სემირამიდას (დაახ. IX ს. ჩვ. წ. აღ. მდე) „დაკიდულ ბაღებთან“. მართალია ამ ბაღების გაშენებას მეფე ნაბუქოდონოსორს (VI ს. ჩვ. წ. აღ. მდე) მიაწერენ თავისი მეუღლის, დედოფალ ამიტასათვის, მაგრამ ფაქტია, რომ ძველი ბერძნები ამ საოცრებას „სემირამიდას ბაღების“ სახელით მოიხსენებენ. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მეფე ნაბუქოდონოსორმა თავისი მეუღლისათვის მხოლოდ განაახლა სამი საუკუნის წინ (შეიძლება უფრო ადრეც, სხვა რომელიმე მბრძანებლის მიერ) დედოფალ სემირამიდასათვის გაშენებული (ან იმ დროსაც განახლებული) ბაღები, ის დაკიდული (მაღალი ვენახები) ბაღები, რომელთა გამოც ამ უძველეს ქალაქს ნაცვლად „**KÁ.-DINGIR.RA<sup>KI</sup>**“-სა ეწოდა „ბაბილონი“. აქ შეიძლება წინააღმდეგობას წავაწყდეთ იმ მხრივ, თუ რომელი საუკუნიდან გვხვდება ახალი დასახლება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ წერილობით წყაროებში ძველი ქალაქი შეიძლება ახალი სახელითაც იყოს მოხსენიებული. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ თეორიას საფუძვლიანად გააჩნია არსებობის უფლება.

რაც შეეხება უხსოვარი დროიდან შემორჩენილ ნიშნებს სულიერი და კულტურული კავშირებისა, იმ შემთხვევისათვის, რომ აუცილებლად დაისმება კითხვა: თუ დაფუძვებით, რომ ციფრების ფორმირება მართლაც ქართული ანბანიდან მოხდა, როგორ აღმოჩნდნენ ისინი ინდოეთში? პასუხი ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ სავარაუდოა. პრეისტორიულ ქართულ კულტურას ინდურ კულტურასთან რომ უძველესი ფესვები აკავშირებს ეს კარგად ჩანს ქართულ ფოლკლორში, განსაკუთრებით უძველესი ცეკვის, ფერხულის დროს. ეს ცეკვა ამკარად ატარებს საკულტო მსახურების ნიშნებს და ერთადერთი, რაც ამ დროს გაისმის, ეს

არის წარმართული „ღვთაებების“, „რა“-სა და „რამა“-ს სადიდებელი: „ჰარი რა, ჰარი რამა“, რომელიც სრულდება საოცარი რიტმების (დოლი) თანხლებით. აქ შეიძლება „რა“ იგივე „რამა“-ს შეკვეცილი ვარიანტია, მაგრამ ამას ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. სიტყვა „ჰარი“, რომელსაც ინდოელები დღესაც იყენებენ რიტუალების დროს, მარტო მათი საკუთრება რომ არ არის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ქართულ ფოლკლორში ის ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვაა (მაგ. „ჰარი ჰარალე“ - ასევე სადიდებელი წარმართული „ღვთაება“ „ჰარალესი“), ხოლო ქართული ფოლკლორის იდენტურობა არავისთვის საეჭვო არ არის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ანბანი (და შესაბამისად ციფრები) უშუალოდ უკავშირდებოდა საკულტო მსახურებას, მივალთ დასკვნამდე, რომ სავსებით შესაძლებელია საქმე გვექონდეს წინაისტორიული პერიოდის საერთო ღირებულებებთან, საიდანაც მოხდა წარმოშობა დღეს არსებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურებისა. ეს მოსაზრება კი უფრო ამტკიცებს ვარაუდს უძველესი ერთიანი მსოფლიოს ერთი ენისა და საერთო ანბანის შესახებ, იმ „წერილობითი პროტოტიპისა“, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა სხვა ანბანურ დამწერლობას. აღნიშნული მოსაზრება სრულ თანხმობაშია ენებისა და ერების შესახებ ბიბლიურ გადმოცემასთან, რომლის მიხედვითაც ბაბილონის მისტერიის შემდეგ მოხდა ერთენოვანი საზოგადოების დაშლა და გაფანტვა მთელ მსოფლიოში.

(აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენა დანარჩენ ენებს „უცხო ენებს“ უწოდებს. ტერმინი „უცხო“ განმარტებას არ საჭიროებს, რადგან იგი თავისთავად ნიშნავს „არაცხებულს“ ე.ი. „არა უფლისმიერს“, „არა კურთხეულს“, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვამთ შეურაცხყოფად ან დამცირებად სხვა ენებისა. იქნებ ეს მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ თვითონ ქართული ენა არის „ცხებული“?)

ვერცერთი თეორია და მოსაზრება მანამდე ვერ გაცდება საკუთარ სტატუსს, სანამ ფაქტებით არ დამტკიცდება. ზუსტი მეცნიერებების შემთხვევებში (ფიზიკა, ქიმია...) ეს გზა ექსპერიმენტია. (თუმცა ზოგ შემთხვევაში ექსპერიმენტი შეუძლებელია და აღიარება ხდება მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მეცნიერი იზიარებს ან არ იზიარებს მოცემულ თეორიას. მაგ. ე.წ. „დიდი აფეთქების“ თეორია). ისტორიისა და ენათმეცნიერების შემთხვევაში თეორიას ამტკიცებს არქეოლოგიური მიღწევები (არტეფაქტები, რომლებიც მოიპოვება არქეოლოგიური გათხრების შედეგად). მოცემულ შემთხვევაშიც, ვიდრე არ აღმოჩენილა რაიმე მტკიცებულება, შეუძლებელია ისაუბრო ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტებაზე. ერთადერთი, რაც შეგვიძლია დასაბუთებულად ვთქვათ, ესაა ფაქტი, რომ ქართული ანბანის შემქმნელი ზედმიწევნით, სრულყოფილად ფლობდა ცოდნას არა მარტო სხვა ანბანების, არამედ ე.წ. „ინდურ-არაბული“ ციფრების შესახებაც. (შესაბამისად, ამ ციფრებს უფრო ღრმა წარსულში აქვთ ფესვები ვიდრე დღესდღეობით მიიჩნევა). ხოლო თუ დავეუშვებთ ე. წ. „წერილობითი პროტოტიპის“ არსებობას, მაშინ გამოდის, რომ ეს ანბანი ან თვითონ არის პროტოტიპი სხვა ანბანებისა და ციფრებისათვის, ან ანბანთა შორის ყველაზე ახლოს დგას ჯერ კიდევ უცნობ პროტოტიპთან. აქედან გამომდინარე:

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა და შესაბამისად, ქართული ანბანი - წერითი სისტემების ერთ-ერთი უძველესი ფორმა.



ლევან ბრეგაძე

# გერმანელი მწერალი კველ ქართულ კალიგრაფთა შესახებ

გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის არტურ ლაისტის ფონდში დაცულია არტურ ლაისტის ხელნაწერი, გოთური ანბანით შესრულებული (1877-ხ ფ. 19-20. - ეს ნომერი ჰქონდა მას 1970 წელს, როდესაც ჩვენ იგი გადმოვიწერეთ). ეს არის დასაწყისი არტურ ლაისტის დაუმთავრებელი მოთხრობისა „ბერი“ („Der Mö nch“). არტურ ლაისტს ქართულ თემატიკაზე სამი მოთხრობა აქვს გამოქვეყნებული გერმანულ პრესაში („ვარო“, „ვარპანიძიანთ ნინო“, „კატასტროფა“). ეს მეოთხე, რომელიც იმერელი ყმანვილის, გაბრიელის, ამბავს მოგვითხრობს, მას დაუმთავრებელი დარჩენია. სუსტი ფილტვების მქონე გაბრიელს ექიმები ქალაქის დატოვებას, ჰაერის გამოცვლას ურჩევენ. გაბრიელი გადანყვეტს თბილისის ახლოს, ტყიან მთაზე მდებარე მონასტერში იმსახუროს. მონასტრის აღწერისას ა. ლაისტი მის ძველ ბინადართ, ქართველ მწიგნობარ ბერებს, იხსენებს, რომელთა დიდებულ ნაღვანს, მათ მიერ გადანერილ-შემკობილ ძველ ქართულ ხელნაწერ ნიგნებს, დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

გთავაზობთ არტურ ლაისტის ამ დაუმთავრებელი მოთხრობის შემორჩენილი ფრაგმენტის ორიგინალს და ჩვენ მიერ შესრულებულ მის ქართულ თარგმანს:



G a b r i e l w a r d e r S o h n e i n e s a r n a n B a u e r n a u s I n a r e t i e n, u n d k a m a l s z w ö l f j ä h r i g e r K n a b e n a c h T i f l i s, w o e r i n e i n e m G a s t h a u s e S t e l l e a l s K ü c h e n j u n g e f a n d. H i e r w a r s e i n L e b e n s c h w e r, d e n n e r m u ß t e a l l e s c h w e r e n A r b e i t e n v e r r i c h t e n u n d a u c h s o l c h e, d i e e i g e n t l i c h d e r K o c h z u t u n v e r p f l i c h t e t w a r. E r w a r a l s o n i c h t n u r K ü c h e n j u n g e, s o n d e r n a u c h D i e n e r d e s K o c h e s. F ü r a l l e s d a s e r h i e l t e r d a s E s s e n u n d n a n c h r a l e i n e n a b g e t r a g e n e n A n z u g v o n f o h n d e s G a s t h a u s b e s i t z e r s. I n d i e s e r K n e c h t s c h a f t b l i e b e r v i e r J a h r e u n d e r s t a l s s i e i h n z u s c h w e r w a r d e u n d e r z u k r ä n k e l n a n f i n g, v e r l i e ß e r s i e u n d w a r d e S c h r i f t s e t z e r w i e s e i n B r u d e r u n d s e i n V a t e r. A b e r n a c h e i n i g e n J a h r e n w u r d e e r b r u s t k r a n k u n d d e r A r z t r i e t i h n T i f l i s z u v e r l a s s e n u n d i n G e t i r g e H e i l u n g z u s u c h e n.

Seit seinen Knabenjahre n war er bescheiden und n ä ß i g, a r b e i t s a m u n d e n t h a l t s a m. E r a ß k e i n F l e i s c h, t r a n k k e i n e n W e i n u n d r a u c h t e n i e r a l s, s u c h t e k e i n e V e g n ü g e n u n d d a s L e s e n v o n B ü c h e r n u n d s t i l l e s B e t r a c h t e n d e r N a t u r w a r e n s e i n e e i n z i g e n Z e r s t r e u u n g e n.

Der Rat des Arztes gefiel ihm aber er konnte l a n g e k e i n e n O r t f i n d e n, w o e r w o h n e n u n d l e b e n k o n n t e o h n e z u h u n g e r n. E n d l i c h h ö r t e e r v o n e i n e m K l o s t e r, i n w e l c h e m n u r v i e r M ö n c h e a n s ä s s i g w a r e n, d i e a b e r g e r n n o c h e i n e n f ü n f t e n a u f n e h m e n w o l l t e n. D a s K l o s t e r l a g n u r w e n i g e S t u n d e n v o n T i f l i s a u f e i n e m w a l d i g e n B e r g e u n d w a r a n d i e s e r S t e l l e v o r n a h r a l s t a u s e n d J a h r e n e r b a u t w o r d e n. S e i n e a u s g r o ß e n S t e i n e r r i c h t e t e n M a u e r n h a t t e n n u r k l e i n e F e n s t e r, s o d a ß i n d i e n i e d r i g e n Z e l l e n a u c h a m T a g e n u r w e n i g L i c h t d r a n g. I n d i e s e n e n g e n, f e u c h t e n R ä u m e n h a t t e n i m L a u f e v i e l e r h u n d e r t J a h r e v i e l e G e s c h l e c h t e r v o n a r n a n M ö n c h e n i h r D a s e i n z u E n d e g e l e b t. I n d e r g e o r g i s c h e n

Geschicht sehr onikwird viel vonihrenLeidener zähl t, vonder Drangsals ,wennF einde nachG eor gien eindringen und von rancher Hunger snot, aber wir erfahren nicht s vonihrenF reuden, die sie doch auch haben muß ten. Einst, inl ä ngst ver gangener Zeit, beasst en sich manche Mö nche mit demA bschreibung vonG ebetsbü cher n und ander n Wer ken, die für dieK irche geschriebenwar en. Das war für sieeinfast feierlicheAr beit, bei nahe einK unstwerk, zu wel chemsie viel Mü he verwendet en und ihre Geschicklichkeit anstr engten. Sie schreibenl angsamund die Anf angsbuchstabenzeichnet en sie wie einMal er. Monate, viel l eicht Jahr ever gingenbis ein solchesManuskript fertigwar . Wer kann sich die Zufriedenheit und dieF reudejener schl icht en, einfachenMä nner vor stel len, wenn sie ihr vol l endetes Werk betr achtet en! Dader Zähl der geschickten und geü btenA bschreiber nicht groß war ,hieltensie sich für wirkl icheK ü nstl er für auser wähl teMä nner ,dieeinesel teneK unstbeher rscht en, die einfr omme Werk war . Das Abschreiben, das ihnen eine großeF reude bereitet e, war viel l eicht ihr angenehmes Zer streuung umso nähr , da sie wenig ander e kannten.

Dieses Leben gehör te jedoch schonl ä ngst zur ferrenVe gangenheit, denn alsG abriel imJahre 1890 in das Kl oster eintrat, war das alteGebäude schonl ange nicht nähr bewohnt und neben ihm stand ein ander es, das auch nicht nähr neu, aber aus vier zienh ichgroßenZim mern bestand.

## არტურ ლაისტი პერი

გაბრიელი ერთი ღარიბი იმერელი გლეხის ვაჟი იყო და თორმეტი წლისა ჩამოვიდა თბილისში, სადაც ერთ სასტუმროში დაიწყო მუშაობა მზარეულის დამხმარე ბიჭად. იქ მას მძიმე ჯაფა ადგა, ვინაიდან ყველა ძნელი საქმის შესრულება მას ევალებოდა, ისეთისა ც კი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მზარეულის მოსაგვარებელი იყო. ამრიგად, ის მარტო მზარეულის დამხმარე კი არა, მზარეულის მოსამსახურეც გამოდიოდა. ყოველივე ამის საფასურად მას ეძლეოდა საჭმელი და ზოგჯერ სასტუმროს მფლობელის ვაჟიშვილის გამოცხადებით ტანსაცმელი. ამ ყმობაში გაატარა მან ოთხი წელიწადი და მხოლოდ მაშინ, როცა მეტისმეტად გაუჭირდა და დაავადების ნიშნებიც დაეტყო, იქაურობა მიატოვა და ასოთამწყობობას მიჰყო ხელი, თავისი ძმისა და მამის დარად. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ფილტვების დაავადება აღმოაჩნდა და ექიმმა ურჩია თბილისს გასცლოდა და მთებში ეცადა ჯანმრთელობის აღდგენა.

ბავშვობიდანვე მოკრძალებული და ზომიერი იყო, შრომისმოყვარე და თავდაჭერილი. ხორცს არ ჭამდა, ღვინოს არ სვამდა და თამბაქოც არასოდეს მოენია, სიამოვნების მიღებას არ ელტვოდა და მხოლოდ წიგნების კითხვა და ბუნების წყნარად ჭვრეტა იყო მისი გართობა.

ექიმის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ დიდხანს ვერ მოიძია ადგილი, სადაც ისე იცხოვრებდა, რომ შიმშილობა არ მოუწევდა. ბოლოს შეიტყო ერთი მონასტრის შესახებ, სადაც მხოლოდ ოთხი ბერი ეყუდა, და სურდათ მეხუთეც მიეღოთ. მონასტერი თბილისიდან რამდენიმე საათის სავალზე, ტყიან მთაზე იდგა და ათასზე მეტი წლის წინ იყო აგებული. დიდი ქვებით ნაშენებ მის კედლებს პატარა სარკმელები ჰქონდა დატანებული და ამიტომ ჭერდაბალ სენაკებში დღისითაც კი ძლივს აღწევდა შუქი. ამ ვიწრო ნოტიო ოთახებში საუკუნეების განმავლობაში საბრალო ბერთა მრავალმა თაობამ მიიყვანა ბოლომდე თავისი წუთისოფელი. ქართული საისტორიო ქრონიკები ბევრს მოგვითხრობენ მათი ტანჯვის შესახებ, მათ გაჭირვებაზე, როცა საქართველოში მტერი შემოიჭრებოდა, და შიმშილობებზე, მაგრამ ვერაფერს ვგებულობთ იმაზე, რასაც მათთვის სიხარული უნდა მიენიჭებინა. ერთ დროს, შორეულ წარსულში, ზოგი ბერთაგანი ლოცვანთა და სხვა საეკლესიო წიგნების გადანერას მისდევდა. ეს მათთვის ლამის ზეიმური შრომა იყო, თითქმის ხელოვნება, რასაც ისინი დიდი რუდუნებით ეკიდებოდნენ და ოსტატობას არ იშურებდნენ. წერდნენ აუჩქარებლად და საზედაო ასოები მხატვრებივით გამოჰყავდათ. თვეები, ზოგჯერ წლებიც კი სჭირდებოდა ხელნაწერის დასრულებას. ვის შუაძლია წარმოიდგინოს იმ მოკრძალებული, უბრალო ადამიანების კმაყოფილება და სიხარული, როდესაც ისინი თავიანთ დასრულებულ ქმნილებას შეჰყურებდნენ! რაკილა მარჯვე და გამოცდილი გადამწერი არც ისე ბევრი იყო, თავი ნამდვილ ხელოვანებად

მიაჩნდათ, რჩეულ ადამიანებად, რომლებიც იშვიათ ხელოვნებას ფლობდნენ, საღვთო საქმიანობას რომ წარმოადგენდა. გადანერა, რაც მათ დიდ სიხარულს ანიჭებდა, იქნებ მათთვის ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო, მით უფრო, რომ სხვა თავშესაქცევი ცოტა ჰქონდათ.

მაგრამ ამგვარი ცხოვრება დიდი ხნის წინ ჩაბარებოდა წარსულს, ვინაიდან, როდესაც გაბრიელი 1890 წელს მონასტერში შევიდა, ძველ შენობაში უკვე რა ხანია აღარავინ ცხოვრობდა და მის გვერდით სხვა ნაგებობა აეშენებინათ; ახალი აღარც იმას ეთქმოდა, მაგრამ ოთხი მოზრდილი ოთახისგან შედგებოდა.

\* \* \*

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დაუმთავრებელი მოთხრობის ის ნაწილია, რომელიც ზემოთ მუქი შრიფტით გამოყვავით. ყურადღებას იქცევს შუა საუკუნეების გამოყენებითი ხელოვნების იმ დროისათვის (როცა ა. ლაისტის ეს მოთხრობა იწერებოდა) ნაკლებ დაფასებული დარგის ქართულ ნიმუშთა ადეკვატური შეფასება უცხოელი მწერლის მიერ.

დღესდღეობით აღარავინ ეპარება ეჭვი, რომ „ძველი ქართული ხელნაწერები ჩვენი ეროვნული კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანძურია. (...) ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნებას — ტექსტის კალიგრაფიულ სილამაზეს და წიგნის გვერდების დეკორატიულ შემკულობას ძველ საქართველოში დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქართველი ოსტატები სავსებით დაუფლებული იყვნენ ხელნაწერი წიგნის მორთვის ოსტატობას. ამ მხრივ ეს ნიმუშები არ ჩამოუვარდება ხელოვნების სხვა დარგების — არქიტექტურის, ფრესკული მხატვრობის, ხეზე ჭრისა თუ ჭედური ძეგლების საუკეთესო ნიმუშებს“ (ელენე მაჭავარიანი, წინასიტყვაობა ალბომისა „ქართული ხელნაწერები“. თბილისი, 1970, გვ. 5).

არ არის გასაკვირი, რომ მონასტრის აღწერისას არტურ ლაისტს, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიასაც და ხელოვნებასაც, ძველი ქართველი წიგნის ოსტატები გახსენებია, ვინაიდან „ხელნაწერი წიგნის დეკორატიული მორთულობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს მონასტრებმა. მონასტერი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. აქ არა მარტო იწერებოდა და ითარგმნებოდა, არამედ იხატებოდა კიდევ ხელნაწერები“ (იქვე, გვ. 6).

გზა ობიექტიდან (ხელნაწერი წიგნიდან) ამ ობიექტის შემოქმედ სუბიექტამდე (ინდექს-ალმნიშვნელიდან აღსანიშნამდე) არტურ ლაისტის დაუმთავრებელ მოთხრობაში ავტორის ფანტაზიით არის გავლილი და ხილულის მეშვეობით დამაჯერებლად არის აღდგენილი უხილავი; ანუ — „განძად დაშთომილი ნაშრომის“ მიხედვით აღდგენილია ამ განძის შემოქმედის სულიერი მდგომარეობა შემოქმედების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ.

იგივე გზა, ოღონდ ძველ ხელნაწერთა „ანდერძების“ (მინაწერების) მეშვეობით „გაიარა“ აკად. ვახტანგ ბერიძემ და მასაც თვალწინ ისეთივე სურათი წარმოუდგა, როგორიც ჩვენს მეგობარ გერმანელ მწერალს: „ეს მინაწერები ზოგჯერ ისეთი უშუალო და ემოციური, რომ დღევანდელ მკითხველს სრულიად ცოცხლად წარმოუდგება წიგნის მწერალი — „მჩხრეკალი“ ან „მჩხაბავი“ (ასე უწოდებდნენ ისინი თავის თავს), რომელიც ხშირად მძიმე პირობებში, მშიერ-მწყურვალი, უსახლკარო, მოხუცი და სნეული — „თვალეებს ინყალებდა“ და მაინც შრომობდა. (...) წიგნის გადამწერებმა, რომელნიც საქართველოსა და უცხოეთის ქართულ სავანეებში იღვწოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით იქმნებოდა უდიდესი განძი, რომელიც ეროვნული კულტურის საფუძველს შეადგენდა“ (ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი, 1967, გვ. 7).

ეს რწმენა, სიცოცხლეს რომ ულამაზებდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანებს, კარგად იგრძნობა იმ პასაჟში, რომელშიც გერმანელი მწერალი ხელნაწერ წიგნთა ქართველ ოსტატებზე ლაპარაკობს.

დაუმთავრებელი მოთხრობის ეს ადგილი მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი უცხოელის მიერ იმ დროისათვის გარდასულ-გარდაცხადებული ხელოვნების დარგის ქართულ ქმნილებათა და მათ შემოქმედთა ოსტატობის ერთ-ერთ პირველ შეფასებას წარმოადგენს და მისი აქტუალიზაცია ამ თვალსაზრისითაც საჭირო საქმედ მიგვაჩნია.



ივანე ამირხანაშვილი

# წიგნი დაბადებისა და სიცოცხლისა

დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, „ზღვაური“, თბილისი, 2014 წ.


წიგნს აქვს დრო. დაწერის დრო. მას ცხოვრება ქმნის და ტექსტად დრო გარდაქმნის. მეხსიერება აგროვებს, კალამი აყალიბებს.

არავინ იცის, როდის ჯობია მემუარების დაწერა, სიტყვარმაგეში თუ შემდეგ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს მანამ უნდა მოხდეს, სანამ ფაქტები გახსოვს. კაცმა რომ თქვას, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როდის გადავა მეხსიერება სტენოგრაფიაზე. მთავარია ჟანრის კანონი არ დაირღვეს — ზუსტად, პირუთვნელად, შეულამაზებლად.

დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის წიგნი „ზღვაური“, რომელიც 2014 წლის დასაწყისში გამოვიდა (რედაქტორი სალომე გოგინაშვილი), სწორედ ჟანრული შესატყვისობით გამოირჩევა. საგულისხმოა ქვესათაურიც — „მემუარები სიბერემდე“, რომელიც მიგვანიშნებს: მოგონებებს წერს ფხიზელი გონება შესაბამისი პასუხისმგებლობის შეგნებით.

დაწერო მემუარები, ეს არ ნიშნავს შექმნა სიტყვიერი ორნამენტები და საოცნებო მითოლოგიები, არამედ გამოამზეურო შენი თვალთ დანახული სიმართლე, აღწერო სინამდვილე, რომელიც იმაზე მეტია, ვიდრე თავმოთნეობა ან თვითრეკლამა.

მამა არჩილს აქვს ყველაფერი, რაც საჭიროა კარგი წიგნის დასაწერად — გამოცდილება, წარმოსახვა, ოსტატობა. გარდა ამისა, მის ინტელექტუალურ არსენალშია აქტიური მსოფლალქმა, მწყობრი სააზროვნო სისტემა; ემოცია, ლოგიკა, ლაკონიზმი; ადამიანური ბუნებისა და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა; მეთოდური სიმკაცრე, რაციონალისტური თანმიმდევრულობა და სამართლიანობის შეგნება.



ეს არის ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ტექსტი, რომელშიც გამორიცხულია შემთხვევითობა ან ეკლექტიზმი.

წიგნი იწყება ადამიანური სიცოცხლის აღწერით ჩასახვიდან დაბადებამდე. ერთმანეთს ერწყმის სამედიცინო სკრუპულოზურობა და ბიბლიური მისტიკა. თურმე ადამიანის შექმნის გზა უჯრედიდან ემბრიონამდე და ემბრიონიდან ნაყოფამდე იმეორებს და გადის შესაქმის სურათს.

ამას მოსდევს ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები, ნათელი სიყმანვილე, ჭა-

საბუარაშო 17). 2014 წ.

ბუკური ძიებანი, მშფოთვარე სტუდენტობა, სასულიერო სემინარია, გზა მღვდელმსახურებისაკენ, გორის, დიდუბის, პეტრე-პავლეს ეკლესიები, მოღვაწეობა პარლამენტში, პილიგრიმოებები და კულტურულ-ალმსარებლობითი მისიები წმინდა მიწაზე, ათონზე, პოლონეთში, საქართველოს კუთხეებში — კახეთში, გურიაში, აჭარაში და სხვა მრავალი ფაქტი, შემთხვევა თუ ნათელხილვის პრეცედენტები, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მან შექმნა საკუთარი თავი ეკლესიაში და ეს არ იყო იოლი საქმე, ვინაიდან ამან მოითხოვა ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური ძალების დიდი დანახარჯები და უარის თქმა ისეთ ფაქტორებზე, რაზეც ხშირად თვით ეკლესიაშიც ვერ ამბობენ ხოლმე უარს.

ბავშვობიდანვე ჩანს მისი ხასიათი — ალალი, გულდია, კერპი, თვითრჯული, რომელსაც სურს ყველაფერი თავისი თვალთ ნახოს, ყველაფერს თავისი ხელით შეეხოს, ყველაფერი თავისი გონებით შეამოწმოს. დასამახსოვრებელია პაპა იოსების კოლორიტული ფიგურა — ნათელი პიროვნება, განათლებული, შრომისმოყვარე, თავად რატიშვილის კარზე გაზრდილი ინტელექტუალი, შვიდი ენის მცოდნე — და ასეთი შემთხვევა: პაპა და შვილიშვილი სავენახე ბილიკს მიუყვებიან. გზად პაპა მეზობლის ვენახიდან გადმოწვდენილ, ტოტებჩამომტვრეულ ხეს შეამჩნევს, შეწუხდება, მივა ხეხილთან, მიეფერება, ამოიღებს სანამყენე დანას, გადატეხილ ტოტს დაამყნობს, შეახვევს, ემთხვევა და ჯვარს დასწერს: „ღმერთმა გაგახაროსო“. თუკი მღვდელმსახურება რამენაირად ჰგავს ადამიანთა გადამსხვრეული სულების დამყნობას ჭეშმარიტი სარწმუნოების კალამზე, მაშინ მამა არჩილი პაპის კვალზე დგას როგორც თავისი მრავალრიცხოვანი მრევლის მეოხი და მშველელი.

მამა არჩილს ბევრი აქვს განცდილ-გადატანილი როგორც თავისი, ისე სხვისი. მისი ცხოვრება არასოდეს ყოფილა წყნარი, მშვიდი, ერთფეროვანი. ბრძოლა არის მისი სტიქია, ხასიათი, ბედი.

მემუარებში ნება-უნებლიეთ გამოიკვეთ-

ება თემა — პიროვნების როლი საეკლესიო ინსტიტუციაში, სადაც ძნელია გზის გაგნება სულიერი, მორალური და პრაქტიკული საწყისების სამერთიანობის გარეშე. მამა არჩილი დაუფარავად, სავსებით არაორაზროვნად წერს იმ უკეთურობებისა და სიმდაბლეთა შესახებ, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ასცდენია ჩვენი „სახლი სალოცავი“. ჩვენ გვინდა წარმოვიდგინოთ ეკლესია რაღაც ისეთად, სადაც ყველაფერი ღვთაებრივ ნისლში ლივლივებს, მაგრამ გვავიწყდება, რომ იქაც ადამიანები არიან, ჩვეულებრივი ყოფითი კომპლექსებით შეჭურვილი მოქალაქეები, რომლებსაც შეცდომები ისევე იოლად მოსდით, როგორც ყველა ჩვენგანს.

მამა არჩილს ჰყოფნის გამბედაობა, პირუთვნელობა, სამართლიანობა. შეუპოვრად იცავს „მართლის თქმის“ პრინციპს. მემუარების ეს სულისკვეთება კარგად არის შენიშნული როსტომ ჩხეიძისა და მაია ჯალიაშვილის წერილებში, რომლებიც თან ერთვის ნიგნს.


ნათელია ბრძოლის მიზანიც და საფუძველიც — სიყვარული და გადარჩენა. აკი თვითონაც წერს მამა არჩილი: „გიყვარდეს ცოდვილი ადამიანი, მაგრამ გძულდეს და გეშინოდეს ცოდვისა“.

მძიმეა მოძღვრის ვალი; ეკლიანია გზა ჭეშმარიტებისა; ძნელია სვლა უფსკრულებიდან ვარსკვლავებისაკენ.

„ზღვაური“ მოგზაურის ნიგნია, სულიერების გზებზე მოხეტიალე მწირის თავგადასავალი, ავტორი კი მონოლითური ხასიათის პიროვნება, რწმენისა და ინტელექტუალიზმის რაინდი, რომლის შინაგანი ძალა არის ქმედითი, ენერგია — შემოქმედებითი, ნებელობა — ინდივიდუალისტური. ამიტომ არც არის გასაკვირი მისი დაუოკებელი მისწრაფება განმარტოებისაკენ, რომლის სამომავლო გაგრძელებად მოჩანს ოცნება — ააშენოს თბილისის მახლობლად, ბეთანიის ტყეში, მონასტრის შორიახლოს, ერთი პატარა სენაკი...

სადაც იქნება სინათლე, ლოცვა და ნიგნი — „ზღვაურის“ გაგრძელება.





ეჟენ იონესკო

# განდეგილი

თარგმნა ლავით კახაბერმა

საფრანგეთის აკადემიის წევრი, მრავალი პრემიის ლაურეატი, მე-20 საუკუნის დრამის რეფორმატორი, აბსურდის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, რუმინული წარმოშობის ფრანგი მწერალი ეჟენ იონესკო (1909-1994) გამორჩეული პროზაიკოსიც გახლდათ. რომანი „განდეგილი“ მისი ერთადერთი ცდაა შეექმნა რომან-აბსურდის ფართო ტილო, რომელშიც სინამდვილის ფილოსოფიურ კვლევას აგრძელებს; ცდილობს პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც კაცობრიობის მუდმივი ღელვის საგანია: როგორ თანაარსებობს ადამიანი და ბრბო? როგორ იბადება აგრესია და მასობრივი ფსიქოზი? არსებობს კი წინააღმდეგობის მექანიზმი? შეიძლება საყოველთაო კატასტროფები ადამიანმა თავიდან აიცილოს? იგი მთელი ცხოვრება ცდილობდა აბსურდული ყოფის მიზეზებისა და მისი არსის შეცნობას.

ოცდათხუთმეტი წლის ასაკში დროა სირბილი შეაჩერო, თუ, ცხადია, აქამდე სირბილი ერქვა. სამსახურში ეს არ მაკლდა და საქმე თავზე საყრელად მქონდა. ახლა უკვე გვიანია, დრო ძალიან სწრაფად გადის და ორმოც წელსაც ბევრი არაფერი მაშორებს. მოწყენილობისა და სევდისგან მოვკვდებოდი, ეს მოულოდნელი შემკვიდრეობა რომ არ გამოჩენილიყო. მართალია, იშვიათად, მაგრამ კიდევ არსებობენ ამერიკელი ბიძები, ცხადია, ჩემი, ბოლო თუ არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პატარა დაწესებულებაში არც ერთ თანამშრომელს არც მამა ჰყავდა ამერიკელი, არც ბიძაშვილი, არც ბიძა. ისინი შურით მიყურებდნენ: წარმოგიდგენიათ, სამუშაო აღარ სჭირდება! გამომშვიდობება ხანმოკლე აღმოჩნდა. კუთხეში მდებარე კაფეში ბოჟოლე დავლიეთ, ჯულიეტი კი არ დამიპატიჟია. ის ისევ გაჯავრებულია ჩემზე. თავის დროზე ერთმანეთი მივატოვეთ, მერე ჩვენ ჩვენი გზა ვნახეთ. დაწესებულების პატრონი უფრო მეტად ბრაზობდა, ვიდრე ჩემი პატარა მეგობარი, „რალაც ასეთს შენგან

ველოდი“-ო, გამომიცხადა; საოცარია, მე კი არაფერს ველოდი. თურმე მოვალე ვიყავი წასვლის თაობაზე სამი თვით ადრე გამეფროთხილებინა, ასეთია წესიო, მიმტკიცებდა. „ძალიან გამიჭირდება ისეთი კაცის მონახვა, როგორიც თქვენ ხართ“. რამდენჯერ უსაყვედურია, რომ ცუდი თანამშრომელი ვარ, დროდადრო მემუქრებოდა, ჩემ მაგივრად სხვას აიყვანდა და მე შიშით ვკანკალებდი, აბა, სადღა ვიმოვიდი ისეთ სამუშაოს, როგორიც ეს იყო? ამას, ასე თუ ისე, მაინც მიჩვეული ვარ. სამსახურიდან გათავისუფლების ყოველი მუქარის შემდეგ, შიში ახალი შრომითი აქტიურობისკენ მიბიძგებდა, რომელიც ორი თუ სამი დღე გრძელდებოდა. მერე ისევ ვდუნდებოდი. ორი კვირის შემდეგ კი, ახალი მუქარა იწყებოდა. ისე გამოდიოდა, თვეში მხოლოდ ექვს-შვიდ დღეს ვმუშაობდი გულმოდგინედ. უკვე ყელში მქონდა ამოსული. პატრონისთვის ერთი ზედმეტი დღის დათმობაც აღარ მინდოდა, ამაში ვლინდებოდა ჩემი შურისძიება. სიამოვნებით შევთავაზე, პირობის დარღვევისთვის ერთი თვის ჯარიმას

საბურთაშო 1(7). 2014წ.

გადაგიხდი-მეთქი. თანხის აღებაზე უარი თქვა, დიდსულოვან კაცად უნდოდა გამორჩენილიყო. ბოროტი კაცი არც მე ვარ. ასეთი სიამოვნების მიღების საშუალება მივეცი.

ჟანინის, მოლარის, სანახავად მაინც ნავედი: „გვტოვებთ... ახლა, როცა უკვე მდიდარი ხართ... აღარ გინდათ ამ კვარტალში ცხოვრება, ასეა? აბა, სად უნდა იცხოვროთ ასე მარტოხელამ და უსუსურმა?.. თუმცა, დიახ, ახლა შეძლებული კაცი ხართ და შეგიძლიათ მსახური ქალი დაიქირავოთ“. თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ერთხანს მას ჯულიეტის ადგილი ეკავა ჩემს გულში. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. სალაროსთან გამუდმებულმა ჯდომამ, მოძრაობას გადააჩვია. სუქდება. იცის, რომ ისეთი არა ვარ, როგორც ყველა; დარწმუნებულია, რომ უმადური ვარ. სინამდვილეში კი, ისეთივე ვარ, როგორც ჩვენს დროში ყველაა, რწმენადაკარგული, იმედგაცრუებული, ძალაგამოცლილი და დაღლილი; უაზროდ ვცხოვრობ, რაც შეიძლება ცოტას ვმუშაობ — ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ არ იმუშაო სხვანაირად არ შეიძლება — ცოტა გურმანიც ვარ: ერთი-ორი ჭიქის გადაკვრა მიყვარს, დროდადრო კარგად სადილობაც, ოღონდ როგორმე გავექცე ამ მარადიულ სიმწარესა და დაღლილობას.

შეფი კაფეში გამოსამშვიდობებლად მაინც მოვიდა. ლიუსიენიც მოვიდა. ის დაწესებულების რანგით მესამე, „კადრის“ ოდნავ მნიშვნელოვანი თანამშრომელი გახლდათ. პიერ რამბულთან ერთად მობრძანდა. ლიუსიენი ჩემი მესამე და ბოლო სანტიმენტალური გატაცება გახლდათ. საქმისა და სამსახურებრივი განრიგის გამო, დრო არ გვრჩებოდა საარსიყოფ აქეთ-იქით გვერბინა, თანაც თითქმის ყველანი გარეუბანში ვცხოვრობდით, ამიტომაც არჩევანი ერთ ჩვენთანზე ჩერდებოდა. ვღებულობდით იმას, რაც ხელში გვივარდებოდა. ლიუსიენი ყველაზე მეტად მიყვარდა, ცხადია, ამ სიტყვის აქ გამოყენება

თუ შემიძლია, სხვა სიტყვა თავში არ მომდის. მან ჭაბუკი პიერ რამბული, დაწესებულების ახალბედა თანამშრომელი მამჯობინა. ლიუსიენი სამიდან ყველაზე ახალგაზრდა იყო და მხოლოდ მას, ერთს, ჰქონდა ლამაზი სხეული. პიერის, ენთუზიაზმით სავსე, მშვენიერი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდა კაცის, ცდუნებას ვერ გაუძლო: ის ჩვენთან მხოლოდ ხანმოკლე პრაქტიკული სწავლების გასავლელად მოვიდა. რაღაც ფინანსებს ელოდა, დიდ ბიზნესში რომ გადაშვებულყო. ლიუსიენი დაარწმუნა, რომ თავის პირად ცხოვრებასაც აზიარებდა და თავის საქმეებსაც. ზუსტად ხუთი წლისა და ერთი თვის წინ მიიღო სამსახურში პატრონმა პიერ რამბული და ზუსტად ხუთი წელია, რაც ლიუსიენმა მის გამო მიმატოვა. ისინი ჯერაც აქ მუშაობენ. „შეგიძლიათ ბარემ ერთად ყოფნის ხუთი წლისთავიც იზეიმოთ“, — ვუთხარი ლიუსიენს, რომელიც პიერთან ერთად კაფეში შემოვიდა. ლიუსიენი განითლდა, ჩემ დანახვაზე მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა და მეც ყოველდღე ვხედავდი როგორ წითლდებოდა. ცოტა სინდისი აწუხებდა, რომ მიმატოვა, სევდაც ერეოდა, რადგან შეცდა პიერშიც, რომელიც ჩემზე უკეთესი არაფრით აღმოჩნდა. ოღონდ ის უფრო ახალგაზრდა იყო და ჩემზე ნაკლებ მახინჯი. სიმართლე გითხრათ, არც ისეთი მახინჯი ვარ, ოღონდ უმარილო, უფერულო სახე მაქვს, დაბადებიდანვე სიცოცხლეს მოკლებული, მიმქრალი ლურჯი თვალებით.

ოინმა, ლიუსიენმა რომ მომიწყო, დიდი მწუხარება მომგვარა. სად იპოვი ისეთ ლამაზ ქალს, რომელიც ჩემით დაინტერესდება, თანაც ასეთი ლამაზი ფეხების პატრონს, ასეთ ტანადს, ასეთ მომხიბვლელ ღიმილიანს. როცა მიმატოვა, როგორღაც დავიბენი, საკუთარი თავისადმი ეჭვი გამიჩნდა. მივხვდი, ლიუსიენს ჩემს ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ვიდრე ჩემთან იყო, ვერ ვამჩნევდი. დეპრესიაც კი დამეწყო, ავადმყოფობის გამო ერთი

თვე შვებულება ავიღე და ის დღეები სამსახურიდან კარგა დაშორებულ უბნებში გავატარე. არსებითად კი, ცალცალკე ორთა მარტოობა გვექონდა. მაგრამ ასე მხოლოდ ახლა ვფიქრობ. ჩემი დარდიანობის პერიოდში კი, წარმოვიდგინე, რომ მიწიერი სამოთხე დავკარგე. მეჩვენებოდა, ამიერიდან მხოლოდ გატეხილი გული და მოუსვენრობის გრძნობაღა მექნებოდა. ნუთუ მასთან უკეთესად არის?

პიერი უკვე აღარ ახსენებს მომავლის გრანდიოზულ გეგმებს, სამაგიეროდ, მუცელი წამოეზარდა. ეტყობა, ჩემთან შეხვედრისას მაინც უხერხულად გრძნობს თავს; ოო, იმდენადაც არა, მაგრამ... ხუთი წლის შემდეგ, ამ სასაცილო და უფერული დრამიდან რაღა შეიძლება რომ დარჩენილიყო? იქნებ ჩემი დანახვისას არც გრძნობენ თავს უხერხულად, არც ერთი და არც მეორე. და ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. ფაქტი კი ის არის, რომ უკვე ხუთი წელია ქალი აღარ მყავს. მარტო ცხოვრებას მივეჩვიე. მეტისმეტად უნდო კაცი ვარ იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრებით მეცხოვრა, ან მეცადა და, როგორც ამბობენ, საკუთარი ცხოვრება ამეწყოს ან შემეცვალა. და საერთოდ, ვცხოვრობდი კი? მაშინ ლიუსიენტან თითქოსდა რაღაც დაიწყო... ჯულიეტთანაც ვითომ მოქუფრულ ცაზე ლურჯი ცის ნაგლეჯმა გაიელვა.

დავლიეთ ერთი ჭიქა ბოჟოლე, მეორე ჭიქა ბოჟოლე, მესამე ჭიქა ბოჟოლე. ვიდრე მეოთხეს შევუკვეთავდი, პატრონმა აღარ დაიცადა და წავიდა. წარმატება მისურვა, მანამდე კი, მოასწრო და მითხრა, რომ წარმოებას აფართოებს, რომ საინტერესო საქმეების წამოწყებას აპირებს, რომ კლიენტების რიცხვი იზრდება და აღარ იცის, როგორ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ალბათ დამატებითი პერსონალის დაქირავება მოუწევს. შემაკანკალა, რომ დავრჩენილიყავი, რამდენი მუშაობა მომიწევდა... მაგრამ ჩემი ამერიკელი ბიძის წყალობით... პატრონს უნდა გაასამაგოს, გააოთხმაგოს საქონლის ბრუნვა.

ოთხჯერ მეტი მუშაობა მომიწევდა. თუმცა ერთი სიტყვაც არ დავუჯერე, მისი საწარმო უწინდელივით განაგრძობდა მუშაობას, არც კარგად და არც ცუდად. სხვა საფრთხე ამცდა: არ შემოუთავაზებია ფინანსური მონაწილეობა მიმელო მის საქმეში. მივხვდი, არ უნდოდა. მისი საწარმო პატარა საწარმოდ უნდა დარჩენილიყო, ასე იყო ჩაფიქრებული. რისკის განწევსა ძალიან ეშინოდა და, ცხადია, მართალი იყო, თავი რაზე ემტვრია? მის ადგილზე სხვანაირად არც მე მოვიქცეოდი. მესამე ჭიქის შემდეგ პიერი და ლიუსიენი წავიდნენ, დანარჩენებიც. ყველა ოდნავ შემთვრალი იყო. ცხადია, ყველას დავპირდი, რომ დროდადრო მათ სანახავად შევივლიდი, რადგან თხუთმეტი წელი ერთ საწარმოში მუშაობა რაღაცას ნიშნავს. ბევრი ჩემსობას მოეწყოს სამუშაოდ, ბევრი კი ჩემ თვალწინ წავიდა. პატრონის მამასაც ვიცნობდი, მერე შემეცვლელად მისი ვაჟი მოვიდა, ზუსტად მაშინ დავიწყე აქ მუშაობა. ლიუსიენმა წასვლისას გამიღიმა: მომეჩვენა, რომ მის ღიმილში სინანული კრთოდა, ოდნავ სინდისის ქენჯნაც; დახე, ჭაღარაც გამორევი, ერთი, პატარა ნაოჭიც გასჩენია; რა უცნაურია, არც არასოდეს მიფიქრია, რომ მარადიულად ახალგაზრდა ვერ დარჩებოდა. თვალის კუთხეში ცრემლი ედგა, თბილი ტუჩებით კი კოცნა გამომიგზავნა. არანაირი მიზეზი არ გვექონდა ერთმანეთზე ნაწყენი ვყოფილიყავით. იქნებ გულუბრყვილოდ სჯეროდა კიდეც, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული არ იყო. იქნებ ეგონა კიდეც, ახლა, თუ მოვინდომებდი, შეიძლებოდა ყველაფერი თავიდან დაგვეწყოს. რადგან მაშინ ჩვენს ერთმანეთისადმი სწრაფვას, შეიძლება ასეც ფიქრობდა, უფულობამ, სამუშაოს ბუნდოვანმა პერსპექტივამ შეუშალა ხელი, მაგრამ სიყვარული ხომ მთებს გადადგამს, რკინას ამსხვრევს, დაბრკოლებებს გადალახავს, წინ ვერაფერი დაუდგება, ეს ხომ ყველამ ვიცით. ჩვენ საკუთარი გონებაშეზღუდულობა გვაიძულებს ხელიდან გავუშვათ ყველაფერი და უარი ვთქვათ

ბედნიერებაზე. ხოლო დიდმა სიყვარულმა არ იცის, რას ნიშნავს უარის თქმა, არც ცნობს ამ პრობლემას და არც არასდროს შეურიგდება. შემრიგებლობა, ისევე, როგორც მარცხი, უფერული ადამიანების ხვედრია. საცოდავი ლიუსიენი, ნარმოიდგინა, რომ სხვა პირობებში აქედან შეიძლება რაღაც გამოსულიყო. ობიექტური პირობები არ არსებობს. განა როდისმე მიგრძენია, რომ ნაცარქვეშ კიდევ ღვიოდა მწველი ცეცხლი? ოჰ, ჰო, ჰო... რამდენი ვიქექე ჩემს სულში, რამდენი ვიკვლიე, უმცირესი თრთოლვაც ვერ აღმოვაჩინე. ჩემი შინაგანი სამყაროს მწუხრ სივრცეებში, მხოლოდ ნანგრევებია სხვა ნანგრევებით ჩამარხული, რომელიც თავის მხრივ სხვა ნანგრევებით არის დამარხული. მაგრამ თუ ნანგრევები არსებობს, მაშასადამე, ოდესღაც, აქ ტაძარიც იდგა, ქათქათებდა კოლონები, საკურთხეველზე კი ცეცხლი გიზგიზებდა? ეს მხოლოდ ვარაუდია. სინამდვილეში, შეიძლება არც არაფერი იყო, ქაოსის გარდა.

მხოლოდ ჟაკ დიუპონი დარჩა. ცამეტი წელი ერთ მაგიდასთან ვისხედით პირისპირ და ვმუშაობდით; უწყისები, უწყისები, უწყისები. ორიოდე კვირა, ვიდრე ჩემს შემცვლელს იპოვიან, ორჯერ მეტი სამუშაოს შესრულება მოუწევს; მაგრამ ნუთუ პატრონს შემცვლელი უკვე ნაპოვნი არა ჰყავს? გარდა ამისა, დიუპონი იმ ვილაცასაც უნდა შეეჩვიოს, იმ მეორის ჩვევებზე გააღიზიანებს და გააბრაზებს, მერე აუცილებლად შეეგუება, ყურადღებას აღარ მიაქცევს. აი, ვის დაენანება ჩემი წასვლა. ხანდახან სანახავად უნდა შევუარო. მაგალითად, სამუშაოს დამთავრებამდე კართან დაველოდები. ერთად დავლევთ აპერიტივს, როგორც უწინდელ დროში ვსვამდით, რომელიც უკვე ძველი და კარგი დროა. ბუნებრივია, მისამართსაც მივცემ, როგორ არა, და ის ჩემთან სტუმრად მოვა. „უეჭველად, — ვეუბნები, — უეჭველად“. — „ახლა უკვე მდიდარი ხართ, და...“ — „არა, არა, არ დაგივინყებთ. როგორ დაგივინყებთ? არაფერი მაგინყდე-

ბა, არც კარგი, არც ცუდი, მით უმეტეს რა დამავინყებს ისეთ ადამიანს, როგორიც თქვენ ხართ...“

ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩემთან დარჩა და ბისტროშიც ერთად ვისადილეთ. ბისტროს პატრონს სასმელი შევთავაზეთ. მერე ის გაგვიმასპინძლდა.

„სანახავად მობრძანდით ხოლმე, ბატონო. არ შეიძლება მეგობრების ასე უბრალოდ მიტოვება. თხუთმეტი წელი ჩემთან სადილობდით. კარგად გემსახურებოდით. ყველგან არის რესტორანი, ბისტრო, კარგად მესმის, მაგრამ თქვენზე ასე კარგად არავინ იზრუნებს. რა მოგართვათ?“

მე და ჟაკი ფანჯრის ახლო მაგიდასთან ვისხედით. ღრუბლიანი დღე იყო. პაშტეტი შევუკვეთეთ, სარდინი, ძროხის ხორცი ბურგუნდიულად, ყავა, ორი ბოთლი ბოჟოლე. კიდევ შევუკვეთეთ ყავა, რამდენიმე ფინჯანი ყავა, რამდენიმე სირჩა კონიაკი ყავაზე დასაყოლებლად, მერე ის წავიდა, მეც წავედი.

ვჩქარობდი ბინის გამოცვლას. წლები განმავლობაში იაფფასიანი სასტუმროს ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. ზამთარში საკმაოდ თბილოდა. ზაფხულში კი მეტისმეტად თბილოდა. მქონდა ნითელგადასაფარებლიანი საწოლი, კარადა, სკამი, მაგიდა, პირსაბანი. აი, ტუალეტი კი დერეფანში იყო. ამ სართულზე რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა და იქ მუდამ რიგი იდგა. ჩხუბიც ხშირად იმართებოდა. ტუალეტთან პირველი რომ მივსულიყავი, ძალიან ადრე მიწევდა ადგომა, მერე სამ მეოთხედ საათს კიდევ ვიძინებდი, რადგან სამსახურში ცხრის ნახევარზე უნდა ვყოფილიყავი. ცხრას რომ თხუთმეტი დააკლდებოდა თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი მიჰქონდათ; ვერ მოასწრებდი ხელის მოწერას და გადაიხდიდი ჯარიმას. ჩემი ოთახი მეშვიდე, ბოლო სართულზე იყო. ოდნავ მანსარდული ტიპის. პატარა აივანი ჰქონდა, ოთხკუთხა, რკინის მოაჯირით. ნათელი ოთახი იყო. კუთხეში ოციოდე წიგნი

მქონდა მინცობილი. უფრო მეტიც მინ-  
დოდა მქონოდა, მაგრამ არც წიგნების  
კარადა მქონდა, არც თაროები. ნაკითხ-  
ულ წიგნებს ვყრიდი. მხოლოდ დოსტო-  
ევსკის „ემმაკინი“, ვიქტორ ჰიუგოს „სა-  
ბრალონი“, „სამი მუშკეტერი“, „გრაფი  
მონტე-კრისტო“, კაფკას, არსენ ლიუპე-  
ნის<sup>1</sup>, რულტაბილის<sup>2</sup> მოთხრობები და  
ნოველები დავიტოვე. კვირაობით კინო-  
ში მარტო დავდიოდი, სულ მარტო, ქალი  
უკვე აღარ ჰყავდა, მე კი ძალზე მორცხ-  
ვი ვიყავი იმისთვის, ქუჩაში ვინმეს გამ-  
ოვლაპარაკებოდი, რასაც ჟაკ დიუპონი  
აკეთებდა, რომელსაც ქუჩა ყველაზე სა-  
უკეთესო ადგილი მიაჩნდა ვინმეს გასა-  
ცნობად — იქნებ ტრაბახობდა კიდეც.  
კინოს შემდეგ ცოტას ვსეირნობდი.  
გულგრილად შევეყურებდი ვიტრინებს,  
მეტი ინტერესით ქალებს ვათვალიერებ-  
დი, ზოგჯერ მეორე ფილმის, ჩვეულებ-  
ისამებრ დეტექტიური ფილმის სანახავა-  
დაც მივდიოდი, ან რომელიმე ლუდხანის  
ტერასაზე ვჯდებოდი და ლუდის კათხ-  
ას კათხაზე ვცლიდი.

და მაინც ცოტა მოწყენილი ვიყავი.  
ყველამ ვიცით, რომ იმაზე სევდიანი  
დრო არ არსებობს, როგორც კვირის  
სადილობის შემდგომი პერიოდი. ახალ-  
გაზრდა წყვილის შემხედვარეს — ორ-  
სული დედიკო ბავშვიან ეტლს რომ მი-  
აგორებს, ჭაბუკ მამიკოს კი ხელით მე-  
ორე მიჰყავს — სურვილი მიჩნდება  
ისინიც დავხოცო და თავიც მოვიკლა.  
მაგრამ მესამე თუ მეოთხე კათხა ლუდის  
შემდეგ ყველაფერი კომიკურად მეჩ-  
ვენება, სამხიარულოდაც კი. დაბინდებ-  
ისთანავე, მოსეირნე ოჯახებს, ნაკლე-  
ბად სევდიანი სახეები და სილუეტები  
ცვლის. კიდევ ორი კათხა ლუდი და უკვე  
რალაც ბედნიერებას ვაღწევ. სხეულს  
ვეღარ ვგრძნობ. ნეტარებით ვიღიმები.  
ჩემს პატარა სასტუმროში ვბრუნდები,  
ბარბაცით ჩემი ოთახის კარს ვაღებ. გახ-  
და მეძნელება, როგორც შევძელი, ტან-  
საცმელს სკამზე ისე ვაწყობ და საწოლ-

<sup>1</sup> მორის ლებლანის (1864-1897) დეტექტიური  
მოთხრობების პერსონაჟი.

<sup>2</sup> გასტონ ლერუს (1868-1927) დეტექტიური  
რომანების პერსონაჟი.

ზე ვეცემი. სიფრთხილის გამო ტუალე-  
ტის მაგიდაზე მალვიძარასაც ვდგამ, მა-  
გრამ ყოველთვის ან თითქმის ყოველ-  
თვის, ზარის დარეკვამდე რამდენიმე  
წამით ადრე მეღვიძება. ცხადია, მალ-  
ვიძარას ხმა მხოლოდ აშფოთებს ჩემს  
ქვეცნობიერს, რომელიც ზუსტად იმ  
დროს მალვიძებდა, როცა საათს უნდა  
დაერეკა. ლილაკს თითს ვაჭერ, ვთიშავ,  
გაღვიძებული თუ ნახევრად ძმინარე,  
საწოლში რამდენიმე წუთს კიდევ ვრჩე-  
ბი. კვირაობით იმიტომ ვსვამდი, რათა  
დამევიწყებინა, რომ ორშაბათ დილით  
ახალი სამუშაო დღე მენწყებოდა. ორშა-  
ბათი დილა, თავის ტკივილი, პირში გა-  
სიებული ენა, სასონარკვეთილება გახ-  
ლდათ. ორშაბათ დილას დაბანა, ჩაცმა,  
დილის ტუალეტი, სხვა დღეებზე მეტად  
არაადამიანურ ტანჯვად მეჩვენებოდა.  
მიუვალი მთაა. ყოველდღიური კატორ-  
ლა ისეთივე სატანჯველია, როგორც  
კვირა დღის, მაგრამ კვირა დღის კატორ-  
ლას განსხვავებული ზნე აქვს. სამსახუ-  
რიდან არცთუ შორს ვცხოვრობდი. ქუ-  
ჩას დაფუყვებოდი, ჩემსავით ყველა ჩქა-  
რობდა და ჩემსავით ყველა ყოველდღი-  
ური სამუშაოს ჯოჯოხეთის ხელახლა  
აღდგენას იწყებდა. ორიოდე წუთს, კუ-  
თხეში, კაფესთან ვჩერდებოდი, ვსვამდი  
სქელ ყავას ან ერთ სირჩა სპირტიან სას-  
მელს. ამის შემდეგ თავს უკეთესად  
ვგრძნობდი ან გულგრილობა მეუფლე-  
ბოდა. ზუსტად ორშაბათობით მაგვიან-  
დებოდა და სამსახურში თანამშრომელ-  
თა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალ-  
იც, სადაც ხელი უნდა მომეწერა, აღარ  
მხვდებოდა: მოესწროთ და უკვე წა-  
ელოთ.

„კვირა როგორ გაატარეთ? — მეკით-  
ხება ჟაკი. — კარგად გაერთეთ?

— იმდენი ვიცინე, მუცელი მეტკინა“.

ჟაკი ცოლიანია. ცოლთან ერთად კი-  
ნოში სიარული მისთვის მოსაწყენი იყო,  
ერჩივნა მარტო წასულიყო ან ვინმე სხვა  
ქალთან ერთად. მე კი ეულად სიარული  
მქონდა მობეზრებული. მაგრამ ეკრანის  
წინ დაჯდებოდი თუ არა, ეს მავიწყებ-  
ბოდა. გამიძნელდება ჩემ მიერ ნანახი  
ფილმისა თუ ფილმების შინაარსის გად-

მოცემა. ვიჯექი დარბაზში, მოძრავ სურათებს ვუყურებდი, ვხედავდი ადამიანებს, ერთმანეთს რომ დასდევდნენ, მერე ჩხუბობდნენ, მერე უფრო მეტი ხმაურით, რევოლვერებით, ერთმანეთს ხოცავდნენ. ჟაკი კი არჩევაში იყო, რომელი ფილმი ენახა. რაც მოხვდებოდა, იმას არ უყურებდა. განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა. დიდხანს მიყვებოდა ხოლმე იმ ფილმებზე, რომლებიც უკვე ნანახი ჰქონდა. მაგრამ ვიცოდი, ჩემზე არანაკლებ მოწყენილი იყო. ოღონდ საკუთარ თავს არ უტყდებოდა. ორშაბათი კვირის ყველაზე მძიმე დღეა, ყველაზე აუტანელი. მთელი კვირა, რომელიც იწყებოდა, მხრებზე ისე მანვებოდა, როგორც მთელი სამყარო აწვება ატლასის<sup>3</sup> მხრებს. ორშაბათ საღამოს ტვირთის ერთი მეექვსედით ვთავისუფლდებოდი. და ყოველი დღის გასვლის შემდეგ უფრო და უფრო მსუბუქად ვგრძნობდი თავს. პარასკევ საღამოს კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედნიერი ვიყავი. კიდევ იყო შაბათი დილა, შუადღის შემდეგ თავისუფალი გახლდით. საკუთარ თავს მხიარულსა და უხვ სადილებს ვუმართავდი. სადილის შემდეგ სანოლზე ვგორაობდი, შაბათ საღამოს კი სევდის მოწოლა იწყებოდა, რადგან ახლა მხოლოდ კვირადღეა მასშორებდა საზარელ ორშაბათს. ორშაბათი ყველაზე მძიმე და დატვირთული დღე იყო, კვირა კი ყველაზე ცარიელი.

რასაკვირველია, მე ვიყავი დამნაშავე. უნდა მესწავლა. ხუთი წლისა რომ გავხდი, მამა მომიკვდა. დედაჩემი მინახავდა. არ ვიცი, რატომ იყო ნაწყენი თავის ოჯახზე. ვფიქრობ, მამაჩემის გამო, არ უნდოდათ მას ცოლად გაჰყოლოდა. მამაჩემი დიდი ხნის მკვდარი იყო, მაგრამ დედაჩემი ოჯახს მაინც არ შეური-

<sup>3</sup> ატლასი/ატლანტი – ბერძნული მითოლოგიის გმირი. მრავლის მომთმენი გოლიათი. პრომეთეს ძმა. ღმერთებს აუჯანყდა. ღმერთებმა იგი დასაჯეს და აიძულეს მხრებით დაემაგრებინა ცის თაღი. ადრე რუკების კრებულებზე გამოსახული იყო ატლანტი/ატლასი, რის გამოც შემდეგში რუკების კრებულებს ატლასი დაარქვეს.

გდა. ბევრს მუშაობდა, სანყალი, ისიც კანტორაში დადიოდა, მაგრამ სახსარი საცხოვრებლად მაინც არ გვყოფნიდა. საღამოობით სახლში დაბრუნებული კონვერტებზე მისამართებს აწერდა. ცოტას მეც ვეხმარებოდი, მერე გაკვეთილების მოსამზადებლად მიშვებდა. ნიგნებსა და რვეულებზე ჩამეძინებოდა ხოლმე. დედაჩემი ძალიან წუხდა ზარმაცი რომ ვიყავი. „იშრომე, — მეუბნებოდა, — თუ არ იშრომებ, მერე ინანებ. ხომ ისწავლი, ჩემო პატარავ, ხომ ასეა? მასწავლებელი გამოხვალ, ინჟინერი ან ექიმი. დიდი უფროსი გახდები და გეყოლება ხელქვეითები“.

ძალიან მინდოდა დედაჩემისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა და მესწავლა, გული ძალიან სტიკოდა, ცუდად რომ ვსწავლობდი. როგორც შეეძლო, მეხმარებოდა, მე ვებრალებოდი, საკუთარი თავი კი არა: „ელჩის, აკადემიკოსის, გენერლის ლამაზი მუნდირი გექნება, ორდენებით განყოფილი. ეს კი შრომით მიიღწევა და ბევრმაც მიაღწია. შენ სხვაზე ნაკლები ხომ არა ხარ. აბა, მიდი, ეცადე...“ სკოლიდან მხოლოდ ცუდი ნიშნები მომქონდა. ჩემი გულისთვის მუშაობით თავს იკლავდა. ვიმსახურე ჯარშიც. ეს სამსახურიც უცბად მიშოვა იმ უფროსის წყალობით, რომლისთვისაც კონვერტებზე მისამართებს აწერდა და რომელიც მეგობარი იყო იმ სამსახურის უფროსისა, მერე ჩემი უფროსი რომ გახდა. „დრო კიდევ გაქვს, — მითხრა დედაჩემმა, — დრო კიდევ გაქვს ბაკალავრის გამოცდები ჩააბარო. საღამოს შეგიძლია ისწავლო“. კანტორაში რამდენიმე კვირა ვიმუშავე და დედაჩემი უცბად ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. თავისი მოვალეობა შეასრულა, გამზარდა, ჩემი თავი ხელიდან ხელში გადასცა მეპატრონეს და, როგორც იტყვიან, როგორღაც ცხოვრება მომიწყო.

სინდისის ქენჯნისა და უღონობისგან ვსკდებოდი. სინდისის ქენჯნისგან იმიტომ, რომ ცხოვრებაში ორჯერ განიცადა მარცხი, პირველად მამაჩემის გამო, მეორედ — მე ვერ გავუმართლე იმედი,

ვერ დავეხმარე, ვერ შევძელი დახმარება, კვლავ მოენყო თავისი ცხოვრება. აღარ მინდოდა ამ ბნელ ოროთახიან, სამზარეულოიან ბინაში ცხოვრება, სადაც იგი ჩემ თვალწინ შრომით წელს იწყებდა. ამიტომაც ერთი უბრალო, პირქუში სასტუმრო ავირჩიე საცხოვრებლად. აი, ასე აღმოვჩნდი ჟაკ დიუპონის პირისპირ, რომელიც საათობით მიყვებოდა ერთსა და იმავე ხუმრობებს. საღამოობით, სამუშაოს შემდეგ, ვიდრე ბისტროდან ბისტროში დავეხეტებოდი, ჟაკი თვითგანათლებით იყო დაკავებული. კითხულობდა რომანებსა და იდეოლოგიურ წიგნებს. რევოლუციონერთა რომელიღაც პარტიის წევრიც იყო. საღამოობით საკუთარ თავს იდეოლოგიურად დაამუშავებდა, ძილში ალბათ გადახარშავდა და მეორე დღეს, დილით, გაცოფებული თავს ესხმოდა საზოგადოებას. და რადგან მისი ერთადერთი თანამოსაუბრე ვიყავი, მისი გამოსხვება მეხად მე მატყდებოდა, თითოთ მემუქრებოდა, რაც ჩემში სინდისის ქენჯნის გრძობას იმდენად აღვიძებდა, რომ „სისტემის“ მიერ შექმნილი ყველა ბოროტების გამო პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ეს მე ვიყავი ცუდი საზოგადოება, ცუდი სისტემა, განტევების ვაციც. მართალია, ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, ერთი საათი ან ცოტა მეტი, რადგან პატრონი ან მისი მდივანი, რომლებსაც გვერდით ოთახში საუბრის ნაწყვეტები ესმოდათ, გამოდიოდნენ, უახლოვდებოდნენ ჩვენს მაგიდას და მოითხოვდნენ, გვემუშავა. სრული სიმშვიდე ისადგურებდა, შუადღისას კი მე და ჟაკი მეგობრულად აპერიტივის დასალევად ჩვენს ბისტროში მივდიოდით. შუადღის შემდეგ ისე იყო დაღლილი, თავი აღარ ჰქონდა თავისი მრისხანე დიატრიბების<sup>4</sup> გასაგრძელებლად და, რაც მთავარია, ლაქლაქში დაკარგული დროის ასანაზღაურებლად ბევრი მუშაობა გვინევდა. შემოდგომობით, სამსახურიდან გამოსვლისას, მე და ჟაკი ვამბობ-

<sup>4</sup> გესლიანი, ღვარძლიანი სიტყვები, რომლებიც ხშირად შეიცავს პაროდიული ხასიათის გალაშქრებას.

დით, ყოველი დღე წინა დღეზე ცოტა პატარა არისო. იანვრიდან დაწყებული ხან მე, ხან ის აღვნიშნავდით, რომ ეს დღე წინა დღესთან შედარებით ერთი წუთით გრძელი გახდა.

აღშფოთებული არ ვიყავი, მაგრამ არც მორჩილებას გამოვხატავდი, რადგან არ ვიცოდი ვისთვის უნდა თანამეგრძნო, ან რომელ საზოგადოებაში ვიქნებოდი კარგად. არც მოწყენილი ვიყავი, არც მხიარული, მთლიანად, თავიდან ფეხამდე, კოსმოგონიაში ვიყავი ჩართული, რომელიც მხოლოდ ისეთი შეიძლება ყოფილიყო, როგორც იყო და არანაირ საზოგადოებას არ შეეძლო იმის შეცვლა, რაც უკვე იყო. სამყარო ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული თავისი ღამეებით, დღეებით, თავისი ვარსკვლავებითა და მზით, მიწითა და წყლით, და ყოველგვარი ცვლილება იმაში, რაც უკვე მოცემულია, ჩვენი წარმოსახვის შესაძლებლობებს აღემატება. ზევით ცა იყო, მიწა ჩემს ფეხქვეშ, იყო მიზიდულობის კანონები და სხვა კანონები, მათ ემორჩილებოდა მთელი კოსმიური წესრიგი; და ჩვენ, ჩვენ მისი ერთი ნაწილი ვიყავით. ოღონდ, ორ-სამჯერ მაინც აღვშფოთდი. ზოგჯერ კანტორაში საქმიანი სადილების შემდეგ კომანდიისტები<sup>5</sup> ან ადმინისტრაციული საბჭოს წევრები მოდიოდნენ შესამომხმებლად. ოცდაოთხი საათით ადრე გვაფრთხილებდნენ. ვგვიდით, ვწმენდდით, სუფთად ვიპარსავდით, ვიცვამდით ახალგარეცხილ, კარგად გაუთოებულ სამუშაო ხალათებს და ამ ბატონებს ველოდით. ჩვენი პატრონის თანხლებით ისინიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე კანტორაში. მათ მისალებად ფეხზე ვდგებოდით. ისინი არც გვესალმებოდნენ, არც ჩვენს მისალმებაზე გვპასუხობდნენ და ვერც გვხედავდნენ. ამონებდნენ არქივებს, საბუთებით სავსე საქალაქლებს, უსმენდნენ პატრონის ახსნა-განმარტებებს. ბევრი მათგანი ქუდსაც არ იხდიდა. მაგრამ ყველას, ექვსნი იყვნენ თუ შვიდნი, სახე, მშვენიერი სადილის შემ-

<sup>5</sup> სავაჭრო ამხანაგობის სახეობა.

დეგ, რომელიც ის-ის იყო დაამთავრეს, აღაჟღაჟებული ჰქონდათ. და ყველას წითელი ლენტები ან ბანტები ეკეთა.

როგორც კი მათ უკან კარი დაიხურებოდა, ჟაკ დიუპონი ყვირილს იწყებდა: „მაგათ ხომ ჩვენ ვაჭმევთ პურს. ჩვენი ოფლითა და წვალებით სუქდებიან“.

ჟაკ დიუპონის განცხადება ფორმით გადაჭარბებული მეჩვენებოდა, რადგან არც ის და არც მე, მუშაობისას არ ვიოფლებოდით, საკმაოდ მოხერხებულად ვისხედით და ჩემი გაცხარებაც სწრაფად ქრებოდა: ისე არიან დანითლებულები, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, მალე სისხლის ჩაქცევით დაიხოცებიან. აბა, ვინ ვიყავით ჟაკ დიუპონი და მე, ორი ადამიანი, ორი საცოდავი მწერი სამ მილიარდ სხვა ადამიანთა შორის? ან რითი ან ვისით უნდა შეცვალო ისინი? საზოგადოება შეიცვლება თუ არ შეიცვლება, მე იმათ მივეკუთვნები, ვისაც დანარჩენები თან გაიყოლებენ.

და მაინც, ჩემს ტყავში ცუდად ვგრძობდი თავს. არ ვიცოდი, როგორ გავნძრეულიყავი, რომ ეს აღარ მეგრძნო ან რაც შეიძლება ნაკლებად მეგრძნო. დროდადრო, განსაკუთრებით ჭაბუკობისას, სამყაროს იდუმალება მალეღვებდა. უსაზღვრო სამყარო ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელია. სკოლაში და ყველგან განუწყვეტლივ მეუბნებოდნენ, რომ სამყარო უსაზღვროა. კიდევ მითხრეს, რომ სამყარო დასრულებულიც არის და დაუსრულებელიც, ეს უფრო მიუწვდომელი მეჩვენა, მაშინ შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს: მაშ, რაღაა მის „შემდეგ“? შეიძლება სამყარო არც დასრულებულია და არც დაუსრულებელი, მაგრამ სიტყვები „დასრულებული“ ან „დაუსრულებელი“ არაფრის მთქმელი გამოთქმებია. თუ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არც დასრულებულ-დაუსრულებელი, არც არდასრულებულ-არდაუსრულებელი, რაც ასე ელემენტარული და მარტივია, და ზუსტად იმისთვის არის შექმნილი, რომ ჩვენ გავიგოთ, მაშინ უკეთესი ხომ არ იქნება საერთოდ არ ვიფიქროთ ამ საკითხებზე? მთელი ჩვე-

ნი გონება რალაც ქაოსში მიცოცავს. აბა, რა უნდა ვიცოდეთ სამართლიანობაზე, დედამინის ფიზიკურ მოწყობაზე, ისტორიაზე, ბუნებისა და სამყაროს კანონებზე, თუ ჩვენი შესაძლებელი გაგების ძირითადი საფუძვლები ჩვენგან დაფარულია? მთავარია, არ ვიფიქროთ. არაფერზე არ ვიფიქროთ. არაფერი განვსაჯოთ. სხვანაირად, ჭკუაზე შევიშლებით. მაგრამ რა არის ჭკუაზე შეშლა? კიდევ ერთი კითხვა, რომლის საკუთარი თავისადმი დასმაც არ ღირს. წლიდან წლამდე ასე ვცხოვრობდი, ვცხოვრობდი წუთით, აუხსნელი წუთით, რალაც გაურკვეველი წუთით. ამ წუთსაც ხომ თავისი ისტორია ჰქონდა, რადგან არსებობდნენ ლიუსიენი, ჯულიეტი და ჟანიანი. რადგან არსებობდა დრო, იყო კვირის ბოლო და კვირის დასაწყისი. და იყო ორგანიზმიც, მას ისე შევიგრძნობდი, როგორც რალაც სიმძიმეს, უსიამოვნოს, ერთი და იმავე დროს, ეს მე ვიყავი და არც ვიყავი. ცხოვრებისადმი ზიზღმა და მოწყენილობამ, არც მე რომ მიწევდა ანგარიშს და არც ჩემს მარტივსა და პრიმიტიულ ფილოსოფიას, მოწყენილობამ და ცხოვრებისადმი ზიზღმა, მინდოდა თუ არ მინდოდა, მთლიანად მშთანთქა, მთელს ჩემს არსებაში შეაღწია. ჩვეულების გამო სამსახურში ყოველდღიური სიარული ძალადობად მექცა. ამის ახსნა საკუთარი თავისთვის ვერაფრით შეეძელი. არაფრის ახსნა არ შეიძლება. მაგრამ ვითმენდი. მთავარია, რომ აღარ დავინახავ ჟაკ დიუპონს, პიერ რამბულს, პატრონს, ეს თითქმის მთელი ბედნიერება იყო. წასვლა ჩემს თავისუფლებას ნიშნავდა. ასე რომ, სრულ გაუგებრობებს შორის, გასაგების რალაც ნამცეცები მაინც იყო. თუ უნარი არა გვაქვს სამყაროს ჩავწვდეთ, შევიცნოთ მისი დიდი კანონები, რომლებიც მას მართავენ, უსაზღვრო სამყაროს ან არდასრულებულ-არდაუსრულებელ სამყაროს, შიგნითა პატარა სამყაროში მანევრირება ხომ მაინც შეგვიძლია.

ზუსტად ოქტომბრის დასაწყისი იყო. ჯერ კიდევ კარგი ამინდები იდგა და

თბილოდა. ბინის ძებნა დავიწყე. ჯერ ვიფიქრე, დიდ პროსპექტზე დავსახლებულიყავი, სადაც ბევრი ხე იდგა. ან, მაგალითად, შომონის ბორცვზე მდებარე დიდი პარკის პირდაპირ. მერე საკუთარ თავს ვუთხარი, რომ უკეთესი იქნებოდა ვერსალში მეცხოვრა, პარკთან. მაგრამ იქ მხოლოდ ოფიციალური შენობები იდგა ან ძალიან ძვირი ბინები იყო. სინამდვილეში კი, ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი — ჩემი რენტით დიდხანს მინდოდა მეცხოვრა. ცხოვრება კი ძვირდებოდა, ნეტავ დიდხანს გაუძლებს ჩემი კაპიტალი? საჭიროა მისი რალაც საქმეში დაბანდება. მირჩევდნენ აქციები ან ობლიგაციები მეყიდა, ამ საქმისა არაფერი გამეგება, არც დიდი ნდობა მქონდა. უცბად რომ ჩემი ყოფილი პატრონის კონკურენტის საქმეში ჩამედო ფული, მერე? სასტუმროს მმართველი, სადაც მე ვცხოვრობდი, ნომრების განახლებას აპირებდა; აღარ უნდოდა მისი სახლი საცხოვრისი ყოფილიყო მცირე შემოსავლიანი მოსამსახურეებისა, რომლებიც ცოტას იხდიდნენ, როგორც მე აქამდე — საბედნიეროდ, ამ მდგომარეობის ადამიანებს აღარ ვეკუთვნი. ფერმასაც ვერ ვიყიდდი, მიწის დამუშავებისა არაფერი გამეგება, ორმოცდარვა საათიც არ გამიტარებია სოფელში. ერთხანს სასტუმროს მმართველის წინადადებამ მომხიბლა. სინამდვილეში, მას უნდოდა თავისი სასტუმრო პაემნების სახლად ექცია. მერე საკუთარ თავს ვუთხარი, რომ პოლიცია და დამნაშავეთა სამყარო ბევრ ხათაბალას გამიჩენდა. მმართველი კი მარწმუნებდა, ორივე მხარეს მეგობრები მყავსო. ამან მაინცადამაინც ვერ დამამშვიდა. ჩემთვის უკეთესი იქნებოდა საქმოსნებისგან თავი შორს დამეჭირა. დღისით შესაფერის ბინას ვეძებდი, ღამით ლოგინში ვტრიალებდი, ვერ ვიძინებდი, იმ ფულზე ვფიქრობდი, რომელიც ციდან ჩამომიცვივდა და რომლის განკარგვაც საიმედოდ მინდოდა. ერთ დილას, გამთენიისას, გონებაში ამომიტივტივდა ერთი წინადადება, რომელიც დიდი ხნის წინ, მემკვიდრეობის მიღებამდე კარგა ხნით ადრე, აღარ მახ-

სოვს, რომელი საუბრიდან გავიგე: „ჩემს ფულს ქვაში ვაბანდებ“. ცხადია, რა თქმა უნდა, სახლები უნდა ვიყიდო და გავაქირაო. ვის მივაქირაო? ადამიანებს, რომლებიც არ გადაიხდიან ან გადაიხდიან ცოტას, ყველაფერს დასვრიან ან მოვადრო და იმ უფლებას მოიპოვებენ, რომელიც საკვებ პროდუქტებზე ფასების მომატების გამო ბინის ქირის გაზრდას ამიკრძალავს?

მიუხედავად ამისა, დილაობით, ოთახიდან სტვენა-სტვენით გამოვდიოდი, კიბეებზე სირბილით ჩავდიოდი, ქუჩაში გავდიოდი საათის ათზე, თერთმეტზე, როცა მომეხასიათებოდა. მხიარულად ვიყავი, ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მოგვიანებით მივხვდი, არც სასიხარულოდ მქონდა საქმე და არც სრულიად ბედნიერი ვიყავი. ტვირთისგან გავთავისუფლდი? ცხოვრების ტვირთისგან? სინამდვილეში, ტვირთით დავიბადე. სამყარო რალაც დიდ გალიად წარმომედგინა ან, უფრო, დიდ ციხედ, ცა და ჰორიზონტი კედლები მეგონა, რომელთა იქითაც, ალბათ, იყო რალაც სხვა, მაგრამ რა? მე უზარმაზარ, მაგრამ ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდი. ან, უფრო, უზარმაზარი გემი მეგონა, რომლის შიგნითაც მე ვიჯექი, ზეცა კი რალაც დიდ ხუფს ჰგავდა. ჩვენ, პატიმრები, დიდი უმრავლესობა ვართ. მეჩვენებოდა, რომ ამ პატიმრების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებდა, რომ ციხეში იყვნენ. იმ კედლებს იქით რა ხდება? ბოლოს, ჩემთვის რალაც კარგი მაინც მოხდა, ყოველდღიურმა კატორღამ, პატარა საპატიმრომ დიდის შიგნით, კარი გამიღო. ახლა შემეძლო დიდი ციხის დიდ ხეივანებსა და ფართო პროსპექტებზე მესეირნა. ეს სამყარო შეიძლება ზოოლოგიურ ბაღს შევადაროთ, სადაც ცხოველებს ნახევრად თავისუფალ მდგომარეობაში ამყოფებენ, მათთვის არის აღმართული ყალბი მთები, ხელოვნური ტყეები, ამოთხრილია ტბების მსგავსი გუბურები, მაგრამ ბოლოში, სულერთია, რკინის ლობეებია მაინც აღმართული.

საჭირო იყო ბინის ძებნა გამეგრძელებინა. ჯერ მშენებარე სახლებში

დავინყე ძებნა. მაგრამ კედლების დანახვამ, ნელ-ნელა რომ იზრდებოდა, ცუდად გამხადა. ახალი სახლის კედლები, ვიდრე შენდება, ციხის კედლებს უფრო ჰგავს, ვიდრე ძველი სახლების ძველი კედლები, რომლებიც თითქოს თანდათან ცვდება და დროთა განმავლობაში გამჭვირვალედ იქცევა, მათში ჩანს ის, რაც გარეთ ხდება. თუნდაც ეს — გარეთ, კიდევ ერთი უფრო ფართო შიგნითა სივრცე იყოს. რაც შეეხება საქმეებს, რაღაცის მოწესრიგება მოვახერხე. კაპიტალი სამ ნაწილად გავყავი და სამ ნოტარიუსს მივანდე, რომლებმაც ვალდებულება აიღეს, რომ ამ თანხიდან შვიდ პროცენტს გადამიხდიდნენ. მათ ფული სხვადასხვა პიროვნებებს ასესხეს, რომლებიც სახლებს აშენებდნენ. როცა მოვალეები ყველაფერს გადაიხდიდნენ, ნოტარიუსები სხვებს იპოვნიდნენ, რომლებსაც ფულის სესხება სჭირდებოდა. ჩემთვის ეს საუკეთესო ვარიანტი იყო, და ნოტარიუსებმაც დამარწმუნეს იმაში, რასაც მე ვფიქრობდი, რომ ახლა, საერთო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს, ფასიანი ქალაქებისა და აქციების ყიდვა გაუფრთხილებლობა იქნებოდა. ბოლოს ბინაც ვიპოვე. საცხოვრებელი, რომელიც არაფრით მახსენებდა იმ სევდიანსა და ნესტიან ბინას დედასთან ერთად რომ ვცხოვრობდი, და არც, ცხადია, ჩემს პატარა ოთახს სასტუმროში.

ბინა პარიზის გარეუბნის მახლობლად მდებარეობდა: მეოთხე სართულზე, არც ძველ და არც ახალ, საკმაოდ მყარად ნაგებ სახლში, რომლის აშენების თარიღიც 1865 წელი იყო. დერეფანში წყვდიადი იდგა. შედიხართ თუ არა, მარცხნივ საპირფარეოა. იქვეა სამზარეულოში გამავალი კარი. კედლები საკმაოდ ჭუჭყიანია, მაგრამ საღებავის ფენა ყველაფერს მოაწესრიგებს. მარჯვნივ, შემინული კარია, რომელიც სამფანჯრიან კარგად განათებულ დიდ ოთახში გადის. ძალიან ნათელი და დიდი ოთახია. გადავწყვიტე, აქ მისაღები და სასადილო ოთახი მომეწყო. შემოსასვლელიდან მარცხნივ მოხვეულად დერე-

ფანი სააბაზანოსთან და ორ სხვა ოთახთან მიდის. ოთახები ეზოს გადაჰყურებს. გადავწყვიტე, ერთ-ერთი საწოლო ოთახად მექცია. მეორე რაღაში გამომეყენებინა? საკუჭნაოდ გამოვიყენებ, ჩემოდნებს, ტანსაცმელს დავანყობ, ჩემი საგარდერობო იქნება. დიდი ოთახი კუთხისა იყო. ორი ფანჯარა პროსპექტს გადაჰყურებდა, მესამე პატარა ქუჩას, რომელზეც პატარა ბალებით თუ პატარა ეზოებით გარშემორტყმული პატარა სახლები იდგა. პროსპექტზე დიდი სატვირთო მანქანები და ავტობუსები დადიოდნენ, რის გამოც სახლი ოდნავ ზანზარებდა. ხმაური ხელს არ მიშლიდა, ავტობუსების გაჩერება ზუსტად ჩემი ორი ფანჯრის პირდაპირ იყო, ტროტუარის მეორე მხარეს. რაც ადამიანს სჭირდება, ირგვლივ ყველაფერს იშოვიდი. სახლიდან ორ ნაბიჯზე ბარ-რესტორანი გახლდათ, სადაც შემეძლო მესადილა. ორი სახლის იქით, ავტომატური სამრეცხაო მდებარეობდა; ავტობუსის გაჩერებასთან გაზეთებისა და თამბაქოს სავაჭროა, გვერდით, იქვე, რადიოსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზია. სხვა ფანჯრიდან ის პატარა ქუჩა ჩანდა. ასე გეგონებოდათ, თითქოს სადღაც შორს, რომელიღაც პროვინციულ პატარა ქალაქში აღმოჩნდით. მაშინვე შევაფასე ამ ორმაგი შთაბეჭდილების ღირსების უპირატესობა. დიდი ქალაქიდან რაღაც სამ მეტრში შემეძლო სოფელში მემოგზაურა. და გადავწყვიტე, რაც შეიძლებოდა სწრაფად გადმოვსულიყავი აქ საცხოვრებლად. ბინა მოხუცმა ქალმა მომყიდა, რომელსაც ცოტა ხნის წინ ქმარი გარდაცვლოდა. მოხუცი მომავლის გეგმებს აწყობდა უკვე და საცხოვრებლად გაუთხოვარ ძმისწულთან, მოლარესთან, გადადიოდა. მას ორი პატარა ოთახი ჰქონდა. ეს ორი ოთახი ორივესთვის საკმარისი იყო. ძმისწულს პენსიაში გასვლა უნდოდა. მისი პატარა პენსია და ის ფული, რომელსაც მოხუცი ქალბატონი მიუტანდა, ორივეს საკმაოდ დიდხანს ეყოფოდა, უბრალოდ და კომფორტულად რომ ეცხოვრათ. ერთ ათწელს კიდევ იცოცხლებდა, შეიძლება

თხუთმეტსაც. თხუთმეტ წელზე მეტს ვერ გაატანდა. მერე ძმისწული „ლაჟ-ვარდოვან სანაპიროზე“<sup>6</sup> თავის პატარა ბინას ამერიკელებს მიჰყიდდა და ამ ფულით მოხუცთა კარგ თავშესაფარში მოეწყობოდა.

ჩემი სახლიდან რამდენიმე ასიოდ მეტრის დაშორებით ავეჯის მაღაზია მდებარეობდა. საბედნიეროდ, ეს არ იყო ანტიკვარული მაღაზია. ავეჯი, რომელიც იქ იყიდებოდა, ახალი იყო და პრიალა. ცხადია, მაღაზიაში ყველაფერი არ ჰქონდათ, მაგრამ მეპატრონე მზად იყო, რაც მჭირდებოდა ცენტრალური მაღაზიებისთვის შეეკვეთა. კარგი საქონელი იყო, მარჯვე და პატიოსანი ხელოსნების მიერ დამზადებული. პირველ ოთახში, მარჯვენა კედელთან, გაუგებარი სტილის, დიდი ყვითელი ბუფეტი დავდგი. 1925 წლის გამოშვება, მითხრა გამყიდველმა, ოღონდ ოდნავ გადაკეთებული, ძველი მოდელის მიხედვით ერთმა ჩვენმა დიზაინერმა შექმნაო. ოთახის შუაგულში ექვსი კაცისთვის განკუთვნილი მრგვალი მაგიდა დავადგმევინე; ჩასადგმელი ფიცრების მეშვეობით მისი გაშლაც შეიძლებოდა და მაშინ ირგვლივ ათიოდე კაცი დასხდებოდა. ამდენი ხალხის დაპატიჟება არც არასოდეს მიცდია, მაგრამ ვინ იცის, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ურთიერთობები აღვადგინო ბიძაშვილებთან, დედაჩემის ძმისწულებთან და დისწულებთან. იქნებ მეზობლებიც გავიცნო. შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრებითაც ვიცხოვრო. ათი ყვითელი და მაგარი სკამი შევუკვეთე. მაგიდის ირგვლივ ექვსი დავდგი; ოთხი კედელთან მივანყვე, აქედან ორი პროსპექტს რომ გადაჰყურებს, იმ ფანჯრებს შორის, ორი კი კართან ახლოს. ხალიჩაზე უარი ვთქვი, ოღონდ მოწითალო-მოვარდისფრო მრგვალი ფარდაგი კი გავფინე მაგიდის ქვეშ. კომფორტიც მიყვარს. შევუკვეთე და ოთახის იმ ნაწილში, რომელიც სალონად ვაქციე, ორი სავარძელი დავდგი. იმ ფანჯრის წინ, ოთახის სიღრმეში, პროსპექტს რომ

გადაჰყურებს, ტახტი გავმართე, ლურჯი, ცხადია. ამ ტახტზე შემოძლია გაზეთის წასაკითხად წამოვწვე. ჭერზე ჭალი ჩამოვაკიდებინე. ტახტის გვერდით ნარინჯისფერაბაჟურიანი ტორშერი დავდგი. ფანჯრებზე ნითელი ორმაგი, მწვანე ფოთლებით მოხატული, მძიმე ფარდები დავკიდე, რომელიც კომფორტისა და სიმდიდრის განცდას ქმნის. დიდი ბუფეტის გვერდით კი საათი მოვათავსე. პარკეტი გავაცვილინე, რადგან მიყვარს კარგად გაცვილული, გაპრიალებული პარკეტი. მინდოდა ნეონის განათება დამეყენებინა, მაგრამ არ მიჩიქეს. მხოლოდ სამზარეულოში თუ გამოდგებაო. ახალი ავეჯით განწყობილი ოთახი ლამაზი გამოვიდა. სამზარეულო თანამედროვედ მომიწყვეს. საძინებელში დიდი საწოლი მოვათავსე, ორი თუ სამი კაცი თავისუფლად დანვება. მიყვარს, ფართო და დიდი სივრცე, რადგან ღამე ბევრს ვტრიალებ. ვიყიდე კარადა და ფეხიანი, დასადგმელი ტანსაცმლის საკიდი. ფანჯარასთან ახლოს ყვავილებით მოჩითული პატარა სავარძელი მივდგი, ხოლო ფარდები და საწოლის გადასაფარებელი იმავე მატერიისა შევიძინე, რომელიც სავარძელს ჰქონდა გამოკრული — მწვანე და ვარდისფერი.

ბაზარში სასაადილო მოწყობილობა ვიყიდე: თევშები, იმავე მოდელის ვარდებით მოხატული ფინჯნები. ორი ადამიანის საუზმისთვის სერვიზიც შევიძინე. ვერცხლის კოვზები და მოოქრულპირიანი ფინჯნებიც. ჩინურ ლანგარზე სერვიზი დავანყვე და ბუფეტზე შემოვდგი. მხოლოდ კვირაობით გამოვიყენებ, — გავიფიქრე.

ვიყიდე ზენრები, ბალიშის პირები; ახალი კოსტიუმიც შევიძინე საზეიმო დღეებისთვის: კუბოკრული, ნაცრისფერი, მშვენიერი კოსტიუმი. ჭუჭყიანი ტანსაცმელი სასტუმროში დავტოვე, მხოლოდ ყავისფერი ქურთუკი და შავი ხავერდის შარვალი წამოვიღე. წიგნებიდან კი, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“ შევარჩიე, ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერი“, დავუმატე „ოცი წლის შემდეგ“ და „ვიკონტ დე ბრაჟელონი“.

<sup>6</sup> რივირა (სამხრეთ საფრანგეთი).

სასტუმრო ჯერ არ დამიტოვებია; სახლის მოსავლელად მსახური ქალი უნდა დავიქირავო. არ შემეძლია ცოცხლის, მით უმეტეს, მტვერსასრუტის ხმარება. ბოლო დღეები, სასტუმროში რომ გავატარე, მელანქოლია შერეული სიხარულით იყო სავსე. ყველაფერი წარსულში დარჩა: ჟანინი, ჯულიეტი და ლიუსიენი, პატარა გზაც, ყოველდღიურად რომ დავდიოდი სამსახურში ან ბისტროში, ყველაფერი დასრულდა. ასეთია ცხოვრება: ქალაქდებითა და მტვრით სავსე კანტორის ალიაქოთი, სასტუმროს საწოლი, რომელიც მომსახურე პერსონალის, მოხუცი კუზიანი მსახურის მიზეზით, ისედაც წელში რომ წყდებოდა შრომით, ხშირად საღამომდე, სამსახურიდან ჩემს მოსვლამდე აულაგებელი რჩებოდა; დილით მალვიძარას ხმა, კანტორამდე გაშმაგებული სირბილი იმ იმედით, რომ თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის წაღებამდე მიმესწრო, და სიხარული, რომ მივასწარი და ხელი მოვანერე, ბრაზიც, როცა ოცდაათი წამი დავაგვიანე და აღრიცხვის ჟურნალი წაღებული დამხვდა, ყველაფერ ამას იქით თითქოს რაღაც ბედნიერება იმალებოდა, რომელიც მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე, მტვრის სილამაზე, მანქანებით გაჭედილი ქუჩა, ადამიანები ჩემსავით სამუშაოზე რომ მიიჩქაროდნენ, ასეულობით და ასეულობით უფერული სახეები, არსებითად, სახეები კი არა, ღრუბლები, და ალბათ ამ ღრუბლებს იქით მზე იმალება, რომელსაც ჩვენ ყველა, თავადაც რომ არ ვიცით, საკუთარ თავში ვატარებთ. წარსული მუდამ მშვენიერია და მგრძობიარე, მაგრამ ამას გვიან ვხვდებით და სინანულიც გვიან გვეუფლება. რაღაც პერსპექტივა გვჭირდება, მნიშვნელობა არ აქვს, ვინა ხარ, მინისტრი თუ კანცელარიის ვირთხა, მილიარდერი თუ მანანწალა. დიახ, დიახ, მზით სავსე სამყარო ჩვენშია, სიხარულს შეეძლო ყოველ წამს, განუწყვეტილად, ეკაშკაშა ჩვენში, ეს რომ გვცოდნოდა, მხედველობაში მაქვს, თავის დროზე რომ გვცოდნოდა: რა მშვენიერია სიმახინჯე, რა სასიხარუ-

ლოა სევდა, ნაღველი ხომ მხოლოდ ჩვენივე უცოდინარობით აიხსნება! ყველაზე ყინულოვანი სიცივეც კი გულის სითბოს ვერ უძლებს. უნდა იცოდეს მხოლოდ რომელ ღილაკს დააჭირო თითი, რომ აინთოს. არსებითად კი ყველაფერზე ვნანობთ, რაც იმას ამტკიცებს, რომ ყველაფერი მშვენიერი იყო.

სინამდვილეში კი ეს ეიფორიული აზრები, ბისტროში დახლთან დგომისას, რამდენიმე სირჩა ალკოჰოლის შემდეგ შემეძდა თავში. დრო იყო შეჩერებისა. ბევრი არ უნდა დამელია, თორემ ხილვები სხვა მიმართულებით წავიდოდა. და მაშინ ყველაფერი უფერულ ბურუსსა და უიმედობაში გაეხვეოდა, დაინყებოდა სინანული, რომ ამოდ იცხოვრე ამ უბადრუკ ქვეყანაზე. ნეტარება, ალკოჰოლი რომ გვთავაზობს, მერყევია. ნეტარება თუ გონების განათება. ჭეშმარიტებისთვის როდის ვიღვიძებ? როცა მხოლოდ სიღარიბეს ვხედავ და სიბინძურეს, თუ როცა ვფიქრობ, რომ მთელი არსებობა და ყველაფერი, რასაც უნდა ვაკეთებდე, აყვავილებული და ნათელმფენი მაისია? მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით. არც უფლება გვაქვს, არც განსჯის შესაძლებლობა, უბრალოდ უნდა ვენდოთ. მაგრამ ვის?

მივხვდი, ძალიან ბევრს ვფიქრობ, არადა ხომ გადავწყვიტე, საერთოდ აღარ მეფიქრა, და გონივრული გადაწყვეტილება იყო, რადგან, რამდენიც უნდა იფიქრო, სულერთია, მაინც ვერაფერს მიხვდება კაცი.

მეტისმეტად ბევრს ვფილოსოფოსობ. ამასია ჩემი შეცდომა, ნაკლებად რომ მეფილოსოფოსა, ბედნიერად ვიცხოვრებდი. თუ დიდი ფილოსოფოსი არა ხარ, არ უნდა იფილოსოფოსო. დიდი ფილოსოფოსებიც კი, თუ ისინი ნამდვილად დიდნი არიან, მუდამ პესიმისტები ბრძანდებიან ან ისეთ დასკვნებამდე მიდიან, შეუძლებელია რამის გაგება. ანდა გვთავაზობენ, რომ ყველა ჩვენს სურვილს სრული თავისუფლება მივცეთ: ეს კი სადამდე მიგვიყვანს? ადამიანთა ერთ კეთილ ნახევარს სურვილები ან უკიდურესობამდე აქვთ გამწვავებული ან დაფარუ-

ლი სულის სიღრმეში. თუ ისინი თავიანთ სურვილებს სრულ თავისუფლებას მიანიჭებენ, აღარ ჩაიხშობენ, ერთმანეთს ამოხოცავენ ან საკუთარ თავებს დაიხოცავენ, თუმცა არა, შეუძლებელია, ერთმანეთს ვერ დახოცავენ, ვერც საკუთარ სურვილებს მიუშვებენ ნებაზე, რადგან პოლიცია ამის საშუალებას არ მისცემთ და ხელს შეუშლით. თუ, ცხადია, პოლიციელებიც არ მოისურვებენ, რომ თავიანთ სურვილებსაც მიანიჭონ თავისუფლება, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელია, გარდა რევოლუციური პერიოდებისა, როცა ყველა ყველას ხოცავს, თანაც ამტკიცებენ, ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ ადამიანებს სიცოცხლისა და უკეთესად ცხოვრების საშუალება მისცენ. რევოლუცია ტირანიას ამკვიდრებს, ამკვიდრებს სწრაფად, და ყველაზე მშფოთვარე სურვილები შებორკილი აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ ადამიანების დიდ ნაწილს არ სურს თავიანთ სურვილებს თავისუფლება მიანიჭოს, რადგან ეს ადამიანები სურვილებს საკუთარ თავსაც არ უმყლავნებენ, ან სურვილები საკმაოდ ძლიერი არ აქვთ, ანდა საერთოდ არ აქვთ სურვილები. არც მე მაქვს სურვილები, ან მაქვს, მაგრამ ცოტა, ან მქონდა და გაიარა. და თუ მაქვს, არ ღირს მათი თავისუფლად მიშვება და ზედმეტი დამუხტვა. ალბათ მაინც მაქვს სურვილები, მაგრამ მიძინებულნი. მათ გაღვიძებას არ ვესწრაფი. როგორია ჩემი სურვილები? მინდა, რომ თავი დამანებონ, რომ სხვა ადამიანების სურვილებმაც თავი დამანებონ და თავიანთ კვალდაკვალ ნუ მიმართევენ. და, რაც მთავარია, ვისურვებდი სურვილები არა მქონოდა, მაგრამ ვამჩნევ, რომ სურვილები მაინც მაქვს. კი, ბატონო, ქალის აღერსის სურვილი ჩამიქრა. იმედი მაქვს, სამუდამოდ. თუმცა, დიდი სურვილი არცა მქონია. ამან გადამარჩინა ქალებისგან, მაგრამ ღვინის დაღვევა ზოგჯერ მინდა. ღვინო ოდნავ სიმხნევეს მმატებს და სიცოცხლის ცოტაოდენ სურვილს მიღვიძებს, სხვანაირად ყველაფერი ჩაქრებოდა და უკვე მკვდარი ვიქნებოდი.

საკუთარ თავს ხშირად ვეუბნები, რომ ჩემი უბედურების სათავე გაზეთები იყო. მთელს პლანეტაზე მასობრივი მკვლევლობებია, ამბოხებები, მკვლევლობები ვნებათა გამო, მინისძვრები, ხანძრები, ანარქია და ტირანია. გამოდის, რომ თითქმის მუდამ მოლუშული დავდივარ. შეიძლება იმიტომაც, რომ მეტისმეტად ბევრი გაზეთი წავიკითხე. ბედი გვქონია, რომ პლანეტის იმ უკანასკნელ მინის ნაგლეჯზე ვცხოვრობთ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ცეცხლის ალში გახვეული. ვისარგებლოთ ამით. „და არა გრცხვენიათ, რომ ასე არაფრისთვის ცხოვრობთ?“ — მკითხა ერთხელ პიერ რამბულმა თუ ჟაკმა, აღარ მახსოვს, რომელმა. კარგად რომ დავაკვირდი, საკუთარ თავს შევამჩნიე, რომ სულაც არ მრცხვენოდა: რომელია უკეთესი, ადამიანებს მასობრივი მკვლევლობისკენ მოუწოდო, თუ თავი დაანებო და ისე იცხოვრონ, როგორც უნდათ, და ისე დაიხოცნონ, როგორც შეუძლიათ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროების მოთხოვნილებას ვერ ვგრძნობ.

სასტუმროს დამლაგებელ ქალს და ჰყავდა ერთი, ისიც კუზიანი, თვითონ მითხრა, მაგრამ უფრო ახალგაზრდაა, მუშაობისა არ ეშინია, რადგან, თუ კუზს მხედველობაში არ მივიღებთ, საკმაოდ ჯანმრთელი ქალიაო. დამლაგებელმა ქალმა ზუსტი მისამართი მითხრა, შატილონის კარიბჭესთან ახლო ცხოვრობდა, რომელიც ჩემი ახალი საცხოვრებლიდან არცთუ შორს იყო.

ბოლო ჩემოდანი ავიღე. სასტუმროს პატრონს დავემშვიდობე. ტაქსი გამოვიძახე. ქუჩას გავხედე, ადამიანები სამსახურებიდან გამოდიოდნენ, რადგან უკვე სადილობის დრო იყო. ბევრი ჩემი ყოფილი კოლეგა სადილობდა შუადღისას სასადილოში, რომელიც ჩვენმა უფროსმა სხვა პატარა საწარმოების მეპატრონეებთან ერთად მოაწყო. რამდენჯერმე მეც ვიყავი, კარტოფილის მშვენიერი სალათი ჰქონდათ ქაშაყით. წინ-ნკვლა დაინყო. ტაქსიში ჩავჯექი.

დიდხანს ვიარეთ პარიზში, რა ქაოსია! არანაკლებ ერთსაათიანი საცობებია,

არადა ამ დროს ადამიანთა უმრავლესობა სადილად უნდა მსხდარიყო. ჩრდილოეთ ვაგზლის რაიონიდან შატილონის პროსპექტამდე დიდი გზა იდო. ქუჩები ერთმანეთს მისდევდა, ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ადამიანებიც ერთმანეთს ჰგავდნენ. ათი ათასობით, ყველა ერთმანეთის მგვანი, სადღაც გარბოდა, წინ ისწრაფოდა, თითქოს რაღაც ზუსტი, კარგად ნაცნობი მიზნისკენ იჩქაროდა. ისე ჩანდა, თითქოს ქუჩები ძაღლებით იყო სავსე. ძაღლებიც ასე გარბიან, ისეთი იერით, თითქოს იციან, სადაც მიდიან. სენ-მიშელის ხიდზე წვიმა აღარ იყო. ეკოლის ქუჩაზე ღრუბლები გადაიყარა და მზემ გამოიხედა. მაგრამ ყველგან, ყველგან ერთნაირი ხალხი, ერთმანეთის მსგავსი. თითქოს ერთი თუ ორი ადამიანი უსაზღვროდ გაამრავლესო. ცამეტ საათსა და ათ წუთზე სახლამდე მივალწიე. ჩემოდნით შევედი, მეკარეებს მივესალმე. პენსიონერები არიან, ცოლქმარი, კაცი მალალია, სქელი, დაჟღაჟა, ქალი უფრო პატარაა, თეთრთმიანი. ბუნებრივია, უნდობლად იყურება და ანჩხლია. სჯერა, რომ ნამდვილი მეკარეა. ერთხელ უკვე ვნახე, როცა ბინის საყიდლად მივედი. ისე ასრულებდა მეკარის როლს, შეიძლება გვეფიქრა, მხოლოდ მეკარე იყო და სხვა არაფერი, მაგალითად, ქალი.

მან მითხრა: „თქვენი მსახური უკვე მოვიდა, ბატონო. გასაღები მივეცი, ზევით არის, თქვენს ბინაში.“

— დიახ, მე ვუთხარი პირდაპირ ზევით ასულიყო“.

ჩემოდნით კიბეზე ასვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან მძიმე არ იყო.

„ჩემი ქმარი მოგეხმარებათ...“

— არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში.

— მართლა არ გინდათ, ჩემოდნის ატანაში მოგეხმაროთ?“ — მკითხა მეკარე კაცმა.

ჩემი ბინა მეოთხე სართულზე კიბიდან მარცხნივ მდებარეობდა. დავრეკე. ჟანამ, მსახურმა ქალმა, გამიღო. ბნელი შესასვლელის შემდეგ, მარჯვნივ, სას-

ტუმრო ოთახი იყო. ძალიან ნათელი ოთახია. ღრუბლები საერთოდ გაქრა და პატარა ქუჩის, პროვინციული ქალაქის იერი რომ დაჰკრავდა, სახლების სახურავებს ზევით, დიდი ცისფერი ცა კამკამებდა. თავიანთი სახლების პარმალზე ორი მოხუცი ქალი იდგა და საუბრობდა. ცოტა მოშორებით, მარჯვნივ, ტროტუარზე, ორი მოხუცი კაცი რაღაცას ბჭობდა. სხვა ფანჯრიდან, შატილონის პროსპექტს რომ გადაჰყურებდა, უამრავი ხალხი ჩანდა, იყო ხმაური, ავტობუსები. ისევ შევნიშნე პროვინციული პატარა ქუჩის სიმშვიდესა და პროსპექტის ხმაურს შორის განსხვავება.

„ძალიან გავწვალდი, — მითხრა ჟანამ.“

— ეტყობა კიდეც, — ვუპასუხე, — პარკეტი კარგად პრიალებს. ყურადღებით უნდა იყოს კაცი, ფეხი არ გაუსრიალდეს. მიყვარს კარგად გაპრიალებული იატაკი. ბუფეტიც რა სუფთაა და როგორ კრიალებს! გმადლობთ, ჟანა“.

პალტოს გახდაში მომეხმარა და საკიბზე დაკიდა დერეფანში.

„საკიდისთვის ადგილის შეცვლაა საჭირო, ბატონო. ძალიან ახლოა სამზარეულოსთან. პალტოს საჭმლის სუნი აუვა. ხბოს ხორცი, ესკალოპი<sup>7</sup> ვიყიდე ყასაბთან. გინდათ მოგიმზადოთ?“

— არა, — ვუთხარი, — არა. ხვალისთვის იყოს. მაცივარში შეინახეთ. ხვალ ხომ მოხვალთ? საწოლი რომ გაასწოროთ და აქაურობა კიდეც ერთხელ კარგად მიაღაგოთ. მიყვარს სუფთა ზენრები და არ მიყვარს ჭუჭყიანი ჭურჭლის დანახვა.

— დიახ, — მიპასუხა, — ცხადია, იმ სასტუმროში, სადაც ცხოვრობდით, არც ისეთი სისუფთავე იყო.

— ამიტომაც მინდა ყველაფერი შევცვალო, ჩემოდანს თავი დაანებეთ, ხვალ ამოვალაგოთ.“

მშოიდა და ვჩქარობდი ქუჩის კუთხეში მდებარე პატარა რესტორანს გავცნობოდი.

მეოთხე სართულიდან ჩამოვდივარ,

<sup>7</sup> რბილი, მჭლე ხორცი.

მოაჯირზე ხელს ვაცურებ და გაცვეთილ ნოხს დავყურებ. კაცი ვერ მიხვდება ოდესღაც რა ფერისა იყო. მეკარე ქალი თავის ადგილზე დამხვდა, პირველ სართულზე. გავუღიმე, ამოუცნობი ჩაცვინებით მიპასუხა, და მგონი, კბილებიც გააკრაჭუნა. ჯერ კიდევ არ მიყურებდა წყალობის თვალთ, ადამიანი შენიანად რომ მიიღო, დროა საჭირო. დერეფანში გამავალი შემინული კარი გამოვადე, გავიარე დერეფანიც, რომლის კარიც ღია იყო და გამოვედი, მარცხნივ გავუხვიე მშვიდი ქუჩისკენ, მერე ისევ მარცხნივ შევუხვიე და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, ხმაურში აღმოვჩნდი. გაჩერებაზე ადამიანები ავტობუსს ელოდნენ, უმრავლესობა ალბათ სახლში დადიოდა სადილად და ახლა ავტობუსით სამსახურში ბრუნდებოდა. უზარმაზარმა სატვირთო მანქანამ რამდენიმე წამით ისინი ჩემს თვალს მიაფარა. მალე ისევ გამორჩნდნენ, ავტობუსი მოვიდა, ყველა ჩასაჯდომად აჩქარდა. ჩემ ახლოს, რამდენიმე ასეულ მეტრში, რაღაც დაწესებულება იყო, რაღაც ბიუროები. საკუთარ თავს მივულოცე, რომ ავტობუსში ჩაჯდომა აღარ მჭირდებოდა, აღარც სადილობის დაჩქარება, სამსახურში რომ არ დამეგვიანა. სამსახური აღარ მქონდა. პატარა რესტორნის კარს მივანეჭი. თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული ჰქონდათ, მუშებსა და წვრილ ჩინოვნიკებს, რომლებიც უფრო მშვიდად სადილობდნენ, ვიდრე მათი კოლეგები, რადგან ავტობუსით სამსახურში წასვლა და დაბრუნება არ სჭირდებოდათ, ასე რომ დროს იგებდნენ. ვიღაც ადგა და მაგიდა გათავისუფლდა, პატარა მაგიდა იყო ერთი კაცისთვის განკუთვნილი, ჰა და ჰა ორისთვის, კუთხეში ფანჯარასთან ახლოს. ჰოდა, მივუჯექი. დარბაზს ზურგი შევაქციე, რადგან მაინცადამაინც არ მიყვარს, როცა ვხედავ, როგორ იღეჭება ეს ხალხი. მირჩევნია სახით ფანჯრისკენ ვიყო მიბრუნებული. ოფიცინტმა ქალმა იმ ბატონის თეფში და სასადილო მოწყობილობა წაიღო, ახლახან რომ წავიდა. წაიღო და ისევ მალე დაბრუნდა, ნითელ ღვინით დალაქავე-

ბული სუფრა შეცვალა, სუფთა თეფში და სასადილო მოწყობილობა დამიწყო. სადილი შევუკვეთე: ქაშაყის ფილე, ვაშლითა და ზეთით, ბურგუნდიულად მომზადებული ხორცი, კამამბერი<sup>8</sup>, ნახევარი ბოთლი ბოჟოლე. „თუმცა არა, მთელი ბოთლი მომიტანეთ. თუ დამრჩება, ხვალისთვის შემინახეთ, რადგან აქ ყოველდღე ვაპირებ სადილობას“.

გარეთ განუწყვეტელი მოძრაობა იყო. ყვითელი, შავი, წითელი მანქანები ირეოდნენ, იშვიათად ტაქსი გაივლიდა, ჩანდნენ მოლუშული ფეხით მოსიარულენი, ძალზე ჭყეტელა, ძალიან მოკლე კაბებში გამოწყობილი მოსამსახურე გოგოები, რომელთა ტანსაცმლის მხიარული ფერები კონტრასტს ჰქმნიდა მათივე სახის გამომეტყველებასთან, უფრო ნალვლიანი ან შენუხებული რომ ჩანდნენ, რადგან სამსახურში უნდა დაბრუნებულიყვნენ; ან იქნებ სხვა საზრუნავიც ჰქონდათ. ცა ილუშებოდა, ოღონდ არ წვიმდა.

მგონი, პირველად ვუყურებდი ნამდვილ ყოველდღიურ სპექტაკლს ამ ქუჩაზე რომ თამაშდებოდა. ძალიან საინტერესოდ მეჩვენა, მიმზიდველადაც კი. რამდენი ხალხია ამ ქვეყანაზე, რამდენი სხვადასხვა სახეა და, როგორც ეტყობა, იმდენივეა ერთნაირი აზრიც. ან თითქმის ერთნაირი: მეგობარი; საყვარელი ქალი; სად გაატაროს შვებულება, რომელიც უკვე შორს აღარ არის; ბავშვი, რომელიც უნდა დაიბადოს, ახლა კი ამისი დრო არ იყო; უკვე დაბადებული ბავშვები საბავშვო ბაგაში მისაყვანია, რადგან ორივე მშობელმა უნდა იმუშაოს; მოხუცები, ისევ რომ მუშაობენ; მოხუცი პენსიონერი, თავისი პატარა პენსიით, სიკვდილზე რომ ფიქრობს, რომელიც შორს აღარ არის და აგერ უკვე ხელსაც უწვდის. რა საინტერესოა. საუკუნეების განმავლობაში ასეა. ახლა მოსწავლეები, ახლა მასწავლებელი ქალები, მასწავლებელი კაცები. ამას გარდა, სხვა ქუჩებში, სხვა რაიონებში, მდიდარი ხალხიც ხომ არის. მაგრამ მეც ხომ მდიდარი ვარ,

<sup>8</sup> ყველია ერთგვარი.

სიხარულით შევახსენე საკუთარ თავს. მდიდარი კაცი ღარიბთა კვარტალში. ალბათ შემეძლო სხვაგანაც დავსახლებულიყავი, მაგალითად, მეთექვსმეტე ოლქის ერთ იმ სახლში, მოხდენილი კიბეები რომ აქვს და თავაზიანი მეკარეები ჰყავთ. უცნაურმა მელანქოლიამ, სევდამ შემიპყრო, დაღლილობამაც და ზიზღმაც, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი გაცეცხამ, იმ ადამიანების დანახვაზე, რომლებიც მანქანებითა თუ ფეხით სადღაც მიიჩქარიან, ყველა ჩქარობს, ყველა ისწრაფის, ყველა ფუთფუთებს. აი, ასე, ყველა ვფუთფუთებთ და რა საოცრებაა ეს ყველაფერი! მომიტანეს ზეთით შენელებული ქაშაყის ფილე სალათითა და ვაშლით, რამაც ფიქრებიდან გამომიყვანა. მომიტანეს ბოჟოლეც და ჭიქაში დავისხი. ვიდრე ჭიქას პირთან მივიტანდი, ღრუბელი ოდნავ გადაინია და ჩემს მაგიდაზე გადაფარებული თეთრი სუფრა, თეფში, ქაშაყი და ღვინის ბოთლი მზით წაილეკა. ჭიქა ღვინო ერთი მოსმით გამოვცალე და მზე თითქოს ჩემში თავისით შემოვიდა. როცა ამას შორიდან უბრალოდ უყურებთ, შეიძლება სიხარულიც დაგეუფლოთ. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და წინ ბევრი მზიანი დღე მელის. შევბრუნდი და თავთავიანთ მაგიდებთან მსხდარ ადამიანებს გავხედე. სხვანაირი განათების გამო ისინიც სხვანაირები ჩანდნენ. ისევ ჩემს თეფშში ჩავრგე ცხვირი. სასადილოდ ჩვეულების გამო მოვედი, თორემ მადა არ მქონდა. მაგრამ ახლა, ალბათ მზის წყალობით, უცბად მომშივდა. გემრიელად მივირთვი ბურგუნდიულად მომზადებული ხორცი, ყველი, მთელი ბოთლი ღვინო დავლიე, ყავაც შევუკვეთე, ოღონდ უმიზნოდ, რადგან ყავა არ მიყვარდა. ამიტომ ყავის მერე შოკოლადიანი ნამცხვარი მოვითხოვე ათქვეფილი ნალებით. ერთხანს კიდევ ვიჯექი, ქუჩაში მოსიარულე ხალხს ისე ვუყურებდი, თითქოს ადრე ისინი არასოდეს მენახა. თავს კარგად ვგრძნობდი. ძალიან კარგად. წასვლა არ მინდოდა, მაგრამ უნდა წავსულიყავი, რადგან უკვე ყველა წასულიყო და მე ერთილა

დავრჩენილვარ რესტორანში. სინანულით ავდექი, გასვლისას მასპინძლებს თავი დავუკარი და ქუჩაში გავედი. სიხარულით ავივსე, როცა გავიფიქრე, რომ ჩემი სახლის ფანჯრიდან, ტახტზე მჯდარს ან ნამონოლილს, შემეძლო ამ ხალხის ყურება გამეგრძელებინა. ქუჩის კუთხეში შევუხვიე, ისევ აღმოვაჩინე ბალებით შემორტყმული პატარა სახლები, ისევ ვიგრძენი, რომ ერთი წამით შორეულ მოგზაურობაში ვიყავი და სახლში შევედი. მეკარე ქალმა ფარდა გასწია, დამინახა და ისევ დახურა. კიბეზე ავედი, მესამე სართულზე ქალი შევამჩინე, პატარა ძაღლთან ერთად ბინიდან გამოდიოდა; ძაღლმა დამინახა თუ არა, შემომყეფა. „ფილუმ, ჭკვიანად მოიქეცი“. — უთხრა ქალმა ძაღლს და მერე მე მომმართა:

„მაპატიეთ, ბატონო. უცნობებს უყეფს, მერე მიეჩვევა ხოლმე.

— არაფერია, ქალბატონო, არაფერია“.

კიდევ ერთი სართული ავიარე და კარზე დავრეკე, პასუხი ვერ მივიღე. ჟანა ალბათ ნავიდა. მარჯვენა ჯიბიდან გასაღები ამოვიღე, კარი გავაღე და შევედი. სასტუმრო ოთახიდან ცოტა სინათლე შემოდიოდა. მზით სავსე ოთახში შევედი. ჟანას მართლა კარგად უმუშავია, ყველაფერი სუფთა იყო და ელვარებდა, პარკეტი, მაგიდა, ბუფეტი. უცბად გამახსენდა, რომ საღამოს გაზეთი არ მიყიდია. უკან გავბრუნდი, კარი გასაღებით ჩავკეტე, მეოთხე სართულიდან ჩავედი. მეკარე ქალმა ფარდის იქიდან გამომხედა. ქუჩის კუთხემდე მივედი, მარცხნივ შევუხვიე, მერე ისევ მარცხნივ, გაზეთებისა და თამბაქოს სავაჭრო პროსპექტის მეორე მხარეს იყო. წუთით შევიცადე, მერე, როცა წითელ შუქზე მანქანები და ორი მოტოციკლეტი გაჩერდა, გადავედი, ვიყიდე გაზეთი, გამოვბრუნდი, ისევ შევიცადე, ვიდრე მეორე მხრიდან მომავალი მანქანები გაჩერდებოდნენ. შემდეგ პროსპექტი გადავჭერი, მარჯვნივ შევუხვიე, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, ისევ მარჯვნივ. ცოტა კიდევ გავიარე. სახლში

შევედი. მეკარე ქალმა ისევ გასწია თავისი ფარდები და ისევ შემომხედა. თავი მისკენ მივაბრუნე. შემამჩნია თუ არა, დავინახე, როგორ მიყურებდა, ფარდები მაშინვე დახურა. მეორე სართულამდე რომ ავედი, სურვილმა მომიარა ტახტზე მინოლილს რამე ალკოჰოლიანი დამელია. დამავინყდა, ჟანასთვის მეთხოვა სასმელის ყიდვა. ისევ ჩავიდე? მცირე ხნით შევყოყმანდი. მერე ჩასვლა გადავწყვიტე. პირველ სართულზე ჩავედი, მეკარე ქალისკენ იმ იმედით გავიხედე, რომ ვერ დამინახავდა. მან ისევ გადასწია ფარდები და ისე სწრაფად დახურა, ფარდები მსუბუქად შეირხა.

დერეფანი გავიარე, გარეთ გამოვედი, მარცხნივ შევუხვიე, მერე რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ მარცხნივ; რესტორანს ჩავუარე, გავცდი; ქუჩის კუთხეში სპირტიანი სასმელების სავაჭრო მდებარეობდა. საბედნიეროდ, დაკეტილი არ იყო. ერთი ბოთლი კონიაკი ვიყიდე, მერე მოვბრუნდი, ისევ ჩავუარე პატარა რესტორანს, მარჯვნივ შევუხვიე, კუთხემდე მივედი, შემოვუარე და სახლში რაც შეიძლება ღირსეული გამომეტყველებით შევედი, თან ბოთლის დამალვას გულმოდგინედ ვცდილობდი. მეკარე ქალმა ფარდებს შორის მხოლოდ ცალი თვალით გამოიჩყიტა. მეორე სართულზე ავედი, სულის მოსათქმელად ერთ ნამს შევჩერდი, მერე მესამე სართულზე ავფოფხდი, კიბის ბაქანზე ამოსაქაქანებლად ცოტა დიდხანს გავჩერდი, მერე, მოაჯირზე ხელჩაჭიდებულმა მეოთხე სართულზე ასვლა დავინყე. ჩემი კიბის ბაქანს მივალნიე, საკუთარი ბინის კარისკენ გავემართე, რომელიც კიბიდან მარცხნივ მდებარეობდა, მარჯვენა ჯიბეში გასაღების ძებნა დავინყე; გასაღები არ იყო. წამით დავიბენი. მარცხენა ჯიბეში მოვაფათურე ხელი. ვიპოვე. გამახსენდა, როგორ ჩავიდე მარცხენა ჯიბეში. კონიაკის ბოთლი ჭილობზე დავდე, კარი გავაღე, შევედი, მერე დავხურე და კარი გასაღებით ჩავკეტე. კიბეზე არავინ შემხვედრია, ადამიანები ალბათ სამსახურებში იყვნენ. სასტუმრო ოთახში შევედი. ბოთლი

და გაზეთი ტახტთან ახლოს დავანყვე, შემოსასვლელში დავბრუნდი, პალტო რომ გამეხადა და ქუდი დამედო. ოთახში დავბრუნდი, ბუფეტიდან ჭიქა გამოვიღე, ბუფეტის კარი მივხურე, მაგიდას შემოვუარე და ტახტთან მივედი. ფანჯრის ახლო ტახტზე გავიშხლართე. წამოვიწიე, ფეხსაცმელი რომ გამეხადა და ისევ ჩემს ლურჯ ტახტზე გავიშოტე. მერე სანახევროდ ისევ წამოვიწიე, ჭიქაში, რომელიც ბუფეტიდან გამოვიღე, კონიაკი დავისხი, ბოთლს საცობი ხელახლა დავახურე, კონიაკი ორი ყლუპით დავლიე, გაზეთი ავიღე და ისევ ტახტზე მივწეკი. ტახტის ზურგი აწეული იყო და ჩემს მწვანე წინდებს ვუყურებდი. გაზეთის პირველ გვერდზე ავიაკატასტროფის შესახებ იუნყებოდნენ. სადღაც წყნარი ოკეანის შუაგულში თვითმფრინავი, თავისი ასოცდახუთი მგზავრით და ეკიპაჟის შვიდი წევრით, გაქრა. ორი სტიუარდესას ფოტოს დავხედე. ცუდი ფოტოები იყო, კაცი ვერ მიხვდებოდა, სტიუარდესები ლამაზები იყვნენ თუ არა. ალბათ ლამაზები, თუ იმ რამდენიმე სიტყვით ვიმსჯელებთ, რასაც გვაუწყებდნენ. ერთი, მეტრი და სამოცდაშვიდი სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, მეორე — მეტრი და სამოცდათორმეტის. ორივე ქერა. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული საჰაერო კატასტროფა. ასეთი დიდი კატასტროფა კარგა ხანია არ მომხდარა. ის სტიუარდესა წარმოვიდგინე მეტრი და სამოცდაშვიდი სანტიმეტრი რომ იყო სიმაღლით. მეტრი და სამოცდათორმეტი ალბათ ქალის კვალობაზე მეტისმეტად ბევრია. იქნებ ლიუსიენსაც ჰგავდა. ალბათ ლამაზი ფეხები ჰქონდა, მუქი ცისფერი ფორმა და მუქი ცისფერი ქუდიც ძალიან უხდებოდა. როგორი თვალები ექნებოდა, ცისფერი თუ შავი? ალბათ ცისფერი, რადგან ინგლისელი იყო და არა ამერიკელი. თვითმფრინავით მხოლოდ ორჯერ ვიფრინე: ერთხელ მარსელში ჩავედი და უკან მატარებლით დავბრუნდი, რადგან თვითმფრინავში თავი მშვიდად ვერ ვიგრძენი. მეორედ ნიცაში ჩავფრინდი მომაკვდავი დეიდის სანახავად. ამჯერად მშვიდად ვიგრძენი

თავი და უფრო მომენონა. მშვენიერი მოგზაურობა იყო, ციურ სილაჟვარდეში მივფრინავდით, ღრუბლებს ზევით. ამჯერადაც უკან თვითმფრინავით არ დავბრუნდი. სამ მეგობართან ერთად მანქანით წამოვედი: ორმოცდაათს გადაცილებულ ცოლ-ქმართან და მათი ოცდახუთი წლის ვაჟთან ერთად, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა. ალბათ საჭირო იყო მეტი მემოგზაურა. ახლა უნდა დავინყო, რადგან მდიდარი ვარ; ნავალ იაპონიაში, სამხრეთ ამერიკაში. ნავალ, გავიფიქრე, ცოტას დავისვენებ, რამდენიმე თვე, ან ერთი წელი, მერე სხვა ცხოვრებას დავინწყებ, თავგადასავლებითა და სიამოვნებით სავსე ცხოვრებას, ოღონდ ახლავე არა. ხანგრძლივი და რთული საქმეების წამოსაწყებად ჯერ მზად არ ვიყავი, სააგენტოში რეკვა, წასვლა, პასპორტის ასაღებად საბუთების შევსება. მოგზაურობისთვის შესაფერი ტანსაცმლის ყიდვა. ლამაზი ტანსაცმლის... მაგრამ მოგვიანებით. ჩემი ტახტიდან ცისფერ ცას ვხედავ და ფრენის სურვილი მიჩნდება. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩემს ტახტზე ცუდად ვგრძნობდი თავს. ისევ გაზეთს და ვუბრუნდი: კიდევ ერთი ბავშვის გატაცება და ომი თითქმის ყველგან. ეგოისტი ვარ, გავიფიქრე. ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ომი არ მჭირდებოდა. რა ბედის წყალობაა, რომ შვილებიც არ მყავს, რომელთა გამოც სულ უნდა იკანკალო; ჯერჯერობით კი, ბედნიერი იმით ვარ, რომ სამსახურში აღარ მომიწევს წასვლა. კაციშვილი ველარ მაიძულებს. მეორე ჭიქა კონიაკი გამოვცალე, ცას შევხედე, ავდექი ხალხისთვის რომ გადამეხედა პროსპექტზე, მერე მეორე ფანჯარასთან მივედი, ისევ დავინახე პატარასახლებიანი მშვიდი ქუჩა. მესამე ჭიქა კონიაკი დავლიე, ბოთლს საცობი დავახურე და ბუფეტში შევდგი. ცოტა გავიარე, მაგიდას რამდენჯერმე შემოვუარე. სინათლე, კონიაკი, თავისუფლება, ყველაფერი მხიარულ განწყობილებას მიქმნიდა. სადმე ხომ არ წავიდე? იქნებ კანტორაში მივიდე და ჩემს ძველ

ამხანაგებს დაველოდო? ო, არა, ასედაც კარგად ვარ. დრო კიდევ მაქვს. ისევ ტახტზე წამოვწევი. ერთხანს ასე ვინეჯი. თვალს ხან ვახელდი, ხან ვხუჭავდი, ეს გახლდათ ოცნება უოცნებოდ. ჩავყვინთე.

მერე ავდექი. სასტუმრო ოთახიდან გავედი, გრძელი დერეფანი გავიარე ოდნავ მოხრილი რომ არის და სანოლი ოთახი დავათვალიერე. კედლებზე, ყვავილებით მოჩითული, ვარდები თეთრ ფონზე, ლამაზი შპალერი იყო აკრული. ძალიან მიყვარს ყვავილები. ამ შემთხვევაში, ეტყობა, მეშპალერეს უყვარდა ყვავილები. მე კი სანინაალმდეგო არაფერი მაქვს, რომ სანოლზე, სავარძელზე, კედლებზე ყვავილები იყოს. გასახარია, როცა დილით გაიღვიძებ და ყველგან ყვავილებს დაინახავ. სოფელს არ მაგონებს, მაგრამ ბავშვობაში ნანახ ერთ ბაღს კი მახსენებს; ამ ბაღში ჩემი მშობლების მეგობარმა, მოყვარულმა მეყვავილემ, სხვადასხვა ჯიშის უამრავი ყვავილი დარგო. ხვალ დილით გაღვიძებისას ყვავილებს დავინახავ. ისევ გავუყევი ჩაბნელებულ დერეფანს, რომელიც მართლაც გრძელია. სანოლი ოთახის კარიდან მარჯვნივ სააბაზანოა. შევედი, ორიოდე წამს დავყოვნდი: ჩემი სააბაზანოა, ვუთხარი საკუთარ თავს, აღარ დამჭირდება ყოველდღილა გრძელ რიგში დგომა, როგორც იმ სასტუმროში, სადაც მთელი სართული ტუალეტისკენ გარბოდა. ეს ბნელი დერეფანიც მომწონს, რაღაც იდუმალების იერი აქვს, სასეირნოდაც გამოდგება. ბოლომდე მისვლა და უკან მობრუნება, ბოლომდე მისვლა და უკან მობრუნება, რაღაც მინისქვეშეთისა თუ საიდუმლო გასასვლელის შთაბეჭდილებას ქმნის, რომლის მეშვეობითაც ტურფა კურტიზანი ქალები ბატონის საძინებელში იდუმალად შესრიალდებოდნენ ხოლმე. ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, პროსპექტს გადავხედე, მერე პატარა ქუჩას. რაღაც გაუბედაობა შემეპარა. თუ ვიჩქარებ, რომელიმე ჩემს ძველ ამხანაგს კანტორის გამოსასვლელთან კიდევ მივუსწრებ. ერთ წამს დავფიქრდი, მერე

საკუთარ თავს ვუთხარი, რომ კიდევ ბევრი რამ მქონდა სანახავი ჩემს ახალ რაიონში და სახლის ირგვლივ მიდამოებში. გარდა პატარა სოფლური ქუჩისა და პროსპექტისა სხვაგან არსად ვყოფილვარ. მთელი რაიონი ჯერ არ შემომივლია. შემოდგომის დასაწყისი იყო და ჯერ ისევ ნათელი იდგა გარეთ. „არა, არა, კანტორაში არ წავალ“.

დიდ ოთახში დავბრუნდი. ცა უკვე აღარ იყო ისეთივე ლურჯი; მზეც უკვე ისე აღარ ანათებდა, როგორც სულ ახლახან. უცბად მივხვდი, როცა მზე ცას აღარ ანათებს, ცა სახურავს ჰგავს. დედამინა სფერო იყო სხვა სფეროს შიგნით, რომელიც თავის მხრივ სხვა სფეროს შიგნით მდებარეობდა, ეს კი თავის მხრივ, სხვა სფეროს შიგნით სახლობდა, ესეც თავის მხრივ, სხვა... ვეცადე წარმომედგინა საბოლოო ფორმის რაღაც სფერო მეორე სფეროს შიგნით, რომელიც ასევე საბოლოო ფორმის იქნებოდა, ეს კი შემდეგი სფეროს შიგნით, ასევე საბოლოო ფორმის, და ასეთი სფეროების უსაზღვრო სიმრავლე, ყველა ერთმანეთთან დაკავშირებული დაუსრულებლად, რამაც გულისრევის გრძნობა მომგვარა და თავის ტკივილი. თავბრუ დამეხვა. ძალა არ გქონდეს სამყაროს ჩასწვდე, იმის შეუძლებლობა, გაიგო როგორია ის, რაც არის, მიუღებელია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რაც ჩვენ უკვე ვიცით, რომ საგანთა ფორმა მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა მათზე... თორმეტი წლის ასაკიდან ეს კითხვა დროდადრო მანვალეობდა, ასეთივე საზარელ უძალობის გრძნობას მინერგავდა და ასეთივე გულის რევას იწვევდა ჩემში. ნეტავ რას იზამს ყველა ეს ადამიანი, ახლა ქუჩებში რომ დასეირნობს ან ავტობუსს მისდევს? თუ ამაზე დაფიქრდებიან ან უფრო წარმოუდგენელს წარმოიდგენენ, ალბათ ადგილიდან აღარ დაიძვრებიან. საკუთარ თავს უკვე ვუთხარი: აღარ ვიფიქროთ, რადგან ფიქრი არ შეგვიძლია. ადამიანები არად აგდებენ ან ივინყებენ წარმოუდგენელს; წარმოუდგენელს უკუაგდებენ და ფიქრს აგრძელებენ, თავის აზრებს ამ

წარმოუდგენელზე აფუძნებენ და ეს ჩემთვის კიდევ უფრო წარმოუდგენელია. არადა, მათ გამოიგონეს არითმეტიკა, გეომეტრია და ალგებრა... ალგებრასაც უფსკრულამდე მიჰყავხართ... მანქანებიც ააგეს, საზოგადოებები შექმნეს, ამ აბსტრაქტულ კითხვას, კითხვას, რომელსაც პასუხი არ აქვს, ვითომც აქ არაფერიაო, ყურადღებას არ აქცევენ.

იქნებ იმაზე ფიქრის სურვილი, რაზეც ფიქრი არ ღირს, არის კიდევ სულელური ამპარტავნება. მაგრამ რა შუაშია ამპარტავნება და საერთოდ არსებობს ამპარტავნება? ფაქტია, რომ ადგილიდან დაძვრა არ შემიძლია. მგონი, სამყაროს კედელთან ვდგავარ და დამავინყდა კედლის მეორე მხარეს რა არის, და მისგან განშორება ვერ გადამიწყვეტია. იქნებ ეს ავადმყოფობაა. მარტო დავრჩი ამ კედლის ძირში, სულ მარტო, სულელივით. იმათ კი, რაღაც გზა გაიარეს, რაღაც საზოგადოებებსაც კი აყალიბებენ, ცოტად თუ ბევრად კარგს, ყველანაირი უცნაური ხელსაწყობიც აქვთ. მე კი ვდგავარ, სამყაროსთვის ზურგი შემიქცევია და ამ კედელს შევყურებ. უკვე ვაპირებ, დიახ, უკვე ვაპირებ მეტი აღარ ვიფიქრო, რადგან ფიქრი სულერთია შეუძლებელია. საყურადღებოა, მათ მიაჩნიათ, რომ მსოფლიოც, სამყაროც, შექმნაც სრულიად ბუნებრივია, ნორმალურია და ეს ყველაფერი მოცემულია. ისინი ხომ მეცნიერები არიან, მე კი ზარმაცი და უმეცარი ადამიანი ვარ. ჩვენ ციხეში ვართ, რასაკვირველია, ციხეში ვართ. არაფერი ვიცი ზუსტად იმიტომ, რომ მინდა ყველაფერი ვიცოდე. იქნებ იმათ მოახერხონ და პასუხი გასცენ? ათეულობით, ასეულობით თაობების შემდეგ, შეიძლება ჩასწვდნენ მიუწვდომელს, შეძლონ წარმოიდგინონ წარმოუდგენელი. თუ შეუჩერებლად იმუშავებენ, ჩასხდებიან ავტობუსებში, დაწერენ წიგნებს, გამოითვლიან, შორეულ ვარსკვლავებს დაიპყრობენ, თუ მიკროსკოპების მეშვეობით აღმოაჩენენ ყველაფერს, რაც უსაზღვროდ პატარაა, მაშასადამე, თავისთავად გაუ-

ჩნდებათ გაუთვითცნობიერებელი შეგრძნება, რომ თავისას მიაღწევენ. მართალია, მე მგონია, რომ სიცარიელეს ეყრდნობიან, მაგრამ ესეც მხოლოდ სიტყვებია და სხვა არაფერი. სახელებს, რომლებიც არაფრის მთქმელია, ვარქმევთ საგნებს, რომელთა შესახებაც არაფრის თქმა არ შეგვიძლია, არაფრის, არაფრის თქმა არ შეგვიძლია. უსაზღვროდ მცირე... უსაზღვროდ დიდი რომ მქონდეს აკვიატებული, აკვიატებული მექნებოდა უსაზღვროდ მცირეც...

ამ სულელურმა კითხვებმა წინსვლაში ხელი შემიშალა, ხელი შემიშალა ცხოვრების გემოვნებისა და მისი გამოვლინებების ჩამოყალიბებაში. ოო, აი ეს კი მართალი არ არის! ცხოვრებაში არსებობს ისეთი რაღაცები, რაც, თუნდაც, მახარებს. მაგრამ ამ სევდის ატანა ველარ შევძელი. ველარ შევძელი იმის ატანა, რასაც დასრულებულ გულზიდვასა და დაუსრულებელ გულზიდვას ვეძახი. ყველამ გაიარა ეს პერიოდი ცამეტი წლის ასაკში, თოთხმეტის, თვრამეტის. მერე იგი არამცთუ გადალახეს, რადგან ამისი გადალახვა შეუძლებელია, არამედ ადგნენ და ანგარიში აღარ გაუწიეს: ან დაივიწყეს ან მათთვის სულერთი გახდა. ვილაცა კი ამაზე საერთოდ არ დაფიქრებულა. მაგალითად, პოლიტიკოსები. ესენი მუდამ ან აქ არიან ან იქ, ან საკუთარ სახლში. განსაზღვრული ზომის სივრცე მათ ჰყოფნით. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ მათზე უკეთესი ვარ. არც იმის თქმა მინდა, რომ ისინი არიან ჩემზე უკეთესები. ეს საერთოდ არაფერს ნიშნავს. დიახ, ეს ჩემთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს. აბსოლუტური ღირებულება არ არსებობს. ამ სფეროშია მოთავსებული სხვა სფერო, რომელიც თავის მხრივ სხვა სფეროშია, რომელიც ასევე თავის მხრივ სხვა სფეროშია. ისევე ეს კომმარული თავბრუსხვევა. ბუფეტისკენ წავედი. კარი გამოვადე, კონიაკის ბოთლი ავიღე. ერთიმეორეს მიყოლებით ხუთი ჭიქა დავლიე. ღმერთო, რა კარგად გავხდი. ყველა კითხვამ თითქოს ძალა დაკარგა, გავთბი, ბედნიერად ვიგრძენი თავი ან უფრო არა იმდენად ბედნიერად, რამ-

დენადაც ყველა ამ კითხვისგან გათავისუფლებულად. ახლა მხოლოდ სფეროს ტყვე კი აღარ ვიყავი, არამედ ალკოჰოლის თბილი საბურველისაც. მაგრამ გულზიდვა გაქრა. შეუძლებელზე ახლა უკვე აღარ ვფიქრობ. ან ამაზე ფიქრი ცოტა ხნით ჩამომშორდა. მაინც რა უბედურებაა გამუდმებით ამ კედლის ყურება. მაგრამ ამჯერად ეს უბედურება გაქრა. როგორ მინდა ასეთივე დავრჩე, ისეთი ვიყო, როგორიც ყველა! ძალიან მინდოდა ტახტზე მივწოლილიყავი, მაგრამ ვიცოდი დამეძინებოდა და დილაამდე მეძინებოდა. არა, სახლიდან უნდა გავიდე. რესტორანში.

წავედი და სახლს მეორე მხრიდან შემოვუარე, რამაც საშუალება მომცა ამ კვარტლის კიდეც ორი ქუჩა მენახა. იმ პატარა სახლებიან სოფლურ ქუჩაზე აღმოვჩნდი, რომლის ორი თუ სამი სახლი პატარა შალეს ჰგავდა, მერე მარჯვნივ შევუხვიე. ძალიან სევდიანი ქუჩა იყო, სუფთა სახლებს ჭუჭყიანი ოთხსართულიანი სახლები ემეზობლებოდა, სადაც იაფფასიან ბინებს აქირავებდნენ. კასკეტიან მოტოციკლისტებს თავი ერთად მოეყარათ, მზად იყვნენ ერთდროულად დაძრულიყვნენ, ალბათ ასეთი რამ რომელიღაც ამერიკულ ფილმში ნახეს, რომელიც ახლახან აჩვენეს, რამაც ახალგაზრდებს ირგვლივ მყოფთა ტერორების წყურვილი გაუჩინა. ხუთი თუ ექვსი კაცი იყო, ცალი ხელით მანქანებს აკავებდნენ, ერთი მოტოციკლეტისტის გარშემო შეჯგუფულიყვნენ, რომლის მანქანასაც რაღაც ტექნიკური გაუმართაობა ჰქონდა, ეს ხმაურიც ამკარად ართობდათ. მერე ორი თუ სამი მოტოციკლი არახრახნდა, ავჩქარდი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავშორებოდი ამ საზარელ ინსტრუმენტებს და მათ კომმარულ ხმაურს, ამკარად გამოხატული აგრესია რომ იგრძნობოდა და წარმატებითაც პოულობდა გამოსავალს. სამუშაო ხალათებში გამონყოფილი სამი თუ ოთხი მუშა შინ ბრუნდებოდა, სიარულით თუ ვიმსჯელებთ, მოესწროთ და ბისტროშიც შეევლოთ. ვიგრძენი, ბურჟუა ვიყავი. საკუთარი ბურჟუაზიუ-

ლობის შეგრძნება ისეთივე მტკივნეული აღმოჩნდა, როგორც დანაშაულის გრძობა. რომელი დანაშაული? ამოდ გუმეორებდი საკუთარ თავს იმას, რაც ისედაც ვიცოდი, რომ არანაირი დანაშაული არ მქონდა; ჩემს გონებას უნარი არ ჰქონდა ირაციონალურ სანყისამდე მიეღწია. აი, რას ნიშნავს ოპოზიცია და ოპოზიციური გაზეთები! აი, რა ძალა აქვს კლიშეებს, რომლებსაც არ ვალიარებთ, მაგრამ ისინი ჩვენში მზაკვრულად მაინც აღწევენ და ერთიანად გვჟღენთავენ! დანაშაული აქ არაფერ შუაშია. კაციშვილი დამნაშავე არ არის. ან ყველა ყველაფერშია დამნაშავე: ეს კი ერთი და იგივეა. მაგრამ რაოდენ სუსტია ის ადამიანი, ვინც გრძობს, რომ დამნაშავეა, თანაც ხვდება, არაფერშია დამნაშავე. რა განხეთქილებაა გონებასა და უგონობას შორის. ის, ვინც გრძობს, რომ დამნაშავეა, ამავე დროს, იცის, რომ დამნაშავეა, მას ისღა რჩება დათმოს და უფლებამოსილება მოიხსნას. თვითმკვლელობისკენ მიმავალ გზაზე უკვე აღარაფერი აკავებს. მე კი თავგზააბნეულმა...

ქუჩის კუთხეში მარჯვნივ შევუხვიე, უფრო ფართო ქუჩაზე აღმოვჩნდი, თითქმის ისეთივე ფართო იყო, როგორც პროსპექტია და პენსიონერთა სოფლური ქუჩის პარალელურად მდებარეობდა. ეს ქუჩა მაინცდამაინც გულის გასახარად არ გამოიყურებოდა. საცხოვრებელი სახლები ცოტა იყო, სამაგიეროდ, ბევრი იყო უზარმაზარი საამქრო თუ საწყობი. მარცხენა ტროტუარის გაყოლებით, ქარხნის უკან, შენობები ჩანდა. იქიდან მუშები გამოდიოდნენ. ირგვლივ ერთი ბისტროც არ იყო. იყო გარაჟი იმ ავტობუსებისთვის ცენტრალურ პროსპექტზე რომ დადიოდნენ, იქ, სადაც რესტორანია. ამ ფონზე ვარდისფერკაბიანი გოგონა მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა. რამდენიმე ხეც იდგა, ხშირ, მაგრამ მტვრიან ფოთლებს აშრილებდა. საკმაოდ გამოცოცხლებული არტერია გახლდათ იმ საათებში, როცა მუშები სამუშაოზე მიდიოდნენ ან მოდიოდნენ; ამ გზაზე, ძირითადად,

მძიმე სატვირთო მანქანები დაჰქროდნენ ხმაურით და მუშები დადიოდნენ ველოსიპედებით. ჩამობნელება დაიწყო. ასიოდე მეტრი გავიარე კიდევ, კუთხემდე მივედი და მარჯვნივ შევუხვიე. პროსპექტზე აღმოვჩნდი, ფანჯრიდან რომ ვხედავდი, და რომელიც უკვე ჩემთვის კარგად ნაცნობი გახლდათ. ისეთი გრძობა მქონდა, რომ თვეებისა და წლების განმავლობაში ამ პროსპექტზე დავდიოდი. ცხადია, როცა ბინას ვყიდულობდი, ამ გზით მოვდიოდი, მაგრამ პროსპექტს ამ დილიდან გავეცანი, როცა ნამდვილად დავათვალიერე. მრავალრიცხოვან გამვლელებს შევერეი და რესტორნისკენ გავემართე. პროსპექტის მეორე მხარეს ადამიანები ავტობუსის მოსვლას ელოდნენ ძველებურად. რესტორნის კარი შევალე და შემფოთებით თვალი ჩემს მაგიდას შევაავლე — თავისუფალი იყო თუ არა. თავისუფალი აღმოჩნდა და გამეხარდა. ის უკვე ჩემი მაგიდა ხდებოდა. რესტორანში ხალხმრავლობა იყო და სინათლეები ენთო. ჩემს კუთხემდე ძლივს გავძვერი, საკიდზე ქუდი დავკიდე, დავჯექი. ფანრები გარეთაც აინთო. ოფიციალტი ქალი მომიახლოვდა, მიცნო: „შუადღით იყავით, ხომ?“

— დიახ, ყოველდღე ვივლი. შეგიძლიათ ეს მაგიდა შემინახოთ ხოლმე?“

მიპასუხა, ასეთ პატარა რესტორანში ეს მიღებული არ არის. მაგიდებს წინასწარ დიდ რესტორნებში იკავებენო. თუმცა, ეცდებოდა, ოღონდ ადრე უნდა მივსულიყავი. ვუთხარი, ჩვეულებების კაცი ვარ-მეთქი და შემეძლო სადილად, ვთქვათ, პირველის ნახევარზე მივსულიყავი, ხოლო ვახშმად შვიდზე.

„ეგრევე ჩანს, ჩვეულებები თქვენთვის ძვირფასია“, — მიპასუხა. მაგრამ, ეტყობა, საკმაოდ უცნაურ კაცად ვეჩვენე. მენიუ მომიტანა. სადილზე ზეთიანი ქაშაყი ვაშლით უკვე გასინჯული მქონდა, ახლა შეცვლა მოვინდომე და სარდინი შევუკვეთე, მერე ბიფშტექსი მაკარონით, დესერტად კი რომიანი ბაბა<sup>9</sup>. და, ცხადია, ბოთლი ბოჟოლე.

<sup>9</sup> საფუარიანი ნამცხვარი.

„პირის გემოს მოყვარული ბრძანდებოთ, არა?“ — მითხრა ოფიციატმა. „კი, კარგად ჭამა მიყვარს, თქვენთან კი გემრიელად ამზადებენ. ბოჟოლეც მომწონს.“

— პატრონს ნაცნობი ღვინის ვაჭარი ჰყავს, რომელიც საკუთარი ვენახების ღვინით გვამარაგებს; ყველაფერი ახალი გვაქვს და სუფთა. ხომ ხედავთ, რამდენი ხალხი დადის. ყველა კმაყოფილია და გემრიელად მიირთმევს. მთელ კვარტალში ყველაზე კარგი რესტორანია. აქ ერთი სასადილოც არის, მაგრამ კაცი არ ეკარება. კიდეც არის ერთი რესტორანი, დუქანს ეძახიან, რაღაცა პრეტენზია კი აქვს“.

ისიც გამანდო, რომ პატრონის ცოლისდაა. აქვე, დახლთან, კიდეც ერთი ბიძაშვილი მუშაობს. პატრონი ყველაფერს თვითონ ყიდულობს და უკვეთავს პროდუქტებს.

„ნათესაგების ერთად მუშაობა კარგია, მეტი ურთიერთგაგებაა. ნავალ, საქმე მაქვს. რაც შემიკვეთეთ ახლავე მოგართმევთ“.

ფანჯრისკენ შევბრუნდი. გამვლელების ყურება კარგი გასართობია. დღე უფრო მიყვარს. სიბნელე სევდას მგვრის. მაგრამ, როცა ბევრ ხალხს ხედავ, ყველანაირ ადამიანს, ეს კაცს ამშვიდებს და განწყობილებას ამალღებს. პატარა რომ ვიყავი, ღამის მეშინოდა. დედაჩემს საყიდლებზე დაეყავი, ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით. ქუჩაში ბევრი ხალხი იყო; ოდნავ ამ ქუჩას ჰგავდა, ოღონდ ვინრო იყო. დედაჩემი, ცხადია, კარგად იცნობდა ჩვენი კვარტლის მაცხოვრებლებს. ვინმე ნაცნობ ქალთან ან მეზობელთან სასაუბროდ ჩერდებოდა. რამდენიმე სიტყვით გამყიდველებსაც გამოელაპარაკებოდა ხოლმე. მახსოვს, მოჟრიამულე ხალხი, მიუხედავად ბინდ-ბუნდისა, ქუჩა ცუდად ნათდებოდა, მათთან თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი. იმ სილუეტების, იმ ადამიანების დიდი ნაწილი ალბათ აღარც არსებობენ. მახსოვს, ლანდებით სავსე ქუჩა. და უცბად მომეჩვენა, რომ დღევანდელი გამვლელებიც მოჩვენებებს

ჰგავდნენ. გული შემეკუმშა და სევდა განმიახლდა, შიშმა შემიპყრო. არაფრის გამო. და ყველაფრის გამო. საბედნიეროდ, სარდინი და ღვინო მომიტანეს. ინებეთო, მითხრა ოფიციატმა ქალმა. თვითონვე დამისხა ბოჟოლე ქიქაში და ნავიდა. დავლიე და მეორე დავისხი. უკეთ გავხდი. თითქოს ოდნავ გავმხიარულდი კიდეც. ასე ხშირად მემართება, ამოდრავდება სიხარული, ფეთქვას ინყებს ბედნიერება, ოღონდ ძალიან სუსტად და მალევე ქრება. სევდისა და შიშის განსაქარვებლად ჩემი მეთოდი მაქვს, მაგრამ ყოველთვის არ ამართლებს. ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ყურადღებით დავაკვირდე საგნებსა და ადამიანებს. ყურადღება მათზე გადამაქვს. ძალიან, ძალიან დაკვირვებით ვუყურებ, უცბად მეჩვენება, რომ თითქოს ყველას და ყველაფერს პირველად ვხედავ და მაშინ ყველაფერი გაუგებარი და უჩვეულო ხდება.

თავს ძალა დავატანე, ყურადღება მოვიკრიბე, ვცადე დამევიწყებინა ყველა გზა, რომელიც მინახავს, ყველა ქალაქი, ყველა ქუჩა, ყველა ადამიანი და ყველა საგანი. მე ამ სამყაროში მიტოვებული ვარ და მას ისე შევიცნობ, თითქოს პირველად ვხედავ. ვლამობ, სამყაროს ამ უცნაურობას ჩავწვდე, რისი მიღწევაც ხანდახან გამომდის. თითქოს სპექტაკლს უყურებ, შორიდან უყურებ, მანძილიდან, თავად არ მონაწილეობ; უკვე აქტიორიც აღარ ხარ, არც სტატისტი, ჩვეულებრივ კი მიჩნეულია, რომ ჩვენ ყველა აქტიორები და სტატისტიები ვართ. ირგვლივ ხალხი კი გვახვევია, მაგრამ არ გვახვევია. რაც ზოგჯერ ჩემს სევდას აღრმავებს, ხშირად პირიქითაც, აძევებს. თანდათან ეს დამკვირვებლობას ამახვილებს, რადგან ყოველთვის გვგონია, რომ ეს მსოფლიო მექანიზმი, ეს ადამიანები, ეს ქუჩები, ეს ფუსფუსი მახინჯია ან მშვენიერი, კარგია ან ცუდი, სასიამოვნოა ან უსიამოვნო, სახიფათოა ან საიმედო. ზოგჯერ გამომდის და რაღაც მორალურ ნეიტრალიტეტს ვაღწევ. თუ ესთეტიკურ ნეიტრალიტეტს. „ისი-

ნი“ აღარ არიან ჩემი მსგავსნი. ვცდილობდი, არ მივხვედრილიყავი იმ სიტყვებს, რომლებსაც ადამიანები რესტორანში წარმოთქვამდნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვეულებრივი ხმაური იყო ან უცხო ენაზე გაჟღერებული ბგერები. ყველაფერი წამიერ ჩვენებად იქცა, რაღაც სიცარიელის ილუზიის მსგავსი. ვილაცები პირველად ან უკანასკნელად დადიან ქუჩაში, რაღაც ქუჩის მსგავს ქუჩაში, რაღაც სივრცის მსგავს სივრცეში. ნამდვილად კი მხოლოდ მე ვარსებობ. ყველა დანარჩენი ბუნდოვანი და გაურკვეველია, უბრალოდ არის „რაღაც ასეთი“. და ისევ იმ მიუწვდომელი კედლის წინ ვდგავარ. დანარჩენები სად არიან? თვითონ სად ვიმყოფები? დაე, თეფშები, დანები, ჩანგლები, ავტობუსები, ფეხთმავალნიც საგნებად იქცნენ ან რაღაც ისეთად, კაცმა რომ არ იცის როგორ მოექცეს, ისიც კი უცნობია, რისთვის გამოიყენება! მხოლოდ მე ვარსებობ. სხვები მიდიოდნენ და ქრებოდნენ, მე კი ამ მორევში მარტო ვიყავი, რომელიც არაფრით არ შეიძლებოდა, რეალური ყოფილიყო. რეალობა რაღაც ცარიელი სივრცე აღმოჩნდა, რომელსაც მე ვავსებდი. ჩემი „მე“ ეიფორიულად გაიბერა, რაც მეტად მაფიქრებინებდა, რომ „ყველაფერი ეს“ თითქმის არ არსებობდა, მით მეტად მიმტკიცდებოდა რწმენა, რომ მე ვარსებობდი. უნდა შემეჩერებინა ეს ეიფორია, არ უნდა დამეგრია, უნდა შემეჩერებინა, თორემ იმ ზომამდე გავიბერებოდი, მთელ სივრცეს დავიკავებდი, რომელსაც ეგზისტენციურ სივრცეს უწოდებენ და ისევ უჩინარი, მიუწვდომელი კედლების პირისპირ აღმოვჩნდებოდი. არ ვიცი, ზუსტად გამოვხატე თუ არა ის, რაც მინდოდა მეთქვა. ამ მდგომარეობას ვერ გამოხატავ. შეიძლება სხვა რამის თქმაც მინდოდა, ან იქნებ ესეც არის ის სხვა რამე. რაღაც გონების მსგავსი მკარნახობს, რომ შეუძლებელია მხოლოდ მე — ერთი ვარსებობდე. სხვა „მეებიც“ იყვნენ, ისეთივეები, როგორც მე ვარ, დაჟინებით მეტუბუტუბებოდა გონება, რომლის ჩაჩუმებასაც ვცდილობდი, მაგრამ

ვიდრე ვგრძნობ, რომ მხოლოდ მე ვარ, თითქოს საკუთარი თავის შემქმნელი ვარ, საკუთარი თავის ღმერთი, მოჩვენებათა მბრძანებელი, უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს. ჩვეულებრივ კი, მარტოობაში მარტო არა ვართ. ყველაფერი ჩვენთან არის. იზოლაციაში ვართ, მაგრამ იზოლაცია ნამდვილი არ არის, კოსმიური მარტოობა არ არის, არამედ სხვა მარტოობა, პატარა, სოციალური მარტოობაა. სრულ მარტოობაში სხვა არაფერი არსებობს. როცა მოგონებებით, სახეებით იტანჯებით, სხვა ადამიანები მოსვენებას არ გაძლევენ, თავს გაბეზრებენ. როცა მარტოობა მოსაწყენი და აუტანელი ხდება, მაშინ სხვებთან მიდიხართ, ეძახით, რაღაც გჭირდებათ მათგან ან გაურბიხართ, რადგან მათი არსებობის გჯერათ. სხვა ადამიანების გვეშინია და მათთან ურთიერთობას ისე ვეჩქართ, თითქოს მათი განიარაღება გვსურდეს. მაგრამ მე ღმერთი არა ვარ, ეს წარმავალი მოჩვენებები, ყველა ეს ხილული ხილულობა, მე არ მომიგონია, ვილაცამ შემომთავაზა, თავს მომახვია. ის ვილაცაა გამომგონებელი. მე კი თავის არიდება ვერ შევძელი, თუმცა ვეცადე განზე დავრჩენილიყავი, მაყურებლის როლში, თამაშში არ ჩავრეულიყავი, მაგრამ იძულებული გავხდი ამ თამაშისთვის ანგარიში გამეწია.

თუმცა, ჯერ მთლიანად არ ვიყავი ჩათრეული, შებოჭილი ამ არსებობით, ამ სამყაროთი, და დროდადრო რამდენიმე წამით გარეთაც გამოვდიოდი. ხმები ისევ გაურკვეველი ბურტყუნი იყო, ადამიანები კი მოჩვენებები. მერე ყველაფერი ჩამოინგრა. ნორმალურმა უცბად თავისი ნორმალურობა შეიძინა, მე კი შიგნით აღმოვჩნდი. საგნები იგივე გახდა, რაც არიან. ვცადე ისევ იქითა მხარეს დავბრუნებოდი, იქ, სადაც ამ ყველაფერს სახელი არ აქვს. ძალიან დაკვირვებით, ძალიან ყურადღებით დავაქვერდი წითელი ღვინის ლაქას სუფრაზე. ადრეც წარმატებით ჩამიტარებია ეს ცდა. რაღაცას უყურებ, უყურებ და მერე ველარ იგებ, რა არის. ვიდრე ღვინის ლაქა ღვინის ლაქა აღარ იქნება, და არ

იქცევა „არ ვიცი რად“, რაღაც სხვად, სუფრაც უკვე სუფრა აღარ იქნება, აღარც თეთრი სივრცე და აღარც ადგილი ლაქისთვის. იქნებ შევძლო და ამ სივრცის შიგნიდან, თუნდაც ცოტაოდენი, რაღაც სხვა ამოვიღო, იმ მიღმიერი მხარის გაურკვეველი სივრცის მსგავსი. მერე კი თავადვე დავაკვირდები მიღმიერს. მაგრამ აზრებს თავს ველარ ვუყრი. შეიძლება ოფიციალტი ქალის გამოც, ჩემ გვედით ჩავლისას რომ მომადხა; „ბიფშტექს აღარ ჭამთ?“ როცა სამყაროში მტკიცედ შევდივარ, ყველაფერი თან მიმაქვს. თვით მოსმენილი წინადადებებიც კი, სულელურია თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანების შესტიკულაცია, რომელიც მაშინვე რაღაც სხვად იქცევა, შესტიკულაციას რომ ჰგავს, ოღონდ შესტიკულაცია აღარ არის, არის რაღაც სხვა. ხშირად ჩემთვის საკმარისი იყო დიდხანს და სწრაფად გამემორებინა სიტყვა „ცხენი“ ან „მაგიდა“, ვიდრე ცნება თავისი შინაარსისგან არ გათავისუფლდებოდა, ვიდრე მნიშვნელობა არ გაქრებოდა, მაგრამ ამ სალამოს არაფერი გამოდიოდა.

„როგორ არა, — ვუპასუხე ოფიციალტს, — შეგიძლიათ დესერტიც მომიტანოთ, მერე ყავა. არა, ყავა დესერტთან ერთად მომიტანეთ“. ხმები ისევ უხეში გახდა და მკვეთრი, არადა უკვე გაურკვეველ ბურტყუნში იყო ჩანთქმული.

დიახ, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ჭერზე დაკიდებული ნათურები არ ირხეოდა, არც მინისძვრის სხვა რამ ნიშანი იყო. ამგვარი ცდების დასაწყისში, როცა თხუთმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, მიღმიერი სწრაფად იწყებოდა. ყველაზე ხშირად სხივიერი ჰალო<sup>10</sup> წარმოიქმნებოდა, და როცა მიღმიერი უკან იხევდა, მე დიდხანს, რამდენიმე დღე, მახსოვდა სინათლით სავსე სამყარო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო, არის და შემოიძლია ისევ ვიპოვო. გახარებულს, დღეების, შეიძლება კვირების განმავლობაშიც მახსოვდა ეს. ახლა ამ

<sup>10</sup> ოპტიკური მოვლენა – თეთრი ან ცისარტყელასებრი წრეები. მზის, მთვარის გარშემო შექუერი რგოლი.

მდგომარეობას დიდი ჯაფით და უფრო იშვიათად ვალწევ, და როცა იგი ქრება, მერყეობა, გულგატეხილობა, უიმედობა მიპყრობს. დარწმუნებულიც აღარ ვარ, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე იყო. ყველაფერმა ისევ თავისი იდენტურობა შეიძინა, ყველა საგანს შეიძლება ისევ თავისი სახელი ეწოდოს. სადილი დავამთავრე, ყავა დავლიე. ახლა რა ვაკეთო? სიბრძნე გვასწავლის, იმ პატარ-პატარა წვრილმანებით გავიხაროთ, რომლითაც ცხოვრება გვაჯილდოვებს. ამ პრინციპის გამოყენებით დიდხანს ვიცხოვრე. მერე ვისწავლე წრეგადასულ სევდას აღარ ავყოლოდი, წვრილმანი თუ მსხვილმანი საგნების გარემეც იოლად გავსულიყავი, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს. მაგრამ ყოველდღიურობის ატანა ადვილი არ არის, თუმცა უსაქმოა მაინც სჯობია შრომას. ძალისხმევასა და მოწყენილობას შორის არჩევანი თუ იქნებოდა, მოწყენილობას ავირჩევდი. ის უფრო ესადაგება ჩემს სულსა და გულს. ამ სალამოს უფრო გამიძინელდა რესტორნიდან წასვლა. კონიაკი შევუკვეთე. ყველა მაგიდა დაცარიელდა, ჩემი მაგიდის გარდა და კიდევ ერთი მაგიდა იყო დაკავებული, ალბათ შეყვარებულთა წყვილი იყო, მილიონობით ამგვარი წყვილის მსგავსი.

უნდა შევგუებოდი და წავსულიყავი. ანგარიში უკვე გადავიხადე. საკიდიდან ქუდი ავიღე. დავემშვიდობე ოფიციალტს, რომელმაც, მიუხედავად მეგობრული განწყობილებისა, შვებით ამოისუნთქა, როცა დამინახა მივდიოდი. ალბათ კინოში უნდა წასვლა ან მეგობარ კაცთან ერთად ტელევიზორთან ჯდომა და ყურება. ვიქირავებ მეც ტელევიზორს, სალამოები რომ მოკლე გახდეს და ჩაძინებაშიც დამეხმაროს.

„ისე დავიღალე, ბატონო, შინ რომ მივალ, მაშინვე დავიძინებ...“ მითხრა ოფიციალტმა, თუმცა სრულიად მხნედ გამოიყურებოდა. საეჭვოა, მხოლოდ დასაძინებლად დანოლილიყო. ივონი მქვიაო, მითხრა. სალაპრაკო დრო არა მაქვს, მაგრამ არა უშავს, ხვალ, ზეგ გამონახება დროო. რესტორნიდან გამოვე-

დი, მარჯვნივ გავუხვიე, კარგად განათებულ პროსპექტზე ისევ ხალხმრავლობა იყო. თუმცა იმდენიც არა, რამდენიც ადრე. კუთხეში მარჯვნივ შევუხვიე. პატარა ქუჩაზე აღმოვჩნდი, სადაც გამვლელი იშვიათად ჩანდა. ყველა არ დაწოლილა დასაძინებლად, ბევრ ფანჯარაში სინათლე ისევ ენთო. ჩემი სახლის კართან მივედი. შევედი. მეკარე ქალის კარნივ გავიარე. მეორე სართულზე ასვლა დავიწყე თუ არა, მისი ბინის კარიც გაიღო, წამით თვითონაც გამოჩნდა. მშვიდობის ღამე ვუსურვე. არც მიპასუხა, ისე სწრაფად შეიმაღა ოთახში.

ფეხის ქირას მივცემ, საჩუქრებსაც მივართმევ უფრო ღიმილიანი სახე რომ გაუხდეს, გადავწყვიტე და ქუდი თავზე ჩამოვიფხატე. სახეები ჩემდამი უნდობლობას რომ გამოხატავენ, არ მომწონს, მით უმეტეს, მდუმარე უნდობლობას. სამსახურში ერთმანეთი მაინცადამაინც არ გვიყვარდა, ესეც პატრონის ბრალი გახლდათ, რომელიც სულ უკმაყოფილი ბრძანდებოდა, ხან ერთ თანამშრომელს აქებდა, ხან მეორეს, ქალების გამოც, რომლებიც გვტოვებდნენ, ერთიდან მეორესთან მიდიოდნენ, რის გამოც ჩვენი ცხოვრება, გამალიზიანებელ ფონზე, წვრილმან ეჭვიანობაში გადიოდა, მაგრამ ეს მაინც ცხოვრება იყო. როგორი ცხოვრება? ცხოვრება პატარ-პატარა სიურპრიზებით, უმნიშვნელო ეპიზოდებით, შერიგებებით. მესამე სართულზე ავედი, მარჯვენა მხარის ბინის კარს იქით ძაღლმა დაიყეფა. მეოთხე სართულზე ამავალი კიბის საფეხურებს ავუყევი, ჩემს ბინამდე მივედი, კარი გავაღე, შევედი და ზურგს უკან მოვიკეტე. სინათლის ჩამრთველის ლილაკს დავანექი, ავანთე და საკიდზე ქუდი ჩამოვკიდე. სასტუმრო ოთახშიც ავანთე სინათლე. ფარდები გადავნიე. ტახტზე წამოვნიექი. მერე ავდექი. სავარძელში ჩავჯექი. „შინ ვარ და კარგად ვგრძნობ თავს“. მართლა კარგად? კი, მაინც კარგია. არსებობს ქვეყნები, სადაც ყველაფერს უნდა ელოდო, მაგალითად, შეიძლება დღის ნებისმიერ მონაკვეთში პოლიცია შემოგივარდეს. მე კი ქურდებისაც არ მეშინია.

არც მდიდრულ რაიონში ვცხოვრობ და არც მდიდრულ ბინაში, მაგრამ საჭიროა რაღაც პატარა საქმე მაინც გავაკეთო. მაგალითად, უკეთ გავეცნო უბანს, შევისწავლო სახლი, იქნებ ვინმესთან გავაბა ურთიერთობა? ამაში მაინცადამაინც დარწმუნებული არა ვარ. ადამიანებმა შეიძლება თქვენი ჩვეულებები დაარღვიონ, თანაც, აბა რაზე უნდა ველაპარაკო? ისეთი არაფერი ვიცი, რაც მათთვის საინტერესო იქნება. რასაც სხვები ამბობენ, მე საერთოდ არ მაინტერესებს. სხვა ადამიანებთან ყოფნა მუდამ მიჭირდა, ჩემსა და მათ შორის ყოველთვის უჩინარი ტიხარი იყო აღმართული, მაგრამ ყოველთვის არა. ბოლოს და ბოლოს, ხუთი-ექვსი ნაცნობი სახე საკმარისია. ჩემი ახალი ცხოვრება უახლოეს დღეებში მოწესრიგდება. აზრად მომივიდა ცოტა კონიაკი კიდევ დამელია, მაგრამ გამახსენდა, რაც ხვალ დილით მელოდა; მექნება ალბათ გულისრევა, გამომშრალი ხახა. ვნახოთ, როგორ აენცობა საქმე, ვუთხარი საკუთარ თავს. ღმერთმა იცოდეს, მაგრამ მაინც საინტერესოა. ცხოვრება საოცრებაა, შეიძლება უამრავი მოულოდნელი რამ მოხდეს. დიდი არა, პატარ-პატარა. დიდი თავგადასავლები არ მიყვარს, არასასიამოვნოა, დამლელია და საბოლოო ჯამში, სევდის გარდა, არაფერს იძლევა.

როცა კვარტალს და ჩემი ბინის ყველა მოფარებულ კუთხე-კუნჭულს უკეთ გავეცნობი, მხოლოდ მაშინ შევძლებ შევამჩნიო პატარ-პატარა ცვლილებები, სინათლის პატარ-პატარა მეტამორფოზები. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცი რა ჩემს ავეჯს, რამდენი ყვავილია მათზე და რა ფერისაა. ავდექი და იქით წავედი, სადაც ჩემი ოციოდე წიგნი აწყვია. ყველა ნაკითხული მაქვს. ზოგიერთი დიდი ხანია ხელში აღარ ამიღია, მაგრამ ხშირად პირველივე გვერდიდან მახსენდება ყველაფერი, რაც შემდეგ ხდება. დროდადრო მათი გადაკითხვა მაინც ძალიან მიყვარდა. აღმოაჩენ, რომ მეხსიერებამ ბევრი რამ არ შემოინახა. ესა თუ ის მოვლენა ან ესა თუ ის სცენა. საბოლოოდ

მაინც ვერ გადავწყვიტე, რომელი წიგნი ამელო. სასტუმრო ოთახში სინათლე ჩავაქრე, დერეფანში გავედი, სადაც სინათლე უკვე ენთო, საწოლი ოთახისკენ გავემართე, კარი გავაღე, ლამპა ავანთე, დერეფანში გამოვრთე და გახდა დავინწყე.

„ცხოვრებაში პირველად ვიძინებ ამ ოთახში და ამ დიდ საწოლში“. გადავწყვიტე ეს პირველი შეხების მომენტი დამემახსოვრებინა. ახალი ერა ხომ არ იწყება? მალეძარა უკვე საჭირო აღარ არის, ვთქვი ჩემთვის. იმათ, კანტორაში, ალბათ მაინც შურთ ჩემი. სინათლე ჩავაქრე. ძილში გაქცევა მიყვარს. ხშირად ვფიქრობ ამ წინადადებაზე, რომლის აზრიც კარგად არ მესმის: რისგან გაქცევა? მე ხომ მუდამ მე ვარ, თუნდაც მძინარე. მხოლოდ ის მესიზმრება, რაც ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება. ნეიტრალური, ნაცრისფერი სიზმრები, როგორც მგონია, ვერ გამოხატავენ ვერც სურვილებს და ვერც შიშებს. როგორც ჩანს, ჩემი სურვილები ძალიან ღრმად არის ჩაფლული. სხვათა დახმარებით მათში გარკვევა შეიძლება. ძალიან მაინტერესებს, რა და როგორ ხდება. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ ვნახე ცისფერი სიზმარი. იმ სიზმრებს დილით რომ აღარ გახსოვთ, ხელმოსაჭიდი არაფერია, განვდილი ხელი მხოლოდ წარმავალ ლანდებს ეპოტინება, დღის სინათლეზე რომ ქრება. და ჩვენი ცხოვრებაც ნაფლეთებად აქეთ-იქით მიცოცავს. რომ არ ენამო, უნდა შეურიგდე. განუწყვეტლივ ვუჩიჩინებ საკუთარ თავს, რომ ბედთან შერიგებაა საჭირო... უფრო ხშირად ნაწილობრივი დათმობა ასე თუ ისე გამომდის. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი, ღრმა შეგუება. დროდადრო მრისხანება იფეთქებს ხოლმე. ჯერ რაღაც ბუნდოვანი უკმაყოფილება ჩნდება, რომელიც ჩემში იზრდება, მიპყრობს და მახრჩობს. არა, არასოდეს დავმშვიდდები, ვერასოდეს დავივინწყებ, ვერასოდეს გადავიხედავ ამ კედლის იქით, რომელიც ცამდე აღმართულა. როგორ შევურიგდე უცოდინარობას, რომელშიც ჩაძირულები ვართ,

მიუხედავად მეცნიერებისა, მიუხედავად თეოლოგიისა, მიუხედავად სიბრძნისა? დაბადებიდანვე ვერაფერი გავიგე და ვიცი, ვერც ვერაფერს გავიგებ. ეს წარმოსახვის მიჯნები გახლავთ, რომელთა გადალახვაც მსურს. წარმოსახვითი კედლების აფეთქებაც მინდა. ისინი არასოდეს დაიქცევიან და ისეთივე უცოდინარი მოკვდები, როგორიც დავიბადე. ამ მიუწვდომელს როგორ ვერ უნდა მივწვდე. არადა, ამ კედლებს შიგნით რა ადვილად შეუძლიათ იცხოვრონ ყველა ამ ტექნიკოსმა, პოლიტიკოსმა, სწავლულმა, გლეხმა, ხელოსანმა, ლარიბმა და მდიდარმა. სიამაყე აქ არაფერ შუაშია. არ მინდა სხვებზე მეტი ვიცოდე, მინდა ვიცოდე, რაც ყველამ იცის. „ეს წარმოუდგენელია. ასე რომ, ნუ წარმოვიდგენთ წარმოუდგენელს“, — ნერს ერთი ფილოსოფოსი, რომლის წიგნის, ამ რამდენიმე ხნის წინ, წიგნის მალაზიაში ფეხზე მდგარმა, დაუჭრელ ორ გვერდს შორის მოვახერხე და ამოვიკითხე. სამყარომ პირველად რომ გამაკვირვა, აქამდე გონს ვერ მოვსულვარ, იმ გაკვირვებისა და კითხვების გამო, რომლებზე პასუხიც შეუძლებელია. გვეუბნებიან, ამ გაკვირვებისგან უნდა გავთავისუფლდეთ და უფრო შორს წავიდეთო. მაგრამ მაშინ რომელ საფუძველზე ავაგოთ ჩვენი ცოდნა და მორალი? რაც უნდა იყოს, ეს საფუძველი უცოდინარობა არ შეიძლება იყოს, ჩვენ კი მხოლოდ უცოდინარობა გვაქვს საფუძვლის მაგივრად, ამოსავალი ნერტილის მაგივრად – სიცარიელე. როგორ უნდა აშენდეს რაღაც არაფერზე? რაღაც პრაქტიკული გამოცდილება კი გვაქვს. ვიცი, რომ შემოიძლია სივრცეში გადავადგილდე. ვიცი, რომ შემოიძლია რესტორანში წავიდე. ვიცი, რომ ამისთვის არსებობენ რესტორნები. ვიცი, რომ ყველანაირი მანქანა-იარაღი არსებობს, ვიცი, რომ არსებობს ტექნიკა. მაინც ძალზე უცნაურად მეჩვენება, რომ არსებობს ტექნიკა, რომელიც, უდავოდ, არაფერზე დგას. ეს კიდევ ერთი დონეა ჩემი გაოცებისა. ამის უფლებას ვინ გვაძლევს, ან რატომ მოგვე-

ცა ამისი უფლება, როგორ ხდება ეს? და კიდევ და კიდევ, ერთხელ და სამუდამოდ, შეზღუდული ცოდნა, ცოდნა არ არის. მთელი სამყარო და ყველა სულიერი მართულია მცირე სიმძლავრის ინსტინქტებით, რეფლექსებით, რომლებიც ჩვენშია ჩადებული. ვილაც სხვა გვმართავს, თვითონ ჩვენს თავს ვერ ვმართავთ. მე მგონია, რომ ჩემთვის ვჭამ. არადა, თურმე თვითგადარჩენის მიზნით ინსტინქტურად ვჭამ. ასე მგონია, მიყვარს და სასიყვარულო თამაშს საკუთარი თავის სიამოვნებისთვის ვნებდები, არადა, სინამდვილეში, თურმე, ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად ვემორჩილები კანონებს, რომლებიც ჩემზე მბრძანებლობენ. „კანონები“ — სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია იმ საგნების, იმ პრინციპების აღსანიშნავად, რომლებიც მმართავენ. სოციალურ ჩარჩოში ვართ ჩაკეტილი, ეს კიდევ არაფერია, ბიოლოგიურშიც, უფრო მეტიც — კოსმიურში. და ყველა ის სიტყვა, რომლებიც ახლა წარმოვთქვი, ჩემშია ჩაჭედილი და იმაზე ადრე გაიჟღერა, ვიდრე ვიტყოდი. მაგრამ ლაპარაკისა და ფიქრის ასეთი საშუალება, მე ასე ვამბობ, რეალურობას არ მოიცავს, რადგან კარგად არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვები, და კარგად არც ის ვიცი, რა არის რეალობა. საერთოდ წარმოდგენა არა მაქვს ამაზე, არც ის ვიცი, რეალობა რამეს გამოხატავს თუ არა და არც ის, ამის თქმა საერთოდ ღირდა თუ არა.

ვცდილობ კვლავ ვიპოვო იგივე გამოსავალი: შევწყვიტო ფიქრი, ცხადია, თუ ამას ჰქვია ფიქრი, და თუ ფიქრი, მართლაც ფიქრია.

ჩვენ ვითმენთ. მე ვითმენ. მოთმენით ვკმაყოფილდები. ეს უკვე მორჩილებაა. და ყოველთვის, როცა ჩემში ერთი ბენო მორჩილება ჩნდება, შვებას ვგრძნობ. რაღაც სიმშვიდეს, მოსვენებას. ვიძინებ. ასაღელვებელი არაფერია.

მერე, უცებ, როგორც ყოველთვის მოულოდნელად, გულზე ის აზრი შემომახტება, რომ მალე მოვკვდები. სიკვდილის არ უნდა მშინებოდა, რადგან არ

ვიცი, რა არის, თანაც განა მე არ ვთქვი, რომ საკუთარი თავი ნებაზე უნდა მივუშვა? ამაოა. სანოლიდან წამოვხტი, საშინელ შიშს ვგრძნობ, სინათლეს ვანთებ, ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში დავრბივარ, სასტუმრო ოთახში შევრბივარ, იქაც სინათლეს ვანთებ, არც წოლა შემიძლია, არც ჯდომა, არც ერთ ადგილზე გაუნძრევლად დგომა. და აი, ვმოძრაობ, ვმოძრაობ, მთელ ბინაში დავდივარ, ყველგან სინათლეს ვანთებ და დავრბივარ, დავრბივარ. მილიარდობით ადამიანი იმავე შფოთით იტანჯება. ყველაფერთან ერთად, დამატებით ამითაც რატომ გვსჯიან? ვერავითარი სიტყვებით, ვერავითარი მსჯელობით ამას ვერ ახსნი. შიშისგან ვიოფლები. როგორც ბევრი სხვა, როგორც ბევრი სხვა. დედამინაზე მცხოვრები მილიარდებიდან ყოველი ადამიანი ასეთი შიშით ცხოვრობს და ყოველი მათგანი ფიქრში თვითონაც კვდება და მილიარდობით სხვაც. რატომ? როგორ? ალბათ იმის ბრალია, რომ საცხოვრებელი შევიცვალე, კანტორის სამუშაოებითაც დაკავებული აღარ ვარ, და აი, უცბად, ეს მოულოდნელი შიშიც თავს დამატყდა, რომელიც კარგა ხანია არ მწვევია. ცხოვრება შევიცვალე, ახალი ცხოვრება დავიწყე და უწინდელი შიში და სევდა დამიბრუნდა, რომელიც იმ ჩვეულ, გულის გამანყალბებელ ცხოვრებაში უნდა გამქრალიყო. სევდა დამიბრუნდა, მთლად ნორჩი, ისეთივე, როგორიც პირველი გაოცებისა და პირველი სევდის პირველ დღეს. ადამიანი არაფერია. იმავე დროს, ყოველი მათგანი, მთელი სამყაროა. „დანეკი და შეწყვიტე, მეტი აღარ იფიქრო, მეტი აღარ იფიქრო“. მერე, ბოლოს და ბოლოს, დაღლილობაც მიპყრობს. კეთილი, უწყინარი დაღლილობა, თითქოს ხელი ჩაიქნიაო, განთიადის პირველ სხივებთან ერთად მენვია, ბოლოს, შევძელი და სანოლთან მივედი, დავნეკი, საბანი დავიფარე, ჩავყვინთე და დავიძინე.

ყოველი განთიადი დასაწყისია ან განახლებაა. ეს მკვდრეთით აღდგომაა. სიკვდილი გარბის და დღის სინათლეს

ემალეზა. დილაც იგივე აღორძინებაა, და არა მხოლოდ უბრალო სიმბოლო. ამას თქვენი ფსიქოლოგიაც გრძნობს და თქვენი ფსიქიკაც. ეს ჩანს და ისმის კიდეც. როცა პატარა ვიყავი უკვე მანამებდა შიში, როცა სამუშაოს შემდეგ, საღამოს, დედასთან ორი თუ სამი კარის მეზობელი სასაუბროდ შემოდოდა, იმ ოთახში ისხდნენ, რომლის გვერდითაც ის ოთახი იყო, სადაც ჩემი სანოლი იდგა. დედაჩემი ოთახის კარს ღიად ტოვებდა. ეტყობა, უკვე მაშინ მეშინოდა სიბნელისა და სიჩუმისა, რადგან ძალიან მიხაროდა, როცა სულ ახლოს უფროსების საუბრის დამამშვიდებელი ბუტბუტი მესმოდა. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა დიდხანს გამეგრძელებინა ნახევრად მძინარე მდგომარეობა, მერე მშვიდად ვიძინებდი სიბნელეში ამ კონცერტის აკომპანიმენტის თანხლებით. ახლაც მიყვარს თვლენა, ვიდრე საბოლოოდ გავიღვიძებდე, მიყვარს დილის ხმაურის მოსმენა, ზედა სართულის მეზობლების ფეხის ხმა, ფანჯრისა თუ კარის გაღების ხმაური, ყავის სუნი, რადიოს ლაპარაკი. ყველაზე მეტად კი მეტროს მატარებლის პირველი ჩაგრილება მომწონს ან, როგორც დღეს, პირველი ავტობუსის თუხთუხის ხმა. მეტროს გრიალი, რომელსაც ამ გარეუბანში ვეღარ გავიგებ, ეს მინისქვეშა გრუხუნის, კედლებს მსუბუქად რომ აზანზარებდა, ეს მიყრუებული ხმაური მამშვიდებდა და მაგრად ვიძინებდი. მერე კი, საუბედუროდ, მალევიძარას მოულოდნელი გამკივანი ხმა ერთვებოდა საქმეში, მაგრამ აქ მალევიძარა აღარ იქნება. თუ მალევიძარას ხმაურს არ ჩავთვლით, სხვა ხმაური ხელს არ მიშლის. ჩაქურჩის, მეშახტეთა სანგრევი ჩაქურჩის, ავტომანქანების, ხერხის, დაზგების ხმაურს მივეჩვიე, უფრო სწორად, არ ვცდილობ მათ ყური ავარიდო, ან გავზრახდე და წინააღმდეგობა გავუწიო. ამ ხმაურს ყურადღებით ვუსმენ. ასე იქმნება თავისებური ბგერითი პეიზაჟი, მოსასმენად ძალზე საინტერესო, არანაკლები კონკრეტულ მუსიკაზე.

კარზე ზარის ხმამ გამაღვიძა. თერთმეტი საათია. ჟანა მოვიდა, მოსამსახურე. დაგვიანებისთვის ბოდში მოიხადა, რადგან ათ საათზე უნდა მოსულიყო, მაგრამ ბევრი საქმე დაგროვებოდა და ქმარიც ავად გახდომოდა. სინდისის ქენჯნას არც შეუნუხებია, როცა შეამჩნია, რომ ის-ის იყო გამეღვიძა და მისმა დაგვიანებამ საშუალება მომცა ერთი საათით მეტი მძინებოდა. ვთხოვე, დალაგება სასტუმრო ოთახიდან დაეწყო, მე კი სააბაზანოში წავედი. ეს სააბაზანო არც ისეთი ნათელი ოთახია, შიდა ეზოს გადაჰყურებს, მაგრამ არც მთლად ბნელა. სინათლის ანთება მაინც საჭიროა. რა ტვირთია ეს ყოველდღიური ტუალეტი. მუდამ ვცდილობ რაც შეიძლება გავაჭიანურო ამ საქმიანობის დაწყება. კვირაობით, როცა კანტორაში წასასვლელი არ ვიყავი, არცთუ იშვიათად შუადღის ორი საათისთვის მომინესრიგებია თავი, როცა რესტორანში წასვლის დრო დგებოდა, ისიც, არ ვიპარსავდი, ისე მივდიოდი. მაგრამ კვირის სხვა დღეებში იძულებული ვიყავი ეს საქმე ცოტა სწრაფად მეკეთებინა. ახლა ყოველი დღე კვირა მექნება. შემემინდა, თავს ავიშვებდი. ეს სახიფათო იყო. სიზარმაცე, დილაობით ნებისყოფის ავადმყოფური სისუსტე, სასწრაფო კვეთილებაში მაგდებდა. ახლა ეს გამიმწარებს სიცოცხლეს. გადავწყვიტე, ჟანასთვის უფრო ადრე მეთხოვა მოსვლა: რვა საათზე, არა, ცხრაზე ჯობია, მაშინ ადრე მომიწევდა პირის დაბანა და ჩაცმა, საკმაოდ სწრაფად მოვემზადე. მხიარულადაც კი. ისიც კი ვიფიქრე, გავალ, გავივლი-მეთქი, ქურჩას ვნახავ, ადამიანებს, მთელ ჩემს ახალ საცხოვრებელ კვარტალს. უკვე წარმოვიდგინე კიდეც დღის სინათლეზე ახმაურებული ქურჩები. გარდა ამისა, ერთ დღეს პენსიონერთა პატარა ქურჩაზეც ხომ უნდა გამესეირნა. სახლიდან გამოსვლა. ინტერესისა და გულგრილობის შერეული გრძნობით ადამიანების ყურება. მშვენიერია. მიზეზი მაქვს ბედნიერი ვიყო. უნდა ვისარგებლო იმით, რომ საკუთარი თვალთ ამდენი რამის ნახვა შეიძლება

და ამდენი რამის გაგება საკუთარი ყურით. ამ ყველაფერს უნდა შეუერთდე და, ამავე დროს, ყოველივე ამის გარეთ დარჩე. მაყურებელი სცენაზე აქტიურებს შორის. ყველაფერი შეიძლება მომხიბლავი აღმოჩნდეს, საინტერესო, თავშესაქცევი, ტრაგიკული, არაჩვეულებრივი, იდუმალი: თვალი გააყოლო ძალღს, რომელიც, კაცმა არ იცის, რომელი მიზნისკენ მიიჩქარის. პიროვნებებს, რომლებიც, კაცმა არ იცის, რომელი მიზნისკენ მიიჩქარიან. უყურო ადამიანებს, რომლებიც იყურებიან. ყველაფერი ეს სპექტაკლია, ჩაფიქრებული... ვის მიერ? ვაღიაროთ: ღმერთის მიერ. ისიც ვთქვათ, რომ მე მისი მჯერა. ქმნალობა მართლაც სპექტაკლია, თუმცა მე ვერ ვიგებ ამ სპექტაკლის ნამდვილ მიზანს და დაბოლოებას. ყოველ შემთხვევაში, დიდებული სანახაობაა. ამას კაცი ვერ უარყოფს. შეიძლება მან სამყაროს დამოუკიდებლად შექმნის საშუალება მისცა. იქნებ ზოგჯერ ვცდები კიდეც. იქნებ მართალი არ არის, რომ ის განსაზღვრავს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ. ო, დიახ, საკმარისია ავნიოთ მსუბუქი ფარდა, სამყაროს რომ იფარავს ყოველდღიურობისგან და უხამსობისგან, რომელიც უფრო ჩვენშია, ვიდრე გარეთ და აღმოჩნდება, უხამსი არაფერია, და თუ ყურადღებით დავაკვირდებით — ყველგან დრამა კომედიასთან არის შერეული. სისულელეს ვამბობ, ეს სხვა რამეა, სულ სხვა. სპექტაკლი, რომელსაც ადამიანები თამაშობენ, მათივე თეატრია და მხოლოდ საცოდავი სუროგატია დიდი თეატრისა.

საუზმობის დრო უკვე დიდი ხნის გადასული იყო. არაფერია. კაფეში წავალ აპერიტივის დასალევად. შუადღეც შორს აღარ არის და შემოძლია კაფეში დავრჩე, გარეთ მაგიდასთან დავჯდები, ქუჩაში ისე არ ეციება, ან შიგნით, გაზეთს წავიკითხავ. გასაღები ჟანას დავუტოვე, ვუთხარი, მერე ჭილის ფეხსანმენდის ქვეშ ამოედო. მომეჩვენა, ოდნავ იმედგაცრუებული დარჩა, ასე სწრაფად რომ მივდიოდი. ლაპარაკი უნდოდა. წინა დღეს უკვე შევამჩნიე, მიდრეკილება

ჰქონდა თავის ცხოვრებაზე ელაპარაკა. ჩემს ცხოვრებაზე მისთვის არაფერი მითქვამს. იმას კი ალბათ უნდოდა მომეყოლა. მაგრამ ეს საიდუმლოა, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს ვუმხელ. რატომ საიდუმლო? ვკითხე საკუთარ თავს. ეს არც საიდუმლოა, არც არასაიდუმლო. ყბედობა თავს მამბებრებს, მორჩა და გათავდა. და გამოვედი. სტვენა-სტვენით მსუბუქად ჩავიარე ორნახევარი სართული. მერე გავჩერდი. მეკარე ქალთან სიფრთხილეა საჭირო. მეტი ღირსება და სიღარბაისლე. კიბის საფეხურები მშვიდად ჩავიარე, თითქმის ზეიმურადაც. მეკარე ქალს არ დაუყოვნებია და ფარდა გასწია, კარიც გამოალო, მკაცრადაც შემომხედა. გავიფიქრე, ამას იქით ვეცდები თითის წვერებზე გავიარო-მეთქი. მორცხვად მივესალმე, რამაც საკუთარ თავზე გამაბრაზა, ის ხომ მე მემსახურებოდა, და მე ცუდს არაფერს ვაკეთებდი. დახე, ამჯერად შემწყნარებლური მსუბუქი ღიმილი გამოესახა სახეზე. შეიძლება არც იყო ღიმილი. ყოველ შემთხვევაში, წარბები არ შეუჭმუნხნია. უკვე მბებრდებოდა იმაზე ფიქრი, რომ ყოველდღე მისი კარის წინ უნდა გამეცლო, პირისპირ უნდა შევხვედროდი მის უტყვე კრიტიკას, დამენახა ის ზიზლი ჩემდამი რომ გამოხატავდა. ეტყობა, რალაცების გამოგონება დავინწყე. გამოვედი, მარცხნივ შევუხვიე, პატარა სოფლურ ქუჩაზე, გვერდი ავუარე ვილაც მოხუცს, მერე ისევ მარცხნივ შევუხვიე, რამდენიმე ნაბიჯი გავიარე პროსპექტის ტროტუარზე. გზა გადავჭერი. ავტობუსის გაჩერებამდე მივედი, რომლის უკანაც მერია იყო და მისი მთავარი შესასვლელი, კიდეც რამდენიმე მეტრით ნავინიე, მარჯვნივ შევუხვიე, მერიის გვერდითი ფასადის წინ აღმოვჩნდი, სადაც მოსამსახურე პერსონალისთვის პატარა კარი იყო, კარს ზურგი ვაქციე, ქუჩის მეორე მხარეს გადავედი, სადაც კაფე მდებარეობდა. იქვე იყო საგაზეთო ჯიხურიც. ვიყიდე გაზეთი. გადახურულ ტერასაზე, შემინული კედლის გასწვრივ, პატარა მაგიდას მივუჯექი. კამპარი შევუკვეთე, დავლიე,

მერე მეორე ჭიქა, მერე მესამე, მერე მეშვიდე. თავი ძლივს შევიკავე, კიდეც არ შემეკვეთა. შეიძლება ოფიციალტი ბიჭის გამოც, ჩქარ-ჩქარა რომ ვანვალეზი და უკვე დამცინავად მიყურებდა, რაც მთავარია, გაბრაზებით. იქნებ ვცდებოდი კიდეც. ბოლოს და ბოლოს, შვიდი ჭიქა კამპარიც მიყოფა. ბედნიერების მსუბუქი გრძნობა, ამ დილას რომ ვიგრძენი, (მართალია, შეფერხებით, ჯერ ჟანას წყალობით, რომელმაც თავისი ლაყბობით თავი მომაბეზრა, რამდენიმე წუთის შიშის გამოც, რადგან ვერ შევძელი და ვერ ავირიდე მეკარე ქალის გამოხედვა), გრძნობა გამიძლიერდა, მიაყურა მთელი შიში, და მისგან სულიერი სიმშვიდე დაიბადა. სიცხის სურვილი მომეძალა, ცოტა სულელურია ალბათ. ცოტა სულელური. მერე რა? სწრაფად გადავავლე თვალი წერილებს შიდა და გარე პოლიტიკაზე, კიდეც ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქვეყნის შიგნით ადამიანებს ერთმანეთთან მორიგება არ შეუძლიათ, რომ გლეხებში უკმაყოფილება იზრდება, მუშებს შორისაც, ასევე პასუხისმგებელ მუშაკებში, შინამრეწველებში და კომერსანტებშიც. იგრძნობოდა, არც პოლიცია იყო კმაყოფილი და იმუქრებოდნენ სამინისტროებს დავიკავებთო. ინტელექტუალები მრისხანებენ. სტუდენტებიც, რადგან მუშაობა არ უნდათ ან იმიტომ, რომ სამუშაო არ აქვთ, ან მომავალში როცა სწავლას დაამთავრებენ, არ ექნებათ: ძნელი, მოსაწყენი, ურგები, ან იმდენად საინტერესო და კაცობრიობის პროგრესისთვის აუცილებელი სამუშაო, რაშიც უფრო მეტს გადაუხადიან. თუ არადა, მათთვის შესაფერ მდგომარეობას ვერ დაიკავებენ ამ საზოგადოებაში, რომელიც მაინც არაფრად ვარგა. ამ საკითხზე მეც იგივე აზრი მქონდა, ოღონდ მიზეზები სხვა იყო; საზოგადოება არ შეიძლება შეიქმნას არანაირ მორალზე, არანაირ რელიგიაზე; თვით ადამიანის არსებობის პირობები, სოციალური თუ ექსტრასოციალური გაგებით, მიუღებელია. იდეურ წერილებს ბოლომდე არასოდეს ვკითხულობ. წამით გაზეთს თვალი მოვაშორე, გამვლელებს

გავხედე, არც დიდხანს მიყურებია მათვის, რადგან უცბად თავში გამიელვა, მართალი არ არის-მეთქი, რომ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული და ვილაც გვმართავს. თუ გვმართავენ, მაშინ ვინ არის ის, ან ვინ არიან ისინი? ვინ არის ეს მე? არსებობს კი ის? დიას, არსებობს. მაგრამ ის მართლა არსებობს? ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვწამს სულის, რომელიც სამყაროშია მიტოვებული და იტანს ამ სამყაროში ცხოვრებას. შეიძლება მხოლოდ კვანძები ვართ, ენერგიების, ძალების, სხვადასხვა და საპირისპირო ტენდენციების ეფემერული გადაჯვარედინება, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი გახსნის. მაგრამ ეს ძალები, ეს ენერგიული მოვლენები ჩვენ თვითონ ვართ, ჩვენ გაკეთებული ვართ, ჩვენ პროდუქტი ვართ, მართულები ვართ, მაგრამ ჩვენ ჩვენს თავსაც ვქმნით და ჩვენ ჩვენს თავსაც ვმართავთ. აჰ, ფილოსოფიური აზროვნების ნიჭი რომ მქონდეს! დედაარსს ჩავწვდებოდი. ყოველივე ამის დედაარსს, თვითონ უკეთესად გავარკვევდი ყველაფერს, ამასთანავე შევძლებდი სხვებისთვისაც ამეხსნა. ერთმანეთს აზრებს გავუზიარებდით. კიდეც შემეძლო მათემატიკოსი ვყოფილიყავი. ერთმა მათემატიკოსმა, სტუდენტმა, ლიუსიენის ბიძამვილმა, მითხრა, მათემატიკას ღმერთის არსებობის დამტკიცება შეუძლიაო. მეორემ კი — მათემატიკა და ფიზიკა პოსტულატებზე, აქსიომებზეა დაფუძნებული, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ დაფუძნებულია ცარიელ ადგილზეო. ოღონდ, ყველაფერი, რასაც ვხედავ, უკვე გაკეთებულია. შეიძლება ნებისმიერი პოსტულატიდან, ნებისმიერი აქსიომიდან ამოვიდეთ და მათ საფუძველზე რაღაც აღვმართოთ. რეალობა არ არსებობს. არ არსებობს ყალბი, არ არსებობს ნამდვილი, და მაინც ყველაფერი სათანადო რიგით მიდის, ყველაფერი შემონმებულია და ყველაფერი შენდება. უფლის წყალობით, თავისუფლებაც გვაქვს, რომელიც არის სურვილი, რომელიც არის ნება, მისივე

წყალობით შეგვიძლია გავაკეთოთ განმარტებები, გვქონდეს ჰიპოთეზები, ერთმანეთს რომ ეწინააღმდეგება ან არ ეწინააღმდეგება, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, სრულიად გამოსადეგია იმისთვის, მათ რაღაც მოვუხერხოთ. ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, იმ დროს, როცა კანტორის მახლობელ რესტორანში ვსადილობდი, ორი სტუდენტის ლაპარაკი შემომესმა; ისინი კამათობდნენ, ერთი ამტკიცებდა, ნაცისტებს რომ გაემარჯვათ, მათი რასისტული თეორიები, მათი ბიოლოგია, მათი ეკონომიკური თეორიები ცდებით იქნებოდა დამტკიცებული და ამ თეორიების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ისეთივე სოლიდური მსოფლმხედველობის აგება, როგორც მარქსიზმია თავისი ბიოლოგიური და ეკონომიკური მიდგომებით. სხვადასხვა და წინააღმდეგობრივი მათემატიკური, ყველანაირი ტიპის გეომეტრიული თეორიები ხელს არ უშლის, პირიქით, ეხმარება არქიტექტურას. საფუძველი და ამოსავალი წერტილი ჩვენი ზრახვებია, ჩვენი ჰიპოთეზა, ჰიპოთეზა კი მხოლოდ ჩვენი კეთილი სურვილია ან სხვადასხვა პიროვნებების, ჯგუფების ან სხვადასხვა რასების ნების გამოხატვა. ყველაფერი ცდებით არის შემოწმებული. რაც უნდათ იმას აკეთებენ. „ისინი“, მე არა. მე აქ არაფერ შუაში ვარ.

მეშიდე ჭიქა აპერიტივის შემდეგ უკვე ვფიქრობდი, რომ არ არსებობს არც რეალური, არც არარეალური, არც სიმართლე და არც სიცრუე. ყოველგვარი ფილოსოფია, ყოველგვარი თეოლოგია, კარგია ან ცუდი, და დამოკიდებულია იმაზე, მოგვწონს, თუ არ მოგვწონს. ჩემთვის ეს სასაცილოა. ისევ გამვლელს გახვდეთ. ყველა ერთმანეთისგან განსხვავდება. და ყველა ერთნაირია. არსებობს მხოლოდ ცდები. მხოლოდ ცდები. სხვა არაფერი. რას ნიშნავს ეს? ახირება იფილოსოფოსო ისე, არ იცოდეთ ფილოსოფია, თანაც მეშიდე ჭიქა აპერიტივის შემდეგ. ისევ გაზეთს მივუბრუნდი, არასოდეს ვკითხულობ სპორტულ გვერდს. ეს გუნდები ერთმანეთს რომ

ერკინებიან, იმის მშვენიერი ილუსტრაციაა, რომ ბურთი აქ არაფერ შუაშია და როცა უფრო დიდი გუნდები, ხალხები ერთმანეთს დაერევიან ან სოციალური კლასები აჩაღებენ ომს, ამას ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზეზებით როდი სჩადიან, ან სამართლიანობისა და თავისუფლების გამო, არამედ უბრალოდ ნაიჩხუბნენ, რადგან ერთმანეთთან ომის მოთხოვნილება აქვთ. მაგრამ მე პოლემისტი არა ვარ. თანაც არ მაინტერესებს იომებენ თუ არ იომებენ, აგრესიული არა ვარ ან თითქმის არა ვარ, ამით განვსხვავდები სხვებისგან. სიამოვნებით ვკითხულობ რეპორტაჟებს დანაშაულებებზე. არ მიყვარს დამნაშავეები. არც მსხვერპლნი მეცოდებიან ან თითქმის არ მეცოდებიან... რატომ მიყვარს ასეთ საკითხებზე კითხვა? იმიტომ, რომ ასეთ რამეებს ყოველდღიური მონოტონური ცხოვრებიდან გამოვყავარ. ეს მართლაც მიმზიდველია. ბოლომდე არასოდეს ნამიკითხავს წერილები საშინაო თუ საერთაშორისო თემებზე. იმის თქმა მინდა, რომ კომენტარები არ მაინტერესებს. თვითონვე ვარ მოვლენათა კომენტატორი. ვიცი, უნდათ და არც უნდათ, ერთდროულად, დაიწყოს ომი; ვიცი, ადამიანები სხვა ადამიანების იარაღია; ვფიქრობ, ზოგჯერ მათ უნდათ ერთმანეთი უყვარდეთ, მაგრამ დროის დიდ მონაკვეთში ერთმანეთი სძულთ, მიუხედავად იმისა, უნდათ თუ არ უნდათ. ისინი მოწყენილები არიან, ისე თავადაც ვერ ხვდებიან. შეიძლება არც არიან მოწყენილები. თვითონ მე მოწყენილი ხშირად ვარ. მოწყენილობისგან თავბრუ მეხვევა და მისი მეშინია. ამ ცოტა ხნის წინ დეპრესია მქონდა, შეიძლება ეს მოდის გაუაზრებელი ხარკია, მოწყენილობით გამოწვეული ანდა იქნებ თვითონ ესაა მოწყენილობა. როცა სევდაზე წერ, ეს ნიშნავს, რომ მოწყენილი არა ხარ. მოწყენილობა ადამბლავებს ადამიანს, ან დამანგრეველი ქმედებებისკენ გიბიძგებთ, ან იმ მდგომარეობამდე მიჰყავხართ, რომელიც სიკვდილთან ახლოა. აუტანელი იყო. ვერავინ მიშველა. ვერაფრით დავინტერ-

ესდი. როცა ვთქვი „აუტანელი-მეთქი“, მივხვდი, ეს სიტყვა ჭეშმარიტებისგან საკმაოდ შორს იდგა. მომაკვდინებელი იყო, დიახ. თითქოს ჰაერში უჰაეროდ ვიხრჩობოდი. არც ერთი ფანჯრის გამოღება არ შემეძლო, არც ქუჩაში გამავალის, არც სამყაროში, არც არაფერში. ასფიქსია<sup>11</sup>. კიდევ როგორ ვთქვა... კვირებისა და თვეების განმავლობაში ყოველგვარი მოძრაობა ჩემგან დიდ ძალისხმევას საჭიროებდა, ისეთივე ტანჯვას მაყენებდა, როგორსაც უმოძრაობა. გაუსაძლისია, დიახ, ასეა. სრულიად აუტანელი. საჭმელს გემო არ ჰქონდა. სიკვდილია, რომელიც სიკვდილი არ იყო; სიცოცხლეა, რომელიც სიცოცხლე არ იყო. მარტო ვიყავი უსაზღვრო სივრცეში, ან პირიქით, ძალიან მაღალი კედლებით შემოსაზღვრულ საკანში, სადღაც ზევით სუსტი სინათლე იყო, ისეთი სუსტი, წიგნის კითხვა რომ შეუძლებელია. რა მესაქმებოდა ადამიანები რას ამბობდნენ? მათი სიტყვები გულგრილი, მეგობრული თუ უსიამოვნო ჩემამდე ვერ აღწევდა ან თავიდან ვიშორებდი, თავს ვიძვრენდი. როცა ვხედავდი, ქუჩაში ხალხი ერთიმეორის მიყოლებით როგორ დადიოდა, გული მერეოდა. როცა ვხედავდი, ორი თუ სამი კაცი როგორ იდგა და კამათობდა, შიში მეუფლებოდა და თუ ადამიანები, ფორმითა თუ უფორმოდ, მწყობრად მიდიოდნენ, ბრბო მშვიდი იყო თუ ახმაურებული, ანდა არმია, გონებას ვკარგავდი. მხარდამხარ? ღმერთმა დამიფაროს, ოღონდ ეს არა.

მაგრამ მარტოობასაც ვერ ვიტანდი. მთელი დღეები, მთელი დღეები და მთელი დღეები დავბორიალებდი, კარიდან ფანჯრამდე, ფანჯრიდან კარამდე, და ვერ ვჩერდებოდი. ეს არ იყო სევდა, ეს მოწყენილობა იყო, განსაკუთრებული მოწყენილობა, მოწყენილობის ფიზიკური შეგრძნება, არც განძრევა, არც ჯდომა, არც დგომა. უწყვეტი ტკივილი, სულის განგრენა. ოღონდაც ისევ არ დაიწყოს. წამები უსაზღვროდ დიდხანს

<sup>11</sup> ჟანგბადის ნაკლებობის გამო სულის ხუთვა.

გრძელდებოდა. ძილი იყო თავშესაფარი. სამწუხაროდ, მთელი დღე ძილი არ შემეძლო! როცა მეძინა მესიზმრებოდა, რომ მოწყენილი ვიყავი. თავის დროზე ეს ჩემს უფროსს აგიჟებდა, რადგან ავადმყოფობის ფურცელს მაძლევდნენ. ექიმმა ჩემი დახმარება ვერ შეძლო, ბოლოს საავადმყოფოში დამანვინეს, ძლიერი წამლები დამინიშნეს, მერე ძალები აღვიდგინე, საავადმყოფოში ყოფნაც აღარ დამჭირდა. მოწყენილობა სევდაზე უარესია; დაპირისპირებულობაც არის, როცა სევდა განუხებთ, მოწყენილი აღარ ხართ. ასე გადავდიოდი მოწყენილობიდან სევდისკენ, სევდიდან მოწყენილობისკენ, არა, მოწყენილი აღარ ვარ, არა, მაგრამ ვგრძნობ, მოწყენილობა იქ სადღაც არის, უკანა რიგში, მითვალთვალეზს, მემუქრება, რომ გაიზრდება, გარს შემომეხვევა და მომახრჩობს. ოო, არა, სამყარო სავსეა საინტერესო მოვლენებით, საინტერესო მოვლენებით. მხოლოდ უყურე. არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც საკმარისია უყურონ ხეებს, ისეირნონ. მეც სეირნობას მირჩევდნენ. მაგრამ სეირნობები მოსაწყენზე მოსაწყენია, სევდაზე სევდიანი. ოღონდაც მოწყენილობის უფსკრულში ხელახლა არ აღმოვჩნდე და ყველაფრისთვის მზად ვარ. ყურადღებით უყურე სამყაროს, ყველაფერს ირგვლივ, ძალიან ყურადღებით. რასაც ხედავ „რეალობისგან“ ათავისუფლებს, იბრძოლე იმისთვის, რომ ყოველ წამს ისეთივე გაოცება დაგეუფლოს, როგორიც პირველ ჟამს. კვლავ შეიძინე უჩვეულობის შეგრძნება. გამოიღვიძე, დაინახე, შეიგრძენი ყველაფერი ისე, როგორც სინამდვილეშია. დიახ, არსებობა, სამყარო, ადამიანები, ეს ყველაფერი მოჩვენებითია. მხოლოდ ის არის არსებითი, რაც ყველაფერ ამის გარე დგას, კედლის მეორე მხარეს. რა სასონარკვეთილებაა, მიტოვებული იყო ამ სამყაროში. სანყისთან განუწყვეტელი დაბრუნება, არც დანებება, არც თავის განირვა. კედელს მიეყრდნე, მისი ძირიდან სამყაროს უყურე ან კედლისკენ სახით მიბრუნდი და ზედ მი-

ეკარი. იქნებ დათმოს? ეს როგორ ავუხსნა საკუთარ თავს? კედელზე მიეყრდნე და უყურე როგორ ვითარდება მოვლენები? ყოველთვის არ გამოდის. მგრამ ეს ერთადერთი საშუალებაა მონყენას გაექცე, შავ მონყენას. საკმარისია, ამაზე აღარ ვიფიქროთ. ახლა კარგად ვგრძნობ თავს. ო, რა კარგია ალკოჰოლი! დანახარჯი გადავიხადე, ნასასვლელად ავდექი, ცოტას ვბორძიკობ, პირველის ნახევარი იყო, ოღონდ რესტორანში არ დამაგვიანდეს, ჩემი პატარა მაგიდა შემინახონ, სხვა არ მინდა, ამ მაგიდას მივეჩვიე უკვე. კაფედან გამოვედი, გზა გადავკვეთე, ვილაც მძლოლმა შემაგინა, ტროტუარს ავტობუსის გაჩერებამდე გაფუყევი, მერიის მთავარი შესასვლელის წინ რომ მდებარეობს. გადასასვლელით პროსპექტი გადავჭერი, რომელიც გოგომ იდაყვი გამკრა, ბოდიში მომიხადა, მერე მე მივარტყი ვილაც კაცს იდაყვი, ბოდიში მოვუხადე. პირისპირ შევეჯახე კიდევ ერთ კაცს, გვერდი ავუარე და ტროტუარით ზუსტად რესტორანთან მივედი, ისევ გაზეთი მეჭირა ხელში, კარი გამოვადე, ეგრევე ჩემი მაგიდისკენ გავიხედე, თავისუფალი იყო, ზედ მუყაოს პატარა ფირფიტაც იდო „დაჯავშნულია“, ეწერა. უკვე ბევრი მქონდა დალეული. იქნებ დასალევი მეტი აღარ მოვითხოვო? ივონი მოვიდა, ღიმილით მომესალმა, მკითხა, თქვენი ბოჟოლე ხომ არ გნებავთო. არ ვიცი, მორცხვობამ მძლია თუ ცდუნებამ, დავეთანხმე. ვაშლით შეკმაზული ცხვრის ხორცის რაგუ მირჩია საჭმელად. ჭიქაში ღვინო დამისხა. ვგრძნობდი, რალაცნაირი მეგობრული ნუხილით მიყურებდა. ერთი ყლუპით დავლიე სასმელი. თრობის სიმსუბუქე გაქრა, სიმძიმე დამეუფლა, მაგრამ უსიამოვნო ამაში არაფერი იყო. ვაშლით შეზავებული ცხვრის ხორცის გემო ვერ ვიგრძენი, ვერ ვიხსენებ, ყველი ავიღე თუ დესერტი, თუ ერთიცა და მეორეც, მახსოვს, როგორ მომიტანეს ყავა: „ეს დალიეთ. ძალიან მაგარია და გამოგაფხიზლებთ“.

ვერ გამომაფხიზლა. ძლივს მახსოვს, ოფიციატმა ქალმა როგორ მიმაცილა

კარამდე, მარჯვენა მხარის კედლების გასწვრივ როგორ ვიარე, ქუჩის კუთხეში როგორ შევეუხვიე და როგორ მივადექი ჩემი სახლის კარს. აქ კი მოულოდნელად გონება გამინათდა. ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, დერეფანში ზიგზაგებით არ უნდა გამეველო და მეკარე ქალის ბინასთან გამართულად ჩამეველო. მან კარი გააღო, შემომხედა, თვალი გამომაყოლა მანამდე, ვიდრე კიბის პირველ საფეხურებს ავივლიდი. დანარჩენი დამავიწყდა. მხოლოდ ის მახსენდება, რა ტანჯვით გავიხადე ტანსაცმელი. მეორე დღეს კარზე ჟანას ზარის რეკვის ხმამ გამაღვიძა. ადრე მოვიდა, როგორც ვთხოვე. როგორც კი საწოლ ოთახში შემოვიდა, უცნაურად კი შემომხედა, მაგრამ მითხრა, მისი აზრით, სასაცილო იერი სულაც არ მქონდა. ო, ეს თავის ტკივილი და ეს გულისრევა! ამისთვის მხოლოდ ერთი ნამალი არსებობს: სირჩა კონიაკი, უკეთესია, თუ ორი იქნება.

სწრაფად დავიბანე და სააბაზანოდან გამოვედი. მესამე სირჩა კონიაკის შემდეგ მსუბუქი ეიფორია დამეუფლა, ძალიან მაგარი ყავა დავლიე, ჟანამ მომიმზადა და დაჟინებით მოითხოვდა დალიეო. მერე გაზეთით ხელში, რომელიც ჟანამ მომიტანა, ტახტზე გავიშოტე. ვილაც კაცმა ნაჯახით მძინარე ცოლი და ვაჟიშვილი დახოცა. ვილაც ქალმა რევოლვერით მძინარე ქმარი და ქალიშვილი დახოცა. შეყვარებულმა წყვილმა სასტუმროს ნომერში თავი მოიკლა. სამოცი წლის გლეხმა თოფით ორმოცი წლის ბრაკონიერი მეზობელი მოკლა. როგორც იქნა სენაში იპოვეს დაკარგული ახალგაზრდა ქალის გაბერილი გვამი. ერთმა ფრანგმა, რომელსაც ცოლად იაპონელი ქალი ჰყავდა, რომელმაც ვილაც გერმანელის გამო ქმარი მიატოვა, ჰარაკირი გაიკეთა. ერთმა თვითმკვლელმა გაზის ონკანი გახსნა, თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ არ მოკვდა, სამაგიეროდ, მთელი სახლი ააფეთქა, თვითონ ნანგრევებიდან ცოცხალი გამოიყვანეს, მაგრამ მეზობლები, პენსიონერი წყვილი და მათი შვილიშვილი ბიჭი, სასიკვდილოდ დაშავდნენ. გარდა ამისა,

სადღაც ომი იყო. ერთ ბრძოლაში ათი ათასი კაცი დაიღუპა, თხუთმეტი ათასი კი დაიჭრა. ამერიკაში ფრენისას თვითმფრინავი აფეთქდა, აზიაში კი სხვა თვითმფრინავი დაშვებისას დაინვა. სადღაც მძევლები აიყვანეს. სხვა ადგილას კიდევ სხვა მძევლები აიყვანეს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებმა, პირველ შემთხვევაში კი ექსტრემისტულმა მემარცხენეებმა. მღელვარებები აფრიკაში: კოლონიური უღლისგან გათავისუფლებულმა, ეროვნულ დამოუკიდებლობას ნაზიარებმა ტომებმა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა დაიწყეს, ისე, როგორც კოლონიზაციამდე აკეთებდნენ. ეროვნული დამოუკიდებლობის წყალობით შესაძლებლობა მიეცათ თავიანთ პირველყოფილ ზნე-ჩვეულებებს დაბრუნებოდნენ. ცხადია, ეს ყველაფერი სამწუხაროა. მსოფლიო ჟანგბადის უკმარისობის გამო დასაღუპად არის განწირული. ასტრონავტები მთვარიდან დაბრუნდნენ. „სურვილის“<sup>44</sup> ახალი ფილოსოფია კარნავალების გამრავლებას ქადაგებს. ვატიკანი ადამიანთა შორის სიყვარულსა და სათნოებას გვიჩვენებს. საერთაშორისო ასოციაცია, რომლის ადგილსამყოფელიც იოკოჰამაშია, ადამიანებისგან მოითხოვს, მხიარულად ხოცონ ერთმანეთი. ეს უკვე საინტერესოა. მაგრამ ამბობენ, რომ და მეც მჯერა, ეს მხოლოდ თამაშია. როცა ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ, განსაკუთრებული მხიარულება არ შეიმჩნევა. რომ მოკლა, მრისხანების ენერჯია აუცილებელი. ერთ შორეულ ქვეყანაში სამოქალაქო ომის დასაწყისშივე მილიონი კაცი დახოცეს. მეომარ ქვეყნებს ბრძოლაში ერთმანეთში მოქიშპე სამი დიდი სახელმწიფო ეხმარება; ეს ქვეყნები მათ იარაღით ამარაგებენ.

ცხოველთა დაცვის საზოგადოება მოითხოვს, რომ პატარა სელაპები აღარ დახოცონ. ერთმა ახალგაზრდამ მამა მოკლა, რადგან ის ბურჟუა იყო. ერთ ქვეყანაში, სადაც ასევე სამოქალაქო ომი მძვინვარებს, მთელი სოფელი, კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, ცეცხლმტყორცნით ამოხოცეს თანა-

სოფლებმა, რადგან რელიგიური სექტა, რომელსაც დახოცილები მიეკუთვნებოდნენ, მათ ბრძოლასა და რომელიმე მეომარი მხარის მიმხრობას უკრძალავდა.

ყოველივე ამის შემდეგ ადამიანს გული უტყდება. გამუდმებით ერთი და იგივე, ძალიან მოსაწყენია. ისე კი, რადგან ყველა ადამიანი, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მოკვდეს, განა სულერთი არ არის, თუ მათ ცოტა ადრე მოკლავენ? ყოველდღე ერთი და იგივე ამბებია, მიუხედავად ამისა, თვალს თუ მივაღებებთ ყველაფერს, რაც ხდება, ეს გონებას აღვიძებს. როცა ჟანა სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ზუსტად მაშინ ჩავყვინთე.

ავეჯს აპრილებდა, თან ჩემი არაჯანსაღი ცხოვრების წესზე მეტუზღუნებოდა. შეუმჩნევია, ცოტა მეტ ალკოჰოლს რომ ვღებულობდი, რაც ვნებდა ჯანმრთელობას. ძაღვის გაფურჩქვნის ასაკში მყოფი კაცისთვის, ასე ცხოვრება არ ვარგაო. როგორ თუ არ ვაპირებდი რაიმე საქმიანობის დაწყებას? მემკვიდრეობა კი მიიღეთ, გასაგებია, მაგრამ ეს უსაქმოდ ყოფნის მიზეზი არ არის. ცოლი მაინც მოიყვანეო. ნუთუ ასე მარტო ვაპირებდი ცხოვრებას, როგორც ცვედანი? ოჯახი უნდა შეიქმნას. შვილები გაჩნდეს. კაცი ამისთვის ცხოვრობს, ბავშვები კი ისეთი საყვარლები არიან, როცა პატარები არიან. და როცა დაიზრდებიან, თქვენ კი დაბერდებით, სიღარიბეში არ მიგატოვებენ, დაგეხმარებიან. მარტოობაში სიკვდილი, ყველასგან მიტოვებული, უფრო საცოდაობაა, ვიდრე მარტო ცხოვრება. კაცმა არ იცის, რა გელის. აი, მას ქმარი ჰყავს, მაინცდამაინც ვერ ენყობა, მაგრამ ახლა ავად არის. ვაჟიც ჰყავთ, კარგად აღზარდეს, მაგრამ მშობლები მიატოვა, გული კი კეთილი აქვს, ყველაფერში დამნაშავე მისი ცოლია. მათ შესახებ ბევრი არაფერი იცის. როგორც ჩანს, შვილიც ჰყავთ. ჟანას ქალიშვილიც ჰყოლია, ისიც კარგად აღუზრდიათ, თანაც ძალიან კეთილი ყოფილა. ეს ადრე იყო. მერე ამასაც ბავშვი შესძე-

ნია, რომელიც მოუკვდა, და ქმარიც მიუტოვებია. სახლში დაბრუნდა, მერე წავიდა, ცხოვრობს ისე, როგორც უნდაო. ზოგჯერ მის ამბებს ნათესავებისგან იგებს, ამბობენ, ნარკომანი გახდაო, მერე და როგორ ზრუნავდნენ მასზე! შვილები უმადურები არიან. ილაჯგანყვეტამდე წვალობ, ზრუნავ, მათი აღზრდა ადვილი ხომ არ არის, გაიზრდებიან, მიგატოვებენ. დაგივინყებენ, უკეთესი იქნება შვილები თუ არ იქნებიან; არა, იყვნენ, ოღონდ კარგები, არა ასეთი უმადურები. და თუ შვილები უმადურები არიან, მათი იმედიც არ უნდა ჰქონდეს კაცს.

ვუთხარი, რომ ნამდვილად მართალი იყო. მაგრამ ამან ვერ დაანყნარა. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, მარჯვენა ხელში ჩვარი ეჭირა, მარცხენას კი იქნევდა. პირობა დამადებინა, ცოლს მოვიყვანდი და შვილებს გავაჩენდი. დავპირდი, გავაკეთებ-მეთქი. მაინცდამაინც არ დაიჯერა. დავიფიცე, მოვიყვან-მეთქი. ბოლოს წავიდა. რესტორანში წასვლა ჯერ ადრე იყო. სადილობის წინ ხომ არ გამესეირნა? ერთი კარგი გასეირნება მთელ კვარტალში. ეს შეიძლება მიმზიდველიც ყოფილიყო, მაგალითად, ახალი კაფეს აღმოჩენა. აქაურობას ეს სიკეთე არ აკლდა. თუ ყოველდღე აპერიტივს სხვადასხვა კაფეში დავლევდი, ნამდვილი ექსპედიცია იქნებოდა და აპერიტივის შეცვლაც. გუშინ კამპარი, დღეს შეიძლება ვერმუტი იყოს. დიდმა სურვილმა მომიარა ახალ ბისტროში ვერმუტი დამელია. სიხარულის გადაულახავმა გრძნობამ შემიპყრო. ფანჯარაში გავიხედე, მინდოდა დამეზვერა, ჟანა პატარა ქუჩის ტროტუარზე ხომ არ იდგა და ვინმესთან ლაყბობდა. თუ დავინახავდი და ისიც დამინახავდა, მაშინვე გამაჩერებდა, ლაპარაკში ჩამითრევდა და სამთა საუბარი გამოვიდოდა.

ის ქუჩაში არ იყო. ბინიდან გამოსვლა ვიჩქარე. ქვევით დამხვდა და მეკარე ქალთან ყბედობდა. დამინახეს თუ არა, გაჩუმდნენ. ჩემზე ლაპარაკობდნენ? რა უფლებით? თავი დამანებონ. რაც მინდა, იმას ვაკეთებ. თუ არაფრის ვაკეთება არ მინდა, არაფერს ვაკეთებ. ჩემი საქმეა.

ეჰე! უკვე გაბრაზებას ვინყებ. სწრაფად გამოვედი. მაგრამ ვიდრე გავიდოდი, კარის ზღურბლთან მისულმა ჯერ თავი მივაბრუნე და დავინახე, მე მიყურებდნენ. ჩემს წასვლას ელოდნენ, ჭორობა რომ გაეგრძელებინათ. თავი ვინ ჰგონიათ? ეს სულ მეკარე ქალის ოინებია, ის რომ არა, ჟანა ჭკუის სწავლებას არ დამინყებდა. მაინც გულითადი ქალია.

ეტყობა, მაინც საჭიროა ადამიანებს ანგარიში გაუწიო. რადგან თავს მახებზრებენ და ჩემს საქმეში ერევიან, მაშასადამე, ისინი არსებობენ. საკმარისია ავინყვიტო და ისევე მათ შორის აღმოვჩნდე. ისინი სინამდვილიდან შორს მიგათრევენ, თავისას თავს გახვევენ და მასში გკეტავენ. უფრო სწორად, საკუთარ შეხედულებებს გახვევენ თავს. თქვენ იზიარებთ მათ თვალსაზრისს. თურმე სხვებსაც უნდა გაუწიო ანგარიში. მე არ შემიძლია მათ ანგარიში არ გავუწიო, ეს აშკარაა, მაგრამ განსაკუთრებით ანგარიში უნდა გავუწიო იმას, რაც ზღვარს მიღმაა. ეს ზღვარს მიღმა ნამდვილი. ქუჩის კუთხეში მარცხნივ შევუხვებ და საკმაოდ დიდხანს ვიარე, ორი თუ სამი ქუჩა გავიარე — ცრიატი ამინდი იდგა — და ბოლოს ქუჩისა და პროსპექტის კუთხეში, რომელიც უსაზღვროდ შორს მიემართებოდა, შეიძლება სამყაროს ბოლომდეც, ბისტროს წინ აღმოვჩნდი. შევედი, სასმელი შევუკვეთე, ერთი ჭიქა ვერმუტი დავლიე, მერე მეორე. დახლთან ბევრი მუშტარი იდგა. მუშები, თეთრებიც და შავებიც, დამხმარე მუშები, კალატოზები, თაბაშირის ლაქებით დასვრილი ტანსაცმლით, კიდევ ერთი პატარა კაცი იყო, ჩალისფერი პალტო ეცვა, თავისნაირ უბადრუკ ტიპს, ოღონდ უფრო დიდი ტანის კაცს ელაპარაკებოდა, ორივე გაუჩერებლად ლაყბობდა, მაგრამ ხმადაბლა. გარეგნულად დაზღვევის აგენტებს ჰგავდნენ. დანარჩენები, მუშები, უფრო ხმამალა ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს მხრებზე მთელი ძალით ურტყამდნენ. დახლის ერთი ბოლოდან მეორეში ერთმანეთს გასძახოდნენ.

ნელ-ნელა ისევე სამყაროს უჩვეულო-

ბის უცნაურმა ხილვამ შემიპყრო იმ სიმძაფრით, რაც ინტუიციური გაგებისთვის, ანდა საკუთარი შინაგანი დაძაბულობის მდგომარეობისთვის არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, მივხვდი, რომ ეს ხალხი ჩემთვის უცხო იყო. რა ძნელია სხვათა სულებში შეღწევა! ოღონდ ამჯერად მათთან ახლოს მინდოდა ყოფნა. რა მოხდებოდა, მათთან უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავი, მათთან ერთად? რა საინტერესო იქნებოდა! აი, მაშინ ვიარსებებდი. მათ თითქოს სქელი უმსხვრევი მინა ამორებდათ ჩემგან.

როგორ მივუახლოვდე მათ? ჩემთვის ესენი მარსის მცხოვრებნი არიან, ჩემი მსგავსნი! მინის მიღმა, როგორც ზოოპარკშია სინამდვილეში, მაინც ვინ არის, ისინი თუ მე? უფრო და უფრო ვშორდებოდი მათ. ცოტაც და, იმასაც მივალნიე, რომ მათი მოძრაობები, ყესტები თავხედური მეჩვენა, მეტყველება კი უაზრო. მათი სიტყვები ჩემთვის გაუგებარი გახდა. რალაც წამოძახილები. სიტყვები არსს იყო მოკლებული და შიგთავსს გამოცლილი ხის ღეროს ჰგავდა. ხმაური. ისინი პირს ალებენ და ხურავენ, ჭიქებში რაც უდგათ პირში ისხამენ, ღრმულებში იყრიან ყველაფერს, მერე ეს ყველაფერი სხვა ღრმულებიდან გამოდის. ქუჩისკენ შევაბრუნე თავი, სახლების ფასადები აღარ ჰგავდნენ ფასადებს. გამვლელებიც აღარ მეჩვენებოდა გამვლელებად. მერე მაგიდას დავხედე, ჩემს ჭიქას, ჩემს ხელს; თითები გავანძრიე, სიცილის სურვილმა მომიარა. მერე ნალველი გაჩნდა. მერე გაცემა. ირგვლივ მიმოვიხედე: ეს რა არის? თვით ეს კითხვაც უაზროდ მეჩვენა. რა არის ეს, იბადება კითხვა, რა არის ეს? და რა არის...

ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს, მე, ეს მე ვარ. აქ ვარ, ყველაფრის შუაგულში. და თუ ეს ყველაფერი გასკდება, მაშინ დავინახავ, რაც ამას იქით არის? დავინახავ იმას, რაც არ არის? თვალით ამას ვერ დავინახავ. შიშით და იმედით, ისევ ჭიქა ავიღე ხელში. ვიგრძენი, მაინც ვიგრძენი. ამან გამომალვინა. ან დამაძინა.

ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონი დამიდგეს. ვერ გადავწყვიტე, რომელ ადგილზე დამეყენებინა, იქნებ სასტუმრო ოთახში, ტახტთან ახლოს, ან საწოლ ოთახში, ღამის მაგიდაზე. ალბათ სასიამოვნოა ადამიანებთან ლაყობა (რადგან ახალი ნაცნობების გაჩენასა და ძველი ურთიერთობების აღდგენას ვაპირებდი), დღისით, მზისით ტახტზე ხარ წამოწოლილი, თან შორს, ქუჩაში გამვლელებს გაჰყურებ. მას შემდეგ, რაც აქ გადმოვედი, ისინი აღარ მინახავს და ბევრი სათქმელი დამიგროვდა. რა ამბები მოხდა კანტორაში ზამთრის ამ ოთხი თვის განმავლობაში? ქორწილები, დასაფლავებები, ახალი თანამშრომლები? კიდევ ძალიან მინდოდა ჩემს ადრინდელ ბისტროში შეხედვაც. იქ ისე კარგი იყო. ცხოვრება საოცარია, როცა მას ერთიანობაში უყურებ, მის წარსულს, იმ თავისებურ სივრცეს, რომელშიც დრო გარდაიქმნა და ყველაფერი უკვე შორეული გახდა. იგი ერთიან მასივად იქცა, რალაც სახლის ან ციხე-დარბაზის მსგავსად, რომელიც შეიძლება ოთახ-ოთახ, სართულ-სართულ დაათვალიერო. გაგონილა, მე კი ვერ ვხვდებოდი, რომ აქ ასეთი სიმშვენიერე იყო. რა სისულელეა. მალე, ხვალ, ამ დღეებში, დამდეგი გაზაფხულის სილამაზეში შევალ. ხეები უკვე გაიფოთლა. ადრე ცხოვრება ტვირთი მეგონა, ახლა ორნამენტად, ქანდაკებად, სპექტაკლად მეჩვენება. სამყაროს მკვდრის თვალთ უნდა უყურო, თუ ეს შესაძლებელია. ეს ფერი რაა. მშვენიერია. და თანაც ყველაფერი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ხდება, ამკარად მნიშვნელოვანი! გარდასული დროის ნოსტალგია მომერია. არაფერია, როცა მოვისურვებ, მაშინ დავბრუნდები იქ. როგორ არის ლიუსიენი? შვილი ეყოლება? ჯულიეტი? ჟანიანი? პატრონი? საერთო ჯამში, საცოდავი და კარგი კაცია. მე კი მეგონა, მტარვალისგან მექცეოდა. უფრო სასაცილო იყო. თავის დროზე რატომ არა გვაქვს გაცილების უნარი? საშინელი არაფერი არ არსებობს, რადგან ყველაფერი გადის. ან უფრო შორს მიდის. და იქცევა რალაც

მთელად, მკაფიო მოხაზულობით, გამხსენებელი ადამიანის თვალი შეიძლება მისწვდეს, იკვლიოს, გააანალიზოს, შეავსოს, აღადგინოს. ალბათ ადამიანი წასვლისას რა სინანულს განიცდის, როცა ამჩნევს, რომ ყველაფერი სასწაული იყო, ყოველი წვრილმანი, დილის ყავის სურნელი, სასაცილო, თავშესაქცევი ჩხუბები, წვნიანში ჩავარდნილი ბუზი, დრაგუნის მუნდირი, დრაგუნი მუნდირში. ავადმყოფობები, ეპიდემიები, წამება, ომი, როცა ეს ყველაფერი წარსულში გადადის, ტკივილს აღარ გვაყენებს; ამ ყველაფერს შეიძლება უყურო, ჭეშმარიტი და განუმეორებელი სახით დაინახო. დაუურეკავ, დიახ, ყველას დაუურეკავ.

მაინც არ ღირს დიდ ოთახში ტელეფონის დადგმა. ცხადია, სტუმრების მოწვევას კი ვაპირებ, მაგრამ არ მიყვარს, როცა მანუხებენ. არ მსურს, ჩემი ტელეფონის ნომერი ცნობარში ჩაწერონ. თუ მოსაბეზრებელი სტუმრები მომივლენ, ტელეფონის აპარატის დანახვისას, ნომერს მთხოვენ. გადავწყვიტე ტელეფონი საწოლ ოთახში დამედგა. რამდენიმე კაცს მაინც მივცემ ნომერს. არ მინდა ძალიან ადრე ან ძალიან გვიან ვინმემ გამაღვიძოს.

ოსტატმა, რომელიც ტელეფონს აყენებდა, მითხრა, ძნელი არ არის ყველა ოთახში ჩამრთველის დაყენებაო: „როცა მოინდომებთ, ტელეფონს მაშინ შეუცვლით ადგილს“, მართლაც მარტივი იყო და არც ძვირი ღირდა.

ყურმილი ავიღე. რატომ მაქვს ასეთი ციებ-ცხელება, ეს მოუთმენლობა? იმ სტუდენტ-ფილოსოფოსის ნომერი ავკრიფე. ის სტუდენტი აღარ უნდა იყოს. ალბათ გასული წლის ნოემბერში აიღო დიპლომი. ცა ღრუბლებით დაიფარა. ახლა იწვიმებს. მოღრუბლული ცა ძალზე უსიამოვნოა და სევდას მგვრის. და როცა მოღრუბლული ამინდი დიდხანს გრძელდება, თავშესაფრად ისლა მრჩება, დავლიო და დავთვრე. ჯერჯერობით კი ცხოვრება კიდევ შეიძლება, მითუმეტეს ახლა, როცა მოუთმენლად და იმედით ველი სტუდენტთან დალაპარ-

აკებას. ირეკება, ველოდები, არვინ მპასუხობს, უფრო და უფრო იმედი მიცრუვდება, მაგრამ ყურიდან ყურმილს არ ვიშორებ. და კარგიც ვქენი, რომ გავჟინიანდი. ქალის ხმამ მიპასუხა. „ანდრე შინ არის?“ — ვკითხე სევდიანად.

— დიახ, დიახ, ახლახან მოვიდაშინ არის.

ჩემი სახელი ვუთხარი, ვკითხე, ხომ არ გაცდენ-მეთქი; მითხრა, არა, სულაც არაო, უხარია, რომ ჩემი ხმა ესმის, თვითონაც უნდოდა ჩემი ამბების გაგება; დიახ, გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია. კოლეჯში ასწავლის, თან დისერტაციასაც წერს. თურმე კანტორაში, ჩემს ყოფილ სამსახურში, მისვლასაც აპირებდა მისამართის გასაგებად. ვუთხარი, რომ იქ ჩემი მისამართი არ იციან, რომ უკვე ორი-სამი თვეა, მათთან მისვლას ვაპირებ და მისამართის დატოვებას, ზოგიერთი ძველი კოლეგის ჩემთან მოპატიჟებასაც, მაგრამ ამ მოგზაურობას რატომღაც მუდამ მეორე დღისთვის გადავდე ხოლმე. მაგრამ ახლა გადაწყვეტილია: ზეიმს მოვიწყობ და მათთან წავალ. დიდხანს ველაპარაკე, დამარწმუნა, არსად მეჩქარება და როგორ ცხოვრობ, მიაშბეო.

თავაზიანობა მეყო და ჯერ თავისი ამბები გამოვკითხე, რას აკეთებდა. დანიშნული ყოფილა იმ ქალზე, ახლახან ტელეფონზე რომ მიპასუხა. ორი წლით მასზე უმცროსია თურმე, ლამაზი, ჭკვიანი, თანაც სტუდენტი.

ვუთხარი, რომ ჩემთანაც ყველაფერი რიგზეა, რომ ყველაფერი კარგად იყო. რომ დასვენება მომიხდა. თუმცა დროდადრო სევდა მაინც მიპყრობს. კინოში არ დავდივარ. ჩემი შეცდომაა. წასვლა კი მინდა, საერთოდ, არაფერს ვკითხულობ. მაგრამ კითხვას აუცილებლად დავინყებ, რადგან მაინტერესებს, სხვა ადამიანები რას ლაპარაკობენ, რა პრობლემები აქვთ. მოკლედ, ეს ყველაფერი სხვადასხვა ხარისხით მაინტერესებს, ბუნებრივია. ცხადია, არ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები და საგნები საინტერესოა სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ თუ ერთს ვამჯობინებთ მეორეს, ეს სუბიექ-

ტური იქნება და ნამდვილი იერარქია აღარ გამოვსა.

მითხრა (დამცინა თუ რა?), რომ მარტოობამ ღრმად დაკვირვებული გამხადა და ალბათ ბევრს ვფიქრობ. მერე რაღაზე არ ველაპარაკე, ჩემს მეკარე ქალზეც ვუამბე, რომელიც თავიდან უცნაურად მიყურებდა, თითქოს ვინმე უქნარა კაცი ვყოფილიყავი. ჩემდამი დაუფარავად გამოხატავდა ერთგვარ ანტიპათიას. არა, დევნის მანია არ მჭირს. პატარ-პატარა საჩუქრები მივართვი, მომსახურებისთვის ფეხის ქირასაც ვუტოვებ; საჩუქრებს იღებს, ოღონდ ისე, თითქოს ეს ამცირებდეს მას. ყოველ გავლაზე, მუდამ რაღაცას იგონებდა. როცა გავდიოდი ან შემოვდიოდი, ზუსტად მაშინ მოუნდებოდა ხოლმე შემოსასვლელის დაგვა და ფეხსაცმლის ლანჩებით მტვერი კიბეზე ამქონდა. ალმაცერად მიყურებდა. მოურიდებელ კითხვებს მძღვავდა: „ეს კიდევ თქვენ ხართ, ამჯერად სად მიდიხართ? სულ აქეთ-იქით დადიხართ, მუშაობით კი არსად მუშაობთ. ბედი გაქვთ. არამცთუ ჩვენ“. მერე ნელ-ნელა ეს მტრობა, ეს უნდობლობა გაქრა, ან, ყოველ შემთხვევაში, თვალში საცემი აღარ არის. მომეჩვია, მიეჩვია ჩემს გამუდმებულ წასვლა-მოსვლას, ჩემს უცნაურ მარტოობას. ერთხელ ისიც მითხრა, რომ ისეთი სახე მქონდა, თითქოს პოლიციას ვემალეობოდე, ან ვინმე ეჭვიან მეტოქეს. ვუთხარი, ჩემთან ანგარიშის გასწორებას არავინ აპირებს და დამნაშავეთა სამყაროსთანაც საქმე არასოდეს მქონია-მეთქი. ასე იქნება, დამეთანხმა, მაინცდამაინც მამაცური შეხედულება არა გაქვთო. არა, არა, ახლა, ეს ყველაფერი დამთავრდა. უკვე აღარ ვალიზიანებ და აღარც ვაინტერესებ. ვგრძნობ. ახლა, როცა შლაპას ავინევ ხოლმე, რადგან შლაპას მუდამ ვატარებ, ჩემს მისალმებაზე თავის დაკვირვით ავტომატურად მპასუხობს. არც კი ვიცი, მხედავს თუ არა. როგორც უნდა იყოს, ზედ აღარ მიყურებს. მისთვის სართულისა თუ კიბის ბაქნის მსგავსი რაღაცა გავხდები. წარსულში დარჩა, თავისი ბინის შემინულ კარზე ფარდას

რომ გადასწევდა და მრისხანე მზერას მესროდა. მსახური ქალი მყავს, ჟანა, დაუსრულებლად რაღაც ამბებს მიყვება. ეს ყველაფერი უკვე ყელში მაქვს ამოსული. თავიდან რომ დაიწყო, აღარ გაჩერებულა, ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ყურები ამატკივა, ოცნებებში, ფიქრებში ხელს მიშლის, არ ჩერდება, ზუსტად ისევე განაგრძნობს ლაპარაკს, როგორც მოსვლის პირველ დღეს დაიწყო. შეუძლებელია მისგან თავის დაღწევა, მეძახის, პიჯაკის ღილაკზე მეჭიდება. ვცდილობ, თითის წვერებზე ანეული გავიპარო, ამაოდ, ძალზე მახვილი სმენა აქვს. მაგრამ რასაც გიყვებით, გაინტერესებთ? ვეკითხები ჩემს თანამოსაუბრეს, ისევე ვიქცევი, როგორც ჟანა. არა, არა, მპასუხობს, მაინტერესებს, თქვენი საქმეები მაინტერესებს. ის ფილოსოფოსია, ასევე ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსიც. რა დიდებულია ფსიქოლოგობა, ადამიანებისადმი ინტერესი, ჩინებული ნიჭია სხვებს უსმინო.

სინამდვილეში, მართლა ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგადაა? დიახ, დიახ, ვუპასუხე შეკითხვაზე, მაგრამ ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს დანარჩენი სამყაროსგან გამოყოფილი ვარ და მინის გალიაში ვზივარ. ცხადია, ეს საკმაოდ მოსაწყენია. სხვა ყველაფერთან ერთად, უხალისობის წინააღმდეგაც მიწევდა ბრძოლა, როცა ვგრძნობდი, რომ მინის გალიაში ვზივარ და მორალური გაგებით სხვებს ვუნვდიდი ხელს, მინის კედლები იხსნებოდა და მეჩვენებოდა, მთელი სამყარო უხილავი კედლებით იყო გარშემორტყმული, რომელთა შორისაც, არც არაფერი ჩანდა... ცა თალი იყო. სახლებს იქით, ქალაქს იქით, მინდვრებს იქით კი ჰორიზონტი, ჰორიზონტის დაკეტილი კარი. ნუთუ ეს ყველაფერი ნორმალურია? დრო მოკლევ იყო და გრძელიც ერთდროულად, ასე მეჩვენებოდა; წამები დაუსრულებლად გრძელდებოდა, ყოველი წამი რაღაც განაკანონს ჰგავდა, წლები კი ხანმოკლეს. სწრაფად გადიოდა. ვიცი, ამაში ახალი არაფერია, ამქვეყ-

ანაზე ყველა, ცოტად თუ ბევრად, გაფრენილ დროს უჩივის. მაგრამ ჩემთვის ეს შეუსაბამობა აუტანელია. ყოველი წუთის მთელ სიმძიმეს ვგრძნობდი და იმდენად მაბეჩავებდა, უნარი აღარ შემწევდა მისით მესარგებლა, არამცთუ სიამოვნება მიმელო. სხვებსაც უხალისო სახეები აქვთ, სევდისა და სასონარკვეთილების გამომხატველი. როგორ გგონიათ, მე ხომ არ ავირეკლავ და სხვებს გადავცემ ჩემს საზარელ მონყენილობასა და დეპრესიას? გჯერათ, რომ სხვა ადამიანები მხიარულები არიან, უზრუნველნი, ან თავთავიანთი პატარ-პატარა, ზოგს კი სერიოზული საზრუნავი არ აქვთ და ეს საზრუნავი მათ არ ღლით? გგონიათ, რომ ის სხვები ცოცხლობენ? რალაც ყველაფერი რიგზე ვერა მაქვს, ხომ? უკეთესი იქნება სამსახური მოვძებნო, მაგრამ რა ვაკეთო? რა თქმა უნდა, უკან კანტორაში დაბრუნება და დღეში რვა საათი ჯდომა არ შემიძლია. მირჩევნია ცოტა მოვიწყინო. თუმცა ყოველთვის როდი ვარ მონყენილი, მთელი დღე მონყენილი არა ვარ. მალვიძარა არსებობს. ცხადია, მალვიძარა მოსაბეზრებელია. მთელი დღე წინ მაქვს, უზარმაზარი, უდაბური პლასტი, რომლის ბოლოც არა ჩანს. მაინც ვდგები, ყავას ვიხარშავ და ვსვამ. მერე ყანა გარეცხავს ფინჯანს, ლამბაქს, ჯეზვს. და ვიდრე ყავას ვსვამ, მაინც სასიამოვნო წუთებია. ხომ ხედავთ, სასიამოვნო წუთებიც მაქვს. მაგრამ სასიამოვნო ძალზე სწრაფად გადის. ამის გასაღრმავებლად და გასაგრძელებლად რალაც საშუალების გამოძებნაა საჭირო. სიხარულისა და მხიარულების შეტევებიც არსებობს. ესეც სწრაფად ქრება. მაგრამ თუ ეს შეტევები არსებობს, უეცარი აფეთქებები, მაშასადამე, არსებობს, უშრეტი წყარო, წყალსატევი, იქნებ უხილავი ტბაც, თეთრი მთებით გარშემორტყმული, მზითა და შინაგანი სამოთხის სინათლით მოოქრული ფერდობებით. სადღაც ეს ხომ უნდა იყოს. ასე კი ვფიქრობ, მაგრამ ნაკლებად მჯერა, მაგრამ უკვე ნაკლებად, საერთოდ აღარ მჯერა. რაც უფრო ღრმად

ვეშვები, მით ვერაფერს ვპოულობ, გარდა შლამისა: ჭუჭყიანი გუბე. ჩემს თავს ვენინალმდეგები, დიახ, ვენინალმდეგები. იმის თქმა მინდა, რომ შიგნიდან სასარგებლო ბიძგებიც ამოდის, რალაც გაბრძოლების მსგავსი. ყოველთვის დაცემული როდი ვარ, ყოველთვის განადგურებული. ვიცი, სამყარო მუდმივად უჭკნობი უმანკოებაა. ეს თითქოს სიცოცხლის აზრს მიბრუნებს. მაგრამ ის, რაც ვიცი, საკმაოდ მტკიცედ არ ვიცი. ხოლო სიმძიმე და სიმკვრივე თავად მოდის, მათზე ფიქრიც არა მჭირდება, მათ ისე ვგრძნობ, თითქოს მართლაც არსებობენ, თითქოს ისინი ყველაფრის საფუძველი და მასალაა. მან მიპასუხა, რომ იმ დღეს ლექციები არ ჰქონდა და ჩემთან ტელეფონით ლაპარაკში ხელი არ შეემლებოდა. ჩემი შემთხვევა, ამიხსნა მან, ფსიქოთერაპევტებისთვის კარგად ცნობილი შემთხვევაა. მაგალითები მომიყვანა, არც ისე იშვიათი, როცა ავადმყოფებს ერჩვენებათ, რომ მთელი სამყარო ექსკრემენტებისგან შედგებაო. ვუპასუხე, საბედნიეროდ, ჯერ აქამდე არ მივსულვარ-მეთქი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტალახია, მაგრამ სუფთა ტბაც ჩანს და სუფთა თოვლიც. ნორმალური ადამიანები სადღაც ამ ორშუა არიან. არც სინათლე და არც სიბნელე. ამ შუალედში თავიანთ საქმეებს აკეთებენ, თავიანთ საზრუნავზე ზრუნავენ და თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით არიან დაკავებულნი, ამით ცოცხლობენ. ისინი ამით ცოცხლობენ. ეს ძალიან ადამიანურია. მე კი მხოლოდ წყალობის მეშვეობით შემიძლია სიცოცხლე. ვინ ცოცხლობს წყალობის მეშვეობით? წყალობის იმედით სიცოცხლე მიუღებელია. ჩემთვის წყალობასა და განავალს შორის შუალედი არ არსებობს. სხვა ადამიანები, მეტად თუ ნაკლებად, უდარდელად არიან. ისინი ერჩევიან ამ არარსებობას. მეტისმეტად ბევრს ვითხოვ, მეტისმეტად ამაყი ვარ, მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ, რატომ არ ვაქცევ ყურადღებას სხვა ადამიანებს? ამაშია პრობლემა, ამაშია ჩემი ჭეშმარიტი უძალობა. სხვები წინასწარ

მოცემულ პირობებს ურიგდებიან. ისინი მხოლოდ დიდი კატასტროფების დროს იტანჯებიან: როგორებიცაა ახლობლის სიკვდილი, ომი, შიმშილი, ავადმყოფობა. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემთვის ესეც საინტერესოა. შეიძლება ეს სირცხვილია, მაგრამ ასეთ რამეებსაც გაშტერებიდან გამოვყავარ. მოუთმენლად და სიხარულით ველი მსახური ქალის მოსვლას, რომელმაც გაზეთი უნდა მომიტანოს. ვეცემი გაზეთს და პირქუშად ვტკბები, ეს მართლა ტკბობაა, როცა გაზეთში დიდ სათაურებს ვკითხულობ, სადაც ლაპარაკია ომზე, სიძველეზე, ხანძრებზე, წყალდიდობებზე, გარემოს დაჭუჭყიანებაზე, რაც დახრჩობით გვემუქება. ის საშიშიც არის და მაცდუნებელიც. ასე გადის ყოველდღილი ნახევარი საათი. დიახ, ეს არის ცოცხალი, მღელვარე საქმიანობა. გარდა ახალი ამბებისა ყოველ გაზეთში არის კროსვორდებიც. ასე გადის კიდევ ერთი საათი. მერე დგება აპერიტივის დროც, მერე სადილობის, მერე შუადღის დასვენება. შემდეგი ორი-სამი საათი ძნელი გადასატანია, ბოლოს ვახშობის დროც დგება და შინ მივდივარ. ღრმა ძილით ვიძინებ. მეორე დღეს დილას იგივე გასაჭირი, მერე ყავა, გონს მოვდივარ და ასე შემდეგ. როგორც ხედავთ, როგორღაც მოვახერხე და დღის რეჟიმი ჩამოვაყალიბე. მაგრამ მთავარი, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაცემაა, რომ ვარსებობ და ეს ყველაფერი არსებობს. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც უსაზღვროების ჩანვდომის უძღურებაა. ცხოვრებისთვის ეს საჭირო არ არის, მაგრამ მე პრობლემის საკითხის ამგვარად დაყენებაზე უარს არ ვამბობ, თქვენ კი, ბუნებრივია, იტყვიან, რომ ეს ყველაფერი ბანალურია. და მართალიც იქნებით. შიმშილი და ტანჯვაში დაბადებული, ახლაც დასასრულის, წასვლის წინაშე შიშით ვცხოვრობ. ორ საზარელ მოვლენას შორის, დაუჯერებელ, დაუშვებელ, ჯოჯოხეთურ ხაფანგში მოვხვდი.

ის მპასუხობს, რომ ეს ყველაფერი ძალზე ბანალურია, და კარგად არის

ცნობილი. ბევრი უნდა ვიკითხო ან უბრალოდ ვიკითხო, რადგან საერთოდ არაფერს ვკითხულობ. მაგალითად, გნოსტიკოსები უნდა წავიკითხო, რომლებსაც შეუძლიათ ბევრი რამ მასწავლონ. ეს პრობლემები ყველას ანუხებს, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, ახალი სულაც არ არის. ცხადია, ვუპასუხე, თქვენ ეს პრობლემები იცით, წავიკითხავთ, ცოდნა გაქვთ, მაგრამ მე ეს პრობლემები მაშფოთებს, ისინი ჩემთვის ცოცხლები არიან. თქვენთვის კი მხოლოდ კულტურის ნაწილია. თქვენ ყოველდღე შიშით არ იღვიძებთ, იმაზე თავს არ იმტვრევთ, თუ როგორია მათზე პასუხები და საკუთარ თავს არ ეუბნებით, რომ მათზე პასუხები არ არსებობს. მაგრამ იცით, რომ ყველა ადამიანს ასეთი კითხვები აწვალავს. ისიც იცით, რომ მათზე არასოდეს არავის გაუცია პასუხები და არც შეუძლიათ უპასუხონ. თქვენთვის ეს ყველაფერი უბრალოდ კატალოგებშია შეტანილი, მორჩა და გათავდა. რადგან იცით, რომ ეს პრობლემები უკვე დაყენებულია, იცით, ვინც დააყენა, იცით, ამ თემაზე ბევრი ტრაქტატი და ნიგნია დანერილი, ამიტომ ეს კითხვები აღარ გაინტერესებთ და გვერდზე გადადეთ, მახსოვრობის რომელიღაც კუთხეში. დიახ, თქვენთვის ეს მხოლოდ კულტურის ნაწილია. სასონარკვეთილება კულტურის პოზიციიდან დაამუშავეს, მისგან ლიტერატურა შექმნეს და ხელოვნების ნიმუშები. ეს მე არაფერს მშველის; ეს მხოლოდ კულტურაა, კულტურა. მით უკეთესი თქვენთვის თუ კულტურამ შეძლო და ადამიანს დრამა და ტრაგედია ააცილა.

პასუხად მითხრა, რომ ამაზე კიდევ ვილაპარაკებდით, და რომ მის სანახავად უნდა მივსულიყავი. ახლა დრო უკვე აღარ ჰქონდა, აუცილებლად უნდა წავსულიყო, რადგან პროფესიული მოვალეობები უხმობდა. მე კი აკვიატებული იდეებით შეპყრობილი ნევროპათი ვიყავი და გამუდმებით ერთსა და იმავე აზრების გამეორება მართებული არ იყო. ვილაცას იცნობდა, ვისაც ჩემი დახმარება შეეძლო. როცა მეტაფიზიკური

სევდა შორს მიდის, როგორც ჩემს შემთხვევაში, საჭიროა მისი მკურნალობა. არსებობს სხვადასხვა სახის ტაბლეტები, რომლებიც მეტაფიზიკური სევდისგან გამათავისუფლებდა. სევდის დაძლევა, ახლა, ქიმიოთერაპიითაც შეიძლება.

ყურმილი დადო. ვიფიქრე, რა უცნაურია არანორმალურად ჩათვალო ისეთი ცხოვრება, როცა განუწყვეტლივ საკუთარ თავს ეკითხები — რა არის ეს სამყარო, როგორია კაცობრიობის ხვედრი, რა არის ჩემი დანიშნულება ამ სამყაროში და არსებობს თუ არა ჩემი შესაფერი საქმიანობა. მე კი არანორმალური ის მგონია, რომ ადამიანები ამაზე არ ფიქრობენ და გაუაზრებელი ცხოვრებით ცხოვრობენ. იქნებ ყველას, ჩემ გარდა, ჩამოუყალიბებელი ირაციონალური რწმენა აქვთ იმაზე, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერს ნათელი მოეფინება. და რომ ერთ მშვენიერ დილას შეიძლება კაცობრიობაზე მაღლი გადმოვიდეს. და იქნებ, ერთ მშვენიერ დილას, ეს მაღლი მეც მენვიოს.

ვიდრე ჩავიძინებდი, ვიდრე იმ უფსკრულში ჩავიძირებოდი, ძილი რომ ჰქვია, ნახევრად მძინარეს იმის გაფიქრებაზე გამლიმება, რომ შეიძლება რამდენიმე საათის შემდეგ განთიადმა ცოდნა და თავისუფლება მომიტანოს და ეს განთიადი მარადიული იყოს. ზოგჯერ ამაზე საღამოობითაც ვფიქრობდი. ოღონდ მხოლოდ ზოგჯერ, რადგან შინ ხშირად მთვრალი ვბრუნდებოდი, უგრძნობელი, გადაუნყვეტელი და გამოუსწორელი აკვიატებული გრძნობებისგან თავისუფალი; დილა კი არასოდეს იყო ის დილა, რომელზეც ვოცნებობდი და რომლის იმედიც მქონდა. კიდევ რაღაც დიდ სიმწარესაც ვგრძნობდი, რაზეც ექიმი ალბათ იტყოდა, ღვიძლიაო. ასეა თუ ისე, ამ სიმწარის გაძევების ძალა არ მქონდა. ისევ დაძინებას ვცდილობდი, რათა ღამესა და ძილს დასასრული არ ჰქონოდა. ნაღვლიანად წინასწარ ვგრძნობდი გრძელ დღეს, რომელიც მელოდა, ტყვედ რომ ავეყვანე, იმის გაფიქრებაზე

ვკანკალებდი, სევდის წინააღმდეგ საათობით უნდა მებრძოლა, თანაც არცთუ წარმატებით. ყველაფერი მტანჯავდა, უმცირესი მოძრაობაც, ეს კედლები და ყვავილებით მოჩითული გადასაფარებელიც კი. მაგრამ, ვიდრე ჟანა მოვიდოდა, საწოლიდან უნდა ავმდგარიყავი. ის ადრე დგებოდა, შრომობდა, მე კი ჩემი უსაქმურობისა თუ მორალური დადამბლავების მრცხვენოდა. საწოლიდან ჯერ ერთ ფეხს გადმოვყოფდი, მერე მეორეს, ვდგებოდი, საკუთარ სხეულს ისე დავათრევდი, როგორც რაღაც ტვირთს, და სასონარკვეთილება მიპყრობდა. დაბანა ისეთივე მძიმე სამუშაოდ მეჩვენებოდა, როგორც შავი მუშის შრომა. სააბაზანოში ისე შევდიოდი, როგორც მსჯავრდებული. ასე გრძელდებოდა ნახევარი საათი. იყო დრო, როცა ცივი წყლით ვიბანდი. ახლა ამ გმირობის ძალა აღარ მქონდა. სააბაზანოში მუდამ შიშის გრძნობით შევდივარ. ეს ჩემთვის სიმბოლურად წყლის შიშს გამოხატავს, რომელიც შორეული წარსულიდან მომყვებოდა. ასე მგონია, წყლით სავსე აბაზანა თავისებური საფლაავია. წყალში შესვლა კი უფსკრულში ცოცხლად შთანთქმას ნიშნას. მერე გაპარსვაც იყო საჭირო. ვიდრე ამ საქმიანობას შევუდგებოდე ერთხანს სარკეში ჩემს თავს ვუყურებ. ხელს ვისვამ სახეზე, ვგრძნობ უხეშ ჯაგარს, ოდნავ რომ მოსძალებია ჭაღარა, ვუყურებ და არ მომწონს საკუთარი თავი: ძალიან დიდი ცხვირი, არაფრის მთქმელი მქრქალ-ცისფერი თვალები, ოდნავ შესიებული სახე, ცუდად დავარცხნილი, ძალიან გრძელი თმა, რადგან ხშირად არ დავდივარ პარიკმახერთან, მეტისმეტად დიდი ყურები, ნაოჭები შემუშუბებულ ლოყებზე, მხოლოდ მე ვარ ასეთი, კაცი არ არის ჩემნაირი, ყველა ამჩნევს ალბათ, რომ ისეთი არ ვარ, როგორიც ყველა. მაინც ძალიან მძიმეა, ასე განსხვავდებოდე სხვებისგან. არადა, ჩემს სახეზე ხომ არანორმალური არაფერია. ისეთივე ვარ, როგორიც სხვები არიან, თუმცა არც ისეთი ვარ, როგორიც სხვები. ჩემი პიროვნების განკერძოებულობა, ალბათ ჩემი კა-

ნიდანაც ატანს, მაგრამ გამვლელები ქუჩაში არც მიყურებენ, შემოსახედად თავსაც არ აბრუნებენ. თუმცა, როგორ არა, მეკარე ქალი, ძალღიანი მეზობელი ქალი, მსახური ქალი, რომელიც თავის ქნევით ხშირად მიყურებს, ახლა ოფიციალური ქალი, სრულიად განსაკუთრებულად რომ მექცევა, ცოტა მეგობრულად, ცოტა ზიზღითაც. სხვა ადამიანები შეხვედრისას ჩემს გამოსხედვას ჩვეულებრივ გაურბიან. და თუ მაინც შემომხედავენ, მათ გამოხედვაში ან მტრობა იგრძნობა ან გულგრილობა. დიას, ყველა ჩემდამი მტრულად და გულგრილად არის განწყობილი. მაგრამ თვითონვე მაქვს მათდამი ისეთივე მტრული განწყობილება და იგივე გულგრილობის გრძნობა. აბა, რაზე უნდა მისაყვედურონ? რომ ისე არ ვცხოვრობ, როგორც ისინი ცხოვრობენ და ბედს არ ვემორჩილები? ან მე მათ რა უნდა ვუსაყვედურო? არაფერი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვფიქრობ, რომ, არსებითად, ისინი ისეთივე არიან, როგორიც მე ვარ. ისინი — მე ვარ. ამიტომაც მათზე ვბრაზობ. იმიტომ, რომ სხვანაირები არიან, თუმცა მთლად სხვანაირებიც არა. ისინი მართლა ჩემზე სხვანაირები რომ იყვნენ, მაშინ მათ მაგალითად მივიღებდი. ეს დამეხმარებოდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მილიარდობით ადამიანის შიშსა და სევდას ვატარებ, საყოველთაო მოუსვენრობას. ყოველი მათგანი სხვა პირობებში რომ აღმოჩნდეს, იგივე სასონარკვეთა, ცხოვრების წინაშე იგივე შიში ექნებოდა და იგივე მოუსვენრობა. ისინი საკუთარ თავს არ უღრმავდებიან. რაღაც ქარაფშუტული, თვინიერი, დაუფიქრებელი მორჩილებით საკუთარ თავს ნებას აძლევენ მოზარდები იყვნენ, მერე მოზრდილები, ბოლოს მოხუცები. როგორც შეუძლიათ, ვიდრე ძალა შესწევთ საკუთარ თავს საკუთარი თავისგან იცავენ. მაგრამ ყოველი მათგანი თუ საკუთარ თავს ჩაუღრმავდება, ყოველი მემილიარდე სხვა ადამიანის შიშითა და სასონარკვეთით იცხოვრებს. ეს სასონარკვეთილება თითოეულ ჩვენგანშია. ზუსტად ეს

მეჩვენება რაღაცა ზომით უფლის სისასტიკედ: ამავე დროს, თითოეული უნიკალურიც არის, და ისეთიც, როგორიც ყველაა, თითოეული უნივერსალურია. ცხოვრება გაადვილდებოდა, თუ სასონარკვეთა, უიმედობა, პანიკა ადამიანთა მოდგმის ყველა მილიარდობით წარმომადგენელზე თანაბრად განაწილდებოდა. მაშინ ჩვენი სასონარკვეთა საყოველთაო ტანჯვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი სამმემილიარდედიქნებოდა. მაგრამ არა, ყველა ჩვენგანი, სიკვდილისას თან წაიღებს მთელ სამყაროს, რომელიც ინგრევა.

გასაპარსად ხელსაწყობები მოვამზადე, ელექტროსაპარსს არ ვიყენებ. გავისაპნე, ვცდილობ სიგარეტი მოვწიო, თან გავიპარსო, ძნელია. როცა პარსვა დავამთავრე, შვება ვიგრძენი. თითქოს უზარმაზარი წინააღმდეგობა გადაძლეა. თუ ჟანა ჯერ არ არის მოსული და დალაგება არ დაუწყია, სასტუმრო ოთახში შესვლას, ბუფეტის კარის გაღებას, ორი სირჩა კონიაკის დაღევას მოვასწრებ, რაც მდგომარეობიდან გამომიყვანს, მაგრამ თუ მოსულია და შემამჩნია ვსვამ, მისაყვედურებს, რაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს. უკეთესია ადრე ავდგე.

უკვე აღარ ვიცოდი, სად ვიყავი. თუმცა, ცხადია, ვხვდებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ერთდროულად აქაც ვიყავი და არც ვიყავი. მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მოძრაობდა ან უკვე ამოძრავდა. უცნაური ცვლილება მაშინვე ადვილად იგრძნობა ან დაუყოვნებლად მაშინვე, მაგრამ სიტყვებით ახსნა შეუძლებელია. ეს ჩემი სახლი იყო, იგივე სახლი, იგივე სავარძელი, იგივე ტახტი, იგივე ნოხი, და ამასთან ერთად, ეს არ იყო ის ნოხი, ის ტახტი, არც ის ნიგნები და არც ის კედლები. რაღაც აუხსნელი უცნაურობაა, ან უფრო, რაღაც უცნაურობა, რომლის მიზეზითაც გასაგებად ვერაფერი ავხსენი. არა, სამყარო იგივე აღარ იყო. აღარც საგნებია იმავე ადგილებში, სადაც უნდა იყოს. აღარც ცაა იგივე და არც ადამიანები. საქმე სხვანაირად იყო. ვინ ვარ?

სად ვიმყოფები? აუნერელია სევდა ახლა უკვე იმიტომ, რომ სიტყვებს აღარ შეუძლიათ აღნიშნონ ის, რასაც ადრე გამოხატავდნენ. გადაადგილება შემეძლო, სამზარეულოში შესვლა, კიბეზე ჩასვლა, გაზეთის ყიდვა, დაბრუნება, მაგრამ ეს ყველაფერი იმ სამყაროში ხდება, რომელიც უკვე აღარ იყო ადრინდელი სამყარო.

ადრე, როცა ცვლილებები ხდებოდა, რაღაც სიხარულის მსგავსი გრძნობა მეუფლებოდა, ახლა კი შიში მეძალბა. იქნებ უცბად ფესვებიანად ამომგლიჯეს და სხვა ადგილზე, ჩვეული სამყაროს გარეთ გადამრგეს. თითქოს და სამყაროს შეუძლია ჩვეული იყოს! თითქოსდა სამყაროს შეუძლია ნორმალური იყოს! თითქოსდა საკუთარი გულისცემის მოსმენა და სუნთქვა ბუნებრივი იყოს! რაღაც საგანს ვაკვირდები, რომელიც ჩემ ცხვირწინ აღმოჩნდა, სიმალღე მეტრი და სამოცდაათი, მეტრი და ოცი სიგანე, ორფრთიანი კარი, რომლის გაღებაც შეიძლება. შიგნით ლარტყეობა, რომლებზეც ტანსაცმელი ჰკიდია, ჩემი ტანსაცმელი, ხოლო თაროებზე თეთრეულია დალაგებული, ჩემი თეთრეული. ბუნებრივია, რომ მკითხონ, ეს რა ნივთიაო, ვეტყვოდი, ტანსაცმლის კარადაა-მეთქი. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო კარადა, არ შემეძლია გულწრფელად ვაღიარო, რომ ეს კარადაა, თუმცა სხვა რაღაცაც არ იყო. შემეძლო ყველასთვის მეთქვა, რომ ეს კარადაა. მაგრამ სიტყვები ტყუიან. არამარტო საგნები აღარ იყო იგივე საგნები, არამედ სიტყვებიც აღარ იყო იგივე სიტყვები. სიტყვები არასწორი მეჩვენებოდა. ასე მეგონა, საგნებმა დაკარგა თავისი დანიშნულება. რაღაცას ვაკეთებდი ამ საგნებით, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ისინი არ იყო განკუთვნილი იმისთვის, რასაც ამ საგნებით ვაკეთებდი და საერთოდ არც იმისთვის, რომ ისინი როგორღაც ყოფილიყო გამოყენებული. თითქოს უფლება არ მქონდა მათთვის ხელი შემიხსო. ახალ სამყაროში ჩავიძირე, რომლისთვისაც რა მექნა არ ვიცოდი. და რომელიც, როგორც ჩანს,

სრულიად უვარგისი იყო. იქნებ პარალელურ სამყაროში ვიყავი, სამყაროში, რომელიც ნეგატიური იყო ჩვენი სამყაროსი. ეს ყველაფერი მე არ მეკუთვნოდა და არც შეიძლებოდა ჩემი ყოფილიყო. სად გადამიყვანეს? სამყარო ქანაობდა. თითქოს ირგვლივ ყველაფერი შეცვალეს. ხელახლა შექმნილ სამყაროში აღმოვჩნდი. ჩემთვის იგი ხელახლა შექმნილი იყო. ალბათ ხელახლა უნდა შევიცნო საგანთა არსი და მათი დანიშნულება. მაგრამ დანიშნულებების ცოდნით, სულერთია მაინც შეუძლებელია ამ საგანთა არსის გამოცნობა. და ყველაფერი, რაც ჩემ ირგვლივ იყო, სხვა იყო. და თვით მეც, სხვა ვიყავი. რა მოხდებოდა თუ იატაკი ჩაინგრეოდა? ყველაფერს აქეთ-იქით ვისვრი. რა მოხდება, თუ მეც მომისვრიან? და საით? რაში? და რა არის ეს „საით“ ან „რაში“? თუ ვეცდები და წიგნს გადავშლი, რაღაცას ამოვიკითხავ, რაც ოდესღაც ბანალური და ჩვეულებრივი მეჩვენებოდა, ეს ბანალური და ჩვეულებრივი, რაღაც აუხსნელი სახით, ჩემ შესახვედრად მოიჩქარის. მრგვალ მაგიდას შევეხე, საკუთარ თავს ვკითხე, ასე რატომ ერქვა და რას ნიშნავდა. მე საიდან გავჩნდი? ვინ არის ვინ? როცა შიში არ მქონდა, რომელიც ამ მდგომარეობაში მაგდებდა, მაშინ მოუსვენრობა მიპყრობდა. თითქოს საკუთარ სახლში არ ვიყავი. არავითარი „საკუთარი სახლი“ საერთოდ არ არსებობს. არ არსებობს „საკუთარი“. ხელებს ვამოძრავებ და ვუყურებ. ასეთმა მოძრაობებმა, ალბათ, პატარა ბავშვის მდგომარეობაში ჩამაყენა, რომელიც თავის ხელებს უყურებს და არ იცის რა არის. ამას აღმოჩენის სიხარული რომ მოეტანა, ბედნიერი ვიქნებოდი. ოდესღაც აღმოჩენას აღფრთოვანებაში მოვყავდი, მაგრამ ახლა სიხარული აღარ მიპყრობს, გულს აღარ მიჩუყებს. სიხარულია, როცა რაღაც ზე-ბუნებრივი ძალის მეშვეობით უცბად ამჩნევ, რომ სამყარო აქ არის და რომ შენ ამ სამყაროში ხარ, რომ არსებობ, რომ მე ვარსებობ. ახლა კი ყველაფერი საგნების არარსებობას ამტკიცებს და ჩემ საკ-

უთარ არ არსებობასაც. გაქრობისა მეშინოდა. როცა ყურადღებით ვუსმენდი და ვუყურებდი იმას, რაც ოთახში იყო ან ფანჯრიდან ვიხედებოდი, მეჩვენებოდა, რომ პატარ-პატარა, შეუგრძნობი, მაგრამ საკმაოდ ხშირი მინისქვეშა ბიძგების გამო მთელი სამყარო ძალიან მყიფედ იქცა. ყველაფერი იფშენება, ყველაფერს არარსებულში ჩაქცევთა ემუქრება. სამყარო და რეალობა უფრო და უფრო ისწრაფის რღვევისკენ. ამ დეკორაციის უკან არსებობს კი რამე? რაღაც სხვა, თუნდაც სხვა დეკორაცია, თუ საერთოდ არაფერია? და რა არის საერთოდ არაფერი? რაღაც შერყეულად ვგრძნობ თავს. ამ შერყეულ სამყაროში. საოცარია, ერთდროულად არის ყველაფერი, ნამდვილი და არანამდვილიც, მაგარი, მტკიცეც, ამავე დროს ასეთი მყიფეც. ნუთუ ეს მართლა არსებობს? ნუთუ ადრეც არსებობდა? კიდევ ცოტაც დასუსტდება და ყველაფერი ნამსხვრევებად, ათასობით ნაკუნად იქცევა. მანათობელ ნაკერნკლად ვგრძნობდი თავს ცეცხლოვან ფოიერვერკში. სიცარიელის გამო გულისრევამ მომიარა. მერე პირთამდე სისავსის გამო მალეხინა. და ეს ყველაფერი თავს როგორ იმაგრებს, კიდევ რამდენ ხანს შეიმაგრებს, თუ, რა თქმა უნდა, დრო საერთოდ არსებობს. იქნებ მხოლოდ წამიერების გაელვებაა.

სავარძელში ჩავჯექი. უნებურად გაზეთი ავიღე. დანაშაულები, ომები, კანონის დარღვევები, განცხადებები, ახალი ფილმების რეკლამები: სხვა არაფერი. ეს „სხვა არაფერი“ როგორ აწვება კაცს ასე მძიმე ტვირთად? და ეს სიმძიმე იმავე დროს როგორ შეიძლება იყოს ასეთი მსუბუქი? ერთდროულად ძალიან მატერიალურიც და ძალიან არამატერიალურიც. ეს სამყარო მუყაოსია, ამ თეატრალურ დეკორაციას, როცა მოუნდებათ მაშინ შეცვლიან სხვა დეკორაციით. წარმოვიდგინე სამყარო, რომლის ერთადერთი აქტიორიც მე ვიყავი. იქნებ ავტორიც ან იქნებ ერთი რაღაც როლის შემსრულებელი. ფრთხილად ავდექი, ქუდი დავიხურე, პალტო ჩავიცვი,

აკანკალებული კიბეზე დავემვი, ქუჩაში მიმავალი ოდნავ ვბარბაცებდი, დროდადრო კედლებს ვეყრდნობოდი, თან მეშინოდა. ისინი ან გამჭყლეტდნენ ან გაქრებოდნენ ერთდროულად. კაფემდე მივალნიე. ოფიციალტმა ქალმა შემომხედა და მითხრა, ავად უნდა იყოთ, რაღაც არეულ-დარეული თვალეები გაქვთო. მე კი მომეჩვენა, მას ჰქონდა არეულ-დარეული სახე და საერთოდაც დაბნეულად გამოიყურებოდა. ჩემს სკამზე დავეცი, ჩემს მაგიდასთან, ფანჯარაში გავიხედე, გამსხლტარ სილუეტებს ვუჭვრიტე ერთხანს, რომლებიც თითქოს ბურუსიდან იმიტომ გამოდიოდნენ, რომ ისევ ბურუსში გახვეულიყვნენ და გამქრალიყვნენ.

— რაღაც კარგი იერი არა გაქვთ, ბატონო. დღეს მით უმეტეს.

— დღეს მით უმეტეს. დღეს უფრო უარესად, ვიდრე სხვა დღეებში. თუ, რა თქმა უნდა, სხვა დღეები საერთოდ არსებობს.

— სხვა დღეები იყო უკვე. და კიდევ იქნება. თითქოს ბურუსში ხართ.

— თქვენ კი იმ ბურუსიდან ხართ.

ოფიციალტმა ქალმა შემომხედა;

— რა მოგივიდათ? ექიმთან უნდა წახვიდეთ.

— დარწმუნებული ხართ, რომ არსებობთ?

ოფიციალტი ქალს თვალეები გაუფართოვდა:

— დარწმუნებული ვარ. გინდათ შემაშინოთ? თქვენც არსებობთ. გარწმუნებთ.

— ამას იქით შეიძლება არაფერიც არ არის, — ვუთხარი და ხელით ფანჯრები, კედლები, ქუჩა ვაჩვენე.

— რა გნებავთ, რომ ამას იქით იყოს? ის არის, რაც არის და ყველაფერი აქ არის.

— ყველაფერი, ასე გგონიათ? მაშინ ეს საკმარისი არ არის. ძალიან ცოტაა. და ეს ყველაფერი რაზე დგას?

ოფიციალტი ცოტა დაფრთხა. მოვწონდი, მაგრამ თავიდანვე ცოტა შერევილად მივაჩნდი.

— თქვენს ტყავში მუდამ ცუდად

გრძნობთ თავს. ამაზედაც მეტყვიით, რომ მე საიდან უნდა ვიცოდე თქვენს ტყავში როგორ გრძნობთ თავს, კარგად თუ ცუდად, და საერთოდაც, რა არის ეს ტყავი?

ნავიდა და ძალიან სწრაფად დაბრუნდა, კონიაკი მომიტანა.

— ეს გაგამხნევებთ. ფეხზე დაგაყენებთ.

ერთი მოსმით გადავკარი კონიაკი. ოდნავ გამათბო. ოფიციალტს ვუთხარი:

— როგორ ფიქრობთ, ეს დიდხანს გაგრძელდება?

— რა „ეს“?

— ყველაფერი ეს.

— გარწმუნებთ, ერთ-ორ დღეში არ გაქრება. ყველაფერი დიდხანს იქნება. მაშინაც იქნება, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით.

— და როცა გაქრება, მის მაგივრად რა იქნება? რალაც სხვა? ვერ ხედავთ, რომ ყველაფერი სხვადასხვა მხარეს მიცოცავს? არა, ვერ ხედავთ.

— თავს კარგად ვგრძნობ; მშვენივრად ვარ მოწყობილი. სამუშაო მძიმეა. რაც მეტს ვმუშაობ, მით მეტია გასაკეთებელი. ნაკლები რომ ყოფილიყო უფრო ადვილი იქნებოდა.

— მერე ეს ყველაფერი სად დაიკარგება?

— ისეთ კითხვებს მაძლევთ, არ ვიცი რა გიპასუხოთ. არასოდეს ამაზე არ მიფიქრია. არც ვიფიქრებ. ეტყოფა, ადამიანების გეშინიათ. თქვენ კი მე მაშინებთ... თქვენს გამო ვშიშობ. ნერვებმა გიმტყუნათ. საშიში არაფერია. ამის მოგვარება შეიძლება. აი, მეორე სირჩა კონიაკი. ექიმთან წადით.

— არა გგონიათ, რომ ექიმები თვითონ არიან ავადმყოფები? ვიცი, ეს ყველაფერი დროებითია, ყველანი დავისოცებით; ისინი კი გვეუბნებიან, ყველანი გიჟები ხართ თუ სიკვდილზე ფიქრობთ და თუ შიში განუხებთო. ეგენი ყველა ციხეში უნდა გამოამწყვდიოს კაცმა. მე ნორმალურად ვფიქრობ. ისინი არანორმალურები არიან.

— წავალ, ერთ კარგ ბიფშტექსს მოგიმზადებთ, შემწვარი კარტოფილით.

— ოღონდ კარგად შეწვით, გეთაყვა. ვხედავ, როგორ შემოდინ რესტორანში სხვა კლიენტები და მოჩვენებითი სითამამით სხდებიან.

— ვერ ხედავთ, — ვთქვი მე, — ესენი ყველა გამჭვირვალე კუბოებში არიან ჩაკეტილები.

ვილაცებმა შემომხედეს. ოფიციალტი ქალი მოვიდა და ხმადაბლა მითხრა.

— გაჩუმდით. თორემ თქვენ აღმოჩნდებით ჩაკეტილი.

მართლაცდა, რესტორნის დარბაზი ოდნავ ახმაურდა და ყველამ მე შემომხედა.

— ისედაც ჩაკეტილი ვარ, როგორც ყველა. ჩაკეტილი, იმავე დროს, მეტისმეტად ღიაც. მინა უხილავია.

გამოვედი. ვგრძნობდი, უკნიდან ყველა მე მიყურებდა. დიდი მოედნისკენ წავედი, საკმაოდ შორს არის და ჯერ ვერ მოვასწარი იმ ადგილების დათვალიერება. იქამდე ორი კილომეტრი მაინც უნდა იყოს. საინტერესოა, დიდი ხნისაა თუ ახალი გაკეთებულია? მოედანზე ხალხი ირეოდა. ისევ შეხლა-შემოხლაა. ადამიანთა ორ ჯგუფს ჟანდარმები შუაში მოემწყვდია და ერთმანეთს უტევენ. ლანძღვა-გინება, დარტყმები. ხელკეტებით თავში დარტყმები. დამტვრეული, დამსკდარი თავის ქალები, თავის ქალებიდან და უხილავი მინის ყუთებიდან ტვინის შხეფები. ერთმანეთს ხოცავენ. არ ვიცი, ეს ადამიანები როგორ ახერხებენ, რომ მუდამ სამი ერთზე მიდის. მოედანი სხეულებით იყო მოფენილი. პოლიციელებით გატენილი მანქანები მოედნის მომიჯნავე ოთხივე ქუჩიდან შემოვიდნენ. ჩაჩქნებს ირგვლივ ამათაც უხილავი მინის კუბოები ჰქონდათ შემოვლებული. ყვირილით ბრბოს შუაგულში შევვარდი:

— ისედაც კუბოებში ხართ. მოიცათ, ნუ ჩხუბობთ. საით მიგეჩქარებათ? რატომ ჩქარობთ ასე? მალე კაცი აღარ დარჩება.

არავინ მისმენდა ან მოსმენა არ უნდოდათ. მოედანზე და ტროტუარებზე, პირდაპირ მინაზე, უცნაური ფაფა წარმოიშვა. თავები ფეთქებოდა და ნან-

იღები აქეთ-იქით მიფრინავდა, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებიც. მე ვყვიროდი:

— განა მშვიდი, უხმაურო სიკვდილი არ გირჩევნიათ. რა მოვალენი ხართ ასეთი სისასტიკით ნაგლეჯებად აქციოთ ერთმანეთი. არჩევანი ხომ თქვენზეა.

ბრბოს შევეერიე, მოჩხუბართა შუა ჩავდექი. ერთი დარტყმაც არ მომხვედრია. თითქოს ვერც მამჩნევდნენ. მათთვის მხოლოდ ლანდი ვიყავი. თვითონაც ლანდები იყვნენ, ოღონდ მკაცრი და აღვზნებული ლანდები. ვცადე, ვილაცის მოქნეული ხელი, ვილაცის დასარტყმელად გამზადებული ფეხი შემეჩერებინა. პოლიციელები თავიანთი ხელკეტებით, მუზარადებით, ფარებით ჩხუბში ჩაერივნენ. კაცი ვერ გაიგებდა, ვის მხარეზე იყვნენ. იქნებ ყველას წინააღმდეგაც. ქანდაკების კვარცხლბეკის საფეხურებზე მოვახერხე აძრომა, მოედნის შუაგულში რომ იდგა. ახლა იქიდან დავიყვირე:

— მისმინეთ, მისმინეთ, ხალხო. თქვენი არბიტრი ვარ. ყველაფრის მოგვარება შეიძლება; თვითონვე შეგიძლიათ ყველაფერი მოაგვაროთ. სხვანაირად. მოდით, ერთად მოვიტათიროთ. ყველაფერი მორიგებით შეიძლება გადაწყდეს.

ერთი მოჩხუბარიც არ მოსულა ჩემთან. ჩემ გარშემო ერთიმეორის მიყოლებით ისევ ეცემოდნენ მიწაზე. მე ისევ დავიყვირე:

— ყველაფერი მორიგებით შეიძლება გაკეთდეს. დელეგატები აირჩიეთ. თქვენს დელეგატებს მითითებები მიეცით. ვხედავ, მესმის, რომ თქვენ ყველაზე მეტად არ გინდათ ერთმანეთს უსმინოთ. ასე რატომ ჩქარობთ? ასე რატომ ჩქარობთ?

სიცარიელეს ველაპარაკებოდი. სისავსისა და სიცარიელის ნარევს, სიცარიელეს ველაპარაკებოდი. ან მეტისმეტ სისავსეს. „ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც თქვენ ხართ, და იმავე ენაზე ვლაპარაკობ“.

იმავე ენაზე არ ვლაპარაკობდი. მოვახერხე და ქანდაკებას ხელი შემოვხვიე და

მის გვერდით მიმჯდარმა ყვირილი გავაგრძელე. ჩემი დანახვა ხომ მაინც შეეძლოთ. ჩემი ხმის გაგება ხომ მაინც შეეძლოთ. საკმაოდ ძლიერი ხმა მაქვს, ხელები და ფეხები კარგა გრძელი. საფრთხობელად მიმიღეს. ან უფრო, არაფრადაც არ მიმიღეს. ალბათ, საერთოდაც არავის დავუნახივარ. მხოლოდ ერთმა პოლიციელმა მკითხა:

— მანდ რას აკეთებ?

და ისევ თავების ბეგვას მიუბრუნდა.

ნელა ჩამოვედი ქვევით და ბრბოს შუაში აღმოვჩნდი, ხან ერთს ვეჭიდებოდი სხეულზე, ხან მეორეს:

— ყველანი შეიშალებით? — ვეუბნებოდი მათ, — თუ თქვენს ჭკუაზე ხართ, მითხარით, რა გინდათ. ყველაფერს მოვაგვარებ.

ისინი მაშინვე ხელს გამომგლეჯდნენ ხოლმე. მხოლოდ ერთმა მითხრა:

— გიჟი თქვენა ხართ, ვერ ხვდებით, რომ ჩვენი უფლებებისთვის ვიბრძვით!

— ჩვენი თავისუფლებისთვის, — დაუმატა მეორემ.

ვიკითხე, რა უფლებებზეა-მეთქი ლაპარაკი. ზუსტად რომელ თავისუფლებას მოითხოვთ-მეთქი. კაცმა არ მიპასუხა. ყველა ისევ თავების ბეგვას დაუბრუნდა.

ირგვლივ ყველგან მინის ნამსხვრევები ეყარა, ყველაფერი სისხლით იყო სავსე. დაუნდობლად იბრძოდნენ, მიმდებარე ოთხი ქუჩიდან ხალხი ემატებოდა და ემატებოდა. ზოგიერთები თავიანთი სახლების აივნებიდან გადმოდიოდნენ. ზოგი კი თავიანთი მანსარდებიდან წყალსადენის მილებს მოუყვებოდნენ. ხელებს ვიმტვრევდი; ამ ბრბოში მარტო ვიყავი:

— ეს ხომ ძალიან მარტივია და ადვილად მოსაგვარებელი.

ვილაცამ დაიყვირა:

— ყველაფერი რომ მარტივი იყოს, ასე რთული არ იქნებოდა.

იმათ, თავგახეთქილები მიწაზე რომ ეცემოდნენ, ნეტარი სახეები ჰქონდათ. ისინი კი, ვინც სხვების თავებს ამტვრევდნენ, გამარჯვებით იყვნენ აღტკინებული და ბედნიერებით სავსენი.

ოდნავ მოგვიანებით კი, ამათაც უხეთ-ქავდნენ თავებს.

ბოლოს ერთი ჯმუხი კაცი მომიახლოვდა და მითხრა:

— ვერ ხვდებით, რომ ეს სამოქალაქო ომია.

შებრუნდა და ისევ ჩხუბში ჩაერთო.

აი, თურმე რა, სამოქალაქო ომი! მან გაიგო, რაც მივადახე:

— ეს ნიშნავს, რომ ხოცვა-ჟლეტა გინდათ.

— ეს ნიშნავს, რომ ამის ატანა უკვე აღარ შეგვიძლია.

— კანონების შეცვლა საკმარისია. მაგრამ ამას არ იკმარებთ!

ისევ გავძახე:

— კანონების შეცვლა თქვენთვის საკმარისი არ არის. ყველა კანონი და ყველა საზოგადოება ცუდია. ნაიკითხეთ გაზეთები. განა კარგი კანონები არსებობს? განა კარგი საზოგადოება არსებობს? ომი ზეიმი და თქვენც ეს ზეიმი გინდათ... იცით, — ისევ გავძახე, — რომ მექსიკაში მხიარული სიმღერები მხოლოდ რევოლუციური სიმღერებია? რევოლუციები ამისთვის, რევოლუციები იმისთვის, ყველანაირი რევოლუცია. რევოლუცია ამის გამო, რევოლუციები იმის წინააღმდეგ, რა განსხვავებაა. ოღონდ დახოცონ და თვითონაც სასიკვდილოდ წავიდნენ. ვიცი, სიცოცხლე არ არსებობს. ვიცი, რომ სინამდვილეში არაფერი არსებობს. ვხედავ, ყველა ბობოქრობს და ხელკეტებს იქნევს. არარსებობა სისხლით არის გაჟღერებული. ჩვენ არ ვცოცხლობთ. რაღაც უცნაური ამბავია. ადამიანები თავებს იხოცავენ და ხოცავენ სხვებს, რათა დაამტკიცონ, რომ სიცოცხლე მართლა არსებობს. სინამდვილეში, არაფერი არ არის, გეუბნებით, არაფერი არ არის, არაფერი არ არის, — მთელი ძალით დავიღრიალე. ირგვლივ მიმოვიხედე და შევამჩნიე, რომ კაციშვილი აღარ იყო. უკაცრიელი დიდი მოედანი. დიდი ქალაქის დიდი მოედანი, რომელიც მაინც პროვინციული ქალაქის მოედანს ჰგავდა. ვნახე კი, ეს დამრბევი ხელკეტებიანი კაცები და ქალები? ან

პოლიციის მანქანები მართლა დავინახე? ან სისხლით მორწყული მიწა? მართლა შემომესმა სამხედრო და მხიარული სიმღერები? სად გაქრნენ ურჩხულები? სად გაქრა მათი მხიარულება?

ვიღაც მოხუცი მომიახლოვდა და მითხრა:

— ის, რაც თქვენ გჯერათ, რომ დაინახეთ, წარსულში, თითქმის ორასი წლის წინ მოხდა. ამ მოედანს ასეც ჰქვია „რევოლუციის მოედანი“. უახლოეს მომავალში შესაძლებელია ეს კიდევ მოხდეს. სახლში წადით. ასე მთავრდება ყველაფერი. დღეს სხვა კანონებია, რომლის წინააღმდეგაც უნდა ვიბრძოლოთ. ოღონდ დღეს არა. შეიძლება, ხვალ, ან იქნებ გუშინაც იყო ეს. ერთი ჩემი წინაპარი ამ ადგილზე იბრძოდა, თავი გაუხეთქეს; მეორე წინაპარიც ამ ადგილზე იბრძოდა. ის კარგა გვიან მოკვდა. თავის სახლში მოკვდა. სახლში. ამბობენ, ცოლმა მოწამლაო. კანონები აქ არაფერ შუაშია, არც პოლიტიკა.

ჩემს იდაყვზე ეკიდა მოხუცს ხელი. მოედნის ბოლომდე მიმაცილა და იმ ქუჩას დავადექი, ჩემს რესტორანთან რომ მიდიოდა.

ამ ხმაურისგან გაშტერებულმა, დამსხვრეული მინის გორებისა და მიწაზე გაშხლართული გვამების ნახვით შეძრწუნებულმა, იმ დარტყმებით, მე არა, სხვებს ურტყამდნენ, შეშინებულმა, რესტორნის კარი გამოვადე. იქ უკვე კაცი აღარ ჭაჭანებდა, მხოლოდ ოფიციალტი ქალი დამხვდა, რომელიც ჯერ არ ნასულიყო.

— სად არიან თავიანთ მინის კუბოებში ჩაჭედილი თქვენი კლიენტები? რევოლუციის დროს დაიხოცნენ?

შეწუხებულმა შემომხედა;

— ჭამეს და წავიდნენ, შეიძლება იჩხუბეს, სადღაც სხვაგან ერთმანეთი დახოცეს კიდევ, იქნებ სალამოს ყველა მოვიდეს, აპერიტივს დალევენ, ისაუბრებენ, ივახშმებენ. ხმაური არ გამიგია.

— ხმაური იყო, თანაც როგორი, შეხედეთ, ხელები სულ სისხლიანი მაქვს, მე კი არავინ მომიკლავს.

— ეს მხოლოდ საღებავის ლაქაა. ალბათ ახლად შეღებილ კედლებს შეეხეთ. მომეცით ხელები, სველი ჩვრით გაგინმენდო.

უსაზღვრო თანაგრძნობით შემომხედა და თქვა:

— ეტყობა, მაგარი შერყევა გადაიტანეთ. ნერვებმა გილაღატათ.

— თვითონ გაქვთ შერყევა, რადგან ნერვები წესრიგში გაქვთ. არ იცით, თქვენს ირგვლივ რა ხდება. თვითონაც ცოტა რამ ვიცე, სულ ცოტა.

— სულ მარტო ხართ, ბატონო.

— გარს ხალხი მახვევია, ძალიან ბევრი ხალხი, ძალიან ბევრი ხალხი ან არავინ.

ხელებს მიწმენდდა და მარწმუნებდა:

— სრულიად მარტო ხართ, მართლა მეტისმეტად მარტო ხართ. ცოლი გჭირდებათ. იქნებ მე გამოგადგეთ...

მაკოცა. ინიციატივა მე უნდა გამომეჩინა-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ ეს ისეთი ტკბილი იყო, თან მომეჩვენა, რომ ნამდვილი იყო და რეალური.

ჩემთან დაბინავდა. სანოლი დიდი იყო. ადგილი საკმარისი. დილაობით, მზის სინათლეზე, მისი შიშველი ძუძუების ხილვა დიდი ნეტარება გახლდათ. ზოგჯერ მაშინებდა კიდევ. ღამით უძილობა მჭირს, ერთხელ, ეძინა და ოდნავ ხვრინავდა, პერანგი გადასწეოდა და შიშველი ბარძაყები უჩანდა. ქალური სასქესო ორგანოს ადგილი, მუცლის ქვემოთ ფეხებს შორის, მუდამ რაღაც ჭრილობად მეჩვენებოდა. პირდაღებული უფსკრულის მსგავსი, უფრო მეტად კი უზარმაზარი, განუკურნებელი, ღრმა, ღია ჭრილობა მეგონა. რაც ჩემში ყოველთვის სიბრალულსა და შიშს იწვევდა: დიახ, ზუსტად უფსკრული. ფრთხილად დავაფარე საბანი. არ გაუღვიძია. მე კი ოთახში, მთელს ბინაში, მთვარეულივით განვაგრძე ხეტიალი. სიგარეტს სიგარეტზე ვენეოდი, არადა, თითქმის გადაჩვეული ვიყავი მონევას, ბოლოს დაღლილობისგან ძალაგამოცლილი მის გვერდით მივწექი, რაც შეიძლება შორს მისი ჭრილობისგან, ვცადე დამევიწყებინა მისი ჩანაჭერი და

სანოლის ჩემი ნახევრის უკიდურეს კიდზე მივიკუჭე. როგორც იქნა, მარჯვენა გვერდზე გადაბრუნებულს ჩამეძინა.

იმის მიუხედავად, რესტორანში უამრავი საქმე ჰქონდა, სახლის საქმეებსაც ასწრებდა, ამიტომ მსახური დავითხოვე. მეზობლებმა, ჩემს სახლში შემოსული ქალი რომ დაინახეს, მშვიდად ამოისუნთქეს. შეხვედრისას ცელქურად მიღიმოდნენ, უფრო მშვიდად და უფრო მხიარულად. მათი აზრით, უფრო ნორმალური და ნაკლებად შფოთიანი გავხდით. მიუხედავად დაღლილი სახის ნაკვთებისა, ეს ქალი მომწონდა, სიჯანსაღით სავსე ღიმილი ჰქონდა. დილაობით სააბაზანოში მღეროდა. მე არასოდეს მიმღერია. სტვენითაც არ მისტვენია. დაუნდობელი, არაფრით გამართლებული ტანჯვის ტყვე ვიყავი. ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ჯანმრთელობა და ნორმალური მდგომარეობა გაუმართლებელი იყო.

როცა დილით მასზე ადრე ვიღვიძებდი, ისეთი დიდი სიხარული მეუფლებოდა, დიდი ხანი რომ არ განმეცადა. შორეული მოგონებები — ნახევრად ნათელი, ნახევრად ბნელი, ნახევრად დაჩრდილული, ნახევრად ფერადოვანი — მეძალებოდა. რაღაც ისეთი, რაც ძალიან შორეული იყო, იმავე დროს, უსაზღვროდ ახლოც, ძალიან უცხოც და იმავე დროს, ახლობელიც, ძალიან მართალიც და ძალიან არამართალიც, ეს იყო... დიდი ხნის წინ, დიდი ხნის წინ... რაღაც მოვლენა.. ველარ ვიხსენებ, მაგრამ რაღაც იყო. ამ ნახევრად ნათელი, ნახევრად ბნელი სურათის წინ რაღაც გრიგალი დანავარდობდა. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ჩვენ ხომ არ ვიყავით, ის და მე, ახალი სამყაროს შექმნის ფუნდამენტი. აღდგენილი სამყაროს საფუძველი. უხვრელო და უნაპრალო სამყაროსი. საიმედო სამყაროსი, რომლის შექმნაც უფალმა ღმერთმა მოახერხა და გამოუვიდა. სწავლულმა მეგობრებმა მითხრეს, თურმე კაბალაში<sup>12</sup> მინიშნებულია, რომ ღმერთს ოც-

<sup>12</sup> კაბალა — მოძღვრება იუდაიზმში.

დაშვიდჯერ უცდია სამყაროს შექმნა. როგორც ჩანს, ამჯერა, ეს ცდა ოცდამერვა და წინანდლებზე ნაკლებად წარუმატებელი. იმ წინანდლებს რა დაემართათ? როგორ გამოიყურებოდნენ? და როდის შეიქმნება წარმატებული? ასე მგონია, იმაზე, რაც ახლაა, უკვე უარი თქვა და ხელს აღარ გვიშლის სიცარიელისა და არყოფნის უფსკრულში გადავშვავთ. ჩვენ მხოლოდ დროებითი კუნძული ვართ და ჯერ გადაწყვეტილი არ არის, შეუერთებენ თუ არა საბოლოოდ დადგენილ სამყაროს. ზოგჯერ ჩვენამდე რალაც ამბები აღწევს. დილაობით, გამთენიისას, როცა მას ისევ ეძინა, ჩემი ფანჯრების წინ არნახულად მგლოვიარე პროცესიები მიდი-მოდიოდა, უამრავი ყვავილებით, გვირგვინებით, წარწერებიანი ლენტებით. აქ იყვნენ თავიდან ფეხამდე შავებში გამონყობილი შლაპიანი თავმომწონე ბატონები და შავებით მორთული მედიდური ქალბატონები შავივე პირბადეებით. ერთხელ გავაღვიძე;

— მოდი, შეხედე, — დავუყვირე — გაიხედე, ჩვენს ფანჯრებს იქით რა ხდება.

წამოხტა, ნახევრად მძინარე ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა, მერე ისევ დანვა და მითხრა, რომ სიზმრები ცხადად მესიზმრება. სხვა დღეებში, მიუხედავად ჩემი მოლოდინისა, მთელი კვირების განმავლობაში არაფერი მომხდარა.

სწრაფად იცვამდა, სწრაფად იბანდა და სამსახურში მიდიოდა; მე კი უნებურად მის დამსკდარ ხელებს ვუყურებდი. არსად მეჩქარებოდა, რძიან ყავას მივირთმევედი, რომელსაც ის სამსახურში წასვლამდე მიმზადებდა, თან ცოტა კონიაკს ან რომს ვაყოლებდი და აუჩქარებლად ვიცვამდი. როცა აპერიტივის დრო დგებოდა, მასთან რესტორანში მივდიოდი და ვხედავდი, უამრავი საქმე ჰქონდა, საკუთარ თავს აღარ ჰგავდა და თითქოს სხვა ადამიანი იყო. მერე სადილობის დრო მოდიოდა. ამაოდ ვცდილობდი სასეირნოდ წასვლას და მეგობრების მონახულებას, როგორც ის

მირჩევდა. ვცდილობდი, მაგრამ არ შემეძლო, შინ ვბრუნდებოდი, ველოდი როდის მოვიდოდა სალამოს აპერიტივის, ვახშმის, ორივეს სახლში დაბრუნების დრო. ზოგჯერ კეთილი რჩევა-დარიგებებით მავსებდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა ეს იშვიათადლა ხდებოდა; უფრო ხშირად აღარც ვლაპარაკობდით. ხელიხელგაყრილი ჩვენს ქუჩაზე მოვდიოდით, კიბეზე ავდიოდით და სახლში შევდიოდით. დაბნეულად ვკითხულობდი გაზეთს, სურვილით აღვსილი ველოდი როდის გაიხდიდა. მის გვერდით აღვზნებული ვწვებოდი, სიყვარული უფსკრულში გადაშვებას ჰგავდა, ისეთს, როგორც სასონარკვეთაა, როგორც სიკვდილია და სიკვდილთან შეგუება. მერე უცბათვე ვიძინებდით. მალევე მეღვიძებოდა და სიგარეტით ხელში ოთახებში ვინყებდი ხეტიანს. ნაღველი მახრჩობდა: ასეთ ცხოვრებას როდემდე გაუძლებს-მეთქი, ვეკითხებოდი საკუთარ თავს, კიდევ რამდენ ხანს? ჯანმრთელი ქალი იყო და დიდხანს ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ექიმები, ჩემს ნევრასტენიას დაარქმევდნენ.

დროდადრო მინდოდა მეთქვა, რომ სამუშაო მიეტოვებინა. მერე გადავიფიქრე. ის ჩემგან არაფერს ითხოვდა, მაგრამ მე ხომ მისი რჩენის შესაძლებლობა მქონდა. ოღონდ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ჩვენ, ის და მე, ახალი ევა და ადამი გავხდებოდით. რა საშინელი შრომაა! ასე მეგონა, ახალი ატლასი გავხდებოდი. და ასე გავრძელდებოდა საუკუნეები და საუკუნეები. როგორც კი გავიაზრებდი, რომ შეიძლებოდა ამ ქვეყნისთვის ახალი კენი მომეკლინებინა, პანიკაში ვვარდებოდი. რა სულელური აზრია, ჩემთვის ვბჭობდი ცუდ წუთებში, ყველაფერი თავიდან დაიწყო ზუსტად იმ დროს, როცა ყველაფერი უკვე დასასრულისკენ მიდის, და ასე ადვილია ყველაფრის საბოლოო დამთავრება. ამის გარდა, სინანულიც იყო, იმაზე, რაც არ ყოფილა და რაც შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო. უყურადღებობის გამო რამდენი საქმე, რამდენი თავგადასავალი, რამდენი სიყვარული,

რამდენი რამ გავუშვით ხელიდან, რადგან ცხოვრება არ ვიცით, რადგან ყოველ ნამდვილ წუთში მთელი სისრულით ჩანვდომის უნარი არა გვაქვს. თუმცა, ეს ყველაფერი ლიტერატურა იყო. ჩემი მოსწავლეობის დროს წაკითხულიდან გადმოსული მოგონებები.

ამ ოფიციალტი ქალის ჩემ გვერდით ყოფნა, ახლა ჩემთვის უსაზღვროდ სასარგებლო იყო. ძალიან მანუხებდა მისი დამსკდარი ხელები, ოდნავ რომ მოევლო, ძალიან ლამაზი ხელები ექნებოდა. საკმაოდ ლამაზი ქალი იყო, პატარა ტანის. გრძელი ნამწამები ჰქონდა, ლამაზი შავი თვალები და ოდნავ მკაცრი სახის ნაკვთები. ერთად რომ გვეცხოვრა სიკვდილამდე, ის წელში მოიხრებოდა, მე კი ჯოხზე დაყრდნობილი ძლივს ვივლიდი. ეს სურათი მაძრწუნებდა. ფანჯრიდან გავიხედავდი თუ არა, მაშინვე ასეულობით მოხუცს, კაცსა თუ ქალს ვხედავდი ჯოხით ხელში, წელში მოხრილნი ქუჩაში რომ მიდიოდნენ; იქნებ სადღაც მოშორებით ერთად გროვდებოდნენ კიდეც. მახსოვს მოხუცების ერთი შეკრება. ხველებ-ხველებით იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ ცხოვრება მშვენიერია, პენსიონერთა უფლებების გაზრდა მოითხოვეს, და მშრომელ ხალხთან ერთობა გამოაცხადეს. მე მათზე მოხუცი ვიყავი.

ის აზრი, რომ ამ ოფიციალტი ქალისთვის შემეძლო უკეთესი ცხოვრების საშუალება მიმეცა, ჩემს სხვა მოსაზრებებს ერეოდა. როგორ მოვიქცე? ახლა ყველაფერი კარგად არის, ანუ, ვთქვათ, კარგად არის, ვიდრე ცუდად. ხვალ გამოჩნდება. იქნებ ან მე ან ის მალე დავიხოცოთ კიდეც. უფრო ის. უბედური შემთხვევის გაფიქრებაც კი სასონარკვეთაში მაგდებდა და ვიდრე ქუჩას გადავჭრიდი, დიდხანს ვყოყმანობდი.

როცა გაიღვიძა, გულლიად გავუღიმე, თავი ძალიან დიდსულოვან ადამიანად ვიგრძენი და ვუთხარი: „დიდი ხანია მინდა გითხრა, საკმაო ფული მაქვს, იქნებ სამსახური მიატოვო. მართლა საკმაო ფული მაქვს“.

მიპასუხა, რომ თვითონაც უკვე დიდი

ხანია ელოდა ჩემგან ასეთ შეთავაზებას, მას შემდეგ, რაც ერთად დავიწყეთ ცხოვრებაო. ახლა ისიც ისევე ყოყმანობდა, როგორც მე ვყოყმანობდი. მისთვის ადვილი არ იყო ჩემნაირ ნევრასტენიკთან ცხოვრება. განუწყვეტლივ ჩემზე ზრუნვა, ნუგეშისცემა და მხარში ამოდგომა. მუშაობას ამჯობინებს, სამაგიეროდ, მოვალეობები არ ექნება, თანაც, არც იცოდა ჩემთან დიდხანს დარჩებოდა თუ არა. ერთი პიროვნება თურმე სხვა სამუშაოზე გადაყვანას ჰპირდება, გარდა ამისა, ეს პიროვნება მოსწონდა კიდეც.

— გინდა, რომ მიმატოვო? მალე?

ღრმა, მწარე სინანულის გრძნობამ შემეპყრო. ბედნიერება ჩემ გვერდით იყო. და კიდეც ერთხელ ხელიდან გავუშვი. ბედს უნდა დამეხმაროს, განგება თავის ანგელოზებს მიგზავნის, მე კი მათ ხელს ვკრავ ან ვერ ვამჩნევ. ალბათ ბალები, ქუჩები უკვდავების წყაროებით სავსეა, მე კი მათ ვერ ვხედავ. სადღაც აუცილებლად არის. სახლიდან გამოსვლისას ხელები ფართოდ გავშალე იმ იმედით, იქნებ შემთხვევით ერთ-ერთს ნამოვდებოდი. მშრალი ამინდები იდგა და წვეთი წყალი არსად იყო. გამვლელები მაგინებდნენ. სასონარკვეთილი იმედით მაინც ხელგაშლილი მივდიოდი, მეგონა, სიცოცხლეს ვიპოვიდი. სასონარკვეთილი იმიტომაც, რომ მალე მიმატოვებდნენ. ნევრასტენიკთან ცხოვრება უფრო მძიმე ყოფილა, ვიდრე მძიმე სამუშაოს შესრულება. ყურებში გამუდმებით მის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები მესმოდა. როცა რესტორანში მივედი, ის თავის ადგილზე დამხვდა, ისე მიჰქონდა და მოჰქონდა თეფშები, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მეგონა, ორმაგი ცხოვრებით ვცხოვრობდი: ერთი მხრივ, უცვლელი ყოველდღიურობა გრძელდებოდა, მეორე მხრივ კი, რაღაც დიდი ძვრა მოხდა და უზარმაზარი ნახვრეტი წარმოიშვა. ვახშმის შემდეგ, ჩვეულებრივ დაველოდე და სახლში წამოვედი, სიტყვა არ უთქვამს, ოღონდ სახე შეეცვალა, ქანდაკებას დაემსგავსა, უფრო იმ ფიგურას, რომელიც რაღაც საიდუმლოს ფარავდა.

რესტორნის ერთი კლიენტისგან გავიგე, რომ სამსახურიდან მიდიოდა. იმ საღამოსაც ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს. დაძაბული კი ველოდი ერთ სიტყვას, ერთ შემოხედვას.

მეორე დღეს, დილით, საუზმობისას, გამომიცხადა, რომ მიდიოდა. საშინლად ცუდი ღამე გავატარე, ნახევარი ღამე არ მიძინებია, მეორე ნახევარში კი რაღაც გაუგებარი, კომმარული სიზმარი ვნახე და სრულიად მომზადებული შევხვდი ამ ამბის გაგებას. მესიზმრა, სამყარო ფეხქვეშ გამაღებული გამირბოდა, აქოშინებული მივდევი, რომ დავწვდი. საცაღფებო ხიდზე ვიდექი უფსკრულის თავზე. აფრენას ვცდილობდი, მაგრამ ეკალბარდებსა და გარეულ ცხოველებს შორის მიძიმედ ვენარცხებოდი.

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეულია.  
— ბოლოს და ბოლოს მოვახერხე და ამოვლერღე.

— ჩემთვისაც ძალიან მტკივნეულია ტკივილს რომ გაყენებ, მაგრამ რა ვქნა. შენ განუწყვეტლივ დუმდი, შენს ფიქრებში იყავი ჩაფლული. ისიც არ ვიცი, ფიქრები იყო თუ სხვა რაღაც, მხედველობაში მაქვს, შენ ისეთი ფიქრები არა გაქვს, როგორც ჩვენ გვაქვს. გიჟი არა ხარ, მაგრამ ზოგჯერ გიჟურად იქცევი.

— იმიტომ, რომ გონიერი ვარ... იმიტომ, რომ ვხედავ და ვიცი. როგორ ავიხსნა? უცნაურად არასოდეს მოგჩვენებია, რომ რესტორანში ხარ ან ქუჩაში ან ჩემ გვერდით? ამ ყველაფერში საკვირველს ვერაფერს ხედავთ? აი, ამ ყველაფერში. — ხელი სივრცეს მოვატარე.

— ხომ ხედავ, სხვადასხვა ადამიანები ვართ. ყველაფერს სხვადასხვა თვალთ ვუყურებთ.

დამბლადაცემულივით შევესისხლბორცე სავარძელს. ვუყურებდი, როგორ ემზადებოდა წასასვლელად. ჩემოდანი, მეორე ჩემოდანი. შემომესმა, უკანა ოთახში კარი როგორ გაჯახუნდა, მერე დაბრუნდა, მომეჩვენა, რომ ჩემოდანში კიდევ რაღაც ნივთები გულგრილი სახით ჩატენა. მათ დაკეტვაში მივეხმარე.

ბოლოს მითხრა: „გამიჭირდა ამ გადწყვეტილების მიღება, მაგრამ შენ მეტისმეტად... მეტისმეტად ისეთი ხარ, როგორც ხარ. მეგონა, ჩემ გვერდით შენი ავადმყოფობა უკან დაიხევდა.

— რომელი ავადმყოფობა?

თითოთ თავი მაჩვენა.

— თვითონაც ხვდები. მაინც მიყვარხარ, ძველებურად მიყვარხარ. მაგრამ დუმდი, შენი სიფათის, შენი შეშინებული მაიმუნის თვალების ატანა ველარ შევძელი. თანაც ყველაფერს თავისი დასასრული აქვს“.

ჩემოდნები ქვევით ჩავიტანე. ტაქსი გამოვიძახე. ბოლოს ვკითხე:

— რესტორანში ვინ მომემსახურება?

— ჩემი შემცვლელი. შენზე უკვე ველაპარაკე. ნახავ, ძალიან სასიამოვნო ქალია. შენი მაგიდაც ვაჩვენე.

ვიფიქრე, იმ რესტორანში მისვლას ვერასოდეს შევძლებდი, სხვა უნდა მეძებნა ან საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყავი, მაგრამ ეს უფრო ძნელი მეჩვენა. ცალკობად მაკოცა და წავიდა.

უცნაურია. თითქოს სამყაროს ნაწილი უცბად უფსრულში ჩაინთქა. რა დაემართა წარსულ ცხოვრებებს, უძველეს ტაძრებს, ხალხებს? ყველაფერი დაიქცა. ალბათ სხვაგან, სხვა ადგილებში გამოჩნდნენ, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით, სრულიად არაფერი.

სამყაროს ზღვარზე აღმოვჩნდი. ჩემ წინ ქაოსის უძირო ხვრელს დაელო პირი. ყველა ქმნილება ჩემ უკან დარჩა. სამყარო ჩემ უკან იყო და მთელი თავისი სიმძიმით უფსკრულისკენ მიბიძგებდა. რა თავბრუდამხვევია! უკან დახვევა მინდოდა. მაგრამ განძრევის მეშინოდა. ნაბიჯს წინ გადავდგამ და დავეცემი, ხელს მტაცებს, გადამყლაპავს, გავიხსნები, გავდნები არაფერში. თვალი დავხუჭე, არ მიშველა, გულზიდვა და თავბრუსხვევა მხოლოდ გამიძლიერდა. კოსმოსი გადატრიალდა. რა ემართება ამ სამყაროს, მეტისმეტად მძიმეა თუ მეტისმეტად არამყარი? თანაც შეიძლება წამიდან წამში გაქრეს. ანდა თავისი სიმძიმით გამჭყლიტოს. სისავსესა და სიცარიელეს შორის ჩავჯექი.

ვილაც ადგომაში დამეხმარა. ქურა ძველებურად თავის ადგილზე იყო, იგივე გამვლელით, იგივე სახლებით. ვილაც ახალგაზრდა კაცის მტკიცე ხელი ვიგრძენი. ის არსებობდა, მეც ვარსებობდი.

— ყველაფერი თავის ადგილზეა, — ვთქვი, — საოცარია, ბატონო, ყველაფერი თავის ადგილზეა. გმადლობთ, რომ დამეხმარეთ.

— ყოველთვის თავის ადგილზე იყო და ყოველთვის თავის ადგილზე იქნება. საშიში არაფერია.

— ზუსტად ამ არაფრის უნდა გეშინოდეს.

ჩემს ფეხქვეშ მინა მაინც მყარი იყო. მისი ურყეობა გადმომედო. უკვე უკეთ გავხდი. ჩემი გაუბედავი ნაბიჯები მტკიცე გახდა. კიდევ რამდენიმე წამი და სიხარულიც მოვიდა. იქნებ ჯერ არაფერია დაკარგული, იქნებ არც არაფერი დაიკარგება. იქნებ დრო თავისი მსვლელობისას მარადიულობას უერთდება. ყოველი რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კედლებს ვეხები, მათი უხეში და მკვრივი რეალობა რომ ვიგრძნო. შეიძლება, ის, რაც არსებობს, იმის მსგავსია, რაც არის. შეიძლება, ეს ყველაფერი, მთელი სამყარო უწყვეტი რეალობა ან აბსოლუტური რეალობის სამოსი. უბრალო ფარდა, რომელიც მას ფარავს. ეს მილიარდობით სახე, ხმა, ერთდროული თუ ერთმანეთში მონაცვლე, იქნებ მყარ, უცვლელ საფუძველსაც ეყრდნობა. ეს შესაძლებელია. სასონარკვეთით მსურდა, რომ ასე ყოფილიყო. ამკარად რაღაც არსებითი მაკლდა. ისეთი არა ვარ როგორც სხვები არიან. ნუთუ ავადმყოფი ვარ, გონებასუსტი? სხვები ჩემ უკან მშვიდად მოაბიჯებენ, ჩემ წინაც, გვერდითაც; იქნებ ინტუიციურად ისეთი რაღაც იციან, რაზეც მე წარმოდგენა არა მაქვს? მხოლოდ მე მიპყრობს პანიკა, უწყვეტი პანიკა, დღითიდღე, საათობით, წუთი-წუთზე, კოშმარი მემატება, მაგრამ გავიღვიძებ, იმის რეალობას ჩავწვდები, ურყევად რომ დგას იმის უკან, რაც ირყევა.

ადამიანები დადიან, მეჯახებიან, გავლისას მიყურებენ თუ ეს მხოლოდ მხედველობითი ლანდებია? შეშინებული გამოხედვა, თუ დამამშვიდებელი. გამვლელი, რომლებიც მიდიან და მიდიან.

რესტორანში შევედი. ჩემს მაგიდას მივუჯექი. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაფერი საიმედოდ გამოიყურება. ახალმა ოფიცინტმა ქალმა ღიმილით დასალევი მომიტანა.

მოულოდნელად, იმის გახსენებაზე, რომ ის, მეორე, წავიდა და ისევ მარტო დავრჩი, გული შემეკუმშა. როცა ტაქსი დაიძრა, ის რომ მიჰყავდა, რალაცნაირ, ნახევრად უგრძნობ, ოდნავ თავზარდაცემულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ახლა გავაცნობიერე სრულად, რომ ის წავიდა. ნუთუ იყო დრო, როცა ის აქ იყო? განა იმ წუთებს ხელით შეეხები? ნუთუ ის სურათები ამკარაა, მოგონებები კი ნამდვილი? ასეა თუ ისე, მხოლოდ მაშინ ვიყავი დარწმუნებული, როცა რალაცას ხელის შეხებით ვგრძნობდი; მაგრამ ის, რაც გადავიტანე, ნამდვილი იყო თუ წარმოსახვითი? იგი უკვე აღარ არსებობს. იქნებ არც ადრე არსებულა, მაგრამ როგორ დავრწმუნდე, რომ მოგონებები არც სიზმრები იყო და არც ფანტაზიები? ყველაფერი ეს კვამლია, კვამლიც არა — ორთქლია, თუ ცხადია, ამას კვამლი ეთქმის. დრო გაანადგურებს, დავინწყების ბურუსში გახვევს ამ სახეებს. და უკვე აღარ არის და არც ყოფილა. არაფერი იყო. არც არაფერი ყოფილა.

— თქვენი მეგობარი იყო, არა, — ვკითხე ახალ ოფიცინტ ქალს.

— ცხადია. ნუ ლელავთ. თავის ამბებს გაგვაგებინებს.

ვიდრე საუზმეს მომიტანდნენ, მთელი ღვინო დავლიე. კიდევ შევუკვეთე. როგორც ყოველთვის, ახლაც ქურაში მოძრაობას ფანჯრიდან ვუყურებ. ამისგან აღარაფერი დარჩება, მაგრამ როგორ შეიძლება აღარ იყოს ის, რაც არსებობს? და სად იყო ადრე? სად არის ის, რაც გაქრა? რომელ უფსკრულში შთაინთქა? და მაინც იგი სადღაც უნდა აღმოჩენილიყო. მტკვრიც კი აღარ დარ-

ჩა. დიახ, ის რაც იყო, თუ მართლა იყო, არ შეიძლება ასე უცბად ჩაქრეს. მაგრამ აღარ არის, ეს რას ნიშნავს? დროში, მომავლისკენ მავალმა, ეს უკან მოვიტოვე. თუ უკან მივიხედავ და განვლილს ევოლუციის დღევანდელი დონის სიმაღლიდან გადმოვხედავ, მხოლოდ ბურუსს დავინახავ. იქნებ დაბრუნებულმა, უკანა გზაზე მომავალმა, შევძლო და ისევ ვიგრძნო, ხელი შევახო იმას, რაც უკვე იყო. მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი გაქრა, თითქოს არცა ყოფილა, წარსული დაიკარგა, სახეები წაიშალა. ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ეს ყველაფერი იყო? წარსული მოკვდა, გვამიც არ დარჩენილა. ვილაც ხომ იყო და... არა იყო რა.

ახლა სულ მარტო დავრჩი. ვგრძნობ, როგორ მანვეება ჩემი უბედურების ტვირთი. ბევრი დავლიე. ანგარიში გადავიხადე, ავდექი, ახალ ოფიციალტს დავემშვიდობე, მარჯვნივ წავედი, კუთხეში მოვუხვიე, ჩემს ქუჩაზე გავედი, ჩემი სახლის შესასვლელამდე მივალწიე და მეკარე ქალს მივესალმე. რა თქმა უნდა, კარგად დანახა, რომ ის ქალი წავიდა. მეკარე ქალმა არ გამიღიმა. ალბათ ფიქრობდა, რომ ის ჩემი მიზეზით წავიდა. რომ მე არანორმალური ვარ. ალბათ უნდოდა დაწვრილებით ჩემგან გაეგო, ალბათ უნდა დავლაპარაკებოდი, ამეხსნა, რაც მოხდა, მაგრამ ასვლა გადავწყვიტე. კარწინ, გასაღებით, დიდხანს ვიდექი და ვყოყმანობდი. მეზობლის ქალი ძალღთან ერთად თავისი ბინიდან გამოვიდა. ბოლოს გავბედე და კარი გავაღე. ერთი ჩუსტი დარჩენია, რომელიც იქვე, ბნელ დერეფანში ეგდო. ნაკვალევი. ის აქ იყო. აქ ცხოვრობდა. ერთადერთი ხელშესახები საგანი იმისა, რაც იყო. როგორ ხდება, რომ ახლანდელი წარსული ხდება? რა არის დრო? არარაობის მომმარაგებელი. ყველაფერი მყარი უნდა დაბადებულიყო, ურყევი. ჩუსტი ავიღე. ეს მოწმე იყო. პალტო გავიხადე, შლაპა მოვიხადე, ბნელ დერეფანში საკიდზე დავკიდე, სასტუმრო ოთახში შევედი, ფანჯარასთან სავარძელში ჩავეშვი. ჩემი ბინა უკაცრიელი იყო, ისეთივე ფართო, რო-

გორც სამყარო. ის ქალი, რომელიც ვილაცის გამო ჩემგან წავიდა, ალბათ იმ ვილაცას შეხვდა. რალაც უსიამოვნო ვიგრძენი, ეჭვს ჰგავდა. რა უცნაურია. ნუთუ იმ ქალს მივეჩვიე? დიახ, ცხადია. მაშასადამე, რალაც მაინც მაკავშირებს სამყაროსთან. ამან თითქმის გამახარა.

დიდი ხნის სიმშვიდის შემდეგ, სამხედრო მოქმედებები ისევ განახლდა. ახლა ბრძოლა მოედანზე მიმდინარეობდა, ჩემი ქუჩიდან საკმაოდ შორს. ალბათ მასში ჩემი კვარტლის მცხოვრებლებიც მონაწილეობდნენ. რა თქმა უნდა, ბევრი არა, შეიძლება ორი თუ სამი. ბინდ-ბუნდში ერთი დავინახე თავშეხვეული. ერთხელ, დღის პირველ საათზე, რესტორანში სადილობისას, კიდევ ერთი ვნახე, მხარზე კარაბინგადაკიდებული შემოვიდა. კლიენტთა უმრავლესობამ ყურადღებაც არ მიაქცია და ჭამა განაგრძო. დახლთან მოსულს რამდენიმე კაცი შემოერტყა გარს. ანისის ლიქიორი მოითხოვა. სხვებმაც იგივე შეუკვეთეს. ის ბრძოლის ველიდან მოდიოდა. ხმამაღლა ლაპარაკობდა. ესენი კი პატივისცემით უყურებდნენ და უსმენდნენ. იმ მიზეზებზე ჰყვებოდა, რატომაც მოხალისედ ჩაენერა, მისი განმარტებები სამართლიანი მეჩვენა. თვითონაც არ ვიყავი კმაყოფილი იმით, როგორც ეს სამყარო იყო მოწყობილი. ის საზოგადოებაზეც ალაპარაკდა. ხელებს ენერგიულად იქნევდა. ადგზნებული იყო და იმის მიხედვით, როგორც ლაპარაკობდა, სულ უფრო ეგზნებოდა. სხვები, ხუთი კაცი და ერთი ქალი, მონონების ნიშნად თავს იქნევდა. ქალი, პატარა, გამხდარი, ნერვული, შავგვრემანი, ამბობდა, დროა ამ ყველაფერს ბოლო მოელოსო. „საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ვაჟკაცები“, — დაიყვირა და შებრუნდა მაგიდებთან მსხდარი ადამიანებისკენ, რომლებიც, ეტყობა, არ უსმენდნენ ან თავს იკატუნებდნენ, თითქოს არ უსმენდნენ. იმ პატარა ჯგუფში მებრძოლს გარს რომ ერტყა, სპეცტანსაცმლიანი ორი მუშაც ერია. ორი სხვაც, საშუალო ასაკის, ამკარად

წვრილი ჩინოვნიკი. ერთი მათგანი, თავის დროზე, რომელიღაც ქვეყნის რევოლუციონერთა რიგებში იბრძოდა თურმე, მივხვდი, სარდინია ჰქონდა მხედველობაში. მეორე, თეთრწვერა პატარა მოხუცი, ახალგაზრდობაში ანარქისტი ყოფილა. ის ამბობდა, მთავარია, მტერს არ დანებდეთო. „ჩემ დროს“, — დაუმატა მან, — „ჩემ დროს...“. „დიახ, — კვერი დაუკრა კარაბინიანმა კაცმა, — ან ახლა ან არასოდეს“. „ჩვენ მათ გავაგებინებთ“. „ცვლილებები აუცილებელია“, — თქვა ერთმა მუშამ და თავისი ლიქიორი ერთი მოსმით გადაკრა. პატრონმა გამოაცხადა, ყველას გეპატიჟებითო და ყველა გამხიარულდა.

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება“, — დაიძახა მეზრდოლმა.

მეც ასე ვფიქრობ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

„ისეთ ბიჭებთან ერთად, თქვენ რომ ხართ... — თქვა ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა.

— ბოლომდე უნდა გაკეთდეს საქმე, — თქვა ანარქისტმა, — ეჰ, თქვენი ასაკი რომ მომცა!

— უსაქმურების ქვეყანა... — გააგრძელა მეზრდოლმა.

— უკვე თავი მოგვაბეზრეს, — თქვა ქალმა.

— და თანაც როგორ, — აიტაცა ყველამ, — ზიზლის გარდა არაფერს იმსახურებენ...

— ზიზლი ცოტაა, — შენიშნა ვილაცამ.

— ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს, — დაიძახა სხვამ.

— უნდა მოცილდნენ, — თქვა მეზრდოლმა, — ყველასთვის უკეთესი იქნება.

— სწორია.

— სამართლიანები ვიქნებით, — დაუმატა მეზრდოლმა, — სამართლიანობა მკაცრი რამეა, მალე მიხვდებიან.

— ყველა, ვინც გარყვნილებასა და უსამართლობაშია ჩაფლული...

— მაგათ ეს არ ესმით.

— ყველას კარგად ესმის“.

მეზრდოლი ჩვენი მაგიდებისკენ შემო-

ბრუნდა. მომეჩვენა, რომ ზუსტად მე ამომილო მიზანში. პირი დაალო. აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. მერე შემომესმა: „ამ ამბებმა მომაშია. კუჭი ცარიელი მაქვს“.

თეთრწვეროსანმა ერთად სადილობა შესთავაზა ამავე რესტორანში დანარჩენ ხუთ კაცთან ერთად. მეზრდოლმა ჯგუფს გადახედა და უარი თქვა:

— სიამოვნებით, — თქვა მან, — მაგრამ ცოლი მელოდება სადილად, არ მინდა შეშფოთდეს, თანაც ცოტა უნდა დავისვენო, სამ საათზე ისევ ბარიკადაზე უნდა ვიყო.

გამოსამშვიდობებლად ხელი ასწია და დაიძახა: „ძირს პოლიცია!“ „ძირს პოლიცია!“ — უპასუხეს დანარჩენებმაც, და მეზრდოლი გასასვლელისკენ დაიძრა, პატარა ჯგუფმა თვალი გააყოლა.

ფანჯრიდან დავინახე ქუჩაში მიმავალი. მკაცრი, შეურიგებელი იერით მიაბიჯებდა. ჯგუფი დაიშალა. ორი რესტორნის ერთ-ერთი მაგიდისკენ გაეშურა, სამი დანარჩენი წავიდა.

თავი ცუდად ვიგრძენი. რალაც უნდა გავაკეთო, არც თუ მაინცადამაინც დამაჯერებლად ვუთხარი საკუთარ თავს.

— კონიაკი მომიტანეთ, — ვთხოვე ოფიციატს.

სახლს ხომ მაინც არ გადაწვავენ. ძველებურად გავაგრძელე ცხოვრება. მუნჯი მსახური ქალი დავიქირავე. დღეში ორი საათი უნდებოდა საწოლის გასწორებას, დაგვას, ჭიქის გარეცხვას, სახლის განიავებას, მერე ფანჯრების დაკეტვას. ფარდებიდან მტვერსაც იღებდა.

არა, სახლს არ გადაწვავენ. ქუჩაში გამვლელები შეშფოთებული არ ჩანან. მეზობელი ქალი თავისი პატარა ძაღლით ქუჩაში ერთი და იმავე დროს გადის, ორივე პენსიონერი, ცოლ-ქმარი, მოპირდაპირე მხარეს ბალიან პატარა სახლში რომ ცხოვრობენ, ერთიმეორეს დაყრდნობილი, ყოველდღე დადიან სასეირნოდ. მაღალი, ჭალარა რუსი, კოჭლობით ბრუნდება შინ, ცალ ხელში ჯოხი უჭირავს, მეორეში პური. სურსათ-

სანოვაგით დატვირთული კიდევ ერთი ბატონი ბრუნდება ბაზრიდან შინ, მის ცოლს დამბლა დაეცა და სიარული აღარ შეუძლია. ეს მიაჩნო მეკარე ქალმა, რომელიც უფრო კეთილი გახდა ჩემ მიმართ. მომეჩვია უკვე, ადამიანები ყველაფერს ეჩვევიან. შორიდან აქამდე მაინც აღწევს სროლის ხმა, ოდნავ სმენას თუ დავძაბავ, ვიგებ. მერე ამაზე აღარც ვფიქრობ. მაგრამ საღამოს სროლა უფრო ძლიერდება. გვიან ვდგები. ვემზადები, როგორც კი მსახური მოდის, სახლიდან გავდივარ. სადილობის დროა. ზოგჯერ პირველ ოფიციალტ ქალზე ვფიქრობ, რა ერქვა? ივონი თუ მარი? მისი შემცვლელი ძალიან გულითადად მექცევა, არც მეტი, არც ნაკლები. დროდადრო ის პირველი რომ მახსენდება, სინანული მიპყრობს. ოღონდ სულ უფრო და უფრო ნაკლებად. ღია ჭრილობა მაინც დამრჩა. კიდევ ერთი ჭრილობა. იქნებ სჯობდა პირველი ნაბიჯი გადამედგა და ახალი ოფიციალტისთვის მეთქვა, თუ რა ძალიან მიხდა ივონისა თუ მარის ადგილი დაიკავოს?

პროსპექტზე, სადაც რესტორანი მდებარეობს, კარაბინებით შეიარაღებულ ორ თუ სამ კაცს დაინახავდით გავლილს სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდნენ. აშკარად მოედანზე მიდიოდნენ, სადაც ბრძოლა იყო გაჩაღებული. უფრო მოსეირნე ადამიანებს ჰგავდნენ, ოღონდ ისეთი სახეები არ ჰქონდათ, როგორც სხვებს. ჩემს ქუჩაზე, ძველებურად მშვიდსა და პროვინციულზე, ისინი არ გამოჩენილან. მიუხედავად ამისა, ხმაური თითქოსდა ახლოვდებოდა. მაცხოვრებლები სახლებიდან ჩვეულ დროს გამოდიოდნენ, მოხუცი ბატონი, ჭაღარა რუსი, ძაღლიანი ქალი — ერთ მხარეს ოდნავ გადახრიდნენ თავს და ყურს უგდებდნენ. მათ ჩემი ფანჯრიდან ვხედავდი. თითქოს ოდნავ შეშფოთებული თუ გაოცებული სახეები ჰქონდათ, ან შეიძლება მომეჩვენა კიდევ, რომ ჰქონდათ. ასე იყო თუ ისე, ჩემი სახლის მეოთხე სართულის ფანჯრიდან, ხეივანებით შემორტყმულ პატარა სახლებს

იქით ნითელი აფეთქებები ჩანდა და ეჭვი არ არის, ეს დიდ მოედანზე ხდებოდა.

რესტორანში, საუზმობისას თუ სადილობისას, კლიენტები ძველებურად თავიანთ თეფშებზე ცხვირჩარგულები ისხდნენ. მეზობლი აღარ მინახავს. ალბათ ძალიან დაკავებული იყო. იქნებ დაჭრეს ან მოკლეს ან ციხეში ჩასვეს; შეიძლება ბრძოლაზე უარი თქვა ან სადმე გაემგზავრა; იქნებ საკუთარ თავს უთხრა, ეს ყველაფერი დიდ სიკეთეს არ მოიტანდა და ჩვენი არსებობის აზრს ვერ ახსნიდა? მეც იგივეს ვფიქრობ. იღუმალებას ვერაფერი მოჰყენდა ნათელს. ადამიანები შფოთავენ, მოქმედებენ, სხვებსაც მოქმედებისკენ მოუწოდებენ, რადგან ეს მათთვის გაქცევაა, დავინყვბაა, მე კი ერთსაც და მეორესაც აღკოპოლში ვპოულობ.

ერთხელ, ასე შუადღისკენ, როცა რესტორანში წასასვლელად ვემზადებოდი, ფანჯრიდან დავინახე, როგორ გარბოდა გასისხლიანებული კაცი, უკან სამი პოლიციელი მისდევდა. ქუჩის კუთხესთან სამივე მიიმალა. ამჯერად ჩემი სახლის მეზობლებისა და მოპირდაპირე სახლების ფანჯრები გაიღო. თავები გამოჩნდა. კიბეზე ჩავედი. დერეფნის ბოლოში, შემოსასვლელ კართან მეკარე ქალი, მეზობელი სახლის თეთრთმიანი, მთლად დანაოჭებულსახიან მეკარე ქალთან საუბრობდა; ის აქამდე არ მენახა, მაგრამ მასზე უკვე მელაპარაკნენ და შორიდან ვიცნობდი. ეს ქალი თავისი სახლიდან ჩვეულებრივ არასოდეს გამოდიოდა. პოლიციელების ხმა გაეგო, რომლებიც ვილაცას ყვირილით მისდევდნენ — „დაიჭირეთ“-ო. პენსიონერი წყვილი, დამბლადაცემული ქალის ქმარი, მაღალი ჭაღარა რუსი თავისი პურით ხელში, ორივე მეკარე ქალს გარს შემორტყმოდნენ. ჩვენს საკმაოდ ხალხმრავალ ქუჩაზე ასეთი რამ მათ არასოდეს ენახათ. „ქურდი იყო“, — თქვა პენსიონერმა. „შეიძლება რევოლუციონერიც“, — უპასუხა ჭაღარა რუსმა. „თქვენ ყველგან სულ რევოლუციონერებს ხედავთ. აქ ისე არ არის, როგორც თქვენთან. ეს

საფრანგეთია“. „რევოლუციები თქვენ-თანაც იყო“, — შეეპასუხა ჭალარა რუსი. „დაახ, 89-ში, — დაეთანხმა პენსიონერი, — მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ჩვენი ხალხი ყველაფერს მიხვდა და ასეთი რამ მეტი აღარ განმეორდება“.

სანოვაგით დატვირთული ბატონი ფიქრობდა, რომ რალაც საკმაოდ საშიში ხდებოდა. „აბა, რა გგონიათ, რა არის ეს სისხლისფერი აფეთქებები, ეს კაკანი, ჩვენ რომ გვესმის?“ მართლაც ხმაური გაძლიერდა და ყველამ კარგად გაიგო. „ძილშიც კი ხელს გვიშლის“, — თქვა პენსიონერის ცოლმა. სანოვაგით დატვირთულმა ბატონმა უპასუხა: „სროლაა. ვიცი, მონადირე ვარ“.

საუბარში ჩავეერიე:

— ის სისხლისფერი აფეთქებები, რალა?

არც ერთ მეკარე ქალს სისხლისფერი აფეთქებები არ დაუნახავს.

— იმიტომ, რომ პირველ სართულზე ცხოვრობთ, — ავუსხენი, — თქვენი ფანჯრები კი ეზოს გადაჰყურებს!

— ეს ყველაფერი კათოლიკური არ არის, — თქვა მეორე მეკარე ქალმა.

— ოო, არა, — გაიპრანჭა ჩემი მეკარე ქალი.

— დამშვიდდით, არაფერი მოხდება, — განაცხადა პატარა ძალიანმა ქალმა, — ჩემმა ქმარმა მითხრა.

პატარა ჯგუფი დაიშალა. მე სასადილოდ წავედი. კუთხეში შევუხვით თუ არა რესტორნის წინ, ტროტუარზე, კარაბინებით შეიარაღებული ოთხი კაცი დავინახე, რომლებიც ორ რიგად სწრაფად მოდიოდნენ, აქეთ-იქთ იყურებოდნენ, მარჯვენა მხარეს გაუხვიეს, დიდი მოედნის მიმართულებით. გაბედულ სახეებზე ენერათ, რომ მზად იყვნენ თავი დაეცვათ. ვისგან? — ვკითხე საკუთარ თავს. აქვე იყო ორი პოლიციელიც. ადგილიდან არ დაძრულან. ისეთი იერით იდგნენ, ვითომ ეს ოთხი კაცი არც დაუნახავთ. რომც დაენახათ, ვერც შეაჩერებდნენ. ეს პოლიციელები ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებლები იყვნენ. რესტორნის კარი

გავალე და შევედი. ჩემი მაგიდისკენ წავედი, კუთხეში, ფანჯარასთან. მივიხედ-მოვიხედე. კლიენტები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

— რა ხდება? — ვკითხე ოფიცინტს, რომელმაც გრაფინით ღვინო მომიტანა.

— არ ვიცი. არა მგონია რამე ხდებოდეს, გაზეთებში არაფერი წერია.

— ის წითელი აფეთქებები რალაა, რომელიც, როგორც ეტყობა, დიდ მოედანზე ხდება?

ამ მშვიდ ქუჩაზე, სადაც არასოდეს არაფერი მომხდარა და არც უნდა მომხდარიყო, ყველა ოდნავ აღელვებული ჩანდა. აქ მცხოვრებთა უმრავლესობა მოხუცი იყო. მათ მხოლოდ ერთი რამ სურდათ: მშვიდად დაემთავრებინათ სიცოცხლე. მე კი ისედაც კატასტროფაში ვცხოვრობდი და ეს არაფრით უკავშირდებოდა იმას, რაც ირგვლივ ხდებოდა. უფრო სწორად კი, რაც გარე სამყაროში ხდებოდა, იგივე ხდებოდა ჩემშიც. გარეგანი შინაგანზე იწყებდა არეკვლას. ან პირიქით. და ამის გაცნობიერება მხოლოდ ახლა დავინწყე.

ახლა გავიაზრე, ჩემი მოუსვენრობაც. მართალია, საკუთარ თავს ვუთხარი, დაბადებიდანვე ჩემს ტყავში ცუდად ვგრძნობ თავს. რატომ? რა მაქვს მოუნესრიგებელი? ამდენი ადამიანი ცხოვრობს ამქვეყნად, და ბოლო დრომდე სრულიად კმაყოფილი ან ბედს შეგუებულნი გამოიყურებიან. ყოველ შემთხვევაში, პრობლემებს არ ქმნიან. სიკვდილისა არ ეშინიათ, უფრო სწორად, არც ფიქრობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ადრე თუ გვიან, დაიხოცებიან. მე კი ამაზე ფიქრი განუშორებლად თან დამდევს. მას შემდეგ, რაც ჩემი საყვარელი წავიდა, ღამე რომ გამეღვიძება, მაშინვე კაეშანი მიჰყრობს: ცივი ოფლი მასხამს, პანიკაში ვვარდები, ასე მგონია, განთიადისას მოვკვდები. ის კი ჩემ გვერდით აღარ არის, რომ მითხრას: „დანეკი, ყველაფერი კარგად იქნება“, და მახსენდება, საკმარისი იყო მისი ხმა გამეგო ან შევხებოდი ან ის შემხებოდა, კაეშანი ქრებოდა. შეიძლება ასეთივე

სევდას სხვებიც განიცდიან და სამკურნალო წამალს საქმეში პოულობენ. ამათ კი, რადგან აჯანყებებს აწყობენ, სიცოცხლე არ უყვართ. საბედნიეროდ, საზოგადოება ცუდადაა მოწყობილი. რა უნდა ქნან, თუ ერთ მშვენიერ დღეს, საზოგადოება კარგი გახდება? ისინი ველარ შეძლებენ მის წინააღმდეგ ამბოხებას და მაშინ მღელვარების საგანი მთელი თავისი სიშიშვლით, მთელი თავისი შემზარაობით გამოჩნდება. ჩემი კაემანი კი მუდამ ჩემთან იქნება, არც ერთ საზოგადოებას მისი გაჯანსაღება არ შეუძლია. თანაც ყველა საზოგადოება ცუდია, მთელი ამ ხნის განმავლობაში თუნდაც ერთი ყოფილა წარმატებული? ადამიანები ერთმანეთს ომებსა და რევოლუციებში ხოცავენ. სიკვდილზე მიდიან. საკუთარ თავს მეორე ადამიანში კლავენ, ან იქნებ თვით სიკვდილის მოკვლასაც ცდილობენ. მერე, უცებ, უსაზღვრო ნაღველი, უზარმაზარი უიმედობა მერეოდა. ამის გამო გამუდმებით ვიტანჯებოდი, ისე თავადაც ვერ ვხვდებოდი. ეს გამუდმებული „რატომ?“ ყოველთვის ხელს მიშლიდა გამეხარა. და ეს „რატომ?“ კარგად გააზრებული არცაა მქონდა. ახლა გააზრებული მაქვს.

ამ ყველაფერზე ვფიქრობდი და ჩემს ბინაში დავეხეტებოდი, ოთახიდან ოთახში, ოთახიდან დერეფანში, დერეფნიდან სასტუმრო ოთახში, ფანჯარასთან მივდიოდი, საიდანაც ჩანდა დიდი მოედანი უფრო და უფრო როგორ კაშკაშებდა, უფრო და უფრო ბრიალებდა სისხლისფერი ალით. ამ ცეცხლს მივეჩვიე, აღარც მაინტერესებდა. აღარც მართობდა. გულს მიმძიმებდა შინაგანი პეიზაჟი. ჩემ თვალწინ, მთელი ჩემი წარსული იშლებოდა, სრული მწუხარების პეიზაჟი, უოაზისო უდაბნო. უფრო სწორად, ძალიან ცივი უდაბნო. ირგვლივ თვით ჰორიზონტამდე, ამ უზარმაზარი სახურავის კიდეებამდე, არაფერი იყო, ყვავილიც კი, გარდა გამომშრალი მინისა, მტვრისა და ტალახისა. ნუთუ მე ვარ დამნაშავე? მხოლოდ მე — ერთი? ეტყობა, მართებულად ვერ მივუდექი საქმეს. რა სიმწარეა, რა სასონარკვეთა,

რა უწესრიგობა! არადა შეიძლებოდა სიხარული ყოფილიყო; ნუთუ მართლა შეიძლებოდა ყოფილიყო სიხარული? ამ ჭუჭყისფერი უფერულობის, ამ მკრთალი შუქის მაგივრად, შეიძლებოდა დამაბრმავებლად მოკაშკაშე სინათლე ყოფილიყო. ნუთუ მართლა შეიძლებოდა დამაბრმავებლად მოკაშკაშე სინათლე ყოფილიყო? ნუთუ შეიძლებოდა სიყვარულიც ყოფილიყო? შეიძლებოდა. ხელიდან რამდენი შესაძლებლობაა გაშვებული! ქალები მტოვებდნენ, რადგან სიყვარულში უგერგილო გამოვდექი. ჩემი ბოლო ბედი ივონი, თუ მარი იყო. მაგრამ სიყვარული მაინც არის ჩემში. ჩემი სულის სარდაფებში, საპყრობილეებში, მინისქვეშა საპატიმროებშია გამომწყვდეული. კარები დაკეტილია, გასაღები კი მე არ მაქვს. ვაი, რომ ეს ყველაფერი ძალიან შორს და ძალიან ღრმად არის დაფლული. რა ქაოსია. უსაზღვრო სინანული მიპყრობს. დროა ყველაფერი დამთავრდეს. ყველაფერი წარუმატებლად დავინყე. და საერთოდ, არც დამიწყია. რასაკვირველია, ყველა სტარტი გამოვტოვე. ახლა რა ვქნა? ველოდო, ველოდო და სევდით ვიტანჯო. რატომ?.. აჰ, ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს. მე კი მინდა ყველაფერი თავიდან დაიწყოს. მაგრამ თავიდან რომ დაიწყოს ყველაფერი, ჯერ ყველაფერი უნდა დამთავრდეს. რამე იმედი თუ დარჩა? რისი იმედი უნდა მქონდეს? ყველაფერი დაილუპა. ყველაფერი არ არის დალუპული? ვფიქრობ ყველაფერი დაილუპა.

და მაინც, ჩემ ირგვლივ ბევრნი იყვნენ, დაეხეტებოდნენ, მოძრაობდნენ, გამჭვირვალენი იყვნენ, ჭამდნენ, ეძინათ, არაფერს ამბობდნენ, ლაპარაკობდნენ იმიტომ, რომ არაფერი ეთქვათ.

ნუთუ მთელ ცხოვრებას ასე მთვარეულივით გაატარებენ? ახლა ვხედავ, იღვიძებენ, ყოველ შემთხვევაში ბევრი იღვიძებს. ნოსტალგიით იტანჯებიან. რალაცას აკეთებენ. ეს კარაბინიანი ხალხი, ეს სროლა, ეს სიჩქარე...

თავიდან მილიარდობით ადამიანი

იყო. დღეს რაღაც სამი მილიარდი ვართ. როგორ ცხოვრობდნენ მთელი იმ საუკუნეების, საუკუნეების, საუკუნეების განმავლობაში? იმ უამრავ ხალხზე ვფიქრობ. თავბრუ მეხვევა. უსაზღვრო შეუცნობლობა?

მეორე თუ მესამე დღეს, დილით ჩვეულებრივზე ოდნავ გვიან გავიღვიძე. კარზე ზარის ხმა გაისმა, ალბათ მსახური ქალი, მუნჯი, მოვიდა. ტუალეტამდე არ მისული, კარის გასაღებად წავედი. მსახური ქალი შეშინებული ჩანდა. ბუნდოვან ბგერებს გამოსცემდა. მე უკვე მივეჩვიე და მისი გაგებაც დავინწყე. შეშინებული ყვიროდა, ხელს სასტუმრო ოთახის ფანჯრისკენ იშვერდა. ფანჯარასთან მივედი და გავაღე. ტროტუარზე კაცი იყო გაშხლართული. სისხლში ცურავდა. აგონია! მეზობლებს მის ირგვლივ წრე დაერტყათ. ფანჯარა დავხურე, სახეზე საპონწასმულმა კიბე ჩავიბრინე.

ორი მოხუცი პენსიონერი, თავს რომ აქნევდა, გავნეი და ტროტუარზე გაშხლართულ კაცს მივუახლოვდი.

— ცხოვრებაში ასეთი რამ არ მინახავს, — თქვა პენსიონერმა კაცმა.

ცოლმა დაუდასტურა.

— საერთოდ, აბა რა გვინახავს? — უპასუხა მეკარე ქალმა. — ისეთ დროში ვცხოვრობთ!

— ეს ხომ იმ ქალბატონის ვაჟია, კუთხის სახლში რომ ცხოვრობს, ქმარი გასულ წელს მოუკვდა!

მართლაც მოხუცმა მეკარე ქალმა დედა მოიყვანა, რომელიც შვილის სხეულს ტირილით დაემხო.

— ხომ ვეუბნებოდი, გაჩერდი-მეთქი. ხომ ვეუბნებოდი.

— ახლანდელი ახალგაზრდები, — თქვა სურსათის ჩანთიანმა ბატონმა, — ვერ ხვდებიან, რას ნიშნავს საფრთხე.

— ჩემო საცოდაო პატარავ, — მოთქვამდა დედა, — ჩემო საცოდაო პატარავ.

დაჭრილი უგონოდ იყო. ოცი-ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი იქნებოდა, ძალიან სუსტი, პატარა, შავგვრემანი, ოდნავ ხუჭუჭა თმით. მისი სხეული

კრუნჩხვებისგან ძაგდაგებდა.

„რა საშინელებაა“, — ამბობდნენ ადამიანები.

დედა ყვიროდა, კვნესოდა: „ასეთი რა გაუკეთეს? ისეთი კეთილი იყო, ისეთი თავაზიანი“.

პოლიციის მანქანის მოსვლისას კრუნჩხვები შეწყდა. მანქანიდან ოთხი პოლიციელი გადმოვიდა, უხეშად გასწი-გამოსწიეს ხალხი. ერთი მუჯღუგუნი მეც მივიღე.

— გაიარეთ, — ყვიროდნენ ისინი, — გაიარეთ.

— თქვენ მოძრაობის მომწესრიგებლები არა ხართ, — დაიძახა ქალარა რუსმა.

— მოკეტეთ და გაიარეთ, — მოუჭრა მეორე პოლიციელმა და ხელი ჰკრა, — თქვენი საქმე არ არის. ნუ გვასწავლით, რა უნდა გავაკეთოთ.

პოლიციელებმა ხალხს უკან დაახვეინეს.

— ეს აქ რას აკეთებს! — დაიყვირა მესამე პოლიციელმა და დედაზე ანიშნა, შვილის უსულო სხეულს რომ ჩასჭიდებოდა. მეოთხე პოლიციელმა ხელი სტაცა დედას, რომელმაც გასათავისუფლებლად გაიბრძოლა, პირველი პოლიციელი კი ამასობაში ბლოკნოტში რაღაცას იწერდა. ქალი ისევ ტიროდა და შვილს ეძახდა:

— ჩემო შვილო, ჩემო პატარა რეიმონ!

— კარგით, კარგით, ველარ გააღვიძებთ. ხომ ხედავთ, აღარ სუნთქავს.

მიცვალებული უპიჯაკოდ იყო, პერანგი ეცვა და ჯინსები, პერანგი ლურჯი იყო და ნითლად დალაქავებული: სისხლი. ფეხზე ჩუსტები ეცვა. ერთმა პოლიციელმა მინაზე გამოტილ ჭაბუკს ჯინსის ჯიბეები გაუჩხრიკა და დასაკეცი დანა ამოუღო.

ორმა პოლიციელმა გვამი ასწია, შვილის სხეულს ჩაჭიდებული მოტირალი დედა ხელის კვრით მოიგერიეს. სხეული მანქანაზე დააგდეს. ორმა სხვამ ტროტუარზე სისხლის გუბეში ჩავარდნილი, ხელებდასისხლიანებული დედა წამოაყენა და ისიც მანქანაში შეაგდო:

— აბა, ცოცხლად, წავედით, ჩვენებას

მოგვცემ.

მანქანა, პოლიციელებით, დედიტა და მიცვალებულით, ადგილიდან მოწყდა.

ტროტუარზე სისხლის უზარმაზარი ლაქა გაიდლაბნა. ადამიანები მონუსხული უყურებდნენ ამ ლაქას. მეზობელი ქალის პატარა ძაღლმა სისხლს დასუნა და ალოკა. ქალმა თასმით თავისკენ მოქაჩა. სახიდან ხელით საპონი ჩამოვიწმინდე. ადამიანები ხელების შლით გაიფანტნენ.

— გახსოვთ, გასულ კვირას სისხლიანი სახით რომ დარბოდა, ეს იყო.

— არა, ის სხვა იყო, ოპოზიციიდან.

ნახევრად გაპარულმა, უჰალსტუხოდ, რესტორნისკენ გავწიე.

— ეს არის ცხოვრება; ცოცხლობ, ცოცხლობ და მოკვდები, — შემომესმა უკნიდან.

— ადრე თუ გვიან!

საშინლად მწყუროდა. ალკოჰოლი მინდოდა. კუთხეში შევუხვიე და შევედი.

რალაც იყო შეცვლილი. დავვეჭვდი და საკუთარ თავს ვკითხე, რესტორანი ხომ არ შემეშალა-მეთქი. არა, იგივე იყო. ახლა მაგიდებთან ბევრი ხალხი ისხდა და კარბინები სკამებზე ჰქონდათ აყუდებული. ჯიბეებიდან პისტოლეტების სახელურები უჩანდათ. ძველი კლიენტები იყვნენ და ახლებიც. ახლები თითქმის ყველა შეიარაღებული იყო, ყოველდღიური სტუმრებიც და სხვებიც.

— თავი ხომ უნდა დაიცვან, — მითხრა ოფიცირანტმა ქალმა, როცა ჩემი შემინებული სახე დაინახა.

— ღვინო, — ვთხოვე, — ღვინო.

ჭამით გართულ ადამიანებს დავაშტერდი. ძლივს ვიცანი ის კლიენტები, რომლებსაც აქ ყოველდღე ვხედავდი. სხვა სახეები ჰქონდათ. რალაც მთავარი შეიცვალა. ისინი იგივენი იყვნენ, მაგრამ იგივენი არ იყვნენ. მათ გარეგნობაში უცნობი სახე, სხვა პიროვნება გამოჩნდა.

ირგვლივ ყველა ლაპარაკობდა, მე ყურადღებას არავინ მაქცევდა. ჩემს ყურამდე საუბრის ნაწყვეტები და ცალკეული სიტყვები აღწევდა:

„კლასთა ბრძოლა“, „ყასაბი წითელი

მოედნიდან“, „კბილებში გარჭობილი დანით“, „მდიდრები“, „ლარიბები“, „პროლეტარიატი“, „პრიმიტიული კონტრევიოლუციონერი“, „დექტატურა — კი, ოღონდ თავისუფალი“, „ნებაყოფლობითი“, „გუშინდელი სიმღერები“, „სისხლიანი ალიონი“, „ეს ახალი წმინდა ბართლომეს ღამე იქნება“, „ასეთი რამ სისხლით გამოისყიდება და სისხლით ჩამოირეცხება“, „დამეთანხმეთ, რომ თავიანთმა კორუფციამ დალუბა ეგენი“, „ეს ბინძური ბურჟუები“, „მუშები ღარიბები არიან, რადგან სვამენ, ყველა ლოთია“, „ნარკომანებიც“, „კოლექტივიზმი“, „ინდივიდუალიზმი“, „ტოტალიტარიზმი“, „სამომხმარებლო საზოგადოება“, „ხალხის სისხლისმსმელები“, „გამყიდველი მმართველი კლასი“; ვილაც აყლაყუდა, გამხდარი კაცი მოულოდნელად განრისხებული წამოხტა, მაგიდას მუშტი ისეთი ძალით დასცხო, რომ ჭურჭელი აქეთ-იქით გაიფანტა და შემზარავი ხმით დაიყვირა; „ძმობა!? ძმობის დავინყება არ შეიძლება!“ სიჩუმე ჩამოვარდა. ადამიანები სახტად დარჩნენ. ერთი წამით ყველამ ჭამა შეაჩერა. კაცი დაჯდა. მერე კამათი გაგრძელდა. „ყელში ამოგვივიდა“, „კაცობრიობის სამი მეოთხედი სიღარიბეში ცხოვრობს, თუ ამას ცხოვრება ჰქვია, შიმშილით იხოცებიან“, „ჩვენ პრივილეგირებულები ვართ“, „ჩვენ პრივილეგირებულებთან შედარებით პრივილეგირებულები არა ვართ“, „კმარა პრივილეგიები“. „ძირს პრივილეგიები“. „რალაც უნდა შეიცვალოს“. „ადამიანები იგივენი რჩებიან“. „რევოლუციები მთავრდება“. „ევოლუცია თუ რევოლუცია?“

„ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს“.

„ეს წრის კვადრატურაა“.

„მხოლოდ ახალგაზრდობას ჰყოფნის ენთუზიაზმი იმისთვის, რომ...“

„ახალგაზრდები ჩვენზე გამჭრიახები არიან“.

„მოხუცების გამოცდილება“.

„ახალგაზრდები იდიოტები არიან“.

„მოხუცები არიან იდიოტები“.

„ახალგაზრდებიც არიან იდიოტები და მოხუცებიც“.

„თუ ვინმე იდიოტია, სიცოცხლის ბოლომდე იდიოტია“.

„ალარ დავემორჩილებით“.

„რევოლუცია სიხარულის სახელით“.

„ამის ატანა ალარ შეიძლება, აბა, ნახეთ, მეტროში, სამუშაოზე, ბავშვებთან“.

„დღესასწაული. გაიგეთ, რომ შეგვიძლია დღესასწაულში ვიცხოვროთ“.

საუბრის ამალღებულმა ტონმა გამოაცა. ყველა ეს ადამიანი რა საინტერესო საზრუნავით ყოფილა დაკავებული, მე კი მეგონა, დღევანდლამდე ეძინათ. მომეჩვენა, თითქოს ჩემ შიგნით რაღაც იძრა: მოძრაობის სურვილმა მომიარა. იქნებ, მართლა რაღაც შესაძლებელია, იქნებ ძალა შეგვენევს სულ ცოტა მაინც გავაფართოვოთ, გადავნიოთ საზღვრები. დღეს იმდენი ხალხი იყო, ოფიციალტი ველარ აუდიოდა საქმეს და რესტორნის პატრონს მოუწია მისი დახმარება — შეკვეთების დარიგება, კლიენტები უკმაყოფილო რომ არ დარჩენილიყვნენ. საქმე აენყო და ორივე კმაყოფილი სახით დაჰქროდა ამ გუგუნში, მაგრამ ზოგიერთ კლიენტს მაინც მიაჩნდა, რომ სწრაფად არ ემსახურებოდნენ. ერთმა ძალიან დიდმა კაცმა, თითქმის გიგანტმა, ოფიციალტი უხეშად დატუქსა — არ ჩქარობო. ამბობდა, ეჩქარებოდათ, ნახევარ საათში დიდ მოედანზე, დემონსტრაციაზე უნდა ყოფილიყვნენ, უნდა ენახათ იქ რა ხდებოდა. ოფიციალტმა მკვირცხლად უპასუხა, რაც შეიძლება ვცდილობ და თავის დროზე ნახვალთო. იმ კაცმა კი მიაძახა: „თქვენ ვაჭრები ხართ. გამოდის, რომ ექსპლოატატორები ხართ!“

— ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, — შემომესმა.

დარბაზს მრისხანების ძრწოლამ გადაუარა.

— მე მუშა ქალი ვარ, — მიუგო ოფიციალტმა, — და ჩემი ოფლით ვჭამ პურს; თქვენ კი ლაპარაკის გარდა არაფერს აკეთებთ; სიტყვები, მხოლოდ სიტყვები, სხვა არაფერი.

— ქურის ქალო, — მიახალა სქელუამ

ოფიციალტს.

ეს ველარ ავიტანე. რაც რამე გამირული იყო ჩემში, ყველაფერმა ერთად გამოიღვიძა. ავდექი; „ბატონო ჩემო, როგორ არ გრცხვენიათ!“ „ბინძურო ბურჟუკულავ, — მიპასუხა და გაბრაზებისგან განითლდა, — აბა, მომიახლოვდი, ერთი კარგად დაგინახო“. არაკეთილგონივრულად მივუახლოვდი და სახეში მუშტიც მომხვდა, რამაც უკან გადამადო და ჩემს სკამზე დავეცი. გაშმაგებულმა ოფიციალტმა ქალმა ორი ისეთი მაგარი სილა გაანნა, ის სქელუა იქვე ჩაჯდა და ყბა ხელით მოისინჯა. მერე ჩემთან პირსახოცით მოვიდა, სისხლი მომწმინდა, ცხვირიდან რომ მომდიოდა.

— ასეთი რამეები თქვენი საქმე არ არის, — თბილად მითხრა.

ინცინდენტმა შეუმჩნევლად ჩაიარა, მაგრამ რესტორანში ნერვულმა ატმოსფერომ იმატა. ვიდრე ოფიციალტის მოტანილ კონიაკს ვსვამდი და ცხვირზე პირსახოცი მქონდა მიჭერილი, ქუჩაში ავტომატის ჯერის ხმა გაისმა, უცბად თითქოს ბრძანება გასცესო, ყველა წამოხტა და კარაბინებს სტაცა ხელი. „გადაიხადეთ, გადაიხადეთ!“ — სასონარკვეთით აყვირდნენ ოფიციალტი და კაფეს პატრონი. ვილაცებმა კუპიურები მათ პირდაპირ სახეში მიაყარეს: „აჰა, თქვენი ბინძური ფული!“ ვილაცებმა მხრები აიჩეჩეს და არ გადაიხადეს. ვილაცებს კი, მხრებიც არ აუჩეჩიათ. ერთმანეთის ბიძგებ-ბიძგებით გარეთ გაცვივდნენ. „მოქალაქეებო, იარაღი აიღეთ!“ — აყვირდა ხალხი, — „ამათ ვაჩვენოთ სერი!“ „ერთი მაგრა შევახუროთ, ეს ბოშები!“<sup>13</sup> ქუჩაში, მარჯვნივ, დიდი მოედნის მიმართულებით გაიქცნენ. კარაბინებითა და ხელკეტებით შეიარაღებულ ადამიანებს შეერივნენ. ქუჩა ხალხით იყო სავსე, ყვიროდნენ, იგინებოდნენ, მღეროდნენ. მეც გარეთ გამოვედი. კედელს ავეკარი და მიმავალი ხალხი გავატარე. სროლის ხმა გაისმა. ქუჩა დაცარიელდა. შორიდან ისევ

<sup>13</sup> ფრანგებმა პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელებს შეარქვეს უპატივცემულობის გამოსახატავად.

ისმოდა წყევლა-კრულვა და სიმღერაც. ქვაფენილზე უსიცოცხლოდ გაშლართული ორი პოლიციელი დარჩა და ვიღაც მოხუცი ქალი.

ჩემი ბინის სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ვიყურებოდი. ქუჩაში უჩვეულო მღელვარება სუფევდა. ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ქუჩის გასწვრივ წინ და უკან დადიოდნენ და კამათობდნენ. ახალი სახეებიც გამოჩნდა. ახალგაზრდები, ორმოცი წლისანი, ორმოცდაათი წლის წვეროსნები. ისინი კარაბინებით იყვნენ შეიარაღებულნი. ზოგიერთებს პისტოლეტებიც ჰქონდათ. ჰაერში ისროდნენ. ეზოებიდან, პატარა ბალებიდან გამოდიოდნენ, ხელის აწევით ოჯახს, ახლობლებს ემშვიდობებოდნენ. დღემდე სად იყვნენ? ისინი არასოდეს მინახავს. ალბათ პატარა მანსარდებში ცხოვრობენ, შეიძლება ღამის ცვლაშიც მუშაობენ. უმრავლესობას ვიღაცა აცილებდა. ქალებს, დედებს, ცოლებს ცხვირსახოცები ეკავათ ხელში და ცრემლებს იმშენდნენ. ფანჯარა გავალე. მოხუცებს თავი ღირსეულად ეჭირათ და ახალგაზრდებს მგზნებარედ ამხნეებდნენ. სიტყვები მესმოდა, რომელიც ჩემამდე მსუბუქ ნიავს მოჰქონდა, რადგან მშვენიერი ამინდი იდგა, ცა მშვიდი იყო და გულგრილი. „14 წელში მეც ვომობდი“, — თქვა ნაოჭებით დაღარულმა მოხუცმა. მეორემ, უფრო ახალგაზრდამ წამოიძახა: „წინააღმდეგობის მოძრაობა“.<sup>14</sup> „მეც ვიყავი ბარიკადებზე 27-ში ან 37 წლებში, 47-ში ან 35 წლებში“. არც ვიცოდი თუ ბოლო ათწლეულებში ამდენი ბარიკადა იყო აღმართული. საფრანგეთში მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ალბათ სადმე ბრაზილიაში მოხდა, ან ესპანეთში, ან კონგოში, ან პალესტინაში, ან ოდესაში, ან ჩინეთში, ან ირლანდიაში. ალბათ ფრანგ მოხალისე რევოლუციონერებზეა ლაპარაკი ან უცხოელ რევოლუციონერებზე საფრანგეთში

<sup>14</sup> 1940-1944 წლებში საფრანგეთში ფაშისტო ოკუპანტების წინააღმდეგ მოძრაობა.

რომ იპოვეს თავშესაფარი. ეტყობა, ყველა ქვეყანაში ეს ამბები ერთნაირად ხდება. ალბათ თავისი შედეგებიც აქვს. შეიძლება ამ შედეგებით მეც ვისარგებლე და ვერ მივხვდი. უეჭველი დამარცხებებიც იქნებოდა, ამიტომაც ყველაფრის თავიდან დაწყება ხდებოდა საჭირო, თავიდან დაწყება...

ერთმა მეზობელმა თავი მაღლა ასწია და შემამჩნია.

— მანდ, მაღლა, რას აკეთებ, ჩვენთან ნამოდი.

— გიყურებთ, — დავუყვირე, — და გაოცებული ვარ.

— მუქთახორა, — თქვა ჩემი მისამართით მეორემ.

ფანჯარა დავეკეტე და სავარძელში ჩავეშვი. საკუთარ თავს არც თუ მთლად დაჯერებულმა ვუთხარი: შეიძლება მათთან ერთად უნდა წავსულიყავი. ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც ყველა იქცევა. საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, დაღლილობის შეტევამ მომიარა... რატომ უნდა წავიდე, ვბჭობდი ჩემთვის, მზეს ადგილიდან მაინც ვერ დავძრავთ, ვერც სიკვდილს ავაფარებთ ხელს. მგონი, ზუსტად იმისთვის ხოცავენ ერთმანეთს, რომ სიკვდილის მოგერიება არ შეუძლიათ. ამიტომაც ერთმანეთს მიუხტნენ და ერთმანეთს ავიწროებენ, გაცოფებული ეჭიდებიან იმას, რაც ხელთ მოხვდებათ. ეჭიდებიან, რადგან აუხსნელის ახსნა არ შეუძლიათ: ომს, რევოლუციას, მშვიდობას, სასონარკვეთას, სიხარულს, ავადმყოფობას, ჯანმრთელობას, სიყვარულს, კეთილ ცოლებს, აზღუქუნებულ ბავშვებს. და ამ გრძელ გზას. უცბად გონებაში სიტყვა „სიყვარული“ ამომიტივტივდა და გაურკვეველი ნოსტალგია მომგვარა. მივხვდი, ამას შეეძლო დამხმარებოდა და ახსნა-განმარტების მაგივრობა გაენია. სიგიჟემდე სიყვარული. სინამდვილეში, ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ შეიძლებოდა მომაჯადოებლად მოგჩვენებოდათ. ღამაზი გემით მოგზაურობაზე ვოცნებობდი, ზღვა, ცა. ან უდაბნოზე. ან მიტოვებული ქალაქე-

ბის აღმოჩენაზე. ჩვენს სამყაროში ალბათ დარჩა კიდევ ადგილები, სადაც ადამიანები არ არიან. თვალუნვდენელი ზღვის, მდუმარე უდაბნოს სურათებმა ჩემში რალაც იმედის მსგავსი სიხარული აამოძრავა. უდაბნოს სიყვარული, ზღვის სილურჯის სიყვარული, გემების სითეთრის სიყვარული შესაძლებელი მგონია. მაგრამ ადამიანების სიყვარული ძალიან ძნელი მეჩვენება. მათდამი სიძულვილი კი დასაშვებია. მაგრამ იმ არსებების სიყვარული, რომლებიც მოძრაობენ, ლაპარაკობენ, ფუსფუსებენ, ხმაურობენ, მოითხოვენ, სურვილები აქვთ, იხოცებიან?! — ეს უკვე სასაცილოა. რითი შეიძლება დამთავრდეს სურვილი? რითი შეიძლება დამთავრდეს სიძულვილი, ხოცვა-ჟლეტა ან უბრალო საუბარი? გაუგებრობაში ვვარდებით. ლოდინი, ნდობა. სიყვარულით გაბერილი გული. გულებიც არსებობენ. არა, არ მეშინია. არა, შიში ხელს არ მიშლის, ჩემ სწრაფვას შიში არ აჩერებს. თუნდაც მეშინოდეს, მაშინაც. შიში, ძალიან ადამიანურია. „ადამიანურია,“ „ადამიანურია“ და გადავიხარხარე. სიტყვა „ადამიანურმა“ სიცილის გუნებაზე დამაყენა. გეშინოდეს, არ გეშინოდეს, ამაში კრიტიკერიუმი არ არსებობს. ზოგს ეშინია, ზოგს — არა. საბოლოო ჯამში კი, ეს უფრო სასაცილო ჩანს. უმოქმედობა მაშფოთებს. შეშფოთების ასეთი სახესხვაობა სხვაზე უარესი როდია, უბრალოდ, ისინი, ვინც ჩემნაირად არიან შეშფოთებულნი, არაფერს აკეთებენ. არაფერი მაქვს სატანჯველი, მაგრამ მაინც ვიტანჯები. ტანჯვა მაშფოთებს. უნდა მივიღო. ჩემში რალაც მოუსვენრობა ცხოვრობს და ეს მოუსვენრობა, რა უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, მაღამბლაგებს... სხვადასხვა მიმართულების ბიძგებია საპირისპირო და წინააღმდეგობრივი. და კიდევ ერთხელ ვინანე, რომ ფილოსოფია არ შევისწავლე, იქნებ რალაც მცოდნოდა, რალაცა რალაცაზე.

კარზე დამიკაკუნეს. მეკარე ქალი მოვიდა და მაცნობა, ჩემი მსახური ქალი, მუნჯი, მოეკლათ, ოღონდ ზუსტად არავინ იცოდა, ვინ მოკლა, მემამბოხებ-

მა თუ პოლიციამ. თურმე გაჩერება უბრძანეს, ამან კი, ცხადია, ვერ გაიგო და ბრძანება არ შეასრულა.

მეკარე ქალმა საქმეების მოსაწესრიგებლად, სურსათ-სანოვავის შესაძენად, ჩემი დავალებების შესასრულებლად საკუთარი სამსახური შემომთავაზა.

— ვილაც უნდა დაგეხმაროთ, ბატონო. ჩაის, შაქრის, ორცხოხილას, გამომშრალი ხორცის, მურაბის, ყავის, კარტოფილის ყიდვა და მომარაგებაა საჭირო. აქ ადგილი საკმარისია. სარდაფშიც გაქვთ ადგილი. კაცმა არ იცის, მერე სახლიდან გასვლას შევძლებთ თუ არა.

მართლაცდა, სროლები უფრო გახშირდა. ზოგჯერ მცირე ხნით ყველაფერი მშვიდდებოდა. ჩემს მეკარე ქალს საბაყლო საქონელით მოვაჭრე ჰყოლია ნაცნობი. მართალია, ვიტრინები ჩაკეტილი აქვს, მაგრამ უკანა შესასვლელით შემიძლია შესვლაო. ბუნებრივია, ოდნავ ძვირს იღებდა ნავაჭრში.

ცხადია, ვუთხარი, რომ თანახმა ვიყავი. ძალიან შევწუხდი, რომ რესტორანში ველარ ვივლიდი, რაც ძალიან დამაკლდებოდა. წარმოსახვის უნარი არა მაქვს. ეს ყველაფერი როგორ ვერ გავითვალისწინე? საშიშროების გაჩენის პირველივე ნიშანზე, რატომ არ გავემგზავრე, რატომ არ გავიყოლე მთელი ფული, რომელიც ალბათ ამ არეულობისა და მოსალოდნელი ცვლილებების გამო გაუფასურდება; ჩავმჯდარიყავი ცისფერ მატარებელში ან თოვლივით ქათქათა თვითმფრინავში, ცაზე ნაკვალევს რომ ტოვებს, ან გემში ანდა მძლოლიან მანქანაში და წავსულიყავი. ახლა ხომ მშვიდად ვისეირნებდი მზეზე აქათქათებულ ქალაქში. ვივლიდი ვარდისფერი სახლების გასწვრივ, ავიდოდი დახრილ კოშკებზე, დავათვალიერებდი ხელოვნებით გაჯერებულ უცხოეთის ქვეყნების მუზეუმებს, მაგრამ მარტოს მომწყინდებოდა. ივონისთვის თუ მარისთვის უნდა შემეთავაზებინა; იქნებ ამას ელოდა კიდევ, მოგზაურობები... მოგზაურობები... ჰო, მაგრამ ჩემთვის აქ

ყოფნა უმჯობესია, საყოველთაო მღელვარების ცენტრში, საყურებელი, იცოცხლე, მაქვს.

ახლა უკვე ესეც აღარ მიზიდავდა. მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიმშვიდით ვისარგებლე და გარეთ გავედი. „დიდხანს არ გაჩერდეთ, — მომადახა მეკარე ქალმა, — სადილობის დრო მოუვიდათ და ამიტომ გაჩერდნენ, მალე ისევ თავიდან დაიწყებენ; ახლა უკვე ჩვენს ქუჩაზეც ესვრიან ყველაფერს, რაც მოძრაობს. ქუჩაზე არ გადახვიდეთ, თქვენს რესტორანში შეიარეთ და სწრაფად დაბრუნდით“.

ჩვეულებრივზე ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით წავედი, კუთხეში შევუხვიე, პროსპექტზე გავედი და შევედი რესტორანში, რომელიც, საბედნიეროდ, ღია დამხვდა.

„ჩქარა შემოდით, — დამიყვირა ოფიცინტმა ქალმა, — ალბათ ხვალაც გავალბებთ. აი, ზეგ კი, საეჭვოა“.

ჩემს ადგილზე დავჯექი. იატაკი სულ დახვრეტილი იყო და დიდი ბზარები დაჰყვებოდა.

— დიახ, — მითხრა ოფიცინტმა, — შიგნით ვინც იყვნენ, ესროდნენ იმათ, ვინც გარეთ იყვნენ. ხოლო ისინი, ვინც გარეთ იყვნენ, შიგნით, ჩვენს კლიენტებს ესროდნენ. ხორცის სალათი გვაქვს.

— მიდიხართ?

— პატრონმა რევოლუციის სათავეში ჩადგომა არ მოინდომა. იმ ასაკში აღარ არის. თანაც არც გამარჯვებაშია დარწმუნებული. და ამის გამო გულმოსულები არიან.

— ნამდვილი რევოლუციონერები რომ იყვნენ, — თქვა დარბაზში გამოჩენილმა მეპატრონემ, — დასახმარებლად მაინც მივიდოდი, მაგრამ ეგენი რეაქციონერები არიან.

— ის სხვები, მათი მოწინააღმდეგეები?

— ისინიც რეაქციონერები არიან. რეაქციონერთა ორი ბანდაა. ნაწილს ლაპლანდიელები აფინანსებენ, მეორე ნაწილს კი თურქები.

შეიარაღებულმა რაზმებმა ჩვენი

ფანჯრების წინ ჩაიარეს. ვილაცებმა, ქუჩიდან, მუშტი მოგვიღერეს, სხვებს სახე მოელუშათ, სხვებმა კი ფანჯრებზე ბრახუნი ატეხეს და მინების ჩამსხვრევით იმუქრობდნენ. ოფიცინტმა ჩემი სასადილო მონყობილობა დარბაზის შუაში გადაიტანა.

— ხომ ხედავთ. — თქვა პატრონმა, — ეს ოსმალოები ესა.

— რასისტი ნუ იქნებით, — შევეპასუხე.

მერე ნერწყვი გადავყლაპე და გავჩუმდი.

— მე კი რასისტი ვარ, — განაცხადა ოფიცინტმა ქალმა, — ყველა რასა მიყვარს.

— რასები აქ საერთოდ არ არის, — თქვა პატრონმა.

— მაშინ არავინ მიყვარს, — მიუგო ოფიცინტმა ქალმა, — ყვითლების გარდა.

— ყველა ყვითელი მოღალატეა, — თქვა პატრონმა, — ქარხანაში რომ ვმუშაობდი, ყველა გაფიცვას ეგენი ჩაშლიდნენ ხოლმე. არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ მე ამ საგარეუბნო რევოლუციაში არ ჩავერევი. სადმე ცენტრში გადავალთ, იქ სიმშვიდეა.

ვილაც შემოვიდა. ქვაბურა ქუდი ეხურა, გეტრები ეცვა და უღვაში ჰქონდა.

„თქვენს კვარტლამდე რომ მოვსულიყავი, მეამბოხეთა ბანაკები გამოვიარე. მინდოდა მენახა ჩემი საწარმო ხო არ დანვეს. სიმართლეს ამბობთ, ქალაქის ცენტრში, დიდი მოედნის იქით, ერთ კილომეტრზე, ყველგან სიმშვიდეა. მთელს ფართობზე სიმშვიდეა. ქუჩებშიც სიმშვიდეა. ოღონდ მოძრაობა ჩვეულებრივზე ნაკლებია. ადამიანები სახლებში სხედან. ტელევიზორების წინ სხედან და რევოლუციას უყურებენ. იქით კი, ცენტრის იქით, დასავლეთ გარეუბანში, ხეები გაიფოთლა. იმას იქით კი დიდი გზებია, რომლებიც მიემართებიან, რომლებიც მიემართებიან, მიემართებიან... მერე მინდვრებია. ვაშლის ხეები ყვავიან, მერე ერთი მშვენიერი მდინარეა, რომელიც ზღვაში ჩადის. შემდეგ პლაჟებია, დიდი პლაჟები.“

მერე კი ოკეანეა. ამჟამად მშვიდია, მთის ტბებივით მშვიდი.

„მერე კუნძულებია. ფოთოლთა ზღვა. მარადიული გაზაფხული. შიშველი ქალები. ციხეში ვართ, უდავოდ, მაგრამ ციხე დიდია და ლამაზი პარკებით, ბალებით დამშვენებული. ბალებში გულკეთილი ზედამხედველები არიან. ხელკეტები არ აქვთ და გულკეთილად გიღიმიან. აი, კუნძულებზე კი, ზედამხედველები საერთოდ არ არიან, ყოველ შემთხვევაში, არ ჩანან; ისინი დაბურულ ტყეში იმალებიან და სძინავთ“.

უცბად, მთელი სამყარო თავისი სივრცითა და მრავალფეროვნებით თვალწინ დამიდგა. მსოფლიოში არის გზები, მთები, მინდვრები, წყაროები, კამკამა ცა, არიან გულითადი ადამიანები. არსებობენ ქვეყნები, სადაც უცხოელები უყვართ, კარგად ექცევიან, აჭმევენ, ასმევენ და ისინი უსახურავო სახლებში ცხოვრობენ, რადგან იქ არასოდეს წვიმს. ვარსკვლავები ისე დაბლა ციმციმებენ, თითქოს ერთი ხელის განვდენაზე არიანო. ხილი.

ქალაქის ცენტრში მდებარე ბანკში ფული მაქვს შენახული. გადავწყვიტე, მეცადა და იქამდე მივსულიყავი. თავზე დასახურად ჩაჩქანი მათხოვეს. კარაბინზე უარი ვთქვი. ჯიხურში, ადრე რომ შლაპებით ვაჭრობდა და ახლა იარაღის სავაჭროდ ქცეულა, ტყვიანობითა და ფილტვები იყიდება, ოღონდ მხოლოდ მეზობრობებს აძლევენ. დიდი მოედნისკენ გავემართე, მინდოდა გადამეჭრა და ქალაქის ცენტრამდე, მშვიდობის ზოლამდე მივსულიყავი. პროსპექტი ბარიკადით ჩაეხერგათ. თეთრი ცხვირსახოცი ავაფრიალე. ტყვიამ გახვრიტა ცხვირსახოცი. ქუჩის მეორე ბოლოსკენ გავიქეცი. იქ ადრე დიდი ქარხნები, დიდი საკვამურები იყო, ახლა ყველაფერი დაენგრიათ და შუაგულ გზაში გადაულახავ კედლებად აღმართათ. ვერც მარჯვნიდან მოვუვლიდი და ვერც მარცხნიდან. მარჯვნივ, გუშაგებით გარშემორტყმული მემამბოხეთა გამაგრებული ბანაკები იყო. იქიდან ყველას ესროდნენ, ვინც მიახლოებას გაბედავდა ან სრულიად

უმიზეზოდ, გასართობად ისროდნენ. მარცხნივ კი პოლიციის რაზმები იდგა და ყველას აკავებდნენ. უკმაყოფილო ხალხთან ერთად უკან დაბრუნებამ მომინია. როგორც იყო, მივალწიე ჩემი რესტორნის კარამდე, რომელსაც უკვე კეტავდნენ. ჩემი ოფიციალტი ქალი დავინახე, ოთხად მოხრილი, სამი მეოთხედით ჩამოშვებული რკინის ჟალუზის ქვემოდან გამოძვრა.

— ივონს უთხარით, დამელოდოს, — მივაძახე.

— ველარ ვხვდებით, — მიპასუხა, — ერთი წელია აღარ მინახავს.

— ხომ არ დაქორწინდა? შვილები ჰყავს?

— ოთხი, — და ოფიციალტი ქალი გაქრა.

რამდენი დრო გავიდა, რაც ივონი ჩემგან წავიდა? თვეები, წლები. დრო სწრაფად გადის. ეს უამრავი ხალხისგან გამიგია. და ამის სიმართლეში მეც პირველად არ დავრწმუნებულვარ. დრო მიდის, დრო გავიდა, და აი, უკვე, უფსკრულის პირას ვარ.

ჩემს სახლამდე რომ მივიდე, ქუჩის კუთხეში შევუხვიე. ძლივს გავალწიე. ქუჩის ამ ბოლოში ბარიკადას აგებდნენ. გავლას ვჩქარობდი და ყველას ვეუბნებოდი, რომ აქვე ვცხოვრობდი.

— ამ ქუჩაზე ცხოვრობთ, — მეუბნებოდნენ, — და პაროლი არ იცით? კარგი, მაინც გაიარეთ.

გავიარე და დავინახე, ქუჩის მეორე ბოლოშიც ბარიკადას აგებდნენ.

ჩემი სახლი ქუჩის შუაში იდგა. ჩემს კარამდე მივალწიე, აქედან ქუჩის მეორე ბოლოში ბარიკადაზე აღმართული დროშა შევამჩნიე. ისეთივე იყო, როგორც მეორე ბარიკადაზე. მწვანე დროშა, ნახევარმთვართა და ძნით.

— იგივე დროშაა! — წამოვიძახე.

ხეივანიან პატარა სახლში მცხოვრები მოხუცი მომიახლოვდა და მითხრა:

— აბა, სცადეთ და მაგათ უთხარით. ერთი და იმავე პარტიის ხალხია. ერთმანეთს ხოცავენ.

— დურბინდები ხომ აქვთ. რაც ხდება, ხომ უნდა ხვდებოდნენ. ალბათ ერთი

და იმავე დაჯგუფების მტრულად განწყობილი ორი ბელადი დაეტაკა ერთმანეთს.

ძლივს დავამთავრე ამ სიტყვების თქმა, რომ ორივე მხრიდან ტყვიამფრქვევების ჯერი წამოვიდა. ორცეცხლშუა მოვხვდით. შლაპა ტყვიამ გამიხვრიტა. მოხუცი ყვირილით დაეცა: „გაუმარჯოს...“; წამსკდარმა სისხლმა საშუალება არ მომცა გამეგო, ვისი გამარჯვება უნდოდა. მოპირდაპირე სახლიდან მოხუცის ცოლი გამოვარდა. მიწაზე გაშხლართული ქმარი დაინახა და, ბუნებრივია, საზარელი კივილი მორთო. თან მუშტს მიღერებდა: „თქვენი ბრალია, ბინძურო ბურჟუეზო!“ — მოსთქვამდა. ტყვიამფრქვევები გაორმაგებული ძალით აკაკანდნენ. ყურადღება აღარ მივაქციე დედაბერსა და ბერიკაცს, სწრაფად შევვარდი სახლში. ზღურბლს გადავაბიჯე და განრისხებულმა შლაპა იატაკზე მოვისროლე: „შლაპას აღარ დავიხურავ, არასოდეს!“ — დავიყვირე.

— ჩქარა შემოდით, ბატონო, — მითხრა მეკარე ქალმა, — სახლში ადით. სურსათი გიყიდეთ. ყველაფერი, რაც საჭიროა, რამდენიმე თვის სამყოფი გაქვთ.

— ხომ არ დაგავინყდათ...

— არაფერი დამვინყებია. იმაზეც ვიფიქრე, რაზეც ახლა ფიქრობთ. თვეები გეყოფათ, წლები გეყოფათ. მარტოობა გიყვართ და იქ ზევით ბედნიერად იქნებით. ოღონდაც ელექტროობა არ გამოთიშონ და კანალიზაცია არ გაიჭედოს.

მეოთხე სართულზე ავედი და ჩემი ბინის კარი გავაღე. მართლაც, ყველაფერი დამხვდა, რაც საჭირო იყო, ყველაფერი. მთელი ბინა ბოთლებით იყო სავსე. ღვინოები: ბორდო, ბურგუნდული, სავოური, ელზასური, ტურინული, დიდი რაოდენობით მინერალური წყალი მთელს დერაფანში ელაგა. ყველაფერი ბევრი იყო. და კიდევ სურსათ-სანოვაგე ტომრებით. ჩემს სართულამდე ვირთხები და თავგები, იმედია, ვერ ამოაღწევინ. თუმცა, კარებთან და ფანჯრებთან

ან საბრძოლველად ბარიკადების აგებას მაინც ვაპირებდი. მილებშიც. მღრღნელებისთვის საწამლავიც მქონდა და პისტოლეტიც. ფანჯრებამდე გაჭირვებით შევძლებდი მისვლას. შეიძლება ეს უკეთესიცაა, რადგან მინებზე როყიო ტყვიები ასკდებოდა. ფანჯრის ერთი კუთხიდან ქუჩას მაინც ვხედავდი. ადამიანებმა თავიანთი ბარიკადები მიატოვეს და ერთმანეთზე იერიში მიიტანეს. სროლა, გუგუნი, გაანჩხლებული ყვირილი, დაჭრილების ღრიალი, ხროტინი, სასწრაფო დახმარებები. ბოლო არ უჩანდა. ქუჩა გვამებით იყო მოფენილი. ეს ამბავი სამი თუ ოთხი დღე გაგრძელდა. ბარიკადებზე დახოცილთა შესაცვლელად, დღისით და საღამოთი, ახალი და ახალი ხალხი მოდიოდა და ყველა კვენესოდა, ღრიალებდა, მღეროდა, იგინებოდა. ქუჩის ის მცხოვრებლები, რომლებიც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობდნენ, გვარიანად ერთობოდნენ. მიუხედავად საფრთხისა, ყურთამდე ღია ფანჯრებთან იდგნენ. დროდადრო ვიღაც სიცოცხლესაც ეთხოვებოდა. როყიო ტყვიის მსხვერპლი ხდებოდა. ყოველთვის არა, რა თქმა უნდა. ზოგჯერ მათ საგანგებოდაც ესროდნენ, რადგან მებრძოლებს ანერვიულებდნენ. აქედან: თუ ქორწილში ხარ, სარგებელიც უნდა ნახო. ამის გაგება შეიძლება. ადამიანური. მოკლულები თავიანთი ბინების შიგნით ქრებოდნენ. ზოგჯერ ფანჯრებიდან ცვიოდნენ: ბუხ! პირდაპირ ქვაფენილზე, წარმოგიდგენიათ! დროდადრო უდანაშაულო მსხვერპლთა აგროვებდნენ და ორივე ბანაკი მათ ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯდა. ამ მსხვერპლთა წყალობით, ყოველ ბანაკს შეეძლო ესაყვედურა მეორისთვის, რომ ისინი მკვლევები არიან, მოხუცების, ქალების, ბავშვების, ჯალათების ბანდა. სიმართლე რომ გითხრათ, ეს მაინცდამაინც ვერ მართობდა. მომყირჭდა ამდენი სისხლი, ამდენი გვამი.

ბაზარზე გასაყიდი სურათების შესაქმნელად თუ გამოდგება, გავიფიქრე.

პირადად მე, გადავწყვიტე აღარ დავლოდებოდი. მეყო ეს სისხლიანი ჰორიზონტები, ეს თეატრალური თუ კინემატოგრაფიული ნანგრევები, ეს მოვლენები, რომლებიც საკვებად დიდხანს ექნება ლიტერატურას და საკმარისი იქნება ათი ათასობით წიგნის დასაწერად, თანაც ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულა. ეს გაგრძელდება წლობით, მრავალ წელს, რომელთა ბოლოსაც ცისფერი იმედი გამოჩნდება. ცეცხლის ალი და მძიმე კვამლი კოსმიური ციხის ვარსკვლავებით მოჭედული ცის დანახვაში ხელს მიშლის. რომელიღაც აღმოსავლური ლეგენდა, არაბული, მგონი, გვიამბობს, რომ ზეციური სახურავის იქით, ამ საფარველის იქით, დამაბრმავებელი სინათლე კაშკაშებს, რომელსაც ხვრელების მეშვეობით ვხედავთ, ეს ხვრელები ვარსკვლავებია.

გადავწყვიტე, სამყაროსთვის ჩემკენ მომავალი გზები ჩამეკეტა.

სახლიდან გასვლის მიზეზი აღარ მქონდა. წყალი, გაზი, ელექტროობა, გათბობა დიდებულად მუშაობდა და მინაში ძალიან ღრმად ჩაფლული დიდი მილებით მოგვეწოდებოდა. არც ამბობებულებს, არც მათ მონინაალმდეგებს უბრალოდ საშუალება არ ჰქონდათ ასეთი სიღრმე გაეთხარათ, მაშასადამე, კომუნიკაციების ნახდენას ვერ შეძლებდნენ. მართალია, ჩვენს კვარტალში ქარხნები, გარაჟები, ადმინისტრაციული შენობები დაანგრის, მაგრამ დროდადრო მათაც ხომ სჭირდებოდათ დასვენება, მოკლევადიანი შესვენება, ამიტომაც რამდენიმე სახლი, რამდენიმე ქუჩა, მათ შორის ჩემიც, დაინდეს. ამ სახლებში ზოგიერთი მეზობლის ახლობელი ცხოვრობდა, რომელთა სანახავადაც ზოგჯერ დადიოდნენ ან მანსარდებში ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ამ სახლებში სურსათ-სანოვავისა და საბრძოლო მასალის მარაგის სანყოფენი ჰქონდათ მოწყობილი. ამ საბრძოლო მასალების მარაგის წყალობით ზოგჯერ აფეთქებებიც ხდებოდა, ოღონდ მხოლოდ შემთხვევითობის გამო. ჩვენს სახლში ტყვია-წამლის შესანახი სანყო-

ბი არ იყო და არც მეზობლებს ჰყავდათ ახლობლები. დროდადრო ერთი მოდიოდა, გრძელთმიანი და გრძელწვერა, ის, მოჰყავდა ჩვენი სახლის ერთადერთ აქტივისტს, პატარა ძალღიან ქალს, რომლის ქმარიც, ვითომ შემთხვევით, უცბად გარდაიცვალა. ზოგჯერ ამ პატარა ძალღიან ქალს მოჰყავდა მეორე მემამბოხე, რომელსაც წვერი და თავი ერთიანად სუფთად ჰქონდა გადაპარსული, ამკარად სახალხო არმიის წვერი იყო, ე. ი., მონინაალმდეგის მხარეზე იბრძოდა. ამას ჰქვია ორმაგი თამაში. ზოგჯერ ეს ორი აჯანყებული იმ ქალბატონის ბინაში ერთმანეთს ხვდებოდა, როგორც ეტყობა, ითვალისწინებდნენ, რომ ჩვენი სახლი no man's land<sup>15</sup> იყო, უფრო სწორად, მშვენივრად ეთვისებოდა ერთმანეთს.

იმ მიწისქვეშა მიწებზე და კაბელეებზე, ქალაქის ცენტრიდან სითბოსა და სინათლეს რომ გვანვდიდნენ, ბევრს ვფიქრობდი. ალბათ როგორ დამცინიან ჩემი ყოფილი თანამშრომლები! ჩვენს გარეუბანში კონფლიქტი ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ ამ დროში ქალაქის ცენტრში შეიძლება ახალი პარკები გააშენეს კიდევ, მშვენიერი გაზონებით. ალბათ ხეებიც დაიზარდნენ და ყველაფერი ლამაზად, გულგასახარად გამოიყურება. მე კი, ამ სახიფათო გარეუბანში გამოვკეტილვარ, სადაც მრისხანება, საშინელება, სისხლი და სიკვდილი ბობოქრობს.

ერთხანს ჩემს ფანჯრებსაც ესროდნენ. ნეიტრალიტეტის საშიში მომხრე ნიშანში ამომიღეს თუ რა? მაგრამ მათი ბრძოლისა მე ხომ არაფერი გამეგება. ეტყობა, ამას თავისი მიზეზი მაინც აქვს.

ერთ დღეს, ხმაურსა და საფრთხეს უკვე მიჩვეული, ძველ, ომამდელ გაზეთს ვკითხულობდი. უცბად მოფსმა მომინდა და ავდექი. მინის მსხვრევის ხმა შემომესმა, დაბრუნებული, ჩემს ადგილზე დაჯდომას რომ ვაპირებდი, ტახტზე, ზუსტად იმ დგილას, სადაც ცოტა ხნის წინ ჩემი უკანალი განისვენებდა, ჭურვის ნამსხვრევი აღმოვაჩინე. მაშინვე

<sup>15</sup> არავის მიწა (ინგლ.)

ზომების მიღება გადავწყვიტე, რომ ასეთი ინციდენტი აღარ განმეორებულყო. მოჩვენებითი სახე უნდა შემექმნა, ვითომ ჩემს ბინაში არავინ ცხოვრობდა. ფანჯრებზე დიდი ლეიბები ჩამოვაფარე და ბალიშები მივაყუდე. ყველაფერი კარგად დავგმანე. ისე, გარედან ერთ სხვისაც ვერ შემოეღწია.

უკანა ოთახში გადაბარგება გადავწყვიტე, რომლის ფანჯარაც ეზოს გადაჰყურებს. იქ სიმშვიდე იყო, ბევრი სინათლე, მე ხომ მეოთხე სართულზე ვცხოვრობ. და რადგან ფანჯარა სამხრეთს უყურებს, ზოგჯერ მზეც შემოდის. მზის ერთი სხივი. ხალხმა ბავშვები სოფლებში ან ქალაქის ცენტრის პანსიონატებში დაგზავნა. მათთან ერთად მშობლებიც წავიდნენ. თორმეტ წელზე უფროსი ბავშვები კი გაიწვიეს. ეს მეკარე ქალმა მითხრა. იმის დასამტკიცებლად, რომ სიმართლეს ამბობდა, გაზეთი მაჩვენა, რომელიც სახლის შემოსასვლელში ეპოვა. ამ ბავშვების ერთ ნაწილს სამხედრო თუ ნახევრად სამხედრო ორგანიზაცია „პარიზელი გავროშების“<sup>16</sup> კოჰორტა“ დაუარსებიათ, სხვებს კი, მეორე პარტიიდან „ახალი ბარას“<sup>17</sup> ლეგიონი“. მესამე დაჯგუფებაც იყო „გარეუბნის ბოისკაუტები“. ესენი ორივე ბანაკის დაჭრილების შეგროვებით და მათი მოვლით იყვნენ დაკავებული, და კიდევ ქათმებისა და სურსათ-სანოვავის მოპარვით, პატრონებს კი ტალონებს ურიგებდნენ, ამასაც ორივე მხარის ბანაკის მებრძოლების სასარგებლოდ აკეთებდნენ, შეიძლება სამივე მხარისაც ან ოთხის., ოთხი სართულის სიმაღლიდან ვხედავდი, შიდა ეზო სავსე იყო ნაგვით, რომელსაც პატარა გორაკი წარმოეშვა, ზედ

<sup>16</sup> ვიქტორ ჰიუგოს რომანის „საბრალონის“ პერსონაჟი. ბავშვი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ბარიკადებზე აჯანყებულებს ეხმარებოდა და სამთავრობო ჯარისკაცების მიერ ნასროლი ტყვიით დაიღუპა.

<sup>17</sup> უოლფგ ბარა – გმირი ბავშვი. რობესპიერის მიერ შექმნილი ლეგენდის მიხედვით, იგი ალჟაში მოხვდა, ჯარისკაცებმა მოსთხოვეს დაეყვრა: „გაუმარჯოს მეფეს!“, მან კი დაიძახა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ და დახვრიტეს.

ბალახი წამოზრდილიყო, რამდენიმე ხეც, უკვე ყვავილობას რომ იწყებდა. მეც ჩემს ნაგავს აუცდენლად იქით ვისროდი, მერე მწვანე ნარგავებად იქცეოდა, ყვავილებად, გაზონებად. ჩემს დერეფანში სურსათ-სანოვავის იმდენი ტომარა და ბოთლი იყო, რომ მარჯვენა და მარცხენა მხარის კედლებთან მომიწია მათი მიწყობა, ბილიკი რომ გამეკეთებინა, რომელზეც მეკარე ქალიც კი შეიძლება გავლას; მეკარე ქალი უკანასკნელი ძაფი გახლდათ, რომელიც თოფისწამლითა და ცეცხლით აბობოქრებულ სამყაროსთან მაკავშირებდა. ამ ოთახში დავდგი ჩემი საწოლი. ოაზისი იყო, პატარა შვეიცარია. როგორც ჩანს, აქედან მალე არ მომიწევს გამოსვლა, ასე რომ, თავშესაფარი მაქვს. რა სიმშვიდე იყო ამ პატარა ოთახში! რა ნეტარებაა, როცა ამჩნევ, რომ მდუმარე ფანჯრებს იქით არავინ არის. ვიცი, აქ კარგად ვიქნები, ოცნებებისთვის დრო მექნება და იმდენსაც დავლევ, რამდენიც მომიწდება.

დრო გავიდა. თვეები გავიდა. შეიძლება წლებიც. მეკარე ქალს დროდადრო მოჰქონდა საბაზრო სურათები, რომლებზეც რევოლუციის კარაბინიანი, წვერ-მოშვებული, ქუდიანი ჯარისკაცები იყვნენ გამოხატულნი ან უქუდოდ და უწვეროდ. ეს ალბათ უკვე შევიდა ისტორიაში. ერთ სურათზე ალბეჭდილი იყო ბარას გმირული სიკვდილი: ის ხიშტებით განგმირული ძირს ეცემოდა. მეორე სურათზე ცისკენ ხელგაშვერილი ტყვიისგან მოცელილი გავროში დავინახე. შორიახლოდან კი ავკაცები თოფს უმიზნებდნენ და ესროდნენ. იმ ავკაცებს რალაცნაირი მწვანე მუნდირები ეცვათ.

ერთ დღეს მეკარე ქალმა მითხრა, ბოლოს და ბოლოს, სახლები ჩვენს ქუჩაზეც ააფეთქესო. ამას წინათ, აი, თურმე რატომ ვიგრძენი რალაც მინისქვეშა ბიძგების მსგავსი რყევა. სმენა დავძაბე, მაგრამ სადღაც კარგა შორს ისროდნენ. „მართალია, — დამემონმა მეკარე ქალი, — ახლა მხოლოდ დიდ მოედანზე ისვრიან. იქაც უკვე იშვიათად. სროლებსა და

სროლებს შუა, ან ბრძოლები რომ მიწ-ელდება, ადამიანები თავიანთ საქმეებზე დადიან“. დამაინტერესა, ჩემს რესტორანს რა დაემართა. „მისგან აღარაფერი დარჩა, ბატონო. — მითხრა მეკარე ქალმა. — იმ სახლებიდან აღარაფერი დარჩა“. ჩვენი სახლი და კიდეც ორი თუ სამი მეზობლად მდგარი სახლი ერთადერთი კუნძულებია ფეხზე რომ დგას. ახლა ჩემს ქუჩაზე ბევრი ხალხი აღარ ცხოვრობდა. პენსიონერი ცოლ-ქმარი, ჭაღარა რუსი, პატარა ძაღლიანი ქალი, კიდეც სხვები – დაიხოცნენ. ყველა სამოქალაქო ომის გამო არა, ზოგი სიბერით, ვიღაცა ინფარქტით და სხვა ავადმყოფობებით. „მერე ყველაფერს ალაღ-გენენ. ადამიანებს სამუშაო გაუჩნდებათ. იცით, ახლა ჩვენს ქუჩაზე კვადრატული მეტრი მიწა რა ღირს?“

მეკარე ქალიც მოკვდა. ის მისმა ქალიშვილმა შეცვალა. ეს გვიან შევამჩნიე. ვიღაცას სანოვაგე მოჰქონდა. კონსერვის ცარიელი ქილები მიჰქონდა, იშვიათად მანუხებდნენ, მალე კი საერთოდ დამანებეს თავი.

ნათელი ოთახი მქონდა. ბევრი სინათლე. ყოველდღე საკუთარ თავს ძალას ვატანდი, სააბაზანო ოთახამდე როგორმე მიმეღწია, დამეზანა, გამეპარსა. მოღრუბლულ დღეებში არ ვიპარსავდი. მერე ვინრო ბილიკით, სურსათ-სანოვაგესა და ბოთლებს შორის რომ გავკვალე, უკან ვბრუნდებოდი და ისევ სანოლოში ვწვებოდი. შემდეგ სანოლოს ვასწორებდი, ვგვიდი, მერე კარს ვაღებდი, დერეფანში ჭუჭყიანი თეთრეული გამქონდა, სუფთას ვიღებდი და შემომქონდა. ამ ყველაფერს დიდი დრო სჭირდებოდა და ისე მღლიდა, სრული უფლება მქონდა ისევ ჩავნოლილიყავი სანოლოში, საიდანაც ცას ან ჭერს ვუყურებდი. ველოდი. ველოდი რას, თვითონაც არ ვიცოდი, მაგრამ ველოდი მგზნებარედ და მოუთმენლად. როცა ცის ლაჟვარდს მსუბუქი ღრუბელი შეერეოდა, ვცდილობდი რაღაც აზრი გამომეტანა, ამეხსნა, რაღაც ამომეკითხა ტატნობზე. ადრინდელივით უბედურად

აღარ ვგრძნობდი თავს. ნუთუ წლებმა დამადინჯა თუ ძალები დამისუსტა, ოდესღაც ჩემში რომ დულდა და ბობოქრობდა? სიმართლე რომ ვთქვა, ბედნიერადაც არ ვგრძნობდი თავს. მაგრამ, რაც არის, არის. სამყაროს დიდი სატუსალოს შიგნით, უფრო პატარა, ჩემი ზომის სატუსალო მოვიწყე, სადაც ცხოვრება შემიძლია. სრულიად პატარა კუთხე. ამას კი ვხვდებოდი, თუნდაც იმით, რომ ჩემი ზომის იყო. პატარა კუთხე კატორლაში, რომელიც კატორლისგან მმალავდა. კატორლისგან, სადაც არავინ მუშაობდა. ნუთუ კაემნის ბრალია? თუ მორჩილების? უფრო დაღლილობის. მაგრამ დანოლა შემიძლია, როგორც მიწა და როცა მიწა. საათებს ვატარებდი სანოლოში, დღეებს. არავითარი ძალისხმევა არ მომეთხოვებოდა, არავითარი, გარდა მოლოდინისა. ცას რომ ვუყურებდი, სულ ვცდილობდი, დამენახა, ცის იქით რა იყო. ნუთუ „მე“ ვარსებობ? მაგრამ ეს „მე“ აქ იყო, ორ უსასრულობას, დიდსა და პატარას, შორის. ვინ ვიყავი? ერთი მხრივ, წერტილი. მეორე მხრივ კი, გალაქტიკების გროვა. ჩემში იზადება, ყვავილობს, კნინდება, კვდება სამყაროები. მე სამყაროები ვარ, მილიარდობით საუკუნე კოსმიური სისტემებისთვის. მილიარდობითა და მილიარდობით კილომეტრი ვარ არსებებისთვის, მე რომ არ ვიცნობ, მილიარდობით არსებისთვის ჩემში რომ ფუთფუთებს, ბრაზობს, ჯანყდება, უყვარს, ეზიზღებათ ერთმანეთი. დიახ, ეს ყველაფერი ჩემშია.

ჩემი სახლი, კიდეც ორი თუ სამი მეზობლად მდებარე სახლი, ახლა დიდი მშენებლობებით გარშემორტყმულ პატარა კუნძულებს წარმოადგენს. ყველაფერს, რაც განადგურდა, ხელახლა აშენებენ. იმისთვის აშენებენ, რომ მერე ისევ დაანგრეონ. იმისთვის ანგრევენ, რომ მერე ისევ ააშენონ. მეზობლად მდებარე ორი თუ სამი შენობის კედლები მშენებლობის ხმაურისგან მიცავენ. გუგუნისგან თავდასაცავად ჩემი მეთოდიც მაქვს. ხმაურს არ ვებრძვი, არც ყურებს

ვიხშობ, არც ვლიზიანდები, ცოფებს არ ვყრი. პირიქით, რაც შეიძლება ყურადღებით ვუსმენ. ხმაური ჩემთვის რალაც მუსიკას ჰგავს. ნერვებზე არ მოქმედებს და მოსვენება მოაქვს.

ზოგჯერ მშვენიერი დღეებიც გამოერეოდა. იქნებ იმიტომ, რომ სამხრეთ გარეუბანში ვცხოვრობ, სადაც უკეთესი ამინდებია, უფრო თბილა, ვიდრე ჩრდილოეთ გარეუბანში. ერთხელ, დილით, შუაღამე უკვე მოახლოებული იყო, რომ სახლების სახურავების ზემოთ ცისფერ ცას გაეხედე, როგორც ხშირად ვაკეთებდი ხოლმე. დავინახე ოდნავ შესამჩნევი ბზარი, რომელიც ლაჟვარდოვან ცის კამარაზე, თავიდან ბოლომდე, უხმაუროდ გაწვა. ბზარი დღის სინათლეზე მეტად კაშკაშებდა, და სიცისფრე, როგორ ვთქვა, უფრო ცისფერი იყო ზეციურ სიცისფრეზე. იმედი შეფრთხილდა ჩემში. თითქოს არც არაფერი ყოფილიყო, მშენებლობებიდან ჩვეული ხმაური გრძელდებოდა. ცხადია, დრო უნდა გქონდეს, რომ ცას უყურო, თანაც ყურადღებით უყურო. მაგრამ ადამიანები მაღლა საერთოდ არ იყურებიან. სამუშაო, ათასი საზრუნავი, თავის ასანევად ვის სცალია. ამ ციურ სილაჟვარდეს ვუჭვრეტდი, თვალები მეტკინა, მაგრამ მზერა ვერ მოვაშორე. მერე ნელა, მანათობელი სხივი, სინათლე სინათლის ფონზე, ისევე გაქრა, როგორც გამოჩნდა, კვალიც არ დაუტოვებია. მოგვიანებით ზოლი ვარსკვლავებით მოჭედვით ცაზე გამოჩნდა, უფრო ფართოდ, ვიდრე დღისით იყო. თითქოს გაქვავებული ელვა ყოფილიყოს ჰორიზონტის ერთი ბოლოდან მეორეში გადაჭიმული. მის გვერდით ვარსკვლავებმა ფერი დაკარგეს, თითქოს ჩაქრნენო. ეს კვალი, ორ მზეზე, მეტად რომ კაშკაშებდა, ერთი პატარა ვარსკვლავიდან გამოიჭიმა. და ისევ სიხარულმა ამავესო. ეს ყველაფერი დაპირებად მივიღე და არა მუქარად. მერე რიჟრაჟი დადგა და ხაზი გაქრა ცის ტატნობიდან, ხოლო გარიჟრაჟი ნაცრისფერი მეჩვენა. რვა საათისთვის ახალგაზრდა მეკარე ქალმა ყავა მომიტანა, ალბათ ჩვეულებად არ

ჰქონოდა სახურავებს ზევით ახედვა. მას არაფერი დაუნახავს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ღამე სძინავს. დღისით კი ძალიან დაკავებულია. სამუშაო აქვს. ის მხოლოდ კვირას შეხედავს ცას. მეორე მხრივ კი, ამ სახლის არც ერთ მცხოვრებს, არც მშენებლებს, რომელთა შორის მეგობრები ჰყავს და როცა პურის საყიდლად მიდის, მაშინ ხვდება, არც მეპურეს, და არც არავის, ამაზე მისთვის არაფერი უთქვამს. ეს მხოლოდ მე ერთმა ვთქვი. ისიც ვუთხარი, რომ კვირას ეს მოვლენა შეიძლება აღარ განმეორდესმეთქი. „ცხადლივ სიზმრებს არ ვხედავ“, — მკვახედ მომახალა. „გარნმუნებთ, — ვუპასუხე, — ჩემი თვალთ ვნახე“.

„ხომ გითხარით, არც ერთ ჩემს ნაცნობს, ამის შესახებ არაფერი უთქვამს“. ჩემს გამონერა მთხოვა, სანოვაგე რომ შეეძინა. ისიც მითხრა, ლიფტის მოსაწყობად წინასწარ მოზრდილი თანხა იყო გადასახდელი. ლიფტის გაკეთებას ახალი მობინადრეები მოითხოვდნენ თურმე. თან მეც კარგად გამომადგებოდა, მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა, თუ ვინებებდი და ცოტას გავინძრეოდი. ჩემს განდევნობას აზრი აღარ ჰქონდა. საფრთხე უკვე აღარ არსებობდა. თუმცა, დროდადრო კიდევ ისმის რალაც ცალკეული აფეთქებები, ბომბების შორეული გრიალი. ეს ყველაფერი ადამიანებს ძალიან ძვირად დაუჯდათ, მაგრამ ახლა კვარტალში სიმშვიდეა. რევოლუციამ ქალაქის ცენტრში და ჩრდილოეთ გარეუბანში გადაინაცვლა.

— ჩვენ საკმაოდ მოგვხვდა, ახლა მათი ჯერია.

მთელი დღე, მომდევნო დღეები, კვირასაც, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი, სახურავებს ზემოთ, ცას შევყურებდი, იმ იმედით, რომ ის მოვლენა განმეორდებოდა. მაღლა მეტი არაფერი მომხდარა.

ისევ მივეჩვიე ჩვეულებრივ დღის სინათლეს. და მოვიწყინე. სახლიდან გასვლაც კი განვიზრახე. ძველი რესტორნის ადგილზე ალბათ ახალი ააგეს. უსიამოვნო ნუთები დამიდგა, დერეფნის

ორივე მხარეს დახვავებული სურსათ-სანოვავით სავსე ტომრებს შორის ძლივს გავალწნიე, კართან მივედი და გავალე. კიბეზე ჩავედი, გაცეცხული დავრჩი — რა ადვილი აღმოჩნდა. მეკარე ქალის ბინის წინ გავიარე. ის თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ძველი მუდამ თავის ადგილზე იყო. არასოდეს მიდიოდა. სხვა ჩვეულებები. ტროტუარზე ერთი ნაბიჯი გადავდგი, მეორე. სახლები ველარ ვიცანი. ყველა ახალი იყო, მაღალი, ერთმანეთის მსგავსი. ჩვენს ქუჩას სხვა, ახალი, ქუჩა ჰკვეთდა. იგი დანგრეული სახლების ადგილზე გაჩნდა. ახლა პროსპექტთან მისვლა უფრო ჩქარა შეიძლებოდა. პატარა სახლები, ბალებითა და პატარა ეზოებით აღარ არსებობდა. ახალ მეზობლებს არ ვიცნობდი. შორიდან მართლაც ისმოდა ბომბების აფეთქების ხმა. რესტორნამდე მივალწნიე. იგივე მეპატრონე დაბრუნებოდა ძველ ადგილს. მთავრობამ, რომლისთვისაც ან რომლის წინააღმდეგაც იბრძოდა, იგივე ადგილი დაუბრუნა, ოღონდ განახლებული სახით. ძალიან დაბერებულიყო და კოჭლობდა. ალბათ, მეც მაგრად დავბერდი, რადგან ვერ მიცნო. დარბაზი ახალგაზრდა კლიენტებით იყო სავსე, თავგამოდებით მხიარულობდნენ. სულ სხვა პუბლიკა იყო, არამცთუ უწინდელი. ზოგი გიტარაზე უკრავდა, ზოგი უალკოჰოლო სასმელებს მიირთმევდა. ყველა ხმამაღლა იცინოდა. ბევრი თავიანთი სკამების ზურგზე გადანოლილიყო და ფეხები მაგიდაზე შემოენყო. სამყარო გაახალგაზრდავებულა, გავიფიქრე, მე კი დავბერდი. ესენიც დაბერდებიან. „იცით, — ვუთხარი მეპატრონეს, — მე ის კაცი ვარ, რომელიც თქვენთან ხშირად დადიოდა და აი, იმ ადგილზე ჯდებოდა, სადაც ახლა ახალგაზრდებით გარშემორტყმული ის პლასტმასის მაგიდა დგას.

— დიახ, დიახ, მახსენდება, — მიპასუხა მოხუცმა, — არა, ის ოფიციალტი ქალი აღარ მყავს. ალბათ შვილები უკვე წამოესწრო. შეიძლება შვილიშვილებიც ჰყავს. მოდი, თითო ჭიქა ერთად დავლიოთ. მალე პენსიაზე გავალ. თქვენ

მუშაობთ ისევ?

— ხომ იცით, რომ სამსახურს თავი ძალიან ახალგაზრდამ დავანებე. უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ვმუშაობ.

— გაგიმართლათ. მაშასადამე, ცუდად არ ცხოვრობთ. გარეგნულად კი დაჩაჩანაკებულხართ. ამას ვერავინ გავეცევი. რომ გემუშავათ, იქნებ ნაკლებადაც დაბერებულიყავით. როცა პენსიაზე გადის კაცი, რალაც საქმე აუცილებლად უნდა იპოვოს. აი რა, პროფესია უნდა შეიცვალოს. გადაემზადოს. გახსოვთ ხომ, სამოქალაქო ომია, ბარიკადები, ო-ო-ო, კარგი დრო იყო. პირდაპირ რესტორნის დარბაზში გვესროდნენ.

— ვიცი, მშვენივრად მახსოვს, აქ ვიყავი.

— ო, დიახ, როგორ დამავიწყდა. სიფათში ერთი კარგი მუშტიც მოგხვდათ. ცხოვრებაში რალა არ ხდება. საბედნიეროდ, კარგი ღვინო დარჩა, — მითხრა, თან ღვინო დამისხა დახლთან, — დახლიც კიდევ არსებობს, ღვინოც არის. აი, კამამბერი კი უკვე იგივე აღარ არის. ახლა ქარხნული წესით ამზადებენ. ასე ადვილია. ახალგაზრდობა გაზარმაცდა. თავსაც არ შეინუხებენ, რომ გაისროლონ, როგორც ეს ჩვენს დროს ხდებოდა. იქნებ ამათაც რამე შეძლონ; ვინ იცის, ადამიანებს თავში რა შეუჯდებათ.

— რასაკვირველია. ყოველ ჩვენგანშია აგრესიისკენ მიდრეკილება. კაცმა არ იცის, როდის გამოვლინდება“.

როცა რესტორნიდან გამოვდიოდი ახალგაზრდები ჩემკენ შემობრუნდნენ და დამცინავი გამოხედვით გამომაცილეს. ერთმანეთს იდაყვებს ურტყამდნენ და თვალს უკრავდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ძველებურ მოდაზე ვიყავი ჩაცმული. ანდა სხვა სამყაროს ვეკუთვნოდი. იქნებ საერთოდაც მკვდარი ვიყავი. ნუთუ ბურჟუა სადმე კიდევ დარჩა? იქნებ მე ერთი გადავრჩი, ან იქნებ არც ბურჟუა არსებობს და არც სხვა რამე?

ძალიან სწრაფად, როგორც შევძელი, შინ დავბრუნდი. წელზე ხელმოკიდებულმა სართულები ავიარე, კარი გავალე, შევედი, კარი ისევ გასაღებით

ჩავკეტე, სასტუმრო ოთახში არც შემიხედავს, ისე ნავედი ჩემი ოთახისკენ.

ნელ-ნელა ისევ დაბრუნდა ხმაური. მომეჩვენა, რომ შორიდან მოისმოდა. მაინც ნათლად განვასხვავე: საბურღი მანქანების, პნევმატური ჩაქუჩების, ბეტონსარევეების, ამწეების ხმები, სიმღერებისაც, მუშების ხმებიც. მიყრუებული ხმაური იყო, ვიფიქრე, რომ სმენა ძალიან დამიქვეითდა. ახალი სამყარო შენდება, ახალი სამყარო, ალბათ ასე ეუბნებიან საკუთარ თავს. მე ამაზე ფიქრიც კი მღლის.

მეკარე ქალი ალბათ ჩემზე გაჯავრებულია. დღეში სამჯერ კიბეზე ამოსვლა, საჭმლის, თეთრულის ამოტანა, ჩემი დავალებების შესრულება, მისთვის ცოტა სამუშაო როდი იყო. ხელფასის მომატება მომთხოვა. „ცხოვრება ძალიან გაძვირდა, ფული ფასს ჰკარგავს“. დავეთანხმე. და პანიკაში ჩავვარდი. ნუთუ ისევ მუშაობა მომიწევს? ეს საშინელება იქნებოდა. საკუთარ თავს ვკითხე, ნუთუ კიდევ შემრჩა რამის კეთების უნარი-მეთქი. მაშინვე ვერ გადავწყვიტე, დრო დამჭირდა, რომ ჩემი ნოტარიუსისთვის, ჩემი ბანკისთვის მიმეწერა. პასუხებმა დამამშვიდა. ჩემი ფული ბრუნვაში იყო. შემოსავალი იზრდებოდა ისევე, როგორც ცხოვრება ძვირდებოდა. მაინც, სიფრთხილის გამო, გადავწყვიტე აღარ მომეწია. ალკოჰოლის გარეშე არ შემიძლია, მაგრამ რაოდენობა მნიშვნელოვნად შევამცირე. ხორცი მხოლოდ კვირაში ორჯერ. ჭამაც შევამცირე. მეკარე ქალმა მითხრა, რომ კვარტალში იაფი რესტორანი იყო, რომელიც გამზადებულ საჭმელებს სახლებში დაატარებდა. ეს ვამჯობინე, კონსერვებსა და მეკარე ქალის მიერ მომზადებულ ჩახრაკულ ხორცს. მინდოდა ნაკლებად დაღლილიყო და მის დროსაც გავფრთხილებოდი. მასვე უწევდა თავისი დისშვილების მოვლაც; და გათხოვილი იყო და მშენებლობაზე მუშაობდა. ქმარი ავადმყოფობდა, სოციალური დახმარება კი არ ჰყოფნიდათ.

რაც შემეძლო, ვეცადე როგორმე დამემშვიდებინა, მაინც ბუზლუნებდა,

კარს აჯახუნებდა, ცხვირ-პირში შემომცინოდა, მასთან გახუმრებასაც ვეცადე, მაგრამ ჩემი არაბუნებრივი მხიარულება, ჩემი ხუმრობები, ეტყობა, მის გემოვნებაში არ ჯდებოდა. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების წესი, ჩემი ქცევები, ჩემი კარჩაკეტილობა უცნაურად ეჩვენებოდა. ჩემს უქმად ყოფნაზე გადაკრულად ლაპარაკობდა, მერე სათქმელი პირდაპირ თქვა და საყვედურებით ამიკლო: „არაფერს გიმაღავთ, ის ვთქვი, რასაც ვფიქრობ. ადამიანებს სიმართლეს პირში ვეუბნები“. ძალიან რომ არ გამეღიზიანებინა და ცოტა მომეთაფლა, ყოველდღივად გულმოდგინედ ვიბანდი და ვიცვამდი. საფეთქლები გამიჭალარავდა. რა დრო გავიდა, რაც მე... მისი აზრით, დასვენების უფლება არ მქონდა, არ ვიმსახურებდი, „თანაც ასეთი ცხოვრების შემდეგ, არაფერი გიკეთებიათ. აბა, რა გააკეთეთ?“ რომც მეკეთებინა, მერე რა? ამ პრობლემაზე მასთან არ ვლაპარაკობდი. „აქედან მალე მოგიწევთ გადასვლა. ჩვენს სახლს და ჩვენს ირგვლივ ყველა სახლს ანგრევენ; ეს ძველის ბოლო კუნძულია. ახალ, თანამედროვე შენობებს ააგებენ.

— თანამედროვე შენობებიც სწრაფად ძველდება, როგორც ყველაფერი. ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებს კაცი“.

არ მიპასუხა, მხრები აიჩეჩა. ჩემს სახლს მალე დაანგრევენ? ამ ამბავმა ოდნავ შემაშინა, მაგრამ დავმშვიდდი, რადგან ეს საშიშროება კარგა ხნის წინ ჩამოწვა. ალბათ კიდევ წლები გაივლის; თანაც უფლება მაქვს სახლის დანგრევას წინააღმდეგობა გავუწიო. მე ბინის პატრონი ვარ, ხომ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესიც. შეუძლიათ მაიძულონ. კი, ბატონო, ოღონდ უცბად არა.

დანარჩენ ხალხს რაღა დაემართა? კანტორის თანამშრომლებს, ჩემს ძველ კოლეგებს, ჩემს ძველ მეგობრებს. დაიხოცნენ თუ სიდედრები გახდნენ და ბებიები? ერთ დღეს სანახავად ხომ არ წავიდე? ნეტავ, მათ კვარტალში, ქალაქის ცენტრში სამოქალაქო ომი ისევ გრძელდება? როგორ გავიგო?

გარდასულ დროზე ფიქრისას ნაღვე-ლი მიპყრობს და წარსულზე ვდარდობ. დიახ, ვდარდობ ჩემს ძველ ბისტროზე, სასმელების სავაჭროს პატრონთან დაღუულ აპერიტივებზე და ჩემს ყოფილ თანამშრომელთან ერთად... რა ერქვა? ჟაკი? მგონი, ჟაკი. არა, ჟაკი ლიუსიენის ქმარი იყო. იქნებ პიერი ერქვა? პიერი, მერე გვარი? მისი გვარი „ბ“-თი იწყებოდა; ნამდვილად „ბ“-თი იწყებოდა? რაღაც „ბულს“ ჰგავდა. მეპატრონის გვარი კი, საერთოდ დამავინყდა. მეხსიერება დავკარგე. და თანაც ეს არცთუ დიდი ხნის წინ იყო. არცთუ დიდი ხნის წინ. თუმცა არა, დიდი ხანი გავიდა. ჩემი ახალგაზრდობა. ძველი ქუჩები, პარიზის ძველი ქუჩები, პარიზი მშვენიერია. მშვენიერი იყო კვირაობით, როცა კაფეს ან ლუდხანის ტერასაზე ვჯდებოდი და გამვლელებს ვუყურებდი. ჩემი სასტუმრო. ფანჯარას ვაღებდი და ქვევით მოფუთფუთე ხალხს ვუყურებდი. ეს ომამდე იყო. მერე, ის ოფიციალტი ქალიც იყო, ივონი. ყველაზე მეტად იმაზე ვნაღვლობ. ეჰ, ის დღეები აღარ დაბრუნდება! ვფილოსოფოსობდი. კიდევ რა იყო? ჰო, წვიმა, მზე, კინო. კინოში იშვიათად დავდიოდი. რამდენი საინტერესო ფილმი. უკვე ძალიან გვიანია. არადა, ამ ფილმებიდან ბევრ რამეს გავიგებდი. არაფერიც არ გამიგია. რა უნდა გამეგო? მეხსიერებავ, მეხსიერებავ, ჩემგან რა გინდა? და რაც მთავარია, ქალაქში იყო სინათლე, ღამე. უმთავრესად კი, ნაცრისფერი ცა, ნაცრისფერი სახლები, ნაცრისფერი ადამიანები. მაგრამ ოდესღაც, ერთხელ, ქათქათა თეთრი გზაც ხომ იყო. ერთ დღეს, დიდი ნათელიც ხომ იდგა. ეს ქალაქში არ ყოფილა. დიახ, ლიუსიენტთან ერთად ავტომანქანით სადღაც მივდიოდი. ლიუსიენი იყო? ბუნების მრავალფეროვნებითა და ყანებში ამოსული წითელი ყაყაჩოებით გაოცებული ვიყავი. მანქანიდან გადმოვვდი, რამდენიმე ასიოდე მეტრი ცარიელ გზაზე ვიარეთ, გზის ბოლოს, მწვანე ფოთლებში, მზის სხივები კაშკაშებდა. ყანაში გადავვდი. სხვა მოგონებებიც იყო, სხვა ადამიანებმა რომ

მიამბეს. ერთმა ჩემმა თანამშრომელმა, მოიცა, რა ერქვა? ავტობუსით, ოდესღაც, ბელგიაში ხანგრძლივად იმოგზაურა. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაშინ ახალგაზრდა იყო. ბევრი უმხიარულიათ. ადამიანები იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ, ავტობუსში სვამდნენ ღვინოს, რომელსაც იქვე ჩანთებიდან იღებდნენ. გადაჭრეს საზღვარი. ავტობუსში მებაჟეები თუ პოლიციელები ავიდნენ, მოითხოვეს პასპორტები. მერე გზა განაგრძეს. ტბორები, პატარა ქალაქები წითელი აგურით ნაშენები სახლებით. ჩავიდნენ ბრიუსელში. თურმე, როგორც კი ქალაქში შესულან, სადგურთან, კოკისპირული წვიმა წამოსულა, ღმერთო ჩემო, რა თავსხმა ყოფილა! ავტობუსიდან ჩამოსულებმა სირბილით გადაჭრეს ქუჩა და თავი ვინრო, გრძელ სამიკიტნოს შეაფარეს, სადაც ხის შეღებილი მაგიდები იდგა. დალიეს ლუდი, გაგიგიათ, განსაკუთრებული ბელგიური ლუდია, „გეზი“ ჰქვია, ბევრი დალიეს და ბევრი იმხიარულეს. ძალიან შეიქცეის თავი. მერე ანტვერპენში გაემგზავრნენ. სანავსადგურო ქალაქში წვეტიანი სახლები იდგა, ისეთი არა, როგორიც ჩვენთან არის. ვიტრინებში ქალები იდგნენ. სახიფათო კვარტალი იყო. აქ ჩხუბი ხშირად ხდებოდა, მაგრამ ვიდრე ისინი იქ იყვნენ, არაფერი მომხდარა. ნახვით კი, ჩხუბის ნახვა უნდოდათ. საშიში არ იყო, ბევრი იყვნენ. ქუჩების ყველა კუთხეში პოლიციელები იდგნენ და წესრიგს იცავდნენ. ბელგიელი პოლიციელები.

ასევე მახსენდება გოგონა, რომელიც ცხრამეტი წლისა გარდაიცვალა. კუბოს ირგვლივ ყვავილების თაიგულებისა და გვირგვინების გროვები ეწყო. ყველანაირი ფერის ყვავილი. თავი ვერ შევიკავე და ყვავილებს ვუსუნე. ამის შემდეგ, ყნოსვა დავკარგე. ამბობენ, ასე იმათ ემართებათ, ვინც მიცვალებულის ყვავილებს დასუნავსო. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ცუდ სუნს ვგრძნობდი. მერე ყნოსვა დამიბრუნდა, ოღონდ ნაწილობრივ. ბავშვობაში ძალიან მგრძნობიარე ყნოსვა მქონდა.

თვალეებს მიხვევდნენ და ამხანაგების პალტოებს მათი სუნით ვცნობდი. ასპროცენტიანი ყნოსვა მაინც არ დამიბრუნდა.

მართალი არ არის, ყველაფერი ნაცრისფერი არ იყო, მაგრამ ნათელი მოგონებები ცოტა ერია, ერთი თუ ორი, დანარჩენი: ჭუჭყიანი, სველი ქვაფენილი იყო, ღამე. და კიდევ დედაჩემის ხატება დამდევდა თან. სუსტი, ჭალარათმიანი, ნაცრისფერი კაბით, სახითაც ნაცრისფერი, თავისი პატივმოყვარული ოცნებით, რომ „ხალხში გამოვსულიყავი“. განა ჩვენზეა დამოკიდებული სადმე გამოსვლა? მერე კანტორა, დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, თანამშრომლებთან პოლიტიკური დისპუტები, ჩხუბი, სამსახურის დამთავრების შემდეგ, ბინდ-ბუნდისას კი აპერიტივის თანხლებით შერიგებები. რამდენი ბნელი შუალედია, როგორი შავი და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ბევრი მომივიდა ალკოჰოლი, სასმელი კი სახეებს შლის. ხან აქ, ხან იქ, ბუნდოვანი სინათლე, მკრთალი შუქი სიბნელის ფარდებზე. კიდევ იყო რევოლუციები, სამოქალაქო ომები, მუშტიკრივიც, მეც რომ მომხვდა. ჩემს ირგვლივ ბევრი რამ მოხდა. უჩემოდ. თუმცა ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. იყო მიცვალებულები, იყო რევოლუციური მარშები, განრისხებული ადამიანები. ტროტუარზე გაშხლართული, მოკლული ჭაბუკი. იმ ქუჩის მეზობლებით გარშემორტყმული, რომელიც მერე სრულიად შეიცვალა. ის უძღური, გამხდარი მოხუცი პენსიონერები. ნუთუ ეს ყველაფერი მართლა იყო? და ისე გაიარა, ვითომც არ ყოფილა. იმ პატარა თეთრულვაშიან მოხუცს წვერიც ჰქონდა? თუ პატარა წვერი? თუ მხოლოდ უღვაში? რა სასიამოვნო ქუჩა იყო რევოლუციამდე, მშვიდობიანი, იმ მოხუცებით, იმ კოჭლი რუსით. ვერ დავაფასე სათანადოდ. მთელ კვარტალს ვუვლიდი. აქ პროსპექტი იყო, ქარხნების კედლები, ჩვენი ქუჩა კი როგორღაც ცალკე იყო, თავისთვის. შესაძლებლობა უნდა გამოემყენებინა და ამ ქუჩაზე ხშირად მესეირნა. მეგობრებთანაც უნდა წავ-

სულიყავი, კანტორის თანამშრომლებიც უნდა მენახა. ხომ ვაპირებდი კიდევც. დიახ, ყველაფერი გაქრა. ყველაფერი. ისეთ უცნაურ სინანულს ვგრძნობდი, ისეთ მწარეს, თითქოს კუჭიდან ამომდიოდა. იმდენი რამ ვნახე. იარალი, აღმართული მუშტები, გაშლილი ხელები, ყველანაირი სალუტები. გულშემძვრელი იყო. ცხოვრებას, რომელსაც ჩემს ბინაში ვატარებ, მრავალფეროვნება აკლია. ძალიან ნაღვლიანი ვარ. მართალი გამოდგა ივონი, რომ წავიდა. ივონი თუ მარი... მისი ჩემოდნები მე ჩავიტანე, მძღოლსაც დავეხმარე და საბარგულში ჩავანყობინე. მშვენივრად მახსოვს. არც ისე ცუდი მეხსიერება მქონია. კიდევ რა იყო? კიდევ რა? სკოლის მასწავლებელი, ის დირექტორიც იყო, თმაში ჭაღარაგარეული და შავულვაშა. „საკუთარი თავი თვითონ აღვზარდე. ყველაფერს ჩემი ძალებით მივალწიე“, ასე მითხრა, მერე მისი მაგიდის მეორე მხრიდან შემომესმა: „თქვენ ვერაფერს მიაღწევთ, ჩემო მეგობარო. მე უკვდავი არა ვარ და ეს სიტყვები გაიხსენეთ, თქვენ ვერაფერს მიაღწევთ“. მართალი გამოდგა. თითი ჩემკენ გამოიშვირა და დედაჩემს მიმართა: „ის ვერაფერს მიაღწევს, მადამ“, შეუბრალებლად თქვა, იღუზიები დაუმსხვრია საბრალო დედაჩემს, არც შეებრალა, თვალეები ცრემლით რომ ჰქონდა სავსე.

და, რაც მთავარია, ვგრძნობდი, რაღაც მაკლდა. არსებითად კი კარგი იქნებოდა, დიახ, კარგი იქნებოდა, შემძლებოდა და ყოველი წუთი რაღაცით შემეფსო. ამაოდ გავფლანგე სიცოცხლის წლები. სულერთია, მაინც დამთავრდებოდა. შემონახული მოგონებებიც მახსოვრობის ჩარჩოებში მოქცეულ სურათებად იქცა. გულმავინყოფისგან მიმქრალ, ჩაშავებულ სურათებად. ეს გულმავინყოფა შავი ლაქები იყო, ჩემგან რომ ფარავდა გამოსახულებებს. გამუდმებით თან მდევს ის გრძნობა, რომ რაღაც მაკლია, რაღაც არ მყოფნის. რა მაკლია? რა დამაკლდა? რა და, მინდოდა ყველაფერი მცოდნოდა. აი, ეს მაკლდა ყოველთვის: ცოდნა. ყველაფრის ცოდ-

ნა. უვიცი ვიყავი, ოღონდ არა იმდენად, რომ ჩემი უვიცობა ვერ მეგრძნო. ნეტავ სწავლულებმა რამე იციან? რაც იციან, ნუთუ აკმაყოფილებთ? ამაზე მეტი კიდევ რა არის? შეიძლება ხეებმა მეტი იციან. ცხოველებმა ბევრი რამ იციან. საკუთარი თავისთვის ძალა არც დამიტანებია, რადგან ვგრძნობდი, რაიმეს გაგება შეუძლებელი იყო. და ამას ვერ შევურიგდი. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანებმა ყველაფერი შეიტყონ. სხვა ადამიანებმა. მე კი ტვირთად დაღლილობა მანვა. უძღურობის დაღლილობა. დიახ, არსებობდა მილიარდობითა და მილიარდობით ადამიანი. მილიარდობით ადამიანი ცხოვრობდა ამ დედამიწაზე და კიდევ საერთო ნაღველი. და ყველა, ატლასივით, სამყაროს მთელ სიმძიმეს ატარებდა. და ყოველი მათგანი ამ სამყაროში თითქოს მარტო იყო, შეუცნობელის ტვირთის ქვეშ ნელში გამწყდარი. მამშვიდებს კი იმის გაგება, რომ ყველაზე დიდი სწავლულიც<sup>18</sup> ისეთივე უცივი იყო, როგორც მე ვარ, თანაც აღიარა ეს? ნუთუ ეს მართალია?

ერთ დილას ჩიტების ჟღერტულმა გამაღვიძა. ფანჯარა გამოვალე, მთელ სიმაღლეზე აყვავებული, სულ გადათეთრებული ხე ამოზრდილიყო. ერთი ტოტი ხელის განვდენაზე იყო. ლურჯი და მწვანე ჩიტები ხიდან აფრინდებოდნენ ხოლმე და ისევ უკან უბრუნდებოდნენ, ამ ჩემთვის უცნობ ხეს. მე ერთი ბებერი, ნამდვილი ქალაქელი ვარ და ბუნებისა არაფერი გამეგება. ეზოში მდებარე ქვეყნულ ნაგვის გროვებზე ამოსულიყო ეს ხე. მის სწორ ტანს, ჩემი სართულის სიმაღლეზე, ტოტები და ყვავილები აგვირგვინებდა. ტოტიდან, რომელიც ერთი ხელის განვდენაზე იყო, სამი უმნიშვნელო თეთრი ყვავილი მოწყვიტე. „შეხედეთ!“ — დავიყვირე, — „შეხედეთ!“ მხოლოდ ექომ მიპასუხა. მეკარე ქალმა კარზე ნელა დააკაკუნა. გავალე. შევამჩნიე, ისიც ბერდებოდა.

<sup>18</sup> იგულისხმება ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე და მისი გამოხატვაში — მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი.

„ეზოში ლამაზი ხე ამოსულა, — ვუთხარი, — ერთ ღამეში. ჩემი თუ არ გჯერათ, მოდით და ნახეთ! გესმით ჩიტების ხმა?“

„— არაფერიც არ მესმის“.

უგულოდ მივიდა ფანჯარასთან.

„— არანაირი ხე აქ არ არის, რა — ზღაპრებს მიყვებით?“

ფანჯრიდან მეც გავიხედე, დავრწმუნდი, ხე მართლაც აღარ იყო. „მაგრამ აი, ეს ყვავილები მისი ტოტიდან ჩამოვკრიფე! მიდით, ნახეთ! მაგიდაზე დავანყვე“.

მეკარე ქალმა ყვავილებს დახედა: „მართლა ყვავილებია. მსგავსი არასოდეს მინახავს. სად მოკრიფეთ?“ „ხეზე, იმ ხეზე, რომელზეც ახლა გელაპარაკეთ!“ ისევ სამ ყვავილს დახედა. წყლიან ჭიქაში ჩაანყო, მხრები აიჩჩრა და სიტყვის უთქმელად წავიდა.

გული გამიტყდა. სად გაქრა ხე? სულ ახლახან ხომ აქ იყო, ამის მოწმე ეს სამი ყვავილია. ხელი მოვკიდე, მათი სურნელიც ვიგრძენი. მეკარე ქალმაც ნახა. გაოცებული კი ვიყავი, მაგრამ სიმშვიდე მაინც დამეუფლა. ისევ ფანჯარასთან მივედი. რალაც თრთოლვამ გადაუარა ჩემ ირგვლივ მდებარე კედლებს, სახურავებს, კაშკაშა თრთოლვამ, დამაბრმავებელ ნათებაში რომ გადადიოდა. კედლები, სახურავები თითქოს ნაწილებად დაიშალა, მათი მოხაზულობა გაბუნდოვანდა. სიმკვრივე დაკარგა, როგორც მომეჩვენა, უჩვეულოდ მყიფე გახდა. გამჭვირვალე ფარდებად იქცნენ, უფრო და უფრო გამჭვირვალე რომ ხდებოდნენ, მკრთალ ჩრდილებად, ნელ-ნელა რომ ქრებოდნენ. დავინახე, რა მსუბუქად შეირხნენ, გადაიხარნენ მარცხნივ, მარჯვნივ, ათრთოლდნენ, როგორც მდინარე წყალში თრთიან გამოსახულებები; დავინახე, როგორ დანაოჭდნენ, ნელა დაიშალნენ; ჩაიკარგნენ დამაბრმავებელ სიშორეში, გაქრნენ გამჭვირვალე კვამლად. ჩემ თვალწინ უდაბნო გადაიშალა, უსაზღვრო უდაბნო დამაბრმავებლად მოელვარე ცის ქვეშ, მწველი მზით რომ იყო წალეკილი თვით ჰორიზონტამდე. ყველგან მხოლოდ მზეზე მოელვარე

ქვიშაა. ჩემი ოთახი თითქოს ჰაერში დაეკიდა მდუმარედ — წერტილი უსაზღვრო სივრცეში.

მანამდე კი, ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა: საწოლში მწოლიარე ორკარიან კარადას ვუყურებდი, სიღრმეში კედელთან რომ იდგა. კარებები გაიღო. უზარმაზარი ალაყაფის კარის ორფრთას ჰგავდა. ვერც ტანსაცმელი დავინახე, ვერც თეთრეული. მხოლოდ შიშველი კედელი. მერე კედელიც გაქრა. მოღიავებული კარები მოოქრულ ორ სვეტად იქცა, რომლებზეც ძალიან მაღალი ფრონტონი ეყრდნობოდა. კედლის ადგილზე ნელ-ნელა დალაგდა გამოსახულებები და ეს ყველაფერი მძლავრი ნათებით აივსო. გამოჩნდა ყვავილებითა და ფოთლებით შემკული ხე. მერე მეორე. კიდევ ერთი. ბევრი ხე. მთელი ხეივანი. დღის სინათლეზე მძლავრი სინათლე დადგა. იგი ახლოვდებოდა და ყველაფერს ავსებდა. როგორ ეტევა ჩემს ოთახში? ოთახზე გაცილებით დიდი იყო. ნიავს, რომელიც ტოტებს, თეთრსა და ლურჯ ყვავილებს არხევდა, ვერ ვგრძნობდი. თუმცა არა, მსუბუქმა ბრიზმა<sup>19</sup> დაჰბერა. მდელიც


გაჩნდა. რა საუცხოო ბალახია! ვისთვის არის ეს მდელი, ბალი, ეს სინათლე? ერთ სწორ ხაზზე ჩარიგებული ხეები ძალიან შორს მიემართებიან. შუაში კიდევ ერთი ხე გაჩნდა. ხე თუ დიდი ბუჩქი? მისგან მარჯვნივ, ჩემგან მარცხნივ ვერცხლის კიბე დაეკიდა მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლით დაცილებული და ზევით ლურჯ ცაში დაკარგული. დიდხანს ვუყურებდი, ადგომასა და მიახლოებას ვერ ვბედავდი. მეშინოდა, ყველაფერი არ გამქრალიყო. ადვილად შემეძლო შევხებოდი ამ ბუჩქს, ამ კიბეს. ძლიერი სინათლე იდგა, მაგრამ თვალებს არ მტკენდა. საფეხურები ბრწყინავდნენ. ბალი მომიახლოვდა, ირგვლივ შემომერტყა, ამ ბალის ნაწილი გავხდი, მის შუაგულში ვიყავი. წლები გავიდა თუ წუთები. კიბეც მომიახლოვდა. ახლა თითქმის ჩემ თავს ზემოთ ეკიდა. წლები გავიდა თუ წუთები.

და ყველაფერმა ნელ-ნელა წასვლა, თანდათანობით გაუჩინარება დაიწყო. კიბეც გაქრა, მერე ბუჩქი, მერე ხეები. მერე სვეტები და ტრიუმფალური თალი. მხოლოდ სინათლის ის რაღაც ნაწილი დარჩა, რომელმაც ჩემში შემოაღწია.

ეს იყო ნიშანი და მე ის მივიღე.



<sup>19</sup> სუსტი ქარი. დღისით ზღვიდან ხმელეთისკენ ქრის, ღამით — ხმელეთიდან ზღვისკენ.



ნობელიანტი ეგვიპტელი პროზაიკოსი ნაჯიბ მაჰფუზი (1911-2006) ახალი არაბული ლიტერატურის წარმომადგენელი მწერლებიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო კარგად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის მისი ნოველებისა და რომანების ქართული თარგმანებით.

რელიგიური თემატიკის თავისუფალი ინტერპრეტაცია მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის შთაგონება მის არაერთ ნაწარმოებში გამხდარა. წარმოდგენილი ნოველაც სწორედ ამითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში სუფიური თემებისა და მოტივების თავისუფალი ინტერპრეტაცია იკითხება. ამქვეყნიური სასწაულისა და სასწაულთმოქმედი კაცის (ზაბალავის) მადევარი ნოველის გმირი პარადოქსულ აღმოჩენამდე მიდის - ადამიანს აცოცხლებს პოვნის იმედი, ძიება და არა - პოვნა. ნოველაც სწორედ ამ ნოტაზე სრულდება - ძიების პროცესი არის უსასრულო და დაუსაბამო... მთავარია, ადამიანს გააზრებული ჰქონდეს, რომ მას ეს ძიება აუცილებლად სჭირდება და უამისოდ ვერ იცოცხლებს.

ნაჯიბ მაჰფუზი

# ზაბალავი

თარგმნა დარეჯან ბარღავაძე

ბოლოსდაბოლოს დავრწმუნდი, რომ შეიხი ზაბალავი უნდა მეპოვნა. მისი სახელი პირველად სიმღერაში გავიგონე:

„ეს რა სჭირს ამ წუთისოფელს,  
ზაბალავი!

თავდაყირა რომ ამოატრიალეს და ბედის ინაბარად დატოვეს!”

ეს სიმღერა ცნობილი იყო ჩემს ბავშვობაში. ერთ დღესაც თავში მომივიდა, მამაჩემისთვის მეკითხა მასზე, როგორც ბავშვებს სჩვევიათ კითხვები ყველაფერზე. ვკითხე:

— მამა, ვინაა ზაბალავი?

ორჭოფული მზერით ჩამაშტერდა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა ჩემს მზაობაში, გამეგო მისი პასუხი, თუმცა მაინც მითხრა:

— მისი წყალობა გქონოდას!.. ის ჭეშმარიტად, ალაჰის ნამდვილ რჩეულთაგანია, წმინდანი, დარდისა და საწუხარის გამქარვებელი! ის რომ არა, საწუხარი მომკლავდა...

მომდევნო წლებშიც ბევრჯერ მსმენია მისგან, როგორ აქებდა და ხოტბადიდებას ასხამდა ამ კეთილ წმინდანს და მის სასწაულებს!

გავიდა დრო და დავსწუდი, ბევრი ავადმყოფობა შემეყარა. დაულალავად

ვეძებდი ყოველი დაავადებისთვის წამალს, შესაძლებლობის ფარგლებში ხარჯებს არ ვიშურებდი, სანამ ისეთი სენი არ შემეყარა, მისი წამალი არავის რომ არ მოეძევებოდა. ჩემ წინ ყველა გზა ჩაიკეტა და სასონარკვეთამ შემიპყრო. გამახსენდა, რაც ბავშვობაში მსმენოდა და საკუთარ თავს ჩავეკითხე: რატომ არ მომეძებნა შეიხი ზაბალავი?!.. უეცრად მომაგონდა, მამაჩემმა მითხრა, რომ იგი შეიხ კამართან გაიცნო, ხან ჯაფარის უბანში. ის შეიხი შარიათის ადვოკატურაში მომუშავე სასულიერო პირთაგანი იყო. მისი სახლისაკენ გავემართე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ისევ იქ ცხოვრობდა. სახლთან, ქვემოთ, ლობიოს გამყიდველს ვკითხე. კაცმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— შეიხი კამარი? ის ხომ დიდი ხანია, ამ უბნიდან გადავიდა! ამბობენ, ახლა გარდენ სითიში ცხოვრობსო, მისი ოფისი ალ-აზჰარის მოედანზეაო...

ოფისის მისამართი ტელეფონების ნიგნში ვიპოვე. მაშინვე წავედი სავაჭრო პალატის შენობაში. შესვლის ნებართვა ვითხოვე, მერე მის ოთახში შევაბიჯე, როგორც კი იქიდან მშვენიერი ქალბატონი გამოვიდა, რომელმაც მათრობე-

ლა, ჯადოსნური, მძაფრი სურნელით გამაბრუა. შეიხი ღიმილით შემომეგება და მანიშნა, დავმჯდარიყავი. დავჯექი ტყავის მდიდრულ სავარძელში. ჩემმა ფეხებმა, ფეხსაცმლის სქელი ლანჩის მიუხედავად, სქელი, მდიდრული ხალიჩა შეიგრძნეს. კაცს თანამედროვე კოსტუმი ეცვა, სიგარეტს ეწეოდა. საკუთარი თავითა და ფულით თავმომნონე კაცის მანერით იჯდა. ისე გულთბილად შემომაჩერდა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ კლიენტად ჩამთვალა. უხერხულობამ და დანაშაულის გრძნობამ შემიპყრო, დაუპატიჟებლად რომ მივადექი და ძვირფას დროს ვაკარგვინებდი. ისე მითხრა, თითქოს ასალაპარაკებლად წამაქეზაო:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება?!

ჩემი უხერხული მდგომარეობისთვის ბოლო რომ მომელო, ვთქვი:

— შენი ძველი მეგობრის, შეიხ ალი ათ-თატავის შვილი ვარ!

მის მზერაში აპათია გაკრთა, მაგრამ არა სრული გულგრილობა, რადგან იმედი ბოლომდე არ დაეკარგა. მითხრა:

— ალაჰიმც შეინყალებს! კარგი კაცი იყო... ძლიერმა ტკივილმა, რომელსაც იქ მივეყვანე, შემაგულიანა, დავრჩენილიყავი და ვუთხარი:

— ის მიაბობდა ღვთისმოსავ წმინდანზე, სახელად ზაბალავიზე, თქვენს უწმინდესობასთან რომ შეხვედრია. ბატონო ჩემო, მე ის მჭირდება, თუ, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ცოცხალია.

მის თვალეში აპათია გამეფდა. სულ არ გამიკვირდებოდა, თუ მეც და მამაჩემის ხსოვნასაც ერთად მიგვაბრძანებდა გარეთ. ისეთი კილოთი მომიჭრა, საუბრის დამთავრება რომ გადაეწყვიტა:

— ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო, დღეს უკვე თითქმის აღარც მახსოვს...

წამოვდექი, რომ დამემშვიდებინა და დარწმუნებულიყო, წასვლა მქონდა გადანყვეტილი და ისე ვუთხარი:

— მართლა წმინდანი იყო?

— ჩვენ მას სასწაულად მივიჩნევდით...

უკვე დაძრულმა ვკითხე, ჩემს წასვ-

ლაში კიდევ მეტად რომ დამერწმუნებინა:

— დღეს სად შევძლებ მის ნახვას?..

— რამდენადაც ვიცი, ის ალ-აზჰარის უბანში, ალ-ბირგავის რეზიდენციაში ცხოვრობდა... — მითხრა და თავის სანჯერ მაგიდაზე გაშლილ ფურცლებში თავი ისე სწრაფად, ისეთი მკვეთრი მოძრაობით ჩარგო, რომ კრინტის დაძვრას აღარ აპირებდა. მაღლობის ნიშნად თავი დავუკარი, შენუხებისთვის არაერთხელ მოვუბოდიშე და მისი ოფისი დავტოვე. აღარაფერი მესმოდა უხერხულობისგან მოგუგუნე თავში.

წავედი ალ-ბირგავის რეზიდენციაში, რომელიც ძალიან მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობდა. ჟამთა სიძველისგან ისეთი გამოჭმული დამხვდა, მისგან მხოლოდ ისტორიული ფასადი და ეზოლა დარჩენილიყო, რომელიც, ნომინალური დაცვის მიუხედავად, სანაგვედ ექციათ. მისი გადახურული შესასვლელი ვიღაც კაცს ძველი, რელიგიურ-სუფიური ნიგნების გასაყიდ ფარდულად ექცია. ისეთი დაბალი და უღიმღამო, შეუმჩნეველი იყო, კაცს ვერც იტყოდი მასზე. ზაბალავიზე რომ ვკითხე, თავისი ვინრო, მონირობული თვალებით მომაშტერდა და გაკვირვებით მითხრა:

— ზაბალავი?! ო, ღმერთო! რა დრო გასულა! მართლაც ამ რეზიდენციაში ცხოვრობდა, როცა □ს ჯერ კიდევ საცხოვრებლად ვარგისი იყო. ბევრჯერ მჯდარა ჩემთან და გარდასულ დღეებზე უსაუბრია. მისი აქ ყოფნით კურთხევა მაქვს მიღებული! მაგრამ სადღაა ახლა ზაბალავი!..

მხრები აიჩეჩა ნუხილით და მალევე დამტოვა, ახალმოსულ კლიენტს მიაშურა. უბნის მედუქნეების გამოკითხვა დავინწყე. გამოირკვა, რომ მათ დიდ ნაწილს არც კი სმენოდა რამე ზაბალავიზე. სხვები მის ტკბილ დროს მისტიროდნენ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. ზოგიც თავშეუკავებელი დაცინვით მოიხსენიებდა და შარლატანობაში სდებდა ბრალს, მე კი მიჩნეოდა, ექიმთან მივსულიყავი გასასინჯად, თითქოს ეს მანამდე უკვე არ გამეკეთე-

ბინა. იმედგაცრუებულს შინ დაბრუნების მეტი სხვა გამოსავალი აღარ დამრჩენოდა.

დღეები ისე მიჰქროდა, როგორც ნიავეში მტვერი და ჩემი ტკივილი კი ძლიერდებოდა. დავრწმუნდი, ასე დიდხანს ვეღარ გავძლებდი. კვლავ ზაბალავის შესახებ დავინწყე გამოკითხვა და იმ იმედებს ვებლაუჭებოდი, მისი ძველისძველი სახელი რომ აღძრავდა ჩემში. ამასთან, თავში ერთი აზრი მომივიდა — უბნის ცოცხალი შეიხისთვის მიმემართა. მართალი გითხრათ, გაოცებული ვარ, ეს თავიდანვე როგორ ვერ მოვიფიქრე. მისი ოფისი ერთი პატარა დუქანი აღმოჩნდა, ოღონდ საწერი მაგიდითა და ტელეფონით. ზოლიან გალაბეაზე<sup>1</sup> პიჯაკი მოეცვა და ასე იჯდა საწერ მაგიდასთან. ჩემს შესვლას მისთვის საუბარი არ გაუნწყვეტინებია ვილაც კაცთან, გვერდით რომ ეჯდა. ვიდექი და ველოდი, სანამ ის კაცი წავიდოდა. შემდეგ მანაც გამომხედა თავის მხრივ. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ საყოველთაოდ მიღებული ზრდილობის წესებით ვუპოვიდი მას გასაღებს და მართლაც, მალე გაეხსნა სახე ღიმილით, დასაჯდომად მიმიპატიჟა და რა საკითხზე ვიყავი მისული, მკითხა.

— მე შეიხი ზაბალავი მჭირდება...

— ისეთივე გაკვირვებით დამაცქერდა, როგორც მანამდე სხვები მიცქერდნენ. ოქროს კბილებით გაიღიმა და მითხრა:

— ასეა თუ ისე, ის ცოცხალია, არ მომკვდარა. მას საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია და ბედის ირონია ისაა, რომ შეიძლება, აქედან გასული მოულოდნელად გადააწყდე მას, წინასწარ შეუთანხმებლად და დაუგეგმავად და შესაძლოა, დღეები და თვეები გალიო მის ძებნაში და სულ უშედეგოდ...

— შენც კი არ შეგიძლია, რომ იპოვო იგი?!

— მეც კი! ეს ის კაცია, თავგზას რომ მიბნევს, მაგრამ ღმერთს მადლობას ვნირავ, რომ ის ჯერ ისევ ცოცხალია!..

<sup>1</sup> გალაბეა - მამაკაცის ფართო ხალათი.

კარგა ხანს მიყურა, შემდეგ გაურკვეველად წაილაპარაკა:

— ჩანს, მძიმე დღეში ხარ!..

— ძალიან...

— ალაჰიმც იყოს შენი შემწე, მაგრამ რატომ გონებას არ უხმობ საშველად?!

— მითხრა და თავის საწერ მაგიდაზე ქალღი გაშალა. მოულოდნელი სისწრაფითა და ოსტატობით იწყო ზედ ხაზვა, სანამ მთელი უბნის სრული რუკა არ დახატა თავისი კვარტლებით, ჩიხებით, პატარა ქუჩებითა და მოედნებით, მონონებით შეათვალიერა და თქვა:

— ეს საცხოვრებელი სახლებია, ეს კი მენელსაცხებლეთა უბანი, ეს მესპილენძეთა, ეს ხან ალ-ხალილი<sup>1</sup>, ეს ცეცხლფარეშთა კვარტალი. ნახაზი ყველაზე კარგი მეგზურია. ყურადღებით დაიარე კაფეები, დერვიშთა ზიქრის<sup>2</sup> წრეები, მეჩეთები, კუთხის სამლოცველო ოთახები, მწვანე კარიბჭე<sup>3</sup>... შესაძლოა, მონყალების მთხოვნელთა შორის იყოს გარეული და მათგან არ გამოირჩეოდეს. სიმართლე რომ გითხრა, წლებია, აღარ მინახავს... ამქვეყნიურმა საზრუნავ-საფიქრალმა მომწყვიტა მას და ყურადღება სხვა რამეებზე გადამატანინა... შენმა შეკითხვამ მასზე ახალგაზრდობის ულამაზეს წლებში დამაბრუნა...

შეცბუნებული დავაცქერდი რუკას. ამასობაში, ტელეფონმა დარეკა. ის ყურმილს დასწვდა და თან მე სულგრძელად მითხრა:

— წაიდე! შენს სამსახურში გვიგულე...

დავტოვე იგი და რუკა დავკეციე. დავინწყე უბნის დავლა — მოედნიდან ქუჩა-ქუჩა და მისახვევ-მოსახვევამდე. ყველას ვეკითხებოდი მასზე, ვისაც კი შევატყობდი, რომ ადგილობრივი იყო, სანამ ერთმა იქაურმა საუთოებლის მეპატრონემ არ მითხრა:

— კალიგრაფ ჰასანეინთან მიდი, უმ

<sup>1</sup> ხან ალ-ხალილი - ძველი კაიროს ცნობილი ბაზარი, ალ-აზჰარის უბანში.

<sup>2</sup> ზიქრი - უფლის ხსენება სუფიურ ორდენტა სარიტუალო მსახურებაში.

<sup>3</sup> მწვანე კარიბჭე - ქ. კაიროს ერთ-ერთი ისტორიული კარიბჭე.

ალ-ლულამის უბანში, ის იყო მისი მეგობარი...

წავედი უმ ალ-ლულამში, ვიპოვე ყამ<sup>1</sup> ჰასანენინი, ერთ ვინრო, სიღრმეში გრძლად შეჭრილ, ტილოებითა და ფერადი საღებავების კოლოფებით სავსე დუქანში მომუშავე. დუქნის კუთხეებიდან უცნაური სუნი გცემდა — ნებოსა და პარფიუმის სუნის ნაზავი. ყამ ჰასანენინს კედელზე მიყუდებული ტილოს წინ ბენვის ხალიჩაზე მუხლი მოერთხა. ტილოს შუაგულში ვერცხლისფერი საღებავით ალაჰის სახელი უკვე გამოეყვანა. ასოთა ორნამენტირებას ისეთი გულმოდგინებითა და ყურადღებით ჩაღრმავებოდა, რაც პატივისცემას იმახურებდა. მის უკან ვიდექი და მერიდებოდა, შემენუხებინა და მონოლილი შთაგონების ძაფი გამენყვიტა თავის სტიქიაში ჩაძირული მისი მსუბუქად მოსრიალე ხელისთვის. დიდხანს გაგრძელდა ჩემი მოლოდინი და შფოთვა და აი, უცებ მან იქაურებისთვის დამახასიათებელი გულღია თავაზიანობით მომმართა:

— დიახ...

მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა ცნობილი იყო მისთვის და თავი წარუდგინე.

— მითხრეს, შეიხი ზაბალავი შენი მეგობარი ყოფილა. მე მას ვეძებ...

სამუშაოს ხელი უშვა და გაოცებულმა შემათვალისწინა. შემდეგ ამოოხვრის კილოთი თქვა:

— ზაბალავი!.. დიდება უფალს!..

მოუთმენლად ჩავეკითხე:

— ის შენი მეგობარია, ხომ? ასე არ არის?!

— ეჰ, იყო და არა იყო რა... ნამდვილი კაცი-გამოცანა იყო! ისე გესტუმრებოდა ხოლმე, ხალხი იფიქრებდა, შენი ახლობელიაო. მერე ისე გაუჩინარდებოდა, თითქოს არც ყოფილაო... მაგრამ წმინდანებს არ კიცხავენ!

იმედი ისე ჩამიქრა, როგორც ნათურა ქრება, უეცრად დენი რომ გამოირთვება.

— კარგა ხანს ისე განუყრელი იყო ჩემგან, რომ მეჩვენებოდა, რაც არ უნდა

<sup>1</sup> ყამ - ბიძია, მიმართვის ფორმა ხანშიშესული კაცებისთვის.

მომეხატა, შიგ მას ვხატავდი, მაგრამ სადღაა ის დღეს?!.. — მითხრა კაცმა.

— იქნებ ცოცხალი აღარცაა...

— ის ცოცხალია, ეს უეჭველია! მას უზადო გემოვნება ჰქონდა! მისი წყალობით შევქმენი ჩემი ყველაზე ლამაზი ტილოები...

თითქმის უიმედო ხმით ვთქვი:

— ალაჰმა უწყის, როგორ ძალიან მჭირდება იგი! და შენ კი ყველაზე უკეთ მოგეხსენება, რა გასაჭირის გამო მიასურებენ ხოლმე მას!

— დიახ, დიახ... ალაჰიმც იქნება შენი მკურნალი! მართალია, მასზე რომ ამბობენ, რომ ის კაცია, მეტიც...

ღიმილმა სახე გაუცისკროვნა და დაამატა:

— მის სახეს დაუვინყარი მშვენება აქვს! მაგრამ სადაა იგი?..

ფეხები ძალისძლად გადავდგი, კალიგრაფს ხელი ჩამოვართვი და წავედი. გავაგრძელე უბანში აღმა-დაღმა სიარული და ზაბალავიზე ვეკითხებოდი ყველას, ვინც კი ხანშიშესულად და გამოცდილად მეჩვენებოდა, სანამ ერთმა ხანჭკოლის<sup>1</sup> გამყიდველმა არ მითხრა, რომ ცნობილი კომპოზიტორის შეიხ გადის სახლში შეხვედრია მას არცთუ დიდი ხნის წინ. წავედი ამ მუსიკოსის სახლში თამბაქშიაზე<sup>2</sup>, სადაც ვნახე ის კომპოზიტორი ადგილობრივი სტილის, გემოვნებით მონყობილ ოთახში, სადაც ყოველი მხრიდან წარსულის სიო ქროდა. ის დივანზე იჯდა და თავისი ცნობილი უდი<sup>3</sup>, რომელიც ჩვენი დროის ულამაზეს მელოდიებს ინახავდა, გვერდით მოედო. უეცრად შიგნიდან გრგვინვა და ბავშვების ხმაური გაისმა. როგორც კი მივესალმე და თავი წარუდგინე, ტკბილად მიმილო და თავისი განუმეორებელი ბუნებით მის სახლში ყოფნის თავისუფლება მაგრძნობინა. არც სიტყვით, არც მინიშნებით არ უკითხავს, რამ მიმიყვანა მასთან. არც პირფერობა მი-

<sup>1</sup> ხანჭკოლა (L upinus) პარკოსანთა ოჯახის მრავალწლიანი მცენარე, საკვებად გამოსადეგი.

<sup>2</sup> თამბაქშია - ადგილი ძვ. კაიროში.

<sup>3</sup> უდი - ტრადიციული არაბული მუსიკალური ინსტრუმენტი.

გრძვნია მისგან, რომ ამ კითხვას და ცნობისმოყვარეობას შეფარვით მაღავე და დამოკიდება მისმა თავაზიანობამ და ადამიანურობამ. კარგის მოლოდინში გახარებულმა ვუთხარი:

— შეიხო გად! შენი ხელოვნების თავყვანისმცემელთაგანი ვარ! დიდი ხანია, აღტაცებაში მოვყავარ მას მომღერალი ქალებისა თუ კაცების შესრულებით...

ლიმილით მომიგო:

— მადლობელი ვარ...

დარცხვენილმა ვუთხარი:

— ნუ გამკიცხავ შენი ასეთი შენუხებისთვის, მაგრამ მითხრეს, რომ ზაბალავი შენი მეგობარი ყოფილა, მე კი ის მეტი რომ არ შეიძლება, ისე მჭირდება...

შეფიქრიანებულმა შუბლი შეიჭმუნა:

— ზაბალავი!.. და შენ ის გჭირდება?! ალაჰიმც იქნება შენი შემწე! საკითხავია, სად ხარ შენ, ზაბალავი?!..

დამწუხრებული ჩავეკითხე:

— განა ის არ გინახავს?

— მის სახეზე დაუფიქრარი სილამაზეა აღბეჭდილი!

— მაგრამ სადაა ის?

— დიდი ხნის წინ მომინახულა. შეიძლება, ახლაც კი მოვიდეს, მაგრამ შეიძლება, სიკვდილამდე ვეღარც ვნახო!

ხმამაღლა ამოვიოხრე და ვკითხე:

— ასე რატომ ხდება?!

უდს დასწვდა სიცილით და მითხრა:

— წმინდანები ასეთები არიან, თუ არადა, წმინდანებიც არ იქნებოდნენ!..

— ვისაც ის სჭირდება, ნუთუ ჩემსავით იტანჯება?!

— ეს ტანჯვაც მკურნალობაში შედის!

ხემს ხელი წამოავლო და სიმებს გაეთამაშა, ტკბილ მელოდიად აამეტყველა. ფიქრებში წასული და დაბნეული გულში აყვევი. შემდეგ, თითქოს საკუთარ თავს ვესაუბრებოდი, ისე ვთქვი:

— ამრიგად, ჩემმა ვიზიტმა სულ ტყუილად ჩაიარა...

მას გაელიმა, ლოყით უდის გვერდს მიეკრა და თქვა:

— ალაჰიმც მოგიტევენ! განა ეს ითქმის ვიზიტზე, რომელმაც ჩვენ ერთ-

მანეთის გაცნობის საშუალება მოგვცა?!..

ძალიან შემრცხვა და მობოდიშებით ვუთხარი:

— ნუ გამკიცხავ!.. სასონარკვეთამ ზრდილობის ნორმებს გადამაბიჯებინა...

— უიმედობას ნუ დანებდები!.. ამ საოცარ კაცს უჭიანურდება მისვლა ყველასთან, ვისაც კი ის სჭირდება! ძველ დროში ეს საქმე უფრო ადვილი იყო, როცა ის სადმე ნაცნობ ადგილას სახლობდა. დღეს დუნია შეცვლილია! მას მერე, რაც მან ისეთ გამორჩეულ მდგომარეობას მიაღწია, მმართველებს რომ არ ხვდომიათ წილად, პოლიციამ დაუნყო დევნა შარლატანობის ბრალდებით. მასთან მიღწევა იოლი აღარაა, მაგრამ მოთმინება იქონიე და გჯეროდეს, რომ მიხვალ მასთან...

თავი უდიდან აილო და დაკვრას შეუდგა, სანამ ცხადი მუსიკალური შესავალი არ ააწყო და აი, უცებ ამღერდა:

*„განუწყვეტლივ ვახსენებ მას, ვინც მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ თან თავს ვკიცხავ;*

*მართლაც საყვარლის ნაუბარი ღვინოსავით მათრობს...“*

მიუხედავად ლამაზი მელოდიისა და სიმღერისა, ყურადღებაგაფანტული და გამოფიტული ვადევნებდი თვალ-ყურს. როცა შესრულება დაამთავრა, მითხრა:

— ეს ლექსი ერთ ღამეში ავამღერე. მახსოვს, ალ-ფიტრის<sup>1</sup> დღესასწაულის ღამე იყო და ის ჩემი სტუმარი იყო მთელი ღამით. ეს მან შემირჩია ლექსი და ხან შენსავით მეჯდა აქ და ხანაც ჩემს ბავშვებს ისე ეთამაშებოდა, თითქოს თავადაც ბავშვი იყო. როგორც კი მოვდუნდებოდი ან შთაგონება აღარ მომდიოდა, ხუმრობით მკერდში მუჯლუგუნს წამკრავდა და გამაცინებდა. მეც გული ამეწებოდა და მელოდიად იღვრებოდა, მუშაობას ვაგრძელებდი, სანამ არ დავასრულე ეს ერთ-ერთი ულამაზესი მელოდია, რომელიც კი შემიქმნია...

<sup>1</sup> ალ-ფიტრის დღესასწაული - გახსნილების დღესასწაული რამადანისთვის მარხვის შემდეგ.

გაოცებულმა ვკითხე:

— მუსიკასთან მას რა კავშირი აქვს?!

— ის თავად მუსიკაა! მისი ხმა საუბრისას ძალზე ლამაზია! საკმარისია მოისმინო, რომ მაშინვე მღერა გინდება. შემოქმედებით განწყობას გიღვიძებს...

— იმ სწეულებებს როგორ მკურნალობს, რომელთა განკურნებაც ადამიანებს არ ძალუძთ?!..

— ეს მისი საიდუმლოა. ამ საიდუმლოს ალბათ მაშინ ჩასწვდები, როცა მას შეხვდები.

მაგრამ როდის დადგება ამ შეხვედრის დრო?!.. დავედმდით და ოთახი კვლავ ბავშვების ჟივილ-ხივილმა აავსო. შეიხი კვლავ სიმღერაში ჩაიძირა, იმეორებდა და იმეორებდა სხვადასხვა მშვენიერი მელოდიური ვარიაციით სიტყვებს: „მე სატრფოს ვახსენებ...“ სანამ კედლებიც კი არ აცეკვდა ამ მათობელა სიმღერაზე... სულითა და გულით ჩემი აღტაცება გამოვხატე და მანაც ტკბილი ღიმილით მადლობა გადამიხადა. შემდეგ წამოვდექი და წასვლის ნებართვა ვითხოვე. გარეთა კარამდე გამაცილა და ხელი რომ ჩამოვართვი, მითხრა:

— გავიგე, ამ დღეებში ის ჰაგ<sup>1</sup> ვანას ად-დამანჰურის შემოუვლის სტუმრად. იცნობ მას?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. გულში იმედის ახალი ნაპერწკალი ამენტო. მან კი მითხრა:

— ჰაგ ვანას ად-დამანჰური მემკვიდრეობაზე ცხოვრობს, კაიროს დროდადრო სტუმრობს ხოლმე, რომელიმე სასტუმროში ჩერდება, მაგრამ ყოველ ღამეს ალფის ქუჩაზე ან-ნაგმას სამიკიტნოში ათენებს.

მოსაღამოვებას დაველოდე და ან-ნაგმას ბარში წავედი. ოფიციანტს ჰაგ ვანასზე ვკითხე და იმანაც უზარმაზარი, კვადრატული, ოთხმხრივ სარკეებით შემინული სვეტის უკან თითქმის იზოლირებულ კუთხეზე მიმანიშნა. იქ მაგი-

<sup>1</sup> ჰაგ - პატივსაცემი მიმართვის ფორმა სახელის წინ მათთვის, ვისაც წმინდა ადგილები მოულოცავს.

დასთან მარტო მჯდომი კაცი დავინახე, წინ, მაგიდაზე ერთი მესამედამდე დაყვანილი ბოთლი ედგა და მეორე — მთლად დაცლილი, სხვა არაფერი, არც საჭმელი, არც მისაყოლებელი. დავრწმუნდი, რომ სერიოზული ლოთის პირისპირ აღმოვჩნდი. განიერი აბრეშუმის გალაბეა ეცვა და საგულდაგულოდ დახვეული ჩალმა, ფეხები სვეტის ძირამდე გაეშვირა და კმაყოფილებითა და განცხრომით სარკეში ყურებით იყო გართული. მისი მრგვალი, სიბერის ასაკთან მიახლოების მიუხედავად, მიმზიდველი სახე ღვინოს წითლად აელაჟდაჟებინა. ფრთხილად მივუახლოვდი და მისი სკამიდან ორი ადლის მანძილზე გავჩერდი. ჩემკენ არ მოტრიალებულა და არც შესტყობია რამე, რომ ჩემი იქ ყოფნა იგრძნო. თავაზიანად და კეთილგანწყობით მივმართე:

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ვანას!..

ისე მკვეთრად მობრუნდა ჩემკენ, თითქოს ჩემმა ხმამ ლეთარგიული ძილიდან გამოაფხიზლავო. უსიამოდ და არაკეთილგანწყობით მომაშტერდა. თავი წარვუდგინე და შენუხებისთვის მოვუბოდიშე. ჩემი მასთან მისვლის მიზეზის განმარტება დავაპირე, მაგრამ ლამის მბრძანებლური ტონით შემანწყვეტინა, რომელსაც თან გასაოცარი თავაზიანობა შერჩენოდა:

— ჯერ დაბრძანდი, გეთაყვა და მერე კი დალიე!

პირი გავალე თუ არა მოსაბოდიშებლად, მან ყურებში თითები გაიკეთა და მითხრა:

— არც ერთი სიტყვა, სანამ იმას არ იზამ, რაც მე გითხარი!..

მივხვდი, რომ ჭირვეულ ლოთთან მქონდა საქმე და ჩემს თავს ვუთხარი, რომ ცოტათი მაინც უნდა ავყოლოდი. ჩამოვჯექი, გავუღიმე და ვუთხარი:

— ნება მიბოძეთ, ერთი შეკითხვა დაგისვათ...

თითები ყურებიდან არ გამოუღია, ბოთლზე მანიშნა და მითხრა:

— ისეთ ადგილას, სადაც ახლა მე ვზივარ, ვერ დავუშვებ ვინმესთან საუბ-

რის გაბმას, თუ ისიც ჩემსავით მთვრალი არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში თანამესუფრეობა ლაზათს კარგავს და ურთიერთგაგებაც შეუძლებელი ხდება.

ჟესტებით გავაგებინე, რომ არ ვსვამდი, იმან კი გულგრილად მომიგო:

— ეგ შენი საქმეა, ეს კი — ჩემი პირობა!

ჭიქა შემეღვსო. მორჩილად დავენვდი და დავლიე. სასმელი გადავუშვი თუ არა შიგანში, ცეცხლი წამეკიდა. მოვითმინე, სანამ სასმელის სიმძაფრეს შევეგუებოდი და მერე ვუთხარი:

— მართლაც მაგარია! ვფიქრობ, ახლა კი დროა, გკითხო...

მაგრამ მას თითები კვლავ ყურებში ჰქონდა, ისე მითხრა:

— არ მოგისმენ, სანამ არ დათვრები!..

და ჭიქა მეორედ შემოვსო. ყოყმანით მივაჩერდი, მაგრამ მერე შინაგანი პროტესტი დავძლიე და ერთბაშად გადავკარი. როგორც კი სასმელმა გულმუცელს მიაღწია, ნებელობა დავკარგე, მესამე ჭიქაზე — მახსოვრობა, მეოთხე ჭიქის შემდეგ მომავალი გამიქრა, ყველაფერი დატრიალდა და მეც წამილო. დამავინყდა, იქ რამ მიმიყვანა. ის კაცი მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მე მას მხოლოდ უშინაარსო, ფერად-ფერად ადგილებად ვხედავდი და სხვა ყველაფერიც ასე მეჩვენებოდა. არ ვიცი, რა დრო გავიდა. თავი სავარძლის სახელურისკენ კანტურით მივარდებოდა. ღრმა ძილში წავედი და ისეთი ლამაზი სიზმარი მესიზმრა, მანამდე მსგავსი რომ არ მენახა! მეზმანა, უკიდევანო ბაღში ვიყავი, აქეთ-იქიდან ხშირი ხეებით აყვავებულში. ხეთა გაბარჯღღულ ტოტებში ცა არ ჩანდა, ისე იყო ვარსკვლავებით მოჭედილი. ისეთი გარემო იყო, თითქოს ან მზის ჩასვლის დრო იყო, ან მოღრუბლული ამინდი. გარშემო წვიმასავით ცვიოდა ჟასმინი. ჩამოცვენილი ჟასმინის გროვაზე ვიყავი წამოწოლილი. კამკამა შადრევნის შხეფები განუწყვეტლივ დამდიოდა ზედ და თავსა და შუბლს მიგრძობდა. უსაზღვრო შვებალხენასა და სიამოვნებაში ვიყავი, ღულუნი, ჭიკჭიკი და მღერა-გალობა ორკე-

სტრივით ჩამესმოდა ყურში. გასაოცარი ჰარმონია იყო ჩემსა და ჩემს სულს შორის, ჩვენ ორსა და მთელ დუნიას შორის, სადაც ყველაფერი უნდა ყოფილიყო უთანხმოებისა და ბოროტმოქმედების, უსწორობისა და ცდომილების გარეშე. არ იყო ქვეყნად არავითარი მიზეზი საუბრისა და მოძრაობისა, ქვეყნიერებაზე ექსტაზი და მხიარული განწყობა სუფევდა. ამ ყველაფერმა მხოლოდ ცოტა ხანს გასტანა და ამის შემდეგ თვალები გავახილე. ცნობიერებამ პოლიციელის მუშტივით მითავაზა და გონს მომიყვანა. დავინახე, ვანას ად-დამან-ჰური სიბრაღულით მომჩერებოდა. ბარში მხოლოდ რამდენიმე მთვლემარე კაციღა დარჩენილიყო.

— ისე ღრმად გეძინა, უეჭველია, ძილი გაკლია...

დამძიმებული თავი ხელისგულს ჩამოვყარდენი, მაგრამ ხელი მაშინვე უკან გამოვწიე გაოცებით, ხელისგულზე დავიხედე და დავინახე, ზედ წყლის წვეთები ელავდა. თავის მართლების კილოთი ვთქვი:

— თავი სველი მაქვს...

წყნარად მომიგო:

— დიახ, ჩემი მეგობარი შენს გამოღვიძებას ცდილობდა...

— როგორ, ვინმემ მნახა ამ მდგომარეობაში?!

— ნუ სწუხხარ, ის კეთილი კაცია, განა შეიხ ზაბალავიზე არაფერი გსმენია?!

ფეხზე წამოვვარდი და ვიყვირე:

— ზაბალავი?!

გაოცებულმა მითხრა:

— დიახ, რა დაგემართა?!

— სადაა ის?

— არ ვიცი, ახლა სადაა. აქ იყო, მერე ნავიდა...

გაქცევა დავაპირე, მაგრამ ისე ვიყავი დასუსტებული, ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. მალევე სკამზე დავეხეთქე და სასონარკვეთილმა ვიყვირე:

— მე მხოლოდ მასთან შესახვედრად ვიყავი მოსული! დამეხმარე, რომ მას დავენიო, ან ვინმე გაგზავნე, რომ მოძებნოს...

კაცმა კრევეტების გამყიდველი მოიხმო და შეიხის მოძებნა და მოყვანა დაავალა, შემდეგ მე გადმომხედა და მითხრა:

— არ ვიცოდი, რომ შეჭირვებული იყავი, ძალიან ვწუხვარ...

განრისხებული შევეპასუხე:

— არ მომეცი საშუალება, რომ მეთქვა...

— რა დასანანი!.. ამ სკამზე იჯდა, შენ გვერდით, ერთ-ერთი თაყვანისმცემლის მიერ ნაჩუქარი ჟასმინის აცმა ეკიდა ყელზე და მთელი ამ დროის მანძილზე იმას ეთამაშებოდა, მერე შეებრაღე, შენკენ გადმოიხარა და წყალს გაპკურებდა თავზე, რომ იქნებ გამოეფხიზლებინე და გონში ჩაეგდე...

ისე ვკითხე, რომ თან თვალი იმ კარისთვის არ მომიცილებია, საიდანაც კრევეტების გამყიდველი გავიდა:

— აქ მას ყოველდღე ხვდები?

— ამაღამ იყო ჩემთან, ნუხელაც, გუშინწინაც... მანამდე ერთი თვე არ მენახა!

ამოვიკვნესე:

— იქნებ ხვალაც მოვიდეს?!..

— იქნებ...

— მზად ვარ, რა თანხასაც ისურვებს, მივცე...

ვანასმა თანაგრძნობით მითხრა:

— საკვირველია, მაგრამ ამგვარი საცდუნებლით მას ვერ აცდუნებ... მაგრამ გინამლებს, თუკი შეხვდები...

— სანაცვლოს გარეშე?!

— მხოლოდ იმის გამო, რომ იგრძნოს, რომ გიყვარს იგი...

კრევეტების გამყიდველი განბილებული დაბრუნდა. ძალები მოვიკრიბე და ბანცალ-ბანცალით დავტოვე სამიკიტნო. ყოველ მოსახვევში ვიძახდი: „ჰეი, ზაბალავი!“ იმ იმედით, რომ ეგებ

სასწაული მომხდარიყო და გამომხმაურებოდა, მაგრამ ძახილმა არ მიშველა. ქუჩის ბიჭ-ბუჭობის ყურადღება მივიპყარი და დამცინავად მომაჩერდნენ, სანამ თავი პირველივე შემხვედრ ტაქსის არ შევაფარე...

მეორე ღამე ვანას ად-დამანჭურისთან ერთად ვათიე განთიადამდე, მაგრამ შეიხი აღარ მოსულა. ვანასმა მაცნობა, რომ სოფელში უნდა გამგზავრებულიყო და კაიროში აღარ დაბრუნდებოდა, სანამ ბამბას არ გაყიდდა. ჩემს თავს ვუთხარი, რომ უნდა მომეცადა და საკუთარ თავი მოთმინებაში გამომენვრთნა. ჩემთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ზაბალავის არსებობაში დავრწმუნდი და მეტიც, მისი ჩემდამი თანაგრძნობა ჩემი განკურნებისთვის მისი მზაობის ნიშნად მივიღე, თუკი ჩვენი შეხვედრა მოხდებოდა. ამის მიუხედავად, დროდადრო გულს მინვრილებდა ხანგრძლივი მოლოდინი და უიმედობა შემიპყრობდა ხოლმე. ვცდილობდი თავის დარწმუნებას იმაში, რომ ზაბალავიზე ფიქრისთვის თავი საბოლოოდ უნდა დამენებებინა. რამდენი ცხოვრებისგან შეჭირვებული არც კი იცნობდა მას და არც მითიურ არსებად მიიჩნევდა! მაშ მე რატომ ვიტანჯავდი თავს ასერიგად?!

თუმცა, როგორც კი ტკივილები შემომიტივდა, მაშინვე ვუბრუნდებოდი ფიქრს ზაბალავიზე და თავს ვეკითხებოდი, როდის მელირსებოდა მასთან შეხვედრა. ამ ჩემს განზრახვაზე ხელი ვერც იმან ამაღებინა, რომ ვანასის შესახებ ამბები შეწყდა, როგორც მითხრეს, ის საზღვარგარეთ გაემგზავრა საცხოვრებლად. ჭეშმარიტება ისაა, რომ მე სრულიად დაბეჯითებით ვირწმუნე, რომ მე უნდა მომეძებნა ზაბალავი.

ღიახ, მე უნდა მეპოვნა ზაბალავი...





გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი (1887-1976) მეოცე საუკუნის დასავლური ფილოსოფიის, შეიძლება ითქვას, ყველაზე შთამბეჭდავ და კოლორიტულ სახედ ითვლება. მისი შემოქმედებაც და პიროვნებაც ერთნაირად არასტანდარტული და გამომწვევია; ეკუთვნის იმ მოაზროვნეთა კატეგორიას, ვისაც ყველაზე ნაკლებად მკითხველი ანაღვლებს. თითქოს არცა წერს მკითხველისთვის და განგებ ცდილობს გზაკვალი აუბნოს მას. გამოირჩევა ღვარჯნილი და პარადოქსული სტილით, ცნებათა არაზუსტი და არაერთმნიშვნელოვანი მოხმარებით. მაგრამ ყოველივე ეს თითქოს უფრო მიმზიდველს ხდის მის უდავოდ ღრმა აზროვნებას.

სკანდალი გამოიწვია მისმა თავდაპირველმა ერთგულებამ ნაცისტური რეჟიმისადმი, რისთვისაც ნაცისტებმა ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორობა უბოძეს. მალე უარი თქვა თანამდებობაზე და მხოლოდ კათედრაც დაიტოვა. ფაშისტების დამარცხების შემდეგ კათედრაც დატოვა და დასავლეთ გერმანიის სოფელ ტოდტნაუბერგში დასახლდა.

ყოველთვის ჩრდილში ყოფნა ერჩია, რის გამოც ინტერვიუებს გაუბოდა. წინამდებარე ინტერვიუ მისცა 1969 წელს საფრანგეთში, ჟურნალ „L'Expres“-ის თანამშრომელს ფრედერიკ ტოვარნიცკის და წიგნის „ჰაიდეგერის პოლიტიკური ნაწარმოებები“ ავტორს ჟან-მიშელ პალმეს.

# საუბარი მარტინ ჰაიდეგერთან

თარგმნა ზურაბ ხასანიამ

**კორესპონდენტი** — თქვენ, ბატონო ჰაიდეგერ, გთვლიან დასავლური ტრადიციის უკანასკნელ ფილოსოფოსად, ვინც დაასრულა იგი და ამავე დროს სცადა გაეჭრა ახალი გზა კითხვის დასმისა<sup>1</sup>. მაგრამ დღეს უნივერსიტეტები კრიზისმა მოიცვა, რასაც თან ახლავს ფილოსოფიისადმი უნდობლობა. უმრავლესობა ფიქრობს, რომ მას აღარა აქვს არსებობის უფლება. ის უსარგებლო გახდა.

**ჰაიდეგერი** — ეს სწორედ ისაა, რაზეც მე ყოველთვის ვფიქრობდი. 1935 წელს დავწერე „შესავალი მეტაფიზიკაში“ და იქ ვამტკიცებდი: ფილოსოფია მუდამ არათანადროულია; ესე იგი, არასდროს არაა თანამედროვე. ის ახირებაა ერთგვარი.

**კორესპონდენტი** — ახირება?!

**ჰაიდეგერი** — ფილოსოფია არათანადროულია თავისი ბუნებით<sup>2</sup>. ის იმ იშვიათ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც უშუალო გამოხმაურებას ვერასოდეს ეღირსებიან.

**კორესპონდენტი** — მაშინ რაღა ფილოსოფია?

**ჰაიდეგერი** — ეს თვითრწული და შემოქმედებითი არსებობის ერთერთი იშვიათი შესაძლებლობაა. მისი დასაბამიერი ამოცანაა უფრო ბუნდოვანი გახადოს საგნები<sup>3</sup>.

**კორესპონდენტი** — როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა მას წვლილი დაიდოს სამყაროს გარდაქმნაში, როგორც ეს სურდა კარლ მარქსს?

**ჰაიდეგერი** — ფილოსოფიას არ ძალუძს უშუალო ზემოქმედება საგნებზე. მას არ შეუძლია შექმნას მოქმედების რაიმე ფორმები, რაღაც პირობები, რომლებიც გამოიწვევენ ისტორიულ მოვლენას<sup>4</sup>.

**კორესპონდენტი** — მაშინ რაღა აზრი აქვს მას?

**ჰაიდეგერი** — ის არაა „ცოდნა“, რომელსაც მიაღწევ და მაშინვე გამოიყენებ. ის ფეთქავს ადამიანთა მცირე

ჯგუფში და ვერ შეფასდება საერთო საზომებით. ამას აღარაფერი ეშველება. მაგრამ სწორედ ის ქმნის ჩვენგან რაიმეს, თუკი მისით განვიმსჯვალებით.

**კორესპონდენტი** — ხომ ვერ დაგვიზუსტებდით რას გულისხმობთ?

**ჰაიდგერი** — ხალხები, თავიანთი ისტორიული განვითარების გზაზე, თავიანთ თავს ყოველთვის უსვამენ უამრავ კითხვას. ამ კითხვათაგან მხოლოდ ერთმა — „რატომ არის რაიმე და არა, პირიქით, არარა?“<sup>5</sup> — განსაზღვრა ბედი დასავლურ სამყაროსი. კერძოდ კი — ამ კითხვაზე სოკრატემდელ ფილოსოფოსთა მიერ გაცემულმა პასუხებმა 2500 წლის წინათ. მაგრამ დღეს ამ კითხვის საზრისი აღარავის ესმის.

**კორესპონდენტი** — ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს არსს სოკრატემდელ ფილოსოფოსთა, ვთქვათ, პარმენიდეს და ჰერაკლიტეს გამოთქმათა გააზრება გაგვაგებინებდა?!

**ჰაიდგერი** — დიახ, მაგრამ დღეს აღარც გერმანიაში, აღარც სადმე სხვაგან მათ აღარავინ კითხულობს.

**კორესპონდენტი** — როგორ ფიქრობთ, რა გვაკავშირებს ჩვენ ესოდენ შორეული წარსულის მოაზროვნებთან?

**ჰაიდგერი** — ჩემს კურსში „მეტაფიზიკის შესავალი“ მე ვაჩვენე, თუ რატომ იწყება ყველა ფილოსოფიური კითხვა მათგან. მათი პოეტური გამოთქმებიდან იბადება დასავლური სამყარო.

**კორესპონდენტი** — თანამედროვე ტექნიკაც?

**ჰაიდგერი** — მე ნათქვამი მაქვს, რომ თანამედროვე ტექნიკა, თუმცა ის სრულიად უცხოა ანტიკურობისთვის, სწორედ მისგან იწყება<sup>6</sup>.

**კორესპონდენტი** — მართალია, რომ 1907 წლიდან თქვენ ყოველდღე ერთ საათს უთმობთ ბერძენ მოაზროვნეებსა და პოეტებს — ჰომეროსს, პინდარეს, ემპედოკლეს, სოფოკლეს, თუკიდიდეს?

**ჰაიდგერი** — დიახ, ომის წლების გამოკლებით.

**კორესპონდენტი** — ხომ არ გგონიათ, რომ უნდა დავუბრუნდეთ ბერძნული აზროვნების წიაღს?

**ჰაიდგერი** — დავუბრუნდეთ?! ანტიკურობის აღორძინება დღეს?! ეს უაზრობა იქნებოდა, შეუძლებელიც. ბერძნული აზრი შეიძლება იყოს მხოლოდ ამოსავალი წერტილი. ესაა და ეს. ოღონდ ბერძენ მოაზროვნეთა კავშირი ჩვენს თანამედროვე სამყაროსთან არასოდეს ყოფილა ასე აშკარა.

**კორესპონდენტი** — იმ კითხვების დავიწყება თანამედროვე მსოფლიოს საჭიროებებმა ხომ არ გამოიწვია?

**ჰაიდგერი** — რომელმა საჭიროებებმა?

**კორესპონდენტი** — მკვეთრმა დაპირისპირებამ თეორიასა და პრაქტიკას შორის. მარქსმა სამყაროს თეორიულ ქვრეტას დაუპირისპირა და მასზე მალა დააყენა სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნა.

**ჰაიდგერი** — მარქსის მეთერთმეტე თეზისს<sup>7</sup> გულისხმობთ ფოიერბახის შესახებ, არა? დღეს მხოლოდლა მოქმედება, სამყაროს განმარტების გარეშე, ვერაფერს შეცვლის ამ მსოფლიოში.

**კორესპონდენტი** — მაგრამ დღეს უფრო სიამოვნებით მარქსს, ფროიდსა და მარკუზეს კითხულობენ, ვიდრე პარმენიდეს და ჰერაკლიტეს.

**ჰაიდგერი** — სწორედ ეს გახლავთ ის, რასაც მოგახსენებდით.

**კორესპონდენტი** — თქვენ წერდით, რომ ატომური ბომბი აფეთქდა უკვე პარმენიდეს პოემაში. ხომ არ გულისხმობდით სწორედ ამ კავშირს ბერძნული მეტაფიზიკისა თანამედროვე ტექნიკასთან?

**ჰაიდეგერი** — დიახ, ოღონდ არ უნდა ვენდოთ უკონტექსტო ფორმულებს. მე ვფიქრობ, რომ სწორედ პარმენიდეს პოემაში და იქ დასმულ საკითხში იქმნება მომავალი მეცნიერების შესაძლებლობა. მაგრამ ფორმულები საშიშია — ისინი გვაიძულებენ ვირწმუნოთ, თითქოს საუბარია ჰეგელისეულ ფატალურ აუცილებლობაზე.

**კორესპონდენტი** — შეიძლება ისტორია სხვა მიმართულებით განვითარებულიყო?

**ჰაიდეგერი** — ვინ იცის! მე აუცილებლობა არ მნამს. ისტორია არ შეიცავს მარქსისტული ტიპის დეტერმინიზმს;<sup>8</sup> ისევე როგორც — ფილოსოფია ან პოლიტიკა. ფიზიკოსებს, რომლებიც ეძებდნენ ბირთვის გახლეჩის კანონებს, არ სურდათ ატომური ბომბის შექმნა. არადა სწორედ ესაა, რაც მათ შექმნეს.

**კორესპონდენტი** — ამბობენ, თითქოს თქვენ თქვით თქვენი წიგნის „ყოფნა და დრო“ შესახებ: „ეს არის წიგნი, რომელშიც მე მინდოდა ძალიან სწრაფად წავსულიყავი ძალიან შორს“. მართლა ასე იყო?

**ჰაიდეგერი** — დიახ, ვთქვი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღესაც ასე ვფიქრობ. დღეს სწორედ ეს მეეჭვება. მაშინ მე ვერ შევძელი მივდგომოდი საკითხს ტექნიკის არსის, მისი საზრისის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში. მოკლედ, კიდევ ოცდაათი წელი დამჭირდა ამისათვის.

**კორესპონდენტი** — ხანდახან ამბობენ, რომ თქვენ აძაგებთ ტექნიკასა და თანამედროვე მსოფლიოს.

**ჰაიდეგერი** — ეს აბსურდია. მომავალი — აი რაა მთავარი!

**კორესპონდენტი** — თქვენ პირველმა ახსენეთ „პლანეტარული ტექნიკის ერა“. რას გულისხმობდით?

**ჰაიდეგერი** — „პლანეტარული ერა“, „ატომური ერა“ — ესაა გამოთქმები, რომლებიც გვაუწყებს გარიჟრაჟს მომავალ დროთა. ვერავინ იწინასწარმეტყველებს, თუ რა გამოვა აქედან. არავინ უწყის, თუ რად გადაიქცევა აზრი.

**კორესპონდენტი** — ნიშნავს თუ არა პლანეტარული ტექნიკის ერა მეტაფიზიკის დასასრულს?

**ჰაიდეგერი** — არა, პლანეტარული ტექნიკაც მეტაფიზიკის განხორციელებაა. დეკარტის გარეშე თანამედროვე მსოფლიო ვერ შეიქმნებოდა?

**კორესპონდენტი** — როგორ სვამთ თქვენ ტექნიკის პრობლემას?

**ჰაიდეგერი** — ტექნიკის არსს ვერ ჩანვდება, ვინც კმაყოფილდება ტექნიკის გამოებით ან ქებათა ქებით. საჭიროა კითხვის დასმა.<sup>10</sup>

**კორესპონდენტი** — რას ნიშნავს „კითხვის დასმა“?

**ჰაიდეგერი** — კითხვის დასმა, როგორც უკვე ვთქვი, გზის გაყვანაა, მისი შექმნა<sup>11</sup>. ტექნიკის არსზე კითხვა — ეს ნიშნავს მოამზადო მისდამი თავისუფალი მიდგომის შესაძლებლობა. ოღონდ ტექნიკა სხვაა, ტექნიკის „არსი“ — სხვა.

**კორესპონდენტი** — რა გესმით თქვენ „არსში“?

**ჰაიდეგერი** — ხის არსი არაა ხე, რომელსაც შეხვდებოდით სხვა ხეებს შორის.

**კორესპონდენტი** — ხოლო თუ გავი-აზრებთ ტექნიკის არსს?

საუბარი მარტინ ჰაიდეგერთან

**ჰაიდგერი** — მაშინ მონურად მივე-  
ჯაჭვებით ტექნიკას და დავკარგავთ თა-  
ვისუფლებას; სულერთია, განვადიდებთ  
მას თუ დავგმობთ. ასეა, რადგან ტექნი-  
კაც არაა რალაც ნეიტრალური. სწორედ  
მაშინ, როცა მას ნეიტრალურ რამედ  
წარმოიდგენენ, მის მონებად იქცევიან.

**კორესპონდენტი** — თქვენ გგონიათ,  
რომ თანმედროვე მსოფლიოს ჯერ არ  
„გაუაზრებია“ ტექნიკა?

**ჰაიდგერი** — მე ჩემს მოხსენებაში  
მინერია: „ტექნიკისავე მიზეზით ჩვენ  
გამოგვეპარა ტექნიკის საზრისი; ისევე  
როგორც, ესთეტიკის მიზეზით ხელიდან  
გაგვისხლტა ხელოვნება“<sup>12</sup>.

**კორესპონდენტი** — მიგაჩნიათ თუ  
არა ტექნიკა მთავარ საფრთხედ ადამი-  
ანისთვის?

**ჰაიდგერი** — ჰოლდერლინი ბრძა-  
ნებდა: „იქ, სადაც საფრთხეა, საშველ-  
იც გამოჩნდება“<sup>13</sup>.

**კორესპონდენტი** — ჰოლდერლინს  
თქვენ „მწირი ეპოქის“ პოეტად იხსენიე-  
ბთ ხოლმე. ხომ არ ფიქრობთ, რომ ნიც-  
შეც ასეთსავე ეპოქას ეკუთვნის?

**ჰაიდგერი** — ნიცშე უთუოდ უკა-  
ნასკნელი დიდი მოაზროვნეა დასავლურ  
მეტაფიზიკის.

**კორესპონდენტი** — რატომ უკა-  
ნასკნელი?

**ჰაიდგერი** — ნიცშემ დასვა თანა-  
მედროვე ეპოქის ძირითადი საკითხი,  
როცა იკითხა ზეკაცის შესახებ. მან  
შენიშნა დადგომა დროისა, როცა ადამი-  
ანი ემზადება მთელ დედამიწაზე საბა-  
ტონოდ. ჰოდა ჰკითხა მან თავის თავს:  
ღირს კი ადამიანი ასეთი მისიისთვის?  
ხომ არ აჯობებდა მისი გარდაქმნა? ამ  
კითხვაზე ნიცშემ უპასუხა: ადამიანმა  
უნდა გადალახოს თავისი თავი და იქც-  
ეს ზეკაცად!

**კორესპონდენტი** — ხომ არ ფიქრ-  
ობთ, რომ ნიცშეს ეს აზრი ყველაზე მე-  
ტად დამახინჯდა ფილოსოფიის ისტო-  
რიაში?

**ჰაიდგერი** — მე ვწერდი ამის გამო,  
რომ ღრმა აზრები უვნებლად აღწევენ  
ხოლმე თავს განმაქიქებელთა ბრბოს.

**კორესპონდენტი** — ჩვენი ხანა გან-  
საკუთრებული მნიშვნელობისაა?

**ჰაიდგერი** — ნიცშე წერდა 1866  
წელს: „ჩვენ სასწორზე დავდეთ ჭეშმარ-  
იტება... შეიძლება კაცობრიობა დაილ-  
უპოს კიდევ ამ თამაშში! რა გაეწყობა,  
დაე იყოს ასე“<sup>14</sup>.

**კორესპონდენტი** — როგორ გესმით  
დამოკიდებულება ფილოსოფიასა და  
მეცნიერებას შორის?

**ჰაიდგერი** — ეს ძალიან რთული სა-  
კითხია. დღეს მეცნიერებამ თავისი ძა-  
ლაუფლება მოახვია მთელ დედამიწას.  
მაგრამ მეცნიერება არ აზროვნებს<sup>15</sup>.  
მისი გზა და საშუალებანი ისეთია, რომ  
მას არ შეუძლია იაზროვნოს.

**კორესპონდენტი** — ეს ნაკლია?

**ჰაიდგერი** — არა, უპირატესობა.  
სწორედ იმის წყალობით, რომ არ აზრო-  
ვნებს, მეცნიერებას ძალუძს დამკვი-  
დრდეს და ეწერგიულად იაროს წინ.

**კორესპონდენტი** — მაგრამ დღეს  
ცდილობენ, რომ აზროვნება სწორედ  
მეცნიერებასთან გააიგივონ.

**ჰაიდგერი** — მეცნიერებასა და აზ-  
როვნებას უფსკრული ჰყოფთ ერთ-  
მანეთისგან. მხოლოდ მაშინ, როცა ამას  
აღიარებენ, მათი ურთიერთდამოკიდე-  
ბულება სწორ კალაპოტში ჩადგება.

**კორესპონდენტი** — თქვენ ბრძანეთ:  
„მეცნიერება არ აზროვნებს“. არ გეჩ-  
ვენებათ, რომ ეს გამაოგნებელი განცხ-

ადებაა?

**ჰაიდგერი** — რა თქმა უნდა, მაგრამ აზრის გარეშე მეცნიერება უძღურია. ლექციებში მითქვამს: ჩვენს დროში უმთავრესი ისაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაზროვნებთ სათანადოდ.

**კორესპონდენტი** — რისი თქმა გინდოდათ ამით?

**ჰაიდგერი** — ალბათ იმისი, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანი ძალიან ბევრს მოქმედებდა და ძალიან ცოტას აზროვნებდა<sup>16</sup>. სამყაროში, რომელიც მუდმივად გვაძლევს აზროვნების შესაძლებლობას, აზრი ვერა და ვერ იშვა.

**კორესპონდენტი** — არ გეჩვენებათ, რომ თეორიისა და პრაქტიკის დაპირისპირება ჩვენი დროის მთავარი დაპირისპირებაა?

**ჰაიდგერი** — ვინ იცის, რაა სინამდვილეში „პრაქტიკა“? დღეს მას ხშირად ურევინ შემოსავლებთან, სარგებლის ძიებასთან. ბერძნებს თვითონ თეორია მიაჩნდათ უზენაეს პრაქტიკად.

**კორესპონდენტი** — რომელ დროს აკუთვნებთ თავს, შორეულ მომავალს?

**ჰაიდგერი** — შეიძლება შორეულ წარსულსაც... „უძველესი აზრები წარსულშია და მაინც ხელახლა იბადება“. ჩვენ მეტისმეტად გვიან ვაღწევთ ღმერთებამდე და ძალიან ადრე — ყოფნამდე<sup>17</sup>.

**კორესპონდენტი** — მეოთხედი საუკუნე მიიწურა თქვენი ნაშრომის „ყოფნა და დრო“ გამოცემიდან. შეგიძლიათ თქვათ, რომ უკეთ ხართ გაგებული?

**ჰაიდგერი** — არ ვიცი. მე არ გავცნობივარ ჩემს შესახებ დანერგულ ნაშრომებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მზადდება ჩემი თხზულებების სრული კრებული. მაგრამ მე ხანდახან მი-

ჭირს ჩემი აზრების ცნობა ზოგიერთ ამერიკულ ინტერპერეტაციაში.

**კორესპონდენტი** — გერმანიაში თქვენს შესახებ ცოტას საუბრობენ, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: თქვენი გავლენა ისევ საგრძნობია. ეს ჩანს უამრავ გამოკვლევაში. ეგაა, რომ თქვენ თითქმის არ გიმონებენ.

**ჰაიდგერი** — მით უკეთესი. ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩემს ძმას ეცინება ამაზე. იგი კლემენტინას უწოდებს ამას<sup>18</sup>.

**კორესპონდენტი** — 1945 წელს გამოსულ ბიბლიოგრაფიაში, სადაც ჩამოთვლილია თქვენდამი მიძღვნილი 820 ნაშრომი, რედაქტორი შენიშნავდა: თქვენი შემოქმედების მიმართ ინტერესი თანდათან ნელდება.

**ჰაიდგერი** — დიახ; ამ დროს კი ჩემდამი მიძღვნილი ნაშრომების რიცხვი გასამკეცდა. როგორ გინდა ასეთ წინასწარმეტყველებაზე არ იხალისო? მე მითხრეს, რომ ამ ნაშრომების რიცხვმა სამ ათასს გადააჭარბა<sup>19</sup>.

**კორესპონდენტი** — თვალყურს თუ ადევნებთ თქვენი ყოფილი სტუდენტის, ჰერბერტ მარკუზის<sup>20</sup> შემოქმედებას?

**ჰაიდგერი** — მარკუზემ 1932 წელს ფრაიბურგში, ჩემი ხელმძღვანელობით, მოამზადა დისერტაცია ჰეგელზე. ეს იყო ძალიან კარგი ნაშრომი. ამის მერე ყველაფერს, რასაც იგი წერს, თვალყურს ვეღარ ვადევნებ. მისი „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ ნაკითხული მაქვს.

**კორესპონდენტი** — ზოგიერთები აღნიშნავენ ურთიერთკავშირს მარკუზეს მიერ დასმულ საკითხსა და თქვენს პრობლემატიკას შორის.

**ჰაიდგერი** — ამაში არაფერია შეუძლებელი.

**კორესპონდენტი** — მაგალითად, მარკუზე ამბობს, რომ თანამედროვე ტექნიკა არაა უბრალო გროვა მანქანებისა. ის პლანეტარული კანონია; რომ თანამედროვე ადამიანი ჩათრეულია ამ კანონში და ამავე დროს ვერ აკონტროლებს მას.

**ჰაიდეგერი** — მე არაერთხელ მითქვამს და დამინერია ეს.

**კორესპონდენტი** — მარკუზე ამ ახალი ნესრიგის მიერ დამონებული ადამიანის შესახებ ლაპარაკობს. ტექნიკა მას ესმის ვითარცა სამყაროში არსებობის ფორმა, სადაც სიცოცხლეზე მაღლა შრომა დგას.

**ჰაიდეგერი** — დიახ, ჰგავს ეს ჰაიდეგერს. მე ვწერდი, რომ ტოტალიტარიზმი როდია უბრალოდ მართვის ფორმა. ეს ტექნიკის აღვირახსნილი ბატონობის შედეგია. დღეს ადამიანი ემონება მიხვე ფაბრიკაციების უგუნურებას.

**კორესპონდენტი** — ხომ არ ფიქრობთ, რომ მარკუზემ მთლიანობაში, რევოლუციურ პერსპექტივაში, გადახარშა თქვენი ნათქვამი პლანეტარული ტექნიკის ბატონობის შესახებ?

**ჰაიდეგერი** — ეს უდავოდ ასეა. მაგრამ იქნებ საჭიროა ამასთან ერთად ვიკითხოთ ტექნიკის არსის შესახებაც.

**კორესპონდენტი** — შესაძლებელია მარქსისა და ჰაიდეგერის ალიანსი?

**ჰაიდეგერი** — ჩემი პრობლემატიკის ნიადაგზე ეს შეუძლებელი მგონია. მარქსი არაა ის კაცი, ვინც ყოფნის შესახებ იკითხავს. ეს არ ნიშნავს, რომ მარქსის შემოქმედება ჩამოუვარდება ჰეგელისას, ან შორსაა მეტაფიზიკისგან. ყოფნა მარქსს ესმის ვითარცა ბუნება, რასაც უღელი უნდა დაადგა და მართო. მარქსი გამოიყურება უდიდეს ჰეგელიანელად.

**კორესპონდენტი** — თქვენ კვლავაც ვითხოვლობთ მარქსს?

**ჰაიდეგერი** — მე ცოტა ხნის წინ გადავიკითხე მისი ყრმობისდროინდელი თხზულებანი<sup>21</sup>. სხვათაშორის, მე თვალყურს ვადევნებდი ჩემი მოწაფის ლანდსხუტის შემოქმედებას, რომელიც გამოქვეყნდა 1932 წელს. გასულ ზაფხულს განვიზრახე მიმეძღვნა ამ ტექსტებისთვის ფაკულტატური სემინარი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მასწავლებელთა მონაწილეობით. მათ მთხოვეს ამის შესახებ.

**კორესპონდენტი** — ფროიდზე კი რაღას იტყობით?

**ჰაიდეგერი** — ფსიქონალიზი ძალიან მნიშვნელოვანი საგანია. მე იგი თერაპია მგონია. ოღონდ მისი ფილოსოფიური პოზიციები სუსტია.

**კორესპონდენტი** — რატომ?

**ჰაიდეგერი** — იმიტომ რომ, იგი ადამიანის არსის ბიოლოგიზაციაა. გადაიკითხეთ ფროიდის „სიამოვნების პრინციპის იქით“ და დარწმუნდებით.

**კორესპონდენტი** — დღეს ასეთი პრაქტიკა უფრო იზიდავს ადამიანს, ვიდრე განაზრებანი ადამიანის არსის გარშემო.

**ჰაიდეგერი** — ეს მე მშვენივრად ვიცი.

**კორესპონდენტი** — კიდევ ერთხელ: ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ მომავალში თქვენს აზრსა და მარქსიზმს შორის შეიძლება „შეხების წერტილები“ გაჩნდეს?

**ჰაიდეგერი** — შეიძლება, რატომაც არა? მაგრამ ვერ გეტყვით, კერძოდ, რა მსგავსებაზე იქნება ლაპარაკი. მე ვიღებ ხოლმე წერილებსაც, სტუმრებსაც სოციალისტური ქვეყნებიდან: ჩეხებს,

პოლონელებს, იუგოსლავებს, რუსებს...

**კორესპონდენტი** — თქვენ ერთხელ თქვით: მომავალი სოციალიზმს უფრო აქვს, ვიდრე ამერიკანიზმს<sup>22</sup>. ახლაც ასე ფიქრობთ?

**ჰაიდგერი** — რა თქმა უნდა.

**კორესპონდენტი** — ერთხელ როგორღაც გკითხეს, ხომ არ დანერდით „ეთიკას“, მოქმედების დოქტრინას.

**ჰაიდგერი** — „ეთიკას“? ვის შეუძლია დღეს ამის უფლება მისცეს თავს? ანდა ნეტავ რომელი ავტორიტეტის სახელით უნდა შესთავაზო ეს დოქტრინა მსოფლიოს?

**კორესპონდენტი** — თქვენ გინერიათ: „ადამიანის არსებობა მისი საკუთარი შესაძლებლობაა“. ეს თქმა გაშალა ჟან პოლ სარტრმა თავის თხზულებაში „ყოფნა და არარა“<sup>23</sup>.

**ჰაიდგერი** — ხანდახან სარტრი ჩემს აზრს მარქსისტულად განმარტავდა ხოლმე. ადამიანი თავისივე შესაძლებლობაა, მაგრამ მას როდი ძალუძს თავისი თავის „შექმნა“.

**კორესპონდენტი** — თქვენ ხანდახან გისაყვედურებენ, თითქოს ერთგვარ დისტანციას იცავთ მსოფლიო ისტორიის მოვლენების მიმართ.

**ჰაიდგერი** — აზრს მარტოობა უყვარს. როცა სურთ გადაეხვიონ, ის განზე გაიწევენ ხოლმე<sup>24</sup>. მე ვიცი ეს. ამას მივხვდი რექტორობის ჟამს, 1933 წელს, გერმანიის ისტორიის ტრაგიკულ მომენტში. შევცდი მაშინ. რჩება კი ჩათრეული და გამოყენებული ფილოსოფია ფილოსოფიად? იცის კი ფილოსოფოსმა ის წესი, რითაც ფილოსოფიას ძალუძს შემოქმედება ადამიანზე და ისტორიაზე? არა, ფილოსოფია არ ემორჩილება ორგანიზაციას<sup>25</sup>.

**კორესპონდენტი** — ხშირად ამბობენ, რომ თქვენი „ყოფნა და დრო“ დაიწერა უნგრელი მარქსისტის, გეორგ ლუკაჩის შემოქმედების გავლენით.

**ჰაიდგერი** — მე მეჩვენება, რომ ლუკაჩს ათვალისწინებული ვყავარ...

**კორესპონდენტი** — მაგრამ პარიზში წაიკითხეს ასეთი კურსი: „ჰაიდგერი და ლუკაჩი. მსგავსება და განსხვავება“.

**ჰაიდგერი** — ამან დიდად გამაკვირვა. სასაცილოა, ლუკაჩმა ხომ „შპიგელის“ 1966 წლის ნომერში მე ფაშისტი ფილოსოფოსი მიწოდა. სხვათაშორის, აღარც კი მახსოვს, წაკითხული მქონდა კი ლუკაჩი „ყოფნა და დრო“-ს დანერამდე? არა, არ მქონდა.

**კორესპონდენტი** — თვითონ ის თუ გკითხულობდათ თქვენ?

**ჰაიდგერი** — ეს მე არ ვიცი.

**კორესპონდენტი** — ხშირად გესხმიან ხოლმე თავს?

**ჰაიდგერი** — ვაი, რომ ფილოსოფიურად — ძალიან იშვიათად! ნეტავ თუ დარჩება აი ასეთი თავდასხმებისგან თუნდაც ერთი ღირებული ნაშრომი? თქვენ ალბათ იცით ვალერის სიტყვები: „როცა ვერაფერს აკლებენ აზრს, ებრძვიან მოაზროვნეს“.

**კორესპონდენტი** — კიდევ გრძელდება ნეტავი ეს კინკლაობა?

**ჰაიდგერი** — ჩაცხრება ის ჩემი სიკვდილის შემდეგ. ბოლოს და ბოლოს ვინაა ჰაიდგერი? მომავალი კვლევა-ძიებათა არტელს ეკუთვნის. ვიღას ახსოვს, სიტყვაზე, ტაძრის მშენებელთა სახელეები? დღეს ხომ სრულიად არავინ წაიკითხავდა არცერთ ჩემს წიგნს, მას რომ ჩემი გვარი არ ეწეროს — ჰაიდგერი! სხვათაშორის, ადამიანთა უმრავლესობას უკვე მკვდარი ვგონივარ. ცხოვრე-

ბაში მუდამ გაუგებრობა სუფევს. იმასაც კი წერდნენ, თითქოს „რა არის ეს — მეტაფიზიკა?“ მე შევთხზე შეარცვალდში, თხილამურებით სრიალის დროს.

**კორესპონდენტი** — ხომ არ განუხებთ ეს გაუგებრობანი?

**ჰაიდეგერი** — ისევ და ისევ მარტინ ჰაიდეგერი — აი ვინ მანუხებს მე. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

**კორესპონდენტი** — რას გულისხმობთ?

**ჰაიდეგერი** — მთავარია, რომ ჩემი მუშაობა გარძელებს თავისი გზით. არა აქვს მნიშვნელობა, ეცოდინებათ თუ არა ჩემი სახელი. მთავარი სხვაა — დარჩება თუ გაქრება მომავალში ის, რაც ღირებულია ჩემს აზროვნებაში.

**კორესპონდენტი** — მთელი თქვენი ცხოვრება ერთადერთ საკითხს მიუძღვნით — ყოფნას. როგორ გგონიათ, ეს საკითხი დღესაც ისევე დასაბამიერია?

**ჰაიდეგერი** — დიას, ის ინარჩუნებს მთელ თავის მნიშვნელობას.

**კორესპონდენტი** — ყოფნის შესახებ კითხვამ გადამწყვიტა თქვენი აზროვნების ბედი, განსაზღვრა თქვენი გზა. როგორი იყო ეს გზა?

**ჰაიდეგერი** — თვითონაც არ ვიცი, რა გიპასუხოთ. სხვებმა სცადეს ამის გარკვევა. მაგრამ აბა რა გითხრათ, სწორად გაიგეს მათ ჩემი აზრები?

**კორესპონდენტი** — შეიძლება განმეორდეს ჰაიდეგერი?

**ჰაიდეგერი** — არავითარ შემთხვევაში! მე კი არ უნდა მომბაძონ, თავიანთი საკუთარი კითხვები უნდა დასვან. არანაირად საინტერესო არაა ჰაიდეგერის მიბაძვა. ხამს ნაირ-ნაირი მიმა-

რთულებით გაშალონ ჩემი პრობლემატიკა, ან წინ აღუდგნენ მას.

**კორესპონდენტი** — „ჰაიდეგერი უნდა გაიაზროთ ჰაიდეგერის წინააღმდეგ!“<sup>26</sup> — ბრძანებდით თქვენს ლექციებში.

**ჰაიდეგერი** — თავადაც ამას ვცდილობდი ნიადაგ! 30 წლის მანძილზე ერთი კურსიც არ წამიკითხავს ჰაიდეგერის შესახებ.

**კორესპონდენტი** — და მაინც არ ამბობენ განა, რომ არსებობს ჰაიდეგერის ფილოსოფია?

**ჰაიდეგერი** — უკვე ვთქვი: არ არსებობს ჰაიდეგერის ფილოსოფია. ექვსი ათეული წელია ვცდილობ გავერკვე, რაა ფილოსოფია. არასოდეს მიცდია ჩემი ფილოსოფია შემექმნა.

**კორესპონდენტი** — ზოგჯერ ცდილობენ თქვენს აზრებთან მიახლოებას იმ გავლენების გათვალისწინებით, რომლებიც თქვენ განიცადეთ. რას იტყობდით ამაზე?

**ჰაიდეგერი** — მე ფილოსოფიის მთელი ტრადიციიდან მოვდივარ. მაგრამ ჩემთა აზრთა წვდომის ეს გზა სამაგალითოდ მოწაფურია: „ჰაიდეგერი და ჰეგელი“, „ჰაიდეგერი და შელინგი“... ზოგიერთ კომენტატორს რომ ჰკითხო, თურმე უნდა აიღო არისტოტელე, ჰუსერლი, კანტი, ბრენტანო, ყველაფერი ეს ერთმანეთში უნდა აურიო და გამოევა „ყოფნა და დრო“. სასაცილოა.<sup>27</sup>

**კორესპონდენტი** — როგორ გესმით ამოცანა, რომელიც დღეს აზროვნების წინაშე დგას?

**ჰაიდეგერი** — ჩემთვის ძნელია ამ თემაზე ლაპარაკი, რადგან ყველაფერი, რაც დამინერია ამის შესახებ, როდია გამოქვეყნებული. ყოფნის შესახებ დასაბამიერ კითხვასთან დაბრუნება — აი

გზა, რამაც მიმიყვანა „ყოფნა და დრო“-მდე. მეორე ნაწილს უნდა დაერქვას „დრო და ყოფნა“.

**კორესპონდენტი** — ხშირად უკვირთ ის მკვეთრი გარდატეხა, რაიც მოხდა თქვენს შემოქმედებაში. „ჰაიდეგერ პირველსა“ და „ჰაიდეგერ მეორეზეც“ კი ლაპარაკობენ.<sup>28</sup> უცებ შეიცვალა თქვენი სტილი. ეტყობა, თქვენ დატოვეთ მეტაფიზიკური კვლევის უნაყოფო ნიადაგი და გადაერთეთ პოეტებთან მუსაიფზე — ჰოლდერლინთან, მორიკესთან, გებელთან, რილკესთან, მეტადრე კი თრაკლთან.

**ჰაიდეგერი** — მე ვწერდი ამის თაობაზე: ფილოსოფია და პოეზია დგანან ერთმანეთის საპირისპირო მწვერვალებზე, მაგრამ ამბობენ ერთსა და იმავეს.

**კორესპონდენტი** — გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა ლაპარაკი ორი ჰაიდეგერის შესახებ, როგორც ამას ამერიკელი კომენტატორები შვრებიან?

**ჰაიდეგერი** — არავითარ შემთხვევაში! „მეორე ჰაიდეგერი“ შესაძლებელია მხოლოდ „პირველი ჰაიდეგერის“ წყალობით. პირველი იმთავითვე შეიცავდა მეორეს.

**კორესპონდენტი** — მაშინ რაღას ნიშნავს „ყოფნა და დრო“ — ს შემდეგ კითხვის ახლებურად დასმა, რასაც შეიძლება პოეტური ენოდოს?

**ჰაიდეგერი** — ეს მხოლოდ შემობრუნება იყო. ჩემი ლექცია „რა არის ქეუმარიტება?“ შემობრუნების ნერტილია ერთგვარი. ამ ნაწარმოებში პირველი კითხვა რომ დავსვი, მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორი იქნებოდა მეორე კითხვა.

**კორესპონდენტი** — მართლა თქვით თუ არა, რომ სიამოვნებით დაინწყებენ თქვენს კითხვას, ოლონდ, სულ ცოტა, სამასი წლის მერე.

**ჰაიდეგერი** — სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ამ საკითხს არა მგონია რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

**კორესპონდენტი** — ვთქვით პირდაპირ: სტუდენტებს არ ესმით თქვენი ნიგნების შინაარსი. ისეთი გრძნობა ეუფლებათ, რომ შეხვდნენ ძალიან რთულ და უჩვეულო აზრებს; ეჩვენებათ, რომ ეს აზრები სრულიად უპირისპირდება ტრადიციულ განათლებას. თქვენ კი ამ დროს დუმხართ. არ გეჩვენებათ, რომ თქვენს ნიგნებთან პირისპირ დარჩენილი სტუდენტები დაიბნევიან?

**ჰაიდეგერი** — სამწუხაროდ, კი, მაგრამ რა გაენყოფა. ამას ზედ ერთვის თარგმნის პრობლემა. როგორ გინდა თვალყური ადევნო და გაუმკლავდე ამას? მე უკვე იძულებული ვა ვხდები უარი მეტქვა იაპონური თარგმანების გაკონტროლებაზე. ხოლო რაც ეხება სტუდენტებს: მათი ცოდნა ერთობ შეკონინებული და უნესრიგოა. ან სხვაგვარად როგორღა იქნებოდა დღევანდელ უნივერსიტეტებში?!

**კორესპონდენტი** — თქვენ მეტად აღარ კითხულობთ ლექციებს; აღარც სემინარებს ხელმძღვანელობთ. რჩება მხოლოდ თქვენი ნიგნები.

**ჰაიდეგერი** — ვისურვებდი სემინარულ დიალოგებს ათიოდე სტუდენტთან. მხოლოდ მაშინ შეიძლება ასწავლო „ხედვა“; აჩვენო, რა კითხვას სვამს ფილოსოფია.

**კორესპონდენტი** — ეს გგონიათ თქვენ ყველაზე არსებითი, არა?

**ჰაიდეგერი** — მე ვფიქრობ, რომ საფრანგეთში საერთოდ არ იცნობენ მუშაობის ამგვარ წესს. აქ წესად არა აქვთ დიალოგი, რასაც ნაბიჯ-ნაბიჯ, აზრთა განუწყვეტელი ურთიერთგაცვლის პროცესში ყველა მონაწილე მიჰყავს ფილოსოფიური კითხვის გამჟღავნებამდე. ნუ დაგავინწყდებათ, რომ სემინარებზე მყ-

ოლია „ბრმებიც“, ანუ ისეთები, ვინც ამას ვერ აღწევდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ; ზოგჯერ სხვებზე მეტსაც კი. მე მათ ვეკითხებოდი: „რატომ გვიყვებით აქ ამ ყველაფერს?“. მაშინ ისინი მიდიოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. დღეს ბევრი ამბობს: როცა ვინმე გაბედავს და აზროვნებას დაინწყებს, მისკენ თითს გაიშვერენ და იტყვიან: „ის აბსტრაქციებში ეფლობა“<sup>29</sup>.

**კორესპონდენტი** — თქვენ თუ ადევნებდით თვალყურს მსოფლიო საუნივერსიტეტო მოძრაობას და დისკუსიებს უნივერსიტეტების თემაზე?

**ჰაიდგერი** — უნივერსიტეტის პრობლემებს მე ვეხებოდი ჯერ კიდევ 1925 წელს ნაშრომში „რა არის ეს — მეტაფიზიკა?“. დღეს სტუდენტები მემბოხები გახდნენ. ეს კარგია. მაგრამ ნამდვილად თუ ესმით ნეტავი, რა უნდათ? მე კარგა ხანია ვიცი, რომ უნივერსიტეტი იქცა ჩვეულებრივ სკოლად. ის აღარ ასწავლის აზროვნებას; მზამზარეულ ცოდნას იძლევა ოდენ. ძველი უნივერსიტეტი მოკვდა, რაიც, ეჭვს გარეშეა, გარდუვალი იყო.

**კორესპონდენტი** — რას იტყოდით ახალ მიმდინარეობებზე, მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტებს რომ იპყრობენ?

**ჰაიდგერი** — ვფიქრობ, თანამედროვე უნივერსიტეტები ერთბაშად მოიცვა კრიზისმა. მაგრამ გავიმეორებ: ეს სულაც არაა ახალი ამბავი. ბევრ პრობლემას, ჩემს სტუდენტებთან ერთად, მე ნაწვყდომივარ უკვე მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. მაგრამ ამ საკითხების გადაწყვეტის დრო ჯერ არ დამდგარა.

**კორესპონდენტი** — თქვენ ერთხელ თქვით: „ვინც ღრმად აზროვნებს, ღრმადაც ცდება“.<sup>30</sup> როგორ უნდა გავიგოთ ეს ფრაზა — ფილოსოფიურად თუ პოლიტიკურად?

**ჰაიდგერი** — ყველანაირი აზრით.

**კორესპონდენტი** — საფრანგეთში იყო არაერთი მცდელობა ნათელი მოეფინათ ზოგიერთი გაუგებრობისთვის და გაერკვიათ ნამდვილი პოზიცია, რომელიც თქვენ გეკავათ 1933 წელს, ათი თვის განმავლობაში, ახალი რეჟიმის მიმართ.<sup>31</sup>

**ჰაიდგერი** — მე არაფერი მითხოვია. მაგრამ უცნაურია, რომ თვითონ ფრანგებმა შემომთავაზეს დახმარება ამ საკითხში. გერმანიაში გასაგებია: იქ თავდასხმები არ დასრულდება. იქ ალბათ არც ბოროტი განზრახვის არსებობაა გამორიცხული. სარტრმა მთელი ერთი თავი მიუძღვნა ამ თემას. საკითხს რეტროსპექტიულად უდგებიან. ხშირად ავინწყდებათ ტრაგიკული არევ-დარეულობა, რაც მაშინ სუფევდა, 1933 წელს — სილატაკე, უიმედობა, ილუზიები... მე ათი თვე დამჭირდა გონს მოსასვლელად.

**კორესპონდენტი** — ბევრი თქვენი ყოფილი სტუდენტი იგონებს თქვენს გამოხდომებს ლექციებზე ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ, თქვენს მიერ რასიზმის დაგმობას...

**ჰაიდგერი** — მე ყველაფერ ამას კარგა ხანია მოვრჩი. დღეს ყველაზე მთავარია ახალგაზრდობა. მას ახალი პრობლემები დაუფროვდა. ის ახალ სამყაროს აშენებს. მე ახალგაზრდობა ძალიან მიყვარს. მხოლოდ ახალგაზრდობა მიმაჩნია ყურადღების ღირსად.

**კორესპონდენტი** — თქვენი ერთადერთი პოლიტიკური გამოსვლა ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო „ბუნდესვერის ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ 1957 წლის საპროტესტო მიმართვის“ ხელმოწერა. რატომ?

**ჰაიდგერი** — მე ხელი მოვანერე ერთ დოკუმენტს, ოღონდ არა ამას. პროტესტი, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, ეკუთვნოდა მხოლოდ მეცნიერებს, რვა

ბონელ პროფესორს. ფიზიკოსებმა, ჰაიზენბერგმა და ფონ ვაიცზეკერმა მე არ მიმინვიეს მასზე ხელმოსაწერად.

**კორესპონდენტი** — განა ფონ ვაიცზეკერი არ იყო ერთერთი, ვინც ამუხრუჭებდა გერმანული ატომური ბომბის წარმოებას და ანგრევდა ყველაფერს შექმნისთანავე?

**ჰაიდენბერი** — დიახ. ის ამას შვრებოდა დუნაის ხეობაში, ჩემს მშობლიურ ქალაქ მესკირხთან სულ ახლოს.

**კორესპონდენტი** — თქვენი ნაწარმოებები ითვლება ერთერთ ურთულესად ჩვენს დროში. მაგრამ იდეოლოგიური ბარიერის მიუხედავად მათ არ აკლიათ ინტერპრეტაციები და დამცველები. როგორ უყურებთ თქვენ იმ ფაქტს, რომ თქვენი შემოქმედება ასეთ ყურადღებას იპყრობს?

**ჰაიდენბერი** — შეუძლებელია გვერდი აუარო იმ საკითხებს, მე რომ დავსვი.

**კორესპონდენტი** — იაპონელი მოაზროვნეები ამბობენ, რომ მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად აღმოაჩინეს ღრმა მსგავსება თქვენს ფილოსოფიასა და აღმოსავლურ აზრს შორის.<sup>32</sup>

**ჰაიდენბერი** — ეს ასეა. ბევრი ჩამოვიდა კიდევ ჩემთან. საკითხისადმი მათმა მიდგომამ მე ძალიან დამაინტერესა. ბევრი იმასაც კი წერდა, რომ ჩემი შემოქმედება მათ წარმოუდგებათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აზიისა და ევროპის შემაერთებელ ძაფად.

**კორესპონდენტი** — თუ ადევნებთ თვალყურს თანამედროვე ფილოსოფიურ კვლევებს საფრანგეთში?

**ჰაიდენბერი** — მე, სამწუხაროდ, არ მრჩება დრო ყველა იმ წიგნის წასაკითხად, რომლებსაც ვიღებ ხოლმე. ამას ერთვის ენის პრობლემაც. ადრე სარ-

ტრი მსტუმრობდა ხოლმე.

**კორესპონდენტი** — მისი წიგნის „ყოფნა და არარა“ წყალობით, ბევრმა გაიგო თქვენს შესახებ საფრანგეთში; აგრეთვე — ეგზისტენციალიზმის შესახებ, რომლის მამად თქვენ გთვლიან ხოლმე.

**ჰაიდენბერი** — ეგზისტენციალიზმი — ეს ერთგვარი უაზრობაა. მაგრამ ეს სარტრის ბრალი არაა. მე მას ძალიან ვაფასებ. გერმანელი ფილოსოფოსისთვის გასაკვირია, რომ ადამიანმა თავი გამოიჩინოს ერთდროულად ფილოსოფიითაც, რომანითაც, პიესებითაც, ესეებითაც... მე ძალიან პატივს ვცემ ფრანგების ამგვარ უნარს. ერთმა იაპონელმა უფლისწულმა, რომელიც ჩემთან მუშაობდა სადღაც 1929 წლის სიახლოვეს, გადასცა ჩემი ნაწარმოები სარტრს. თვითონ მე კი მისი „ყოფნა და არარა“ მხოლოდ 1945 წელს ნავიკითხე.

**კორესპონდენტი** — სხვა ფილოსოფიური შრომებით ხომ არ დაინტერესებულხართ?

**ჰაიდენბერი** — ის, რაც დღეს ფილოსოფიად ითვლება, იშვიათად, რომ სხვა რამე იყოს, ვიდრე ფიზიკისა და ბიოლოგიის მეთოდებით აგებული ტექნიკური იდეოლოგია. ეს არაა კითხვის ნამდვილი ფილოსოფიური დასმა.<sup>33</sup>

**კორესპონდენტი** — თქვენი მიმდევრები თქვენს შესახებ ამბობენ: „ის, რისკენაც ილტვის ჰაიდენბერი, უპირველეს ყოვლისა, აზროვნების სწავლაა. ის ცდილობს იაზროვნოს უმკაცრესად, სოკრატესნაირად. ამაში მდგომარეობს მისი მთავარი ღირსება“.

**ჰაიდენბერი** — შეიძლება.

**კორესპონდენტი** — რატომ გიყვართ ჰოლდერლინი პოეტებს შორის გამორჩეულად?

**ჰაიდგერი** — იმიტომ, რომ ჰოლდერლინი არაა მხოლოდ ერთერთი უდიდესი პოეტი. ის, გარკვეული აზრით, თვით ენერგიაა პოეზიის.

**კორესპონდენტი** — რომელი ფრანგი პოეტი მოგნონთ ყველაზე მეტად?

**ჰაიდგერი** — რენე შარი. ამასწინათ მან გამოომიგზავნა თავისი ლექსების კრებული ჯაკომეტის ილუსტრაციებით.

**კორესპონდენტი** — ხელოვნების შესახებ რაღას იტყოდით? სცნობთ თუ არა მის მნიშვნელობას?

**ჰაიდგერი** — გაიხსენეთ ნიცშეს სიტყვები, რომელიც მე დამონმებული მაქვს: „ჩვენ გვაქვს ხელოვნება, რათა გავუძლიოთ ჭეშმარიტებას“.

**კორესპონდენტი** — როგორ ფიქრობთ, თანამედროვე მხატვრებიდან ვინ შექმნა რაღაც არსებითი?

**ჰაიდგერი** — მგონია, სეზანიდან დაიწყო რაღაც. ძალიან მიყვარს ვან გოგი, ბრაკი... ერთხელ მან მაჩუქა თავისი ნახატი.

**კორესპონდენტი** — დღეს მხატვრები დიდი სიამოვნებით ლაპარაკობენ ხელოვნებისა და ტექნიკის ახალი კავშირის შესახებ.

**ჰაიდგერი** — ხელოვნება და ტექნიკა — ეს უზარმაზარი პრობლემაა. ბერძნულ ხელოვნებაში უკვე იყო მოცემული ეს აზრი.

**კორესპონდენტი** — თანამედროვე ხელოვნებაში იწყებენ კიბერნეტიკის გამოყენებას...

**ჰაიდგერი** — სიფრთხილე გვმართებს კიბერნეტიკასთან! მალე მიხვდებიან, რომ ეს არაა უბრალო საკითხი.

**კორესპონდენტი** — ამბობენ, რომ

არის ორი რამ, რაზეც თქვენ პასუხს არ იძლევიტ ხოლმე. ერთია კითხვა, თუ რაზე მუშაობთ ამჟამად. მეორეა ღმერთის პრობლემა.

**ჰაიდგერი** — მე მირჩევნია ნაიკითხონ ჩემი თხზულებები.

**კორესპონდენტი** — რატომ ცხოვრობთ ასე განდეგილად?

**ჰაიდგერი** — იმიტომ, რომ ვმუშაობ.

**კორესპონდენტი** — თქვენ არ გიყვართ, როცა თქვენს შესახებ ლაპარაკობენ?

**ჰაიდგერი** — თქვენ გულისხმობთ დიდ არენაზე, თეატრში ან უსარგებლო ჭორების კარნავალში მოხვედრას, არა? ეს როდია მთავარი.

**კორესპონდენტი** — თქვენ საბოლოოდ განყვიტეთ კავშირი საზოგადოებასთან?

**ჰაიდგერი** — მე ხშირად მეძახიან კონგრესებზე, კოლოქვიუმებზე და ზოგიერთ ოფიციალურ ცერემონიაზეც კი. იძულებული ვარ უარი ვუთხრა ყველას. მე წავიკითხე ჩემი უკანასკნელი ლექცია ხელოვნების შესახებ ათენში, სამხედრო გადატრიალებამდე ექვსი დღით ადრე. ჩემი მაშინდელი მსმენელების უმრავლესობა ალბათ ციხეშია. აქ კი მნახველები ხშირად მიკაკუნებენ კარზე. მე ვცხოვრობ განმარტოებულად, მაგრამ მარტოობა არ ნიშნავს გაბოროტებას.

**კორესპონდენტი** — თქვენ სულ იმეორებთ, რომ დღეს ნამდვილი პრობლემები შეუმჩნეველი რჩება და მათ შესახებ სდუმან. თუ ფიქრობთ, რომ მომავალში დასვამენ ამ საკითხებს?

**ჰაიდგერი** — ვინ იცის, შეიძლება — ორი ან სამი საუკუნის შემდეგ...

## შენიშვნები:

1. „საკითხის დასმა“ **ჰაიდგერის** ერთერთი საშუაგულო გამოთქმაა. ეს მისტიური ყაიდის და პოეტური სტილის მოაზროვნე „შეკითხვას“ უფრო აფასებს, ვიდრე „პასუხს“. ქვეყნიერება, ყოფნა საიდუმლოებითაა მოცული. ამიტომ ის შეკითხვის საგანია და ამ შეკითხვას ვერცერთი პასუხი ვერ ამოწურავს. პასუხში ქრება საიდუმლოება და იკარგება ის, რაც ყველაზე მთავარია „ყოფნაში“. ამიტომ **ჰაიდგერს** ფილოსოფიის მთავარ საქმედ კითხვის სწორად დასმა მიაჩნია და არა ნათელი და გარკვეული პასუხის „დადება“.

2. „ფილოსოფია ყოველთვის არათანადროულია“. ხშირად ამას ისე განმარტავენ, თითქოს ფილოსოფია მომავალს ეხება; თითქოს ფილოსოფიაში გამოთქმული აზრი მომავალშია გახდება გასაგები.

**ჰაიდგერი** ასე არ ფიქრობს. ფილოსოფია „არათანადროულია“ სხვა აზრით: ის ეხება მოვლენათა სიღრმეს და არა ზედაპირს, სადაც თანადროულობა ტივტივებს. ამიტომ ეს, დაახლოებით, იმ უძველესი აზრის გამეორებაა, რომლის თანახმადაც, ფილოსოფია არაა „პრაქტიკულად გამოსადეგი“, „აქტუალური“, „პოპულარული“ და ასე შემდეგ.

3. **ჰაიდგერის** ერთერთი ცნობილი პარადოქსი! ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ ფილოსოფიამ ქვეყნიერება უნდა ნათელჰყოს, გასაგები გახადოს.

**ჰაიდგერი** კი ამბობს, რომ ნათელყოფა დამახინჯებაა. „პირველად იყო წყვდიადი“, რის გამოც სინათლე მისი დაფარვა და დავინწყებაა. ამიტომ ფილოსოფიამ სინათლე, პირიქით, უნდა გაფანტოს და საგნები უკანვე წყვდიადში ჩააბრუნოს, „გახადოს ისინი უფრო მძიმე, ძნელი, რთული...“.

4. ეს, დაახლოებით, იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფია სფეროა ჭვრეტისა და არა მოქმედებისა. ის მომდინარეობს არა აქტივობის, მოქმედების, არამედ შემეცნების ნადილიდან, „სიბრძნის სიყვარულიდან“. ამიტომ ფილოსოფია, უბრალოდ, არ ეკუთვნის იმ არეს, სადაც ხალხი ფუს-ფუსებს, რაღაც იცვლება და ისტორია კეთდება. ფილოსოფია ამ ამოებზე მაღლა დგას და არც გამოადგება ამოებების არქიტექტორებს, ცხოვრების მორევში ჩამდგართ.

5. მთავარი ფილოსოფიური კითხვა **ჰაიდგერმა** ასე ჩამოაყალიბა: „რატომ არის არსებულის და არა არარაობა?“. ეს ნიშნავს ეჭვის შეტანას არსებულის საზრისში, ყოფნის ღირებულებაში. ადამიანობა და მისი საწყისი — აზროვნება სწორედ ამ ეჭვიდან და მისგან გამომდინარე ფილოსოფიური კითხვიდან იწყება. ვისთვისაც არსებობა ნათელი და გასაგებია, მას ჯერ აზროვნება და, მამასადავამე, ადამიანობა არ დაუწყია.

**ჰაიდგერი** ფიქრობდა, რომ სოკრატემდელი ფილოსოფოსები ამ კითხვით იყვნენ გამსჭვალ-

ლულნი. მაგრამ სოკრატეს დროიდან არსებობას მიენიჭა გადამწყვეტი, ფუნდამენტური მნიშვნელობა, ხოლო არარაობა დავინწყებას მიეცა.

6. **ჰაიდგერის** მორიგი პარადოქსი: თანამედროვე დასავლეთის ტექნიკა პირველ ბერძენ ფილოსოფოსთა პოეტური ფრაზებიდან გამომდინარეობს.

**ჰაიდგერმა**, ცხადია, იცის, რომ აქ არაა პირდაპირი კავშირი. ლაპარაკია ღრმა, შინაგან კავშირზე. **პარმენიდემ**, სიტყვაზე, არსებობა ცნებას გაუტოლა: საგანი ისაა, რაც საგნის ცნებაში იგულისხმება. აქედან კი მართლაც გამომდინარეობს ბუნების გამარტივება, მისი ჩანაცვლება „ხელოვნებით“, ადამიანის ნახელავით, ტექნიკით. ადამიანი გაექცა „ცოცხალ ბუნებას“ და დასახლდა „ქალაქში“, აისხა ცნებათა აბჯარი, მოირგო ტექნიკური აღჭურვილობა. იგი მოხერხებულად, მარჯვედ მოთავსდა ტექნიკურ გარემოში, სამაგიეროდ დაკარგა ბუნების „მადლი“.

7. ახალგაზრდობაში **მარქსმა** ჩამოაყალიბა 11 თეზისი **ფოიერბახის** შესახებ, სადაც მოცემულია მისი აზროვნების ფილოსოფიური განვითარების გეგმა. მერე **მარქსმა** პოზიციის შეიცვალა და თავისი გეგმაც არ განუხორციელებია. მეთერთმეტე თეზისში ის ამბობს, რომ „დღემდე ფილოსოფოსები მხოლოდ განმარტავდნენ ქვეყნიერებას, მთავარი კი მისი შეცვლაა“.

როგორც ვხედავთ, **ჰაიდგერი** არ იზიარებს ახალგაზრდა **მარქსის** ამ „მცნებას“. ის ამბობს, რომ ქვეყნიერებას ვერ შეცვლი მისი განმარტების გარეშე.

8. ბუნებისა და ისტორიის მოვლენათა განვითარების ჰეგელიანურ და მარქსისტულ გაგებას **ჰაიდგერი** ფატალიზმსა და დეტერმინიზმს უწოდებს და არ ეთანხმება. წარსულსა და მომავალს შორის არაა აუცილებელი კავშირები. აუცილებლობა მხოლოდ ფორმულებშია, მაგრამ არა დროში.

სიტყვაზე, გუშინდელ დღესა და დღევანდელ დღეს შორის აუცილებელი კავშირი კი არაა, არამედ დროითი კავშირი; ისინი დროში მეზობლობენ. **ჰაიდგერმა** აუცილებლობისადმი, კანონებისადმი რაციონალურ რწმენაზე მაღლა დროის საიდუმლო განცდა დააყენა.

9. „პლანეტარული ტექნიკის ერა“ **ჰაიდგერის** ტერმინია. ასეთ ერად გერმანელ ფილოსოფოსს მიაჩნდა არა წარსული, ან თუნდაც აწმყო, არამედ მომავალი. აი ამ აზრ-გაგებით ამბობს ის, რომ მომავალია მთავარი. ხოლო ამ ერის ფუძის ჩამყრელად მას **დეკარტი** მიაჩნია, ვინც ბუნება გაიგო „მანქანად“ და მათემატიკური აზროვნება — შემეცნების უმაღლეს სახეობად.

10. იგულისხმება: ტექნიკის შეფასება კი არაა მთავარი, არამედ — მისი შემეცნება. ტექნიკის ძაგება ან მისით აღტაცება მხოლოდ ხელს უშლის მის შემეცნებას.

11. საგნის შესახებ „კითხვის დასმა“ ნიშნავს ამ საგნის არსებობაში შეეჭვებას და მისი საფუძ-

ვლების მოძიებას. აქ მთავარი სიახლე მაინც ისაა, რომ „საგნის საფუძვლები“ ჩვენთვის ახრი აღმორჩნდება და მისი შეცვლით ჩვენ ვცვლით თვითონ საგანს.

**ჰაიდეგერი** ამას უწოდებს ახალი გზის გაჭრას. ის, რასაც რეალობა ეწოდება და რის მორჩილებასაც **ჰეგელი** ასწავლიდა, მხოლოდ ერთერთი გზაა მოვლენათა განვითარებისა. შეიძლება რეალობა სულ სხვაგვარი ყოფილიყო. „კითხვის დასმა“ სწორედ ახალი გზის გაყვანაა, ახალი რეალობის შექმნა.

სიტყვაზე, ჩვენ კითხვას ვსვამთ საქართველოს შესახებ. ეს ნიშნავს მისი დღევანდლობის მიზეზთა ნათელყოფას, ახალი მიზეზების შექმნის და „ახალი საქართველოს“ მიღების შესაძლებლობას.

12. თანამედროვე ტექნიკის თვითმპყრობელურ ძალას **ჰაიდეგერი**, უპირველეს ყოვლისა, იმაში ხედავს, რომ ის გვართმევს ტექნიკის „არსებითად გააზრების“ უნარს. ტექნიკის „არსებითად გააზრებით“ კი თავს დავაღწევით ტექნიკისადმი მონობას. მაგრამ ტექნიკა ისე შემოგვეხვია, რომ ვერ ვახერხებთ მისგან განაპირებას და რაღაც მანძილიდან შეხედვას, გონს მოსვლას, „არსებითად გააზრებას“.

საინტერესოა შედარებაც ხელოვნებასა და ესთეტიკასთან. ესთეტიკა ხელოვნების ქმნილების ტექნიკური ანალიზია; ესე იგი, ისიც ტექნიკის ნაწილია და ხელს გვიშლის ხელოვნების აღქმამდე.

13. გერმანელი პოეტი **ჰოლდერლინი** ჰაიდეგერის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. მისი ფრაზების განმარტება ფილოსოფოსის საგანგებო მეთოდად იქცა.

ჰაიდეგერი **ჰოლდერლინის** „მწიერი ეპოქის“ პოეტიად თვლიდა; ეპოქისა, როცა სინამდვილე რაციონალურ გამოსახულებათა გროვად გადაიქცა და სიტყვას, გრძობად შემეცნებას აღსასრულის ჟამი დაუდგა. გერმანელი პოეტი ამ ვითარებას ღრმად განიცდიდა და ცდილობდა სიტყვის საიდუმლოების, გრძობადი შემეცნების ბერძნული კულტურის გადარჩენას. ამით მიიპყრო მან **ჰაიდეგერის** ყურადღება.

14. თანამედროვე ეპოქას **ჰაიდეგერი** განსაკუთრებული მნიშვნელობის ეპოქად მიიჩნევდა და ამ განსაკუთრებულობის დასტურად **ნიცშეს** აღნიშნული ფრაზა მოჰყავდა. ამ ფრაზაში „ჭეშმარიტება“ გაგებულია ქრისტიანული მნიშვნელობით — ვითარცა მოყვასისადმი სიყვარული და თანაგრძობა. თანამედროვე ეპოქის დედაარსს **ნიცშე** ხედავდა ამ ქრისტიანული ჭეშმარიტების უარყოფაში — ადამიანი სწავლობს უღმერთოდ ცხოვრებას და იქცევა ზეკაცად. მიმდინარეობს „ადამიანის გადალახვის“, „ზეკაცად“ მისი ქცევის ისტორიული პროცესი.

ამ პროცესისთვის მზარდაჭერა **ნიცშეს** მიანდა უაღრესად სარისკო გადაწყვეტილებად, ცეცხლთან თამაშად, რომელშიც შეიძლება კაცობრიობა დაიღუპოს. მაგრამ ის ანტიკური ტრაგედიის გმირვით ეგებება განსაცდელს, წინ

არ აღუდგება ბედისწერას.

15. **ჰაიდეგერის** მორიგი სკანდალური პარადოქსი! ბერძნული ფილოსოფიის გარიჟრაჟიდან მომდინარეობს მეცნიერების გაგება უმაღლეს აზროვნებად. **ჰაიდეგერი** კი მეცნიერებასა და აზროვნებას ერთმანეთისგან წყვეტს — „მეცნიერება არ აზროვნებს!“.

გერმანელი ფილოსოფოსი იმას გულისხმობს, რომ მეცნიერების ანტიკური გაგება ძირფესვიანად შეიცვალა დასავლურ კულტურაში. საბერძნეთში „მეცნიერება აზროვნებდა“, რადგან ის იყო არსებობის საფუძვლების შემეცნება, „თავისუფალი ჭვრეტა“. ახალ დროში კი მეცნიერებამ უარი თქვა ამ დიდ ამოცანაზე, ჭეშმარიტების შემეცნებაზე, და გეზი აიღო სარგებლიანობისკენ, იქცა ბუნების დაპყრობის ტექნიკურ ინსტრუმენტად. **ჰაიდეგერი** პარადოქსულად შენიშნავს: ამით მეცნიერებამ უარი თქვა აზროვნებაზე, სამაგიეროდ დაადგა კვლევისა და წინსვლის გზას.

16. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს არც ისე ახალი აზრია. ოცდაექვსი საუკუნის წინათ ჩინელი ბრძენი **ლაო-ძი** ჰქადაგებდა, რომ ყველა უბედურების სათავე მოქმედებითობაა. ადამიანმა აღვირი უნდა ამოსდოს მოქმედებითობის დემონს და აზროვნებით დაინთქას საკუთარი ცნობიერების ნიაღში.

დიახ, ეს არაა ახალი აზრი, მაგრამ მოქმედებითობის კვიატით შეპყრობილ დასავლურ ცივილიზაციას იგი სრულიად უცხოდ მოეჩვენა.

17. აქაც მეორდება ფილოსოფიისა და ფილოსოფოსის „არათანადროულობის“ ზემოხსენებული მოტივი. ფილოსოფოსი არასოდეს არ ეკუთვნის ანმყოს; ოღონდ არა იმიტომ, რომ „შორეული მომავლის“ მკვიდრია. შორეულ მომავალს არავითარი უპირატესობა არა აქვს შორეული წარსულის მიმართ — შორეული მომავალი შორეული წარსულის განმეორებაა. ფილოსოფოსი არ ეკუთვნის ანმყოს ერთადერთი მიზეზით — ის ეკუთვნის „მარადისობას“. ცალკე განმარტების საგანია ის, რომ მარადისობა **ჰაიდეგერს** ესმის მითოსურად — დროსთან შინაგან კავშირში. არა პლატონურად, ან ჰეგელივით — დროისგან დამოუკიდებელ საგნად.

დროში გახვეულ ამ „მარადისობას“ **ჰაიდეგერი** „ყოფნას“ უწოდებს. ესაა არსებობის უპირველესი და უღრმესი მდგომარეობა, როცა სუბიექტი და ობიექტი ჯერ კიდევ არ დაპირისპირებია ერთმანეთს. „ღმერთები“ და „ღმერთი“ მხოლოდ მოგვიანო მოვლენებია. ისინი ადამიანის განვითარებისა და დაცემის მაუწყებელია. ამ აზრ-გაგებით, ნებისმიერი განვითარება დაცემაცაა, რაიც ღერძია ადამიანის ცხოვრების პარადოქსისა.

18. აქ აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ორი რამე: სხვისი აზრების გამოყენება და სხვისი აზრების მოპარვა.

ყველა მოაზროვნე იყენებს სხვის აზრებს. ეს აზრები აღვიძებს მის გონებას, ფანტაზიას და უბიძგებს ახალი აზრისკენ. ეს ახალი აზრი, ნაწ-

ილობრივ, სხვისი გამეორებაცაა. ამ აზრ-გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი შემოქმედება ძველის თავისებური განმეორებაა: „არადებარია ახალი ცისქვეშეთში“.

ამ კანონზომიერების აღიარება უჭირთ შემოქმედ ადამიანებს. ისინი საგანგებოდ გახაზავენ ხოლმე თავიანთ განსხვავებას სხვებისგან და ჩრდილში ტოვებენ მსგავსებას. ეს მათს ადამიანურ სისუსტეებს უნდა მივანეროთ.

არადა სულაც არაა საჭირო სხვებთან მსგავსების უარყოფა, რადგან ეს მსგავსება არ ნიშნავს სხვისი აზრების მოპარვას და საკუთარი ინდივიდუალობის დამცირებას. საკუთარ აზრად უნდა ჩაითვალოს არა ის აზრი, რომელიც მანამდე არავის უთქვამს, არამედ სხვანაირად და დამაჯერებლად გამოთქმული აზრი.

მოპარული აზრი სხვაა: ის გადმოტანილია ისევე, როგორც გამოთქმულია სხვის მიერ, და მითვისებულია.

19. ყველაფერი, რაც **ჰაიდეგერს** უკავშირდება, პარადოქსითაა სახსე. ერთერთი ისაა, რომ ეს ყველაზე ბუნდოვანი ფილოსოფოსი ყველაზე პოპულარული გახდა სიცოცხლეშივე. ნესით, მისი დრო გვიან უნდა დამდგარიყო. ჩარლ **ჩაპლინი** ხუმრობდა, რომ **აინშტაინს** ტაშს უკრავენ მისი გაუგებრობის გამო. **ჰაიდეგერის** შემთხვევაშიც ზუსტად იგივე ვითარება გვაქვს.

20. ჰერბერტ **მარკუზე** (1898—1979) — აშშ-ში მოღვაწე გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, **ჰაიდეგერის** მოწაფე ფრანკფურტში. განიცადა **ჰაიდეგერის**, ჰეგელის, მარქსისა და ფროიდის გავლენები. ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ადამიანი გახდა „ერთგანზომილებიანი“, ანუ გარედან მართვადი, რის გამოც მან დაკარგა მოვლენათა კრიტიკული შეფასების უნარი.

შეიძლება ვთქვათ: **მარკუზემ** სოციოლოგიური გემოვნებით გაშალა **ჰაიდეგერის** მეთაური აზრები თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის შესახებ. მაგალითად, იდეა, რომ თანამედროვე ადამიანი ჩაითრია და დათრგუნა მის მიერვე შექმნილმა ტექნიკამ, გამოიყურება **ჰაიდეგერის** აზრის გაშლად. უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ტოტალიტარიზმი ტექნიკის აღვირახსნილი ბატონობაა ადამიანზე; რომ ადამიანი დაექვემდებარა მისივე ფაბრიკაციების უგუნურ ლოგიკას.

21. **ჰაიდეგერი** ეკუთვნის იმ მოაზროვნეებს, ვინც აპირისპირებენ ახალგაზრდა მარქსს და მონიფულ მარქსს. ახალგაზრდა მარქსის ყურადღების მთავარი საგანი ადამიანია; მონიფულ მარქსს კი აღარ სწამს ადამიანისა და იგი „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანსამბლად“ ესმის. ამიტომ მისი ინტერესის საგანიც საზოგადოებაა.

**ჰაიდეგერის** განსაკუთრებულ სიმპათიებს ახალგაზრდა მარქსი იმსახურებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ეს ორი მოაზროვნე არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ახალგაზრდა მარქსს ქვეყნიერება ადამიანის ასპარეზად ეს-

მის, **ჰაიდეგერს** კი ადამიანზე მაღლა „ყოფნა“ ეგულება.

22. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ **ჰაიდეგერს** „სოციალიზმი“ და „ამერიკანიზმი“ ერთი რიგის მოვლენებად მიაჩნია — ისინი „პლანეტარული ეპოქის“ ეგზემპლარებია. მაგრამ „ამერიკანიზმი“ უფრო ძლიერად გამოხატავს ტექნიკის აღვირახსნილ ბატონობას ადამიანზე, ვიდრე „სოციალიზმი“. ამიტომ „პლანეტარული ტექნიკის ეპოქის“ დასასრული, უპირველეს ყოვლისა, „ამერიკანიზმის“ დასასრული იქნება. „სოციალიზმი“ კი უფრო გამონახავს საერთო ენას მომავალთან.

23. ჟან-პოლ **სარტრი** (1905-1980) — ფრანგული ეგზისტენციალიზმის ყველაზე აღიარებული წარმომადგენელი. განიცადა **ჰაიდეგერის** გავლენა. უკანასკნელის აზრი, რომ ადამიანი თავისივე შესაძლებლობაა, სარტრმა სახელმძღვანელო დებულებად აიღო და ადამიანი ამ შესაძლებლობიდან თავისი თავის შემქმნელად გაიგო. **ჰაიდეგერი** აპროტესტებს: ადამიანი რჩება შესაძლებლობად და მას არ ძალუძს თვითონ შექმნას საკუთარი თავი.

24. მშვენიერი მეტაფორა: „აზრს რამდენადმე მარტოობა უყვარს; როცა გადახვევას მოუნდომებ, გაგირბის!“. ეს ნიშნავს, რომ არცერთი დიდი აზრი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ის მეტია, ვიდრე ჩანს. აზრი არ არის გამოსახულების გარეშე, მაგრამ ვერ ეტევა მასში. ასევე ვერ ეტევა მუსიკა ნოტებში. ამიტომ აზრი ღრმად სიმბოლურია და მითოსში უფრო ლაღად სუნთქავს, ვიდრე რაციონალურ აზვარში.

25. **ჰაიდეგერს** სწყინს, როცა მის ამა თუ იმ ისტორიულ ნაბიჯს, ვთქვათ, ნაცისტებთან თანამშრომლობას შეახსენებენ. ფილოსოფოსს ალემატება მისივე ფილოსოფია. ფილოსოფოსი შეიძლება ორგანიზაციაში აღმოჩნდეს, მაგრამ მისი ფილოსოფია ორგანიზაციაში ვერ მოექცევა. ამიტომ ფილოსოფოსი უნდა შეფასდეს არა მისი ბიოგრაფიული ქრონიკებით, არამედ გამოთქმული აზრებით. ამის დასტურად **ჰაიდეგერი** იმონებდა ხოლმე პოლ **ვალერის** მშვენიერ ფრაზას: „როცა ვერაფერს აკლებენ აზრს, ებრძვიან მოაზროვნეს“.

26. **ჰაიდეგერი** განავითარებს ზემოხსენებულ მრწამსს — აზრი იღუმალია და არ ექვემდებარება გარკვეულობას, ერთმნიშვნელოვან გამოსახვას. ამის საილუსტრაციოდ ზღვრულ შემთხვევას იღებს: თვითონ **ჰაიდეგერიც** კი ვერ გამოხატავს **ჰაიდეგერის** აზრს! აი ამ აზრით არ არსებობს **ჰაიდეგერის** ფილოსოფია. ხოლო **ჰაიდეგერს** ყველაზე კარგად ის გაიგებს, ვინც **ჰაიდეგერს** არ დაეთანხმება.

ამაზე დიდი „დაოისტური თავმდაბლობა“ თუ „ფილოსოფიური ლიბერალიზმი“ ძნელი წარმოსადგენია. ფილოსოფიაში მუდამ დევს „ლიბერალიზმი“ და **ჰაიდეგერი** მშვიდად ემორჩილება მას.

27. **ჰაიდგერი** გადაჭრით ეწინააღმდეგება „ფილოლოგიზმებს“ ანუ, როგორც **ნიცშე** უწოდებდა, „ალექსანდრიულ სულისკვეთებას“ ფილოსოფიაში. „ფილოლოგიზმი“, „ალექსანდრიული სულისკვეთება“ ნაწილებად შლის ცოცხალ აზრს და ამით ამკვიდრებს შეხედულებას, თითქოს აზრი ამ ნაწილებისგანაა შემდგარი. ეს აზროვნების მკვლევლობაა. ყველგან და ყველაფერში მთავარია ის, რაც ნაწილებად აღარ დაიშლება და ნაწილებიდან ვერ ააწყობ. ამ აზრით, **ჰაიდგერი** უარყოფს „რაციონალიზმს“ და ინტუიციის, უშუალო წვდომის მომხრეა „შემეცნების თეორიაში“.

28. თავის პირველ ფუნდამენტურ თხზულებაში „ყოფნა და დრო“ **ჰაიდგერი** ცდილობდა „ყოფნა“ გაეგო „დროის“ საშუალებით. სიტყვაზე, საკითხი „რა არის საგანი“ უნდა გადაწყდეს ამ კითხვის საზრისის გაგებით. ეს წმინდა ფენომენოლოგიური გზაა.

ცოტა მოგვიანებით, ნაშრომში „ჭეშმარიტების არსისთვის“ **ჰაიდგერის** მიდგომა იცვლება. პირიქით, „დრო“ უნდა გავიგოთ „ყოფნიდან“. კერძოდ, ადამიანი უნდა გავიგოთ მასზე მალა მდგომი საიდუმლოდან. **ჰაიდგერი** თავს ანებებს „სისტემურ“ აზროვნებას და ცდილობს დიდი პოეტური ფრაზების განმარტებით გაიკაფოს გზა სინამდვილისკენ.

**ჰაიდგერი** ეწინააღმდეგება ამ ორი გზის დაპირისპირებას ერთმანეთთან და ამბობს, რომ პირველი გზა შეიცავდა და ამზადებდა მეორეს.

29. **ჰაიდგერი** აღნიშნავს თანამედროვე საუნივერსიტეტო კრიზისს დასავლურ კულტურაში და ცდილობს დაუპირისპიროს მას „სოკრატული დიალოგების“ ერთგვარი აღორძინებას. დასავლური ცივილიზაცია და მისი უნივერსიტეტები მიეჯაჭვრენ მოვლენათა ზედაპირს და ცდილობენ გონების განვრთნას გამოთვლის, აღრიცხვის, სტატისტიკის მიმართულებით. ამით ხელი ეწყობა კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას, რადგან ყოველი კრიზისი აზროვნების დავინწყებიდან მომდინარეობს. ადამიანი უნდა გამოვიდეს სტატისტიკის მტვრიდან და შეისუნთქოს აზროვნების სუფთა ჰაერი. მან უნდა ისწავლოს აზროვნება.

მაგრამ ზედაპირზე მიბმულ ცნობიერებას აზროვნება „აბსტრაქციებში ჩაძირვად“ ეჩვენება. ეს ადამიანის დაცემაა, რაც **პლატონმა** შთამბეჭდავად დახატა „გამოქვაბულის მითში“. **პლატონის** გარჩევისას **ჰაიდგერი** ვრცლად განმარ-

ტავს ამ მითის საკაცობრიო მნიშვნელობასა და შინაარსს.

30. **ჰაიდგერი** გამოირჩევა სიტყვისადმი განსაკუთრებული მგრძობიარობით. მას აფრთხობს გაცვეთილი სიტყვები და ვერ ბედავს მათ გამოყენებას ახალი აზრების გამოსახატავად. შეიძლება გაგვახსენდეს **ქრისტეს** სიტყვები: ახალი ღვინო ძველ ტიკებს დახეთქავს!

დიახ, **ჰაიდგერი** ერიდება სიტყვებს „ჭეშმარიტება და მცდარობა“ და ხშირად მათ ნაცვლად მოიხმარს სიტყვებს „ღრმა და ზედაპირული“. აი ეს ცვლილება ჰქმნის პარადოქსს: „ვინც ღრმად აზროვნებს, ღრმადაც ცდება“. მთავარია ღრმად იაზროვნო. ასეთ შემთხვევაში „შეცდომა“ ისევე ღირებულია, როგორც „ჭეშმარიტება“. სინამდვილეში მათ შორის განსხვავება პირობითია. ისინი ერთი და იგივეა.

31. საუბარია ზემოხსენებულ კაზუსზე: **ჰაიდგერი** მიემხრო ნაცისტურ რეჟიმს და იკისრა ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორობა ნაცისტების ხელდასხმით. ათ თვეში იგი გადადგა რექტორობიდან, მაგრამ არაკეთილმოსურნეებმა ხელზე დაიხვიეს ეს შემთხვევა — რაკი აზრს ვერაფერი დააკლეს, მოაზროვნეს დაესხნენ თავზე.

ფილოსოფოსი ნანყენია თანამემამულეებზე, ხოლო მადლობას გამოთქვამს ფრანგების მისამართით. მათ მეტი გულისხმიერება და დიდსულოვნება გამოიჩინეს ამ შემთხვევაში.

32. **ჰაიდგერის** ფილოსოფიას ხშირად ამსგავსებენ აღმოსავლურ აზროვნებას. გულისხმობენ ამ ფილოსოფოსის განდგომას დასავლური „სუბიექტივიზმისგან“ ანუ სუბიექტის აქტივობის პრინციპისგან და აზროვნების რაციონალური სტილისგან; შესაბამისად — უპირატესობის მინიჭებას უქმობისა და ჭვრეტისთვის, აგრეთვე — აზროვნების ფრაგმენტული და პოეტური სტილისთვის.

33. **ჰაიდგერს** ფილოსოფიად მიაჩნია ეპოქაზე მალა მდგომი აზროვნება. ხოლო თუ აზროვნება ეპოქის ნაწილია, მას არ ძალუძს ამ ეპოქის მიუკერძოებელი შემეცნება და შეფასება. ამიტომ ის არც ჩაითვლება ფილოსოფიად.

„ტოდტნაუბერგელი განდეგილი“ დარწმუნებული იყო, რომ თითქმის მთელი თანამედროვე ფილოსოფია, ძირითადად, „პლანეტარული ტექნიკის“ ინსტრუმენტად რჩება და ამიტომ არცაა ყურადღების ღირსი.





დიმიტრი სერგეის ძე ლიხაჩოვი (1906-1999). აკადემიკოსი. ძველი რუსული ლიტერატურის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სანქტ-პეტერბურგში.

დიმიტრი ლიხაჩოვის ფუნდამენტური შრომები ძირითადად რუსული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებს ეხება, თუმცა მისი ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა, ხატუნერიდან მოყოლებული საბალო-დეკორატიული ხელოვნებით დამთავრებული.

მისი მთავარი შრომებია: „X-XVII საუკუნეების რუსული ლიტერატურის განვითარება. ეპოქა და სტილი“, „ძველი რუსული ლიტერატურის პოეტიკა“, „ადამიანი ძველ რუსულ ლიტერატურაში“, „ანდრეი რუბლიოვისა და ეპიფანე ბრძენის დროინდელი რუსული კულტურა“, „ტექსტოლოგია“.

დიმიტრი ლიხაჩოვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან. მისი ინიციატივით არაერთხელ გამართულა ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები როგორც თბილისში, ისე პეტერბურგში.

## დიმიტრი ლიხაჩოვი

# შენიშვნები რუსულ ხასიათზე

თარგმნა **ანდრო ბუაჩიკაძე**

ძალზე ბევრი იწერება ჩვენში ჩვენს ფესვებზე, რუსული კულტურის ფესვებზე, მაგრამ ძალზე ცოტა კეთდება საიმი-სოდ, რათა მკითხველს საფუძვლიანად მოვუთხროთ ამ ფესვებზე. ჩვენი ფესვები მხოლოდ რუსული ლიტერატურა და რუსული ფოლკლორი კი არაა, არამედ მთელი მეზობელი კულტურაც. რუსეთს, როგორც უზარმაზარ ხეს, ღრმად განტოტვილი ფესვთა სისტემა და ფართოდ განვდილი, სხვა ხეებში ჩახლართული ვარჯები გააჩნია. ჩვენ ჩვენსავე თავზე სულ უზრალო რაღაცეებიც კი არ ვიცით და არც ვფიქრობთ ამ უზრალო რაღაცეებზე.

მე სხვადასხვაგვარ შენიშვნებს მოვუყარე თავი, ეს შენიშვნები სხვადასხვა საბაბით გავაკეთე, თუმცა კი ყველას საერთო თემა უდევს საფუძვლად — რუსული ხასიათი. ჰოდა, გადავწყვიტე, მკითხველისთვის შემეთავაზებინა. ბუნებრივია, რადგან შენიშვნები სხვადასხვა მიზეზით გაკეთდა, მათი ხასიათიც განსხვავებული იქნება. თავდაპირველად ვიფიქრე, ამ ჩანაწერებს გარკვეულ კომპოზიციურ და სტილისტიკურ სიმწყობრეს მივანიჭებ-მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე ისევე დამეტოვებინა, როგორც იყო, აუნყობელი და დაუმთავრებელი. ჩემი შენიშვნების აუნყობლობა დასტურია იმ მიზეზთა შემ-

თხვევითობისა, რომლებმაც კალამი ამა-ლებინა ხელში: ხან წერილებზე პასუხის გაცემა მიხდებოდა, ხან წიგნის მინდვრებზე მივანერდი რამეს, ხან ნაკითხული ხელნაწერების გამო მიგროვდებოდა შთაბეჭდილებები, ხან კიდევ უზრალო წიგნაკში ვინიშნავდი რაღაც-რაღაცებს. შენიშვნები შენიშვნებადვე უნდა დარჩეს: მაშინ ისინი ნაკლებად პრეტენზიული იქნება. რუსულ ხასიათზე ძალზე ბევრი შეიძლება დაინეროს, და ამ თემას მაინც ვერ ამოწურავ.

ყოველივე, რასაც კი აქ ვწერ, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგი კი არ არის — „ჩუმი პოლემიკაა“, პოლემიკა ჩვენში და დასავლეთშიც ძალზე გავრცელებულ შეხედულებასთან. ამ შეხედულებების თანახმად, რუსული ეროვნული ხასიათი უკიდურესია და უკომპრომისო, იდუმალებით მოსილი და ყველაფერში შესაძლებლის და შეუძლებლის ზღვრამდე დასული (არსებითად, სიკეთეს მოკლებული). პოლემიკაშიც დასაბუთებაა საჭიროო, მეტყვეობა თქვენ, მაგრამ განა ამჟამად დასავლეთში და, ნაწილობრივ, ჩვენში რუსულ ეროვნულ ხასიათზე, რუსული კულტურის ეროვნულ თავისებურებებზე და, კერძოდ, ლიტერატურაზე გავრცელებული შეხედულება დასაბუთე-

ბულია ვინმეს მიერ?

ჩემი შეხედულება რუსულ ხასიათზე ძველი რუსული ლიტერატურის კვლევის საფუძველზეა აღმოცენებული (თუმცა არა მარტო ამაზე) და ვფიქრობ, უფრო სარწმუნოა. რა თქმა უნდა, მე აქ მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩემს შეხედულებებს შევეხები, რათა უკუვაგდო ის მოარული თვალსაზრისი, თავისებურ „ისლანდიურ ხავსად“ რომ იქცა. ამგვარი ხავსი შემოდგომობით წყდება თავის ფესვებს და ტყეში „ხეტილობს“, ფეხით გათელილი, წვიმებისგან გადარეცხილი და ქარისგან დაძრული.

ეროვნული სიმდიდრე უზღვავია, და არ არის გასაკვირი, რომ თითოეული ადამიანი თავისებურად აღიქვამს ყოველგვარ ეროვნულს. ჩემს შენიშვნებში რუსულ ხასიათზე მეც ყოველივე იმის ჩემეულ აღქმაზე ვლაპარაკობ, რასაც შეიძლება ეწოდოს რუსული — ხალხის ხასიათში, ბუნების ხასიათში.

ყოველი ინდივიდუალური აღქმა ეროვნულისა კი არ ეწინააღმდეგება ამავე ეროვნულის აღქმას სხვათა მიერ, პირიქით, ავსებს და აღრმავებს მას. ეროვნულის არც ერთი ამგვარი პირადული აღქმა არ შეიძლება იყოს ამომწურავი, არც უცილობელი და არც იმ პრეტენზიის მქონე, რომ ეროვნული ხასიათის ყველაზე არსებითი ნიშანი გაითავისა. დე, ყოველგვარი რუსულის ჩემეული აღქმაც ნუ ამოწურავს ყოველივე იმას, რაც რუსული ხასიათის თავიდათავია. ამ შენიშვნებში მე იმაზე ვლაპარაკობ, რაც პირადად ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია.

მკითხველს შეუძლია შემეკითხოს: რატომღა ვთვლი ჩემს შენიშვნებს რუსული ხასიათის თაობაზე ყურადღების ღირსად, თუკი თავადვე სუბიექტურად ვალიარებ მათ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყოველგვარ სუბიექტურში ობიექტურის ნილიც არის და მეორეც იმიტომ, რომ მე ჩემი დღე და მოსწრება რუსულ ლიტერატურას (განსაკუთრებით კი ძველს) და რუსულ ფოლკლორს ვსწავლობ. ამგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება კი ალბათ გარკვეული ყურადღების ღირსია.

### ბუნება და სიკეთე

ამ რამდენიმე დღის წინ კომაროვოში,

ჩემთან, საფრანგეთიდან ახალგაზრდა მთარგმნელი ქალი ჩამოვიდა. ის თარგმნის ჩემს ორ წიგნს — „ძველი რუსული ლიტერატურის პოეტიკა“ და „რუსული ლიტერატურის განვითარება X-XII საუკ“. ბუნებრივია, ფრანსუაზა საგონებელში ჩააგდო ძველრუსული ტექსტებიდან და ფოლკლორული მასალებიდან ამოღებულმა ციტატებმა. არსებობს, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი დაბრკოლებები — როგორ უნდა გადმოვცეთ რუსული ენისათვის ნიშნეული ელფერი, კნინობითობათა ნაირსახეობა და საერთოდ გრძნობათა მთელი ის ყლერადობა, რომელიც ასე მშვენივრადაა ასახული რუსულ ფოლკლორში გარესამყაროსადმი, ადამიანებისა და ბუნებისადმი მიმართებაში? განსაკუთრებით ერთი ადგილის ამოკითხვა გაუძნელდა მთარგმნელ ქალს. არინა ფედოროვა თავის ერთ-ერთ მოთქმა-გოდებაში ამბობს, ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ გავთხოვდიო:

Я, опять, горе-бедна, кинулась,  
за друга сына да за отцовского...

ფრანსუაზამ მკითხა: „რას ნიშნავს ეს, ვის გაჰყვა ცოლად ეს ქალი: თავის ქმრის ძმას? ყოფილი მამამთილის სხვა ვაჟიშვილს?“ მე ვუპასუხე: „არამც და არამც, უბრალოდ არსებობს ამგვარი გამოთქმა, ფედოროვას უნდა თქვას, რომ მის მეორე ქმარსაც ჰყავდა მამა“. ფრანსუაზა კიდევ უფრო გაოცდა: „მაგრამ განა არსებობს ადამიანი, ვისაც არ ჰყოლია ან არ ჰყავს მამა?“ მე ვეუბნები: „არა, რა თქმა უნდა, მაგრამ როცა გინდა ადამიანი გაიხსენო და მიეალერსო, უნებლიეთ ის გახსენდება, რომ ამ ადამიანსაც ჰყავდა თვისტომნი — შვილები, ძმები, დები, ცოლი, მშობლები. ზამთარში მე ვნახე, როგორ გაიტანა სატვირთო მანქანამ ერთი კაცი. ამ ამბის მომსწრენი გარდაცვლილზე კი არ ლაპარაკობდნენ, იმას ამბობდნენ, ვინ იცის, შინ შვილები, ცოლი, ანდა მოხუცი დარჩაო ვინმე... ისინი ებრალებოდათ. ეს ძალზე რუსული თვისებაა. ჩვენში ალერსსაც ხშირად ამგვარი სიტყვებით გამოხატავენ: **родненький, родименький, сынок, бабушка...** ფრანსუაზა წამოენთო: „აი, თურმე რა ყოფილა! მე ქუჩაში ერთ ხანდაზმულ ქალს ვკითხე, როგორ ვიპოვო ესა და ეს

ქუჩა-მეთქი, მან კი, შვილოო, მითხრა“, „ასეცაა, მას სურდა ალერსიანად მოემართა თქვენთვის“. „მაშასადამე, ამ ქალს იმის თქმა სურდა, რომ შეიძლებოდა მე მისი შვილი ვყოფილიყავი, არა? მაგრამ ნუთუ ვერ შემატყო, უცხოელი რომ ვიყავი?“ მე გამეცინა: „რა თქმა უნდა, შეგატყოთ და სწორედ ამიტომაც მოგმართათ, შვილოო, უცხოოდ რომ არ გეგრძნოთ თავი ამ ქალაქში“. „ახ!“ დაინტერესდა ფრანსუაზა. მე განვაგრძე: „თუკი თქვენ უცხოელი ბრძანდებით, მაშასადამე, მართო ხართ ლენინგრადში. ხანშიშესულმა ქალმა შვილი რომ გინოდათ, ამით ის კი არ გითხრათ, შვილი ხარო ჩემი. მან იმიტომ მოგმართათ ასე, რომ თქვენ გყავთ, ან გყავდათ დედა. სწორედ ამით გამოხატა სიყვარული თქვენს მიმართ“. „რა წმინდა რუსული ხასიათია!“.

შემდეგ საუბარი ჩამოვარდა იმაზე, თუ რუსულ პოეზიასა და ლიტერატურაში სად და როდის არის გამოხატული ალერსი ადამიანის მიმართ მისსავე თვისტომთა გამო. აი, მაგალითად: «Повесть о Горе Злочастии» ამ ნაწარმოებში გამოხატულია უზომო ალერსი მთავარი გმირისადმი. ეს გმირი ერთი თავაშვებული ჭაბუკია, მისი თავგადასავლის თხრობა კი იმით იწყება, რომ ჭაბუკს ჰყავდა მშობლები, რომლებიც სათუთად ზრდიდნენ, ანებივრებდნენ და ცხოვრებას „ასწავლიდნენ“ მას. მერე კი, როცა ამ ნაწარმოებში ჭაბუკს გასაჭირი დაადგება, მღერის.

სიმღერაში ჭაბუკი თავის სილამაზესთან ერთად დედასაც იხსენებს. იგონებს იმას, თუ როგორ უცქერდა დედა.

ფრანსუაზამ გაიხსენა, რომ მის მშობლიურ ბეზანსონში ჩეხოვის „სამი და“ დადგეს და ფრანგებს ძალიან მოეწონათ ეს პიესა, აქაც ხომ სამ დაზეა ლაპარაკი და არა სამ მეგობარ ქალზე. მთავარი გმირები რომ დები არიან, ეს ამბავი ძალზე სჭირდება რუს მაყურებელს, სჭირდება, რათა თანაუგრძნოს მათ, სიმპათიით განიმსჭვალოს მათ მიმართ. ჩეხოვი შესანიშნავად მიხვდა რუსი მკითხველისა და მაყურებლის ამ თვისებას.

და მერეც ვიხსენებდით, რამდენ სიტყვას აქვს რუსულ ენაში ფუძე „род“: родной, родник, родинка, народ. ეს სიტყვები ერთმანეთის გვერდით თითქოს თავადვე იუღლებს.

ვადვე იუღლებს.

## სივრცეები

რუსი ხალხისათვის ბუნება ყოველთვის იყო თავისუფლება, სილამაზე, შეუზღუდველობა. ისევ ენას მივუბრუნდეთ: **погулять, выйти на воле. Воля** — ეს ხვალისდელი დღის საზრუნავისაგან თავდახსნაა, უზრუნველობაა, აწმყოთი ტკბობა და ნეტარებაა.

თვალუწვდენი სივრცეები ყოველთვის იპყრობდა რუსი კაცის გულს. ბუნების ამგვარი გრძნობა იმ ცნებებად და წარმოდგენებად ჩამოყალიბდა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაში არსებობს. რით განსხვავდება, ვთქვათ, ერთმანეთისაგან ცნებები «**воля**» და «**свобода**»? იმით, რომ **воля вольная** იგივე თავისუფლებაა, მხოლოდ გაშლილ სივრცესთან შერწყმული. ნუხილის ცნება კი სივინროვის ცნებასთანაა მჭიდრო კავშირში, სივინროვეს მუდამ სივრცეს მონყვეტილი კაცი განიცდის. შეავინროვო ადამიანი, ეს იმას ნიშნავს, სივრცე წაართვა მას.

**Воля вольная!** ამგვარ თავისუფლებას (ხანდახან ცხენებთან ერთად) ჭაპანის გამწვევი ბურღაკებიც კი გრძნობდნენ. მიათრევდნენ თოკს ვინრო მდინარისპირა ბილიკზე, გარშემო კი უზარმაზარი თავისუფლება იყო განფენილი. ადამიანს ბუნება სჭირდებოდა, სჭირდებოდა გაშლილი, ვეებერთელა თვალსაწიერი. ამიტომაცაა ველ-მინდვრების — „პოლიუმკო პოლეს“ — ესოდენ დიდი სიყვარული ხალხურ სიმღერაში გამოხატული. «**Воля**» — ეს უსასრულო სივრცეებია, რომელთა ნიაღშიც შეიძლება უსასრულოდ იარო, იხეტილო, მიჰყვე წყალუხვ მდინარეთა დინებას, ისუნთქო გაშლილი სანახების ჰაერი, ღრმად ჩაისუნთქო ქარი, და, საითაც გული გითქვამს, იქით გასწიო.

**Воля вольная** კარგად არის განმარტებული რუსულ ლირიკულ სიმღერებში. განსაკუთრებით კი აბრაგულ სიმღერებში, რომელთაც ქმნიდა და მღეროდა არა აბრაგი, არამედ თავისუფლებას მონყურებული გლეხი. ამ სიმღერებში გლეხი უზრუნველ ცხოვრებას შენატროდა.

ვაჟკაცობის რუსული ცნება არის სიმამაცე — **удаль**, ხოლო **удаль** ვაჟკაცო-

ბაა — ვაჟკაცობა შეჯერებული სივრცესთან, რომელიც ამ ვაჟკაცობის გამოვლენისთვისაა საჭირო. არ შეიძლება იყო ვაჟკაცი, ყოველმხრივ დაცულ ადგილას თუ ხარ მამაცურად ჩამჯდარი. სიტყვა «удалы» ძალზე ძნელად ითარგმნება სხვა ენებზე. უმოდრო ვაჟკაცობა ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში იყო გაუგებარი. გრიბოედოვი დასცინის სკალოზუბს, როცა ამ სიტყვებს ათქმევინებს: «На третье в ночь засели мы в траншею. Ему дан с бантом, мне — на шею» როგორ შეიძლება ჩასაფრდე სანგარში, სადაც თავი კუდს ვერ მოიქნევს და ამის გამო სამხედრო ჯილდოც მიიღო? ფუძე ისეთი რუსული სიტყვისა, როგორცაა «ПОДВИГ», მოძრაობას გულისხმობს: «ПО-ДВИГ» ე. ი. ის, რაც მოძრაობით არის შექმნილი, ანდა შექმნილია რაღაც უძრავის ადგილიდან დაძვრის სურვილით.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის სლავური ანტიფაშისტური კომიტეტის ფონდში დაცულია ნიკოლაი რერიხის წერილი, 1945 წლის მაის-ივნისით დათარიღებული. ამ წერილში ერთი ასეთი ადგილია: „ოქსფორდის ლექსიკონმა დააკანონა ზოგიერთი რუსული სიტყვა, რომელიც ახლა მსოფლიოშია მიღებული. ამ ლექსიკონში, მაგალითად, მოხსენებულია სიტყვები «указ» და «совет». საჭირო იყო დაემატებინათ კიდევ ერთი უთარგმნელი, მრავალმნიშვნელოვანი რუსული სიტყვა «ПОДВИГ». საოცარია, მაგრამ, ევროპულ ენებში მიახლოებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვაც კი არ იპოვება...“ და შემდეგ: საყვირთა გუგუნით ხობტაშესხმულ გმირობასაც კი არ ძალუძს გვამცნოს ის უკვდავი და ამომწურავი აზრი, რომელიც ჩადებულია რუსულ სიტყვაში «ПОДВИГ». თქვა, გმირული საქციელი, მთლად ზუსტი არ იქნება, ქველობაო — არც ეს ამონურავს მას, თავგანწირვა — მაინც არ გახლავთ იმგვარი, სრულყოფაო — ეს ცნებაც ვერ აღწევს მიზანს, მიღწევა სავსებით სხვა მნიშვნელობის მქონეა, რადგან ერთგვარ დასრულებულობას გულისხმობს, «ПОДВИГ»-ი კი უსასრულოა. ამოკრიფეთ სხვადასხვა ენებიდან გადაადგილების აღმნიშვნელი სიტყვები და დარწმუნდებით, რომ არცერთი ამათგანი არ იქნება სადაგისი მოკლე, მაგრამ ზუს-

ტი რუსული ტერმინისა «ПОДВИГ». და კიდევ: «ПОДВИГ»-ი მხოლოდ ერის ბელადთა საქმე როდია, მრავალი გმირია ირგვლივ. ისინი მუდმივად შრომობენ, სწავლობენ, მათ მიჰყავთ წინ (двигают вперед) ჭეშმარიტი კულტურა. «ПОДВИГ»-ი ნიშნავს მოძრაობას, სიმკვირცხლეს, მოთმინებას და ცოდნას, ცოდნას, ცოდნას. და თუკი უცხოურ ლექსიკონებში შეიტანეს სიტყვები «указ» და «совет», უეჭველად იქვე უნდა შეიტანონ რუსული სიტყვაც «ПОДВИГ».

შემდგომ ვნახავთ, რამდენად ღრმა იყო ნ. რერიხის დაკვირვება იმ სიტყვაზე, რომელიც რუსი ადამიანის ხასიათის იდუმალ ნიშანს გამოხატავს. მაგრამ სჯობს კვლავ მოძრაობაზე განვავრდოთ საუბარი.

მახსოვს ჩემს ბავშვობაში რუსული ცეკვა, ვოლგაზე რომ ვნახე. მტვირთავი ცეკვავედა, გამალებული იქნევედა ხელფეხს, მერე ქუდი წაიძრო და ხალხისკენ მოისროლა. თან გაჰყვიროდა: «порвусь! порвусь! Ой порвусь!» იგი ცდილობდა თავისი სხეულით, რაც შეიძლება მეტი სივრცე დაეკავებინა.

რუსულ გაბმულ ლირიკულ სიმღერაშიც არის სევდა უკიდევანო სივრცეებზე. და ეს სიმღერა უკეთ ჟღერს არა ჭერქვეშ, არამედ ველად, ღია ცის ქვეშ.

ზარის რეკა სივრცეს უნდა გასწვდნოდა, ძალზე შორს უნდა გახმაურებულიყო. და სამრეკლოში ახალ ზარს რომ ჩამოკიდებდნენ, საგანგებოდ აგზავნიდნენ ხალხს, რათა შეეტყვოთ, სადამდე აღწევსო ამ ზარის ხმა.

სწრაფი ჭენება, ქროლვა — ესეც სივრცისკენ მისწრაფებაა. ამგვარივე განსაკუთრებული დამოკიდებულება სივრცესთან შეინიშნება ბილინებშიც. მიკულა სელიანინოვიჩი გუთანს მიჰყვება მინდვრის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. სამი დღე დასჭირდა ვოლგას, რათა დასწვდნოდა მას ბუხარული ულაყებით.

სივრცის განცდაა აგრეთვე გამოხატული ბილინების დასაწყისში, სადაც რუსული ბუნების აღწერაა მოცემული, დევგმირების სურვილებშიც. მაგ., ვოლგას სურვილებში.

სივრცეებით აღფრთოვანება შეინიშნება ძველ რუსულ ლიტერატურაშიც — მაგალითად, მათიანეში, აგრეთვე ნანარმოე-

ბებში „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, „ამბავი რუსული მიწის დაღუპვისა“, „ალექსანდრე ნეველის ცხოვრებასა“ და XI-XIII საუკუნის თითქმის ყველა ნაწარმოებში. მოვლენები ან ვებებრთელა სივრცეშია გაშლილი, როგორც ეს იგორის ლაშქრობაშია, ანდა ვებებრთელა სივრცეზე ხდება და გამოძახილი აქვს შორეულ ქვეყნებშიაც, როგორც ალექსანდრე ნეველის ცხოვრებაში გახლავთ. ძველთაგანვე რუსული კულტურა ფართო სივრცეს და თავისუფლებას უდიდეს ესთეტიკურ და ეთიკურ სიკეთედ მიიჩნევდა.

### ინჰე სიკეთის თაობაზე

მე მართებულად არ მიმაჩნია ნოვგოროდის და ფსკოვის ეკლესიებზე გამოთქმული ბანალური აზრი, თითქოს ეს ეკლესიები მხოლოდ ძალითა და ძლიერებით არიან სავსენი, თითქოსდა ისინი უხემნი და ლაკონიურნი არიან თავიანთი სისადავით. საამისოდ მათი მოცულობა არ კმარა.

ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს მშენებლებმა კი არ ააგეს ეს ეკლესიები, არამედ გამოძერწეს. ამასთანავე, თვალსაჩინო, მაღლობ ადგილებზე დადგეს და გასაქანი მისცეს, რათა მდინარეთა და ტბათა სიღრმეში ჩაეხედათ, გულლიად შეგებებოდნენ წყალთა და ხმელთა ზედა მოსიარულეთ. ამ ეკლესიებს აშენებდნენ ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებით. წინასწარ არც პერგამენტზე დაუხაზავთ გეგმა და არც ქალაღზე, პირდაპირ მიწაზე გააკეთეს მონახაზი და შემდეგ მშენებლობის დროს შეიტანეს ის შესწორებანი, რომელიც გარემომ უკარნახათ.

ამ სადა, ამ ხალისიან ქმნილებებს, შეთეთრებულთ და „პატარძლებივით“ კდემამოსილთ, სრულებით არ ეწინააღმდეგება მოსკოვის ეკლესიები — აყვავებული ბუჩქებივით ჭრელი და ასიმეტრიული, ოქროსთავიანები და სალმიანები, რომლებიც თითქოსდა ხუმრობით დადგაო ვილაცამ. თითქოსდა ბებიამ გაუკეთაო ძვირფასი სათამაშო თავის შვილიშვილებს. ტყუილად როდი აქებდნენ ძველ ძეგლებში ამ ეკლესიებს, თან დასძენდნენ: „მხიარულობენო ტაძრები“. და მართლაც შესანიშნავი ამბავია: ყველა რუსული ეკლესია მხიარული საჩუქარია — ადამი-

ანებისა, საყვარელი ქუჩისა, საყვარელი სოფლისა, ტბის თუ მდინარისადმი მიძღვნილი, და როგორც ყველა სიყვარულით ნაბოძები ძღვენი, მოულოდნელია: მოულოდნელად წამოჰყოფს ხოლმე თავს ტყეში თუ ველად, მდინარის თუ გზის მოსახვევთან. XII და XVII საუკუნეების მოსკოვის ეკლესიები შემთხვევით როდი მოგვაგონებენ სათამაშოს. ეკლესიას ტყუილად კი არა აქვს თავი, კისერი, მხრები, ტერფი და „თვალეები“ — წარბებიანი ან უწარბო ფანჯრები. ეკლესია — მიკროკოსმოსია, მიკროსამყარო — ბავშვის სათამაშო სამეფო და ამ სამეფოში ადამიანს მთავარი ადგილი უჭირავს.

უზარმაზარი ტყეების გულში, დამქანცველი გზის ბოლოს მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე ხისგან ნაშენი ჩრდილოური ეკლესიები — ბუნების თვალწარმტაცი სამკაული.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ძველ რუსეთში აგრერივად უყვარდათ შეუღებავი ხე — გრილი და ფაქიზი. ქოხები დღესაც სავსეა ხის ნაკეთობებით. აქ არაფერს არ იტკენ, იქ არ შეიძლება სახლის პატრონს ან სტუმარს რომელიმე ნივთმა მოულოდნელი სიცივე აგრძნობინოს. ხე მუდამ თბილია, მას რაღაც ადამიანური გააჩნია.

ყოველივე ეს ცხოვრების სიიოლეზე კი არ მეტყველებს, იმ სიკეთეს გვიდასტურებს, რითაც ადამიანი გარემომცველ სიძნელეებს ხვდებოდა. ძველი რუსული ხელოვნება გადამლახველია ადამიანის გარემომცველი უძრობისა, გადამლახველია მანძილისა ადამიანებს შორის, ადამიანის შემრიგებელია გარესამყაროსთან. ის კეთილია.

ბაროკოს სტილი, რომელიც XVII საუკუნეში შემოიჭრა რუსეთში, თავისებურია. ეს სტილი სწორედ რუსეთში გახდა თავისებური. რუსული ბაროკო დასავლეთევროპულისაგან განსხვავებით მოკლებულია მძიმე და ღრმა ტრაგიზმს. რუსულ ბაროკოში არ იგრძნობა ინტელექტუალური ტრაგედია. ის თითქოს ზედაპირულია და მასთანავე უფრო ხალისიანი, მსუბუქი და იქნებ ოდნავ თავქარიანიც კი. რუსულმა ბაროკომ დასავლეთევროპულისაგან მხოლოდ გარეგნული ელემენტები გადმოიღო, და ეს ელემენტები ათასგვარ

ხუროთმოძღვრული გამოწვევის განსახორციელებლად გამოიყენა, რაც უჩვეულოა საეკლესიო ხელოვნებისათვის. სხვაგან ვერსად შეხვდებით ასეთ ხალისიან და მხიარულ რელიგიურ ცნობიერებას, ასეთ ხალისიან საეკლესიო ხელოვნებას. სჯულის კიდობანთან მროკავი მეფე დავითი გაცილებით უფრო სერიოზული ჩანს ამ ჭრელ და მოლიმარე ნაგებობებთან შედარებით.

ასე იყო რუსეთში ბაროკოს დროსაც და ბაროკოს დამკვიდრებამდეც. შორს რომ აღარ წავიდეთ, ვასილი ნეტარის ეკლესია გავიხსენოთ. თავდაპირველად მას სხვა სახელი ჰქონდა, შემდეგ კი ხალხმა სალოსის, წმინდა ვასილი ნეტარის ეკლესიად მონათლა. თავდაპირველად ეს სახელი ამ ეკლესიის ეკვდერს ეწოდა. ვასილი ცეტი, ჭკუამხიარული წმინდანია. საკმარისია შეაბიჯო ამ ტაძარში, რომ განგაცვიფროს მისმა სიცეტემ, ჭკუამხიარულობამ. ტაძარში სივინროვეა და ადვილად შეიძლება გზა აგებნეს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ტაძარი კრემლს კი არ შეუერთეს, არამედ ქალაქის წინ, სავაჭროებს შორის დადგეს. ეს ტაძარი კი არა, ლაღობაა, ოღონდ წმიდათაწმიდა ლაღობა და წმიდათაწმიდა სიხარული. რაც შეეხება ცეცობას, ჭკუამხიარულობას, ტყუილად კი არ არის რუსულ ენაში «ах ты мой глупенький», «ах ты мой дурачок» ყველაზე სააღერსო სიტყვები. ზღაპრებში ხომ სულელი სხვა ჭკვიანთა შორის უჭკვიანესი აღმოჩნდება ხოლმე და იღვლიანთა შორის უიღვლიანესი: «Старший умный был детина, средний сын и так и сяк, младший вовсе был дурак». ასეა ნათქვამი ერშოვის „კუზიან ცხენში“ და ძალზე ხალხურადაცაა ნათქვამი. სულელი საბოლოოდ მეფის ასულზე დაქორწინდება, ამ საქმეში კი ერთი უხეირო და უღამაზო კუზიანი ცხენი დაეხმარება. მაგრამ ივანუშკას მხოლოდ ნახევარი სამეფო ჩაუვარდება ხელთ. რას უზამს, რას მოუხერსებს ამ სამეფოს, კაცმა არ იცის. ალბათ მიატოვებს, რადგან, აბა ის რა სამეფოა, სადაც სულელები მეფობენ.

ვასილი ნეტარის ხუროთმოძღვრების სიცეტე მისი არაპრაქტიკულობა გახლავთ. ეკლესიაა, მაგრამ შეხვალთ და სალოცავი ადგილი თითქმის არც არის, თავგზა აგებნევა. რაოდენია ამ ეკლესია-

ში პრაქტიკული თვალსაზრისით სრულიად უმიზნო სამკაული და მორთულობა! მოესურვა ხუროთმოძღვარს და გააკეთა კიდეც (გაკეთდა-მეთქი, კინალამ ვთქვი. ეკლესიაში მართლაც ბევრი რამაა ისეთი, რაც თითქოს თავისთავად გაკეთებულა!).

ისმის კითხვა: რატომ აკეთებდნენ ხუროთმოძღვარნი ასე და არა სხვაგვარად? ისინი ალბათ მიპასუხებდნენ, რათა უფრო საოცარი ყოფილიყო. და მართლაც, დგას ეს საოცარი ეკლესია მოსკოვის შუაგულში, ყველაზე მისადგომ ალაგას მშვენიერი და უცნაური ერთდროულად, და აოცებს ყველას.

ვასილი ნეტარის ეკლესია ივანე მრისხანეს დროს აშენდა, როგორც ერთგვარი გამოწვევა, პასუხი წესრიგისა და სიმკაცრის მიმართ. რუსი სალოსები და ჭკუასუსტები ბოიარების და მეფის ჭკუასუსტობას უფრო ავლენდნენ, ვიდრე თავისას.

ჭკუასუსტების, სულელების ადგილი ძველ რუსეთში მეფის გვერდით იყო. ისინი სამეფო ტახტის საფეხურებზე იხდნენ, თუმცა მეფეებს ეს ამბავი მაინცდამაინც არ მოსწონდათ. დაბრძანებულა მეფე კვერთხით ხელში ტახტზე, გვერდით კი მასხარა უზის, მათრახს იქნევს და ხალხის სიყვარულს იხვეჭს. ცოტაც და ივანუშკასულელი ივანე მეფისნულად იქცევა.

მაგრამ კრემლში თავის დროზე ვასილი ნეტარის ეკლესიის აშენება არ მოხერხდა, ვერც ივანუშკამ მოახერხა სამეფოს ხელში ჩაგდება, თუმცა ხალხის გული კი დაიპყრო. ნახევარი სამეფო, რომელსაც ის დაეუფლა, ნამდვილი სამეფო როდი იყო. მგონი, თავად ივანე მრისხანესაც შურდა ივანუშკა-სულელის დიდება. ამიტომ გიჟობდა უსაზღვროდ — გაუთავებლივ ქორწინდებოდა, ორ ნაწილად ყოფდა სამეფოს, ნახევარი რომ დარჩენოდა, თან ალექსანდროვსკოეში ოპროჩნიკებთან ერთად მასხარაობდა. მეფობაზეც კი უთქვამს უარი, მონომახის ქუდი მეფისნულს, სიმეონ ბებულატოვიჩს დაახურა, თვითონ კი უბრალო მარხილით ეახლა ანუ უდიდესი მორჩილება და თავმოდრეკა გამოავლინა. ივანე საკუთარი თავის დამამცირებელ არზებსაც წერდა. ბოიარებისა და უცხო ქვეყნის მეფეებისადმი მიწერილ წერილებში უთავბოლოდ ლაზღანდარობდა და ზოგჯერ იმასაც ამბობდა, მონასტერში წავალ. მაგრამ ივანე ივანუშკად არ

ქცეულა. მისი ოხუნჯობა და მასხარაობა კაციჭამიის ოხუნჯობა და მასხარაობა იყო.

ივანე მრისხანე მეფე სიმეონს სთხოვდა, დაერთო მისთვის ნება, „შერჩევით მოესპო ადამიანები“, მოსკოვში ჩვეულებრივად კი არ დადიოდა, ქარივით დაქროდა, უმონყალოდ სრესდა ხალხს მოედნებსა და ქუჩებში. ხალხის სიყვარული არ დაუმსახურებია, თუმცა ზოგიერთი შეეცადა იგი სახალხო მეფედ წარმოესახა.

სამაგიეროდ, მთელი რუსეთის მიწაზე დააბიჯებდნენ და დაეხეტებოდნენ სულელები, გარეულ ცხოველებსა და ფრინველებთან საუბრობდნენ, ლაზლანდარობდნენ, ხალხს ასწავლიდნენ, მეფეს ნუ დაუჯერებთო. სკომოროხებიც სულელების კვალობაზე მასხარაობდნენ, თითქოს თავიანთ თავს დასცინოდნენ, ხალხს კი ჩააგონებდნენ, თავისუფლება გიყვარდეთ, ანგარიში არ გაუნოთ სხვის ყოყლოჩინობას და მედიდურობას, ნუ დააგროვებთ სიმდიდრეს, ადვილად მიატოვებთ შეჩვეული ადგილ-სამყოფელი, ლალად იცხოვრებთ, ლალადვე იმოგზაურებთ მშობელ მიწაზე, შეიფარებთ და დააპურებთ ღარიბნი და უქონელები, სიცრუეს ნუ შეეთვისებთო.

და იქმოდნენ გმირობას სკომოროხები და სალოსები, იმ გმირობას, ყველანი რომ თითქმის წმინდანებად და ზოგი მართლაც წმინდანად აქცია. სალოსებს ხშირად წმინდანებად რაცხდა ხალხი. ასეთივე პატივი სკომოროხებსაც ხვდებოდა ხოლმე წილად. გაიხსენეთ შესანიშნავი ნოვგოროდული ბილინა „ვავილო სკომოროხი“:

**А скоморохи люди не простые –  
скоморохи люди святые.**

სკომოროხების ხელოვნებიდან რაღაც ნაწილი ხალხის გულში ილექებოდა, რადგან ხალხი თვითონვე ბადებს თავის მასწავლებლებს. იდეალი არსებობდა მანამდე, სანამ ის ხორცს შეისხამდა. ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერაში „თქმულება უჩინმან ქალაქ კიტეჟზე“ ხალხი მიმართავს დათვს: „აბა, გვიჩვენე, დათუნიავ, გვიჩვენე, შე სულელო“: ოპერის ლიბრეტოს ავტორმა ვ. ბელსკიმ კარგად გაიგო აქ ხალხის ეს დიდებული თვისება.

კარგი რუსულ ენაში, პირველყოვლისა,

კეთილს ნიშნავს. „გამოგზავნე კეთილი საკითხავი“, — წერს სიგელში თავის მეუღლეს ერთი ნოვგოროდელი. კეთილი საკითხავი კარგი საკითხავია. კეთილი საქონელი კარგი საქონელია. სიკეთე ადამიანური თვისებაა, რომელიც ყველაზე მეტად ღირებულია. კეთილი კაცი უკვე თავისი სიკეთით ძლევს ყველა ადამიანურ ნაკლს. ძველ დროში რუსეთში უჭკუოს კეთილს არ უწოდებდნენ, რუსული ზღაპრების სულელი გმირი კეთილია, მაშასადამე, ჭკვიანურად იქცევა და ცხოვრებაში თავის წილს მოიპოვებს. რუსული ზღაპრის სულელი გმირი მოეფერება უმნო კუზიან კვიცს და ხორბლის მოსაპოვებლად მოფრენილ ფასკუნჯს გაუშვებს. ისინი კი გაჭირვების ჟამს მის ნაცვლად ყველაფერს იღონებენ, რაც კი ძალუძთ. სიკეთე მუდამ ჭკუითაა აღბეჭდილი. სულელი ყველას სიმართლეს ეუბნება, რადგან მისთვის არ არსებობს წეს-კანონები, რადგან მას არაფრის არ ეშინია.

ივანე მრისხანეს დროს, ტერორის მძვინვარების წლებში სიკეთე იშვიათად, მაგრამ მაინც ავლენდა თავს. რამდენი სიკეთით აღვსილი სახე შექმნეს XVI საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ხატმწერებმა: ფილოსოფიით (ე. ი. სიბრძნის სიყვარულით) გაბრძნობილი ეკლესიის მამებისა, სიმღერით მოჯადოებული წმინდანებისა; რაოდენი ნაზი დედობრივი გრძნობა და ადამიანებზე ფიქრია ჩაქსოვილი იმდროინდელ მცირე ზომის საოჯახო ხატებში! მაშასადამე, XVII საუკუნეში ყველა შეიპყრო სისასტიკემ. რუსეთში ცხოვრობდნენ ზნეკეთილებიც, ადამიანურებიც, უშიშარნიც, ხალხის სიკეთე მძლავრობდა:

ანდრეი რუბლიოვის ფრესკებზე უსპენსკის ტაძარში გამოსახული არიან განკითხვის დღეზე მიმავალი ადამიანები, ჯოჯოხეთურ სანამებელზე ისინი გასხივოსნებული სახეებით მიაბიჯებენ — ვინ იცის, ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთზე უარესი იყოსო...

### **რუსული ბუნება და რუსული ხასიათი**

მე ზემოთ აღვნიშნე, რაოდენ მძლავრად მოქმედებს რუსული ვაკე და დაბლობები რუსი კაცის ხასიათზე. ამ ბოლო დროს ჩვენ ხშირად გვაგინყდება გეოგრაფიული

ფაქტორის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის არსებობს და არც არავის უარუყვია.

ახლა მე მსურს საუბარი იმაზე, თუ, თავის მხრივ, ადამიანი როგორ ზემოქმედებს ბუნებაზე. ეს აღმოჩენა კი არ არის, უბრალოდ ჩემი ნააზრევის გაზიარებაა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული და უფრო ადრეც, XVII საუკუნიდან, კულტურას მკვეთრად უპირისპირებენ ბუნებას. ამ საუკუნეებმა შექმნეს მითი ბუნებასთან ახლომყოფ და ამიტომ არამართო გაურყვნელ, არამედ გაუნათლებელ „ბუნებრივ ადამიანზე“. დაფარულად თუ დაუფარავად ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად მიიჩნეოდა უვიცობა. ეს მართო ღრმად მცდარი აზრი როდია, ამ ცთომილებას ის შეხედულებაც მოჰყვა თან, რომ კულტურის და ცივილიზაციის ყოველგვარი გამოვლინება აკნინებს, რყვნის ადამიანს, ამიტომ საჭიროა მივუბრუნდეთ ბუნებას და გვრცხვენოდეს ჩვენი ცივილიზებისაო.

ამგვარი დაპირისპირება კულტურისა ბუნებასთან განსაკუთრებით განმტკიცდა რუსოს შემდეგ. რუსეთში კი რუსოიზმი XIX ს. თავისებური ფორმით გამოვლინდა. ეს ფორმები იყო ხალხოსნობა, ტოლსტოის შეხედულებები „ბუნებრივ ადამიანზე“ — გლახზე, რომელიც „განათლებულთა ნოდებას“, ინტელიგენციას უპირისპირდებოდა.

ხალხში სიარულმა XIX-XX საუკუნეებში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით მრავალი გაუგებრობა წარმოშვა ინტელიგენციასთან დამოკიდებულებაში. გაჩნდა გამოთქმა „დამპალი ინტელიგენცია“ და იმავდროულად ზიზღიც დაიბადა ვითომდაც უნიათო, თავმოუბმელი ინტელიგენციისადმი. წარმოიშვა უმართებულო თვალსაზრისი „ინტელიგენტ“ ჰამლეტზე, როგორც ნიადაგ მერყევ და გადაწყვეტილების უქონელ ადამიანზე. ჰამლეტი კი სულაც არ არის სუსტი პიროვნება: ის პასუხისმგებლობის გრძნობითაა აღსავსე, ის მერყეობს არა იმიტომ, რომ სუსტია, მერყეობს იმიტომ, რომ აზროვნებს და ზნეობრივად პასუხისმგებელია თავის საქციელზე.

განათლება და მაღალი ინტელექტუ-

ალური განვითარება ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, უვიცობა და არაინტელიგენტობა ნორმალური მდგომარეობა არ არის. უვიცობა — ზერელეთმცოდნეობა, თითქმის სენია. ამას იოლად დაასაბუთებენ ფიზიოლოგები.

მართლაც ადამიანის ტვინს უზარმაზარი მარაგი გააჩნია. შედარებით ჩამორჩენილი განათლების მქონე ხალხებსაც კი აქვთ „ოქსფორდის სამი უნივერსიტეტის სამყოფი ტვინი“. სხვაგვარად მხოლოდ რასისტები ფიქრობენ. ყოველი ორგანო, თუკი ის არასრული ძალით მუშაობს, არა-ნორმალური ხდება, სუსტდება, გადაგვარებას იწყებს, „სნეულდება“. ამასთანავე ტვინის სნეულება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივ მხარეზე ზემოქმედებს.

ბუნებისა და კულტურის დაპირისპირება უმართებულოა კიდევ ერთი მიზეზის გამო. ბუნებას ხომ თავისი კულტურა აქვს. ქაოსი სრულიადაც არ არის ბუნებისთვის ჩვეული მდგომარეობა. პირიქით, ქაოსი (თუკი საერთოდ არსებობს) — ბუნებისთვის უჩვეულო გახლავთ. რაში გამოიხატება ბუნების კულტურა? ცოცხალი ბუნება ყოველთვის ერთობისა და თანაცხოვრების ფორმებით არსებობს. არსებობს მცენარეთა ასოციაციები: ხეები შერეულად კი არ იზრდებიან, გარკვეული ჯიში გარკვეული ჯიშის მცენარეულობასთან თანაარსებობს. მაგალითად, ფიჭვები გარკვეული სახის ხავსეულთან, სოკოებთან, ბუჩქებთან მეზობლობენ და ა. შ. ეს ყველა სოკოს მოყვარულს ახსოვს. ქცევის გარკვეული წესები ნიშნეულია არა მართო ცხოველებისთვის (რაც კარგად იციან ქალაქში მცხოვრებმა ძაღლების და კატების მოყვარულებმა), არამედ მცენარეებისთვისაც. ხეები სხვადასხვაგვარად მიილტვიან მზისკენ — ზოგნი ქუდებით, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, ზოგნი კი განტოტვილად, რათა დაფარონ და გაუფრთხილდნენ ხეთა სხვა ჯიშებს, მათ ძირას რომ იწყებენ ზრდას.

თხმელის ძირას ფიჭვი იზრდება. გაიზრდება ფიჭვი და თხმელაც, რაკილა თავისი საქმე გაასრულა, კვდება. მე ვაკვირდებოდი ამ მრავალწლოვან პროცესს ლენინგრადის მახლობლად, ტოკსოვოში, სადაც პირველი მსოფლიო ომის

დროს აკაფული ფიჭვის ტყეები თხმელის ნაყარმა შეცვალა. შემდეგ კი თავის ტოტე-ბქვემ თხმელა ახალგაზრდა ფიჭვებს ენან-ავებოდა. ახლა იმ სანახებში ისევ ფიჭვები ხარობენ.

ბუნება თავისებურად „სოციალურია“. ბუნების „სოციალურობა“ ისიცაა, რომ მას ძალუძს ადამიანთან თანაარსებობა და მეზობლობა, თუკი ადამიანი, თავის მხრივ, თვითონაც სოციალურია და ინტელექტუალური.

რუსი გლეხი მრავალსაუკუნოვანი შრომა-გარჯით ქმნიდა რუსული ბუნების მშვენიერებას. ის ხნავდა მიწას და ამით გარკვეულ სახეს აძლევდა მას. საზღვრები რუსულ ბუნებაში ადამიანის და ცხენის შრომა-გარჯის თანაფარდია, იმ ძალ-ლონის თანაფარდია, რასაც ხარჯავდა რუსი გლეხკაცი, როცა კავს და გუთანს მიჰყვებოდა ცხენით. მიწის მუშა ასუფთავებდა ნიადაგს, შლიდა მკვეთრ საზღვრებს, ასწორებდა ბორცვაკებს, ყრიდა ქვებს. რუსული ბუნება რბილია, იგი თავისებურადაა მოვლილი გლეხკაცის მიერ. გუთნით და კავით მომუშავე გლეხი მართო კვალს კი არ ავლებდა, საზღვრებსა და ტყის პირებს ათანაბრებდა, რათა შეუმჩინევლად შერწყმოდა ერთურთს ტყე და ველი, ველი და მდინარე, ანდა ტბა.

რუსული პეიზაჟი ძირითადად ორი დიდი კულტურის ძალისხმევამ შექმნა: ადამიანის კულტურამ, რომელიც არბილებდა ბუნების სიუხემეს, და ბუნების კულტურამ, რომელიც, თავის მხრივ, ასევე არბილებდა იმ ხარვეზებს, ადამიანის ჩარევით რომ იყო უნებლიეთ გამოწვეული. ლანდშაფტი იქმნებოდა, ერთი მხრივ, ბუნების მეშვეობით, რომელიც ითავისებდა და ფარავდა იმ უნესრიგობას, ადამიანს რომ შეჰქონდა მის ნიაღში, და მეორეს მხრივ, ადამიანის მეშვეობით, რომელიც ამუშავებდა მიწას და უფრო ნაზს ხდიდა პეიზაჟს. ორთავე კულტურა ავსებდა და აწონასწორებდა ერთურთს და ამასთანავე ადამიანურობას და თავისუფლებას ამკვიდრებდა სამყაროში.

აღმოსავლეთ ევროპის ვაკეთა ბუნება თვინიერია, აქ ვერ ნახავთ ცადაზიდულ მთებს. ეს ვაკეები მდინარეებს დაუქსელავს, რათა „მიმოსვლის საშუალებად“ გამოიყენოს. ირგვლივ დაუბინდავი, ნათე-

ლი ცაა, დაფერდილი კორდები და უსასრულო, ყველა მალლობის ძირას დაკლაკნილი გზები. რა საგულდაგულოდ ათანასწორებდა ადამიანი გორაკებს, აღმართებსა და დაღმართებს! აქ მხვანელის გამოცდილება პარალელური ხაზების ესთეტიკას ქმნიდა, ერთურთთან და ბუნებასთანაც შეწყობილს, თითქოს ძველ რუსულ საგალობელს ისმენდე. აქ მხვანელი კვალს კვალზე თანაზომიერად ავლებდა, ისევე თანაზომიერად, როგორც ძელი ძელსაა ქოხში მიწყობილი, როგორც სარი სარზეა ღობეში, როგორც თვითონ ქოხებია რიტმულ მწკრივად გაშლილი გზის გასწვრივ ანდა მდინარის პირას, — დასარწყულვლად გამოსული ნახირივით.

ამიტომაც ბუნებისა და ადამიანის მიმართებანი — ორი კულტურის მიმართებანია, რომელთაგან თითოეული თავისებურად „სოციალურია“, საკუთარი „ქცევის წესები“ გააჩნია. მათი შეხვედრა თავისებურ ზნეობრივ საფუძველზე შენდება. ორივე კულტურა ისტორიული განვითარების ნაყოფია. ადამიანური კულტურა დასაბამითგანვე ბუნების ზემოქმედებით ვითარდება (მას აქეთ, რაც კაცობრიობა არსებობს), ბუნება კი მრავალი საუკუნეა რაც არსებობს და შედარებით გვიან მოექცა ადამიანის კულტურის ზეგავლენის ქვეშ. ბუნების კულტურას შეუძლია ადამიანური კულტურის გარეშე არსებობა, ადამიანურ კულტურას კი არ შეუძლია ბუნების კულტურის გარეშე. და მაინც, მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანსა და ბუნებას შორის წონასწორობა არსებობდა. ამ წონასწორობამ თითქოსდა ორივე მხარე თანასწორი უნდა დატოვოს, მაგრამ ასე არ ხდება, რადგან იგი ძალზე თავისებურია, ყველგან მისეულ ძირს, მისეულ ღერძს ეფუძნება. ჩრდილოეთ რუსეთში უპირატესობა ბუნებას ეკუთვნის, ხოლო რაც უფრო ვუახლოვდებით სტეპს, სასწორი ადამიანისკენ იხრება.

იმას, ვინც ნამყოფია კიჟიში, ალბათ უნახავს მთელი კუნძულის გასწვრივ ვეებერთელა ცხოველის ხერხემალივით გაჭიმული ქვების ჯაჭვები. ამ ჯაჭვების გვერდით გზა გარბის. ეს ხერხემალი ასწლეულთა მანძილზე იქმნებოდა. გლეხკაცი მიწას რომ ასუფთავებდა, კაჭარს და რიყის ქვას გზისპირას ყრიდა. ასე შეიქმნა დიდი კუნ-

ძულის რელიეფი. ამ რელიეფს სიძველის განუყრელი იერი აქვს. ტყუილად კი არ ცხოვრობდა ამ კუნძულზე ბილინების მთქმელი რიაბინინების მრავალი თაობა.

გოლიათურ სივრცეში გაშლილი რუსეთის პეიზაჟი რამდენადმე მაჯისცემას ჰგავს, იგი ხან განიმუხტვის და უფრო ბუნებისმიერი ხდება, ხან კი მჭიდროვდება — სოფლებში, სოფლის სასაფლაოებზე, ქალაქებში — და უფრო ადამიანურ იერს იძენს. სოფლად თუ ქალაქად პარალელური ხაზების ის რიტმი გრძელდება, რომელიც ხნულიდან დაიწყო: კვალი კვალს მიჯრია, ძელი ძელს, ქუჩა ქუჩას. დიდი რიტმული დანაყოფები მცირე და დანილადებულ დანაყოფებს ეთანადება. ისინი შეუმჩნევლად უერთდებიან ერთიმეორეს. ქალაქი არ უპირისპირდება ბუნებას. იგი ბუნებას გარეუბნის მეშვეობით ერწყმის, გარეუბანს კი რუსულად «Пригород» ეწოდება — ეს სიტყვა თითქოსდა საგანგებოდაა შექმნილი, რათა გააერთიანოს წარმოდგენა ქალაქზე და სოფელზე. Пригород — იმას აღნიშნავს, რაც ქალაქთანაა და თან ბუნებასთანაც. იგი თავისი ბოსტნებითა და ბალჩებით ჩახვევია ქალაქის კედლებს, მიწაყრილსა და თხრილებს. და ამავე დროს იმ ველებსა და ტყეებს, რომელთაგანაც თავის ჭებისა და გუბურებისთვის ცოტაოდენი ხეები, ბალჩები, ცოტაოდენი ბოსტნები და ცოტაოდენი წყალი წარუტაცია. ყოველივე ეს კი მოცემულია კვალთა, ქუჩაბანდთა, სახლთა, ძელთა, ქვაფენილთა და ხიდთა ფარულ თუ დაუფარავ რიტმულ მიმოქცევაში.

### რუსული პეიზაჟური ფერწერის შესახებ

რუსულ პეიზაჟურ ფერწერაში მრავალი ნაწარმოებია წელიწადის დროებისადმი მიძღვნილი. შემოდგომა, გაზაფხული, ზამთარი — XIX საუკუნისა და მომდევნო ხანის რუსული პეიზაჟური ფერწერის საყვარელი თემებია; რაც მთავარია, ეს ფერწერა გადმოსცემს ბუნების არა უცვლელ, არამედ მეტწილად დროებით ელემენტებს. ესაა ადრეული თუ გვიანი შემოდგომა, გაზაფხულის წყლები, თოვლის დნობა, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ზამთრის მზე, პირქუში ღრუბლებიდან რომ იმზირება და ა. შ.

რუსეთში არაა მუდმივი, წლის სხვადასხვა დროში უცვლელი მთები, მარადმწვანე ხეები. რუსეთის ბუნებაში ყოველივეს ცვალებადი შეფერილობა და მდგომარეობა მოსდგამს. ხეთა ტოტები ხან გაშიშვლებულია, მაშინ ისინი თავისებურ „ზამთრის გრაფიკას“ ქმნიან, ხან კი ხასხასა, თვალწარმტაცი გაზაფხულის ფოთლითაა შემოსილი. შემოდგომის ტყე უხვია თავისი ელფერითა და ფერადოვნებით. წყალიც იცვლება, ხან ცის ფერს ირეკლავს, ხან ნაპირებისას, ძლიერი ან სუსტი ქარის მეშვეობით რომ იცვლის სახეს. ასევე ცვალებადია გუბეები, სივრცე, ნისლი, ნამი, ჭირხლი, მშრალი და სველი თოვლი. ესაა მარადიული მასკარადი, ფერთა და ხაზთა მარადიული დღესასწაული, მარადიული მოძრაობა წელიწადის ან დღე-ღამის ფარგლებში.

ამგვარი ცვლილებები სხვა ქვეყნებშიაც გვხვდება. მაგრამ რუსეთში მათ უფრო შეამჩნევ რუსული ფერწერის წყალობით. აქ პირველი სიტყვა ვენეციანოვსა და მარტინოვს ეკუთვნით. რუსეთში კონტინენტური ჰავაა, ამგვარი ჰავა კი წარმოშობს ძალზე მკაცრ ზამთარსა და ძალზე ცხელ ზაფხულს, ფერთა ელვარებით აღსავსე გაზაფხულს, ტიუტჩევის მიერ ხოტბაშ-ესხმულ გაჭიანურებული შემოდგომის დამდეგს, როცა ესოდენ გამჭვირვალეა ჰაერი. შემოდგომისავე მიწურული არაჩვეულებრივად უყვარდა პუშკინს! სამხრეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთში, განსაკუთრებით თეთრი ზღვისა ან თეთრი ტბის ნაპირებზე უჩვეულოდ ხანგრძლივი საღამოები იცის, ჩამავალი მზე წყლის ზედაპირზე წარამარა ცვალებად ფერთა ათინათს, ფერთა თამაშს ქმნის. ამასთანავე აქ ალიონიც ხანგრძლივი და მშვენიერია. ზოგჯერ (მეტწილად კი გაზაფხულზე) „მზე თამაშობს“, გეგონება, ძვირფასი თვლების გამოცდილ მწარხავს გამოუთლიაო. თეთრი ღამეები და დეკემბრის შავი, ქუფრიანი დღეები მდიდარ ემოციურ პალიტრას ქმნის. ამ მრავალფეროვნებას ეხმაურება სწორედ რუსული პოეზიაც. საინტერესოა ის ამბავი, რომ საზღვარგარეთ მოხვედრილი რუსი მხატვრები თავიანთ პეიზაჟებში სწორედ წელიწადის დროთა ამ ცვლილებებს, ამ ატმოსფერულ მოვლენებს ეძიებდნენ. ასე-

თი იყო სილვესტრ შჩედრინი — შესანიშნავი პეიზაჟისტი, რომელიც „ჰაერის“ მცირეოდენ ცვლილებათა განცდის წყალობით თავის იტალიურ პეიზაჟებშიც კი რუსად დარჩა. რუსული პეიზაჟისათვის დამახასიათებელი თავისებურება არსებობდა პირველ რუს პეიზაჟისტ ვენეციანოვს აქვს მოცემული. ამ თავისებურებას ვასილიევის ადრეულ გაზაფხულშიაც იხილავთ. ის მაჟორულად მეტყველებს ლევიტანის შემოქმედებაში. დროის ამგვარი არამდგრადობა და მერყეობა თითქმის აერთიანებს რუს კაცს რუსეთის პეიზაჟთან. მაგრამ ნურც გადავაჭარბებთ, ეროვნული ნიშნების გაზვიადება და რალაც განსაკუთრებულად მიჩნევა არ შეიძლება. ეროვნული თავისებურებები მხოლოდ აქცენტებია და არა ისეთი თვისებები, რომლებიც რომელიმე ერს არ გააჩნია. ეროვნული თავისებურებები კი არ თიშავენ ერებს, კი არ კეტავენ თავიანთ ნაჭუჭში, არამედ აახლოებენ მათ და ერთმანეთის მიმართ ინტერესს აღუძრავენ. ხალხები — გალავან-კედლებით გარშემორტყმული გაერთიანება კი არ არის, არამედ ერთმანეთთან შეთანხმებული ასოციაციებია. ამიტომ ის თვისებები, რომელიც რუსულ პეიზაჟს და პოეზიას ახასიათებს, მეტნაკლებად ნიშნეულია აგრეთვე სხვა ქვეყნებისა და ხალხებისათვის. ხალხის ეროვნული თვისებები არსებობს არა თავისთავად, არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის. ისინი კარგად ჩანან მხოლოდ გარედან დაკავშირებისა თუ შედარებისას. ამიტომ სხვა ხალხებისთვისაც უნდა იყოს გასაგები, რალაც განსხვავებული სახით სხვა ხალხებშიაც უნდა არსებობდეს.

როდესაც მე ვლაპარაკობ რუსი მხატვრის მგრძობიარობაზე ნელინადის დროთა, „ატმოსფერულ ცვლილებათა“ და სხვ. ამგვართა მიმართ, მაშინვე მახსენდება დიდი ფრანგი მხატვარი კლოდ მონე, მისი ნისლში გახვეული ლონდონის ხიდი, რუანის ტაძარი ან კიდევ ერთი და იგივე თვისის ზვინი სხვადასხვა ამინდში და დღის სხვადასხვა ჟამს. მონეს ეს „რუსული“ თვისებები სრულიადაც არ უარყოფენ ჩემს დაკვირვებებს, ისინი მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ რუსი ადამიანის თვისებები ერთგვარად ზოგადსაკაცობრიო თვისებებია.

ისმის კითხვა: ხომ არ შეეხება ჩვენი ნათქვამი XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის მხოლოდ რეალისტურ ფერწერას? მაგალითად, მხატვრებს, რომლებიც ეკუთვნოდნენ „ხელოვნების სამყაროს“, მე ძალზე მომწონს სხვადასხვა მიმართულებები ფერწერაში, მაგრამ უნდა ვთქვა: წმინდა ფერწერის ხელოვნება, როგორცაა, ჩემი აზრით, ფერწერა „აგურის ვალეტიისა“, „ვირის კუდიისა“, „ცისფერი რაინდისა“ და სხვა მისთანა, ნაკლებადაა დაკავშირებული იმ ტიპის ეროვნულ თვისებებთან, რომელზედაც ახლახან ვლაპარაკობდი, და მაინც, ის დაკავშირებულია რუსულ მატერიალურ ფოლკლორთან — ქარგვის ხელოვნებასთან, ფირნიშის, თიხის სათამაშოს, საერთოდ, სათამაშოს ხელოვნებასთანაც კი, რამდენადაც ამ ფერწერაში მრავლადაა თამაშის, თხზვის და გამონაგონის ელემენტი. ეს ხელოვნება ანცი და მხიარულია. შემთხვევითი როდია, რომ ამგვარი ხელოვნება გამოფენებს მოითხოვდა, ხმაურიან ვერნისაჟებთან იყო დაკავშირებული. ის მრავალი მნახველისთვის იყო შექმნილი, მას უნდა განეცვიფრებინა და მიეტქმა-მოეტქმა აღედრა ხალხში. XX საუკუნის დასაწყისის რუსულ კულტურაში ბევრი რამ იყო მასკარადული და თეატრალური, რასაც ასე კარგად გადმოსცემს ახმატოვას „პოემა უგმიროდ“.

### სხვა ქვეყნების ბუნება

უკვე დროა გავცე პასუხი ასეთ კითხვას: განა სხვა ხალხებს არ აქვთ ამგვარივე გრძობა ბუნებისა, განა მათ არა აქვთ მჭიდრო კავშირი ბუნებასთან? აქვთ, რატქმა უნდა, აქვთ, მე იმ მიზნით როდი ვწერ, რომ დავამტკიცო რუსული ბუნების უპირატესობა სხვა ხალხთა ბუნების მიმართ. ყოველ ხალხს ბუნებასთან დიახაც თავისებური კავშირი აქვს.

იმისათვის, რომ შევადაროთ ადამიანების და ბუნების ერთობლივი ძალებით შექმნილი განსხვავებული ლანდშაფტები, ჩემი აზრით, საჭიროა საკუთარი თვალთ ვნახოთ კავკასია, შუა აზია, გარდა ამისა, ესპანეთი, იტალია, ინგლისი, შოტლანდია, ნორვეგია, ბულგარეთი, თურქეთი, იაპონია, ეგვიპტე. ბუნებაზე არ შეიძლება იმსჯელო ფოტოგრაფიისა და პეიზაჟური

ფერწერის საფუძველზე.

აქ ჩამოთვლილი მხარეებიდან და ქვეყნებიდან მე ზედაპირულად შემოიძლია ვილაპარაკო მხოლოდ კავკასიაზე, ასევე ინგლისზე, შოტლანდიაზე, ბულგარეთზე. ყოველ ამ „ეთნობუნებაში“ ბუნების და ადამიანის მუდამ ამაღლევებელ, მრავლისმეტყველ დამოკიდებულებას შევხვდებით.

სასოფლო-სამეურნეო შრომამ, რუსეთის მსგავსად, ინგლისის ბუნებაც ჩამოაყალიბა. ამ ბუნებას მეცხვარეობა უფრო ქმნიდა, ვიდრე მინათმოქმედება. ამიტომ ამა იქ ასე ცოტა ბუჩქები და ასეთი კარგი გაზონები. საქონელი „წინკნიდა“ პეიზაჟს, იოლად მისანვდომს ხდიდა მას. ინგლისელები ხეებს გზებისა და გზაწვრილების პირას რგავენ, მათ შორის კი მინდვრებს და მდელოებს ტოვებენ. შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ საქონელი ინგლისური პეიზაჟური ფერწერის უცილობელი კუთვნილებაა. ეს რუსეთშიც შენიშნეს. რუსეთის მეფის კარის პეიზაჟურ ბაღებში, რომელთაც ინგლისის ზეგავლენით გაუგეს რუსეთში გემო, დგას რძის ფერმები, ძოვენ ძროხები და ცხვრები.

ინგლისელებს უყვართ პარკები, სადაც თითქმის არაა ბუჩქები, უყვართ მდინარეების და ტბების შიშველი ნაპირები, სადაც წყლისა და ხმელეთის საზღვარი მკაფიო და ნარნარა ხაზებს ქმნის, უყვართ „განმარტოებული მუხები“ ან ძველ ხეთა ჯგუფები, ბოსკეტები, რომლებიც ბუმბერაზი თაიგულებივით განლაგებულან მდელოებზე.

შოტლანდიის პეიზაჟები, რომლებიც ბევრისთვის (რომ გამოვტყდე, ჩემთვისაც) უბადლოა თავისი სილამაზით, ლირიკული გრძნობის არაჩვეულებრივ ლაკონიურობას ამჟღავნებს. ეს თითქმის გაშიშვლებული პოეზიაა. შემთხვევით როდი იშვა იქ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პოეზია — ინგლისური „ტბის სკოლა“. მთები, რომელთაც თავის მძლავრ ფერდობებზე მოუგდია მდელოები, საძოვრები, ცხვრის ფარა და ბოლოს ადამიანები, სრულიად განსაკუთრებულ ნდობას აღძრავენ. და ადამიანებმაც ანდეს თავისი თავი და საქონელი მთის იალაღებს, დატოვეს საქონელი ბოსლისა და თავშესაფრის

გარეშე. მთის იალაღებზე ძოვენ ძროხები, რომელთაც ძალზე თბილი და ხშირი ბალანი აქვთ. ისინი შეეჩვივნენ ლამის სიცივეს და სინესტეს. აქვე არიან ცხვრები, რომლებიც მსოფლიოში საუკეთესო მატყლს იძლევიან და ღამეს ერთად შექუჩულნი ათევენ. აქვე ვხვდებით სადა სამოსში ჩაცმულ ადამიანებს. იალაღები ქვის ყორეებს დაუსერიათ. მათ გამრჯე მარჯვენა აგებდა — მათ იმ მასალისაგან აგებენ, რომლებსაც მშობლიური მთები აწვდიან. ამიტომ ქვების ყორეები ბუნების ისეთივე ნაწილია, როგორც ჩვენი ჩრდილოეთის ღობეები, მხოლოდ რიტმია მათში სხვა.

საქართველოში კაცის შველას, მფარველობას თხოვს ძღვევამოსილ მთებს, ზოგჯერ მიილტვის მთებისაკენ (სვანეთის კოშკები), ზოგჯერ კი შვეულ მთებს თარაზულად ნაგები სახლებით უპირისპირდება და რაც თავიდათავია — საქართველოში ბუნება ისეთი დიდია და მძლავრი, რომ იგი ძალუმად მფარველობს ადამიანს, გულში იკრავს და თავის გოლიათურ სულს შთაბერავს მას.

საქართველოზე ბევრი მწერალი წერდა. აქ აღარ ჩამოვთვლი XIX საუკუნის დიდ რუს პოეტებს, თანამედროვეებს გაგახსენებთ: პ. ანტოკოლსკის, ბ. ახმადულინას, ა. ვოზნესენსკის, ე. ევტუშენკოს, ნ. ზაბოლოცკის, ო. მანდელშტამს, ა. მეჟიროვს, ი. მორიცს, ბ. პასტერნაკს, ა. ტარკოვსკის და სხვებს. შეგახსენებთ ნ. ზაბოლოცკის ერთ ლექსს, რათა ნათელვყო ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულება საქართველოში. ნუ დამძრახავ, მკითხველო, თუკი თავიდან ბოლომდე მოვიყვან ამ ლექსს. გინდა ლექსი შეგიკვეციო და გინდა ფერწერული ტილო, ერთი და იგივეა. ნ. ზაბოლოცკის ლექსების გადაკითხვა კი მუდამ სიამოვნების მომნიჭებელია.

## ფასანაურის ღამე

ბრწყინავდა ღამე და  
შვენოდა ფანდურს ჟღარუნი,  
მთვარემ მოძებნა სიყვარულის  
წმინდა ალაგი,  
და მიგალობდნენ ბულბულები  
მე სიყვარულით  
ფასანაურში, სადაც მოჰქუხს  
ორი არავგი.  
ჯვრის უღელტეხილს დავებთხოვე

და ნამოვედი,  
 ჯვრის უღელტეხილს,  
 მაისში რომ ყინული ჯავშნავს,  
 და დავიღალე იმგვარად,  
 რომ ველარ ვპოვებდი  
 ძალას და ხალისს,  
 ყველაფერი ზურგსუკან დამრჩა.  
 ბულბულის ჰანგით  
 რეტდასხმულმა გავიძრე ტანზე,  
 ხელში ფარანი მოვიმარჯვე  
 დედიშობილამ,  
 და, ვით ქალწული  
 უშმაგესი სურვილით სავსე,  
 შემომეხვია მდინარე და შვება მომფინა.  
 და მე ვინეჯი, ქვებს ვეჭიდე  
 დაღლილი რნევით  
 ტალღა სკდებოდა ჩემს თავზე  
 ვით მძვინვარე მეხი,  
 და ირწოდნენ მდინარეში ნასობი ქვები,  
 ირწოდნენ და ლულლულებდნენ  
 უხმოდ ჩემს ფერხთით.  
 მე შევცქეროდი შორ ათინათს  
 წყლის პირზე დახრილს,  
 შუქის ნანრეტებს, შუქის თამაშს,  
 შუქის ზიგზაგებს,  
 და მოინევდა ნაპირიდან ვეება ძაღლი,  
 იზლაზნებოდა მედიდურად  
 მდინარისაკენ.  
 და მეც ავედი ჩუმ ნაპირზე, ვით მეომარი,  
 ცივი და სუფთა, მიწიერი და  
 უდრტვინველი,  
 ვეება ძაღლი გულამაყი და უწყრომელი  
 ჩემ წინ დაეშვა, მოკალათდა,  
 როგორც ფრინველი.  
 და იმ წყნარ ლამეს,  
 წყნარ ბალებში ფასანაურის  
 ვიგრძენ მსუსხავი,  
 უცაბედი ზვირთთა სიცივე,  
 გულს ჩამენვეთა  
 უწმინდესი ბგერა ფანდურის,  
 თითქოს ყმანვილმა  
 პირველკოცნის სიტკბო ვინვნიე.

საქართველოს ბუნება მართლაც ძალუ-  
 მად იკრავს გულში ადამიანებს, სიმ-  
 ძლავრეს, მედიდურობას და რაინდულ  
 სულს ანიჭებს მათ.

სომხეთის ბუნების ზეგავლენით მიღე-  
 ბული შთაბეჭდილებები მაიძულებენ რამ-  
 დენადმე დანვრილებით ვილაპარაკო მის  
 პეიზაჟებზე. სომხეთის მრავალსაუკუნო-  
 ვანმა კულტურამ მთებიც კი დაამარცხა.  
 „საუკუნეთა ფერხული“ — წერს ანდრეი

ბელი თავის „ქარში კავკასიიდან“. „სიძ-  
 ველე თითქოს ნიადაგს მიდუღებია. ბუნე-  
 ბრივი ქვები ქანდაკებაზე მეტად დაბერე-  
 ბულან, ქანდაკებები გაბზარულან, მიწაში  
 ჩაფლულან და ბუჩქებს შერწყმიან, ვერ  
 გაიგებ, რას შესცქერი — ბუნებას თუ  
 კულტურას. შორს, სევანის მომიჯნავე გე-  
 გარკუნიკზე, მოვარდისფერო, მოყვითა-  
 ლო და ნახნაგოვანი პატარა ქედი აღ-  
 მართულა. ნიადაგი აქ ტაძრებს შეთვისე-  
 ბია, ტაძრები კი მთლიანი კლდის ნატყეხ-  
 ბად ქცეულან“.

არ შემიძლია ამ წიგნიდან არ მოვიტანო  
 ნაწყვეტები, სადაც ბელი სომხეთში მა-  
 ტარებლით მოგზაურობისას მიღებულ  
 პირველ შთაბეჭდილებებს აღწერს:

„სომხეთი!

მწვერვალს ბინდბუნდი გაუფხრენია.  
 მანძილი აქ მიმქრალ ვარსკვლავქვეშ გა-  
 ნოლილი პირქუში, მოლურჯო-მონაცრის-  
 ფრო, ფირუზისფერი ხეობების ელფერ-  
 ითაა განათებული! ნისლის თხელ რიდეში  
 სიმწვანე გამოსჭვივის. მაგრამ ჰა, თალს  
 მრუდე სამართებლით გაკანრული მთა  
 გაეკრა. დანასავით შეიჭრა ცაში. დაიძრა  
 ფლატეებით დასერილი მიწა. გეგონება,  
 ცის თალს ესობაო დახეთქილი კლდეე-  
 ბიდან ნაშიშვლი დანები, ლოდებზე უფრო  
 მალლა, შმაგი ხაზებით დასერილი, დაკბი-  
 ლული სამყაროა“. ეს არ არის ბელის ნაუც-  
 ბათევი შთაბეჭდილება. ამაზე მეტყვ-  
 ელებს ის ფაქტი, რომ მას გამოეხმაურა  
 გენიალური სომეხი ფერმწერი მარტიროს  
 სარიანი. მხატვრის გამოხმაურებაზე მნიშ-  
 ვნელოვანი კი აბა რა უნდა იყოს. ანდრეი  
 ბელისადმი გაგზავნილ წერილში მარ-  
 ტიროს სარიანი იხსენებს იმ დღეებს,  
 როდესაც ისინი ერთად სეირნობდნენ  
 გადახრუკულ-გამიშვლებული მთაგორე-  
 ის ქვეყანაში და მოხიბლულნი იყვნენ  
 არარატის და არაგაცის მწვერვალების  
 თვალისმომჭრელი ფერადოვნებით.

მე ვერ გავბედავ რაიმე შევუსწორო  
 სარიანს, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, რომ  
 აღმოსავლეთ სომხეთის პეიზაჟი უფრო  
 მკაცრია, ვიდრე ეს სარიანის ნახატებშია.  
 უტყეო მთები — ნაკადულებითა და ვენახ-  
 ებით დასერილი, ფერდობებიდან ჩამომ-  
 ვავებული დიდრონი ქვები, მკვრივი, მუქი  
 ფერები — ყოველივე ეს ბუნებაა, ხალხის  
 სისხლით გაჟღენთილი. ზემოთ მე ვწერდი,

რომ გლექსკაცის მიერ გაადამიანურებული რუსული ბუნებისთვის ძალზე ნიშნეულია მოხსნული მინების, ღობეების და ძელური კედლების რიტმი. რიტმი სომხეთის პეიზაჟებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ იგი სხვაგვარია. უზარმაზარ შთაბეჭდილებას ტოვებს იგივე სარიანის სურათი „მინა“. ეს სურათი ნათელი, ტალღისებური ზოლებითაა დაფარული — რიტმი აქ სხვაგვარია.

ამგვარივე ტალღისმაგვარი რიტმია დაჭერილი ბრწყინვალე სომეხი მხატვრის მინას ავეტისიანის ნახატებში. მის ნახატში „მშობლები“ (1962) დედა და მამა გამოხატული არიან სომხური პეიზაჟის ფონზე. გასაკვირია ის ამბავი, რომ სომხური ბუნების რიტმი თითქოს ადამიანების სულიერ რიტმშიც მეორდება. მთებიც კი, სურათში „მშობლები“, შრომითი რიტმის ტალღებადაა ქცეული.

სომხეთის შრომითი რიტმი საოცრად მრავალფეროვანია. სარიანის ნახატში „შუადღის სიჩუმე“ (1924) მინაზე თითქოს დამუშავებული ველ-მინდვრების კვადრატებია გაფენილი, გეგონება, ნაირფერი ხალიჩებია გამოტანილი გასაშრობადო. მთების და კლდეების რიტმი თითქოს ეთანადება და ამავდროს ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

მე გული მწყდება იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში არა ვარ ნამყოფი და ცალ-ცალკე, თითოეულ მათგანზე ლაპარაკი არ შემიძლია. თითოეულ მათგანს თავისებური ხიბლი გააჩნია, ეს ხიბლი კი ეროვნული კულტურის ისეთივე ელემენტია, როგორც სხვა ყველაფერი.

არ გაუფრთხილდე საკუთარ ბუნებას, ეს იგივეა, არ გაუფრთხილდე საკუთარ კულტურას. იგი ხომ ხალხის სულს გამოხატავს.

### ბალები და პარკები

ადამიანის და ბუნების ურთიერთზემოქმედება ყოველთვის როდი გრძელდება ასწლეულების და ათასწლეულების მანძილზე, ყოველთვის როდი ატარებს „არაცნობიერ ბუნებრივ“ ხასიათს. ბუნებაში კვალს მხოლოდ გლექსკაცის შრომა როდი ტოვებს და მისი გარჯა მხოლოდ ბუნების ზეგავლენას როდი განიცდის. ზოგჯერ ადამიანი ცნობიერად მი-

ისწრაფის გარდაქმნას მისი გარემომცველი ლანდშაფტი, — აშენებს ბალებს და პარკებს.

ბალები და პარკები ქმნიან ადამიანის და ბუნების ერთგვარ „იდეალურ“ ურთიერთზემოქმედებას. ეს ურთიერთზემოქმედება „იდეალურია“ კაცობრიობის ისტორიის ყოველი ეტაპისათვის, ყოველი შემოქმედისათვის, ვინც კი მებაღეობას მისდევს.

აქ მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ბალების და პარკების ხელოვნებაზე. ეს ხელოვნება ყოველთვის ბოლომდე როდი ესმოდათ სპეციალისტებს (მებაღეობის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს).

ბალების და პარკების ხელოვნება — ყველაზე უფრო მიმზიდველი და შთამბეჭდავი ხელოვნებაა. ამგვარი მტკიცება ერთი შეხედვით უცნაურია, თითქოს ძნელია დაეთანხმო მას, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იყოს ბალების და პარკების ხელოვნება პოეზიაზე, ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე, თეატრზე, ფერწერაზე და სხვ. უფრო ქმედითი? ჩაუფიქრდით პირუთვნელად და გაიხსენეთ, რა შთაბეჭდილება მოგანიჭათ ყველაზე უფრო ძვირფასი, თუნდაც მოუვლელი, ალაღბებზე მიგდებული ისტორიული პარკების ნახვამ.

თქვენ მიდხართ პარკში, რათა დაისვენოთ, თავისუფლად მიეცეთ შთაბეჭდილებებს, ჩაყლაპოთ სუფთა ჰაერი, დატკბეთ გაზაფხულის ან შემოდგომის, ბალახის და ყვავილების სურნელით. თქვენ ირგვლივ პარკია. თქვენ და პარკი ერთურთის პირისპირ დგახართ. პარკი თვალს გტაცებთ, ათვალეერებთ ახალ-ახალ ხედებს — მდელოებს, ბოსკეტებს, ხეივნებს, — თქვენ ირგვლივ სინყნარეა, და ამ სინყნარეში მკაფიოდ ისმის გაზაფხულის ფოთოლთა შრიალი ან შემოდგომის დაცვენის ფოთლების შარიშური, ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, სადღაც გაიტკაცუნა ტოტმა, შორიდან რაღაც ხმები აღწევს და თქვენც სივრცისა და სილალის უჩვეულო განცდა გეუფლებათ. თქვენი ყველა გრძნობა მზადაა შთაბეჭდილებების მისაღებად და ამ შთაბეჭდილებათა მონაცვლეობა უჩვეულო ფერთა, ბგერათა, განცდათა სიმფონიას ქმნის.

მაგრამ რა შუაშია აქ ადამიანი? — მკითხავენ მე. ყოველივე ამას ხომ ბუნება გვანვდის, იგივე განცდები შეიძლება გვექონდეს სხვაგანაც (არა მხოლოდ პარკში), ბუნების ნიაღში, — ტყეში, მთებში, ზღვის პირას.

არა! ბალები და პარკები ის დიდი ზღვარია და მიჯნა, სადაც ადამიანი და ბუნება ერთიანდება. ბალები და პარკები ერთნაირად დიდფასეულია ქალაქში და ქალაქგარეთაც. შემთხვევითი არაა, რომ მოსკოვის ირგვლივ ამდენი მშვენიერი პარკია და არც ისაა შემთხვევითი, რომ პარკების გაშენებამ ბევრი მემამულე გააღარიბა. არაფერია იმაზე უფრო მიმზიდველი და ამაღელვებელი, ვიდრე რაღაც ადამიანურის შეტანა ბუნებაში და პირუკუ, ბუნების „ხელკავით“ შემოყვანა ადამიანთა საზოგადოებაში: რაც უფრო ველურია ბუნება, მით უფრო მძაფრია და ღრმა მისი თანამშრომლობა ადამიანთან. აი, რატომ ახდენს ესოდენ დიდ შთაბეჭდილებას ვორონცოვის მიერ გაშენებული ყირიმის პარკი ალუპკაში და ვიბორგის პარკი „მონ რეპო“ ბარონ ნიკოლაის მამულში. ალუპკაში პარკის ზემოთ მთებია მოჯარული, ქვემოთ შავი ზღვის ტალღები ემსხვრევა გიგანტურ ლოდებს. პარკში „მონ რეპო“ გრანიტის წითელ კლდეებზე ფიჭვები იზრდება და ირგვლივ უსასრულო სივრცეა გაშლილი. შორს ზღვის ფერადოვნებაში მოლივლივე კუნძულები მოჩანს. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნების სიდიადესთან ერთად აქაურობას ადამიანის გონიერი ხელიც დასტყობია. მყუდრო სასახლეები სასიამოვნოდ ამკობენ პირველქმნილი ლანდშაფტის ველურ იერს.

პეტრეს არხებით გამოჰყავდა ზღვის წყალი თავის ქალაქგარეთა სასახლეების პარკებში — ახალ პეტერგოფში, სტრელნში, ორანიენბაუმში. არხები სასახლეებსა და პარკებს აკავშირებდნენ ზღვასთან, არა მხოლოდ წყლის მეშვეობით, არამედ ჰაერითაც — ზღვისკენ გახსნილი სივრცით.

არის კიდევ ერთგვარი გარემო, რომელსაც ადამიანს ალბათ მარტოოდენ პარკი უქმნის. ეს არის ისტორიული დროის, მოგონებებისა და პოეტური ასოციაციების გარემო.

ისტორიული მოგონებები და პოეტური ასოციაციები სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად ადამიანურებს ბუნებას პარკებსა და ბალებში, რაც მათ არსსა და თავისებურებას წარმოადგენს. პარკები ღირებულია არა მხოლოდ იმით, რაც ახლა არსებობს, არამედ იმითაც, რაც იყო მათ ნიაღში. დროის პერსპექტივა იქ არსებულ მხედველობით პერსპექტივაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. „მოგონებანი ცარსკოე სელოში“ — ასე უწოდა პუშკინმა თავის ადრეულ ლექსთა შორის უმჯობეს ლექსს.

წარსულისადმი მიმართება ორგვარია: წარსულს შეიძლება ვუყუროთ როგორც სანახაობას, თეატრს, წარმოდგენას, დეკორაციას, ანდა როგორც საბუთს. პირველი მიმართება ცდილობს აღადგინოს წარსული, ააღორძინოს წარსულის ხატი. მეორე კი ცდილობს შეინარჩუნოს წარსული, თუნდაც მისი ცალკეული ნაშთები. პირველისათვის ბალებისა და პარკების ხელოვნებაში მთავარია მისცეს ბალსა თუ პარკს ის გარეგანი სახე, რომელიც ჰქონდა მას ამა თუ იმ დროს. მეორესათვის მთავარია დროის შეგრძნება, დოკუმენტალობა. პირველი იტყვის: ის ასეთი იყო. მეორე ადასტურებს: ეს სწორედ ისაა, შესაძლოა ბალი თუ პარკი სულ ასეთი არ იყო, მაგრამ ეს ნამდვილად ის ბალია, ის ცაცხვებია, ის ნაგებობებია, ის ქანდაკებებიაო. მეორე მიმართება უფრო შემწყნარებელია პირველის მიმართ, ვიდრე პირველი მეორის მიმართ. პირველი მიმართება წარსულისადმი მოითხოვს აჩიხხოს ხეივანში ძველი და დაირგოს ახალი ხეები: ასე გამოიყურებოდაო ხეივანი. მეორე მიმართება უფრო რთულია — ყველა ძველი ხის შენარჩუნებას მოითხოვს და მიიჩნევს, რომ ამ ხეებს უნდა გაუხანგრძლივდეს სიცოცხლე, ხოლო მკვდარი ხეების ადგილზე ახალი ხეები უნდა დაირგოს. ნორჩ ხეებს შორის მოქცეული ორი თუ სამი ფულუროიანი ცაცხვი დაადასტურებს ძველი ხეივნის არსებობას. ნორჩ ხეებს ზრუნვა არ სჭირდებათ: ისინი სწრაფად იზრდებიან და მალე ხეივანი ძველებურ იერს შეიძენს.

მაგრამ წარსულისადმი ამ ორგვარ მიმართებაში არსებობს კიდევ ერთი არსებითი განსხვავება. პირველს ასეთი მოთხოვნა ექნება: შევინარჩუნოთ მხოლოდ ერთი ეპოქა — ეპოქა პარკის აშენებისა ან მისი

აყვავებისა, ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენისა. მეორე იტყვის: დე, ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეპოქა ცოცხლობდესო. ღირებულება პარკის მთლიანი სიცოცხლე, ღირებულება მოგონებები, სხვადასხვა ეპოქები, ღირებულება არიან სხვადასხვა პოეტები, რომლებმაც ამ ადგილებს უმღერეს. ამიტომ ის მოითხოვს არა ძველის აღდგენას, არამედ მის შენარჩუნებას. პირველი მიმართულების თაოსანი რუსეთში ალექსანდრ ბენუა გახლდათ, იგი განადიდებდა დედოფალ ელისაბედის ეპოქას და ცარსკოეში მის მიერ გაშენებულ ეკატერინეს პარკს; მასთან პოეტური დავა გამართა ახმატოვამ, რომლისთვისაც ცარსკოეში მთავარი იყო პუშკინი და არა ელისაბედი:

«Здесь лежала его треуголка и растрепанный том Парни».

დიახ, თქვენ სწორად მიმიხვდით: მე წარსულის ძეგლებისადმი მეორე მიმართების მომხრე ვარ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე მიმართება უფრო შორსმჭვრეტელია, უფრო ფრთხილი და შემწყნარებელი, არამედ იმის გამოც, რომ ეს მიმართება ადამიანისგან მძლავრ წარმოსახვის უნარს და შემოქმედებით აქტივობას მოითხოვს.

წარსულისადმი პირველი მიმართება, კაცმა რომ თქვას, ქმნის სახელმძღვანელო მაკეტებს: ნახეთ და იცოდეთო. მეორე მიმართება მოითხოვს სიმართლეს, ანალიტიკური აზროვნების უნარს: საჭიროა საგანს სიახლე ჩამოაცილო, წარმოიდგინო, რა ვითარება იყო აქ, ერთი სიტყვით, კვლევა-ძიება ჩაატარო. ეს მეორე მიმართება მეტ ინტელექტუალურ დისციპლინას, მეტ ცოდნას მოითხოვს თვით მნახველისაგან: ნახეთ და წარმოიდგინეთო. ეს ინტელექტუალური მიმართება წარსულის ძეგლებისადმი ადრე თუ გვიან ისევ და ისევ წარმონდობა ხოლმე. შეუძლებელია ჭეშმარიტი წარსული მოაკვდინო და შეცვალო იგი თეატრალიზებული წარსულით, მაშინაც კი, როცა თეატრალურმა რეკონსტრუქციამ გაანადგურა ყველა საბუთი, მაგრამ ადგილი დარჩა: აქ, ამ ნიადაგზე, ამ გეოგრაფიულ წერტილში რაღაც იყო, რაღაც მოხდა. სიძველეთა თეატრალიზება იგრძნობა მემორიალურ სახლ-მუზეუმებში. ძველ ოთახებში შეაქვთ

ხოლმე იმავე ეპოქის შესატყვისი ავეჯი და საგნები, რომელთა შორის ნამდვილი, ძველისძველი ნივთები იკარგება, აღარ ჩანს. ამ ვითარებაში მნახველი ველარ არკვევს, რომელია ნამდვილი და რომელი გარედან შემოტანილი ნივთი, სამელნე იქნება ეს თუ კარადა. შეიძენენ ნივთების კარადას ზუსტად ისეთივეს, როგორც იყო ნამდვილი, გაივლის დრო და ველარ არჩევენ ნამდვილს შეძენილისაგან, აღარ იციან, რომელი ნივთი ეკუთვნოდა ამ მემორიალური ბინის მფლობელს. ეს შემთხვევა გამოგონილი არ არის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ასეთი შერჩევის პრინციპი განა მართებულია? რაღა მაინცდამაინც „იმავე ეპოქის“ ნივთებს ვარჩევთ? განა მწერალს ან პოლიტიკურ მოღვაწეს აუცილებლად იმავე ეპოქის ნივთებს შორის უნდა ეცხოვრა? განა არ შეიძლება მას ძველისძველი ან ბავშვობისდროინდელი ნივთები ჰქონოდა სახლში? ან კი ვის შეუძლია იმის მტკიცება, რომ ეპოქა სწორადაა აღდგენილი, სწორადაა განლაგებული საგნები და შინაურული გარემოა შექმნილი?

თეატრალიზება თავს იჩენს ხოლმე არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის დროსაც. ნამდვილი საგნები ვარაუდით აღდგენილი საგნების ჩრდილშია მოქცეული. რესტავრატორები ენდობიან შემთხვევით ცნობებს, თუკი ამ ცნობებში აღსადგენი ძეგლის საუკეთესო ვარიანტია მოცემული. ამგვარადაა აღდგენილი, მაგალითად, ექვთიმეს სამრეკლო ნოვგოროდში: აქ სვეტზე პატარა ტაძარი დგას. ეს ხომ ნოვგოროდისა და XV საუკუნისათვის სავსებით უცხო რამაა.

ვინ მოთვლის, რამდენი ძეგლი დალუპეს რესტავრატორებმა XIX საუკუნეში, დალუპეს იმით, რომ ამ ნაგებობებში ახალი დროის ესთეტიკის ელემენტები შეიტანეს. რესტავრატორები სიმეტრიისათვის იბრძოდნენ იქ, სადაც სიმეტრია სტილის — ვთქვათ, რომანულის თუ გოთურის — სავსებით საპირისპირო რამ იყო, ცდილობდნენ ცოცხალი ხაზი მათემატიკურად გამოთვლილი, გეომეტრიული სწორი ხაზით შეეცვალა და ა. შ. ასე გაუფერულდა კელნის ტაძარი, პარიზის ნოტრდამი, სენ-დენის სააბატო. გაუფერ-

ულდა და დაკონსერვდა გერმანიის ძალზე ბევრი ქალაქი — განსაკუთრებით გერმანიის წარსულის იდეალიზაციის ხანაში.

ყოველივე ამას ტყუილად როდი ვწერ. წარსულთან მიმართება საკუთარ ეროვნულ იერს აყალიბებს. ეს იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი წარსულის და ეროვნული ხასიათის მატარებელია. ადამიანი საზოგადოების და მისი ისტორიის ნაწილია.

არცერთი პრინციპი არ უნდა მოვიხმაროთ უაზროდ და მექანიკურად. ფსკოვის ოლქის პუშკინისეულ ადგილებში — მიხაილოვსკოეში, ტრიგორსკოეში, პეტროვსკოეში — ნაწილობრივი თეატრალიზაცია აუცილებელია. წარსულს მიბარებული სახლები და ქოხები იქპეიზაჟის ორგანული ნაწილი იყო. ოსიპოვებულფის სახლის გარეშე ტრიგორსკოე ტრიგორსკოე აღარაა. ამ სახლის აღდგენა — ისევე როგორც მიხაილოვსკოეს და პეტროვსკოეს სახლების აღდგენა როდი სპობს სინამდვილეს. ამჯერად ძველი ხეები კი არ გაანადგურეს, არამედ მხოლოდ ბურქები და ნორჩი ხეები. ამით ძველი სახლების აღდგენა მიხაილოვსკოეს ადგილებში პრინციპულად განსხვავდება პუშკინოში პარკების განახლებისაგან, რაც რამდენიმე წლის წინათ მოხდა. პუშკინისეულ ადგილებში აღდგენა მიმდინარეობდა, პუშკინოში კი ჩეხდნენ...

ყოველ ადამიანს საკუთარი თავის რომელიმე მხარის თეატრალიზება ძალუძს. შეგიძლიათ რუსულ ყაიდაზე მოუშვათ წვერი და ატაროთ ხიფთანი, თქვენი თავი სანახაობად აქციოთ, მაგრამ საკუთარი ეროვნულობისადმი სხვაგვარი მიმართებაც არსებობს: ჩვენ შეგვიძლია ვაფასებდეთ ჩვენს თავში ნამდვილ კავშირს საკუთარ სოფელთან, ქალაქთან და ქვეყანასთან, ვინახავდეთ და ვხვენდეთ საკუთარი ხალხის უმჯობეს მხარეებს, კეთილ ეროვნულ თვისებებს, ღრმა მენტალობას, ენის გრძნობას, ისტორიის, მშობლიური ხელოვნების ცოდნას და ა. შ. ადამიანის გონითი ცხოვრების სფეროში უნდა მოექცეს საკუთარი ქვეყნის ისტორიული ცხოვრება, უფრო მაღალ საფეხურებზე კი — მთელი სამყაროს განვითარება.

ვინმე იკითხავს, რაღა შუაშიაო აქ ბალი

და პარკი, რაზედაც ამ თავის დასაწყისში მქონდა ლაპარაკი? საქმე ისაა, რომ წარსულისა და აწმყოს კულტურა იგივე ბალი და პარკია. შემთხვევითი როდია, რომ კაცობრიობის „ოქროს ხანა“, „ოქროს ბავშვობა“ — შუა საუკუნეების სამოთხე — ასოციაციით ყოველთვის ბალთან იყო დაკავშირებული. ბალი იდეალური კულტურაა, ეს არის კულტურა, რომელშიც გაკეთილშობილებული ბუნება იდეალურად ერწყმის მასთან კეთილად განწყობილ ადამიანს.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ დოსტოვესკი ოცნებობდა პეტერბურგის დროისგასატარებელი ადგილები ბალნარად ექცია. მას სურდა იუსუპოვის ბალი მიხაილის ბალთან შეერწყა, აეყვავებინა მარსის ველი და შეერია იგი ზაფხულის ბალთან, გაეშენებინა ბალნარი იქ, სადაც ყველაზე გაცხოველებული სავაჭრო ცენტრი იყო, ხოლო იქ, სადაც მოხუცი მეფახმე ქალი და როდიონ რასკოლნიკოვი ცხოვრობდნენ, თავისებური სამოთხის გაშენება ჰქონდა განზრახული. დოსტოვესკისთვის ორი პოლიუსი არსებობდა დედამიწაზე — პეტერბურგი სენნაისთან და ბუნება, მსგავსი კლოდ ლორენის პეიზაჟებისა, ოქროს ხანას რომ ასახავს. დოსტოვესკის ძალზე უყვარდა ლორენი, რადგან ამ მხატვრის ტილოებში ცხოვრების საოცარ იდეალობას პოულობდა.

შეგინიშნავთ თქვენ თუ არა, რომ დოსტოვესკის „იდიოტის“ ყველაზე უფრო ნათელიეპიზოდი — თავად მიშკინის და აგლაიას პაემანი პავლოვსკის პარკში შედგა? არც შეიძლებოდა სხვაგან შემდგარიყო. სწორედ ამ პაემანისთვის სჭირდებოდა დოსტოვესკის პავლოვსკი. მთელი ეს სცენა თითქოს პავლოვსკის წარმტაც პეიზაჟშია ჩანსული.

ყველაზე უფრო ბედნიერი წუთი ობლომოვის ცხოვრებაში — სიყვარულის ახსნა — ასევე ბალში ანიჭებს რომანის მთავარ გმირს აღმაფრენას.

პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილში“ მაშა მირონოვას დავიდარაბის გასრულება ასევე ეკატერინეს პარკის „ლორენისეულ“ ადგილებში მოხდა. სწორედ იქ შეიძლებოდა მომხდარიყო ყოველივე და არა სასახლეში.

## რუსეთის ბუნება და პუშკინი

კლოდ ლორენი? მაგრამ რა შუაშია აქ რუსული ხასიათი და რუსული ბუნება? იკითხავთ თქვენ. მცირედი მოითმინეთ და ყოველივე თავის ადგილას დადგება.

ჩვენში პრიმიტიული წარმოდგენა აქვთ ბალებისა და პარკების ისტორიაზე. ჯერ იყო რეგულარული პარკი, შემდეგ პეიზაჟური. XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსოს იდეების ზეგავლენით მეორე ტიპის პარკი მკვეთრად ცვლის პირველს. პეტრემდელ რუსეთში ვითომდაც მხოლოდ უტილიტარული ბალები იყო, ხარობდა ბოსტნეული, ხილი და კენკროვანი მცენარეულობა. ესაა და ეს. სინამდვილეში კი ბალების და პარკების ხელოვნების ისტორია გაცილებით რთულია.

XIII ს. ძველში „ამბავი რუსეთის მიწის აღსასრულისა“ სხვა წარმტაც მშვენებათა შორის რუსეთის სამონასტრო ბალებიცაა ნახსენები. სამონასტრო ბალები რუსეთში ძირითადად ისეთივე იყო, როგორც დასავლეთში. მათ გარს ერტყა მონასტრის გალავნები. ეს ბალები თავისებურ მინიერ სამოთხეს, ედემს გამოხატავდა, მონასტრის გალავანი კი — სამოთხის გალავანს! სამოთხის ბაღში სამოთხის ხეებიც უნდა ყოფილიყო — ვაშლის ხეები და ვაზი. სხვადასხვა დროს სამოთხის ხე (ხე კეთილისა და ბოროტისა) სხვადასხვანაირად ესმოდათ. აქ ყველაფერი თვალის და ყურის მამებელი უნდა ყოფილიყო: ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი, წყლის ჩხრიალი, ექო, ყვავილებისა და ბალახების სურნელი და გემრიელი, იშვიათი ხილი. ამ ბალებში იყო სიუხვე და მრავალფეროვნება, როგორც სიმბოლო ქვეყნიერების სიუხვისა და მრავალფეროვნებისა. ბალებს თავიანთი მნიშვნელობა, თავიანთი სემანტიკა ჰქონდათ.

მონასტრებს გარეთ წარმართობის დროიდან შემონახული, უკვე „გაქრისტიანებული“ ჭალაკია. ჩვენ ძალზე ცოტა ცნობები მოგვეპოვება მეჩვიდმეტე საუკუნემდელ რუსულ ბალებზე, მაგრამ ერთი რამ ნათელია — „სამოთხის ბალები“ მხოლოდ მონასტრებში კი არ იყო, არამედ თავადთა სოფლებშიც. ბალები იყო გაშენებული კრემლებში, ბალები ჰქონდათ მოქალაქეებს სივინროვის მიუხედავად.

XVII საუკუნეში რუსეთში ჰოლანდიელ-

თა გავლენით ბაროკოს ტიპის ბალები ჩნდება.

საქმე ისაა, რომ თავისი ხასიათით ბალები სრულიადაც არ იყოფა მხოლოდ და მხოლოდ რეგულარულ და პეიზაჟურ ბალებად. ეს ძველი ხელოვნებათმცოდნეობითი მითია, რომელიც ახლა ხელოვნებათმცოდნეების მრავალრიცხოვანმა გამოთვლებმა გააქარწყლა. ბალების და პარკების ხელოვნება ვითარდება სხვა ხელოვნებებთან და განსაკუთრებით პოეზიასთან კავშირში. არსებობს რენესანსული, ბაროკოს, როკოკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ბალები. ყოველ ცნობილ სტილში შეიმჩნევა ეროვნული თავისებურებები, ეროვნულ სტილში კი — ცალკეული მებაღეების ხელწერა (ჯონ ეველინი XVII საუკუნის მიწურულს წერდა: „როგორცაა მებაღე, ისეთივეა ბაღი“). არსებობს, მაგალითად, ფრანგული კლასიციზმის ბალები (ლენოტერის მიერ შექმნილი ვერსალის ბაღი), არის ჰოლანდიური ბაროკოს ბალები.

ის მრავალრიცხოვანი ცნობები XVII საუკუნის ბალების შესახებ, რომელიც XIX საუკუნეში გამოაქვეყნა, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ვერ გაიაზრა ისტორიკოსმა ი. ზაბელინმა, ნათელყოფს იმას, რომ XVII საუკუნის შუა წლებიდან ჩვენთან, მოსკოვში, მებაღეობაში ჰოლანდიური ბაროკოს სტილი შემოიჭრა.

მოსკოვის კრემლში ბალები შენდებოდა სხვადასხვა სიმაღლეზე, ტერასებად, როგორც ამას ჰოლანდიური გემოვნება მოითხოვდა. მათ კედლებით ღობავდნენ, ფანჯატურებითა და კოშკებით ამშვენებდნენ. ასევე სხვადასხვა სიმაღლეზე გახლდათ შიგ უზარმაზარი გუბურებიც, სადაც სასაცილო ფლოტილები დაცურავდნენ. ყუთებში ახარებდნენ იშვიათ მცენარეებს (მაგალითად, ასტრახანის ყურძენს), აბრეშუმის უზარმაზარ გალიებში გალობდნენ ბულბულები და მწყრები (მწყრების გალობა ბულბულთა გალობის ტოლფასად მიიჩნეოდა), ბალებში იზრდებოდა სურნელოვანი ბალახი და ყვავილები, კერძოდ, ყველასთვის საყვარელი ჰოლანდიური ტიტა (ტიტას ბოლქვი სწორედ XVII საუკუნის შუა წლებში გაძვირდა), ცდილობდნენ თუთიყუშებიც ჰყოლოდათ და ა. შ.

მოსკოვის ბაროკოს სტილის ბალები თავისი ირონიული ხასიათით განსხვავდებოდა რენესანსულისაგან. ამ ბალებში ჰოლანდიურის მსგავსად იმ თვალნარმტაც სურათებს ნახავდა კაცი, მაცდური პერსპექტიული ხედები რომ ჰქონდათ.

ყოველივე ეს შემდგომ პეტრემ პეტერბურგშიც გადაიტანა. პეტრესეულ ბალებს დაემატა სკულპტურა, რომლებსაც მოსკოვში „იდეოლოგიური“ მოსაზრებების გამო უფრო ხოლოდნენ: კერპებად არ მიიჩნეოდნენ. ბალებს დაემატა აგრეთვე ერმიტაჟები — სრულიად სხვადასხვა სახის და დანიშნულების მქონენი.

ასეთივე ირონიული ბალები, როკოკოს ზეგავლენა რომ ეტყობოდა, შენდებოდა ცარსკოე სელოში. ეკატერინეს სასახლის ფასადის წინ გაშენდა ჰოლანდიური ბაღი. ამ სახელს ბაღი XX საუკუნის დასაწყისშიც ინარჩუნებდა (ჰოლანდიურ ბაღში პაემანებს ნიშნავდნენ ხოლმე). ეს იყო არა მხოლოდ ბაღის სახელი, არამედ მისი დახასიათებაც. ეს იყო განმარტოების და მრავალფეროვნების ბაღი, ჰოლანდიური ბაროკოს ბაღი, შემდგომ კი — როკოკოსი, რომელიც ისწრაფვოდა ადამიანი გაემხიარულებინა და განმარტოებაც შეექმნა მისთვის — თუმცა ეს განმარტოება ფილოსოფიური კი არ იყო, შეყვარებულთა განმარტოება გახლდათ. მალე ჰოლანდიურ ბაროკოს ბაღს გარს შემოერთდა დიდი, ფართე წინარეომატიკული პარკი, რომელშიაც „ბაღის იდეოლოგია“ კვლავ ეზიარა სიდიდეს. აქ მეტი წილი უკვე მოგონებებს ეკუთვნოდა — გმირულს, ისტორიულს და წმინდა პიროვნულს, აქ არსებობის უფლება მოიპოვა გრძნობიერებამ, ხელახლა აღდგა ბალებიდან განდევნილი ბაროკო და მათში გამასხრებელი სერიოზული მედიტაციურობა.

თუ რუსეთის ბაღებისა და პარკების ხელოვნების ამ უმოკლესი მიმოხილვის შემდეგ მივმართავთ პუშკინის ლიცეუმში სწავლის დროს დაწერილ ლექსებს, ჩვენ იქ ვიპოვით როკოკოს ბაღებისა და რომანტიზმის წინარე პერიოდის მთელ სემანტიკას. ამ ლექსებში პუშკინი ავითარებს თავის „ირონიულ ბერად ყოფნის“ თემას („იცოდე, ნატალია... ბერი ვარ!“), ბაღში შეყვარებულთან ან მეგობრებთან ერთად

განმარტოებაზეც ხშირად წერს. ლიცეუმში პუშკინისათვის თავისებური მონასტერი იყო, საკუთარი ოთახი კი — სენაკი. ეს ნათქვამია სერიოზულად და ირონიულადაც. თავად პუშკინი თავის ლექსებში წარმოგვიდგება როგორც სამონასტრო წესდების დამრღვევი (ქეიფი და აშიკობა). ეს თემატიკა ხარკია, რომელსაც პოეტი როკოკოს უხდის. მაგრამ პოეტი რომანტიზმისწინარე დროის პარკებსაც უხდის ხარკს — ესაა მისი ცნობილი „მოგონებანი ცარსკოე სელოში“, სადაც მოგონებები რუსეთის გამარჯვებათა ძეგლებია და სადაც გვხვდება ოსიანიური მოტივები (კლდეები, ხავსი, „ჭალარა ტალღები“, რასაც სინამდვილეში ვერ ნახათ ცარსკოე სელოს დიდ ტბაზე).

რუსეთის ბუნება პუშკინმა მიხაილოვსკოეში აღმოაჩინა. მიხაილოვსკოე და ტრიგორსკოე ის ადგილებია, სადაც რუსული პოეზიის კოლუმბმა რუსეთის მარტივი პეიზაჟი შენიშნა. სწორედ აქ ჰპოვეს ნავსაყუდელი პუშკინის „პოეტურმა კარაველებმა“. აი, რატომაც რუსი კაცისთვის მიხაილოვსკოე და ტრიგორსკოე ისევე წმინდა, როგორი წმინდაც იყო ამერიკაში გადასახლებულთათვის ის ნაპირები, სადაც კოლუმბმა და მისმა ესპანელმა თანამგზავრებმა პირველად დადგეს ფეხი. მიხაილოვსკოესა და ტრიგორსკოეს ბუნებას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ხეს, ტყეს, ტბას და, უწინარეს ყოვლისა, მდინარე სოროტს, რადგან, ვიმეორებ, აქ მოხდა რუსული ბუნების პოეტური აღმოჩენა.

პუშკინმა ბუნებისადმი თავის პოეტურ მიმართებაში გაიარა გზა როკოკოს სტილის ჰოლანდიური და რომანტიზმის წინარე სტილით შესრულებული ეკატერინეს ბალებიდან მიხაილოვსკოეს და ტრიგორსკოეს წმინდა რუსულ ლანდშაფტებამდე.

ამ ლანდშაფტებს გარს არ ერტყა ზღუდეები, ისინი თავადი ქალის ოლღას დროიდან, უფრო ადრეული ხანიდანაც კი, ფსკოველების მიერ იყო რუსულ ყაიდაზე გასაცხოვრისებული, მოვლილი, „ნალოლიავები“ და შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რუსული „ისტორიული ბუნების“ გარემოში (ისტორია კი, როგორც ვნახეთ,

რუსული ბუნების მთავარი ელემენტი) იმვენ პუშკინის ისტორიული ნაწარმოებები — უწინარეს ყოვლისა კი „ბორის გოდუნოვი“.

მინდა მოვიყვანო ერთი დიდი და ისტორიულად გავრცობილი ანალოგია. სასახლის მახლობლად მუდამ არსებობდა მეტნაკლებად ვრცელი რეგულარული ბალები. ხუროთმოძღვრება უკავშირდებოდა ბუნებას ბალის ხუროთმოძღვრული ნაწილითვე. ასე იყო მაშინაც, რომანტიკული პეიზაჟური ბალები რომ შემოვიდა მოდამი. ასე იყო პავლეს დროსაც, ასე იყო XIX საუკუნის სათავადაზნაურო კარმიდამოებშიც. სასახლის მოშორებით უფრო ხალასი, ჭეშმარიტი და წარმტაცი ბუნება იყო. რენესანსის ეპოქაშიაც კი იტალიაში, რენესანსული არქიტექტურული ბალების ფარგლებს გარეთ ბატონის კუთვნილი მშენიერი სასაფლაო ადგილ-სანახები არსებობდა. რაც უფრო გრძელი იყო სასაფლაო გზა, რაც უფრო შორდებოდა ადამიანი თავის სახლს, მით უფრო ფართოდ იშლებოდა მის წინაშე მშობლიური ბუნება, მით უფრო ვრცელი და სახლთან მოახლოებული ხდებოდა მისი პარკების ბუნებრივი, პეიზაჟური ნაწილი. პუშკინმა ბუნება თავდაპირველად ცარსკოე სელოს პარკებში, სასახლესა და ლიცეუმის სიახლოვეს აღმოაჩინა, მერე კი გასცდა „მოვლილი ბუნების“ საზღვრებს, ლიცეუმის რეგულარული ბალიდან ჯერ პარკში გადაინაცვლა, მერე რუსეთის სოფელში. ასეთია პუშკინის პოეზიის პეიზაჟური გზა, — ბალიდან პარკისაკენ, პარკიდან კი რუსული სოფლის ბუნებისაკენ. შესაბამისად ღრმავდებოდა ბუნების პუშკინისეული ეროვნული ხედვა.

მიხაილოვსკოესა და ტრიგორსკოეში, და საერთოდ ყოფილი ფსკოვის გუბერნიის პუშკინისეულ ადგილებში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება შეცვალაოთ რაიმე ჩვენთვის სასუკვარ სამახსოვრო საგანში. აქ ძვირფასი ჩარჩოც კი არ ივარგებს, რადგან პუშკინისეული ადგილები მხოლოდ შუაგულია რუსული ბუნების იმ ფართო მონაკვეთისა, რომელსაც ჩვენ რუსეთს ვუნოდებთ.

## ეროვნული იდეალი და ეროვნული სინამდვილე

როგორღა უნდა შეფასდეს დოსტოვესკის თვალსაზრისი რუს ადამიანებზე, რომლის თანახმადაც რუს ადამიანს მოსდგამს შეუკავებელი ლტოლვა ერთი უკიდურესობიდან მეორემდე, „ინტელექტუალური ისტერიკა“, უკომპრომისობა, რაც ძნელად ასატანია მისთვისაც, სხვებისთვისაც და ა.შ.?

აქ კითხვაზე კითხვით ვუპასუხებ: რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ დოსტოვესკის თვალსაზრისი რუს ადამიანზე სწორედ ასეთია? განა იმიტომ, რომ ამგვარი ხასიათისანი არიან დოსტოვესკის გმირები? განა იმიტომ, რომ ასე მსჯელობენ რუს ადამიანებზე დოსტოვესკის თხზულებათა ცალკეული პერსონაჟები? განა შეიძლება ნაწარმოების გმირების და მათი გამონათქვამების მიხედვით ვიმსჯელოთ თავად ავტორის შეხედულებებზე? ასეთ შემთხვევაში ჩვენ გავიმეორებდით მრავალი ფილოსოფოსის შეცდომას, დოსტოვესკის მსოფლმხედველობაზე რომ წერდნენ და რომელიმე ნაწარმოების გმირთა გამონათქვამებს თავად მწერლის შეხედულებებს უიგივებდნენ.

დიმიტრი კარამაზოვის მსგავსი რუსი ადამიანები, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ რუსეთში, მაგრამ რუსი ადამიანის იდეალი დოსტოვესკისათვის პუშკინი იყო. ეს მან მტკიცედ და ნათლად განაცხადა თავის ცნობილ სიტყვაში პუშკინზე. დოსტოვესკისათვის რუსი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, „ყოვლად ევროპელი“ ადამიანია, ვისთვისაც მშობლიურია მთელი ევროპული კულტურა. მაშასადამე, დოსტოვესკისათვის რუსი კაცი წარმოადგენს მაღალი ინტელექტის, მაღალი სულიერი მოთხოვნილებების მქონე კაცს, რომელიც ითვისებს ევროპის ყველა ქვეყნის კულტურას, ევროპის მთელ ისტორიას და რომელიც სულაც არ გახლავთ შინაგანად წინააღმდეგობრივი, იდუმალეობით მოსილი.

განა გასაკვირია, რომ დოსტოვესკისთვის რუსი კაცის იდეალი გენიოსი იყო, პუშკინისთანა გენიოსი: დიდი ადამიანები ხომ ხალხის ყველაზე დიდი წარმომადგენლები არიან.

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას,

კიდევ ბევრი რამაა მოსააზრებელი, ამო-სახსნელი. იდეალი ყველასათვის ერთნაირი როდი იყო. ზოგისთვის, ვინც ნაკლებ დაფიქრებულა დიდი ხალხის ბედსა და თავისებურებებზე, ყოველივე რუსულის ტიპიური ნიმუში ნიკიტინის რიხიანი ვაჭარია, სხვებისათვის — სტენკა რაზინი (არა რეალური სტეფანე რაზინი, არამედ დ. სადოვნიკოვის სიმღერის სტენკა რაზინი), ზოგიერთისთვის ესაა გმირი, რომელსაც აღწერს რადიშჩევი თავის „მოგზაურობაში პეტერბურგიდან მოსკოვში“. მე კი ვამბობ — არ უნდა დავივიწყოთ რუსეთის ბუნება და ადამიანი ამ ბუნებაში: ვენეციანოვის გლეხები, მარტინოვის, ვასილიევის, ლევიტანის, ნესტეროვის რუსული პეიზაჟები, ბებია „ხრამიდან“, მრისხანე, მაგრამ მაინც კეთილი აბაკუმი, საყვარელი, ჭკვიანი, ქუდბედიანი ივანუშკა-სულელი, ნესტეროვის ტილოების სიღრმეში მოციმციმე ტანწერნეტა არყის ხეები.

ჩემი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ეროვნული იდეალი და ეროვნული ხასიათი. იდეალი ყოველთვის არ ემთხვევა სინამდვილეს, მეტსაც ვიტყვი — არც არასოდეს დამთხვევია სინამდვილეს. და მაინც, ეროვნული იდეალი ძალზე მნიშვნელოვანი რამაა. მაღალი ეროვნული იდეალის შემქმნელი ხალხი იმ გენიოსებსაც ქმნის, რომლებიც ამ იდეალს უახლოვდებიან. კულტურის სიმაღლე კი მისი უმაღლესი მიღწევების მიხედვით უნდა გავზომოთ, რადგან მხოლოდ მთის მწვერვალები დგანან საუკუნეებზე მაღლა, მხოლოდ ისინი ქმნიან კულტურის ქედს და მთაგრეხილს.

აბაკუმი, პეტრე I, რადიშჩევი, პუშკინი, დოსტოვესკი, ნეკრასოვი, სტასოვი, გერცენი, გორკი და სხვები ცდილობდნენ რუს ადამიანებში ეროვნული ნიშნები ეპოვათ და თავიანთ ნაწარმოებებში მათთვის ხორცი შეესხათ. პოულობენ კიდევ, მაგრამ ყველა თავისებურად. ეს დიახაც არ ამცირებს მათი ძიების მნიშვნელობას. არ ამცირებს, ვინაიდან და რადგან ეს მწერლები, მხატვრები, პუბლიცისტები წინ უძღოდნენ სხვებს, გეზს აძლევდნენ სხვათა ქცევას. მართალია, მათ ზოგჯერ სხვადასხვა გზით მიჰყავდათ ხალხი, მაგრამ მუდამ კი საერთო უბედურების ასაცილებლად — ეს იყო სულიერი სივინროვე და

გაქანების უქონლობა, მეშჩანობა, ყოველდღიურ საზრუნავში „უკომპრომისო“ ჩაძირვა, სულიერი სიძუნწე და მატერიალური სიხარბე, წვრილმანი ბოღმა და პირადი შურისმაძიებლობა, ნაციონალური და ნაციონალისტური შეზღუდულობის ყველანაირი გამოვლენა (ამის შესახებ მერე ვიტყვი).

თუკი ეროვნული იდეალი ჩვენ მუდამ მრავალფეროვანი და ფართო გვექონდა, ეროვნული ანტიიდეალი, ის, რაც გარკვეულ ბიძგს აძლევდა მწერლებსა და მხატვრებს — ასე თუ ისე მუდამ მყარი გახლდათ.

დამე მაინც ეროვნულ ვალზე ვილაპარაკებ, თუმცა ის ანტიიდეალზე ნაკლებ გარკვეულია. ეს ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს, უფრო მეტს იმიტომ, რომ შეიძლება მოულოდნელად თანამოაზრეებიც აღმომაჩნდეს. განა ცოტაა, ჩემი აზრი თუნდაც ორმა-სამმა კაცმა გაიზიაროს?

უპირველეს ყოვლისა, მე მსურს ვილაპარაკო იმ იდეალზე, რომლითაც სულდგმულობდა ძველი რუსეთი.

რაც უფრო ახლოს მივდივართ ძველ რუსეთთან და რაც უფრო ყურადღებით ვაკვირდებით მას (იმ ფანჯრიდან კი არა, პეტრემ ევროპაში რომ გაჭრა, არამედ ჩვენი დროიდან, როცა ევროპა ჩვენად აღვიქვით, როცა ევროპა თვითონაა ფანჯარა, საიდანაც ჩანს ძველი რუსეთი), მით უფრო ნათელი ხდება, რომ რუსეთში არსებობდა თავისებური და დიადი კულტურა — „სვეტლი იარის“ ღრმა ტბის კულტურა. ეს არის თითქმის უხილავი, ცუდად გაგებული, ცუდად შესწავლილი, კულტურის ჩვენი ევროპული საზომებით გაუზომავი კულტურა, რომელიც არ ემორჩილება ჩვენს შაბლონურ წარმოდგენებს კულტურის რაობაზე.

წარსულში ჩვენ შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ძველი რუსეთის კულტურა ჩამორჩენილი და თავის თავში ჩაკეტილი კულტურაა. იმისათვის რომ რუსულ კულტურას „წესიერი“ სახე მისცემოდა, რუსი ხალხი უნდა განთავისუფლებულიყო „ჩამორჩენილობისა“, „უღიმღამობისა“ და „უმეცრებისაგან“, აუცილებელი იყო „ევროპაში ფანჯრის გაჭრა“.

თუ დავეყრდნობით თანამედროვე წარმოდგენებს კულტურაზე, აღმოჩნდება,

რომ ძველი რუსეთის ჩამორჩენის ნიშნები მართლაც არსებობდა. მაგრამ, როგორც მოულოდნელად აღმოჩნდა XX საუკუნეში, ეს ნიშნები მთელ რუსეთში უთავსდებოდა მაღალფასეულ ხუროთმოძღვრებას, ხატწერას და კედლის მხატვრობას, დეკორატიულ ხელოვნებას, ქარგვასა და, როგორც ახლა ირკვევა — ძველ რუსულ საგუნდო მუსიკას და ლიტერატურასაც.

განა უფრო მართებული არ იქნება ვიფიქროთ, რომ ის დარგები, სადაც ჩამორჩენა შეიმჩნევა, არ გამოხატავენ ძველი რუსეთის კულტურის არსს და ამიტომ ეს კულტურა მათ საფუძველზე არ შეიძლება შეფასდეს?

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალები, კარგი იქნება თუ მივმართავთ „იზმარაგდს“ — ძველ რუსეთში, შემდეგ კი ძველმორწმუნეთა შორის გავრცელებულ ამ ერთ-ერთ ყველაზე საყვარელსა და ავტორიტეტულ საკითხავს. „იზმარაგდი“ უეჭველად უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე „დომოსტროი“. ოცდაათიანი წლის წინ ვ. ანდრეანოვსკერეტცმა „იზმარაგდის“ საფუძველზე გამოიკვლია ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალები, თუმცა რატომღაც ვერ შეძლო თავისი გამოკვლევის გამოქვეყნება.

მე არ გავიმეორებ ამ გამოკვლევის დასკვნებს და არც საკუთარი დასკვნებით შეგანყენთ თავს. ჩემი აზრით, ძველი რუსეთის ზნეობრივი იდეალების კვლევას საფუძველად უნდა დაედოს უფრო მეტი მასალა და არა მხოლოდ „იზმარაგდის“ ტექსტი. ეს მრავალი თაობის მეცნიერთა სამუშაოა... ბუნებრივია, ამ გამოკვლევათა დასკვნებს წინ ვერ გავუსწრებ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ამ იდეალების შექმნაში უდიდესი როლი ეკუთვნის ისიხასტების ლიტერატურას, ამ ქვეყნიდან, თავის თავისაგან, ყოველდღიური საზრუნავისაგან განდგომის იდეებს, რომლებიც საშუალებას აძლევდნენ რუს ხალხს გადაეტანა გაჭირვება, ემოქმედა და ეცქირა სამყაროსათვის ადამიანების სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულით, უარი ეთქვა ყოველგვარ ძალადობაზე. სწორედ ამ იდეებმა — მართალია ძალზე ტრანსფორმირებული სახით — შეაძლებინეს აბაკუმს ძალადობისათვის წინააღმდეგობა გაენია მხოლოდ სიტყვით და დარწმუ-

ნებით, გადაეტანა არნახული წამება, ყოფილიყო საოცრად მტკიცე და უბოროტოც. აბაკუმი და მისი ნაწერები გვაკვირვებს არა მხოლოდ ზნეობრივი სიმტკიცით, არამედ იმითაც, რომ მას ძალუძს ამალდეს საკუთარ თავზე, კეთილი და ყოვლისმიმტევებელი ღიმილით შეხედოს თავის მტანჯველებს, რომელთაც იცოდებს კიდეც, უწოდებს მათ „საბრალოთ“, „საწყლებს“, „სულელებს“. აბაკუმს ზოგჯერ უყმურ ფანატიკოსად მიიჩნევენ. ეს დიდი შეცდომაა. მას სიცილიც შეეძლო, შეეძლო ღიმილით ეცქირა თავის მტანჯველთათვის. იგი ღმობიერია და ამავე დროს საოცრად მედგარი სულიერადაც.

ასეთ პირობებში, ამგვარი იდეალების „პირობებში“ ძველი რუსეთის მკვიდრთ საოცრად უყვარდათ ეს სამყარო, თუმცა მათთვის ეს წუთისოფელი ამავე დროს ცოდვით სავსე, ამო და ბოროტი იყო.

ყოველ კულტურას აქვს იდეალი და ახდენს მის რეალიზაციას: იდეალების წარმომშობი სინამდვილე თვითვე ცდილობს მათ განხორციელებას და ხშირად მათვე ამახინჯებს, აღარიბებს. როდესაც რომელიმე კულტურას ვახასიათებთ და ვაფასებთ, ცალ-ცალკე უნდა შევაფასოთ როგორც იდეალი, ისევე მისი რეალიზაცია. ეს აუცილებელია, რადგან იდეალების განხორციელება შეიძლება მკვეთრად დაუპირისპირდეს თავად იდეალებს. ეს შეუთანხმებლობა შეიძლება გამოვლინდეს იდეალების განხორციელების ხარისხში ანდა თავად განხორციელების ხასიათში. იდეალები და სინამდვილე შეიძლება აღმოჩნდნენ ტიპოლოგიურად, ეთიკურად, ესთეტიკურად განსხვავებულნი. და ბოლოს, ისინი შეიძლება ერთი ხალხის წიაღში მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიულ მხარეებს წარმოადგენდნენ: აღმოსავლეთს და დასავლეთს, აზიას და ევროპას.

კულტურის „გაორებული სიცოცხლე“ ისეთივე ჩვეულებრივი რამაა, როგორც ადამიანის პიროვნების გაორება: ეროვნული კულტურაც ხომ პიროვნებაა.

იდეალი ცხოვრების ძლიერი რეგულატორია, მაგრამ ყოვლისშემძლე როდია, მის მიერ კულტურისათვის მიცემული მიმართულება ზოგჯერ განსხვავდება იმ გზისაგან, რომლითაც მიჰყავს კულტურა ის-

ტორიულ პროცესს, ეკონომიკურ ფაქტორებს. იდეალის ძალები, რომლებიც განხორციელებას ლამობენ, „კულტურული მატერიის“ წინააღმდეგობას აწყდებიან, რასაც კულტურის დიდი ხომალდის შეფერხება შეუძლია.

სწორედ ასეთი რამ დაემართა ძველი რუსეთის კულტურას. კულტურის იდეალსა და სინამდვილეს შორის ღრმა უფსკრული აღმოჩნდა. და განა მარტო იმიტომ, რომ იდეალი თავიდანვე ძალზე მაღალი იყო და სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ სინამდვილე ზოგჯერ ძალზე დაბალი და უღმობელი გახლდათ. ძველი რუსეთის იდეალი საოცრად თავისუფალია საკუთარ განხორციელებაზე ზრუნვისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იდეალები აქ საერთოდ არ ხორციელდებოდა, ან სინამდვილედ არ ქცეულა, როგორც სინამდვილის მაღალი იდეალები, ისევე ზნეობრივი სინამდვილე.

და მაინც რა უნდა ვუყოთ ძმებ კარამაზოვებს? პუშკინი ერთია, აქ კი ერთ შემეხიდრობულ რიგში სამი ძმა დგას. იდეალი ერთი უნდა იყოს, კარამაზოვები კი ხასიათებია. ტიპიურია ეს ხასიათები რუსი ადამიანებისათვის? დიახ, ტიპიურია. ისინი „კანონიერი“ ძმები არიან, მაგრამ მათ მეოთხე „უკანონო“ ძმაც ჰყავთ: სმერდიაკოვი.

„კანონიერ“ კარამაზოვებში კარგ თვისებებსაც ვპოულობთ და ცუდსაც. სმერდიაკოვს კი არა აქვს კარგი თვისებები. მას მხოლოდ ერთი თვისება აქვს — ეშმაკის თვისება. სმერდიაკოვი ერწყმის ეშმაკს. ივანეს კოშმარებში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან. ეშმაკი კი არცერთი ხალხისათვის არ არის ტიპიური და ნიშნული, მას ყველა ხალხი გაურბის, უარყოფს, არ აღიარებს. სმერდიაკოვი რუსის ტიპი კი არ არის, რუსის ანტიპოდი.

რუსეთის ცხოვრებაში კარამაზოვები ბევრნი არიან, მაგრამ ისინი როდი განსაზღვრავენ ხომალდის გეზს. აფრიანი ხომალდის კაპიტნისათვის მეზღვაურებზე უფრო საჭირო რუმპელია და ვარსკვლავი, რომელზეც იღებს ორიენტაციას იდეალი.

რუს ხალხს კარგის გარდა, ავიც ბევრი ჰქონდა და ეს ავიც არცთუ ცოტაა, რადგან ხალხიც ბევრია. თუმცა ამ ავის არსებობა ყოველთვის ხალხის ბრალი არ ყოფილა, სმერდიაკოვების ბრალი იყო, სახელმწიფო

მოღვაწეთა სახით რომ გვევლინებოდნენ — ხან არაკრევეის, ხან პობედონოსცევის, ხან კი სხვების. შემთხვევით როდი გარბოდნენ რუსები ჩრდილოეთისაკენ — ტყეებში, სამხრეთისკენ — კაზაკებად, აღმოსავლეთისაკენ — შორეულ ციმბირში. ისინი ეძიებდნენ ბედნიერ სამეფოს, ქვეყანას, სადაც აღარ შეხვდებოდნენ ურიადნიკებსა და უბნის ზედამხედველებს, გენერლებს, რომლებიც აიძულებდნენ სხვა ქვეყნების გლეხებისათვის წაერთმიათ მიწები. მაგრამ ჯარში მაინც რჩებოდნენ ტუშინები, კონოვნიცინები და პლატონ კარატაევი: ეს მაშინ, როცა ომები თავდაცვითი იყო ანდა როცა უნდა გაეთავისუფლებინათ ძმები — „ბრატუშკი“ — ბულგარელები და სერბიელები.

„ბრატუშკი“ — ეს სიტყვა ხალხმა მოიგონა და კარგადაც მოიგონა.

მაშასადამე, რუს ხალხში ეროვნული ეგოიზმი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ეროვნული შეგნების სიფართოვე და გულგახსნილობა.

რას იზამ, მზიან დღეს ყოველ საგანს თავისი ჩრდილი აქვს და ხალხის ყოველ კეთილ თვისებას ცუდი თვისება უპირისპირდება.

### პატრიოტიზმი თუ ნაციონალიზმი?

არსებობს ძალზე მცდარი შეხედულებები, რომელთა თანახმად ეროვნული თავისებურებების ხაზგასმა ეროვნული ხასიათის განსასაზღვრად ხელს უწყობს ხალხთა გათიშვას, შოვინისტური ინსტიტუტების გაღვივებას.

დიდი რუსი ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი თავისი „რუსეთის ისტორიის“ მეშვიდე ნიგნის დასაწყისში წერდა: „თავისი ეროვნების უსიამოვნო ქება... ვერ გაიტაცებს რუსებს“. ეს სრული სიმართლეა. საკუთარი თავის ქება-დიდების სენი რუსებს არასოდეს არ შეჰყრიათ. პირიქით, ყოველთვის თუ არა, უმეტესწილად რუსები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ მეზობელ ხალხებთან. ეს უკვე რუსეთის არსებობის საუკუნეებზე ითქმის. ათასი წლის მანძილზე რუსეთისა და კარელიის სოფელთა მშვიდობიანი მეზობლობა ჩრდილოეთში, — მეტად საგულისხმო ფაქტია. მერის, ვესების, იჟორების და სხვათა მეზობლობას რუსებთან სისხლისღვრა არ მოჰყო-

ლია. კიევში იყო ჩუდის ეზო — იგი ჩუდის (მომავალ ესტონელთა) რომელიღაც წარმომადგენელს ეკუთვნოდა. ნოვგოროდში იყო ჩუდინცევის ქუჩა. იქვე, რამდენიმე წლის წინ ნაპოვნია ფინური ენის უძველესი ძეგლი — არყის ხის ქერქზე დანერილი ფინური სიგელი. ეს სიგელი რუსული სიგელების გვერდით იდო. ყივჩაღებთან ომები უფრო ხშირად ეროვნული კი არ იყო, არამედ წმინდა ფეოდალურ ხასიათს ატარებდა, — რუს თავადებს ცოლად მოჰყავდათ დიდგვაროვანი ყივჩაღი ქალები, მაშასადამე, რასობრივი გაუცხოება აქ არ არსებულა. საერთოდ, რუსეთის კულტურის მთელი ისტორია ადასტურებს ამ კულტურის გულღია ხასიათს, ამთვისებლობას და მეტწილად ეროვნული ქედმაღლობის უქონლობას.

ყაზანის ალების შემდეგ XVI საუკუნის შუა წლებში შეიქმნა „ყაზანის ალების ისტორია“, რომელშიც აღწერილია ყაზანის თათარ მიმტაცებელთა სიმამაცეც და თანაგრძნობითაა გადმოცემული ყაზანელი სუმბეკ დედოფლის მოთქმა მშობლიური ქალაქის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო.

ჩემი ერის ქებას ხომ არ შევუდექი? არა, ეს გულღიაობა და მშვიდობიანობა ხომ იმ ფინური ტომებისთვისაც იყო, რომლებიც რუსების მეზობლად ცხოვრობდნენ. ეს გულგახსნილობა ხალხთა გარკვეული, ეროვნებადელი არსებობისთვისებაა. მაგრამ რუსეთში ამთვისებამ დროითი საზღვრები გადალახა და იდეოლოგიურად დამკვიდრდა, რუსული ლიტერატურის და ისტორიული აზრის ცნობიერ და გარკვეულ პრინციპად იქცა. აღმოსავლეთ სლავებმა ეს პრინციპები ბულგარელებისგან მიიღეს შემკვიდრებით. ვენეციაში კირილე (ან მეთოდე) სამენოვნების დამცველებთან კამათისას (ე. ი. იმ თვალსაზრისის მიმდევრებთან კამათისას, რომელთაც ღვთისმსახურება მხოლოდ სამ ენაზე მიაჩნდათ დასაშვებად — ბერძნულზე, ებრაულსა და ლათინურზე) ამბობდა: „განა წვიმა ყველასთვის ერთნაირად არ მოდის? განა მზე ყველასთვის არ ანათებს? განა ჩვენ ერთი ჰაერით არ ვსუნთქავთ?“

ამ აზრს ეხმიანება XI საუკუნის შუა წლებში რუსი მიტროპოლიტი ილარიონი თავის შესანიშნავ ნაშრომში „სიტყვა

კანონისა და მაღლის შესახებ“, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ყველა ხალხი თანასწორია და ყველა საერთო საქმეს აკეთებს კაცობრიობისათვის.

ეროვნული თავისებურებები — უეჭველი ფაქტია. არ არსებობს ისეთი განუმეორებელი თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელი იქნება მხოლოდ ამა თუ იმ ხალხისათვის, მხოლოდ ამა თუ იმ ერისათვის, მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნისათვის. აქ მთავარია ამთვისებათა ერთობლიობა, ამ ეროვნული და ზოგადსახალხოთვისების კრისტალურად განუმეორებელი აგებულება. ეროვნული ხასიათის, ეროვნული ინდივიდუალობის არსებობის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ხალხთა სამყარო ძალზე უფერულ და მოსაწყენ რაიმედ ვაქციოთ.

მართლაც, აბა, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მოგზაურობთ და ვაგონის ფანჯრიდან ერთიდაიგივე პეიზაჟს ხედავთ. ო, რარიგ მოსაწყენია! ქრება ყოველგვარი ხალისი მოგზაურობისა, ქრება სიყვარული იმ ქვეყნისადმი, სადაც ხართ ჩასული. ბავშვს არ შეუყვარდება თოჯინა, თუკი ის სხვა თოჯინებისაგან განურჩეველია. საკუთარ თოჯინაში ინდივიდუალური, სხვებისაგან განმასხვავებელი თავისებურებები უნდა მოიძიო და თავისი სახელი დაარქვა მას. სახელი, როგორც ინდივიდუალობის, განუმეორებლობის ნიშანი, ძალზე დიდ როლს თამაშობს, როცა რამე ან ვინმე გვიყვარს. თუ არ არსებობს ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც ანსხვავებენ ქალაქებს სხვა ქალაქებისაგან, სოფლებს სხვა სოფლებისაგან და თქვენეულ სახლს — მეზობელი სახლებისაგან, მაშინ მთელი ქვეყანა მოსაწყენ, უინტერესო უდაბნოდ გადაიქცევა, მისი ხალხი კი — მშობლიური კუთხის სიყვარულს მოკლებულ ადამიანებად.

სწორედ ინდივიდუალური თავისებურებები აკავშირებენ ხალხებს ერთმანეთთან, გვაიძულებენ გვიყვარდეს ხალხი, ვისაც არ ვეკუთვნით, მაგრამ ვისაც ბედმა შეგვახვედრა. მაშასადამე, ხასიათის ეროვნული თავისებურებების გამოვლენა, მათი ცოდნა, ფიქრი იმ ისტორიულ გარემოებებზე, რომლებმაც წარმოშვეს ეს თავისებურებები, გვეხმარება სხვა ხალხების გაგებაში. ფიქრს ამ ეროვნულ თვითმყოფადობაზე საზოგადოებრივი მნიშ-

ვნელობა აქვს. ის ძალზე მნიშვნელოვანი რამაა.

საკუთარი ხალხის გაცნობიერებული სიყვარული გამორიცხავს სხვა ხალხების სიძულვილს. თუ შენი ხალხი, შენი ოჯახი გიყვარს, სხვა ხალხები, სხვა ოჯახები, სხვა ადამიანებიც გეყვარება. ყოველ ადამიანში არსებობს იმის ზოგადგანწყობა, შეიყვაროს თუ შეიძულოს ვინმე, გამოეყოს სხვას ან აღიაროს სხვა, რა თქმა უნდა, არა ყოველგვარი, არამედ საუკეთესო სხვა, რაც ამ საუკეთესოს შემჩნევის უნარს გულისხმობს. ამიტომ სხვა ხალხების სიძულვილი (შოვინიზმი) ადრე თუ გვიან საკუთარი ხალხის ერთ ნაწილზეც გავრცელდება — თუნდაც იმათზე, ვინც ნაციონალიზმს არ აღიარებს. თუ ადამიანში სხვათა კულტურის აღქმის ზოგადი განწყობაა გაბატონებული, ამ განწყობამ არ შეიძლება არ მიიყვანოს ის საკუთარი კულტურის ღირებულების ნათელ გაცნობიერებამდე. ამიტომ თავის უმაღლეს, გაცნობიერებულ გამოვლინებებში ნაციონალობა მუდამ მშვიდობისმოყვარეა, აქტიურად მშვიდობისმოყვარე და არა უბრალოდ გულგრილი სხვა ეროვნებათა მიმართ.

ნაციონალიზმი ერის სისუსტის გამოვლინებაა და არა მისი ძლიერებისა. ნაციონალიზმის სენი უმთავრესად იმ სუსტ ხალხებს სჭირთ, რომლებიც თავისი თავის შენარჩუნებას ნაციონალისტური გრძნობების და იდეოლოგიის წყალობით ცდილობენ. დიადი ხალხი კი, დიდი კულტურის, თავისი ეროვნული ტრადიციების მქონე ხალხი, მოვალეა იყოს კეთილი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასთან მცირე ერის ბედია დაკავშირებული. დიდი ხალხი უნდა დაეხმაროს მცირეს, რათა ამ უკანასკნელმა შეინარჩუნოს საკუთარი თავი, თავისი ენა, თავისი კულტურა.

ძლიერი ხალხი ყოველთვის მრავალრიცხოვანი არ არის, ისევე როგორც სუსტი ხალხი ყოველთვის მცირერიცხოვანი როდია. აქ გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ადამიანთა რაოდენობას, არამედ ხალხის ეროვნული ტრადიციების რწმენას და სიმყარეს.

თხუთმეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ მანამადე, სანამ შეიქმნებოდა კულტურის და ისტორიის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, მე შევხვდი სამ ახალგაზრდას,

რომლებიც ჩემსავით შენუხებულნი იყვნენ კულტურის ძეგლებისადმი უყურადღებობით. ჩვენ ჩამოვთვალეთ, რას ვკარგავთ და კიდევ რა შეიძლება დავკარგოთ. მე ვთქვი, რომ ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ მცირე ერების ძეგლებზე: იყორა, ვოდი უკვალოდ ქრება-მეთქი. უცებ ჩემი ახალგაზრდა თანამოსაუბრეები მოიღუშნენ: „არა, ჩვენ მხოლოდ რუსეთის ძეგლებზე ვიზრუნებთ“. „რატომ?“ — „ჩვენ რუსები ვართ“. „კი მაგრამ, განა რუსეთის ვალი არაა დაეხმაროს იმ ხალხებს, რომლებმაც ისტორიულ გარემოებათა გამო თავისი ბედი რუსეთის ბედს დაუკავშირეს?“.

მე ვლაპარაკობდი იმაზეც, თუ რაოდენ დიდ ღირებულებას ქმნიან მსოფლიო კულტურისათვის ვოლგისპირეთის ხალხები. ვოლგისპირეთის — ე. ი. რუსეთის დიადი მდინარის პირას მცხოვრები ხალხები, და განა ვოლგა სხვა ხალხების — თათრების, მორდველების, მარელების და სხვათა მდინარე არ არის? განა აქედან შორია კომი ან ბაშკირეთი? რამდენი კულტურული ღირებულება მიგვიღია ჩვენ, რუსებს, სხვა ხალხებისაგან სწორედ იმიტომ, რომ მათთვისვე გაგვიცია ჩვენი სულიერი ფასეულობები. კულტურა დაუხურდავებელ მანეთიანს ჰგავს, თუმცა კი ხარჯავ, მაგრამ ის მუდამ ჯიბეში გრჩება.

რამდენი დიდი რუსი მეცნიერი სწავლობდა შუა აზიის, ციმბირის, კავკასიის ენებს! რამდენი გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე გვყავდა, როგორ განვითარდა თავად რუსული ფილოლოგია აღმოსავლეთის ხალხთა კულტურების შესწავლის წყალობით, რაოდენი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ მსოფლიოში...

იგივე ითქმის ხელოვნებათმცოდნეობაზე, ისტორიაზე, ფოლკლორისტიკაზე, ლიტერატურათმცოდნეობაზე და მრავალ სხვა დარგზე. რუსულმა მეცნიერებამ როდი ნააგო იმით, რომ რუსი მეცნიერები მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული მეცნიერული ცენტრების, ეროვნული უმაღლესი სასწავლებლების შექმნაში. იგი გამდიდრდა და მდიდრდება იმ იდეების შესწავლით, რომლებიც უკან გვიბრუნდებიან ერევიდან, ტარტუდან, ტაშკენტიდან, ალმატიდან, თბილისიდან, ბაქოდან, კიევიდან, მინსკიდან, პეტროზავოდსკიდან,

ვილნიუსიდან, რიგიდან...

მეცნიერული ცენტრების ამ ჩამოთვლისას მე ვერ შევძლებ ვახსენო ყველა. თუმცა მთავარია არა სრული ჩამოთვლა, არამედ სრული გაცნობიერება იმ როლისა, რომელსაც თამაშობს მეცნიერული გამოცდილების გაზიარება ხალხთა შორის.

ქვეყნარბიტი პატრიოტიზმი ისაა, რომ სხვა გაამდიდრო და ამავე დროს თავად გამდიდრდე სულიერად, ნაციონალიზმი კი იკეტება თავის ნაჭურჭში და ამით ღუპავს საკუთარ კულტურას, აჭკნობს მას.

კულტურა კარლია, კარგახსნილი უნდა იყოს.

XX საუკუნეში მიღებული გამოცდილების მიუხედავად ჩვენ ყოველთვის სწორად როდი ვახსენებთ ერთმანეთისაგან პატრიოტიზმს და ნაციონალიზმს. ბოროტება სიკეთის ნიღაბსაა ამოფარებული.

პატრიოტიზმი უკეთილშობილესი გრძნობაა. ის გრძნობაც არაა, როგორც პირადი, ისევე საზოგადოებრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი მხარეა, როცა ადამიანი და მთელი ხალხი თითქოსდა თავის თავზე მალლა დგება, ზეპიროვნულ მიზნებს ისახავს.

ნაციონალიზმი კი ადამიანის მოდგმის უბედურებათა შორის ყველაზე საზიზღარი რამაა. ისევე როგორც ყოველი ბოროტება, იგი ბნელში იმალება, ბნელში ცოცხლობს, მხოლოდ თავს გვაჩვენებს, თითქოს საკუთარი ქვეყნის სიყვარულით იყოს გაჩენილი. სინამდვილეში კი ნაციონალიზმი წარმოშვა ბოროტებამ, სხვა ხალხის სიძულვილმა, საკუთარი ხალხის იმ ნაწილის სიძულვილმა, რომელიც მის აზრებს არ იზიარებს.

ნაციონალიზმი ბადებს საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, სისუსტეს და თავადაც სისუსტისა და დაურწმუნებლობის პირმშოა.

გიყვარდეს საკუთარი ხალხი, საკუთარი ქალაქი, საკუთარი ბუნება, საკუთარი სოფელი, საკუთარი ოჯახი!

თუ ოჯახში ყველაფერი რიგზეა, ოჯახს ხშირი სტუმარი ჰყავს, არცერთი დღესასწაული არ აღინიშნება სტუმრების გარეშე. სვეკეთილი ოჯახები ცხოვრობენ სოციალურად სტუმართმოყვრულად,

გულგახსნილად, ერთად. ეს ოჯახები ღონიერი და ძლიერი არიან.

ასევეა ხალხების ცხოვრება. ხალხები, რომლებშიც პატრიოტიზმი ეროვნულ „მომხვეჭელობას“, ნაციონალიზმის სიხარბეს და კაცთმოძულეობას არ შეუცვლია, ყველა სხვა ხალხებთან მეგობრულად და მშვიდობიანად ცხოვრობენ.

მხოლოდ სიხარული გიპყრობს, როცა ცხოვრობ ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სავსებით განსხვავებული ხალხები — განსხვავებული თავიანთი ადათ-ნესებით, კულტურული ტრადიციებით და ეროვნული ხასიათით.

მე მეცნიერი ვარ, ვიკვლევ ძველ რუსულ ლიტერატურას, ე. ი. რუსული ლიტერატურის იმ ხანას, როდესაც მისი რუსული ხასიათი ყველაზე ნათლად იყო გამოხატული. და აი რა არის საყურადღებო: ძველ რუსულ ლიტერატურაში რუსებთან ერთად იღვწოდნენ ბულგარელები (კიპრიანი, გრიგოლ ვამბლაკი), სერბიელები (პახომ ლოგოფეტი, ანიკიტა, ლევ ფილოლოგი), ბერძნები (მაქსიმ გრეკი და მრავალი სხვა), ხორვატები (იური კრიჟანიჩი), პოლონელები (ანდრეი ბელოზოცკი), მორდველები (როგორც ჩანს, „რინდი დეკანოზი“ აბაკუმი და მისი ჯეროვნად შეუფასებელი მონინააღმდეგე — პატრიარქი ნიკონი), ბელორუსები, უკრაინელები (XVII საუკუნეში უკრაინელი იმდენია, ვერც ჩამოვთვლი)... ეს ადამიანები რუსული ლიტერატურის განვითარების შემოქმედებით პროცესში იყვნენ ჩართულნი.

ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი ხალხის შვილია, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა, მთელი დედამიწის მოქალაქე. ეს მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები არ გეგონოთ. მე ამას სულით და გულით ვამბობ, ის კი, რაც სულით და გულით ითქმება, არ შეიძლება ლიტონი სიტყვა იყოს.

სხვა ხალხების სიძულვილზე დაფუძნებულ ნაციონალიზმს და თავისი ხალხის სიყვარულზე დაფუძნებულ პატრიოტიზმზე ქართული სიმღერის სიტყვები მინდა გავიმეორო:

რაც მტრობას დაუნგრევია,  
სიყვარულს უშენებია...



2014

თ

მ

ა

ნ

ჟ

ბ

ს

ა

1

1

ფასი 3 ლარი